გაჩეჩილაძეთა საგვარეულო

(გაჩეჩილაძეები, ჯაჭვაძეები, წეველიძეები)

კრებული შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო,
რედაქტირება გაუკეთა და გამოსცა **ეკატერინე გაჩეჩილაძემ**

3

თბილისი 2010

უაკ (UDC) 821.353.1+73/76
უ_247

ჩემს ნაშრომს ვუძღვნი მშობლების _ მიხეილ ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძის და მარიამ პლატონის ასულ ღიბრაძის ნათელ ხსოვნას.

აღნიშვნების მნიშვნელობა

* _ ერთი ასეთი ვარსკვლავით აღნიშნულია იმ პირთა სახელები, რომელთა ბიოგრაფიები შეტანილია კრებულის «გაჩეჩილაძეთა საგვარეულო» I ტომში.

** _ ორი ვარსკვლავით აღნიშნულია იმ პირთა სახელები, რომელთა ბიოგრაფიები შეტანილია ამავე კრებულის II ტომში.

ISBN 978-9941-0-2183-1

შემდგენელ-რედაქტორისაგან

წინამდებარე კრებული წარმოადგენს კრებულის «გაჩეჩილაძეთა საგვარეულო» (გაჩეჩილაძეები, ჯაჭვაძეები წეველიძეები) III წიგნს. «გაჩეჩილაძეთა საგვარეულო»-ს I და II წიგნებში შესულია მასალები ხსენებული საგვარეულოს, მათი «ბუდე» სოფლის _ წევის (ზესტაფონის რ.) და ამ სოფლის ეკლესიისა და სკოლის ისტორიის შესახებ, საგვარეულოს წევრთა ბიოგრაფიები, მისი «შტოების» გენეალოგიური სქემები და სხვ..

III წიგნის მიზანი კი არის აღნიშნული საგვარეულოს სხვადასხვა თაობის ურთიერთგაცნობა-დაახლოება მათი შემოქმედებითი ნაღვაწის მეშვეობით და საგვარეულოს წევრთა შემოქმედებითი უნარების გაღვივება, ასევე, ჩვენი საგვარეულოს წევრთა საინტერესო თხზულებებისა და მათი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების დავიწყებისაგან გადარჩენა.

ამ წიგნში წარმოდგენილი მასალა მეტად მრავალფეროვანია: ქრონოლოგიით, დარგებით, ჟანრებით, შინაარსით, ფორმით და მხატვრული ღირებულებით. მასში შესულია XIX საუკუნეში, ფოლკლორისტ სევასტი გაჩეჩილაძის მიერ, წევაში ჩაწერილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მცირე ნაწილი და XX_XXI საუკუნეებში შექმნილი ინდივიდუალური ნაწარმოებები, რომელთა ავტორები არიან ზემოხსენებული გვარების როგორც პროფესიონალი მწერლები, ისე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებსაც არასოდეს ჰქონიათ მწერლობის პრეტენზია, მაგრამ, გამოეხმიანენ ჩვენს თხოვნას და მოგვარეებს გასაცნობად წარუდგინეს თავიანთი ლექსები, ნოველები, ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების მოგონებები. წიგნში ჩართულია, ასევე, სამი მხატვრის ნამუშევრების რეპროდუქციები...

საზოგადოების წევრთა თვალსაზრისები ყოველთვის მრავალფეროვანია და ცხოვრებაც სწორედ ამ მრავალფეროვნებით არის საინტერესო. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ამ წიგნში წარმოდგენილ ნაწარმოებებში მოყვანილ ყველა მოსაზრებას არ ვეთანხმებით, მაინც მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამ მასალის გამოქვეყნება.

ჩვენი შეფასების კრიტერიუმი იყო ნაწარმოებში მოყვანილი ინფორმაციის საინტერესოობა, მისი მკაფიოდ და ლაკონიურად ჩამოყალიბებულობა; სასურველი, მაგრამ არასავალდებულო, იყო, აგრეთვე, ნაწარმოების შინაარსი შეხებოდა ჩვენს სოფელს, მის ტრადიციებს, საგვარეულოს და მის ცალკეულ წევრებს; ნაწარმოებში გამოვლენილი ყოფილიყო მისი დაწერის დროის «კვალი»...

სამწუხაროდ, ჩვენი «საგვარეულო დარბაზის» არსებობის რვა წლის განმავლობაში (2001 წლიდან დღემდე) ჩვენი გვარის წარმომადგენელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ეკონტაქტებოდა ამ «დარბაზს», ამიტომ, კრებულში წარმოდგენილი მასალა მხოლოდ ნაწილობრივ წარმოდგენას იძლევა ჩვენი საგვარეულოს წევრთა მიერ შექმნილი მხატვრული «ნაწარმის» და მათი სამომავლო შემოქმედებითი პოტენციალის შესახებ...

იმედი გვაქვს, რომ მომავალში გაჩეჩილაძეთა «საგვარეულო დარბაზის» მუშაობაში უფრო მეტი ჩვენი მოგვარე ჩაებმება და, პერიოდულად, კვლავ გამოიცემა ამგვარი კრებულები, საუკუნის ბოლოს კი, ამ კრებულებში მოყვანილი მასალიდან მხატვრული თვალსაზრისით საუკეთესო ნიმუშების გადარჩევის საფუძველზე, შეიქმნება კრებული «საგვარეულო ზარდახშა».

P. S. *ჩვენს მიერ შერჩეული მასალიდან, ის ნაწარმოებები, რომლებიც ადრე უკვე იყო გამოქვეყნებული სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემებში, გადმოვიტანეთ უცვლელად, ხოლო იმ ნამუშევრების რედაქტირებისას, რომლებიც პირველად ქვეყნდება, შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად სრულად შეგვენარჩუნებინა ავტორის ტექსტი და წერის სტილი.*

სევასტი გაჩეჩილაძის მიერ, სოფელ წევაში, 1889-1907 წლებში ჩაწერილი ფოლკლორის ნიმუშები

წევაში ჩაწერილი ხალხური შემოქმედების ნიმუშები, თავისი შენიშვნებითურთ, გადმობეჭდილია კრებულიდან «ძველი საქართველო» (წიგნი I _1909 წ. და წიგნი IV_ 1914-1915 წწ.).

ცნობილი ფოლკლორისტი, ს. გაჩეჩილაძე (1863-1943), იმერეთის სოფლებში ფოლკლორის ნიმუშებს კრებდა 1889-1907 წლებში (შემდეგ იგი თბილისში გადმოსახლდა და ფოლკლორისტული საქმიანობა ქართლში განაგრძო). იმ დროს სოფ. წევის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გაჩეჩილაძეები შეადგენდნენ, მაგრამ, ბატონი სევასტის მიერ იქ შეკრებილი ფოლკლორის ნიმუშები მიჩნეულია ხალხური (მაშასადამე კოლექტიური) შემოქმედების ნაყოფად, ამიტომ, შესაძლებელია ჩვენს წიგნში შეტანილი ნაწარმოებების ნაწილს სხვა გვარის ავტორები ჰყავდეს, ან ამ სოფელში შორიდან შემოღწეული სიუჟეტები ედოს საფუძვლად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროდ ჩავთვალეთ საგვარეულო კრებულში მათი ჩართვა _ XIX საუკუნის წეველთა აზროვნებისა და მეტყველების შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად.

ბ-ნ სევასტის წევის ფოლკლორი გაცილებით მრავალფეროვნად აქვს მოყვანილი: გარდა ზღაპრებისა და ლექსებისა, მას გამოქვეყნებული აქვს ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხლები, ანეკდოტები... მსურველს შეუძლია ამ მასალას, შედარებით ვრცლად, გაეცნოს ზემოხსენებულ კრებულში და «აკაკის თვიურ კრებულში» (1899 წ. № 3). *ჩვენ კი აქ მხოლოდ ზღაპრებისა და ლექსების მცირერიცხოვანი ნიმუშები მოგვყავს...*

ზღაპრების ტექსტი გადმოვბეჭდეთ ზუსტად... მხოლოდ, შენიშვნები გადავიტანეთ თითოეული ზღაპრის ბოლოს.

აღსანიშნავია, რომ კრებულში «ძველი საქართველო» ზღაპრებს არ ახლავს ქართული ზღაპრებისათვის ჩვეულებრივი დასაწყისი _»იყო და არა იყო რა...» და დასასრული _ «ჭირი იქა, ლხინი აქა...», მაგრამ, კრებულის I წიგნში, XI გვერდზე მოყვანილია რედაქციის მითითება, რომ ზღაპრების ბეჭდვის დროს მათ მოუვიდათ შეცდომა... და რომ ყოველ ზღაპარს უნდა დაერთოს ზემოხსენებული დასაწყისი და დასასრული. ჩვენ გამოვასწორეთ მათი შეცდომა...

რედაქტორი.

ზღაპრები

დღით მკვდარის დედა

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?! იყო ერთი დედაბერი. ერთი ვაჟის მეტი არა ყავდა-რა, და ისიც გარდეეცვალა. ზომა და ანგარიში აღარ ქონდა დედის მწუხარებას. გაასვენეს ცხედარი და ერთ მახლობელ გაუქმებულ სახტარში დაასაფლავეს. გევიდა დრო და ჟამი.

ერთ ხემწიფეს მზეთუნახავი ქალიშვილი ყავდა. ბევრი მთხოველი დიდი-კაცის შვილი მიდიოდა, მარამ არავის არ მიყვებოდა, ყველას იწუნებდა. ბოლოსაც ილაჯ-გაწყვეტილ მამას

ძალათი უნდოდა დეეგვირგვინებია თავისი ქალიშვილი. ეს რომ ქალიშვილმა გეიგო, გეიპარა ღამით და დიდი ხეტიალის შემდეგ ამ გაუქმებულ ეკლესიას წაატყდა. კარი ღია იყო. შევიდა შიდ და, რომ მადევრებს ვეღარ მიეგნოთ, კარი მოხურა, თითვან კი აკლდამაში ჩაძვრა. ამ აკლდამაში ესვენა ის დედის-ერთა ვაჟი თავ-ახდილი კუბოთი. ეს ვაჟი ყოველ ღამ ადგებოდა, მთელ ღამე ეღვინძა; როცა დილა მოახლოვდებოდა, ჩაწვებოდა თავის კუბოში და მოკვდებოდა. ასე ემართებოდა ცის მარად ღამე. როცა ეს მზეთუნახავი ჩევიდა აკლდამაში, ყმაწვილს ეღვინძა, გაცოცხლებული იყო და ყელზე შემოეხვა მზეთუნახავს.

_შენი ბედი ვყოფილვარო, უთხრა მზეთუნახავმა და, თუ გინდა, ქეც[1)] მამკალიო.
მადევრებმა მზეთუნახავის ავან-ჩავანი ვეღარ გეიგეს და თავი დაანებეს მის ძებნას.
გევიდა დრო და ჟამი.

მზეთუნახავმა იგრძნო, რომ გულთან რაცხა[2)] დეემძვრა[3)]. ეს ამბავი ღამე უთხრა ვაჟს და იმანაც ურჩია: წადი ამა და ამ გზით, აქა და აქ ამისთანა სახლს ნახავ. მიდი იქ. იქ არის დედა-ჩემი. ჩემ შესახებ არასფერი არ უთხრა. მიდი იმასთანა და ის მოგივლისო. მე-კი ყოველ ღამ მოვალ იქ და გევიგებ შენს ამბავსაო.

როგორც ვაჟმა ურჩია, მზეთუნახავიც ისე გეისარჯა. მივიდა იმ სახლში, ნახა იმ ვაჟის დედა, შეჩივლა თავისი ფეხ-მძიმობა და შვილის სიყვარულისთვის თხოვა, რომ მეევლო მისთვის. დედა-ბერმა დიდი სიხარულით მიიღო, განსაკუთრებით თავისი შვილის სიყვარულის ხსენების გამო.

ამ დღიდან ყოველ ღამ მევიდოდა ვინცხა, შევიდოდა სახლის სახურავზე და საფაფურიდან[4)] ჩუმათ ჩამოძახებდა:

იასამან_გულისამან,

შენი საქმე რავარიაო?

მზეთუნახავიც მიახარებდა ჩუმი ხმითვე, რომ დედა-შენი ძალიან მივლის და მეფერებაო და არა მიშავსრაო.

ეს ქალ-ვაჟის ერთმანეთთან გამოღარღილება[5)] არ გამოპარვია არც დედაბრის სმენას. იმან გეიგონა, რომ ვინცხა შედის სახლის თავზე და «იასამან-გულისამანს» იძახის.

ერთჯელ კითხა დედა-ბერმა ამ მზეთუნახავს: ვინ არის, საფაფურიდან რომ ჩამოგძახის ხოლმე, დედა-შვილობას, მითხარიო. მზეთუნახავი გადაფიცავდა და არასფრის გულისთვის არ ეტყოდა ხოლმე.

ერთჯელ, როცა ფეხ-აკრეფით სახლის თავზე ასული უძახოდა მზეთუნახავს, წამოდგა ლოგინიდან დედა-ბერი და დოუძახა მზეთუნახავს: თუ შენი ორგული არ ვიყო, ნუ დამიფარავ, ვინ გიძახისო. მზეთუნახავი ვერ ბედავდა: ვაი თუ მერე აღარ მევიდეს ჩემი სატრფოვო.

ვაჟმა ჩამოძახა: ნუ გეშინია! უთხარიო!

_გეტყვიო, უთხრა დედა-ბერს მზეთუნახავმა, მარამ იმ პირობით კი, რომ წამალი უშონო და მოარჩინოვო; _ის შენი ვაჟია ჩემი გულის სატრფოვო, _ღამე ცოცხალი და დღისით მკვდარიო.

_ოღონდ კი მასწავლეთ, რა ეშველება, რა გააცოცხლებს, თუარა ქვეყნის კიდეს იქითაც წავალო.

_აპა, წადი, გადაყევი თან და მზის დედა მაინც ნახეო. შეეხვეწე მას, _ასე და ასეა ჩემი ვაჟი და მიშველე რამე წამალი-თქვა. ის გასწავლის, თუ რა წამალი უშველის შენს ვაჟს. სხვა ყოველივე ცდა ამაოა, სხვა არასფერი უშველის შენს ვაჟსაო.

წევიდა საბრალო დედა. იარა, იარა და, რომ გეიხედა, დეინახა, ოთხი მამა-შვილი მუშაობს ყანაში.

_სად მიდიხარ, ბებიაო, კითხეს ყმაწვილებმა.

_მზის დედის სანახავათ მივდივარო, _და მოუყვა თავის გაჭირვებას.

_შენი ჭირიმე, ჩემო ბებია, _შეეხვეწენ, _თუ ნახო მზის დედა, კითხე, ჩვენი საქმის უიმედო ყოფას რა ეშველებაო? ჩვენ ვართ ოთხი მამა შვილი, ძარღვები გვაწყდება, კანში ვძვრებით, ისე ვშრომობთ, და ხეირი არა აქვს ჩვენ შრომასაო.

შეპირდათ ბებერი და წევიდა, გოუდგა თავის გზას. ბევრი იარა თუ ცოტა, ხედავს, რომ გუთნეული გოუბამსთ და ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ მიათრევს გუთანს. გუთნის-დედამ კითხა დედა-ბერს: სად მიხვალ, ბებიაო? დედაბერმა მიუგო: მზის დედის სანახავათაო, და მოუყვა თავის გასაჭირს. ახლა გუთნის-დედა შეეხვეწა დედა-ბერს,_ხომ ხედავ, რავა ვწყდებით, რავა ვიხოცებით და ფაიდა[6] არა აქვს ჩვენს შრომასაო. კითხე დედაშვილობას, რა ეშველება ჩვენს საქმესაო. დედა-ბერი შეპირდა და გოუდგა თავის გზას.

იარა და იარა, ხედავს, _ცხვრის ფარა დაცვენილა, ძლივსღა იღებს სულს. თავზე ადგია მწყემსი და ხელ-გულ დაკრეფილი ტირის.

_სად მიხვალ, ბებიაო? კითხა მწყემსმა.

_მზის დედის სანახავათაო, მიუგო ბებერმა და თან მოუყვა თავის გასაჭირს.

_ ხომ უყურებ, ჩემო ბებია, როგორ უნუგეშო ყოფაში ვარ, მთელი ფარა ცხვარი მიწყდება; გამიგე, დედაშვილობას, რა ეშველებაო?

შეპირდა ბებერი და გოუდგა გზას.

იარა ბებერმა და იარა... ხედავს, რომ ერთ მინდორში ირემი დგას, ფეხებს ვეღარ სდგამს. ერთი ბორჯღიანი რქა მიწაში ჩარჭობია წვერებით, მეორე კი ცამდი ასვლია.

_რას შვები, ირემოვო? კითხა ბებერმა.

_ამ რქების წყალობით ისეთია ჩემი გაჭირვება, ვეღარ ვიმძრევი. _შენ სად მიდიხარო?

_მე მივდივარ მზის დედასთანო; და მოუყვა ბებერი ირემს თავის გაჭირვებას.

_აბა, რაღა შორს მიხვალ, უთხრა ირემმა: აყევი ჩემ რქებს და ახვალ მზის დედასთანაო და, დედაშვილობას, არ დეივიწყო ჩემი უსაშველო ყოფაც, ჰკითხე, რა მიშველისთქვა?

ირემის რქების ბორჯღებს ისე აყვა ბებერი, რავარც კიბეს, და ევიდა მზის დედის ძელურ[7] ქოხში. შინ იყო მზის დედა. გამოდგა განის[8] კარზე და შეიხმო შინ დედა-ბერი.

_რა გაჭირვებამ მოგიყვანა ჩემამდიო, კითხა აცრემლებულ დედაბერს მზის დედამ.

დედა-ბერი ჩამოჯდა ლოგინზე[9] და ძიმის[10] მარცვალივით ჩამოუთვალა, რაც უბედურება ეწია.

_ნუ ტირი, ნუ გეშინიაო, უთხრა მზის დედამ: მზის პირის ნაბანი წეიღე და ის მოგირჩენს შენს ვაჟსაო. ჩადი ისევ იმ გზით, რომლითაც ამოხვედი. იქ მეიცადე გათენებამდი. გათენბისას წამოვა ცვარი, ეს არის მზის პირის ნაბანი, მოუყარე თავი, წეიღე, მოასხურე იმით შენი შვილი და დღისითაც ისე ცოცხალი იქნება, რავარც ღამით არისო.

მადლობა მოახსენა დედა-ბერმა მზის დედას და დოუკოცნა მუხლები.

ახლა კითხა დედა-ბერმა: ასე და ასეა ირმის საქმე და გთხოვსთ, რა მეშველებაო.

_რომ ჩახვიდე ძირს, მიუგო მზის დედამ, შეუმძვრიე რქები, წაძვრება, გოუმჩატდება თავი და იფრენს თავის ნებაზედაო.

_რაღა ეშველება დაფოლხვებულ[11] ცხვარსაო?

_გაკრიჭონო.

_რა ეშველება გუთნის-დედის მწუხარებასაო, და მოუყვა გუთნეულის ამბავს.

_რკინის უღელი არ ვარგა, ხის უღლები იხმარონ: მჩატეა და მსუბუქათ გასწევენ ხარ-კამეჩები, ბევრს მოხნავენ და მოსავალიც მეტი მოვაო.

_რაღა ეშველება მამა-შვილებს, _მუშაობენ და ხეირი არა აქვს მათ ნამუშევარსაო.

მამას ნუ ამუშავებენ... მოხუცებული კაცის მუშაობა საცოდაობის არის და უფაიდო. უთხარი შვილებს, ნუ ამუშავებენ მამას და მეტი დოლათი ექნება მათ შრომასაო.

_ამ პასუხების შემდეგ ჩამეიარა ირმის რქის ბორჯრები დედაბერმა, ჩამევიდა ძირს, შეუმძვრია ირემს რქები, წაძვრენ, ეიშვა ირემმა და გაშპა[12] მთისაკენ.

მეიცადა იქვე გათენებამდი დედა-ბერმა. განთიადისას მოუყარა თავი დილის ცვარს და წამევიდა შინისკენ.

მიახარა გუთნის-დედას: რკინის უღლით ნუ ტანჯავ ხარ-კამეჩს _ხის უღლები მჩატეა და უფრო მსუბუქად იმუშავებს ხარ-კამეჩიო.

ასე მეიქცა გუთნის-დედა და სისწრაფით წევიდა წინ მისი საქმე.

ახლა მიახარა მომუშავე შვილებს: თუ გინდათ დოლათიანი შრომა, მამას ნუ აწვალებთ, ნუ ამუშავებთო.

აღარ ამუშავეს მოხუცებული მამა და მეემატა მათ შრომას ბარაქა.

ამასობაში მივიდა დედა-ბერი შინაც. უსხურა მზის პირის ნაბანი თავის დღისით კვდარ შვილს გაუქმებულ სახტარში, და გაცოცხლდა.

_უფჰ! რამდენ ხან მძინებიაო! თქვა მან.

_არა, შვილო, უმადლოდე მზის დედას და მზის პირის ნაბანს, თუარა შენთვის საშველი აღარ იყოვო, უთხრა დედამ და მოუყვა თავის თავ-გადასავალს.

ამის შემდეგ დააგვირგვინა თავისი ვაჟი და მზეთუნახავი, «იასამან-გულისამანი» და კიდეც შეეძინათ საყვარელი შვილი.

ბოლოსაც მეიწვია მზეთუნახავმა თავისი მამა. ეწვია. რომ გეიგო ყოველივე ამბავი, ერთოფ გეეხარდა, ჩეიხუტა გულში შვილიშვილი და მას დოულოცა თავისი სამეფო.

ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა!

---

1) კიდეც; ბარემ.
2) რაღაც.
3) დაენძრა.
4) სახურავში ბოლის (კვამლის) ასასვლელი ნახვრეტი.
5) გამოხმაურება, გამოლაპარაკება.
6) ნაყოფი, ხეირი.
7) ძელური_მრგვალი ხისა.
8) გვერდის კარები.
9) საწოლი ტახტი.
10) მძივის.
11) დავარდნილი, დასუსტებული, მოსხლეტილი.
12) გაიქცა, გავარდა.

გველ-ვაჟი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?! იყო ერთი დედაბერი. ხან-გადასულს გოუჩდა შვილი, მარამ რომ სულ არ გაჩენოდა ის ერჩია _გველი დეებადა. დედას მაინც უყვარდა თავისი გველ-შვილი, ძუძუს აწოვებდა, უვლიდა და ზდიდა. გველიც გაიზრდა, დამსხვილდა _ბუხუნხალა[1] შეიქნა.

ერთხელ ამ გველმა ენა ამეიგნო და უთხრა დედას, _წადი ჩვენს მეფესთან და მოახსენე: ჩემმა გველ-ვაჟმა შემოგითვალა, შენი მხოლოდ-შობილი მზეთუნახავი ქალი მომათხოვე-თქვა.

დედა შეშფოთდა. ის შეაშინა იმან, რომ მისი შვილი და ისიც გველი უბედავს მეფეს დასიძებას და კიდევ მეტათ იმან, რომ გველმა ენა ამეიდგა და დეიწყო კაცივით ლაპარაკი. მარამ მეტი ჯანი არ იყო, ვაჟი არ აძლევდა მოსვენებას: წადი და უთხარიო.

_მომკლავს, შვილოვო, ეუბნებოდა დედა-ბერი, მარამ არც არაფერი ამ უარმა გააწყო. ბოლოსაც წევიდა, _გაბედა დედა-ბერმა.

მივიდა დედაბერი მეფესთან სასახლეში. მიიწოდა მეფემ და კითხა, _რა გნებვს, დედაკაცოვო?

ჩემმა გველ-ვაჟმა მოსვენება არ მომცა, თქვენს ქალს გთხოვსთ საცოლოთაო და მოუყვა ყველაფერს. მეფემ არ გეიკვირიაკა[2)], გულდასმით მოუსმინა და პასუხათ უბძანა: ყველა ჩემმა ხელქვეითმა იცის, რომ მე ვარ ერთი ღარიბი მეფე. მომძალებია ერთი მოსამზღვრე მეფე და განადგურებას მიქადისო. ახლაც გამოუგზანია შუაკაცები და სამ კითხვას იძლევა ასახსნელათ; თუ არ ავუხსენი, დამარბევს და დამაქცევს. უთხარი შენს ვაჟ-გველს, თუ მოახერხებს და ახსნის ამ სამ კითხვას, ქალსაც მივათხოვებ, რადგანაც განსაცდელს გადააშორებს თავზე ჩემ ქვეყანასაო.

პირველი კითხვაა: მე მყავსო, ითვლევინება ის მეფე, _ცხენის ჯოგი, გამეიცანი, რომელია დედა და რომელია შვილებიო.

მეორე კითხვაა: აგზავნის ქვასანყს[3)] და ითვლევინება, ამაზე ამოჭერით ათასი წყდა[4)] თასმა და გამამიგზავნეთო.

მესამე კითხვაა: ჩემ ქვეყანაში ერთი მხარეა უწყლო, წყარო არსაა და გოუჩინეთო.

დედაბერმა თქვა: თუ გადევიკიდე ჭირი, ეს ახლა გადევიკიდეო, და კუნკულ-კუნკულით გამოქანდა შინისკენ.

_რა ქენიო, კითხა გველ-ვაჟმა.

_რაღა რა ვქენიო, მიუგო ნერწყვ-გამშრალმა დედამ: სიკვდილი გველის მეტი არაფერიო. ამ ბოროტებას შენ გადამკიდეო და დეიწყო ქვითინი.

_რა დაგემართა, რა იყოვო, ჩააცივდა გველი: მე ის ხემწიფე ვერ მამერევა, თუ ძალაზეაო.

დედას ამ სიტყვების გაგონებაზე სულელივით გეეცინა:

_მეფე ვერ მოგერევა ერთ ღვაფს[5)] გველ-ფუშსაო?

_ვერაო, დარწმუნებით უთხრა გველმა.

_აპა კარქი და ოუხსენი ახლა ეს კითხვებიო და მოუყვა, რა კითხვებიც იყო ასახსნელი.

გველი ერთ წუთსაც არ ჩაფიქრებულა და უთხრა დედას:

_წადი ახლავე და მოახსენე მეფეს: გაგზავნე შენი ვეზირი იმ მეფესთან და დააბარე_რამსისხო თასმა უნდა, მინუში ამოჭერი ამ ქვასანაყზე და მეც იმ ზომას გამოვჭრიო. ვერ აჭრის ამ ქვასანაყზე მინუშს და შერცხვენილი დარჩებაო. ცხენები დააწყურონ სამ დღეს და როცა გამოუშვებენ, რომელიც დეიხვიხვინებს_ ის იქნება დედა. სადაც დამწყურვალებულია ხალხი, იმ მქვეყანაში ერთი მუხაა ამა და ამ ადგილას, მოთხარონ ის მუხა და ამეიღონ იქ მაღალი[6)] ორმო, სანამ წყალი არ ამევიდეს. ის იქნება ჭა და მისი წყალი იხმარონო.

გაფრინდა დედა მეფესთან. მივიდა. მთელი სასახლე დამწუხრებული და უიმედო იყო. როცა მივიდა დედა-ბერი, ყველას სიცილი აუტყდა ამ გაჭირვების დროსაც, მარამ, როცა პასუხი გეიგეს, დიდი მოწიწებით მიიღეს, ეს სულ ყოველივე გადაცეს შუა კაცებს, თან გაატანეს ვეზირი და პირში ჩალა გამოვლებული დარჩა შარიანი მეფე. ეს კი გადარჩა გასაჭირს, და კიდეც გეიწვია თავისთან, პირობის თანახმათ, სახელ-გათქმული გველი.

შემოზოზინდა სახლში ბურუხუნა[7)] გველი. დიდი თავაზით მიეგება ყველა, უფრო ეშინიათ მისი, ვიდრე მოსწონთ. შიშის ხათრია, რომ ეალერსებიან. მოუჯინეს გველს დედოფალი, მზეთუნახავი გვერდით და გამართეს ქორწილი.

ისეთია დედოფალი, რომ დანა კბილებს ვეღარ უხსნის. მის მწუხარებას ზომა და ანგარიში არა აქვს, მარამ რა გეეწყობა_ პირია მიცემული და ალბათ მისი ბედი ყოფილა!

გეიყვანეს ქორწილის შემდეგ ნეფე-დედოფალი სანთიობოში[8]. მიხურა მეფემ სანთიობოს კარები თუ არა წეივლო თმაში და წვერებში ხელები და ბურქვა-ბურქვა[9] იბდღვნიდა: შეჭამს ის წყეული გველი ჩემ ქალსაო!

მარამ სანთიობოში კიდე უფრო ძნელი საქმე ხთებოდა. მზეთუნახავს კისერზე შემოხვეოდა გველი და ტკბილი ალერსით ორათ-გაყოფილ ენას უყოფდა პირში. ქალი სულს ლევდა_აღარც მკვდარი იყო და აღარც ცოცხალი; გაცივებულიყო და თითქოს აღარაფერი აღარ ესმოდა. გველი-კი ეუბნებოდა: ნუ შემიზიზღებ, ნუ დამერიდები, იქნებ ისიც მოხთეს, რომ შენ მეალერსებოდე და მე კი აგრე გევიყინოვო. ამ ალერსში და ეშხში რომ არის, გაძვრა მეტის-მეტი სიყვარულით კანში და, ჰოი, სასწაულო! მზესავით მანათობელი ყმაწვილი გამევიდა. ახლა კი შეაკუსა[10] თვალები მას მზეთუნახავმა, გულმა საშინლათ დოუწყო ძგერა და ცეცხლი აენთო სახეზე; აპრიალდა, აპრიალდა_მზესავით ანათებდა. ამათ ნახვას აღარასფერი ჯობდა. ვაჟის ოქროს თმა მზის სხივებივით ბრჭყვინავდა და ქალი სინაზით უსვამდა შიდ მარგალიტივით თითებს.

ამ დროს ჭიჭიტალადან[11] შეიხედა სანთიობოში ერთმა გადიამ _ეს რა სინათლე მოდის იქიდანაო, ვაი თუ ცეცხლი ამოუშვა გველმა პირიდან და დასწვა დედოფალიო. მარამ რა დეინახა? აღარაფერი ჯობდა სანახავათ ვაჟს, და ორივეს ნეტარება აღარ ითქმოდა.

გამეიქცა გადია მტირალი მეფისათვის ამ ამბის მისახარებლათ. შეიქნა ხმაური, ჟრიამული, მითქმა-მოთქმა; გაქანდენ სანთიობოსკენ. მეტის –მეტი სიხარულით ჩაამტვრიეს კარები და მეფე ეცა გველის ხალთა-კანს.

შეკრთა ვაჟი, შეშინდა. დააპირა მაღლა ახტომა, ჰაერისკენ შენავარდება და... გადეიქცა სპეტაკ ტრედათ. დეიწყო ფრიალ-ფრიალი სანთიობოში, ეძებს გამოსაფრენ კარს, სარკმელს. უკან დეედევნა და უნდა მისი დაჭერა მზეთუნახავს და გული მიუდის, ეშინია, აღარ დამეკარგოსო. თან ჩამოდის ცრემლები, თანაც იცინის. ბოლოსაც იშონა ტრედმა ღია კარი და გამოძვრა შიდ, გამოფრინდა. მიფრინავს ტრედი ნელ-ნელა. მზეთუნახავმა თხოვა მამა მეფეს თავისი რაში. იმანაც მაშინვე მიაგება. შეჯდა ზედ მზეთუნახავი და გაჰყვა ფრენა-ფრენით თავის ტრედს.

მიფრინავს ტრედი და მიღუღუნობს, მიფრინავს რაში და მისდევს ტრედს კვალ და კვალ მზეთუნახავი. შეჯდება ხეზე ტრედი, მივა მზეთუნახავი, ტრედი აფრინდება და ნელა, აუჩქარებლათ მიფრინავს კიდე იქით. ამნაირი ფრენა-ფრენით მივიდენ ზღვის პირზე. ზღვაში პაწაწა კუნძული იყო კიდის მახლობლათ. კუნძულზე იდგა ერთი კოდალივით[12] სწორი მაღალი ალვის ხე. ამ ხეზე შეფრინდა ტრედი და დეიწყო ღუღუნი. გადააქანებს ნიავი ალვის ხის წვეროს, თან გადაყვება ღუღუნით სპეტაკი ტრედი, გადმოაქანებს, თან გადმოყვება. გააქანა მზეთუნახავმა რაში, ისკუპა რაშმა კიდიდან კუნძულზე, მარამ იმდენი ადგილიც აღარ იყო, რომ ოთხივე ფეხით დატეულიყო. მხოლოდ წინა ფეხებით დეეკიდა კუნძულს რაში. ალვის ხემ ქედი იხარა. წაატოტინა ტრედისკენ ხელი მზეთუნახავმა, მარამ ტრედმა ისკუპა, შეაჯდა მხარზე მზეთუნახავს და ყურებთან დაუწყო ღუღუნი. ისკუპა უკანვე რაშმა, დახტა ზღვის კიდეზე. ტრედი ხან თავზე ევლება მზეთუნახავს და ხან ფეხებზე აჯდება, მარამ ყოველივე ცდა მზეთუნახავის, რომ მეიგდოს ხელში ტრედი _ ამაოთ რჩება. დღესაც ასე დაფრინავს რაშით მზეთუნახავი და ტრედიც თავზე ევლება, ხან მხრებზე აჯდება მზეთუნახავს. იმათი ფოფინი[13] და ფორთქინი დოუსრულებელია.

ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა!

---

1) ფუნჩულა და მსხვილი.
2) დიდათ არ გაიკვირვა, არ იუცხოვა.
3) ფილთაქვას.
4) წყრთა.
5) ღვაფსი_ძალიან პატარა (ერთი ბეწო).
6) ღრმა.
7) ბუხუნხულა, ბუნჩულა.
8) ახლად ჯვარდაწერილთათვის საკუთარი ოთახი.
9) ბღუჯა-ბღუჯა.
10) შეაჭყიტა.
11) ჭუჭრუტანა, ჯუჯრუტანა, ჭუტუმალა.
12) კოდალი_(ისარი) სწორი და თავ-სხვილა, შვილდით სასროლი. ჯოხი.
13) ფოფინი_ტრფიალი, ალერსი.

უშვილო ვაჭარი და ეშმაკი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?! იყო ერთი უშვილო ვაჭარი. მდიდარი იყო ეს ვაჭარი. მაგრამ რა მერე?! თავისი მუცლისთვის არა ემეტებოდა-რა და შაგილდებსაც შიმშილით ხოცავდა. იყიდდა ცხვრის ფაშ-ფუშს და ამით მიდიოდენ იოლათ.

ერჯელ ეს ვაჭარი ჩაჯდა იარაღში, ფული უბეში ჩაიკეცა, შეჯდა ცხენზე, გადეიგდო გვერდზე ნაბადი და გეემგზავრა სავაჭროთ შორეულ ქალაქისკენ.

დიდი იარა თუ პატარა იარა, გევიდა ერთ ტრიამელ[1)] მინდორში. უცბათ ბოვშის სხავილს[2)] მოკრა ყური, დააფაცურა თვალები და დეინახა: მოშორებით მგელს პირში გამოერჭვია ტიტველი ბაღანა და მიაძანძალებს.

დაფათურდა ვაჭარი: წამოავლო თოფს ხელი, გადმეიღო, დოუნიშნა მგელს, ესროლა და გადგა თოფის წამლის კვამლი[3)]. მარტვა წკმუილი-ღა მეესმა. მარამ, როცა კვამლი გეიბნა, მის წინ მიდორზე გამოჩთა პატარა ტიტველი ბაღანა.

ვაჭარი აფრინდა სიხარულით[4)]. გადმოხტა ცხენიდან, მეეხვია პატარა ბაღანას და ღმერთს მადლობა შეწირა: «გმადლოფ, უფალო, რომ უშვილოს შვილი მაჩუქეო».

პატარა ბაღანამ ამეიდგა ენა და უთხრა ვაჭარს ამაზე პასუხათ:

_მე მყავს დედ-მამა. იგინი ჩემ თავს შენ არ დაგითმობენ, ჩემო მამობილო, მაგრამ დაჯილდოებით ძალიან დაგაჯილდოვებენ ჩემი გამოხსნისთვისო.

_შენი დედ-მამა ვინ არისო, _კითხა ვაჭარმა.

_ეშმაკებიო, _მიუგო პატარა ბაღანამ.

ამის გაგონებაზე ვაჭარს შიშით გააცივა.

_ნუ გეშინიაო, _უთხრა პატარა ეშმაკმა: ჩემი დედ-მამა ცხოვრობს ერთ მივარდნილ კდეში, წამყევი იქ და მე გავაკეთებ შენ საქმესო.

_ეშმაკებთან რავა წამოვალო, წეიფურჩულა[5)] ვაჭარმა: ღმერთმა მაშოროს იმათ შარსაო.

_რადგანაც მე მიხსენი, წამყევი და ბედს ქწევო, ჩააცივდა პატარა ეშმაკი: ჩემი დედ-მამა ჩემი ხსნისათვის ვერცხლსაც ბევრს შემოგაძლევს, ოქროსაც, თვალ-მარგალიტსაც, მარამ არცერთი არ ინდომო. შენ ერთი და იგივე დეიჟინე: ჩემი ოხრის პატრონი გამხადე-თქვა. ძალიან დეენანებათ, მეტად იტკეცენ, მარამ შენ მაინც არ გადათქვა. დააწევი და დააწევი ჩემს

დარიგებას. მეტი რაღა ღონე ექნებათ, უნდა მეიტეხიონ[6] და მოქცენ შენი ოხრის პატრონობაო.

_მერე მე ჩემი ოხრის პატრონი ხომ ისეც ვარ, რაღათ მინდა ამისთვის ეშმაკების შეწუხებაო, გეიკვირვა ვაჭარმა.

_შენ რომ შენი ოხრის პატრონი იყო, ფაშ-ფუშ და წელებსაც აღარ მიირთმევო, მიუგო პატარა ეშმაკმა: შენ შეკრული ხარ ეშმაკიდანაო.

დიდი ხნის ჭოჭმანის[7] შემდეგ გაყვა ვაჭარი პატარა ეშმაკს. ის გოუძღვა და მიიყვანა ერთ დიდ სალ კდესთან. მიადვა პატარა ეშმაკმა თითი კდეს, კდე დეიბზნა[8] და ნაპრალში გამოდგა დაღძალული[9] ბანჯგვლა, რქებიანი და ფლოქებიანი[10] ეშმაკი..

_რა კაცი ხარ, რომ აქ მოსვლა გაგიბედავსო?_კითხა ამ მამა-ეშმაკმა ვაჭარს.

_მე მოგგვარეო, _დაასწრო ვაჭარს პატარა ეშმაკმა: მგელმა მამიტაცა ამ ღელის პირას, როცა გადია ტანს მბანდა, და ამ ვაჭარმა მიხსნაო. ახლა შენ იცი, რავარ პატივს ცემ და რავა დაასაჩუქრეფო.

ამის გაგონებაზე მოლბა მამა-ეშმაკი და შეეკითხა ვაჭარს: შენ დიდი ვალი დაგიდევს ჩემთვის და რითი გადაგიხადო, მითხარიო.

არც მეტი და არც ნაკლები ჩემი ოხრის პატრონი გამხადეო. მიუგო დეზათ[11] ვაჭარმა.

_»უფჰ! ეგ ძნელი საქმე ითხოვეო». მიაშვირა გრძელ-ფრჩხილებიანი ხელი შინა კდისკენ, გეიხსნა კდე და გამოჩთა ურიცხვი ოქრო და ვერცხლის ხვავები. «რამდენიც გინდა წეიღე, მეიყვანე ჯორი, ცხენი და აქლემებიო».

_ჩემი ოხერიც ვერ მამიხმარებია, ეგ რაღა შავ-წყლათ მინდა? მე მაგათ ყარაულობას მოვუნდებიო, მიუგო ვაჭარმა და დააპირა წასვლა.

_მეიცადე, მეიცადე, მეც წამოვალო, _ მიაძახა პატარა ეშმაკმა: ჩემ მამას მე არ ვყვარებივარ, შენ მიხსენი მგლის პირიდან და შენი ვარო.

_თუ ეს სიმდიდრე არ გეყოფა, აჰა, ეს წაიღეო, მიაძახა მამა-ეშმაკმა ვაჭარს, მიაშვირა ხელი ერთ კდის ნაპრალს: კდის ნაპრალი განათლდა და ფას-დოუდებელი თვალ-მარგალიტების ხვავები[12] გამოჩთა..

_ისიც წყალს წოუღია, რაც მაბადია, თუ მე არ მამხმარდებაო, შემოუძახა ვაჭარმა მამა-ეშმაკს და წევიდა. თან მიყვება პატარა ეშმაკი.

მაშინ გეიცა ხმა ში კდეში:

_რამ გამოაჩურჩუტა ეგ ვაჭარი? მაგისი სული დედა-ჩემმა, ქე რომ გამათხოვა, მზითებათ გამამატანაო. მაგისი ოხერი სულის პატრონათ მაგას რავა გავხთიო, _იძახოდა და იფხრიწებოდა დედა-ეშმაკი: ეგ ჩემი მზითებიაო[13].

ახლა კი მიხვთა ვაჭარი, თუ რიტომ ყოფილა შეკრული. ახლა კი მიხვთა, თუ რიტომ ეძნელებოდათ ეშმაკებს, რომ იგი თავისი ოხრის პატრონათ გეეხადათ, ამიტომაც იგი სულ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

_ჩემი ოხრის პატრონი გამხადეთო.

მეტი გზა აღარ იყო. დედ-მამა ეშმაკი ვერ ელევნებოდა თავის პატარა ეშმაკს და, ბევრის ტორტმანის[14] შემდეგ, რავარც იყო, მიაქვავეს თავის ოხრის პატრონობა.

გახარებული ვაჭარი გოუდგა თავის გზას, პატარა ეშმაკი თავის დედ-მამასთან დარჩა.

მივიდა ვაჭარი შორეულ ქალაქში. სხვიმის[15] რომ ასი თუმნისას იყიდდა და ფულს კიდე შინ გამოაბრუნებნდა უბით, ახლა ათასი თუმნის საქონელი იყიდა, უბეში ფული კი აღარ ჩეირჩინა, პირიქით ნისიათაც წამეიღო საქონელი. ახლა ყოველისფერზე მადა გეეხსნა. მობრუნდა შინ. გაავსო მაღაზიები. შიგნოულის მაგიერათ, ახლა მთელ ცხვარს უკლავდა

შაგილდებს და ისინიც დაფათურდენ. გაჩაღდა ისეთი ვაჭრობა, რომ უკეთესს ვაჭარი ველარ იფიქრებდა. უხვიც შეიქნა და ღვთის კალთაც უხვათ ებერტყებოდა ვაჭარს თავზე.

ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა!

---

1) ტრიამელი_ ვრცელი ვაკე, გადაშლილი.

2) სხავილი _ მწარე ტირილი.

3) კვამლი _ ბოლი.

4) აფრინდა სიხარულით _ აღტაცებაში მოვიდა, ძალიან გაეხარდა.

5) წაფურჩულება _ ჩურჩულით ლაპარაკი, დაბალი ხმით.

6) მოიტეხიონ _ ე.ი. თავის სიტყვაზე უნდა ხელი აიღონ და შენს სურვილს დაემორჩილონო.

7) ჭოჭმანი _ რყევა.

8) გაბზნა _ მცირედ გაპობა.

9) დაღძალული _ ღრჯოლებიანი, დიდ და უშნო კბილებიანი.

10) ფლოქები _ ჩლიქები.

11) დეზათ _ პირდაპირ, დაურიდებლათ.

12) ხვავი _ გროვა.

13)მზითები_ მზითვი.

14) ტორტმანი _ რყევა, ჭოჭმანი.

15) სხვიმის _ სხვა დროს, უწინ. გურულად «სხუმის».

მეფის შველი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?! იყო ერთი მეფე. ყავდა ერთი შველი. ამ შველს სულ რძეში აბანიებდენ და კაკა-ბაბას[1] არ აკლებდენ. მეტათ უყვარდა ხემწიფეს და მიჩენილი ყავდა კარის კაცები: არ დაგეკარგოსთო.

მეფეს ყავდა ერთი ერთოფ გამოცთილი და ხანში შესული ვეზირი. უიმისოთ მეფე წყალს არ დააქცევდა. დიდი სამსახური გეეწია თავის სიცოცხლეში მეფისა და ქვეყნისათვის, და მეფესაც ძაან უყვარდა.

ერთხელ ეს ვეზირი შინიდან მიდიოდა სასახლეში. ეზოში რომ შევიდა, უცბათ ყური მოკრა, რომ საჯინიბოში მეჯინიბე წყრებოდა. გეიწურა[2] ვეზირი და მიაყურა. მეჯინიბე ნიჩფით ნაკელს[3] ყრიდა განის კარიდან. ეიღო ერთი დიდი ნიჩაფი ნაკელი და სანამ გადმოყრიდა, დეიძახა: ეს ერთი ნიჩაფი ნეხვი იმის დედ-მამის სასულეში, ვინც თავის ბატონს უერთგულოსო. თქვა და გადაყარა ნაკელი. ვეზირი შეცეცდა[4]. იმას თავისი სიცოცხლე თავისი მეფე-ბატონის ერთგულებაში დეელია და ეს პირველი ნიჩაფი ნაკელიც, თუ სხვას ვისმე, მის დედ-მამასაც მიდიოდა საკურთხათ. ეიღო მეორე ნიჩაფი ნაკელი მეჯინიბემ და დეიძახა: ეს იმის დედ-მამას სასულეში, ვინც ძველი მოყვარე დეივიწყოს და ახალ მოყვარეს მიენდოსო. თქვა და გადაყარა ნაკელი. ვეზირი გაფითრდა. ეს მეორე ნიჩაფი ნაკელიც სწორეთ მის დედ-მამას მიდიოდა საკურთხათ: მეორე ცოლი ეთხოვა და მეორე მოყვარეც პირველის შედარებით გეეღმერთებია, მეფესთან კარის კაცათ მეეყვანა და პირველი მოყვრის გვერდში ამეეყენებია. ეიღო მეჯინიბემ მესამე ნიჩაფი ნაკელი და დეიძახა; ეს მის დედ-მამის სასულეში, ვინც თავის ცოლს გულის პასუხს გოუტყდესო.

ვეზირს თავ-ბრუ დეესხა, ეს მესამე ნიჩაფი ნაკელიც მის დედ-მამას მიდიოდა. თურმე ერთ აზრს არ გოუბოდიალებია[5)] ვეზირის თავში და ერთ ძრახვას მისი გული არ ოუძგერებია, რომ ცოლისთვის არ მიეხარებია.

მძიმეთ ჩაფიქრდა ვეზირი და თქვა: მოდი ერთი ვშინჯავ, რამდენათ საგულისხმოა მეჯინიბის სიბრძნეო. აპა ვეზირს ვინ უთვალთვალებდა და არც არავის შეეძლო იმასავით იმ განძრახვის ასრულება, რომელმაც მას გოურბინა გულში, _მან მეიპარა მეფის შველი.

ერთი ურია იყო ამ ქალაქში. კარგათ იცნობდა მას ვეზირი. მივიდა იმ ურიასთან, მიგვარა შველი და უთხრა: ისე შემინახე ეს შველი, რავარც შენი თვალის ჩინიო. არავინ გინახოს, თუ არა ჩემიც და შენიც ჩამოხჩობა აუცილებელი რამე იქნებაო. ურიამ პატიოსანი სიტყვა მიცა და დაარწმუნა, რომ, მთელი დედამიწა რომ გადააბრუნონ, ამ შველის ნახვას ვერავინ მოახერხებს, ამის კვალსაც გავაქრობო.

ვეზირი თითვან წამევიდა, დაკლა თხა, გაატყავებია, მიცა ფურნეში და შეაწვევია; წამეიღო ლანგრით[6)] შინ, მეიტანა და მიართვა ცოლს; გეიხმო საიდუმლოთ ოთახში და უთხრა: დიდ სახიფათო საქმეში გავები, მეფეს რომ შველი ყავდა, ის მოვპარე, შევწვი და ეგ ის შველიაო. მეტათ მომინდა მაგის ხორცის დაჭაშნიკება, მარამ თუ მეფემ გეიგო, რომ მე მოვპარე იმას ეგ შველი, უეჭველად დამახჩობსო. არამც და არამც არ წამოგცთეს რამე ამის შესახებაო.

დიდი და მძიმე ფიცი მისცა ცოლმა, რავა[7)] გავამხელო და მიუჯდენ შემწვარ თხას. ვეზირის ცოლის პირში ის, თხა კი არა, ნამდვილი შველი იყო.

მეორე დღეს ეირია მონასტერი_სასახლე ფეხზე დადგა. მეფე რისხვით კანში აღარ ეტეოდა. ერთი შველი მოგაბარეთ და ისიც ვერ შემინახეთ კარის კაცებმა, სხვა რაღა კაის[8)] უნდა ველოდე თქვენგანაო. აკრიჭინებდა კბილებს და კარის კაცებს ემუქრებოდა: ახლავე ნახეთ ჩემი შველი, თუ-არ ყველას ტყავს გაგაძრობო.

კარის კაცების საცოდაობით იწვოდა დიდი და პატარა. თხებივით დარბოდენ გზა-კვალ დაბნეულები და ღობე-ყორეს ედებოდენ, აპა თუ სადმე მივაგნოთო. მარამ ყოველივე ცთა ამაო შეიქნა. შველის ხსენებაც კი გაქრა. ამ დროს საიდუმლოთ მიიპარა მეფესთან ვეზირის ცოლი და უთხრა: რისთვის ტანჯავ და ახჩობ ამდენ კაცს, როცა ბრალი არ მიუძღვისთო?

_მე ვიცი, რომ მაგათ არ იციან არც ის, ვინ მეიპარა თქვენი შველი და არც ის, სად გაჰქრაო.

_მაგათ რომ არ იციან, ეგ შენ რა იციო? გაგიგონია რამე შენ ჩემ დაკარგულ შველზედაო?

_აპა რითი მეცოდინებოდა, ეგ კარის კაცები დანაშაულები არიან თუ არაო!

_აპა მითხარი, ვინ მეიპარაო?

_მაგას ვერ გეტყვი, ავათ მეეპყრობი მამპარავსაო.

_აპა, შენ როგორ გინდა, რომ მევეპყროვო?

_ნუ მოკლავ, აპატივეო.

_დეიჭირეთ ეს დედა-კაცი. მოუჭირეთ მუხრუჭები თავზე _ მაგას ცოდნია ჩემი შველის ქურდი და არ ამხელსო, დეიღრიალა მეფემ.

ვეზირის ცოლი გაქაჩეს[9)], მოუჭირეს თავზე მუხრუჭი და არ კი წამოატორტვლიეს[10)], რაც გეეგონა და ენახა!

მეფე გაცვიფრდა, როცა გეიგო, რომ მისი ერთგული ვეზირი ყოფილა მისი შველის ქურდი. მით უფრო გარისხდა და წამსვე დეიბარა ვეზირი.

_შენ ხარ ჩემი შველის ქურდიო?

_ვინ მოგახსენაო?

_ამ შენმა ცოლმაო.

_ქენი, მეფეო, რაც გერჩიოს, რაღაი ცოლმაც მიღალატაო.

მაშინ მოეშვათ გულზე კარის კაცებს. იმათ ახლა თავისუფლად ამეისულთქმეს და ერთი მეორეს ელესებოდენ[11]: აი, ეს სასჯელი დავადვათ შველის პარია ვეზირს, აი, ეს სასჯელიო.

ახალმა მოყვარე კარის კაცმა თქვა: _მამეცი ნება, მეფეო, რომ ეს ჩემი სიძე კაცი გევიყვანო ქუჩაზე, იქ გავაძრო ტანისამოსი, დავაწვინო პირ-დაღმა და ზედ ზურგზე გავავლო კაჟიანი სალეწი კევრიო. ხალხი დეესწრება ამ ამბავს, თავის თვალით ნახავს ქურდობისათვის სასტიკ სასჯელს და სამერმისოთ ვეღარავინ გაბედავსო.

_ეგ უღვთო და სასტიკი ზომაა, ჩემო მეგობარო, წამოესარჩლა ვეზირს ძველი მოყვარე კარის-კაცი. ერთი შველის გულისათვის ბატონმა რავა უნდა გეიმეტოს თავისი ეთგული ვეზირი, რომელსაც ამდენი ღვაწლი მიუძღვის მის წინაშე, რომ საბაზროთ და ისიც კევრის ზურგზე გავლით აწამოსო? თუ რომ მაგისი თავი და გამოცთილება მართლაც აღარ გჭირდებათ და ერთ შველში ცვლით, თუ რომ მეტი საშველიც აღარაა, ბარემ მოკალით და ნუღა აწამებთო.

_ბარაქალა, ჩემო ძველო მოყვარეო! შესძახა გაკავებულმა და გაბაწრულმა ვეზირმა: შენი წრფელი სიტყვა გულზე მამეცხოვო. და შენ, მეჯინიბევ! შეჰკივლა ვეზირმა, შენ ყოფილხარ ბრძენი და ღირსი ვეზირობის, მე კი მეჯინიბეთაც არ ვარგებულვარ. შენთან მეც ვიმეორებ: ნაკელი მის დედ-მამის სულს, ვინც ბატონს უერთგულოს! _ ერთგულ ყმას ჩემი ბატონი ერთ შველში მცვლის! ნაკელი კიდე მის დედ-მამის სულს, ვინც ძველი მოყვარე დეივიწყოს და ახალს ენდოს! _რავა გამიმტა ახალმა მოყვარემ! და რავა წამამესაჩლა, წამამექომაგა ძველი მოყვარე! ნაკელი მის დედ-მამის სულს, ვინც თავის ცოლს ენდოს!

რა ფიცი მამცა, არ გიღალატებო, და რავა ყარყუმივით წამოტორტლა, მიღალატა, გამცა! აი, მეფევ! მე თქვენ, სამივე წყება, გამოგცადე. თქვენი შველი უვნებელია, _ის აბარია ამა და ამ ურიას. დოუძახეთ და მშვენიერათ მოვლილს მოგართმევსთ. ჩემ ცოლს თხის ხორცი მივართვი და შველის კი ეგონაო!

დეიბარეთ ის მეჯინიბე, მეფეო, და ის მოგახსენებსთ თავის სიბრძნეს _ის დააყენეთ აწი ვეზირათ ჩემ მაგიერათო. ამასთანავე მოუყვა მეფეს ყოველისფერს დალაგებით და ყველა გააოცა. ურიაც მევიდა და მოგვარა მეფეს თავისი შველი. ყველა შერცხვენილი და გაწბილებული დარჩა ვეზირის ხელში, გარდა ძველი მოყვრისა, ურიისა და მეჯინიბისა.

ურიამ დეინდო ვეზირი და ცოლმა კი არა!

ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა!

---

1) კაკა-ბაბა_ ხილეული და პური.

2) შეიკუმშა, გაინაბა.

3) პატივს, ნეხვს.

4) სახტად დარჩა, განცვიფრდა, გაოცდა.

5) გაუვლია.

6) სპილენძის სინი.

7) როგორ.

8) კარგს.

9) შეგოჭეს, მაგრად შეჰკრეს.

10) ათქმევინეს.

11) ეცილებოდენ, ეკამათებოდენ.

ორი ძმა –კაცი

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა?! იყო ორი ძმა –კაცი, უნცროსი რასაც შოულობდა, უმფროსი მეიხმარებდა ხოლმე. ეს უნცროს ძმას მეტათ წყინდა, პირში ვერაფერს ეუმბებოდა ძმას და წევიდა სამართლის საძებნელათ ღმერთთან. გზაში შემოხვთა მგელი და კითხა მგზავრს: სად მიხვალო?

_ღმერთთანაო.

_ერთი საჯახი[1)] საქმე მემართება, უთხრა მგელმა; რამდენ ხორცს ვთანთქლავ[2)] და ჩემ გასუქებას არაფერი ეშველა _ ფერდი-ფერდზე მაქვს მიმკვდარიო. იკითხე, თუ კაცი ხარ, რატომ მემართება ეს და რა მეშველებაო?

_კარქიო, მიუგო მგზავრმა და წევიდა თავის გზაზე.

დიდი იარა თუ პატარა, მიატანა ერთ ვაშლის ხემდი; გადოუხვია გზიდან და დაჯდა ჩთილში. ეიღო ჩამოცვენილი ვაშლები, გაკბიჩა და პირი გოუმწარა.

_გაგიხმეს, მწარე ვაშლო, ძირიო! გაშხამებულმა მგზავრმა წამეიძახა და გამოყარა პირიდან პანტა-ვაშლის ნაღეჭი.

ვაშლმა კითხა: სად მიხვალო?

_ღმერთთანაო, მიუგო მგზავრმა.

_თუ კაცი ხარ, რა მიზეზია, რომ ასეთი მწარე ნამყოფი მესხმება, კითხე და გამიგე, რა მიშველის, რომ გემრიელი ნამყოფი მამებასო.

კარქიო, უთხრა მგზავრმა და წევიდა თავის საქმეზე. იარა, იარა და ხედავს: ზღვიდან გამევიდა ნაპირზე ერთი თევზი; ტრიალობს და იტეხავს კისერს.

_რას შვები, თევზოვო? კითხა მგზავრმა.

_ვინ ხარ შენ და სად მიდიხარო? კითხა თავის მხრით თევზმა.

_მე მივალ ღმერთთანაო, და მოუყვა, თუ რისთვის მიდიოდა.

_შენს კაი კაცობას, უთხარი, რატომ მემართება ეს თავის ტკივილი ყოველ დილა-საღამოს და რა მიშველის! შენ კი რაღა შორს მიდიხარ, _ აგერ, მე კუდზე დავდგები, შენ შეყევი ჩემ ტანს და ახვალ მზის-დედასთანაო.

თქვა თუ არა თევზმა, დადგა კუდზე; შეყვა ზედ ყმაწვილი და ევიდა მზის დედასთან. მზის დედა შინ დახვთა.

_რა გაგიჭირდა? კითხა მგზავრს მზის დედამ.

_ჩვენ ვართ ორი ძმა-კაცი. მე უნცროსი ვარ. რასაც ვშოულობ, სულ ჩემი უფროსი ძმა ხარჯავს და რა მეშველებაო? აქ რომ მოვდიოდი, მგელი შემხვთა და დამაბარა: ხორცს ვსანსლავ და ჩემ გასუქებას არაფერი ეშველა _ რისი მიზეზია და რა ეშველებაო? მერეც ვნახე გზის პირას ერთი მწარე პანტა-ვაშლი. იმან დამაბარა: ვინც გეივლის და ვინც გამეივლის, ყველა კბეჩს ჩემ ნამყოფს, უმწარებს პირს და ყველა იძახის: ძირი გაგიხმესო. რა მიშველის, რომ ტკბილი ნამყოფი გამევიღოვო? ბოლოსაც ზღვის პირზე ვნახე თევზი: ხტოდა, კისერს იტეხავდა. თურმე ყოველ დილა-საღამოს საშინელი თავის ტკივილი უტყდება, და დამაბარა: იკითხე, რა მიშველისო?

მზის დედამ მიუგო: თევზს უთხარი _ სამჯერ გამეტებით დაჰკრას ლიპ ქვაზე თავი და თავის ტკივილი გადოუვლისო; ვაშლის ძირში ერთი პატარა ქვევრია დაფლული; სულ სამსეა ვერცხლის ფულით, თავზე კი ერთი გროში ადევს; ის გროში წეიღე, შენს ძმას მიუტანე და უთხარი; ამის მეტი ვერაფერი ვიშონე-თქვა, და რაღას დაგიხარჯავს; ვაშლმა ის ქვევრი ამეიღოს და ტკბილი ნამყოფი მეესხმებაო; ბოლოსაც მგელს უთხარი; კაცის ხორცი ჭამე და გასუქთები-თქვა. შენც, რასაკვირველია, გზაზე შეესწრები ცხოვრებასაო.

გახარებული ბიჭი ჩამეიჭრა თევზზე ძირს და უთხრა ისე, როგორც მზის დედამ ასწავლა. თევზმა დაკრა ლიპზე თავი და სამი ოქრო წავარდა პირიდან. უთხრა ბიჭს დიდი მადლობა, რაღაი თავი მოურჩა და თან უფეშკაშა ეს ოქროები. მარამ ბიჭმა იუარა: რათ მინდა შენი ოქრო_მე ცხოვრება გზაში შემხვთებაო!

წევიდა ბიჭი და მივიდა ვაშლთან. ამოუჩუჩქნა ფესოებთან და, მართლაც არ იყოს, ნახა ერთი ქვევრი ვერცხლი, თავზე ედვა გროში. ამოაგდო ქვევრი მაღლა და უთხრა ვაშლს; ახლა ტკბილ ნამყოფს გამეიღებო. ვაშლის ხემ უთხრა: მიირთვი ფეშქაშათ ეგ ვერცხლიო. _არაო, მიუგო ბიჭმა და მხოლოდ ერთი გროში ეიღო:

მე ცხოვრება თავისით დამხვთება წინაო.

წევიდა და შემოხვთა მგელი.

_რა ქენი, რა მიშველისო?

_კაცის ხორცი ჭამე და გასუქდებიო.

_კაციც შენა ხარო! შეუღმუვლა მგელმა, დაწიწკნა და შეჭამა. კაი ცხოვრება არ შეხვთა გზაზე საწყალ ბიჭს!

ჭირი იქა, ლხინი აქა; ქატო იქა, ფქვილი აქა!

---

1) *საჯაყი, ცუდი.*
2) *თანთქლვა_ყლაპვა.*

ლექსები

ლოცვა მზისადმი

საბავშვო ფოლკლორის მკვლევარი, ანა ღვინიაშვილი, რომელსაც სპეციალური სტატია აქვს მიძღვნილი სიმღერისათვის «მზე შინა და მზე გარეთა» 1) *აღნიშნავდა, რომ ეს სიმღერა მატრიარქატის დროინდელია და წარმოადგენს საგალობელს მზისადმი, რომელსაც წარმართობის ხანაში ჩვენი წინაპრები ქალღვთაებად სახავდნენ. მზესთან დაკავშირებული იყო მიწის ნაყოფიერება, ამიტომ მზე დაუკავშირეს ბავშვის დაბადებასაც. ა. ღვინიაშვილის აზრით, «მზე შინა და მზე გარეთა» პირველად სწორედ ქალის დაბადებას დაუკავშირა ქართველმა ხალხმა და შესაძლებელია ქალის მიერაც იყოს შექმნილი, რადგან, მატრიარქატის დროს, ქალი იყო ოჯახის პატრონი.*

მკვლევარს შედარებული აქვს საქართველოში ჩაწერილი ამ სიმღერის ვარიანტები და ასკვნის, რომ მათ შორის ყველაზე უადრესია სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში ჩაწერილი «მზე შინა და მზე გარეთა».

«ქართული ხალხური პოეზიის» I ტომში (შემდგენელნი მიხეილ ჩიქოვანი და ნოდარ შამანაძე), ასევე, აღნიშნულია, რომ «მზის საგალობელი მითოლოგიური ლექსია, რომელიც შემდგომ საძეობო სიმღერადაც გარდაიქმნა» და რომ «თავდაპირველად ის უშუალოდ მნათობისა და მისი სახით ქალღვთაებისადმი უნდა ყოფილიყო მიმართული". ამ კრებულის შემდგენლებიც აღნიშნავენ, რომ ხსენებული სიმღერის ვარიანტებს შორის, სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში ჩაწერილ ვარიანტს «ყველაზე უკეთ აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი სახე» 2).

1) ანა ღვინიაშვილი, «მზე შინა და მზე გარეთა», ჟ. «საბჭოთა ხელოვნება», თბ., 1959, № 3, გვ. 26-32.
2) «ქართული ხალხური პოეზია», ტ.I, თბ. 1972, გვ.170_175.

ეკატერინე გაჩეჩილაძე.

მზე შინა და მზე გარეთა,
მზე, შინ შამოდიო!
უყივლია მამალსაო,
მზე, შინ შამოდიო!
გათენებულაო,
მზე, შინ შამოდიო!
გათენდი, თუ გათენდები,
მზე, შინ შამოდიო!,
გათენებულხარო,
მზე, შინ შამოდიო!
ძილო, რასა მეძინები?
მზე, შინ შამოდიო!
მე საბრალოსაო,
მზე, შინ შამოდიო!
ტანს პერანგი არ მაცვია,
მზე, შინ შამოდიო!
თირისტარო1), კვირისტავო2),
მზე შინ შამოდიო!
ჩქარა დაბრუნდიო,
მზე, შინ შამოდიო!
მალე პერანგს შევიკერავ,
მზე, შინ შამოდიო!
წითელ კაბას შევიკერავ,
მზე, შინ შამოდიო!
სანატრელსა, ფრიალასა,
მზე, შინ შამოდიო!
ჩქარა დაბრუნდიო,
მზე, შინ შამოდიო!

1) თირისტარი _ თითისტარი.
2) კვირისტავი _თიხის პატარა რგოლია, რომელსაც ცარიელ თითისტარს ქვემოდან წამოაცმენ ხოლმე რთვის დროს.

ლოცვა მზისადმი

მზე, შამოდი ბაკესაო,ა)
ცხვარს დაგიკლავ მაკესაო,

შეგიწვავ, დაგიმარილებ,
დაგიდგამ ხელ-გობითაო!
მეც გობითა, შენც გობითა!..
დავრჩი უპერანგობითა!...

ა) ბაკე_ეზო

აღდგომის მილოცვა ა)

ალათასა, მალათასა,
ხელი ჩავკარ კალათასა;
ამეიღე ვორი კვერცხი,
ღმერთი მოგცემს ბარაქასა.
კიჭებიო, კიჭებიო,
დაგეზრდება ბიჭებიო;
ლობიოვო, ლობიოვო,
გაგეზრდება გომბიოვო.
ტყეში მგელი გამოვარდა,
თხა შეგვიჭამა ნისლაო,
მასინძელო, გაგვისტუმრე,
სხვაგანაც გვინდა მისვლაო!

ა) *ამ სიმღერას «ჭონას» ეძახიან; მომღერლები წითელ კვერცხებს აგროვებენ.*

ლოცვა ძილის წინ:

დავწვები, დამეძინება,
პირჯვარი დამეწერება;
ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი
სართუმალს დამესვენება,
ვერას მაცდენს მაცდური_
ჯვარი მწყალობს, ჯვარ-ცმული.
აქა კარია, კართან ჯვარია,
შიდა ბძანდება მიქელ გაბრიელ,
მთავარ ანგელოზი.
კლიტე მამე ელვარისა,
ბეჭედი სოლომანისა!
დასწყევლე, ღმერთო,
მოსიარულე ღამისა,
შემკრავია,
შემბოჭავია,

მავნე კაცისა!

მარიამ-დედოფალი

ნეტა რა არი მისთანა:
ამამავალი მზისთანა,
წყალში რო ფეხი უდგია,
იმ ოქროს ჩარდახისთანა[1)]
გაღმით-გამოღმით ქალაქი,
შუაზედ მეედნისთანა,
დედის მუცლიდან ნაშობი
მარიამ-დედოფლისთანა?[2)]
მარიამო, რამ გაგავსო?
თოთხმეტი დღის მთვარის მგზავსო
შიგნით თვალი სამოთხის გაქვს,
გარს წამწამი ხშირი გაქვსო.

მდომიერმა კაცმა გნახოს,
ამას იტყვის: «ელვა დგასო!»
ერთი შენი შემოხედვა
ათას ჯავრსაც დაკარგავსო!

1) ამ ჩარდახს დღესაც უჩვენებენ ქუთაისში, რიონის პირად, ვაჟების გიმნაზიასთან.
2) სოლომონ II-ის მეუღლე.

ივანე აბაშიძე [1)]

საწყალობელი ივანე
რა მოსაგონი ენითა!
ათასში გამორჩეული
თავადიშვილი ხელითა!
მტერზე ხმალ და ხმალ მიმსვლელი
რა საშინელი ელვითა!
ხუთასს ერთ მისვლით მოკლავდა,
მობრუნდებოდა ლხენითა.

1) ცნობილი იყო, როგორც რუსთა მფლობელობის წინააღმდეგი იმერეთში.

* * *

ავი ბატონის ხელშიო,

ვერ გევიმართე წელშიო;
დილა-საღამოს მიძახის:
«წალდი გეირჭვე წელშიო!»

* * *

მიყვარდა აზნაურობა,
გვერდზე დახურვა ქუდისა,
ქალაქში გავლა-გამოვლა,
გადაკიდება ჩხუბისა.
შემძულდა სახტარ-სამრეკლო,
შიგ წირვა-ლოცვა ხუცისა;
ახლა შევდგები, მოვკვდები,
ღმერთო შენ იცი სულისა!

* * *

ყველიერში ყველი ვჭამე,
აღდგომასა დიდი ვაცი.
ღმერთო შენ გადააშენე
კორდაძე[1] და მისი კაცი!

1) კორდაძეები _ აზნაურები ყოფილან.

ღმერთო კაი დარი ქენი

ღმერთო, კაი დარი ქენი,
დარი დარზე მოაბიო,
აზნაურები გასწყვიტე,
მკვდარი მკვდარზე მოაბიო!
გლეხი კაცი მოაშენე,
სახლი სახლზე მოაბიო!

* * *

პავლია მამასახლისი
მაღალია ხესავითა;
ბოქაული დეიბარებს,
მაშინ წავა თხლესავითა;
ულვაშებში რომ აწიკავს,
ფულს მეიტანს ბზესავითა.

* * *

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
აღაპი[1] არი რუსეთსა.
_ქე კი არ მეშორებაო,

მაგრამ ქე მეპჭორებაო[2)]

1) მიცვალებულს წლის თავზე წირვას გადახდიან და ყველას მიიწვევენ, ვინც განსვენებას დასწრებია; სამღვდელოება აღაპიდან ხორაგეულობით დატვირთული ბრუნდებოდა ხოლმე შინ.
2) ე.ი. ჭორი მგონია, თორემ სიშორეს არ მოვერიდებოდიო.

* * *

_დიაკონო, დიაკონო!
აარიგე-მოარიგე,
ფაში[1)] გლეხებს დოურიგე,
სხვა ხვირჯინში ჩაარიგე!

1) საქონლისა ან ცხვრისა, საკურთხად მოტანილი.

* * *

დეითხოვეთ ეს ხუცესი,
ჩვენსა ნუ დეიარება!
აღარ გვინდა მისი წირვა,
არცა მისი ზიარება:
ჩვენ რომ სახტარში გვეგონოს,
ქალებში დეიარება!

* * *

ბატონ-ყმობის გაუქმება

იმპერატორმა –ხემწიფემ
გაგვხადა თანატოლები:
მოახლეები დათხოვდენ,
ჭადს აცხობს ქალბატონები.
ახლო-ახლო დაასახლეს
ქვიშხეთი და ტაში-კარი.
ბატონს კაცი ჩამოართვეს,
ქალბატონებს გულის კარი[1)].

1. გულის –კარი _ გულის პირი, ქართული (ქალის) კაბის ქვეშ გულ-მკერდის დასაფარავი ნაჭერი.

* * *

ლექსი მზის დაბნელებაზე

მეცნიერები მევიდენ,
ანგარიშს კრეფენ ცისასა,
სოფელში გამოაცხადეს:
დაღამდეს შუა-დღისასა.
ზოგ-ზოგი ერთათ მიდიენ[1],
ზოგი მიდიენ ღვდლისასა:
«ეგებ ღვდელმა გვიპატიოს,
წიგნებს კითხულობს ხვთისასა».
რა სალმობას [2] მევესწარით
მთვარისასა და მზისასა!
ერთმანეთსა პირის კოცნით
ამბავს კითხავენ გზისასა.

1) მიდიან.
2) ე.ი. სალამს, ერთმანეთის მოკითხვას.

* * *

სვიმონელების ომიო
ტყემალი და ღომიო;
სვირელების «ხაზინაო»
ოდელა და პრასინაო[1];
წეველების ლხინიო_
ქონდარი და თხილიო;
ისიც რო გამეელევათ,
დეერევათ ჭირიო.

1) ოდელა და პრასინა _ ბალახეული (მხალეული) მცენარე.

* * *

გასათხოვარი ქალი ამბობს:

დედამ კაბა შემიკერა,
დამიკერა ღილებიო,
ღელე-ღელე მარბენია,
მაკრეფია თხილებიო.

* * *

ახლათ გათხოვილი ქალი ამბობს:

დედამ მამცა ერთი ძიმი[1]
გიშერია, ზედ წერია:
«ყველას კარგა მეეკიდე,

მე ვეღარას გიშველია!»

1) ძიმი_მძივი.

* * *

ბოსტანშია გადვიხედე,
გაშლილიყო ბაიაო 1).
შენ რომ გლახა ქმარი გყავდეს,
მე რა გიყო დაიაო?!

1) ბაია_ყვითელი ფერის ყვავილია.

* * *

ამევიარე ალიო,
იქ დამეკარგა ქმარიო;
ვეძებე და ვეღარ ვნახე,_
ამოუვარდა გვარიო!

* * *

ბოსტანშია გადვიხედე,
ქინძი ყვავა ქინძარაო.
შენ რომ რძალი მეიყვანე,
გინდ იყოს და გინდ არაო.

* * *

რძალს ასეთსა მევესწარი_
შავ ყვითელსა, წეროს ფერსა;
მე ვინ მამცემს იმდონ ფერსა 1),
რომ წოუსვა ყოველ დღესა.

1) ფერ-უმარილი

* * *

შენი რძალი მე მინახავს
ლამაზი და კვიწინაო 1);
ხარზე2) დოუკერებია
სათვალე და ღინჭილაო3).

1) კვიწინა_პატარა და მოხდენილი.
2) მხარზე.
3) «სათვალე და ღინჭილა»_მწარე ბლის პატარა ჩხირია და მძივი, რომელსაც ბავშს მხარზე აკერებენ: ავმა თვალმა არ გაღალოსო.

* * *

სიმავრი ეუბნება თავის სიძეებს:

ღელე-ღელე შევიარე,
სარტყელი ვნახე ორ-კეცი.
რავარიც კაცი იყავი,
მისთანა ქალი მოგეცი.
აცა შვილო, აცა შვილო,
ლუტიძე და პაქსაშვილო!
მე მამეცი გლახა ხარი,
შენ მოგეცი გლახა ქალი.
მე კი დავკლავ გლახა ხარსა,
შენ რას უზამ გლახა ქალსა?!

* * *

სიდედრი ეუბნება სიძეს:

სიძეო, ჩემო სიძეო,
მზე და ვარსკვლავის მგვანეო!
მზითვი ბევრი გაგატანე,
ეზო გადაგიფარეო;
დიდხანს ნუ დააგვიანებ,
შენ შენი წეიყვანეო.

* * *

სიძემ დეიტრაბახა სიდედრთან დაკარქულ ქისაზე:

ვაი, ჩემო ქისაო,
ოქროს ქსოვილისაო!
შიდ ნადები საქონელი
_ფასი სამოთხისაო.

სიდედრმა უპასუხა:

ვნახე შენი ქისაო:
თხისა ციბიკისაო;
შიდ ნადები საქონელი
ჭილო ნიორისაო!

ოფლში გეიწურა სიძე და გეიპარა.

* * *

ნათლია და ნათლიდედა

_ ჩემო ნათლიდედაო,

ჩემთვის რასა ბედავო?
_წინდა-პაიჭს გიმზადებ,
ლეკვერთხებსაც[1] ზედაო.
_ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?
კაი ქოშებს გიყიდი,
წვივ-საცმელსაც ზედაო.
_ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
_კაი პერანგს გიკერავ,
ახალუხსაც ზედაო.
_ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი კაბას მოგიტან,
კარქ სარტყელსაც ზედაო.
_ჩემო ნათლიდედაო!
ჩემთვის რასა ბედავო?!
_კაი ჩოხას მოგიტან,
კაი ქამარს ზედაო.
_ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი ლეჩაქს მოგიტან,
კაი ბაღდათს ზედაო.
_ჩემო ნათლიდედაო,
ჩემთვის რასა ბედავო?
_კაი ქუდსაც მოგიტან,
ბურსოულსაც[2] ზედაო.
_ჩემო ნათლიდედაო,
შენთვის რასა ვბედავო?!
კაი ჩიხტსაც მოგიტან,
კაი კოპსაც ზედაო.

1) ლეკვერთხი _ პაჭიჭის შესაკრავი, წვივ-საკრავი.
2) ბურსოული _ ხელ-მანდილი.

* * *

ელენიკოს ქათამიო
ღობის ძირში დავკალიო;
იმის კურტუმ-ბარკალიო
ბატონ-მეფეს მივართვიო.
ბატონ-მეფემ დამიწუნა,
ბიძა ჩემსა მივართვიო.
გობ ქვეშ შეინახა,
კატამ შეუჭამა.

_კატა რე-იქნა?
_ხიდზე გევიდა.
_ხიდი რე-იქნა?
_წყალმა წეიღო.
_წყალი რე-იქნა?
_მზემ დააშრო.
_მზე რე-იქნა?
_გორას მეეფარა.
_გორა რე-იქნა?
_ხორას მეეფარა.
_ხორა რე-იქნა?
_ცეცხლში დეიწვა.

თინათი არე-მარე

თინათი არე-მარე,
ჩემო მზე, ჩემო მთვარე!
ღმერთია ჩვენი მოწამე,
პატარა მოგიყვანე:
სულ ჩემ კალთაში გზარდე.
ბალიშს არ მიგაკარე;
ლალისა ღვინო გასვი,
რკოსი[1] არ მოგაკარე;
დიბა-ატლასი გაცვი,
ხამი[2] არ მოგაკარე...
გაფრინდი, წამიხვედი,
ნეტა, რა დამიბარე?!...

1) რკო _ ერთგვარი ჯიშის ყურძენია, შავი ფერისა.
2) ხამი _ უბრალო შინ ნაქსოვი ბამბის სამოსელი.

* * *
ჩიტი ღობეზე შამოჯდა,
ბიმბილი[1] ჩოუშავდაო.
ვინაც რომ შენი ძრახი თქვას,
გვირგვინი გოუშავდაო.

1) ბიბილო

* * *

წყალ-გაღმა კახა-მბალები[1]
ზე მოსხედილან ქალები;
ერთი შეხედვით შევატყოფ,

რომელსაც შევებრალები.

1) კახა-მბალი _ერთგვარი ჯიშის ბალია.

* * *

მივიარე, მევიარე,
ტულფა[4)] ვნახე მწოლიარე;
თავით ედგა თეთრი ვაშლი.
ბოლოს უფრო მსხმოიარე;
თავი ვთხოვე, არ მათხოვა:
ქმარზე იყო მგლოვიარე.

4) ტულფა – ტურფა, საკუთარ სახელადაც იხმარება.

* * *

მინდორშია თეთრი ქვაო,
დავკარ ხელი თან ამყვაო,
გოგო, შენი სიყვარული
სადაც წაველ, თან წამყვაო!

* * *

მუხას ცული შამოვკარი,
მე მეგონა წიფელაო;
გოგო, ერთი მაკოცნიე,
ჩემო ლოყა-წითელაო!

* * *

მონაწერსა შენსა წიგსა [1)]
ვაკოცებ და მოვჭამ ჭირსა,
ღამე საწოლში ჩევიტან,
არ ვაღირსებ თვალსა ძილსა.

1) *წიგნსა.*

* * *

წითელ ღვინოს მიგამგვანე
ჭიქაში მდგომიარესა...
სასუფეველი რათ უნდა
შენს მკლავზე მწოლიარესა!

* * *

პირათ მზეო, ღაწვით[1)] ვარდო,
შუქი მოგივალებია.
შენთვის აღარ მიკოცნია,

ვაჰმე, დიდი ხანებია!....
სულო! როდის დაგიკოცნო
მაგ სამოთხის თვალებია?
სულო! დაბძანდი დოშაკსა[2)]
ჩემო ხმელეთის მთვარეო,
ია ბუმბულათ დეიგე,
ვარდი ზედ მეიყარეო,
უკვდავების წყაროზედაც
შაქარი მეიყარეო!...
მე უშენოდ ვეღარ გავძლებ,_
სული შენ მიიბარეო!

1) ღაწვი _ ლოყა.
2) დოშაკი _ ბუმბულის დიდი ლეიბი.

* * *

იაგუნდისა წვიმამა
მოლი-მინდორი დანამა.
მამკლა და აღარ მაცოცხლა
იმ ქალმა ლერწამ-ტანამა.
ან მამეც, ქალო, იმედი,
ან გამითხარე სამარე;
სარწმუნოებას გაფიცებ,
მაგ ძუძუ-მკერდი დამალე:
მოგჩერებივარ მიტყდება
გულის წუხილი მალ-მალე!
თუთხმეტი დღის მთვარის მსგავსო,
მიკვირს, აგრე რამ გაგავსო?!
ერთი შენი შამოხედვა
ათას ხედვას დაკარგავსო.
ათი თითი ბროლისა გაქვს,
ზე კალთაზე დაგელაგოს;
თასით ღვინო ხელთ გეჭიროს,
შიგაც ვარდი ჩაგეყაროს;
ერთიც კიდევ მაკოცნიე,
შენი ჭირი შემეყაროს!
პირი მიგიგავს მთვარესა,
ანათებ ბნელსა ღამესა.
აქ მამკლავს შენი სურვილი,
ჩამაგდებს ცივ სამარესა.

* * *

რაღაი არ მინახავხარ,
დიდი ხანი გამოსულა,

ხეს ფოთოლი გასცვენია
ხელახალი გამოსულა,
მე და შენსა სართუმალ[1] ქვეშ
ია-ვარდი ამოსულა,
თუ ჩემი ხარ, ჩემთან მოდი,
თვარა სული ამოსულა!..

1) სართუმალი_ ბალიში და მუთაქა.

XX_ XXI საუკუნეები

ჩვენს კრებულში, მხატვრული ნაწარმოებების გარდა, შეტანილია არამხატვრული ნაწარმოებებიც, მაგრამ, გამოქვეყნებული მასალის კლასიფიკაციის გამარტივების მიზნით, თხრობითი ფორმის ყველა ნაწარმოები (გარდა სამეცნიერო სტატიებისა და პირადი წერილისა), პირობითად, გავაერთიანეთ «პროზის» სახელწოდების ქვეშ, ხოლო ლექსის ფორმის ყველა ნაწარმოები _»პოეზიის» სახელწოდების ქვეშ.

რედაქტორი.

პ რ ო ზ ა

აზა აკაკის ას. გაჩეჩილაძე (ლობიო)*
დ. 1947 წ.
სოფ. წევის სკოლის პედაგოგი.

ისინი ამშვენებდნენ სოფელს

ზედა წევისკენ მიმავალ ბილიკს როცა შევუყვები, ძალაუნებურად ამედევნება პოეტის**ა.** სტრიქონები:

«მაგონდება ბიისფერი გზა და ხვატი,
წევის ეკლესიის ცრემლიანი ხატი,
სალოცავი გვართა –მიჩნეული კეთილად
და ხავსიან კართან რქებდახრილი ჭედილა.»

დიახ, ეკლესიის ზარის ხმა უფლის წყალობად არის მიჩნეული, ხოლო მის გვერდით არსებული უძველესი სკოლა _თავისი მცირერიცხოვანი მოსწავლეებით იმის მაუწყებელია, რომ სოფელი ისევ ცოცხლობს, ისევ კიაფობს იმედის ნაპერწკალი ადგილობრივ მცხოვრებთა გულებში.

რა ტკბილად მაგონდება ის დრო, როცა არ იყო გაუქმებული ეზოები, როცა ყველას კერაზე ცეცხლი გუზგუზებდა, ყიოდა მამალი, ყეფდა მურია და იყო დიდი და ძლიერი სოფელი.

მარტო ჩემს პატარა უბანში 11 ოჯახი ცხოვრობდა. ახლაც თვალწინ მიდგას ჩემი კეთილშობილი მეზობლების სახეები, რომელთა გვერდითაც გავიზარდე და, რასაკვირველია, ჩემი ბავშვობის უტკბესი მოგონებებიც მათთან არის დაკავშირებული.

ბებიაჩემს, პოლიჩკა მაღრაძეს, ღარიბს, მაგრამ შინაგანი კულტურით აღსავსე ქალს, ხშირად აკითხავდნენ განუყრელი მეგობრები: ანეტა, ნინა, პლატო, ქეთო, ვერიჩკა, ტერეზია გაჩეჩილაძეები.

საოცარი იყო მათი ტკბილი და თბილი ურთიერთობა. მოვიდოდნენ, დასხდებოდნენ ბუხრის პირას, თან ქსოვდნენ, ან ართავდნენ, ან ძაფს ძახავდნენ. იგონებდნენ მთისა და ბარის ამბებს, იმ გაჭირვებულ წლებს, როცა ომმა მათი ცხოვრება სევდიანი და ტკივილიანი გახადა. ცრემლნარევ მოგონებებს ზოგჯერ სახუმარო ამბები ცვლიდა და იმედიანი თვალით უყურებდნენ მომავალს. ახლაც მიკვირს, როგორ იცხოვრეს ისე, რომ ერთი ცუდი სიტყვა, ერთი წალაპარაკებაც კი არ მოსვლიათ ერთმანეთთან.

განსაკუთრებით დიდი სიყვარულით მინდა მოვიგონო ანეტა გაჩეჩილაძე. სოფელში ყველა _დიდი თუ პატარა _მამიდას ეძახდა. მრავალი სამკურნალო წამლის მცოდნე, მლოცველი, თავისი განუყრელი ალმასის ქვით, ყველა გაჭირვებულის შემწე იყო. გახდებოდა თუ არა ვინმე ავად, მაშინვე გამოიძახებდნენ ანეტა მამიდას, ისიც დაუზარებლად წავიდოდა, მოატანინებდა ოჯახის უფროსს ყველანაირ მარცვლეულს, ნაცარს, შავტარიან დანას, გალესავდა წყალში ალმასს და იწყებდა: «ალისასა, მალისასა» ან «ადამ დაეცა, მკლავი მოექცა» ლოცვის პროცესში ავადმყოფს უნდა მოემუჭა ხელები და გამოევლო შენალოცი მარცვლეული ხელში, შემდეგ უნდა დაელია ალმასიანი წყალი და «მკურნალობაც» დამთავრებული იყო. მამიდას ზოგჯერ თვალი უმტყუნებდა და ნაცრიანი მარცვლეული ლოგინში ჩაიბნეოდა, მაგრამ ეგ არაფერი, მთავარი ის იყო, რომ მეორე დღეს ავადმყოფი, ანეტა მამიდას ლოცვით შთაგონებული, ჩიტივით ზეზე წამოფრინდებოდა. ახლაც გაოცებული ვარ ამ პატარა, კაფანდარა ქალის ენერგიით, დაუზარებლობით, რომელიც, თვითონ ნახევრად მშიერი, ყველას უზიარებდა გულის სითბოს. მან დიდი გაჭირვებით გამოზარდა ობოლი ძმისშვილები _ თამარ და შალვა გაჩეჩილაძეები. შალვა_ შემდეგში ცნობილი ექიმი _მამიდასავით გულისხმიერი და კეთილშობილი პიროვნება იყო, თამარი კი_მასწავლებელი გახდა.

ძალიან მიყვარდა ნინა მამიდას სტუმრობა. ის თბილისში ცხოვრობდა და წევის ხშირი სტუმარი იყო. პროფესიით პედაგოგი გახლდათ. საოცარი იუმორის ნიჭი ჰქონდა. საათობით შემეძლო მისი მოსმენა, განსაკუთრებით, როცა გიმნაზიაში სწავლის წლებს იგონებდა. ბებია და ნინა მამიდა საუბრის დროს ხშირად ეკითხებოდნენ ერთმანეთს: გახსოვს, ნინა, გოგო ეს ამბავი? მაშინ პატარა ბავშვი, გაოცებული შევყურებდი ამ ჭაღარაშერეულ ქალებს და ვფიქრობდი: ნუთუ ესენი ისევ გოგოები არიან მეთქი? და რა ვიცოდი მაშინ, გული რომ, თურმე, არასოდეს ბერდება.

ჩვენს უბანში ყველასთვის დიდი ბედნიერება იყო ქსენია ბიცოლას ჩამობრძანება. ეს დარბაისელი ქალბატონი ცნობილი ქართველი მწერლის და მეცნიერის, სიმონ წეველის მეუღლე გახლდათ. ბავშვები მაშინვე მის ულამაზეს ეზოში მოვიყრიდით თავს. ქსენია ბიცოლა ყველას დაგვკოცნიდა, მოგვეფერებოდა, დაგვასაჩუქრებდა და ისე გაგვისტუმრებდა შინ..

სიყვარულით მინდა გავიხსენო სონა ბიცოლა. ხუთი შვილის აღმზრდელი, მუხლჩაუხრელი დიდებული ქალბატონი.

რამდენიმე სიტყვით მინდა მოვიგონო მამაჩემის უახლოესი მეგობრები და ბიძაშვილები: შალვა, ვარლამ, მიშა, პავლე, კირილე, გიორგი, შალიკო გაჩეჩილაძეები. მახსენდება ის ტკბილი საღამოები, როცა ჩვენს ღარიბ, მაგრამ სტუმართმოყვარე ოჯახში იკრიბებოდნენ ბიძაშვილები, იგონებდნენ თავიანთ უდარდელ ბავშვობას, მართალია გაჭირვებულს, მაგრამ

მაინც ხალისიანს, ომის მძიმე წლებს. მათ ხომ თავიანთ მხრებზე გამოსცადეს ომის ქარცეცხლი. სუფრაზე ცივი მჭადი და მწვანილიც რომ ჰქონოდათ, მაინც ხუმრობდნენ და მღეროდნენ.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ერთი სახუმარო ამბავი: ადრე, მოგეხსენებათ, სოფელში დადიოდნენ ფინგანის[ბ.] თანამშრომლები გადასახადების ასაკრეფად. თუ ოჯახი ფულს ვერ გადაიხდიდა, შეეძლოთ წაეყვანათ პირუტყვი, ფრინველი, უფლება ჰქონდათ სახლშიც შესულიყვნენ და რაიმე ნივთიც წაეღოთ. ბუნებრივია, ყველას ეშინოდა მათი. ერთ მშვენიერ დღეს, თურმე, მამაჩემი სახლის სახურავზე კრამიტებს ასწორებს და თან მღერის. უცებ, დაინახა გადასახადის ამკრეფნი. სწრაფად ჩამოვიდა ძირს და დაიმალა. დაიძახეს, გამოიხედა ბებიამ. მოიკითხეს მამაჩემი. ბებიამ უთხრა, სახლში არ არისო. აბა ის ვინ იყო სახურავზე რომ მღეროდაო? ის, შვილო, მე ვიყავიო. გაოცებულებმა გადახედეს ერთმანეთს და წაულაპარაკეს: ყოჩაღ, ამ მოხუცებულმა თუ ამისთანა სიმღერა იცისო და უხმოდ გავიდნენ ეზოდან. ასეთ სახუმარო ამბებს ბოლო არ უჩანდა.

ბევრი დიდებული ადამიანი ამშვენებდა ჩვენს უბანს, ჩემს კოპწია სოფელს, მაგრამ მაპატიოს მათმა ნათელმა სულებმა, თუ ყველა ვერ გავიხსენე, ან ისე ვერ დავწერე, როგორც მათ ხსოვნას ეკადრებოდა.

როცა სასაფლაოსთან ჩავივლი, მინდა თუ არა, ცრემლიანი თვალებით წარსულში ვიხედები და გულისტკივილით ვიგონებ მათ, ვინც თავისი უბრალო, უპრეტენზიო ცხოვრებით ალამაზებდნენ სოფელს, შნოსა და ლაზათს მატებდნენ მას.

2009წ.

ა. ლექსის ავტორია ზაალ ებანოიძე.

ბ. ფინანსთა განყოფილება

შალვა (გურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) *

დ. 1938 წ.

ინჟინერ–მექანიკოსი, გამომგონებელი... (თბილისი).

მამა ეფრემის ამორჩეული სარძლო

თორმეტი წლისა ვიყავი, როდესაც ბებია ლეონინემ წამიყვანა თავის მშობლიურ სოფელ ხორითში. წევაში დაცხობილ ლობიანებს და ნამცხვარ “ბურჟუიკას”, სადგურ ძირულაში დავამატეთ ორი ბოთლი ლიმონათი, ორი «ბუხანკა” შავი პური, კანფეტები და შევუდექით ხორითის აღმართს.

ერთ-ერთ მოსახვევში, ნეკერჩხლის ჩრდილში, ბებიამ შეისვენა და ნაღვლიანად ჩაილაპრაკა: _ეჰ, ვინ იცის, სულმოუთქმელად რამდენჯერ ამივლია აქ ტვირთით!...ალბათ დავბერდი და თანაც გადავიღალე... შვილო, გურიკო, ასე დამჭკნარი კი არ ვიყავი, ლერწამივით ჩამოქნილი, მერცხალივით დავქროდი. არ არსებობდა ჩემი დაღლა, შრომაშიც დაუზარელი ვიყავი. ტყუილად კი არ ვარ მამამთილის ამორჩეული, თანაც როგორი ადამიანის? მისნაირი ვაჟკაცი, ჭკვიანი, ენაწყლიანი და ტკბილად მოუბარი არავინ აღარ შემხვედრია.

ბებიას სიტყვებმა _»მამამთილის ამორჩეული» უცბადD გამომაცოცხლა, დამაინტერესა. შევეხვეწე და აი რა მიამბო ცხონებულმა: _»ერთხელ, უნებლიეთ მოვისმინე მშობლების საუბარი: _გოგო შეუმჩნევლად წამოგვეზარდა. მალე მთხოვნელები გამოჩნდებიან. თითქმის შიშველია, ერთი კაბის გარდა ყველა დაუპატარავდა, ფეხზეც არაფერი აცვია. ზეგ წევაში დიდი ბაზრობაა, დილაადრიან წადი, ურემი ხვალვე გაამზადე, თხა დაბერდა _ თითქმის აღარ იწველის, მოზვერიც გაიყოლე, ორ-სამ დედალსაც დავიჭერ, სიმინდ-ლობიოც ბევრი გვაქვს და ხილიც. წაიღე, დუქანში ჩააბარე, ბავშვებიც წაიყვანე, კარგად მოარგე ჩასაცმელი. დანარჩენი ფული შემოვინახოთ _ გამოგვადგება, მზითვის შეგროვება უნდა დავიწყოთ. ახლა გოგოს უნდა მივხედოთ პირველ რიგშიო. _მაშინ თოთხმეტი წლის ვიყავი...

მამამ დილაადრიან წამოგვყარა ლოგინიდან, _წევაში მივდივართო. _სხვა არაფერი გვითხრა, მაგრამ, მე ხომ ვიცოდი მიზეზ-მიზანი და ყველაზე წინ მივფრინავდი სიხარულით, ჩემი ფეხით _ ურემს არც კი გავეკარე.

წევაში თვალი მომჭრა ბაზრობაზე გამოფენილმა საქონელმა. ერთ-ერთ დუქანში ჩითის საკაბეებს ვათვალიერებდი. მოულოდნელად, მომიახლოვდა ძალზე სიმპათიური, სუფთად ჩაცმული მოძღვარი, გარეთ გამიხმო, შემათვალიერა, შუბლზე მაკოცა და მკითხა: _შვილო, აქაური არ უნდა იყო, ვისი ხარ, რა გვარის, _ჩემო ანგელოზო?

_ხორითიდან ვარ. აგერ, იქ, მედუქნესთან რომ დგანან, ჩემი მამა და ძმები არიან, საქონელს აბარებენ. იმათ მიმართეთ, _ძლივს ამოვილუღლუღე აჭარხალებულმა. გული რაღაც კარგს მითქვამდა. მამამ შეგვამჩნია, მოგვიახლოვდა, იცნო და მიესალმა: თქვენო უწმინდესობავ, მამა ეფრემ, როგორ ბრძანდებითო, ხელზე და ჯვარზე ემთხვია.

_ხორითიდან ბრძანებულხართ, თქვენი უმშვენიერესი ქალწულისაგან მეტი ვერაფერი გავიგე, ლაპარაკი ვერ ასწავლეთ? თქვენსკენ დიდებული ეკლესიებია _ღვთაების და მირონწმინდის _ წევის წმინდა გიორგის ეკლესიის უმცროსი ძმები. წმინდა გიორგის მადლი და ძალა შეგეწიოთ. გეთაყვა, გვარი შემახსენეთო, _ღიმილით სთხოვა მამა ეფრემმა.

_იოსებ კალანდაძე გახლავართ, ესენი კი ჩემი შემოქმედებაა _ჩემი შვილებია, დამილოცეთ მამაო.

_უფალმა დალოცვილი გამყოფოთ და გაგამრავლოთ. ერთიც მიპასუხე, შვილო ჩემო: გაჩეჩილაძეებთან სისხლით ნათესაობა ხომ არ გაკავშირებთ?

_არავითარი, მამაო! რატომ მეკითხებით ასე დაწვრილებით? _გაუკვირდა მამაჩემს.

_პირდაპირ მოგახსენებთ, თქვენმა ქალიშვილმა მომაჯადოვა, სარძლოდ შევარჩიე. შვილი, კასიანე, მყავს დასაოჯახებელი. სასულიერო განათლება მივაღებინე. დიაკონია. მღვდლად ვამზადებ. თუ კი ვინმეზე სიტყვა არ გაქვთ მიცემული, ასე ვთქვათ, სასიძო არა გყავთ ამორჩეული, უმორჩილესად გთხოვთ, წამობრძანდით დღესვე, აგერ ორ ნაბიჯზე _ ჩემთან ოჯახში, დაგვაფასეთ, გაიცანით ჩემი ვაჟიც, ოჯახობაც, მოვილაპარაკოთ და უახლოეს ხანში ნიშნობისთვის ხორითში გეწვევით, დავნათესავდეთ შვილო ჩემო, დავმოყვრდეთ. ხომ გაგიგიათ: _ვიდრე ჭკვიანი დაფიქრდებოდეს, გიჟი ხიდს გადაივლისო. _ვშიშობ, ვინმე უჯილაგო-უკეთურმა არ მოგვტაცოს. ასეთი შემკული, ჯიშიანი გოგონა კარგ ოჯახში უნდა შევიდეს, არ უნდა დაიჩაგროს.

_შვილო, იქნებ მოახერხო და მითხრა შენი სახელი, _შემეკითხა მამა ეფრემი.

_ლეონინე მქვია, _დავიმორცხვე.

_ჩემო კუდრაჭა გოგონა, შვილო ლეონინე, ნათქვამია: სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენიო. კეთილი იყოს შენი ფეხი წევაშიც და ჩემს ოჯახშიც. შენ ოჯახის საქმე ისწავლე და სულ აბრეშუმ-ფარჩაში გაგხვევ, შვილო.

ამ დროს, დაბარებულივით, მოგვიახლოვდა კასიანეც, რომელიც პროდუქტების საყიდლად გამოეგზავნა დედას. ეფრემმა მოიხმო და გაგვაცნო მოულოდნელობისაგან დარცხვენილი სასიძო. მამამ შეათვალიერა კასიანე, მადლობა გადაუხადა ეფრემს, ძალზე

კმაყოფილი დავრჩი თქვენთან მუსაიფითო. მოიბოდიშა: საქონელი მაქვს ჩასაბარებელი, ბაღნებისთვის საყიდლების შერჩევა დროს მოითხოვს, დაღამებამდე შინ მიბრუნებას ვეღარ მოვასწრებთ, რაც მთავარია, სასიძოც გავიცანი. ვინაიდან არ ველოდი, ნიშნობისთვის მოსამზადებლად დრო დამჭირდება. ასე დავთქვათ, _მომავალი თვის მეორე შაბათს გელით ხორითში, _დიდ პატივს დამდებთ, ბატონო.

მამამ მედუქნეს მიაშურა, მე კი გაშეშებულ-გაბრუებული, თვალს ვერ ვაშორებდი საქმროს და დარბაისელ მამა ეფრემს. კასიანე თვალებს ვერ მისწორებდა, რამდენჯერმე ქვეშიდან გამომხედა. შევატყვე, _ მოვეწონე. როგორ მივედით შინ, ან რა შევიძინე არ მახსოვდა, ღამეც არ დამეძინა, მეშინოდა, თითქოს, მაგრამ ბედნიერების სიხლოვეს ვგრძნობდი. ჩემთვის, უსწავლელი გლეხის გოგოსთვის, მღვდლის ოჯახში შესვლა საოცნებო იყო. ჩემზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, წევაში იმ დღესვე დავრჩებოდი, ისე მომხიბლა სამამამთილომ თავისი გულღია, აზრიანი საუბრით და ტკბილი, თბილი მოპყრობით. კასიანეც მომეწონა, _საშუალო სიმაღლის, კოხტად, მოხდენილად ჩაცმულს, უხდებოდა მსუბუქი საეკლესიო სამოსი. როგორც შემდეგ გავიგე, დედამთილ _ატატოსაგან, ჩვენთან შეხვედრის შემდეგ, ეფრემი პირდაპირ სახლში წასულა და მეუღლისთვის უთქვამს: _ ხორითელი კალანდაძის გოგონა, ლეონინე მომეწონა, დიდხანს ვდიე კუდში, გავიცანი, მოვეფერე, კასიანეც შევახვედრე და მამამისსაც მოველაპარაკე, _თვენახევარში უნდა ვეწვიოთ ოჯახში. ნიშნობისთვის შეარჩიე ოქრო-ბრილიანტი, ჩემი არჩეულია და უძვირფასესი, საყვარელი რძალი იქნება. მშვენიერი ქალბატონი _მეოჯახე დიასახლისი დადგება. საკმაოდ მაღალი და ლამაზია, ფერიასავით თეთრია, არც გამხდარია _საშუალოა, კარგი მკერდი და მოქნილი, გრძელი, ძლიერი წელი აქვს. დარწმუნებული ვარ, გვარს დაგვიმშვენებს და გაგვიმრავლებს. უფალი კართან, თავისი ფეხით, რომ მოგიყვანს ასეთ შემკულ გოგონას, ხელიდან არ უნდა გავუშვათო...

ბებია თხრობის დამთავრებას აპირებდა და წამოიწია. წამოვხტი, მივედი, წამოდგომაში დავეხმარე, მოვეფერე და ხელები დავუკოცნე. დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამეუფლა და ვთხოვე: _ჩემო ტკბილო ბებო, ნიშნობის ან ქორწილის რაიმე საინტერესო ეპიზოდი მიამბე, თან ნელ-ნელა ვიაროთ, _უარი არ მითხრა, გევედრები.

ბებიამ განაგრძო: _ იმავე წლის გვიანი შემოდგომის შაბათ დღეს, სოფელ ხორითში, მამაჩემის, იოსების, კარ-მიდამო აავსო საქეიფოდ შეკრებილმა, თავისებურად გამოპრანჭულმა ხალხმა. საინტერესო შესახედავი იყვნენ ფერუმარილით გათხუპნილი, ფუმფულა მარმაშის კაბიან-ჩიხტიკოპიანი ქალბატონები და დაკერებულ ჩოხიანი, გამოწკეპილ ულვაშიანი მამაკაცები...

მახარობელმა გვამცნო სიძის მაყრიონის მოახლოვება. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. დედასთან, მეგობარ გოგონებთან და ახლობელ ქალბატონებთან ერთად, აივანზე გამოვედი. მალე ორღობეში გამოჩნდა ორმოცამდე ცხენოსანი. ჭიშკართან ჩამოქვეითდენენ. მამამთილი _ მამა ეფრ ემი _ შორიდან ვიცანი. მას მორჩილად მიუახლოვდნენ, ასევე მღვდლის ანაფორიანი ვაჟიშვილები: მაკარი, ეფთვიმე და ბელოვანი, აგრეთვე, ჯერ კიდევ ყმაწვილი, უმცროსი _ბესარიონი. ყველა მაღალი და წარმოსადეგი. მაყრიონის სხვ წევრებიც სულ დარჩეული ვაჟკაცები იყვნენ. გაჩეჩილაძეების შეხედვას არაფერი სჯობდა. თვალი ვერ ძღებოდა მათი ცქერით.

ეზოში შემოსვლას არ ჩქარობდნენ, ვიღაცას ელოდნენ. მალე მოჩანჩალდა ჯორზე მჯდომი კასიანეც, რომელიც აღმართში ჩამორჩენოდა ცხენოსნებს. ცხენ-ჯორი ღობეზე მიაბეს და ეზოში შემობრძანდნენ, მამაჩემიც მიეგება.

_რომელია შენი საქმრო_კასიანე? _შემეკითხა გვერდით მდგომი გოგონა.

_ჯორი რომ შემოაგრიალა, ის არის, ნიშნობაზე ვნახე.

_ რავა, წართმევას ხომ არ უპირებ? _ ირონიულად ჩაიხითხითა მეზობელმა ქალბატონმა.

ამდენ ვაჟკაცებში რაღა ყველაზე ჩია, გამხდარი, დაბალი ტანის კაცი გერგო? ნაღვლიანად წარმოთქვა შორეულმა ნათესავმა ქალმა.

კინაღამ ცუდად გავხდი. დედაჩემმა შემომხედა, შემატყო წყენა და მკაცრი ტონით წარმოთქვა: _ჯერ ერთი, სიმსუქნე რა ბედენაა, მსუქანი მხოლოდ საკლავია კარგი, მეორე, _ ალვისხე მაღალია, მაგრამ შიგ არაფერი ყრია. ასეთი მამაკაცები უფრო სიცოცხლით სავსე, ერთგული, ყურადღებიანი, მოსიყვარულე და კარგი მეოჯახეები არიან. დედაჩემის შეფასება კასიანემ ცხოვრებაში მართლაც გაამართლა...

_შვილო, იმ ხანაში, საქმროს ამორჩევას არავინ გვეკითხებოდა, მშობლები წყვეტდნენ რა ასაკში და ვისზე უნდა გავეთხოვებინეთ. ასე და ამრიგად მერგო ქმრად კასიანე, _დაამთავრა თხრობა ბებია ლეონინემ _მამამთილის არჩეულმა რძალმა.

კიდევ ერთხელ მოვეფერე და გადავკოცნე ჩემი დარბაისელი, ტკბილი ბებია, ჩემი დიდი პაპის ეფრემის სყვარელი და სანაქებო რძალი _ ჩემი გამზრდელი და საფიცარი.

ისე აგისრულდა ყოველივე კარგი, როგორც ასრულდა ეფრემ იესეს ძე გაჩეჩილაძის წინასწარმეტყველური ნათქვამი: ბებია ლეონინემ, სოფელ წევაში ერთ-ერთმა ულამაზესმა ქალბატონმა, შობა და აღზარდა ცხრა შვილი, აქედან შვიდი ვაჟი. რამდენიმე სარძლოც თვითონ შეარჩია _ყველანი მაღლები, კარგი მკერდით და თეთრი, «სანდომიანი” სახით. წერა-კითხვის უცოდინარმა, აღზარდა სხვადასხვა სპეციალობის შვილები: ექიმი, ფილოლოგი, კავშირგაბმულობის, მშენებელი და ელექტრიკოსი ინჟინრები, ეკონომისტები და მათემატიკოსი. შვილების სწავლისთვის ბებიამ უყოყმანოდ გაყიდა ოჯახიდან მზითევში მოყოლილი და ეფრემის ნაჩუქარი ძვირფასი ქვებით შემკული ოქრო-ვერცხლის სამკაულები.

ბებია ლეონინემ იცოცხლა 78 წელიწადი, მოესწრო მესამე თაობას, დატოვა თავისი შთამომავლობა ჯანმრთელი და დალოცვილი. წავიდა ბედნიერი, შრომისაგან დაღლილი და ვალმოხდილი. დაკრძალულია წევაში, ეკლესიასთან ახლოს, საყვარელი მამამთილის საფლავის სიახლოვეს, _თავის სიცოცხლეში მონიშნულ ადგილზე. ღმერთმა გაანათლოს მისი სული, ამინ!

2000 წელი, წევა.

რამაზის პირველი როლი

სახელოვანი მსახიობი, რამაზ ჩხიკვაძე, ზაფხულის არდადეგებს ხშირად ატარებდა თავის დედულეთში _ზესტაფონის რაიონის სოფელ წევაში, ბებია თებროლესთან. წეველები დღესაც ხალისით იგონებენ 1943 წელს რამაზის მიერ გათამაშებულ ოინს. იგი რამდენიმე დღის განმავლობაში ეწეოდა მეზობლების დამუშავებას: _წევაში მოსალოდნელია გერმანელების დესანტი. თუ მედესანტეს შევიპყრობთ და ჩეკისტებს ჩავაბარებთ, ორდენს და ფულად ჯილდოსაც გადმოგვცემენ, გაზეთებშიც გამოგვჭიმავენ და რადიოთიც გამოგვაცხადებენო.

ერთ დღეს, ბებიის კაბაში გადაცმული, თავზე შარფმოხვეული და შეღებილ-სახეშეცვლილი რამაზი წინ გადაუდგა, წყაროდან შინ მიმავალ, მამაჩემის ძმას, ილიას.

_ ჰალტ, ჰენდე ხოხ! _და სხვა მიმსგავსებული სიტყვები დააყარა საცოდავს. ჭაბუკმა რამაზიმ ეს ყოველივე ისე დამაჯერებლად გაითამაშა, რომ შიშისაგან დაფეთებულ ილიას მხარზე შედგმული წყლით სავსე ჩაფი ჩამოუვარდა და ფეხებთან დაემსხვრა. ილიამ ინსტიქტურად ისკუპა გვერდზე, ბუჩქს გადაევლო, _ვაიმე მიშველეთო, _ამოიხრიალა და

მოკურცხლა. ბავშვები იქვე შორიახლოს ვთამაშობდით, გავიგონეთ ილიას ძახილი და ნაწილმა სახლებისკენ მოკურცხლა, ნაწილი კი მისკენ გავეშურეთ.

ილია არსად ჩანდა. ხეებს შორის შევნიშნეთ უცხო პიროვნება, რომელიც ჩამოჯდა საფლავის ქვაზე და სიცილისგან ჩაბჟირდა. ბიჭები ბუჩქებს ამოვეფარეთ და თვალს ვადევნებდით უცნაურ მტერს. ვჩურჩულობთ: _ფაშისტია? ილია მოკლა? რატომ ან რაზე იცინის? ქვები მოვბოჭოთ და დავაყაროთ? _თან გვეშინია...

უცბად, სირბილით მოგვიახლოვდნენ სანადირო თოფებით შეიარაღებული, რეზო და გენო გაჩეჩილაძეები. მათ ფრთხილად მოსდევდა ილია ბიძია, რომელსაც ხელში ეჭირა წვეტიანი სარი. ჩვენ უხმოდ, თითით მივანიშნეთ «შპიონის” ადგილ-სამყოფელისაკენ. რეზო მიეპარა, გადაუხტა, თოფი დაუმიზნა და დასჭექა: _ახლა შენ თვითონ ჰენდე ჰოჰ _დესანტნიკ ფრიცო! _ფრიცმა თავი ასწია, სწრაფად მოავლო თვალი მისკენ მიმართულ ლულებს, ხელები ასწია და ფერწასულმა შეჰყვირა: _არ მესროლოთ, თქვენი რამაზიკო ვარ! _რამაზი წამოდგა, გაიცინა, ხმით ვიცანით და უშიშრად მივუახლოვდით. რეზო სიცილისაგან გაგორდა მინდორზე, გენო არუხრუხდა, ხოლო ილია განზე გადგა, დარცხვენილ-თავდახრილი.

შიშნაჭამი რამაზი სწრაფად გამოერკვა და «ჩართო»: _ილიას სირბილი შეძლებია!.. _ნუღარ მკითხავთ, «ისტრებიტელს” გაუსწრო. თუ შარვალში არ ჩაისვარა, ისე შევაშინე, სიკვდილამდე აღარ გააციებს.

ილია ბატონო! მაგ სარით აპირებდი დესანტნიკის დაჭერას? შენ ომი ღომის ჭამა ხომ არ გგონია? იცი საიდან გაგიკეთებდა მაგ წვეტიანს? ბიჭებს უკან მოსდევდი და, ალბათ, ფიქრობდი, _ესენი ერთმანეთს დაჭრიან, მე კი გერმანელს გავსკვნჩავ, ჩეკას ჩავაბარებ და ჯილდოსაც დავიმსახურებო. _ორდენზე მეტად ფული უფრო გინდოდა?.. _ვხარხარებდით...

შემდეგ რამაზიმ ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: ნეტავ რა მაცინებს? ბებიაჩემი სახლიდან გამომაგდებს, როდესაც ნახავს, რომ კაბა ბეჭებზე ორგან გადავფხრიწე, ამასთან, ჩაფიც საყიდელი შეიქნა. რა ეშმაკად ჩავიცვი მისი საყვარელი, გამორჩეული კაბაო... _რამაზი მაშინ სკოლის მოწაფე იყო.

2006 წელს, სამი გაჩეჩილაძე: ცნობილი ჟურნალისტი _ თენგიზ თომას ძე, სამეჯლისო ცეკვების ჯადოქარი _ თენგიზ ივანეს ძე და თქვენი მონა-მორჩილი, ვესტუმრეთ, ლეგენდარულ, რამაზ გრიგოლის ძეს. ეს ეპიზოდი გავახსენე, გულიანად გაიცინა და განაგეძო: _ზაფხულის თავისუფალ დღეებს მხოლოდ წევაში ვატარებდი. მამის სოფელში _გურიაში არ ჩავდიოდი. მედესანტე ფრიცის როლი ჩემი ერთ-ერთი პირველი როლია, რომელიც შევასრულე ჭაბუკობაში. სახე აქვარელით გავითხუპნე, როდესაც გაშრა, ისე დასკდა, სარკეში რომ ჩავიხედე, მე შემეშინდა, ილიას რაღა დაემართებოდაო. ეს ამბავი გახმაურდა. ზედა წევაში მდგომ სამხედრო ნაწილში ამიყვანეს და დამკითხეს. დაჭერას ძლივს გადავურჩი, _ ასეთი მკაცრი კანონები მოქმედებდა ომის დროსო. _ დაგვიდასტურ-დაგვიზუსტა ძვირფასმა მასპინძელმა _ დიდმა რამაზიკომ.

2007 წ.

ამაგდარი თალია «ნაჩალნიკი”

დადგა ბობოქარი მეოცე საუკუნე. 1901 წელს, სოფელ წევაში, კასიანე გაჩეჩილაძისა და ლეონინე კალანდაძის ოჯახში თოფი გავარდა, _ ბიჭია, ბიჭი! ნათლობის სახელი უბოძეს _ ივანე, შინაურობაში ვანიჩკა. შემდეგ, გასროლის გარეშე, 1902 წელს დაიბადა გოგონა_ თალიკო _თალია; შემდეგ ისევ თოფი _ პავლე _პალუშა, ისევ თოფი _ შალვა; უთოფოდ _ რაისა; შემდგომში თოფის სროლა არ შეწყვეტილა: მიხეილი _ მიშა და მისი ტყუპისცალი ილია; პეტრე _ ღუტო და გრიგოლი _ ბახულა. ოჯახში არც პატეფონი ჰქონდათ და არც რადიო... სამაგიეროდ, ნათლობის საკითხს აგვარებდნენ იოლად, ვინაიდან ახალშობილებს

ირგვლივ ეხვია სახელოვანი მღვდლები: ბაბუა _ ეფრემი, მამა _კასანე, მამის ძმები: მაკარი, ეფთვიმე და ბელოვანი, აგრეთვე, მამიდას მეუღლე აბიათარი...

ბებია ლეონინე ხშირად იმეორებდა: _ «დედა ენაცვალოს, ღმერთმა მომივლინა ჩემი გოგონა, ჩემი თალიკო. რა მეშველებოდა მის გარეშე? წერა-კითხვის უცოდინარი, როგორ შევძლებდი ცხრა შვილის აღზრდას? შვილო გურიკო, წარმოიდგინე, ჩემი ცხრა შვილიდან, ერთდროულად ორი-სამი ბავშვი სწავლობდა წევის არასრულ საშუალო სკოლაში, ორი-სამი ზესტაფონში, დანარჩენი ქუთაისში. ზოგი სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, ნაწილიც მუშაობდა ქუთაისის ფოსტაში. ზესტაფონში და ქუთაისში ბინები გვქონდა დაქირავებული. შვიდ ვაჟკაცს რა გააძღებდა? ახლა სარეცხი? ჩასაცმელი? ათასი წვრილმანი? მეცადინეობა? ჩემი თალიკო დარბოდა წევას, ზესტაფონსა და ქუთაისს შორის. თვითონაც ფრიადებზე სწავლობდა, ძმები და დაიკო შვილებივით გამოზარდა. ინტერესიანი გოგოა, _ დედმამიშვილებს სპეციალობებიც თვითონ შეურჩია: რაისა ექიმი გახდა, ივანე და ბახულა ეკონომისტები, პალუშა კავშირგაბმულობის ინჟინერი, შალვა და ილია მშენებლები, მიშა ელექტროინჟინერი, ღუტოსაც სამედიცინოზე ჩააბარებინა _ ქირურგი უნდოდა გამოსულიყო, თუმცა მხოლოდ მან არ დაუჯერა საყვარელ დაიკოს _ მეოთხე კურსიდან გამოვიდა, _ მთელი ჩემი ცხოვრება ადამიანი უნდა ვჭრა, შემძულდა სისხლიო _ და სასწრაფოდ ჩააბარა უნივერსიტეტში _ მათემატიკოსი გამოვიდა. _უნიჭიერესი შვილები მყავს, საამაყო”.

1952 წელს უკვე თბილისში ვსწავლობდი. საღამო ხანს შემოიარა თალიკო მამიდამ. გავიმეორეთ გავლილი მასალა ქართულ და რუსულ ენებში. წასვლის წინ შევეკითხე: _მამიდა, როგორ მოახერხეთ იმ არეულ დროში თავის გატანა და, მით უმეტეს, სწავლა?

_ შვილო გურიკო! ძალზე რთული გზა გამოვიარეთ: ამდენი რევოლუციები, ომები, შიმშილი, გაჭირვება, მაგრამ მიზანი გვქონდა, ინტერესი, თავმოყვარეობა, ღირსება და კაცთმოყვარეობა, სიყვარული, გატანა. ყველანი ვიყავით ეკლესიური _მორწმუნე. ერთი მეორეს გვერდში ვედექით და ყველა სიძნელე გადავლახეთ. პატარაობიდანვე ვტრიალებდით განათლებულ წრეში, სხვაზე ნაკლები რატომ უნდა გამოვსულიყავით? თუმცა, თითოეული ჩვენგანის ცხოვრებას სასტიკი კვალი დაამჩნია რევოლუციამ და კომუნისტურმა რეჟიმმა _როგორც არასაიმედო პირის_ მღვდლის შვილებზე. რამდენიმეჯერ მიგვიღეს პარტია_კომკავშირში და გაგვრიცხეს. ბევრი ვიწვალეთ და ვინერვიულეთ, _ სულ შიშში ვიყავით, მაგრამ სუფთა ვიყავით, ნიჭიერ-ჭკვიან-მომთმენები და ინიციატივიანები, ამიტომ თავიც გავიტანეთ. დედმამიშვილებიდან ორი ან სამი, ასაკით უფროსი, ვიწყებდით მუშაობას ქუთაისში, ხოლო ამდენივე სწავლობდნენ, შემდეგ, როცა უმცროსები წამოიზრდებოდნენ, ისინი იწყებდნენ მუშაობას და უფროსები ვაგრძელებდით სწავლას. ასე შეთანხმებულად მივიღეთ განათლება ყველამ. ზოგიერთი ჩვენგანი უმაღლესს რომ ვამთავრებდით 28-32 წლისაც კი ვიყავით, თუმცა კლ ასში არ დავრჩენილვართ. ყველანი ჯანმრთელები _კაჟივით მაგრები ვიყავით»...

მეორე მსოფლიო ომის მძიმე პერიოდში, მამიდა, როგორც სამხედრო მოსამსახურის მეუღლე, იღებდა სპეციალურ დახმარებას. უნდა გენახათ, როგორ უნაწილებდა გრამ-გრამობით: პურს, შაქარს, ფქვილს, კვერცხის ფხვნილს თუ ზეთს ყველას _მეზობლებსაც კი არ ივიწყებდა. ქალი-სასწაული ბრძანდებოდა.

თალიკო მამიდამ, თავისი სიბრძნით, ხალისიანობით, აქტიურობით, ორგანიზატორული ნიჭით და საქმის გულისყურით, სიყვარულით კეთებით, თავის დედმამიშვილებში დაიმკვიდრა ლიდერის პოზიცია. ამიტომაც ვეძახდით დიდ-პატარა თალია «ნაჩალნიკს”. მისი რჩევის გარეშე დაიკო რაისა, შვიდი ძმა და შვიდი რძალი რაიმე სერიოზულ ნივთს ვერ შეიძენდა. რძალ-მულს შორის ასეთ საუბარსაც შევსწრებივარ: _თალიკო, გენაცვალე, ათას

ხუთას მანეთს მოვუყარეთ თავი, შინ რაც მაბადია, შენზე უკეთ ვინ იცის? მირჩიე, რა შევიძინო ამ თანხით?

მამიდამ ქვესკნელში ან ზესკნელში რა იყო, ის იცოდა. შინაურების ყველა პრობლემა ათასჯერ მაინც ჰქონდა აწონილ-დაწონილი, ამიტომ დაუფიქრებლად მიუგო: _გოგო! კარგი მეოჯახე ქალბატონი გამოდექი! გენაცვალოს ჩემი თავი _გამახარე! გოგონა წამოგეზარდათ _მამიდა ენაცვალოს იმას, დროა მზითევზე ვიფიქროთ. 1100 მანეთად ნორმალურ საძინებელ გარნიტურს იყიდი, დანარჩენი საბან-ლეიბისთვის დაგჭირდება. აქვე გეტყვით, რომ უნივერმაღში ძვირფასი ჩინური ბალიშები შემოიტანეს, _ახლავე შეიძინე. რამდენიმე ხელი ლოგინი გაუწყვეთ ჩემს სანაქებო ძმისშვილს. გოგო, მოიცა! საკუთარ თავსაც მიხედე! კაბა შეიკერე! ორჯერ დანაკერი და დამსკდარი ფეხსაცმელი რომ გაცვია, ძირს არ იყურები? ნუ დაიგლახავებ თავს, პომადა ძალიან გიხდებოდა, თმებიც შეიღებე. ქმარს რომ უვლი _უფრთხილდი, სხვისკენ არ გაიხედოს, თორემ მე ვეღარ გიშველიო...

მეორე მაგალითსაც მოვიყვან: _ჩემო ძვირფასო რძალო! ბიჭი წამოგეზარდათ, _ მამიდა შემოევლოს მაგას. ამ ერთი ციცქნა ოთახში აპირებთ რძლის მოყვანას? ხვალვე მიდი აღმასკომში. დადექი ბინის აღრიცხვაზე, შემდეგ ეს აღრიცხვა გადაიტანე კოოპერაციულ ბინათმშენებლობაზე, რითაც მოიგებ დროს და 2-3 წელიწადში სამოთახიანი ბინა შეგრჩებათ. თუმცა, 12 საათზე მეც მოვალ, იქ კარგი ნაცნობი მყავს...

თალია «ნაჩალნიკს” განსაცვიფრებელი ორგანიზატორული უნარი გააჩნდა. ყოველ ახალ წელს და მის მომდევნო დღეებში _ძველით ახალ წლამდე, დედმამიშვილები მორიგეობიოთ იკრიბებოდნენ ერთმანეთის ოჯახებში. ეს ტრადიცია მან დაამკვიდრა. ასევე ორგანიზებულად იკრიბებოდნენ დაბადების დღეებზე, თუ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე. ცოლ-შვილიანად, ხალისით, სიყვარულით, სიხარულით ავსებდნენ არე-მარეს, იყო სიცილი, მოფერება_დალოცვა, იუმორი, სიმღერები. ხშირად სუფრაზე მხოლოდ ლობიო, მჟავე, მწვანილი და ღვინო გვქონდა, მაგრამ ისმოდა გიტარა-მანდალინის და ფანდურის ხმა. სიმღერებიდან მახსოვს: «სულიკო», «ციცინათელა», «მოხევის ქალო თინაო», «იმერული მგზავრული», «სანთელივით დავდნები», «ზესტაფონო გშორდები», «ნასესხებ ფულით გამოგზარდე შვილო ვანიჩკა», «მე რომ ვლოთობ, შენ რას გიშლი ძმობილო», მრავალჟამიერის მრავალი ვარიანტი, «დალიე, დალიე, სულ დალიე, დალიე»...

მამიდას მეზობლები ხუმრობდნენ: _ყველანაირი ჯიშის და ჯილაგის ხალხი გვინახავს, მაგრამ გაჩეჩილაძეებისთანა საოცარი, ან მათი მსგავსი არაო. ეს რა ხშირი, გაუთავებელი ლხინი იციანო და იქვე დააყოლებდნენ: _უფალმა დაგლოცოთ, ერთი-მეორის სიყვარული ნუ მოგიშალოთ ღმერთმაო...

მამიდასთან ძირითადად ვიკრიბებოდით შაბათ-კვირას. დაღამებას ვერ ვგრძნობდით. თუ ცუდი ამინდი იყო ან გვიანი ღამე, იატაკზე გაიშლებოდა ლეიბები, ოცამდე სული გავგორდებოდით ორ მცირე ოთახში და ასე ჩახუტებულებს გვეძინა ერთად. დაუვიწყარი, ბედნიერი დრო იყო, განუმეორებელი....

მამიდა ახლობლებთან გამართულ შეკრება-ნადიმს არ გამოტოვებდა და აუცილებლად წარმოთქვამდა საპროგრამო სიტყვას_დახვეწილი ქართულით, რასაც ყველანი სულმოუთქმელად ველოდით. არც ავადმყოფებს ივიწყებდა. თუ ვინმე მოხვდებოდა საავადმყოფოში, ან ბინაში იწვა, თითქმის ყოველდღე უმზადებდა ქათმის ბულიონს, შეურჩევდა ხილს, რძის პროდუქტებს და გვიან საღამომდეევლებოდა თავს. დღესაც მიკვირს, როგორ ასწრებდა ყოველივეს. იგი ქართულ ენას და ლიტერატურას ასწავლიდა. რვეულები გასასწორებლად შინ მიჰქონდა და გათენებამდე ასწორებდა. მამიდა იყო ლენინის რაიონის განათლების განყოფილების გამგეც.

1960-იან წლებში ვესტუმრე, გაეხარდა: _კარგი ბიჭი ხარ, საჭირო ადგილას და საჭირო დროს მოხვედი. ერთი კარგი ღონისძიება მაქვს ჩაფიქრებული: ჩემი და-ძმა გარეთ, ჰაერზე

უნდა გამოვიყვანო, თორემ შინ ჯდომით კვერცხებს გამოჩეკენ. შენ უნდა დამეხმარო: შაბათს ჩვენი რამაზიკო თამაშობს სპექტაკლში, გაიქეცი, ჩემი სახელით მიდი რუსთაველის თეატრის სალაროში და შაბათისათვის თხუთმეტი ბილეთი იყიდე. აი ფული, ფურცელზე ჩამოწერილი სიით დაურიგე ბილეთები ჩემ და-ძმასო.

მამიდას არ გამორჩებოდა რაიმე სიახლე კულტურის დარგში. თავის და-ძმებთან ერთად ყოფნა მას არნახულ სიამოვნებას ანიჭებდა. ასეთნაირად ვნახეთ ოპერები: «აბესალომ და ეთერი», «დაისი», «აიდა»; ბალეტები: «ლაურენსია», «მთების გული», «ოტელო»; სპექტაკლები: «ესპანელი მღვდელი» «ჭინჭრაქა», «ხანუმა», «მეფე ლირი»... კინოფილმები: «დარიკო», «არსენა», «გიორგი სააკაძე», «გაზაფხული საკენში» და სხვ.

თალიკო მამიდა მორწმუნე იყო. თავისი მოძღვარი ჰყავდა დიდუბის ეკლესიაში. შინ ჰქონდა ხატების კუთხე, ხშირად აკეთებდა საკურთხს, ანთებდა სანთლებს, ლოცულობდა. პირადად იცნობდა პატრიარქს. იგი საოცრად ახლოს იცნობდა გაჩეჩილაძეების საგვარეულოს. პირადი კონტაქტები ჰქონდა თავის თანატოლებთან და უფროსებთანაც. ახარებდა მათი წარმატებები, ულოცავდა. მრავალი მათგანი პირადად მინახავს მამიდას ბინაში. ესენი იყვნენ პროფესორები: ხითო ივანეს ძე და გივი რაჟდენის ძე, მაყვალა და გივი (კურკიები), საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ჭადრაკში _ გიგლა გაჩეჩილაძე, რძლის ძმა _ აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, მამიდაშვილები: ცნობილი ქირურგი, პროფესორი ავთანდილ კუტუბიძე, სოფლის მეურნეობის მინისტრი _პროფესორი ბიძინა იაკობაშვილი, მებაღეობა-მევენახეობის ინსტიტუტის დირექტორი _პროფესორი გიორგი (ჟორა) აბესაძე, ბიძაშვილი _ მომღერალი და მსახიობი ელენე გაჩეჩილაძე და მისი მეუღლე _ პროფესორი გრიგოლ (გიგიშა) ჩხიკვაძე და სხვა. მამიდას უამრავი ნაცნობი ჰყავდა. სადაც კი წავიდოდა _ სტუმრად თუ დასასვენებლად, ყველა _ მასპინძელი, დამსვენებელი თუ დირექცია-პერსონალი, მისი მეგობარი ხდებოდა. ასობით ფოტოს ინახავდა, უმეტესობის ტელეფონის ნომერი ზეპირად იცოდა. არც ყვავილები გამორჩებოდა და არც საჩუქარი. პატარასთან საჩუქრის გარეშე არ მივიდოდა.

მამიდა, რძლების გასაგონად, ხშირად ამბობდა: ქალის სარკე, მისი სახელი, თავმოყვარეობა, პატიოსნება ის არის, თუ როგორი მოვლილი ჰყავს ქმარ-შვილი, როგორი დაკრიალებული აქვს სახლი და, იმავდროულად, როგორი მოწესრიგებული ჰყავს თავისი თავიო. ამ მხრივ რძლები სულ «სმირნაზე” ჰყავდა...

თალიკო მამიდას ჰქონდა გასაოცარი ფანტაზია და იუმორის გრძნობა. და-ძმებს შორის მრავალი დიალოგი მახსოვს. მოვიყვან ერთს: ბაბუამ, სოფელ წევიდან, მამიდას მისამართზე გამოგზავნა დეპეშა: _ ცოცხალს ჩამომისწარითო. მამიდამ ოცდაათამდე დიდ-პატარა შეგვკრიბა: _ წავიდეთ მატარებლით, მშობლებიც გავახაროთ და წევა-წეველებსაც მოვესიყვარულოთ, ჩიტებო! ბუდე არ მოგენატრათ? _ასეთნაირად მოგვმართა.

ვაგონი გავავსეთ... ჩავედით. კლდეკარას ავცილდით და კობახოურის ფერდობს შევავლეთ თვალი. პიტალო კლდეზე აქა-იქ შემორჩენილა რცხილის ბუჩქები და ეკალა-მაყვლის ბურდები. გაიხსენეს ბავშვობის პერიოდში ჩადენილი ოინები: _ ეჰ, აქ რა აყვავებული ბაღ-ვენახები იყო; რამდენჯერ მომიპარავს თითა ან კრახუნა ყურძენი, წითელი თუ თეთრი ბლები, თხილი, გულაბი, ბერძულა ლეღვები...

მხოლოდ ენაკვიმატი პალუშა ბიძია არ იღებდა ხმას. მამიდამ ვეღარ მოითმინა: _შენ, რა, ბავშვობა არ გქონდა? მინაგოს ვირი ხანდახან მაინც ყროყინებს, შენ რამ დაგადუმაო.

_დაიკო, მოგონებებში ჩავიძირე, რამდენჯერ შევპარულვარ ბალზე. ორ კილომეტრიან წრეს ვაკეთებდი, კრახუნა რომ მეგემა, თანაც ღამით. ახლა გულაბი, ლეღვები? კომუნისტების და მარქსის დედა ვატირე! მე მაგათი ასე და ისე... გულიანი გინებით გული იჯერა პალუშა ბიძიამ. თალიკო მამიდამ სიცილით მიმართა: ბიჭო, რა შუაშია მაგ დაწყევლილები? ნუ აგინებ _გამრავლდებიანო. _ აბა, ვინაა შუაში? ამ ფერდობზე ხუთი მილიარდი წელიწადი

იყო ნოყიერი ნიადაგი, ტყეები და შემდეგ ბაღები. რაღა მაგათი ბატონობის დროს გაქრა? _ ასე იმიტომ მოხდა, რომ ხალხს იძულებით ჩამოართვეს ნაკვეთები. უპატრონო ყანა-ბაღებში გადავარდა ნიაღვარი და თანდათან ჩარეცხა ფერდობი. წევა და კულაკი? ხუთ წელიწადში სამი გვალვიანია, _ ნაღვლიანად წარმოთქვა პალუშა ბიძიამ და კიდევ ერთხელ გულიანად შეაგინა კომუნისტებს. მამიდამ, ჩვენ გასაგონად, წარმოთქვა: _ ხედავთ, პალუშა როგორ დაგვშორდა? ხედავთ, სად იყურება? საცოდავი, ხუთი მილიარდი წლით არის უკან! არიქა, დაქოქეთ ვინმემ და აქეთ გადმოწიეთ, თორემ სასტიკად ჩამორჩა, თვითონაც აღიარებს _ ჩავიძირეო!...

მივედით შინ. ბებია შემოგვეგება. ბაბუა ავად იყო, იწვა. ყველანი შევლაგდით ოთახში. შემდეგ, რაისა მამიდამ ყველა გამოგვყარა აივანზე და ბაბუა გასინჯა. ბაბუამ მხოლოდ თალიკო მამიდა მოიხმო. ილია ბიძია აქტიურობდა: მამაჩვენს ალბათ უამრავი ოქრო აქვს გადამალული და გაგვიყოფს, ნეტავ ვის დაუტოვებს ბევრსო. ხის სახლი იყო... მამიდამ მოისმინა ილიას ნათქვამი და გამოვიდა თუ არა აივანზე, ილიას მიმართა:_უნდა გახარო! ყველაზე მეტს შენ გიტოვებს, _ილია მეცოდება, ღარიბია, თან ორი გოგონა ჰყავსო. ილია ბიძიას სახე გაებადრა და შეეკითხა: _რას ან რამდენს მიტოვებს? ჩქარა მითხარიო!

_ილარიონ! ჩემო ძამიკო, შენ გიტოვებს, გიტოვებს, გიტოვებს... აყვავებულ საქართველოს, _სიცილით წარმოთქვა მამიდამ და განაგრძო: _ჩვენ ერთი-ორი შვილის გაზრდა გვიჭირს. მან, მღვდელმა, კომუნისტების ხელში, ცხრანი გაგვზარდა. გახსოვს, სავსე ტომარა სიმინდის ფქვილი სამ-ოთხ დღეში იცლებოდა, თითოს ორი წყვილი ფეხსაცმელი რამდენია წელიწადში? _18 წყვილი, ასევე, ათასი სხვა... რაღა უნდა დაეგროვებინა საცოდავ მამაჩვენს? ახლა ფული მომეცი, ყოველთვე 100 მანეთი, დედაჩვენს უნდა ვუყიდოთ ის ოქროულობა, რაც ჩვენი სწავლისთვის გაყიდა. ფერწასულმა ილიამ უკან დაიხია. ვხარხარებდით...

მამიდას გვერდში ედგა, გაჩეჩილაძეებზე თანგადაყოლილი, სიტყვაძუნწი და დარბაისელი ვაჟკაცი, _შალვა ნადირაძე. მამიდას უყვარდა ქმრის ნათესვები და სოფელი ჩიხა, _საჩხერის რაიონში. იქ სახლიც კი ააშენა. მრავალ ნადირაძეს დაეხმარა პროფესიის არჩევაშიც და სამსახურში მოწყობაშიც. მამიდამ სანიმუშო ოჯახი შექმნა, რითაც ამაყობდა. მას მზე და მთვარე ამოსდიოდა თავის შვილ _ზურაბზე, რძალ _ თამარ ნატრიაშვილზე, შვილიშვილებზე _მერაბზე და დავითზე.

ცხოვრობდა ამჟამინდელ თევდორე მღვდლის ქუჩაზე, ძველთბილისურ ეზოში. იქ ერთი პატარა სამეზობლო უბანი ჩამოაყალიბა, სადაც ურთიერთსიყვარული, განსაკუთრებული ფაქიზი მეზობლობა, მეგობრობა-სიახლოვე სუფევდა ქართველებს, ებრაელებს, რუსებს, უკრაინელებს, სომხებს და ქურთებს შორის. ვინც კი ეცდებოდა დაერღვია ეს ჰარმონია, საქმე ექნებოდა თალია «პროკურორთან». იგი ყველას ქომაგი _»ბებია” იყო. დაფეთებულ-გადაფარებული იყო თავის ახლობლებზე, თითოეულ ჩვენგანზე ჰქონდა ამაგი. ჩემს ერთ-ერთ გამზრდელად მას ვთვლი. გული მწყდება, რომ სიცოცხლეში ვერ მივაგე საკადრისი პატივი _დიდ ვალში დავრჩი...

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, სამსახურში დამირეკა: ხომ არ დაგავიწყდა მამიდა რომ გყავს? დღეს აუცილებლად შემოიარე, გელოდები, რაღაც მინდა გითხრაო.

სამსახურში რა გამაჩერებდა. სასწრაფოდ მივაშურე, მივესიყვარულე. თვალებში შიში და ნაღველი შევამჩნიე, ავფორიაქდი. შემატყო და წყნარად, სიყვარულით გამესაუბრა, თან სულ თვალებში მიყურებდა. _შვილო გურიკო! დავბერდი! ცალი თირკმლით კიდევ დიდხანს დავფოთიალობ ამ ქვეყნად. ჩვენ სახელოვან წინაპრებს დიდებული გმოთქმისთვის მიუგნიათ, ერთ სიტყვაში ჩაუტევიათ მთელი პოემა. ეს სიტყვა არის «წუთისოფელი», რაც მთელ ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას ნიშნავს. ნაკითხი ხარ და გამიგებ: «წუთისოფლის სტუმრები ვართ, ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება»...

წნევა მითამაშებს ძალზე საეჭვოდ, ხან ძალზე მაღლა იწევს, ხან, სასწაულად, მინიმუმამდე ეცემა. დღეს მკურნალ ექიმს მივაკითხე, კიდევ ერთხელ გამსინჯა, ანალიზების პასუხები ნახა და მის თვალებში ელდა, შიში ამოვიკითხე. მგონი, მოვიდა ჩემი დროც. მზეც კი არ არის მუდმივი...

ერთი დიდი თხოვნა უნდა შემისრულო! მისმინე მთელი გულისყურით: ერთადერთი შვილი მყავს _ჩემი ზურიკო, ჩემი ჟამი როდესაც დარეკავს, გვერდით დაუდექი! არ შეშინდეს და არ გატყდეს. გაამხნევე, არ მიატოვო ერთი წუთითაც კი...

მამიდამ იცხოვრა შინაარსიანად. მისი სახელოვნად გავლილი გზა მსგავსია მისი თაობის მრავალი იმ წეველის მიერ გავლილი გზისა, რომლებიც შემდეგ დამკვიდრდენ დედაქალაქში. წავიდა ვალმოხდილი, ყველა ჩვენიანის დამრაზმავი, დუხჭირ ცხოვრებაში გამობრძმედილი, მუდამ შემართული, ხალისიანი, სიყვარულისთვის გაჩენილი, ბრძენი ქალბატონი _ ჩვენი თალია «ნაჩალნიკი». დაგვაკლდა საყვარელი და ძლიერი პიროვნება _ ჩვენი იმედი. გამოგვეცალა დედაბოძი! გარდაიცვალა 1977 წელს, დაკრძალულია კუკიის სასაფლაოზე.

უფალო! აცხოვნე მისი სული, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მელანო ვასილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) **

დ. 1938 წ.

მათემატიკოსი-ინჟინერი... (გორი).

დაუვიწყარი მოგონება

დავიბადე 1938 წ., სოფ. წევაში. ჩემი ბავშვობის მოგონება იწყება 1944 წლის დეკემბრის მოვლენებით, როდესაც ჩვენი სოფელი გადაასახლეს ახალციხის რაიონის სოფ. ზიკილიაში:

მოსახლეობა ურმებით წამოიყვანეს. ბავშვები ვერ ვხვდებოდით, რატომ ტიროდა ყველა მოზრდილი,_ ქალი და კაცი. ბავშვები ჩუმად ვიყავით. გაურკვეველი სიტუაციით გაოგნებულები, ხმას ვერ ვიღებდით.

სატვირთო მატარებლის ვაგონებში მოგვათავსეს, ზოგში ორი, ზოგში სამი ოჯახი. როცა წამოვიზარდე და მიყვებოდნენ, მერე გავაცნობიერე, რაც მოხდა...

ადგილზე საღამო ხანს ჩავედით. დაგვაბინავეს სკოლის შენობაში, რომელიც სოფლის ცენტრში მდებარეობდა. მეორე დღეს დაარიგეს იმ ბინების ნომრები, სადაც უნდა შევსახლებულიყავით.

სოფელში სახლების უმეტესობა მიწური იყო. სახურავიც მიწით ჰქონდათ დაფარული. მხოლოდ სამი თუ ოთხი ნამდვილი _სახურავიანი სახლი იდგა. საშინლად ციოდა. ბღაოდა უპატრონოდ მიტოვებული საქონელი. ყეფდნენ ძაღლები. უფროსებს ეშინოდათ _ბავშვები ძაღლებს არ დაეკბინათ. ხალხი ვერ იტანდა იქაურ სიცივეს (ბავშვებს და დიდებსაც დაემართათ «ციება". ერთ ოჯახს ბავშვიც კი გარდაეცვალა ყველას თვალწინ. _ბავშვი და დედა მთელი ღამის განმავლობაში ტიროდნენ, მაგრამ ვერავინ უშველათ), ვერ ეგუებოდნენ საცხოვრებელ პირობებს, იქაურ წყალს (ახლო მანძილზე ნორმალური სასმელი წყალი არ იყო. ამ სოფლის წყაროს წყალი მარილიანია...).

სამი თუ ოთხი წლის შემდეგ, მამაჩემი და ერთი მეზობელი ფეხით გადავიდნენ მთაზე _ჩვენს ძველ სოფლამდე. იქ ახალაშენებული სახლი გვქონდა დატოვებული.

მამა გვეუბნებოდა: _ჯერ მე წავალ და მერე თქვენც წაგიყვანთო. _მოკლე ხანში მილიციამ ჩამოიყვანა და გააფრთხილეს: _თუ კიდევ წახვალთ და ხალხს «ააბუნტებთ”, ციხეში ჩაგსვამთო. _რაღას იზამდნენ, შეეგუენ ბედს.

იმერელი კაცი როგორ გაძლებდა ვაზის გარეშე. გააშენეს ვაზი. გაყინა. შემდეგ მოიფიქრეს: შემოდგომით ამობარავდნენ მიწას და მარხავდნენ ვაზის ლერწს. ასე მოაშენეს ვენახი, ჯერ რამდენიმე ოჯახმა, მერე სხვებმაც; გამოიყვანეს წყალი; ააშენეს სახლები; მიწურში აღარავინ ცხოვრობს; შეეგუენ იქაურობას; დაიზარდნენ ახალი თაობები...

მე არასოდეს დამავიწყდება ის ამბავი: დაცარიელებული სოფელი, აწიოკებული და, ატირებული ხალხი. ჩემი მეხსიერება იმ დროიდან იწყება. ღმერთმა ინებოს საქართველოში მშვიდობა და მოსახლეობის დაწყნარება.

2008 წ.

ლილი ვარლამის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) *

დ. 1943 წ.

ეკონომისტი... (თბილისი).

სოფელი ტკბილად მოსაგონარი

ჩემი ბავშვობა დაახლოებით ათი წლის ასაკიდან მახსოვს.

სკოლიდან დაგვითხოვდნენ თუ არა, დედაჩემი მე და ჩემს ორ უმცროს ძმას მაშინვე ბარგს ჩაგვილაგებდა და თავის მშობლიურ სოფელში, რომელიც ჩემი მოგონებების საუკეთესო ადგილია, გაგვამგზავრებდა. სოფელი ხარაგაულის რაიონში მდებარეობს და ღვერკი ჰქვია.

მატარებელი, რომლიც ღამით გადიოდა, არ მომწონდა, რადგან ფანჯრიდან ვერაფერს ვხედავდი. დილით ადრე სოფ. ლაშეს პლათფორმაზე ჩამოვბარგდებოდით და იწყებოდა ჩვენი სიხარული:

სადგურზე ჩემი ბიძაშვილ-მამიდაშვილები გვხვდებოდნენ და სიცილ-კისკისით ავუყვებოდით ხოლმე «ციხის ყელის» აღმართს, რომელიც ღვერკისკენ მიდიოდა. დაახლოებით ოთხკილომეტრიანი გზა სულ ტყიანი იყო, ასე რომ, სოფელში ისე ავდიოდით, მზე არ გვაწუხებდა.

სოფელში, სადაც ჩემი ბებია (დედის დედა) და მამიდა (მამიდაც იმ სოფელში იყო გათხოვილი. დედაჩემი მას აურჩევია თავისი ძმისათვის საცოლედ) ცხოვრობდნენ, მეზობლები გამოგვეგებებოდნენ, და მთელი გულით გვეფერებოდნენ ხოლმე. ჩემი ბებია, ანეტა, ღორეშელი მჭედლიძის ქალი, მოხუცი, მრავალ ჭირგამოვლილი, მაგრამ ძალიან ჭარმაგი ადამიანი იყო. ბაბუა ლუკა მე არ მახსოვს, იმიტომ, რომ იგი თავისი ვაჟიშვილისა და შვილიშვილის უბედურებას გადაჰყოლია... უკაცოდ დარჩენილი ოჯახის დამხმარე ჩემი მშობლები იყვნენ.

ბაბუა ბებიაზე ბევრად უფროსი ყოფილა _კარგი მოქეიფე და ენამჭევრი. ჰყვარებია ცეკვა და სიმღერა, გიტარაზე კარგად დაკვრა და კარგი თამადობა სცოდნია.

ერთხელ, ღორეშაში ქორწილში ყოფნისას, ერთი გოგონა მოსწონებია. ორი კვირის შემდეგ, მეგობართან ერთად ასულა ცხენით ღორეშაში, იმ გოგონას მშობლებთან, მაგრამ ქალი გათხოვილი დახვედრია. აუტეხია ერთი ამბავი, _ «მე, ლუკა ხარატიშვილი, სახლში ქალის გარეშე არ დავბრუნდებიო». _ეზოში დაუნახავს ბებიაჩემი, რომელიც იმ გოგოს და ყოფილა და მშობლებისთვის უთხოვია ეს თორმეტი წლის გოგო. შემოუსვამს ცხენზე და მოუყვანია

ოჯახში დედისათვის. დედას ოთხი ვაჟი ჰყოლია. გოგონა ისე მიუღია, როგორც თავისი ქალიშვილი და თექვსმეტ წლამდე თავის გვერდით იწვენდა, თურმე. შემდეგ, ბებიამ სამი შვილი გააჩინა _ ერთი ვაჟი და ორი ქალი. ძალიან ტკბილი და მხიარული ოჯახი შეუქმნიათ, ბებია ყველასათვის სასიქადულო და საყვარელი რძალი ყოფილა. ეს ყველაფერი მეზობლის მოხუცი ქალებისაგან მაქვს მოსმენილი.

ჩემი ანეტა ბებია ქვეყანას მერჩივნა. (დედაჩემი ეჭვიანობდა კიდეც, – ჩემზე მეტად ბებია გიყვარსო). იგი სოფელში ყველას ბებია იყო. იცოდა ექიმბაშობა: _ბალახებით მკურნალობა, შელოცვები. ბებიასთან ცხოვრობდა ჩემი ქვრივი ბიცოლა, თავისი სამი შვილით და ქვრივი დეიდა, თავისი ერთი ქალიშვილით. ამავე სოფელში მცხოვრები, ჩემი მამიდა ანა და მისი მეუღლე გერესიმე ექვს თავიანთ შვილს და გერესიმეს ორ ობოლ ძმისშვილს ზრდიდნენ. ასე რომ, ბავშვები არც სანათესაოში გვაკლდა და არც სამეზობლოში. ბებიას დიდ ეზოში იყო ერთი აურზაური. იქ ყველანაირი ხეხილი ხარობდა: ტყემალი, ბალტყემალა, ალუჩა, ქლიავი, ღოღნაშო, ჭანჭური, მსხალი, ვაშლი, კაკალი, თხილი, ზღმარტლი... ეზო უამრავი ფერის ყვავილებით იყო «მოხატული”. ეზოს თავში, დიდი კოპიტის ძირში, გამართული იყო ჭურ-მარანი. გვერდით კი საოცრად ლამაზი და კოხტა ბოსტანი, სადაც, ყველანაირი მწვანილისა და კიტრ-პამიდორის გარდა, იდგა ფუტკრის დიდი სკები, რომლის მომვლელი და ბატონ-პატრონი ბებია იყო. ჩვენ რომ ჩავდიოდით სოფელში, სკებს მაშინ გახსნიდნენ ხოლმე. იყო ერთი გნიასი და ტირილი ფუტკრით დაკბენილი ბავშვებისა, რომლებიც ვერ ითმენდნენ და თაფლში თითებს სტუცავდნენ ხოლმე.

სოფელს ჩაუდის, დიდ ლოდებიანი, პატარა მდინარე –ყარნება, რომელიც მდინარე ჩხერიმელას უერთდება. ბავშვები, დილით საქონელს რომ გავრეკავდით საბალახოდ, მდინარის ნაპირას ვთამაშობდით: «ჩილკა ჯოხს», «ორდროშობანას», «შვიდ ქვას», «გრძელ ვირს», «ლახტს» და ა.შ.. მდინარეშიც ბევრს ვჭყუმპალაობდით. შევაგუბებდით ხოლმე მდინარეს, უფროსი ბიძაშვილ-მამიდაშვლების დახმარებით, და ვცდილობდი ცურვა მესწავლა.

მდინარის ერთი ტოტი გადაგდებული იყო არხით ჯერ წისქვილში, შემდეგ კი აუზში, საიდანაც ჩანჩქერივით გადმონადენი წყალი ამუშავებდა პატარა ელექტროსადგურს, რომელიც ოთხ სოფელს ანათებდა. ამ ელსადგურის «ბატონ-პატრონი» და მოსამსახურე ჩემი მამიდის ქმარი, გერესიმე ბიძია იყო. აუზი, რომლის წყალიც ელსადგურს ამუშავებდა, სიგრძით დაახლოებით 20 მეტრი იყო, სიგანით 10 მეტრი, სიღრმე კი, ალბათ, 3 მეტრი ექნებოდა. იქ უფროსი ასაკის ბავშვები ცურაობდნენ. პატარებს ახლოს არ გვიშვებდნენ. ერთხელ, ჩემი უფროსი ბიძაშვილი იწვა ამ აუზის კიდეზე და მზეზე ირუჯებოდა. მე მივედი და ვთხოვე, _მეც მასწავლე ცურვა-მეთქი, _იმან კი ხელი მკრა და აუზში გადამაგდო. თან ყველა გააფრთხილა, _არ მიეშველოთო. –თავიდან ძალიან შემეშინდა, მეგონა გული გამისკდებოდა, ავფართხალდი და ვიგრძენი, რომ არ ვიძირებოდი. რითმულად ავამოძრავე ხელ-ფეხი და მივაღწიე ნაპირამდე. ამის შემდეგ, აუზში ცურვა აღარ გამჭირვებია. ჩემი ტოლი გოგონები შურით სკდებოდნენ, მაგრამ აუზში ჩამოსვლას ვერ ბედავდნენ.

ხეზე ასვლა არ მიყვარდა. ჩემი დეიდაშვილი, ციცო, კი კატასავით მარდად აძვრებოდა ხოლმე მამიდაჩემის ალუბლის ხეზე. აიტანდა ჭიქას, იქვე გამოწურავდა ალუბალს წვენს და ჩამომიტანდა. მეც სიამოვნებით გადავყლაპავდი ხოლმე. ხელების დაბანა არავის აზრადაც არ მოგვდიოდა და არც არასდროს წამოგვტკივებია მუცელი.

საღამოობით, სოფლის წყაროსთან, დიდი კაკლის ხის ქვეშ იკრიბებოდა ახალგაზრდობა. დოლ-აკორდეონის ხმაზე, სულ ცეკვა-ცეკვით გავრბოდით წყაროსკენ, სადაც წყვილებიც გამოჩნდებოდნენ ხოლმე. იყო ლექსების თქმა, სიმღერა, ცეკვა-თამაში. პატარებს ცალკე ადგილი გვქონდა, რომ მოგვბეზრდებოდა უფროსების ყურება, ჩვენთვის ვერთობოდით.

ერთხელ, ბებიამ საქონელი მარტო მე გამატანა საბალახოდ. უფროსი ბავშვები ყანის სათოხნად წაიყვანა. მე კი დამაბარა, _ აბა შენ იცი, როგორ მოუვლი საქონელსო. _ გზადაგზა დავუძახე ჩემს მეგობრებს და გავემართეთ «პწკილოურის ტყის» პირისაკენ, სადაც ჩვენი მდინარე ყარნებაც მოღელავდა. საქონელი მივუშვით თავის ნებაზე, ჩვენ კი შევყევით თამაშს, მდინარეშიც კარგა ხანს ვიბანავეთ და მერეღა გამახსენდა საქონელი. ჩავიცვი და შევეხმიანე ჩემს საქონელს, მაგრამ ვერცერთს ვერ მოვკარი თვალი. დავიწყე ტირილი. ვთხოვე დახმარება მეგობრებს. მათ კი სიცილი «დამაყარეს" _შენი საქონელი ახლა უკვე სახლში იქნება მისულიო. _ამაზე სულ გავცეცხლდი, გავებუტე ჩემს მეგობრებს და სახლისაკენ მოვკურცხლე, მაგრამ, საქონელი სახლში მისული არ დამხვდა და გულამოსკვნით ავტირდი. ბებიამ დამამშვიდა: _ნუ გეშინია, შორს არ წავიდოდნენ, ახლა ჩვენ წავალთ და მოვძებნითო. _მე სახლში რა გამაჩერებდა, გავყევი მათ და შუა გზაც არ გვქონდა გავლილი, დავინახე, საქონელი ჭკვიანად მოსეირნობდა სახლისაკენ, უკან კი ჩემი მეგობრები მოჰყვებოდნენ, თავიანთ საქონელთან ერთად.

ამაზე მერე ბევრს იცინოდნენ: ქალაქელმა სახლს ძლივს მიაგნო, საქონელი მასზე ადრე დაბრუნდა სახლშიო.

ჩვენს მეზობლად, კოლმეურნეობას, სადაც ჩემი ბიცოლა მერგოლურად მუშაობდა, ვენახი ჰქონდა გაშენებული. ყურძენი საადრეო პინო იყო და, შეთვალდებოდა თუ არა, ბავშვები შევძვრებოდით ხოლმე ვენახში და მარცვალ-მარცვალ ვკიმპლავდით. ამ ვენახს ჩემი ბიცოლას რგოლი უვლიდა. ჰყავდათ მეველეც, რომელიც დარაჯობდა, რათა ვინმეს ყურძენი არ მოეპარა.

ერთხელ, დიდ ბიჭებთან ერთად, ჩემი ძმებიც შემძვრალან ვენახში და დაუკრეფიათ მტევნები; ამ დროს დაიძახეს: _მეველე მოდისო და ყველა გაიქცა. ჩემი პატარა ძმა კი გაეჩხირა ეკლიან ღობეში და ყვიროდა: _მიშველეთო. _მეველეს დანახვაზე ძალიან შეშინდა. _შენც იპარავდი ყურძენს? ვისი შვილი ხარო? –შეეკითხა მეველე. მან კი ჯერ ხმა ვერ ამოიღო, მერე კი ამოილუღლუღა _ მე-მე-მე...თბილისელი ვარო. – მაშინ შენმა მშობლებმა ორმაგად უნდა გადაიხადონო, მანამდე სახლში არ გაგიშვებო. _ გასკდა ბავშვი ტირილით. ეს ამბავი ბებიას ყურამდეც მივიდა და წავიდა მისაშველებლად. – ბებია მოდისო! მიეცა გული საწყალ ბავშვს, მეველეს აღარ შეეპუა და გამოქანდა ბებიასკენ. ბებიამ უთხრა: ახლავე უკან გაბრუნდი, ბოდიში მოუხადე ბიძიას და შეპირდი, რომ აღარასოდეს არაფერს მოიპარავო! _მეველემ მიიღო მისი ბოდიში და დაარიგა: როცა ყურძენი დამწიფდება, მოდი, მთხოვე და, რამდენიც გინდა, გაჭმევო.

ასე დამთავრდა ეს პატარა კურიოზული ამბავი, _»სამართალმა პური ჭამა"... მრავალი ასეთი კურიოზი მაქვს გამოვლილი, მაგრამ ამის მოყოლა ვიღას სჭირდება... დღეს, XXI საუკუნეში, კომპიუტერიზაციის ბუმია, დაწერილის წაკითხვა აღარავის სურს და ვერც მოსთხოვ... ეს მოგონებები, შეიძლება, ჩემი ოჯახის წევრებმაც კი არ წაიკითხონ ბოლომდე, მაგრამ მე მაინც დავწერე, იმიტომ, რომ სოფელ ღვერკში გატარებული ბავშვობის დღეები ჩემთვის ყველაზე უფრო ნათელი, ლაღი და უდარდელი იყო. დღეს კი ტირილი მინდა, იმიტომ, რომ ეს მშვენიერი სოფელი თითქმის დაიცალა. აქა იქ თითო-ორორა მოხუცღაა დარჩენილი. ჩემი ახლობლების უფროსი თაობა აღარ არის ამქვეყნად. მათი შთამომავლები კი, ზოგი ლაშეში ჩამოსახლდა _რკინიგზასთან და სამანქანო გზასთან ახლოს, ზოგი ქალაქებში გადასახლდა და დარჩა ჩემი ღვერკი, თავის მაცხოვრებლებით, ჩემი ბავშვობის ყველაზე სანატრელ და საყვარელ მოგონებად.

2008 წ.

თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძე (ლობიო) *

დ. 1941 .წ.

გამოჩენილი ქორეოგრაფი... (თბილისი).

როგორ «გავხდი» წეველი

ამბობენ დედა-შვილის სიყვარული განუმეორებელიაო, მაგრამ, მამისა და ვაჟიშვილის სიყვარულსაც თავისებური ელფერი დაჰკრავს. მამა თავის ვაჟიშვილში ხედავს თავის სახეს, თავის მომავალ მემკვიდრეს, გვარის გამგრძელებელს. ის დიდი იმედით შეჰყურებს მას, ზრდის მის სტილში, ცდილობს ყველაფერი კარგი და საუკეთესო ჩანერგოს მასში. ზოგი ცდილობს მატერიალურად უზრუნველყოს შვილის მომავალი, რითაც, რასაკვირველია, მას ცხოვრებაში სამოქმედო ასპარეზს უკვეცავს, მაგრამ რას იზამ, ყველას თავისი მიდგომა აქვს ამ მიმართებით.

ასევე იყო შეყვარებული ჩემზე მამაჩემი _ ივანე იპოლიტეს ძე გაჩეჩილაძე. მე მისგან უბრალო მოფერებაც კი არ მახსოვს, თუმცა, არც ფიზიკურად დავუსჯივარ, არც განსაკუთრებული და გამორჩეული შეგონებები მახსოვს მისგან. ის, უბრალოდ, მაგალითი იყო ჩემთვის – თავისი არსებობით, მოქმედებით მზრდიდა. იგი წესიერებით, განათლებით, ლიტერატურისა და ისტორიის ცოდნით გამოირჩეოდა და ქართული სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელიც იყო _დედაჩემთან ერთად თვითმოქმედ ანსამბლებშიც მღეროდა ახალგაზრდობაში და ლაურეატის წოდებებიც ჰქონდათ მოპოვებული. ბევრ ჩემ მეგობარს ძალიან უკვირს, საიდან ვიცი ამდენი ძველ-ქართული და ქალაქური სიმღერა, ისტორიული ამბები. ეს ჩვენი ოჯახის წევრებისა და მამაჩემის დამსახურებაა. შვილებს მისგან გადმოგვყვა ქართული სიმღერის ცოდნა და მადლი. იგი ქართული სუფრის მშვენიერი მცოდნეც იყო და მეგობრებიც სათანადო ჰყავდა. (სუფრაზე მოქცევა ხომ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს...). იყო მშვენიერი თამადა _გამორჩეული სიტყვითა და წესით.

როცა მოხუცდა (80 წლამდი მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა _ამიერკავკასიის ვეტერინარული სამმართველოს უფროსის მოადგილე გახლდათ) და, როგორც იტყვიან, ცხოვრებისგან დაილია, ლოგინს მიეჯაჭვა, დღითიდღე დნებოდა. ჩვენ, რასაკვირველია, ექიმობას არ ვაკლებდით, მაგრამ ცხოვრება თავისას თხოულობს... ერთხელ მითხრა: _შვილო მე შენ ვერაფერი გაგიკეთე და ვერაფერს გიტოვებო. _მის სიტყვებში რაღაც ბოდიშის მაგვარი გამოსჭვიოდა, თუმცა, მე ამ სიტყვებმა ძალიან გამაკვირვეს: იმ დროს მე ჩამოყალიბებული მამაკაცი ვიყავი. მქონდა საკუთარი ოჯახი, პროფესია და სამსახური, ხშირად დავდიოდი საზღვარგარეთ. ყოველი წასვლის წინ მამაჩემს ვეკითხებოდი: _ხომ არ მიღალატებ-მეთქი. ის მამხნევებდა და პირობას მაძლევდა, რომ ცოცხალი დამხვდებოდა. ერთხელაც, როცა მამა წევაში გვყავდა წაყვანილი დასასვენებლად, მივლინება ჩეხოსლოვაკიაში ძალიან გამიგრძელდა, როდესაც ჩამოვედი, მამა უკვე სამი დღის გარდაცვლილი დამხვდა. რასაკვირველია, სათანადოდ «გავაპატიოსნეთ». საყურადღებოა მისი ანდერძი: მას, თბილისელ კაცს, რომელსაც ნათესავების და მეგობრების უმეტესი ნაწილი თბილისში ჰყავდა, დაუბარებია, _წევაში დამკრძალეთო. _მე, რა თქმა უნდა, მინდოდა ჩემი მიცვალებული თბილისში მყოლოდა, მაგრამ მის ბოლო სიტყვებს ვერ გადავედი და შევასრულე მისი ანდერძი. რასაკვირველია, შეგვხვდა რაღაც წინააღმდეგობები, მაგრამ ყველაფერს სათანადოდ გავართვით თავი. ჭირისუფლებმა სოფელშიც და ქალაქშიც სათანადო პატივი მიაგეს მას. შემდგომში, როდესაც დედაც გარდაიცვალა, ისიც მის გვერდით დავკრძალეთ _»იარმუკის" სასაფლაოზე, წევაში. შემდეგ კი მოხდა, ალბათ, მამაჩემის მიერ წინასწარ ჩაფიქრებული რამ:_ ყოველ აღდგომას და კვირიკობის

დღესასწაულზე მე _ როგორც ქრისტიანი ქართველი, ჩავდივარ წევაში, მშობლების საფლავზე, რათა სათანადო ქართული წესი მივაგო მშობლების ხსოვნას. გავიცანი წეველი ნათესავები და მოგვარეები, დავუახლოვდი მათ, გავხდი მათი არა მხოლოდ შორეული, არამედ ახლობელი ნათესავი. ადგილობრივმა და თბილისელმა გაჩეჩილაძეებმა დამიწყეს «აგიტირება", რომ შემეძინა სოფელში სახლი. ბევრი ვარიანტი შემომთავაზეს. ბოლოს ერთ კარგ ბინაზე შევაჩერე ჩემი არჩევანი, მაგრამ, გამყიდველის მხრიდან, გარიგება არ შედგა.

ამ რჩევა-რჩევაში რომ ვიყავი, ერთ დღეს, ჩემთან თბილისში, სამსახურში მოვიდა ჩემი სიძე (მამაჩემის ძმისშვილის _ აზა გაჩეჩილაძის მეუღლე), ბრწყინვალე ადამიანი და, დიდი ბოდიშის მოხდით, შემომთავაზა შემდეგი: _ ჩვენ, საოჯახო კრებაზე (კრების შემადგენლობა: ჩემი ბიცოლა _ ლიდა, ბიძაშვილი _ აზა და სიძე _ თამაზ ალავიძე) ვიმსჯელეთ: _ რომ თენგიზს, როგორც ვხედავთ, ძალიან უყვარს წევა (ნეტა რომელ გაჩეჩილაძეს არ უყვარს) და ეს საგვარეულო კარ-მიდამო მას გადავუფორმოთო. რაღა სხვისი ფუძე გამართოს, აქაურობას მოუაროს, ორი ვაჟკაცი ჰყავსო... და ეს ყველაფერი, როგორც წესიერ იმერელ ხალხს შეშვენის, მოწოდებული იყო ჩემდამი ბოდიშის ფორმით: დაახლოებით ასე, _ «თუ შენ წინააღმდეგი არ იქნებიო".

მე, რასაკვირველია, უდიდესი სიხარულით მივიღე ეს საჩუქარი-შემოთავაზება. გავაფორმეთ სათანადო საბუთები ჩუქების სახით და ასე გავხდი წეველი. აწი მე მოვუვლი იმ ეზო-კარს. უკვე, 15 მეტრიდან წყალი ამოვიყვანეთ და ოჯახს სკუთარი ჭა აქვს. მამაპაპურ ჭურებში «კრახუნას" ყურძნის ღვინოც დავაყენებინე. არის მიწის პატარა ნაკვეთიც, რომლის დამუშავებაც მალე მოხდება და ვფიქრობ, რომელიმე ქართული კულტურა გავახარო. ახლა, დასავლეთის არცერთ ქალაქში ისე არ წავალ, რომ წევაში არ «ავიარო" და ერთი ღამე არ გავათენო ჩემიანებთან.

აი, ასე გავხდი წეველი! ა, მოდი ახლა ნუ გაიხსენებ ცხონებული მამაჩემის გადაწყვეტილებას წევაში დაკრძალვის თაობაზე. მან იცოდა, რომ, მშობლების იქ დაკრძალვის შემდეგ, როცა იქნებოდა, მე წევისკენ გავიხედავდი... სხვაფრივ კი, ალბათ, იქ ჩემი ხსენებაც არ იქნებოდა. ღმერთო, აცხოვნე მამაჩემის _ ივანე გაჩეჩილაძის სული. მაინტერესებს, მე თუ ვიქნები ასეთი მამა.

2008 წ.

ნათელა რაჟდენის ას. გაჩეჩილაძე (კრეჭია) **

დ. 1930 წ.

ექთანი... (თბილისი).

საქართველოს ყოველთვის მრავლად ჰყავდა და ჰყავს ისეთი ქალიშვილები, რომლებიც ძნელბედობისას თავის თავზე იღებენ ოჯახის გაძღოლის მთელ ტვირთს და, მიუხედავად ათასი ჭირ-ვარამის გადატანისა, ახერხებდნენ და ახერხებენ შეინარჩუნონ მხნეობა, პატიოსნება და ღირსება და პირნათლად მოიხადონ თავიანთი ვალი ოჯახისა და სამშობლოს წინაშე. ჩვენს საგვარეულო წიგნში არაერთი ასეთი ქალის (დედაკაცის) შესახებ არის მოწოდებული მოკლე ინფორმაცია, ერთ-ერთი მათგანია _ნათელა რაჟდენის ას. გაჩეჩილაძე (კრეჭია), რომლის ცხოვრების ისტორია განსაკუთრებით ტიპურია ბოლო პერიოდის საქართველოსათვის, ამიტომ მის ბიოგრაფიას შედარებით ვრცლად წარმოგიდგენთ.

(რედაქტორი).

ჩემი ცხოვრება

მაგონდება ჩემი ბავშვობის უმძიმესი წლები. მეორე მსოფლიო ომი... მამა ჯარში გაიწვიეს. დედას დავრჩით სამი მცირეწლოვანი ბავშვი, მეოთხეზე ფეხმძიმედ იყო. ფრონტზე რომ ვაცილებდით იმ დღეს, მამა ბავშვებს გვერდიდან არ მოგვცილებია. მე უფროსი ვიყავი მათ შორის და, უფრო მეტად, იმედს ჩემზე ამყარებდა...

მამა გვარიგებდა: _ აბა თქვენ იცით, რა ჭკვიანად იქნებით, როგორ დაეხმარებით დედას და როგორ ისწავლითო. მალე ომი დამთავრდება და მე დავბრუნდებიო.

გაცილება ზესტაფონის რკინიგზის სადგურიდან ხდებოდა. გამცილებელი უამრავი იყო. იყო ტირილი, გოდება... ჯარისკაცები გვამშვიდებდნენ: _ ჩვენ გავიმარჯვებთ და მალე დავბრუნდებითო. _დაიძრა მატარებელი და მათ შემოსძახეს სიმღერა:

"ზესტაფონო, ზესტაფონო გშორდები,
შორს მივდივარ, შორს მივდივარ, მშვიდობით.
ვაიმე ჩემო, ვაიმე ჩემო ვენახო,
ვერასოდეს, ვერასოდეს ვერ გნახო."

მართლაც, სამუდამოდ წავიდნენ და იქიდან არავინ დაბრუნებულა, მათ შორის მამაც. ისინი ქერჩთან ბრძოლაში დაიღუპნენ. დავრჩით დედას ოთხი ობოლი_ მეოთხე გოგონა შეეძინა, ისე, რომ მამა-შვილს არ უნახავთ ერთმანეთი.

დედა მუხლჩაუხრელად შრომობდა, რათა ოთხი მცირეწლოვანი შვილი ვერჩინეთ.

მოგვივიდა ცნობა მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვის შესახებ. დედას მაინც ჰქონდა მისი დაბრუნების იმედი და გზას გაჰყურებდა, მაგრამ ამაოდ.

ოჯახის წევრებს განაწილებული გვქონდა საქმე: მე პატარა დას ვუვლიდი, ჩემი მომდევნო ძმა, კარლო, ბიძასთან, ბესარიონ გაჩეჩილაძესთან, მუშაობდა დაბახანაში, ჩემი უმცროსი ძმა მეწველ თხას უვლიდა, დედას კი სამეგრელოდან სიმინდი ჩამოჰქონდა... ასე გაგვქონდა თავი.

ამასობაში, მე სკოლა დავამთავრე და სამედიცინო სასწავლებელში მოვეწყვე. დავამთავრე_ ფერშლის სპეციალობით და 1956 წელს მუშაობა დავიწყე ონკოლოგიის ინსტიტუტში – ჯერ ქირურგიულ, შემდეგ რეანიმაციის განყოფილებაში. ამ ინსტიტუტში 21 წლის განმავლობაში ვმუშაობდი. შემდეგ გადავედი წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტის რითმის მოშლის განყოფილებაში. მე ძალიან მიყვარდა ჩემი სპეციალობა. ავადმყოფებთან თბილი და ყურადღებიანი ვიყავი.

1963 წელს დავოჯახდი და შემეძინა ორი ქალიშვილი: _ მაია და ირინა ბერიძეები. ბედნიერი ოჯახი მქონდა, მაგრამ, 1972 წელს, მოულოდნელად, მეუღლემ ოჯახი მიატოვა _სხვა ქალთან წავიდა და, მას შემდეგ, შვილების მიმართ არავითარი მზრუნველობა აღარ გამოუჩენია. დავრჩი ორი მცირეწლოვანი ბავშვით, ახალი გადასული კოოპერაციულ ბინაში, რომლის გადასახადი 15 წლის განმავლობაში უნდა მეხადა.

სამსახურში შეთავსებები ავიღე. ორ განაკვეთზე ვმუშაობდი, თან, კვარტალში ერთხელ, მოსკოვში დავდიოდი, რათა დეფიციტური საქონელი ჩამომეტანა და აქ გამეყიდა. დედა ჩამომყავდა რაიონიდან და ბავშვებს მას ვუტოვებდი. ასე რომ, ყოველ ძალ-ღონეს ვხმარობდი, რომ ოჯახი დამერჩინა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, ამიტომ, დედამ მასწავლა არყის გამოხდის ტექნოლოგია. გააკეთებინა სპილენძის ქვაბი, ყველა საჭირო ინვენტარი და ლოჯის ქვეშ 12 $м^2$ სარდაფში მოვაწყვეთ არყის სახდელი. დედამ გამაფრთხილა, რომ არყის გამოხდის შესახებ არავისთვის მეთქვა, რადგან ეს მაშინ აკრძალული იყო. არაყს, რა თქმა უნდა, ღამე ვხდიდი, შემდეგ ქალაქგარეთ გამქონდა და სარეალიზაციოდ ვაბარებდი. ეს

საქმე ძალიან რთული იყო. მრავალჯერ დიდი საფრთხის წინაშე დავმდგარვარ: ერთხელ, როცა არაყს დიდ ჭურჭელში ვასხამდი, არყიანი ბოცა ხელიდან გამივარდა და მთელ სარდაფს ცეცხლის ალი მოედო. უცებ გამოვრთე გაზი. აბაზანაში წყალი მქონდა დაგროვილი. მივუშვი წყალი და ჩავაქრე ცეცხლი. იქვე იდგა არყით სავსე ხუთი ბალონი, ცეცხლი რომ წაჰკიდებოდა, ალბათ სულ დავიღუპებოდით, მაგრამ, დიდება უფალს, მან გადაგვარჩინა.

იყო ასეთი შემთხვევაც: მთელი ღამე ვხდიდი არაყს და დილით, როცა უკვე დავამთავრე გამოხდა და დიდ ჭურჭელში ვასხამდი, არყის სუნმა გამთიშა, ძირს დავვარდი, დიდხანს გულწასული ცემენტზე ვეგდე, სანამ წყალმა არ გამომაფხიზლა. თავზარდაცემული წამოვდექი და გაზი გამოვრთე. პირდაპირ სასწაული იყო, რომ 12 $м^2$ სარდაფში, სადაც გაზი ანთებული იყო და იქვე არყით სავსე ბოცები იდგა, გულწასული ისე დავეცი, რომ არაფერს შევხებივარ და ხანძარი არ გაჩნდა. მადლობა უფალს, ასე რომ დამეხმარა, თორემ მარტო ჩემ თავს და ჩემს შვილებს კი არა მთელ კორპუსს დავღუპავდი. ასე ვწვალობდი რამდენიმე წელი. არყის გამოხდა არ მიმიტოვებია...

ამასთანავე, დავდიოდი თურქეთში, ამხანაგ ქალთან ერთად. აქედან მიმქონდა სხვადასხვა წვრილმანი ნივთები და იქ ვყიდდი. იქიდან კი იქაური საქონელი ჩამომქონდა და აქ ვყიდდი. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. განსაკუთრებით მაშინ, როცა საბაჟოზე გადავდიოდით ბარგით, რამდენიმე კილომეტრზე რიგში ვიდექით და იქიდან ბარგი ხელით გადაგვქონდა. ერთხელ, ნაწვიმარი იყო, საბაჟოსთან გზაზე გუბე იდგა, თურმე დატბორილი ყოფილა. მე შევედი და მუხლამდე წყალში აღმოვჩნდი _ბარგით. ჩემს თავს კი არ ვნაღვლობდი, არამედ იმას, რომ ბარგი არ დამსველებოდა და საქონელი არ გამფუჭებოდა. დანარჩენი ბარგი გზაში მქონდა დატოვებული. როგორც იქნა, ტბორიდან წვალებით გამოვედი, მუხლამდე ტალახით დასველებული და შევუდექი დანარჩენი ბარგის ზიდვას. ძლივს მივაღწიე ავტობუსამდე. ჩავედით უახლოეს ქალაქ რიზაში. იქ გავშალეთ ჩვენი წვრილმანი საქონელი და 3-4 დღის განმავლობაში ვყიდდით. ძალზე საწვალებელი და დამამცირებელი სამუშაო იყო. იქაური ბავშვები დაგვცინოდნენ: _»ბინა, ბინა”-ო გვეძახდნენ, («ბინი” იქაური ფულის ერთეულია და ჩვენ, თურქული რომ არ ვიცოდით, არასწორად გამოვთქვამდით...).

ყოფილა შემთხვევა, რომ ბაზარში დავრჩენილვართ ჩვენი ბარგით და დახლზე გაგვითენებია ღამე _ სასტუმრო ძვირი ღირდა და თანაც ბევრი ბარგის ატანა სასტუმროში ძალიან ძნელი იყო, რადგან ქალაქ რიზის სასტუმროს მაღალი კიბე აქვს.

ჩემი თურქეთში საქმიანობის მოგონებებიდან ჩემთვის ყველაზე უფრო შთამბეჭდავია მოგზაურობა ქალაქ სამსუნში: მე და ჩემმა მეგობარმა ქალმა მოვაგროვეთ იქ წასაღები ნივთები: სამზარეულოს წვრილმანები, საბნები, მრავალი სხვადასხვა დანიშნულების საოჯახო ნივთი და გავემგზავრეთ. რა თქმა უნდა, გავიარეთ მრავალი ინსტანცია, საბაჟო და, დიდი წვალების შემდეგ, მოვთავსდით ავტობუსში. მგზავრებს შორის იყვნენ ქართველებიც. ერთ-ერთი ქართველი გოგონა, რომელიც ყოველგვარი ბარგის გარეშე მგზავრობდა, დაგვიახლოვდა და დაგვპირდა სასტუმროში მოწყობაში დახმარებას, რადგან ჩვენ პირველად მივდიოდით ამ ქალაქში და ვნერვიულობდით...

ჩავედით სამსუნში და გადავიტანეთ ჩვენი ბარგი. გოგონა, რომელიც დახმარებას დაგვპირდა, წავიდა, გარკვეული დროის შემდეგ დაბრუნდა და გვითხრა: _ყველა სასტუმროში უარი მითხრესო. _ ჩვენ საგონებელში ჩავვარდით. უკვე დაღამდა, ჩვენ კი ქუჩაში ვიყავით, ამდენი ბარგით _უცხო ქალაქში. ბოლოს, როგორც იქნა, გამოჩნდა ერთი ქართველი-თურქი ურიკით და გვირჩია: _აქ ახლოს არის სასტუმრო, სადაც მიგიღებენო. _ჩვენც დავაწყეთ ბარგი ურიკაზე და მივედით სასტუმროში. გადავიტანეთ ბარგი სასტუმროს დერეფანში და შევეცადეთ, რომ ადგილი მოეცათ.

სასტუმრო ქართველი ახალგაზრდა გოგოებით იყო სავსე. ჩვენ კატეგორიული უარი გვითხრეს. არა და, უკვე ღამე იყო. სად უნდა წავსულიყავით? ბოლოს, სასტუმროს პატრონმა გამოგვინახა ოთახი, რომელიც დაკავებული იყო, მაგრამ იქ მაცხოვრებლები გასული იყვნენ ქალაქში «სამუშაოდ". ჩვენ ერთი ღამით მათ ოთახში მოგვათავსეს. ჩვენ ჩვენი საბნები გავშალეთ და ორივე ერთ საწოლში მოვთავსდით, თუმცა, მთელი ღამე არ გვძინებია,_ ხმაური იყო, მთელი ღამე დადიოდნენ, ყვიროდნენ და ასეთი დიალოგი მოგვესმა: _ გოგო, წარმოგიდგენია? ფულის მაგივრად ქაღალდი ჩაუდიათო, _სხვა კი ამბობდა: _50-ის ნაცვლად 5 ბინი მოუციათო... _ასეთ ხმაურში გავატარეთ მთელი ღამე. გათენდა თუ არა, მეგობარ ქალს ვუთხარი: _ ბაზარში ბარგის გარეშე წავიდეთ, გავიგოთ სიტუაცია, იქნებ იქ იყოს ადგილი, რომ მოვთავსდეთ. –წავედით ბაზარში, რომელიც ზღვის სანაპიროზე იყო, დაცული იყო მაღალი ღობით და ჭიშკრით, რომელიც ღამით იკეტებოდა. ბაზრის შიგნით, გარშემო მაღაზიები იყო, შუაში კი გადახურული დახლები. იქ იყვნენ მოვაჭრე ქართველები. გამოველაპარაკეთ და გვითხრეს: _ჩვენ თითქმის ერთი თვეა აქა ვართ და ძალიან კმაყოფილნი ვართო. აქვე გვძინავს და ჩვენი ბარგიც უვნებლად არისო. _ჩვენც მივიტანეთ ჩვენი ბარგი და მოვთავსდით ძალიან კარგად _ იმასთან შედარებით, სასტუმროში რომ ვიყავით. შევუდექით ჩვენ საქმეს... რა თქმა უნდა, ჩვენი გასაყიდად წაღებული საბნები იქ გამოვიყენეთ. დახლები ფართო იყო, გადახურული, ღამით ზედ გვეძინა, ყოველგვარი შიშისა და გადასახადის გარეშე. ბაზარში კარგი სასადილო იყო, სადაც ქართველი-თურქი იყო მზარეული, რომელიც გემრიელ საჭმელებს ამზადებდა და ჩვენც იქ შევდიოდით სასადილოდ. ასე რომ, ძალიან კმაყოფილნი დავრჩით. განსაკუთრებით ღამეები იყო საოცარი: ზღვის ტალღების ხმაური გვაძინებდა და კიდევაც გვაღვიძებდა. სამსუნის ბაზარში 11 დღე-ღამე დავყავით. რა დამავიწყებს იქ გატარებულ ღამეებს...

საქართველოში ძალიან «მძიმე" იყო 90-იანი წლები: სამოქალაქო ომი, საშინელი სიღატაკე, უშუქობა... საშიში იყო საღამოს გარეთ გამოსვლა. ხშირი იყო ძარცვადა მკვლელობები. განსაკუთრებით გვარდიელების მიერ იყო ხალხი აწიოკებული, ისინი იტაცებდნენ ყველაფერს, რაც გაგაჩნდა. ადამიანები საგონებელში ვიყავით ჩავარდნილი, _რით, ან როგორ უნდა გვეარსება?

ჩემს ბინას აქვს მიშენება. მის ქვეშ სარდაფია 50 $მ^2$. მე დამებადა იდეა, რომ მინის ტარის მიმღები პუნქტი გამეხსნა. გავხსენი ასეთი პუნქტი და ვიღებდი მინის ყოველგვარ ჭურჭელს: ლიმონათის ღვინის, შამპანურის ბოთლებს, ქილებს, ღვინის ბოცებს, კასრებს და სხვა...

ამის შემდეგ, გამიჩნდა იდეა და სურვილი, რომ მინის მიმღები პუნქტი მარნად გადამეკეთებინა. თავიდან, რა თქმა უნდა, საჭირო ჭურჭელი არ მქონდა, მაგრამ, მერე თანდათანობით შევიძინე კასრები –ყურძნის დასაწურად. შევიძინე ბოცები და სხვა ჭურჭელი და დიდი მონდომებით და ინტერესით შევუდექი ჩემი სურვილის აღსრულებას.

დადგა შემოდგომა, მოვიდა ყურძნის დაწურვის დროც. მოვიტანე ერთი ტონა ყურძენი და, მეზობლების დახმარებით, დავწურე. მე ღვინის დაყენების შესახებ არაფერი ვიცოდი, მაგრამ, სხვების დახმარებით, პირველად შევძელი, რომ ღვინო დამეყენებინა. ყველას დიდი ინტერესით ვეკითხებოდი ღვინის დამზადების ტექნოლგიის შესახებ. ვისწავლე, დაწურვის შემდეგ, როდის უნდა გადამეღო ღვინო ბოცებში, შემდეგ კიდევ გადაღება და, ასე შემდეგ, ღვინის ნორმალურად დადგომამდე. ღვინის წარმოებას 10 წელია მივდევ. ამ საქმეს ძალიან დიდი შრომა უნდა, მაგრამ ეს შრომა მახალისებს და ცხოვრების სტიმულს მაძლევს. ამ საქმეს ვაკეთებ დიდი ინტერესით და მონდომებით, რადგან ვიცი, რომ ეს ჩემი საარსებო საშუალებაა. მადლობა უფალს ამ საშუალების მოცემისათვის. ჩემმა დაუღალავმა შრომამ შემაძლებინა მესაზრდოებინა შვილები და გადამეხადა გადასახადები.

გავიდა წლები. ჩემი შვილები გაიზარდნენ, ისწავლეს, გათხოვდნენ, შემდეგ შვილიშვილები გამითხოვდნენ და შემეძინა შვილთაშვილები: დემეტრე, მარიამი და ირაკლი, რომლებზეც დიდ იმედებს ვამყარებ. ღმერთი იყოს ჩემი შვილების, შვილიშვილების და შვილთაშვილების მფარველი.

2009 წ.

რუსეთის სადამსჯელო ოპერაციები, რომელსაც პირადად შევესწარი

ჩემი ახალგაზრდობის წლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი, აღმაშფოთებელი და მწარე მოგონება 1956 წლის მარტის ტრაგედიაა: კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობაზე მკაცრად გააკრიტიკეს სტალინი. მთელი საქართველოს ახალგაზრდობა, სტუდენტები და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გამოვედით სტალინის პიროვნების დასაცავად, რადგან მის კრიტიკაში, ყველაფერ სხვასთან ერთად, ჩვენ ქართველთა ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფაც დავინახეთ. დატრიალდა ტრაგედია: _ ხელისუფლებამ იარაღი იხმარა, დაიღუპა და დასასხიჩრდა მრავალი ადამიანი.

მახსოვს, ხალხით გაჭედილი, ლენინის მოედანი, სანაპიროზე, სტალინის ძეგლთან შეკრებილი უამრავი ახალგაზრდა, სტუდენტები, მსახიობები, მწერლები, პოეტები და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ სანაპირო გარშემორტყმული იყო ტანკებით და სამხედროებით, ხალხის ტალღა არ წყდებოდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ სტუდენტები. ისინი აწყობდნენ მიტინგებს, _გამოვდიოდით სიტყვებით, ლექსებით... ლენინის მოედანზე, ტრიბუნიდან მოწოდება გაისმა: _პარტიულებო, შევფიცოთ სტალინს ერთგულებაო! _ და მთელი მოედანი გადაწითლდა პარტბილეტების ფერით...

რა დამავიწყებს, ლენინად და სტალინად გადაცმული მსახიობების, მეგობრულად ხელგადახვეული, ფიგურები რომ ჩამოატარეს თბილისის მოედნებზე და ქუჩებში. მახსენდება, თბილისის იმ მშფოთვარე დღეებში, როგორი ერთსულოვნება და ეროვნული ურთიერთსიყვარული სუფევდა. მიტინგზე მოდიოდნენ სტალინის პრემიის ლაურეატები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე და სხვა მსახიობები, მწერლები, პოეტები და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები.

რა დამავიწყებს ხალხის უსაზღვრო აღშფოთებას, როცა, სტალინის ძეგლთან ტრიბუნაზე გამოსულ, სვან სტუდენტ გოგონას ესროლეს და მოკლეს (ამ გოგონას, თურმე ცხრა ძმა ჰყოლია).

ჩვენ სანაპიროზე, ძეგლთან ვიდექით, როცა ხმა გაისმა: _ «წიქარა” მოკლესო. _ეს იყო გოჩა წერეთელი, რომელსაც «წიქარას” ეძახდნენ. ის კინოსტუდიაში იყო მიწვეული «წიქარას” როლის შემსრულებლად... მისი გვამი მშობლებისაგან დაფარულად სადღაც დამარხეს. ძლივს მოახერხა დედამ მისი საფლავის მოძებნა. ტირილის საშუალებასაც კი არ აძლევდნენ. ღამ-ღამობით, ჩუმად მიდიოდა იქ და სტიროდა შვილს. ასეთი მაგალითი უამრავი იყო.

მიტინგზე ამბავი მოიტანეს, _გორში სტალინის ძეგლის დანგრევას აპირებენო, _ამან დიდი აღშფოთება გამოიწვია. სანაპიროზე მდგომი სტუდენტების დიდი ნაწილი გორში წავედით, რათა დაგვეცვა ბელადის სახელი და ძეგლი. გორში უამრავი ხალხი დაგვხვდა. ისინი ძეგლს იყვნენ გარშემორტყმული, გამოდიოდნენ სიტყვებით, ლექსებით, მოლოტოვს[1)] უგზავნიდნენ დეპეშებს, რომ დაეცვა სტალინის სახელი, ამ სახელთან დაკავშირებული,

საბჭოთა წეს-წყობილება და სათავეში ჩასდგომოდა ქვეყნის ხელისუფლებას. ეს გამოსვლები შეფასდა, როგორც ქართველი ხალხის ნაციონალისტური გამოხდომა...

სტალინი არასოდეს ყოფილა ვიწრო ეროვნული მოღვაწე. იგი იყო საბჭოთა სახელმწიფოს და საერთაშორისო კომუნისტური პარტიისა და მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. მძიმე და სისხლისმღვრელი ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, სტალინი ფაქტიურად გახდა რუს თვითმპყრობელთა მემკვიდრე. მან, ოდესღაც ჩამორჩენილი რუსეთი, უახლესი და უძლიერესი იარაღით აღჭურვილ, უძლიერეს სახელმწიფოდ აქცია. სტალინი იყო თავისი ეპოქის უზარმაზარი ფიგურა... იყო პერიოდი სტალინის ცხოვრებაში, როცა შეიძლებოდა იგი ქართველი ეროვნული მოღვაწის გზას დადგომოდა _ ჭაბუკობის წლებში იგი წერდა პატრიოტულ ლექსებს და დიდმა ილიამ კიდევაც დაუბეჭდა რამდენიმე მათგანი თავის «ივერიაში», მაგრამ, შემდგომში მან მთელი თავისი ნიჭი და ენერგია საერთაშორისო და რუსეთის პროლეტარულ მოძრაობას უძღვნა. პირადი აღიარების თანახმად, იგი რუსი ბოლშევიკი იყო და მშობლიურ ენად რუსულს თვლიდა. რუსეთში ფეხმოკიდებული იყო აზრი, რომ სტალინის დროს საქართველო ბედნიერად, ფუფუნებით ცხოვრობდა, რომ აქ არ იყო კოლმეურნეობები, არ ახდევინებდნენ სახელმწიფო გადასახადებს. სინამდვილეში კი, საქართველომ ყველაზე მეტად და მწვავედ განიცადა 30-იანი წლების რეპრესიები: თითქმის მთლიანად განადგურდა არა მხოლოდ საქართველოს ბოლშევიკთა ძველი გვარდია, არამედ პარტიის ათასობით რიგითი წევრი, უპარტიოები, ინტელიგენცია. აი რა უბედურება მოხდა მაშინ საქართველოში _ გარეწარი, ვერაგი ჯალათის, _ლავრენტი ბერიას[2] ხელმძღვანელობით. გამორიცხულია იმის დამტკიცება, რომ მაშინდელ ვითარებაში სტალინმა არაფერი იცოდა, თუმცა თვით ცოცხლად დარჩენილ ათასობით რეპრესირებულს _შორეულ ჩრდილოეთში, ციმბირში, შუა აზიაში უდანაშაულოდ გადასახლებულებსაც კი სწამდათ, რომ სტალინმა არ იცოდა, რა ხდებოდა ქვეყანაში, და რომ ის შეცდომაში შეიყვანეს.

ხალხი ხედავდა, რომ სტალინი დიდ, ისტორიულ საქმეს იყო შეჭიდებული. მისდამი ნდობა უდიდესი იყო, სწამდათ, რომ რეპრესირებულთა სიმარათლე მალე გამოაშკარავდებოდა და გაიმარჯვებდა.

ეროვნული გრძნობა, იმ დღეებში, დიდად ამაღლებული იყო ქართველ ხალხში, დიდად ამაყობდნენ სტალინის პიროვნებით, მისი როლით, მისი საქმეებით, მის მიერ მოპოვებული გამარჯვებებით, იმით, რომ სტალინი მაინც ქართველი იყო, თუმცა ქართველი ხალხისათვის არავითარი, სხვებისაგან გამორჩეული, სიკეთე არ მოუტანია.

ისინი, ვისი ბრძანებითაც მაშინ სროლა ატყდა და უდანაშაულო ახალგაზრდების სისხლი დაიღვარა, ის ადამიანები იყვნენ, ვინც მანამდე გვასწავლიდნენ, რომ სტალინი იყო ჩვენი გამარჯვებების სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი, ხალხის მამა და მასწავლებელი, რომ უსტალინოდ ქვეყანა დაიღუპებოდა...

მაგრამ, საუბედუროდ, რეპრესიები ამით არ დამთავრებულა, ქართველთა ნაციონალური თვითშეგნების გაძლიერებას, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას 1989 წლის 9 აპრილს ისევ ტრაგედია მოჰყვა. მაშინ რუსული რეპრესიის ერთ-ერთი მსხვერპლი, კინაღამ, ჩემი ქალიშვილი _ირინაც გახდა: ის, თავის მეგობრებთან ერთად მოშიმშილე იყო მთავრობის სასახლის წინ. იმ საბედისწერო დილას, მე სავარჯიშოდ ვიყავი თბილისის ზღვაზე. მოვიდნენ მოვარჯიშე ბავშვები და შეგვატყობინეს მომხდარი ამბავი. თავზარდაცემული წავედი ირინას მეგობრებთან სახლში. ნაცემი და მოწამლული ბავშვები იწვნენ ფსიქიურად მოშლილები და ასე გვიამბობდნენ მომხდარ ამბავს: _ «მოშიმშილეები მთავრობის სასახლის წინ ვიწექით, როცა ლენინის მოედნის მხრიდან ჯავშანტრანსპორტიორები წამოვიდნენ. მათ მოჰყვებოდნენ ფარებით, ნიჩბებითა და ხელკეტებით შეიარაღებული ჯარისკაცები. ილია მეორემ მოგვმართა ხალხს, _დავიშალოთ, უბედურება არ მოხდესო. ეკლესიაში წავიდეთ და

ვილოცოთო. _ირაკლი წერეთელმა მიკროფონი ხელიდან გამოსტაცა და ხალხს მოუწოდა: _ნუ გეშინიათ, არაფერი მოხდება, ვერაფერს გაგვიბედავენო. _დაიმედებულმა მომიტინგეებმა სიმღერა და ცეკვა დაიწყეს. _»შეიარაღებული ჯარისკაცები ჩიტაძის ქუჩიდანაც წამოვიდნენ. ჩვენ არ გავნძრეულვართ. ისინი ცოტა ხანს შეჩერდნენ და ჯერ ხელკეტებით დაგვერივნენ, შემდეგ ნიჩბებიც მოიშველიეს. ისე ვიყავით დაუძლურებული, რომ ფეხზე ვერ ვდგებოდით, რომ დავინახეთ ჯარისკაცები დაუზოგავად გვიტევდნენ, ძალა მოვიკრიბეთ და მივყევით გზას, მაგრამ, უცებ, თავში ნიჩაბი ჩამარტყეს და დარეტიანებული ძირს დავვარდი. ჩემი მეგობრები ჩემზე წინ გარბოდნენ. მათ დაინახეს, რომ მე დავეცი და წივილ-კივილი ატეხეს, _ირინა მოკლესო, _მე ვიღაცამ თმებში ჩამავლო ხელი, წამოვდექი და ხალხის ტალღამ ქაშვეთში მომახვედრა. იქ ჩემმა თანაკლასელმა შემნიშნა და დამეხმარა. მან მოძებნა ჩემი მეგობრები _ისინიც ეკლესიაში იყვნენ. ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, გადავეხვიეთ და ვულოცავდით გადარჩენას და გამარჯვებას. არცერთს ფეხსაცმელი არ გვეცვა და ტანიც ყველას ნახევრად შიშველი გვქონდა... ნაცემი, მოწამლული, ფსიქიურად მოშლილი, გაოგნებული ვიყავით. ეს პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო... შემდეგ, ჩვენ დაგვეხმარნენ და სახლში მოგვიყვანეს". _ტელევიზიით და რადიოთი არასწორად გადმოცემულ ინფორმაციას რომ უსმენდნენ, საშინლად ნერვიულობდნენ. ასე იწვნენ ისინი ერთი თვის განმავლობაში. ნერვული სტრესი კი შემდგომშიც დიდხანს დარჩათ.

თბილისში გლოვის ზარი იდგა _ დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები...

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ამჟამადაც მიმდინარეობს... გრძელდება ჩვენი ქვეყნის მიმართ რუსეთის რეპრესიებიც...

2008 წ.

1). *მოლოტოვი (ნამდვ. გვარი სკრიაბინი) ვიაჩესლავ მიხეილის ძე _ მაშინ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის წევრი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.*

2). *ბერია ლავრენტი _ 1936 _ 1953 წლებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, მარშალი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე (მანამდე _ 1932-1936 წლებში_ ამიერკავკასიის რესპუბლიკების და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი).*

ზურაბ გიორგის ძე გაჩეჩილაძე (კუნკურახი) *

დ. 1940 წ.

არქიტექტურის რესტავრატორი... (თბილისი).

საქართველოში ვერ ნახავთ ადგილს, სადაც ადამიანი არ ცხოვრობდა...

ჟინვალის წყალსაცავის მშენებლობის დროს კულტურის მრავალი ძეგლი მოხვდა წყლით დაფარვის ზონაში. რამდენიმე ძეგლი დავშალეთ და სხვა ადგილას გადავიტანეთ. მათ შორის იყო რამდენიმე ეკლესია და «ზურგიანი» კოშკი, მაგრამ ყველაზე საინტერესო იყო ერთი აკლდამის ისტორია. ეს აკლდამა წარმოადგენდა 6 მეტრი სიგრძის და 4 მეტრი სიგანის კამაროვან ნაგებობას, რომელიც გაძარცვული იყო. არქეოლოგებს არასოდეს ჰქონიათ კარგი დაფინანსება. აკლდამის გადატანა, დაუფინანსებლობის გამო, შეუძლებელი იყო, როგორც ბევრი სხვა ძეგლისა, რომელიც წყლით უნდა დაფარულიყო. ამ აკლდამის იატაკის ქვემოთ, აღმოჩნდა 2 მეტრი სიგანის, 5 მეტრი სიგრძის და 50 სანტიმეტრი სიღრმის მქონე თხრილი,

რომელიც მძარცველებს ვერ შეუნიშნავთ. უნდა გენახათ არქეოლოგების სიხარული, როცა ამ თხრილში აღმოჩნდა სამარხები, უამრავი ოქროსა და ვერცხლის ნივთით. მეორე დღეს მთელი ცეკა[ა] და კულტურის სამინისტრო ჩამოვიდა ჟინვალში, გაკვირვებული იყვნენ ნანახით. რამდენიმე დღის შემდეგ დაგვაფინანსეს და რამდენიმე ძეგლის გადარჩენის საშუალება მოგვეცა. მათ შორის, გადაწყდა ამ აკლდამის სხვაგან გადატანაც. ჯერ გვინდოდა დაუშლელად გადაგვეტანა, მაგრამ, ჩვენი ტექნიკური საშუალებებით ეს ვერ მოხერხდა. გადაწყდა, დაგვეშალა და ისე გადაგვეტანა. დავნომრეთ თითოეული ქვა, დამუშავდა პროექტი, დავიწყეთ გადასატანი ადგილის შერჩევა. შევარჩიეთ ერთი ადგილი _გზის პირას. დავიწყეთ საძირკვლის გათხრა და, რამდენიმე სანტიმეტრში, აღმოჩნდა რაღაც ნაგებობა. თქვენ წარმოიდგინეთ, ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. ასე რომ, ჟინვალის ხეობაში ერთ მეტრ მიწას ვერ ნახავთ, სადაც ჩვენი წინაპრები არ ცხოვრობდნენ...

გადაწყდა აკლდამის გადატანა დუშეთის სამხარეო მუზეუმის ტერიტორიაზე. რაოდენ დიდი იყო ჩვენი გაკვირვება, როდესაც ჩვენს მიერ შერჩეულ ადგილზეც აღმოჩნდა რაღაც შენობის ნაშთები. ჩვენ მაინც გავთხარეთ ის ადგილი და ახლა შეიძლება ზემოხსენებული აკლდამის ნახვა თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში.

ასე რომ, საქართველოში, ამ მადლიან მიწაზე, ვერ ნახავთ ადგილს, სადაც ადამიანი არ ცხოვრობდა, მოღვაწეობდა, აშენებდა და მიწას ამუშავებდა.

2008 წ.

ა. *ცეკა _კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.*

მელერი ვარლამის ძე გაჩეჩილაძე (ღიღინა) *

დ. 1937 წ.

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი.

(ქუთაისი).

ორჯერ იყო ძლიერი...

1982 წლის შემოდგომაა. მე და ჩემი კოლეგა, იმედა გაჩეჩილაძე, მოსკოვში ვართ, ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში, კვალიფიკაციის ასამაღლებელ ოთხთვიან კურსებზე. ცნობისათვის მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ორივენი ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი) პროფესორები ვართ. ის თეორიულ მექანიკას, მე კი გამოყენებით მექანიკას ვკითხულობ.

მოხდა ისე, რომ ორივენი, ორ რუს კოლეგასთან ერთად, ჩაგვასახლეს საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში «ლეფორტოვოზე». ჩვენი ორივეს საწოლი ერთი კედლის გასწვრივ იდგა და თავთან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სურათი ეკიდა. მათი საწოლები ასევე მეორე კედლის გასწვრივ იდგა, თავთან კი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სურათი ეკიდა. მე ყოველთვის ვეხუმრებოდი რუსებს: _ ჩვენ ცოცხალი ილიჩი გვყავს და გვიცავს, თქვენ კი მკვდარი ილიჩი-მეთქი. იმ შემოდგომაზე ბრეჟნევიც გარდაიცვალა, ახლა კი ისინი ხუმრობდნენ, _ ანგარიში საყაიმოა, მხოლოდ ჩვენ უპირატესობა გვაქვს ფსიქოლოგიურად, თქვენი მხოლოდ ახლა გარდაიცვალა, მას ჩქარა დაივიწყებს ისტორია, ჩვენსას კი არასდროს, მან ხომ ეპოქა შექმნა.

რას ვიზამდით, ვუსმენდით და ვიცინოდით. მათგან ერთი ნაღდი რუსი იყო, რუსული იმპერიალისტური ამბიციებით და არაყითაც კი _გვარად ეროხინი. იგი კალუგის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ასწავლიდა და ტრაბახობდა, რომ მამამისი ედუარდ ციოლკოვსკისთან ერთად ასწავლიდა სკოლაში. მეორე, გვარად ბაულინი, ინტელექტუალური იყო და ლექციებს კითხულობდა სიმფეროპოლის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მგონი, შერეული სისხლის იყო. მას კარგი კავშირები ჰქონდა ცნობილ ისტორიკოსებთან მოსკოვში. სწორედ მისი წყალობით მოვხვდი სხვებისთვის მიუწვდომელ მუზეუმებში და საბჭოთა კავშირის ალმასის ფონდშიც კი.

ერთ საღამოს ბაულინი მოვიდა და თქვა, რომ ორი ძალზე საინტერესო «ჭორი» მოისმინა ისტორიკოსებისაგან და მოყვა: _თურმე, პეტრე პირველი ქართველი იყო, ხოლო მიხეილ ლომონოსოვი მისი შვილიო. _ ბაულინმა გვკითხა, _ ვიცოდით თუ არა ამის შესახებ რამე. _ეროხინი ყურადღებით ისმენდა. მე ვუთხარი, _მოარული ხმებით, ის რომ პეტრე პირველი ქართველი იყო ყველა ქართველმა იცის, დოკუმენტურად კი მხოლოდ მეცნიერებმა იციან და არ ხმაურდება. მათ შორის ეს იცოდა რომანის _ «პეტრე პირველი»-ს ავტორმა, ალექსეი ტოლსტოიმ, თუმცა რომანში მისი ხაზგასმა სტალინმა აუკრძალა. რაც შეეხება იმას, რომ ლომონოსოვი პეტრე პირველის შვილი იყო, ეს პირველად მესმოდა. ბაულინმა თქვა, რომ არსებობს დოკუმენტი პეტრე პირველის ხელმოწერით, სადაც აღნიშნულია, რომ ყურადღება და მზრუნველობა გამოეჩინათ პატარა მიხეილის მიმართ, რომელიც არხანგელსკში მეთევზის ოჯახში დაიბადა. არსებობს ვერსია, რომ როცა პეტრე რუსულ ფლოტს აგებდა არხანგელსკში, სწორედ მაშინ დაორსულდა მეთევზის მეუღლე. რომ არა პეტრე პირველის მიერ ხელმოწერილი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი, ალბათ უბრალო მეთევზის შვილი ვერ მიაღწევდა იმ მწვერვალებს, რასაც პოეზიასა და მეცნიერებაში მიაღწია მიხეილ ლომონმოსოვმა.

ეროხინმა მოსვენება დაკარგა: იმ დღიდან დაიწყო სიარული მუზეუმებში, პეტრე პირველის პორტრეტების შედარება მისი ბიოლოგიური მამის, რუსეთის იმპერატორის და დედოფალ ნარიშკინას პორტრეტებთან. დაიწყო კონსულტაციები ცნობილ ისტორიკოსებთან, მოიძია რამდენიმე დოკუმენტი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პეტრე პირველი ნამდვილად ქართველი იყო.

ერთ დილას ეროხინი ადრე ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და მწოლიარე ბაულინს უთხრა, რომ ძალიან ცუდ ხასიათზეა, ვინაიდან აღმოჩნდა, რომ ორჯერ იყო რუსეთი ძლიერი და ორივეჯერ, თურმე, ქართველი მეფე გვყოლიაო. _მეორე ვინღა იყო, ეროხინ? _ვიხუმრე და საბანი წავიფარე. _ეროხინმა რუსულად შემოგვიკურთხა: __ Я вашу маму ___ Вставайте ___ вы что приехали в Москву размножать русских королей » _და ორივეს საბნები გადაგვხადა.

2007 წ.

ვახტანგ ვახტანგის ძე გაჩეჩილაძე *

დ.1947 წ.

მედიცინის მეცნ. დოქტორი... (თბილისი).

მისი ცხოვრება ხალხისადმი უანგარო სამსახურის საგმირო მაგალითი იყო

მამაჩემი, ვახტანგ მაქსიმეს ძე გაჩეჩილაძე, დაიბადა 1914 წლის 26 ივლისს. ცხრაშვილიან ოჯახში იგი ყველაზე უმცროსი იყო.

ვაჟთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც «წითელ დიპლომზე» დაამთავრა 1938 წელს. განაწილებით, მუშაობა დაიწყო ბათუმის რკინიგზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში_ორდინატორად. 1940 წელს გაიწვიეს წითელ არმიაში _სმოლენსკის სამხედრო ჰოსპიტალში. 1941 წელს, ომის დაწყებისთანავე, იგი დაინიშნა ქ. ელნიას (მოსკოვის ოლქი) სამხედრო საველე ჰოსპიტლის უფროსად. 60-ზე მეტი დაჭრილი ჯარისკაცი ჰყავდა ფრონტის ხაზიდან გამოყვანილი და გადარჩენილი.

მამაჩემი იხსენებდა მისთვის ყველაზე მძიმე დღეს _ 24 ივლისს: _ ის-ის იყო დაამთავრა ოპერაცია, დილა იყო, გამოვიდა გარეთ, გარშემო დენთის სუნი იდგა, სიჩუმე და სიმშვიდე სუფევდა. ამ დროს გამოჩნდა გერმანელების ორი თვითმფრინავი და დაიწყეს ქალაქის დაბომბვა, შემდეგ, ზედ ჰოსპიტალიც მიაყოლეს. მამამ მიიღო მძიმე ტრავმა _სახის დამწვრობა. ორივე თვალზე მთლიანად დაკარგა მხედველობა. გადაყვანილი იქნა ქ. სარატოვის ცენტრალურ კლინიკაში. მკურნალობდნენ 5 თვის განმავლობაში. ჭრილობები მოუშუშდა, ხოლო მხედველობა ორივე თვალზე დაკარგა სამუდამოდ. იგი მაშინ 27 წლის იყო...

1942 წელს იგი ჩამოდის თბილისში. უმძიმესი სიტუაციაა _ სამხედრო III რანგის (მაიორი) ექიმი, უმუშევარი დარჩა, დაენიშნა I ჯგუფის ინვალიდობის პენსია. აპრილში მას აჯილდოებენ «სამამულო ომის I ხარისხის ორდენით». რამდენიმე თვის შემდეგ იგი იღებს გადაწყვეტილებას და მიდის საქ. კპ. ცკ._ში, როგორც კომუნისტი, და ითხოვს რითიმე დაასაქმონ. მას ახვედრებენ ცკ-ის I მდივანს_კანდიდ ჩარკვიანს. ერთ საათიანი საუბრის შემდეგ, ჩარკვიანი სთავაზობს მუშაობას საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სისტემაში. ურეკავს ტელეფონით ამ საზოგადოების მაშინდელ პრეზიდიუმის თავმჯდომარეს _ვარლამ ძნელაძეს და რეკომენდაციას უწევს მამას. იგი მიდის საზოგადოების პრეზიდიუმში, რომელიც მოთავსებული იყო სიონის ტაძრის მოპირდაპირე მხარეს, ლესელიძის ქუჩაზე, დიდი ხნის საუბრის შემდეგ ვ. ძნელაძე მას სთავაზობს თბილისის უსინათლოთა საზოგადოების კომბინატის დირექტორობას. კომბინატი უშვებდა თბილ ტანისამოსს, წინდებს და ჯაგრისებს. იწყება ვახტანგ Gგაჩეჩილაძის დიდი მოღვაწეობის ახალი ხანა.

1944 წ. მას ირჩევენ საზოგადოების პრე ზიდიუმის წევრად, ხოლო 2 წლის შემდეგ, ყრილობაზე _თავმჯდომარის I მოადგილედ. გეგმების შესრულებისათვის ჯილდოვდება მეორე «შრომის წითელი დროშის» ორდენით და მედლებით, მათ შორის, «კავკასიის დაცვისათვის».

კ. ჩარკვიანმა მამა შეიყვანა რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაციაში _1945 წლის «გამარჯვების აღლუმზე» დასასწრებად. 2 აგვისტოს, კრემლში, საბჭოთა მეომრების დაჯილდოება ხდებოდა. მათ შორის მოხვდა მამაჩემიც. მას «საბრძოლო წითელი დროშის» ორდენი პირადად მ.ი. კალინინმა[1)] გადასცა. ეს უკვე იყო მისი სამწლიანი მუშაობის დიდი წარმატება.

1955 წ., უსინათლოთა საზოგადოების მორიგ ყრილობაზე, მამას ირჩევენ პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. ამ საზოგადოებას იგი, უცვლელად, 23 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

მისი უშუალო ინიციატივით, საზოგადოებამ თავისი სახსრებით ააშენა მრავალი საცხოვრებელი და სამრეწველო კორპუსი: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, რუსთავში, ფოთში, ზესტაფონში, ჭიათურაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, წყალტუბოში და სხვა მრავალ რაიონში; თბილისის კრწანისის რაიონში _ 7 საცხოვრებელი მრავალსართულიანი კორპუსი, ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი _ რესპუბლიკური

ოფთალმოლოგიური თვალის კლინიკა, მოსწავლეთა სასახლე, კულტურის სასახლე, საშუალო სკოლა, ბაგა-ბაღი, აგრეთვე აშენდა: ციხისძირში, ბახმაროში, წყალტუბოში საზოგადოების დასასვენებელი სახლები, სოფ. ძეგვში _ინვალიდთა პანსიონატი.

მამა ევროპის მრავალ ქვეყანაში მოგზაურობდა, ოფიციალური ვიზიტებით, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი: საფრანგეთში, ინდოეთში, ფინეთში, პოლონეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, უნგრეთში, რუმინეთში. 1962 წელს ქ. დელიში (ინდოეთი) გამართულ მსოფლიოს გაერთიანებული ერების ინვალიდთა IV საერთაშორისო კონგრესზე იგი სიტყვით გამოვიდა და მოჰყვა, თუ რა დიდი სარგებლობა მოჰქონდათ უსინათლო ინვალიდებს საქართველოში, სიამაყით აღნიშნა საზოგადოების წარმატებები. იმ კონგრესზე იგი აირჩიეს ცენტრალური საბჭოს აღმასკომის (სულ 23 ადამიანი) წევრად, ეს იყო უკვე მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, აღიარება. სამთავრობო მიღებაზე იგი შეხვდა ინდოეთის პრეზიდენტს _გირს და პრემიერ-მინისტრს _ინდირა განდის. ინდოეთის გაზეთში მთელი გვერდი დაეთმო საქართველოს დელეგაციას. 1967 წელს მოსკოვში გაიმართა ევროპის ქვეყნების ინვალიდთა კავშირის ყრილობა. იქ მამა შეხვდა თავის გერმანელ კოლეგას_ უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდენტს _ჰელმუტ პილაშს, რომელიც საუცხოოდ საუბრობდა რუსულად. როდესაც ისინი ერთმანეთს უყვებოდნენ თავიანთი ცხოვრების შესახებ, აღმოჩნდა, რომ პილაშმაც სწორედ 1941 წლის 24 ივლისს, მოსკოვის ფრონტზე, ქ. ელნიასთან ბრძოლის დროს დაკარგა მხედველობა (ომამდე იგი ფიზიკის მასწავლებელი ყოფილა). ეს იყო ძალზე მგრძნობიარე, ცრემლიანი შეხვედრა. ამის შემდეგ, ყოფილი «მტრები» სიცოცხლის ბოლომდე დიდი მეგობრობრები იყვნენ. მამა ორჯერ იყო გერმანიაში. იქ მათ შესახებ დიდი საგაზეთო სტატია გამოქვეყნდა. გერმანიის მთავრობამ მამა დააჯილდოვა «სამხედრო დიდების» მედლით, _ხოლო პილაში თბილისს რამდენჯერმე ესტუმრა, ისვენებდა კიდეც თავისი ოჯახით ბორჯომში და წყალტუბოში. საქართველოს ტელევიზიამ 25 წუთიანი შეხვედრა მოუწყო მამას და პილაშს. გადაცემა მიჰყავდა დ. სოკოლოვს, ხოლო მწერალმა რ. მამულაშვილმა მთელი წიგნი მიუძღვნა მათ ცხოვრებას და მოღვაწეობას.

მამაჩემი ძალზე გვიან ბრუნდებოდა სახლში, თითქმის ყოველდღე, გადატვირთული სამუშაო გრაფიკი ჰქონდა. იგი იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს (პარლამენტი) 4 მოწვევის დეპუტატი, საქ. კპ ცკ-ის წ/კანდიდატი, საქ. კპ თბილისის კომიტეტის წევრი, საქ. და თბილისის კიროვის (კრწანისის) რაიკომის ბიუროს წევრი, ქ. თბილისის დეპუტატი, საქ. სოცუზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიის წევრი, სხვადასხვა რესპუბლიკური ორგანიზციების პრეზიდიუმის წევრი; იყო 1 საკავშირო და 3 რესპუბლიკის კომპარტიის ყრილობის დელეგატი, 2 საკავშირო პროფკავშირის ყრილობის დელეგატი, სსრკ უსინათლოთა საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და სხვა.

სამშობლოსა და საბჭოთა ქვეყნის წინაშე დამსახურებისათვის დაჯილდოებული იყო 8 ორდენითა და 18 მედლით, აგრეთვე ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის და რუმინეთის სახელმწიფო «სამხედრო და შრომთი» მედლებით, საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 4 «საპატიო სიგელით», სსრკ თავდაცვის სამინისტროს ომის ვეტერანთა კომიტეტის ოქროს მედლებით და სიგელებით. 1985 წ. გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, სსრკ მარშლის დ. თ. უსტინოვის ბრძანებით, დაჯილდოვდა ოქროს საათით და მედლით. მაგრამ, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო, როდესაც დაბადების 50 წლისთავზე მას მიეკუთვნა «საქართველოს დამსახურებული ექიმის საპატიო სიგელი», რომელიც მას ბანკეტზე პირადად გადასცა საქ. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა, ვ. პ. მჟავანაძემ და საქ. უმაღლესი საბჭოს პეზიდიუმის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გ. ძოწენიძემ, აგრეთვე, მეორე «შრომის წითელი დროშის» ორდენი.

მამა ყველა თავის წარმატებას და გამარჯვებას უმადლოდა თავის მეუღლეს, ჩვენს დედას, _ნელი ჯავრიშვილს (პროფესიით ფილოლოგი, ისტორიკოსი), რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შეალია მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და შვილთაშვილებს. დედაჩემზე რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ «საქართველოს ქალში».

მათ აგვღზარდეს **სამი შვილი: უფროსი _ თამაზი** _ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ბავშვთა ქირურგი, პროფესორი, პედიატრიის ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიკოსი, სამწუხაროდ დაიღუპა 65 წლის ასაკში. მას დარჩა მეუღლე _დალი კუტივაძე_მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მორფოლოგიის ინსტიტუტის უფრ. მეცნიერ თანამშრომელი, შვილები: ვახტანგი და თამრიკო _ ექიმები, შვილიშვილები: სოფიკო წიკლაური _ სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, გიორგი და ლადო გაჩეჩილაძეები _ სკოლის მოწაფეები.

შუათანა _ ირინე _ ფრანგული ენის სპეციალისტი მუსიკის (ფორტეპიანო) პედაგოგი, მუსიკალური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე. ამჟამად მუშაობს საქ. პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელად. მისი მეუღლე, ზურაბ მჟავანაძე, მეცნიერ მუშაკი, ინსტიტუტ «მიონის» განყ. გამგე _სამწუხაროდ, გარდაიცვალა. შვილები: ვოვა_ექიმი, ნელი_ჟურნალისტი ორივე დაოჯახებულია, შვილიშვილი_ნინო გაბაშვილი_მოსწავლეა.

უმცროსი _ ვახტანგი _ექიმი – ოფთალმოლოგი, სახელმწიფო მრჩეველი, ქირურგიის ეროვნული ცენტრის ოფთალმოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ეროვნული აკადემიის და «ფაზისის» აკადემიის წევრია, მისი მეუღლე _ ინა დუდუჩავა _მუსიკის თეორიის პედაგოგი, ინჟინერ-პატენტთმცოდნეა. უფროსი შვილები:_ნინო და ვახტანგი ცხოვრობენ აშშ-ში, გიორგი სკოლის მოსწავლეა.

2008 წ.

1). მ.ი. კალინინი _ მაშინ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

«ცუდი» ხუმრობა

1962 წლის მაისი იყო. ყოველ ორშაბათს, თბილისის ცენტრალურ კინოთეატრებში, ახალი ფილმის ჩვენება ეწყობოდა. განსაკუთრებით დილის საათებში, სკოლის მოწაფეები კოლექტიურად მივდიოდით «შატალოზე". მაგრამ, იყო ერთი «რთული გარემოება" _ შუა სეანსის დროს, რაიონის განათლების ინსპექტორი შემოვლაზე ფარნით დადიოდა და ეძებდა «შატალოზე" წამოსულ მოსწავლეთა დიდ რაზმს.

რასაკვირველია, გავრბოდით _ვინ სად... ოღონდ მის ხელში არ ჩავვარდნილიყავით. ასე რომ, ხშირად გვსჯიდნენ, ალბათ, დამსახურებულად.

ერთ მშვენიერ დღეს, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მე და ჩემი ორი მეგობარი გავეშურეთ «ლაღიძის წყლებისაკენ". კავშირგაბმულობის სამინისტროსთან, კედელზე მიმაგრებული იყო ფოსტის (წერილების) ყუთი _ დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლეზე. ამ დროს, შევნიშნეთ ჩვენსკენ მომავალი, განათლების ის, ჩვენთვის მრისხანე, «ინსპექტორი". ჩემს მეგობრებს თვალით ვანიშნე, განზე გასულიყვნენ, მე კი სასწრაფოდ გავემართე ფოსტის ყუთისაკენ და მას ქვემოდან «ვიჭერდი", თითქოს ვარდებოდა. ამ დროს, «ინსპექტორი" ჩემსკენ გამოემართა და მკითხა: _რა ხდებაო? _მეც ვუთხარი: _ყუთი ვარდება და ველოდები,

ეგებ მოწაფეებმა გამოიარონ, _ვთხოვ, რომ ლურსმანი და ჩაქუჩი მომიტანონ-მეთქი. «ინსპექტორმა” მომიწონა ასეთი კარგი მოქმედება და შემომთავაზა: შენ წადი და თვითონ იშოვე ლურსმნები და ჩაქუჩი, მე კი ქვემოდან მეჭირება ფოსტის ყუთიო. მე მადლობა გადავუხადე და გავეცალე იქაურობას. ბიჭებიც გამომყვნენ, გავიდა 5-10-15 წუთი. გამვლელები ყურადღებით აკვირდებოდნენ «ინსპექტორს”. უკვირდათ: ამ ხნის კაცს რატომ უჭირავს ფოსტის ყუთიო? ბიჭებს ვუთხარი, _ცოტა ახლოს მიდით და მოვლენებს თვალი ადევნეთ-მეთქი. მე კი ქაშვეთის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს, ხეებს შორის ვიდექი და იქიდან ვადევნებდი თვალს. ამასობაში, ინსპექტორთან მისულა მისი ერთი ნაცნობი _ მაღალი მამაკაცი (ინსპექტორი დაბალი იყო) და უკითხავს: _ გრიშა, რას შვრები, რატომ გიჭირავს ეს ფოსტის ყუთიო. _ მან უპასუხა: _ვარდება ეს ოხერი ყუთი, მოსწავლეს შეუნიშნავს და ეჭირა, მე მივეხმარე, თვითონ კი ლურსმნისა და ჩაქუჩის მოსატანად წავიდაო. _ მაღალმა კაცმა ხელი ასწია, თითებით შეეხო ლურსმნებს და უთხრა: _აბა ერთი ხელი გაუშვიო. _»ინსპექტორი” ყუთს მოშორდა, დაბუჟებული ხელი რამდენჯერმე მომუშტა და გახსნა. მერეღა მიხვდა, რომ გავეხუმრეთ და, გაჯავრებულმა, მაგრად მოარტყა მუშტი ფოსტის ყუთს, დარტყმის შედეგად გაიხსნა ქვედა კარი და იქიდან გადმოიყარა უამრავი წერილი. ჩვენი ბიჭები იმ დროს მივიდნენ და დაიწყეს წერილების შეგროვება. «ინსპექტორი” ბრაზობდა, იმუქებოდა, რომ აუცილებლად შემხვდებოდა სადმე... და სკოლიდანაც გამრიცხავდა.

ისე კი, მაგრად დავისაჯე: ერთი კვირა «ავად გავხდი”_ ძლიერი «გრიპით” და «თავის ტკივილით” _ სკოლაში რომ არ მივსულიყავი. კინაღამ საავადმყოფოში გამაქანეს. შემდეგ დაგვითხოვეს კიდეც. სექტემბერში ის ინსპექტორი «დააწინაურეს» _ ქალაქის განათლების სამმართველოში გადაიყვანეს და უკვე აღარ კადრულობდა მოწაფეების «გამოჭერას”. ასე გადავრჩი...

როდესაც ინსპექტორი გარდაიცვალა, უკვე ექიმი ვიყავი, მივედი ოჯახში და მივუსამძიმრე, ღმერთს შენდობა ვთხოვე. გამოსვენებაში მთელი კლასის «ბიჭებმა” აქტიური მონაწილეობა მივიღეთ... როცა ის ადამიანი მახსენდება, სინანულით ვფიქრობ, რომ «სისულელე” მომივიდა მაშინ, _ძალიან ცუდად ვიხუმრე, რადგანაც მთელი რამდენიმე დღის განმავლობაში მუსირებდა ეს «სახუმარო» თემა.

2008 წ.

ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძე (ლოპანელი) **

დ. 1959 წ.

ეკონომისტი-მენეჯერი.

(ზნაურის რ. სოფ ლოპანი, თბილისი)

ჩემი ცხოვრება ზნაურის რაიონში

დავიბადე 1959 წლის 25 ოქტომბერს, ზნაურის რაიონის სოფ. ლოპანში (სადაც, დაახლოებით XIX სს. II ნახევარში ჩასახლებულან, ზესტაფონის რ. სოფ. წევიდან წამოსული, ჩემი წინაპრები), იქვე გავატარე ბავშვობა, რომელიც დაუვიწყარი მოგონებებითაა აღსავსე. ვიყავი ძალიან ცელქი. თუ რაიმე გაფუჭდებოდა, ვინ გააფუჭა? _ელგუჯამ, თუ ბავშვებს შორის ჩხუბი და დავა მოხდებოდა, ვინ გალახა? _ელგუჯამ. მამაჩემი საკმაოდ მკაცრად მსჯიდა. მაგრამ, ჩემი ასეთი მოუსვენრობა ჩემი ნიჭიერებითა და ინტერესიანობით იყო გამოწვეული. თუ რომელიმე მეზობელი რაიმეს დაგვავალებდა უბნის ბავშვებს, ჩემზე

სწრაფად და ხარისხიანად საქმეს ვერავინ აკეთებდა. სკოლაშიც გამორჩეული მოსწავლე ვიყავი. სულ ხუთებზე ვსწავლობდი. ეს მშველოდა, რომ, მეტისმეტი სიცელქის გამო, არ დავსჯილიყავი. ჩვენს სოფელში მხოლოდ დაწყებითი სკოლა იყო, შემდეგ რაიონის სხვა სოფლებში დავდიოდით სკოლაში. მეხუთე კლაიდან სწავლა დავიწყე, ჩვენი სოფლიდან 10 კილომეტრის დაშორებულ, ქარელის რ-ის სოფ. საციხურში, სადაც მამიდაჩემი ცხოვრობდა. კვირის განმავლობაში ის მპატრონობდა, შაბათს სახლში მივდიოდი, კვირას კი უკან ვბრუნდებოდი. საციხურელი მასწავლებლებიც განცვიფრებული იყვნენ ჩემი ნიჭიერებით. ერთხელ, ქართულის მასწავლებელმა გაკვეთილი მომაყოლა. როცა დავამთავრე მოყოლა, მისგან შექებას ველოდი, მაგრამ მან მკაცრად შემომხედა და მითხრა: _ «გაკვეთილი კარგად იცი, მაგრამ ხუთიანს მანამ არ დაგიწერ, სანამ კუთხურ _ იმერულ ლაპარაკს არ გადაეჩვევი და სუფთა ქართულით არ ილაპარაკებ, რა არის «მევიდა”, «წევიდა” და სხვა?...» შემრცხვა და თავი ჩავღუნე. ბავშვებმაც დაცინვა დამიწყეს. რაღას ვიზამდი, ამის შემდეგ შევეცადე და სწრაფად გამოვასწორე ჩემი პრობლემა.

ერთხელ (მაშინ 11 წლის ვიქნებოდი), ზაფხულის არდადეგებზე, უბნის ახალგაზრდებმა საქონელი მთაში გავრეკეთ, საძოვარზე გავუშვით, ჩვენ კი ჭიდაობა დავიწყეთ. რადგან ქართლში ვიზრდებოდი, ქართულ ჭიდაობაში კარგად ვიყავი დაოსტატებული, ამიტომ, ჩემთან საჭიდაოდ ჩემზე უფროსები გამოდიოდნენ ხოლმე. ასეთი იყო ჩემი მოგვარე ბიძაშვილი, თბილისელი ბიჭი, ჯუმბერ აკაკის ძე გაჩეჩილაძე, რომელიც სოფლელ ბიჭებთან შედარებით უფრო ეშმაკი და მოხერხებული იყო, თანაც ტრაბახა. ის ჩემზე ორი წლით იყო უფროსი და თამამად გამოვიდა საჭიდაოდ. დავიწყეთ ჭიდაობა. მე გავუკეთე ერთი ქართული ილეთი და ის მძიმედ დაეცა ძირს. მას, თურმე, რამდენიმე თვის წინ, ბრმა ნაწლავის ოპერაცია ჰქონდა გაკეთებული. ეტყობა, ნაჭრილობევი ატკივდა და ტირილი დაიწყო. ჩვენ შორის ერთ-ერთმა უფროსმა _შენგელი გაჩეჩილაძემ, რომელიც თამაშს მსაჯობდა, ეშმაკურად შემაქო, თან გამაბრიყვა _ მითხრა:_ შემოუარე წრეს, თუ გამოვა საჭიდაოდ, ხომ კარგი, თუ არა და გამარჯვებული შენ დარჩებიო. _მე შექებით უფრო მეტს ვაკეთებდი ხოლმე. რადგან ბავშვის ჭკუა უფრო მაცდურია, მე რამდენჯერმე ამაყად დავუარე წრეს. ის კი იჯდა წრის გარეთ დამარცხებული და დარდობდა, _ ჩემზე უმცროსი როგორ მომერიაო. _ამ დროს, მსაჯმა, ჩემს გასაბრიყვებლად, «აბდუშაჰილის” ნაცვლად, «შაჰ აბასის» ძახილით «შემამკო», რაზეც ბიჭები სიცილით იგუდებოდნენ. მსაჯი კი მაქებდა და მატარებდა წრის გარშემო, რის შემდეგაც შემარქვეს ზედმეტი სახელი «შახი». ზოგიერთები ახლაც ამ სახელით მომმართავენ ხოლმე.

მეშვიდე კლასიდან სასწავლებლად გადავედი ზნაურის რ-ის სოფ. ჭალეთის სკოლა - ინტერნატში, სადაც ჩემი სოფლელები და თანაკლასელები სწავლობდნენ. მეცხრე კლასი რომ დავამთავრე, ეს სკოლა დაიხურა და სწავლა განვაგრძე, ზნაურის სარაიონო ქართულ საშუალო სკოლაში, რომელიც ჩვენი სოფლიდან 17 კმ-ით იყო დაშორებული. დილაობით 7 კილომეტრს მოკლე გზებით, ტყის ბილიკებით გავდიოდით, შემდეგ კი მივყვებოდით ავტობუსს, რომელიც ყოველთვის აგვიანებდა. სკოლაში რომ მივიდოდით, გაკვეთილები უკვე 15 წუთის დაწყებული იყო ხოლმე. საღამოობით ფეხით ვბრუნდებოდით სახლში. ეს ყველაფერი ძალზე რთული იყო, მაგრამ, როგორც ჭალეთის, ისე ზნაურის სკოლებში, ჩემი ნიჭის და მონდომების წყალობით, წარჩინებული მოსწავლე ვიყავი. მასწავლებლებს და მოსწავლეებს ჩემი დიდი იმედი ჰქონდათ. მეც იმედით ვუყურებდი ჩემს მომავალს. დავიწყე სწავლა ინდუსტრიულ ტექნიკუმში, განვაგრძე სპი[1)]-ში და, ამავე დროს, ვმუშაობდი სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში: 1983წ. დავიწყე მუშაობა საქართველოს თალკის ქარხანაში, რომელიც ჩემი სოფლიდან 4 კმ-ით იყო დაშორებული, 1985 წ., სატყეო მეურნეობის დირექტორის თხოვნით, მის საწარმოში გადავედი _დამხმარე მეურნეობის

უფროსად. პარალელურად, ამავე წელს, დავიწყე მუშაობა რაიკავშირში _ჩვენი რაიონის მომმარაგებლად, თან ჩემს სოფელში _ მაღაზიის გამგე-გამყიდველად. აქ ჩემი ცოლი მყავდა დასაქმებული, მე კი კონტროლს ვუწევდი. ეს ყველფერი 1990 წლის ბოლომდე გაგრძელდა. შემდეგ, ქვეყანაში არეულობა და ომი დაიწყო. ჩვენი სოფელი კონფლიქტის ზონაში აღმოჩნდა, რის გამოც, ბავშვებიანი ოჯახები იძულებული გავხდით გავსულიყავით სოფლიდან _ უსაფრთხო ადგილებში. მართლაც, ჩამოვედი თბილისში ჩემი ოჯახით. დროებით ახლობელთან ვცხოვრობდით, შემდეგ ვიქირავე ბინა და მე და ჩემმა ცოლმა მუშაობა დავიწყეთ. 1992 წლიდან ჩავირიცხე ოფიცრად 115 სპეცბატალიონში, რომელიც საიდუმლო სამუშაოებს აწარმოებდა. ამავე დროს ინტენსიურ ფიზიკურ მომზადებას გავდიოდით.

ჩემი პირადი შეხედულებები და ინტერესები დიდად განსხვავდებოდა სახელმწიფო მოხელეთა ინტერესებისა და გეგმებისაგან. მე, ცხინვალის რეგიონის მკვიდრს, რომელმაც კარგად ვიცი ადგილობრივი სიტუაცია, არავინ მისმენდა, რის გამოც უკუღმართად წარიმართა საქართველოს საქმე და ბედი. ჩემი მოთხოვნა ასეთი იყო: პრესტიჟული ხალხი, რომლებსაც ოსები პატივს სცემენ, უნდა შეხვედროდა «სამხრეთ ოსეთის” მთავრობას და ხალხს და ის შეცდომები, რაც ქართველებმა დაუშვეს, ბოდიშის მოხდითა და ახალი, რეალური გზებით გამოგვესწორებინა. მართალია, უფრო მეტი ბოროტება ოსების და რუსული აგენტურის მხრიდან ხდებოდა, ამაში მტკიცედ ვიყავით დარწმუნებული, მაგრამ დაპირისპირებითა და ბრძოლით უფრო მეტად დავაშავებდით და გავაფუჭებდით ქართველების საქმეს. ამიტომ, მე ხშირად შევდიოდი ოსების სოფლებში, სადაც ბევრი მოძმე და მეგობარი მყავდა და მყავს და ვარიგებდი: -ძმებო, ომს და ბრძოლას სიკეთე არავისთვის მოუტანია და ჩვენ, სანამ დროა, თავი შევიკავოთ ასეთი საქციელისაგან, ერთმანეთს პატივი ვცეთ _ამით მოვიგებთ, _ჩემს შემრიგებელ მოქმედებას დღესაც იგონებს ჩვენი რაიონის ოსური მოსხლეობა.

ჩვენს ხეობაში სამი ოსური სოფელია, რომელთა მოსახლეობა ე.წ. «სამხრეთ ოსეთის” დანარჩენი მოსხლეობისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება თავიანთი შეგნებული საქციელით, რაზეც ჩემმა დარიგებამ დიდად იმოქმედა და დღესაც იგონებენ ჩემს კეთილ საქციელს, რის შემდეგაც ყოველთვის პირზე კოცნითა და მეგობრული მოკითხვით მხვდებიან. ამასთან ერთად, მამაჩემს, –ივანე ამბროსის ძეს, უდიდესი სახელი აქვს ოსეთის ოლქში, რამაც დიდად შეუწყო ხელი ჩვენი სოფლის გადარჩენას. რამდენიმეჯერ დაესხნენ ოსები სოფელს: გაიტაცეს ახალგაზრდა ბიჭი და მოკლეს; გაიტაცეს მამა-შვილი და ფული გამოსძალეს; გაიტაცეს საქონელი, ცხენები... და რამდენიმე სხვა უბედური შემთხვევაც მოხდა, მაგრამ საბოლოოდ, ივანეს სახელის გამო, სოფელი ცოცხლად დატოვეს.

ამჟამად, _ 2008 წელს, ჩვენს სოფელს კიდევ უფრო დიდი პატივისცემით ეპყრობიან ოსები. ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ «ოსეთის” ტერიტორიაზე ერთი ქართული სოფელი აღარ დატოვეს გაუნადგურებელი, ჩვენი სოფელი კი ხელუხლებელია, რადგან ჩვენი სოფლის ხალხი უღალატო, პურმარილიანი იმერელი ადამიანები არიან. თანაც, ოსები ჩვენი ხეობიდან გამოსავალს ელიან: მთელი ზამთრის სათბობი ტყე-შეშა ჩვენი სოფლიდან გააქვთ, რასაც ჩვენი სოფლის მოსახლეობა უმზადებს და ესეც დიდად მოქმედებს ჩვენი სოფლის უსაფრთხოებაზე. 2008 წლის 8 აგვისტოს ომის შემდეგ, ჩვენს სოფელში მოვიდნენ მთავრობის წარმომადგენლები: ზნაურის რაიონის გამგებელი, მილიციის უფროსი და სხვები და განგვიცხადეს: _თქვენ ნურაფრის გეშინიათ, რადგან ამ სოფლიდან ჩვენთან საომრად არავინ წამოსულა და იარაღი არავის გაუსვრია, ამიტომ არავინ არაფერს დაგიშავებთ, ჩვენთან იცხოვრეთო... _ეს სიტყვები პირადად მამაჩემს უთხრეს. ხალხიც ისეა შეჩვეული სუფთა ბუნებაში ცხოვრებას, რომ უჭირთ იქაურობის და შეძენილი ქონების დატოვება, სხვაგან,

თუნდაც ქალაქში, ცხოვრება. თქვენ წარმოიდგინეთ, 18 წელი კონფლიქტის ზონაში გაატარეს და კიდევ არ იციან, რამდენ ხანს მოუწევთ იქ ყოფნა...

2008 წ.

1*). სპი _ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.*

ვახტანგ ზოსიმეს ძე გაჩეჩილაძე (ჭიმატი) *

დ. 1927 წ.

ეკონომისტი... (ლაგოდეხი).

როგორ გავხდი ოჯახის მარჩენალი

1943 წელია. მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებს. ჩემი უფროსი ძმები ფრონტზე იბრძვიან (მამა უკვე აღარ არის ცოცხალი). ოჯახში დედა, ჩემი უფროსი დები და მე დავრჩით.

ივლისის თვეა. სამხედრო კომისარიატმა გამოაცხადა, რომ ლაგოდეხის მეთამბაქოეობის ტექნიკუმის შენობაში ოცდაათდღიანი სამხედრო სწავლება უნდა ჩაგვიტარონ. პირველ ივლისს შეგვკრიბეს ხუთასზე მეტი ახალგაზრდა _ სამხედრო «ლაგირი» უწოდეს. «ლაგირის» უფროსად დანიშნეს ჩვენი სოფლის მკვიდრი, ჩემი ძმის კურსელი _ გრიგოლ წიქარიშვილი, მოადგილედ _ ამავე სოფლის მკვიდრი, ისიც ჩემი ძმის კურსელი _ ვასილ ლობჟანიძე. ჩემი ოცეულის მეთაურად კი ლაგოდეხელი, ჩვენი სკოლის სამხედრო საქმის მასწავლებელი _ გოგი ფურცელაძე. მოგვცეს ხის თოფები. გვამეცადინებენ ლაგოდეხის «პოლკოვის ბაღის» (ასე ეძახდნენ) ტერიტორიაზე და ლაგოდეხის ნაკრძალის მიდამოებში.

გადიოდა დღეები... მე, რა თქმა უნდა, მეფერებოდნენ გრიგოლიც და ვასილიც... ისინი რომ კარგად მექცეოდნენ, ჩემი ოცეულის მეთაური, გოგიც კარგად მექცეოდა. ხშირად ოთახში მტოვებდნენ ყარაულად. ერთხელ, ჩემმა ოცმეთაურმა, გოგიმ მითხრა: _წადი პარასკევ საღამოს სახლში და კვირა სღამოს ამოდი, თან დედაშენის გამომცხვარი ხაჭაპურები და ჭაჭის არაყი ამოიტანეო.

_წამოვედი სახლში, რა თქმა უნდა, ფეხით. ტექნიკუმიდან ჩემ სახლამდე ცამეტი კილომეტრია. ისე ჩამოვედი, დაღლაც კი არ მიგრძვნია. დედას ძალიან გაეხარდა. მკითხა, _რას აკეთებთო? _რომ მოვუყევი... მითხრა, _შვილო, შენი უფროსები, შენი ძმის ამხანაგები არიან, ყველაფერი დაუჯერეო. _რომ გაიგო, ჩემი ოცეულის უფროსი გოგი იყო, უფრო დამშვიდდა. მერე მითხრა, _შვილო, ჩვენი კოლია იყო აქ. გვითხრა, _ამა და ამ ადგილას ერთი ჰექტარი სიმინდი დავთესე, გათოხნეთ და თქვენი იყოსო.

_შაბათ დილას მე და ჩემი და, თინა, წავედით სათოხნად. ჩვენი სახლიდან ათი კილომეტრი იყო სავალი.

კვირა საღამოს წავედი სამხედრო ბანაკში. წავიღე ხაჭაპურები და ჭაჭის არაყი. მერე ვუთხარი გოგის, რომ კიდე ამოვიტანდი... ვთხოვე, _გამიშვი ხუთშაბათ საღამოს, სათოხნი მაქვს-მეთქი.

გავთოხნეთ პირველად. მეორედ რომ უნდა გამეთოხნა, უკვე სახლში ვიყავი. ვთხოვე ჩემი ნათლიის ბიჭებს, გავთოხნეთ მეორედაც. სიმინდი იყო არნახული _სულ ხუთი და ექვსი ტარო ესხა, მაგრამ რა?! _ მიწები სიღნაღის რაიონისა გამოდგა, აჩეხვის დროს ჩამოგვართვეს!..

წავედი იმასთან, ვისიც სიმინდი იყო, რაიკომის მდივანიც იქ დამხვდა. უთხრა, _ნახევარი მაინც მოგვეციო... _უარი უთხრა. მე ტირილი დავიწყე. ვუთხარი, _როგორ ვიწვალე, ათი კილომეტრი ფეხით დავდიოდი-მეთქი. _რაიკომის მდივანმა უთხრა იქ მყოფ კაცს, _ამ ბავშვს

ერთი ტონა სიმინდი მიეცითო. _იმან მითხრა, _აფენის ფონთან მოდი, როცა გინდა, და მოგცემო.

_წავედი ცხენის «კაჭკით». რომ დავტვირთე «კაჭკა», უკვე საღამო იყო. მითხრეს, _დარჩი ამაღამ აქ და დილით ადრე წადიო. _მე შემეშინდა, ცხენი არ მოეპარათ და წამოვედი. ტყეში რომ შემოვედი, უკვე ღამე იყო. გზა ამებნა. მარცხნივ წავსულვარ _აფენისკენ. იმ ვარაუდით, რომ ორი დიდი ვერხვის ხესთან უნდა მივსულიყავი, გავაჩერე ცხენი. დავიწყე გზის ძებნა. ვნახე გზა. დავბრუნდი უკან. ახლა, ცხენს ვეღარ ვპოულობ... კარგა ხანს მოვუნდი... მერე ცხენმა დაიფრუტუნა. მივედი, გამოვუშვი კაჭკიდან ცხენი. ძლივს გამოვედი ტყიდან. სახლში გვიან მოვედი. დედაჩემი ხელის ლამფით შემხვდა გზაზე. ვუთხარი: _დილით ძალიან ადრე გამაღვიძე, კაჭკა ტყეში მივატოვე-მეთქი. მაღვიძებს. ვერ ვდგები. ვუთხარი, _სახეზე წყალი მომისვი-მეთქი. მომისვა. ყვირილი დავიწყე. _შვილო, შენ არ მითხარი წყალი მომისვიო?

_ავდექი. ბინდი იყო. ჩავედი. ვეძებ, ვერ ვპოულობ კაჭკას. ჩვენებური ორი ბიჭი მოდიოდა, იმათ შევეკითხე... ვუთხარი: _ასე დამემართა -მეთქი... მითხრეს: _იქით ხიდია. ხიდს იქით აფენისკენ მიდის გზა, იქ ნახავო. _მართლაც გავედი. ვნახე ჩემი სიმინდი. ძალიან გამეხარდა. შევაბი ცხენი. წამოვედი. სახლში რომ მოვიტანე ამდენი სიმინდი, ხალხს ძალიან გაეხარდა. მეორე ნაკვეთიც მქონდა. იქიდანაც ორჯერ ამაზე მეტი მოვიტანე... მეზობლები გიჟდებოდნენ, _ამ ბავშვმა რამდენი სიმინდი მოიყვანაო.

2008 წ.

1956 წლის მარტი

1956 წლის 2 მარტს, დედაჩემი, ჩემი და და მე ჩავედით ზესტაფონის რაიონის სოფ. წევაში. მამაჩემის ძმის ცოლი იყო გარდაცვლილი. 3 მარტს დავკრძალეთ. 4 მარტს დედაჩემმა მითხრა: _წადი შვილო სახლში, ჩვენ რამდენიმე დღე აქ დავრჩებით, მიცვალებულს პატივს მივაგებთო. _პირჯვარი გადამწერა და დამლოცა: _ღმერთი იყოს შენი მფარველიო.

5 მარტს თბილისში ვიყავი. ამხანაგები და მეგობრები შემხვდნენ. რომ ვუთხარი, სახლში მივდივარ-მეთქი,_ რას ამბობ, დღეიდან დიდი გამოსვლები იქნება, 9 მარტი იტყვის ყველაფერსო... _მართლაც, დამტოვეს. წავედით სტალინის სანაპიროზე, ძეგლთან.

ჩემზე კარგად მართლაც ვერავინ იტყვის და არც არავინ იცის, იმიტომ, რომ 5 მარტიდან 9 მარტამდე, არავინ იცის, რა მოხდა.

იმ დროს, თბილისში დაიწყო სტუდენტების გამოსვლები. მათ შეუერთდა მთელი საქართველო. იყო არნახული გამოსვლები სტალინის ძეგლთან. «გადააყენეს" ხრუშჩოვი[1)]... «დააყენეს" მოლოტოვი[2)]... არ უნდათ მჟავანაძე... წავედით მგელაძესთან სახლში. გვითხრეს, _მოსკოვშიაო. _გადის დღეები. მერე გვითხრეს, _ჯუ დე[3)] არის ჩამოსულიო. _წავედით კრწანისის რეზიდენციაში _ავტობუსებითა და დიდი მანქანებით. გვითხრეს: _წადით, მოვა აუცილებლადო.

მივედით სტალინის ძეგლთან. მოვიდა გორის თეატრი. «სტალინი" მეზღვაურის ფორმაში იყო გამოწყობილი. იყო ტაშის გრიალი, შეძახილები: _გაუმარჯოს საქართველოს!.. ეს ყველაფერი ხდება გვიან საღამოს, 9 მარტს. სტალინის ძეგლთან მოვიდნენ ვ. მჟავანაძე _საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს I მდივანი, მჭედლიშვილი_II მდივანი, გ. ჯიბლაძე _განათლების მინისტრი. პირველი გამოდის ცკ-ს II მდივანი, მჭედლიშვილი, _რაც ასწავლა პარტიამ, რაც იყო მაშინ ხალხისთვის... «სტალინი» ამბობს ყოველივე სიმართლეს... ხშირად გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შემდეგ გამოდის განათლების მინისტრი

ჯიბლაძე. ჯერ სტალინზე ისაუბრა, შემდეგ სტუდენტებს მიმართა: _ჩემო დებო და ძმებო, ჩემო შვილებო, დაბრუნდით სასწავლებლებში... _დაპირდა, რომ სასწავლებლიდან არავის გარიცხავდა. შემდეგ, გამოდის მჟავანაძე. ვაი იმ გამოსვლას: რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა ქართულად, შემდეგ დაიწყო რუსულად. ისეთი გინება დაუწყეს, გაგონება არ შეიძლებოდა. დაიწყებდა თუ არა ქართულად, ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა წამში, რომ ბუზის ხმას გაიგონებდი. ასე გასტანა ძალიან დიდხანს. ჩვენ, ამ დროს, სტალინს ძეგლის გვერდით ვიყავით. რა დამავიწყებს იმ მომენტს, ან იმ ღიპიან კაცს, რომელმაც ამდენი ახალგაზრდა იმსხვერპლა. ღმერთი დასჯიდა მას. ავიდა სტალინის ძეგლის მესამე საფეხურზე (ეს ხდებოდა მარჯვენა მხარეს, სადაც ჩვენ ვიდექით). ხელში ეკავა სპორტული მაიკა _თეთრი, ლურჯი ზოლებით. გაჭიმა და ხმამაღლა დაიწყო ყვირილი: _ამხანაგებო, დებო და ძმებო, ვიღუპებით. ამ წუთას მომიტანეს ეს მაიკა. კავშირგაბმულობის სახლში მოგვიკლეს ჩვენი სასიქადულო სპორტსმენი. _ მაიკა გულთან გახვრეტილი იყო. მე მერე ვიკალი თავი, რატომ არ წავართვი. რა თქმა უნდა, სისხლი არ იქნებოდა, საღებავით იქნებოდა დასვრილი...

ახლა მეორე მაიკა გაჭიმა და თქვა: _ათი წლის ბავშვი ხიშტზე წამოაგესო. _ამის თქმა იყო და მოწყდა სტალინის ძეგლს ხალხის თითქმის 50-60 პროცენტი.

ჩვენ დიდი მანქანა გვქონდა, იმით წავედით. ბევრი ფეხით გაიქცა, ალექსანდრეს ბაღის არბენით. ჩვენ რომ ახლოს მივედით, ხალხით უკვე სავსე იყო კავშირგაბმულობის სახლი. მარცხენა მხრიდან მივედით. ძალიან ბევრი ხალხი ცდილობდა სატელეფონო სახლთან მიახლოებას. მე მარცხენა კუთხიდან ავედი კიბეებზე და დავინახე, კარებს არცერთი მინა აღარ ჰქონდა, სულ ჩამტვრეული იყო. ჩვენი ბიჭები დროშებით კარებთან მყოფ სამხედროებს წინააღმდეგობას უწევდნენ: _დროშებით წევდნენ წინ. ისინი კარაბინის ხიშტებს უხვედრებდნენ. ასე გრძელდებოდა...

მე გული მწყდება იმ მორიგე ბიჭებზე, წითელი ნაჭერი რომ ჰქონდათ მკლავზე შემოჭერილი. ეხვეწებოდნენ: _ძმებო, დებო, წადით, აქ არავინ მოუკლავთ, არც არავინ დაუჭერიათ, ეს ყველაფერი პანიკა არისო.

მე მარცხენა კარიდან გადავედი მარჯვენა კარისაკენ. მერე მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: გავიხედე შიგნით და მეთაური გადმოხტა «პულემიოტი” და «პისტოლეტი” ასწია მაღლა. იმან რომ იარაღი გატენა, მე დაბლა დავწექი _ უფრო, ღმერთმა დამაწვინა.

მეთაურმა გაისროლა თუ არა, დაიწყო გაუთავებელი სროლა. მე მეორედ გავცოცდი. მერე, ვიგრძენი, თავში რაღაც მძიმე საგანი მომხვდა. ჩემი აზრით, მკვდარი დამეცა, იმიტომ, რომ ერთი გასროლა და ყველა გაიქცა. მოკლულებს და დაჭრილებს ყველას ზურგში ჰქონდათ მოხვედრილი ტყვია. თანაც, ეტყობა, ნაბრძანები იყო, ქამარს ზევით უნდა ესროლათ.

გავიდა დრო. მე გრძნობადაკარგული ვწევარ მარჯვნივ. მარცხნივ კიბეზე ქალი ამოდის. როგორც მერე თქვეს, შვილს დაეძებდაო. სამხედრომ რუსულად დაუყვირა: _უკან დაიწი, თორემ გესვრითო. ამასობაში მე თავი ავწიე მაღლა. მარჯვენა კუთხეში ახალგაზრდა ბიჭი იყო. მითხრა: _მოდი ჩემამდეო. ვერ ვინძრევი, მკვდრებში ვარ ჩაფლული. მერე გავტოკდი, მიცვალებულები ჩამოსრიალდნენ. დამავლო ხელი იმ კარგმა ვაჟკაცმა, წამიყვანა მანქანისკენ. ამასობაში მოვიდა ძალიან ბევრი ტანკი და დაბრონილი მანქანა. მე ჩამსვეს მოსკვიჩში, წამიყვანეს კამოს ქუჩაზე, საავადმყოფოში. იმ მძღოლმა თქვა: _მესამე რეისზე მოვდივარ, სავსეა საავადმყოფო დაჭრილებით და მიცვალებულებით. გააჩერეს მანქანა. მოცვივდნენ ქალები. ნახეს, რომ კისერზე სისხლი მქონდა შედედებული. მომაცალეს, თბილი წყლით მომბანეს, მომწმინდეს პირსახოცებით. ეს სისხლი იმ დახოცილი ბიჭებისა იყო. მერე ჩაგვსვეს მანქანაში. ვინც გამომიყვანა, ის შეეკითხა სხვა ბიჭს, _სად მიდიხარო? _მარქსის მოედანზეო, _უპასუხა. მერე იმან უთხრა: _ასე შედი, 25 თებერვლის ქუჩაზე ჩამოვალ, სახლში «პისტოლეტი” მაქვს ოცდაათი პატრონით, რამდენიმე რუსს გავისტუმრებდი იმ ქვეყანაშიო. _ის ჩამოვიდა, მე წავყევი და ჩამოვედი მარქსის მოედანზე. წავედი სტალინის ძეგლთან.

ავედი მაღლა. ორ ბიჭს წაურთმევიათ მილიციელისათვის პისტოლეტი, თან სცემდნენ. იქ მყოფებს ჰგონებიათ, რომ მილიციელებმა დახოცეს ხალხი. მე წავართვი პისტოლეტი ბიჭებს, მივეცი მილიციელს. მაშინვე იქიდან გადახტა. მე გამოვედი სიტყვით. ვთქვი, რომ კავშირგაბმულობის სახლში ხალხი მილიციამ კი არა, სამხედროებმა დახოცეს. ამასობაში სამხედროებმა მშრალი ხიდიდან მაღლა სროლით დაფანტეს ხალხი. ამ დროს, ჩემი ნათესავი, გულნარა ხვედელიანი მოვიდა, ჩამომიყვანა ძეგლიდან. მე ვუთხარი: _ ბიჭები მყავდნენ გვერდით, რა მოუვიდათ არ ვიცი-მეთქი. ვთხოვე, _ბიძინა ერაძესთან წავიდეთ, ცხრა ძმის ქუჩაზე ცხოვრობს, ვნახოთ, სახლშია თუ არა-მეთქი. _წავედით. გულნარა შევგზავნე სახლში. მერე ორი ქალი გამოვარდა: ბიძინას დედა და მეზობელი. მე დავიმალე. ველოდი. გულნარა აღარ გამოვიდა. წავედი. იქვე ახლოს, მონტინის ქუჩაზე ძმაკაცი ცხოვრობდა, გავაღვიძე. ვუთხარი: _ბიძინა არსად ჩანს-მეთქი. _წავედით ორივენი. რა დამავიწყებს იმას, რომ ჩამოვედით მონტინის ქუჩის დასაწყისში, დაიწყო სროლა. მალაკნის ბაზრამდე იყო სროლა, სტალინის ძეგლთანაც. რომ უნდა გადაგვეჭრა საბჭოს ქუჩა, დავინახეთ, ბიძინა მოდიოდა. ძალიან გამეხარდა. მერე ჩემმა ძმაკაცმა თქვა: _ აგერ ჩემი დაქალი ცხოვრობს, გავაღვიძებო. _მალე გამოვიდნენ. წავედით. კლდიაშვილის ქუჩით, 25 თებერვლის ქუჩაზე გავედით. რომ მივდიოდით, ოთხი რუსი _ორი ბიჭი და ორი გოგო მოდიან. ჩვენ ნაპირზე მივდიოდით, ისინი შუა ქუჩაზე. ერთმა რუსმა თქვა: _ჩვენ ახლა შეგვიძლია პირდაპირ შუა გზაზე ვიაროთო. მე გავიწიე, მაგრამ იქ, სასროლით ხელში, დადიოდა დამცველი, რომელმაც მითხრა: _გაჩერდი, შვილო, ახლა მაგათი დროაო. ჩვენ მივედით კამოს ქუჩაზე, საავადმყოფოში. მანქანა გაჩერდა, გადმოვიდა მანქანიდან ვიღაც კაცი, თავისი დაცვით. ეტყობოდა, თანამდებობის პირი იყო. გვითხრა: _შემოდით წყნარად, ორ-ორად დაწყობილი. თუ ნახავთ ნათესავს, ნაცნობს, ამხანაგს, წაიღეთ ახლავეო. _მართლაც, შევედით ორ-ორად დაწყობილი. რას ვხედავთ: _ძალიან ბევრი მიცვალებული _გოგო და ბიჭი, თანაც ოცი-ოცდაათი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი ყველას ზურგში, ქამრის მოსაჭერამდე. ეფარათ ზეწრები. უკანიდან ნასროლი რომ იყო, გულ-მკერდი ჰქონდათ გაგლეჯილი. მეორე დღეს კიდეც ამბობდნენ: _კავშირგაბმულობის სახლის აღება თუ უნდოდათ, ყველას ზურგში რატომ აქვს ტყვია მოხვედრილი, როგორ შევიდოდნენ კავშირგაბმულობის სახლშიო?A.

სახლში რომ მოვედი, ბიძასთან, ბიცოლას უკვე გამოტირებული ვყავდი. დილით წავედი სოფელში. მადლობა ღმერთს, რომ დამიფარა და თავისი კალთა გადამაფარა. იმიტომ ვიძახი, რომ კარგი ანგელოზი მყავს. მე ხომ ღმერთის შვილად ვითვლები, ვინ დათვლის, რამდენჯერ გადამაფრა თავისი კალთა...

2008 წ.

1). ხრუშჩოვი ნიკიტა სერგის ძე _ მაშინ, საბჭითა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

2). მოლოტოვი (ნამდვ. გვარი სკრიაბინი) ვიაჩ ესლავ მიხეილის ძე _ მაშინ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმის წევრი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

3). ჯუ დე _ ჩინეთის სამხედრო, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. მაშინ, ჩინეთის კპ ცკ-ის თავმჯდომარის მოადგილე.

ელისე გაჩეჩილაძის შესახებ

რედაქტორის შენიშვნა: *1930-იან წლების დასაწყისში ზესტაფონის რ. სოფ წევა საქართველოს ძალოვნების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში ყოფილა მოქცეული, წევის*

მკვიდრის, საბჭოთა მილიციის მიერ დევნილი, ელისე გაჩეჩილაძისა და მისი თანამოსაქმის, ვანიჩკა კუპატაძის, გამო.

ელისე ვაჭარი იყო. მას კონტრაბანდული მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი შემოჰქონდა საქართველოში და ჰყიდდა. კომუნისტები, ახალშექმნილი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის დაცვის მიზნით, კრძალავდნენ კონტრაბანდას... ელისეს დაჭერა მილიციას გასჭირვებია, რადგან ძალიან მოძრავი და მოუხელთებელი კაცი ყოფილა.

მიუხედავად იმისა, რომ მისი დევნის პროცესში, როგორც ელისეს, ისე მისი მდევნელების მიერ არაერთი ადამიანი განადგურებულა ან დაზარალებულა, ელისე გაჩეჩილაძეს, ბევრისათვის საძულველი კომუნისტური რეჟიმის მიმართ მისი წინააღმდეგობის, მოხერხებულობის და ზოგიერთი ვაჟკაცური თვისების გამო, მრავალი ადამიანის სიმპათია დაუმსახურებია. მის შესახებ ათასგვარი ლეგენდები დადიოდა, თურმე (ქ-ნმა ნათელა გაჩეჩილაძემ (კრეჭია) გვიამბო: _ბავშვობაში გამიგონია:_ ჩუმათელეთს იმიტომ შეარქვეს ჩუმათელეთი, რომ იქ ელისე იმალებოდაო. ჩუმათელეთი ნიშნავს «ჩუმად, ელისე»-ო...),...

ელისესავით ჯიუტი და თავნება, ვისიმე დიქტატის მიმართ შეუპოვარი ადამიანები ყველა დროში არსებობენ. მათი ხასიათი, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ, გარდატეხის ეპოქებში ვლინდება... მათი მოქმედება ყოველთვის მწვავე კითხვებს სვამდა და სვამს საზოგადოების წინაშე, მუდამ იწვევს ინტერესს და განსხვავებულ შეფასებებს: ელისეს შესახებაც ინფორმაციის მიწოდება არაერთმა ჩვენმა მოგვარემ გვთხოვა. ამიტომ, «გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს» III წიგნში მის შესახებ შევიტანეთ ის ინფორმაცია, რისი მოპოვებაც შევძელით.

ვახტანგ ზოსიმეს ძე გაჩეჩილაძე (ჭიმატი)*

დ. 1927 წ.

ეკონომისტი (ლაგოდეხი)

ელისე

დედაჩემმა მიამბო: _ზესტაფონის რაიონის სოფ. წევაში ცხოვრობდა ელისე გაჩეჩილაძე, რომელიც, როგორც ამბობენო, «ორგულა" ყოფილა: ჯერ ბოლშევიკების მხარეზე ყოფილა: _იმას ქადაგობდნენ, რომ ყველაფერი ხალხის იქნებაო, თავსაყარათ გვექნება ყველაფერიო. ბოლშევიკები რომ შემოვიდნენ, რაც არაფერი ქონდათ, რას მიცემდნენ ხალხსო...

იმასაც ამბობდნენო: _შებმულ ურემზე ხტებოდა სიგრძეზეო. ერთხელ, თურმე, ზესტაფონში ჩასულა. მატარებელს გაუსწრია. ასე უთქვამთ: _ახლა გავიდა შორაპნის სადგურიდანო. _გამოკიდებია და ძირულას სადგურში დაეწიაო...

ერთხელ, მაღაზიაში შესულა. _ჯერ ერთი, ძვირად ყიდდნენ, მერე _ცოტას აძლევდნენ. გამოუგდია ნოქარი, გადმოუყრია ჩითეულობა, ბამბაზია გარეთ. თან დაუძახნიაო: _არავინ იღოროთ, ცოტ-ცოტა აიღეთ, თორემ ჩემთან გექნებათ საქმეო. მერე, გაუდგა ბოლშევიკებს, გავიდა ყაჩაღად. დასდევდნენ დასაჭერად. რას დაიჭერდენო? _ხან სად იყო, ხან სადო.

ერთხელ, აღმოსავლეთში წასულა. გურჯაანში რომ მისულა, უთქვამს: _ვის ჰყავს კარგი ცხენებიო? ლაგოდეხში მინდა წასვლაო. _ერთს უთქვამს: _მე მყავს ძალიან ძლიერი ცხენები, მაგრამ, ლაგოდეხამდე ძალიან ძვირი ღირსო. _რამდენი გნებავთო? _უკითხავს. მედროგეს. უთქვამს: _ამდენიო. _ელისეს მიუცია. წასულან ლაგოდეხში. ალაზნის გაღმა რომ გასულან, ელისეს გუჩერებია ეტლი, ამოუღია მაუზერი, უთქვამს: _ფული მოგეცი? _კიო. _ახლა, შენს ცხენებს არ დაზოგავ, გარეკავ რაც შეიძლება სწრაფად, ლაგოდეხამდე არ მოიხედავ უკან, თორემ, ამ სასროლს ხომ ხედავ, პირდაპირ შუბლში მოგხვდებაო.

მართლაც, აფრინა ცხენები, რაც შეიძლებოდა... ლაგოდეხში რომ შევიდა, გააჩერა ცხენები, მოიხედა უკან, –ეტლი ცარიელი იყო. უთქვამს: _კაცი დავსვი გურჯაანში, ფული გადამიხადა, ალაზნის წყალში რომ გამოვედი, ამოიღო მაუზერი, მითხრა: _ ფული ხომ მოგეცი, ახლა ცხენები აფრინე, როგორც შეუძლიათ, ლაგოდეხამდე არ მოიხედო, თორემ, ტყვიას დაგახლი შუბლშიო. მეც ცხენები ვაფრინე. სად ჩამოხტა არ ვიცი. ან როგორ ჩამოხტა? _ცხენები მოფრინავდნენო. მოვიხედე და _ ეტლი ცარიელიაო...

ის მეეტლე დაუჭერიათ. მერე რაიონის ყველა სოფელში მცხოვრები გაჩეჩილაძე დაუკავებიათ, მათ შორის მამაჩემიც: _ელისე მოვიდა რაიონში, დაიჭირეთ და აქ მოიყვანეთო. _მეორე დღეს, მამას უთქვამს: _ჩვენ რომ აქ დაგვამწყვრიეთ, ელისე რომ მოვიდეს რომელიმესთან სახლში, აქ ვინ მოიყვანსო?... _მართლაც, გამოუშვიათ ყველანი. უთქვამთ: _რომ გავიგოთ, ამა და ამ სოფელში იყოო, მთელ ოჯახს დაგიჭერთო. ვინც დაიჭერს და მოგვიყვანს, ის დაჯილდოვდებაო. _ასე გადიოდა დრო. მერე, თურმე, კუპატაძე ჰყოლია ძმაკაცი, ისიც შეერთებია. ორივენი ერთად ყოფილან დიდხანს. მერე, ერთი ოსი პატიმრისთვის უთქვამთ: _გაგიშვებთ სახლში, აღარ დაგიჭერთ, თუ გაჩეჩილაძეს მოგვიყვან თავის ძმაკაცით, ჯილდოსაც მოგცემთო. გამოუშვიათ ციხიდან ეს ოსი. დაუწყია მათი ძებნა. მიუგნია. მისულა ელისესთან, ჩავარდნია ფეხებში, შეხვეწნია, უთქვამს: _დახვრეტა მქონდა... გამოვექეცი, _თხოვდა: _შემიფარეთო, თქვენი ერთგული ვიქნებიო. _კუპატაძეს უარი ეთქვა, ელისეს მაინც მიუღია. ასე ყოფილან კარგა ხანს.

ერთ ღამეს, როცა ოსი იყო ყარაულში, იმათ ეძინათ, ამოუცლია ორივესთვის მაუზერები. დილას გაუღვიძებია ორივენი. დაუძახნია: _ხელები მაღლა ასწიეთ! მილიციაში უნდა წაგიყვანოთო. კუპატაძეს უთქვამს: _ელისე, ხომ გითხარი, მაგის ნდობა არ შეიძლებაო. _შე კაცო, რას ამბობ, ასეთი ვაჟკაცი კაცი არ მეგულებაო...

_ადექი, ხელებაწეული იარე, თორემ სულს გაგაფრთხობინებო! _კარგი ბატონო, მაგრამ მე მაინც არ მგონია, კაცური კაცი ამას იზამო...

მთიდან დაბლა მოდიან. ერთი ადგილი ყოფილა ვიწრო გზა-მოსახვევი. ჯერ ელისე გასულა, მერე კუპატაძე. თურმე, ელისეს კისერთან ჰქონია სასროლი დამალული. ეს არც კუპატაძეს სცოდნია. წამში ამოუღია, დაუყრია ოსისთვის, მოუკლავს. მერე, დაბლა ჩამოუთრევიათ, აუჭრიათ ნაჭრებად. დაუწერია ზედ ქაღალდზე: _ვინც ჩვენზე წამოვა სანადიროდ, ყველას ასე დაემართებაო. მერე, როგორც ამბობდნენ, 1943 წელს, სიღნაღის რაიონში, _ბოდბისხევის ბაზარში (მაშინ, ალბათ, აზიაში ყველაზე დიდი ბაზარი იყო) უნახავთ, უთქვამთ: _ირანში ვცხოვრობთ, ისევ იქ წავალთო...

2008 წ.

როსტომ გალაქტიონის ძე გაჩეჩილაძე (კვიცინა) *

(1927_2009)

ინჟინერ-ენერგეტიკოსი... (თბილისი).

რაც ელისე გაჩეჩილაძის შესახებ გამიგონია

1932 წელს, როცა, ჯერ კიდევ, ექვსი წლისაც არ ვიყავი, ზესტაფონის რაიონის სოფელი წევა საქართველოს მაშინდელი ძალოვნების ყოველდღიური ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, წევის მკვიდრის, ელისე გაჩეჩილაძისა და მისი თანამოსაქმის, ვანიჩკა კუპატაძის, გამო.

მართალია ექვსი წლისაც არ ვიყავი, მაგრამ ბავშვის გონებით მაშინ აღქმული სანახაობა ისე მახსოვს, როგორც გუშინდელი დღეები.

რაც ვნახე და მოვისმინე მშობლებისაგან, მიბიძგებს და არ მასვენებს მანამ, სანამ ამ საქმეს არ გავაცნობ ჩემს თანამოგვარეებს _გაჩეჩილაძეებს და ჩვენი საგვარეულო დარბაზის წევრებს:

მონაყოლიდან: _ელისე გაჩეჩილაძეს (წეველი) და ვანიჩკა კუპატაძეს (ჭიათურის რაიონიდან) გაუცვნიათ ერთმანეთი და დაუწყიათ კონტრაბანდული საქონლით ვაჭრობა საქართველოს მასშტაბით.

ერთ დღეს, როცა კონტრაბანდული საქონელი მოჰქონდათ ბათუმის მატარებლით, ვაგონის გამცილებელს «ჩაუშვია” მატარებლის გამცილებელ ძალოვნებთან, რის გამოც ისინი, ექსტრემალური სიტუაციიდად გამოსასვლელად, ხელჩართულ ჩხუბზე წასულან და ვაგონის გამცილებელი ვაგონებს შორის ჩაუგდიათ, თვითონ კი ვაგონიდან გადამხტარან. იმ დღიდან მათ დასდევდნენ, როგორც რაიონის, ისე მთელი საქართველოს ძალოვნები.

მათი ამბავი მთელ საქართველოს მოედო _»ელისე გაჩეჩილაძისა და ვანიჩკა კუპატაძის ყაჩაღთა ჯგუფის» სახელწოდებით.

რაც ვნახე: ელისემ და მისმა მეგობარმა მოაშურეს, იმ დროისათვის წევის სერებზე და წევაზე გამავალი «ულევის» გზის გარშემო მდებარე, დაბურულ ტყეებს. ჩვენი, ე.წ. კვიცინაშვილების უბანი მდებარეობდა წევის განაპირას, «აბრეშუმის” გზის გასწვრივ, დიდი თელის მიდამოებში, ამიტომ, თავისი უშიშროების დაცვის მიზნით, ჩვენი უბანი გაიხადა სათანადო ინფორმაციის მიღება-გადაცემის ადგილად. ის მთელი სოფლის ნდობით აღჭურვილ პირებს ხვდებოდა ჩვენთან. აძლევდა დავალებებს და იღებდა მათგან სათანადო ინფორმაციას.

თავდაპირველად ის სოფლის მოსახლეობას არაფერს უშავებდა, მხოლოდ, სოფლის საიმედო ხალხი მას სადილ-ვახშამს უწყობდა. ისინი არასოდეს არ აღამებდნენ და ათენებდნენ სოფელში, _მათი ადგილ-სამყოფელი შროშის უღრან ტყეებში _ ე.წ. «მახმახების” ტყეებში იყო.

ისინი განუყრელად თან ატარებდნენ, იმ დროისათვის ცნობილ იარაღს _»ბერდენკას”. როცა ჩვენთან მოდიოდნენ, ელისე დაიდებდა ხოლმე მუხლებზე იარაღს, მერე მე ამიყვანდა და დამსვამდა თავის მუხლებზე.

ჩვენი უბნის მამაკაცები იყვნენ მისი დავალებების შემსრულებლები. სადილ-ვახშამი მზადდებოდა ჩემს მეზობლად მცხოვრებ ანთიმოზ გაჩეჩილაძის (კვიცინა) მარანში და იქვე სადილ-ვახშმობდნენ, გარეთ კი მეთვალყურენი იყვნენ დატოვებული _საშიშროების თავიდან ასაცილებლად.

გადიოდა დღეები. ერთი და იგივე მდგომარეობა მეორდებოდა. ჩვენს მეზობელ ლადიკო გაჩეჩილაძეს ელისემ ასეთი დავალება მისცა: _ის უნდა წასულიყო ბათუმში, ელისეს ნაცნობ კაცთან, რომელიც გამოატანდა ელისესთვის იარაღს (ალბათ ნაგანს). _ ლადიკო მართლაც წავიდა და მოიტანა იარაღი, რომელიც უვარგისი გამოდგა. საწყალი ლადიკო კინაღამ მოკლეს...

ზაფხულის შუადღე იყო. ხალხი გასული იყო ყანებში სამარგლად. ამ დროს გამოჩნდა ცხენებზე ამხედრებული ზესტაფონის მილიცია. ელისე და ვანიჩკა ჩასაფრებული იყვნენ და შეიქნა სროლა და მერე როგორი... დაჭრეს რაიონის მილიციის უფროსი და გადმოაგდეს ცხენიდან, თვითონ კი მოკურცხლეს უღრანი ტყეებისაკენ.

ხშირი იყო შემთხვევები, როცა ისინი მიუვარდებოდნენ ამა თუ იმ გლეხს იმ საბაბით, რომ მას მათზე ცუდი რამ უთქვამს. შალიკო გაჩეჩილაძეს (ცეტს), ყანაში, ნაგანის ლულა ჩაუდეს პირში, მაგრამ, ჩვენი უბნის მამაკაცები (კვიცინაშვილები) ჩავარდნიან ფეხებში და, დიდი ხვეწნის შედეგად, საწყალი შალიკო გადაურჩენიათ სიკვდილს.

ასევე მოექცნენ თანასოფლელ მიშიკო გაჩეჩილაძეს (ბღოჭიალას), რომელიც წევის დუქანში მუშაობდა, იმიტომ, თითქოს, მას ეთქვას, _რას დაეთრევიან და აწუხებენ ხალხსო.

ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს მოვიდნენ ორივენი, ძალიან აგრესიულად განწყობილნი, თეიმურაზ გაჩეჩილაძესთან_მამაჩემის ბიძასთან. _უნდა მოგვიტანო ამა და ამდენი ფულიო. მანამ ფულს არ მოიტან, შენი ვაჟკაცი ჩვენთან იქნება ტყეშიო. მამაჩემი ჩაუვარდა ფეხებში:_ნუ იზამ ბიჭო ელისე მაგ საქმესო, მაგრამ არ ისმინა და მამაჩემს უთხრა: _შენც მიგაყოლებ ამასო.

წაიყვანეს მიშიკო (მიხეილ) გაჩეჩილაძე, ეს 20 წლის ვაჟკაცი, შროშის უღრან ტყეებში. გავიდა რამდენიმე დღე. მიშიკოს მამა, თეიმურაზი, დედამისი აღათი და მამაჩემი, ხურჯინაკიდებულნი, წავიდნენ მათთან და საღამოთი მიშიკო მოიყვანეს. არ გასულა სამი თუ ოთხი დღე და ჩვენს უბანში ყველა მამაკაცი დაიჭირეს: თეიმურაზი, გალაქტიონი, ანთიმოზი, ლადიკო, მიშიკო და, ანთიმოზის და ლადიკოს მამიდაშვილი სოფ. ფუთიდან _პოლიკარპე სარალიძე. დარჩა უბანი მამაკაცების გარეშე, მაგრამ ერთ კვირაში გამოუშვეს თეიმურაზი, გალაქტიონი, ანთიმოზი და პოლიკარპე. ლადიკო, როგორც იარაღის მომტანი, და მიშიკო, როგორც ამ ამბის არ გამცხადებელი მილიციაში, დაიტოვეს და თბილისში გადმოგზავნეს «გუბერსკის" ციხეში. მიშიკომ და ლადიკომ ამ ციხეში, წელიწადზე ცოტა მეტი ხანი დაჰყვეს. თეიმურაზს და აღათის თბილისში ხელით მოჰქონდათ შვილისათის გადასაცემი ამანათი. როგორც აღათი იტყოდა ხოლმე, ის ფეხებში ჩავარდნია ბერიას, ერთადერთი ბიჭის გამო და უთხოვია მისი გამოშვება. როგორც ჩანს, ბერიამ აღათის შეუსრულა თხოვნა: ჯერ გამოუშვეს მიშიკო და, მალე, ლადიკოც.

«ის ორი მეგობარი», როგორც მათ უწოდებდნენ, ელისე და ვანიჩკა, გადაიკარგნენ და, სოფელს რა გამოეპარება, _ გადავიდნენ თურქეთში.

მიშიკოს შვილები არიან: ჩვენი საგვარეულო დარბაზის აქტიური წევრი ემირ გაჩეჩილაძე, თემურ და ციალა გაჩეჩილაძეები.

P.S. ელისეს ჰყავდა დედამიშვილები: ერთი ძმა, ილია (უფროსი) ჩასახლებული იყო ლაგოდეხის რაიონის სოფ. ლელიანში, მეორე ძმა _ ლევანი, რომელსაც პირადად ვიცნობდი, ცხოვრობდა ქ. ზესტაფონში, აგრეთვე, ჰყავდა და, მარიამი, რომლის ფოტო ინახება ჩვენს ოჯახში.

2008 წ.

რევაზ ანდროს ძე გაჩეჩილაძე (პაპუჩელაშვილი-ხბოსთავა) *

დ. 1928 წ.

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი... (თბილისი).

რატომ დაისაჯა მამაჩემი

1937 წლის რეპრესირებულ მსხვერპლთა შორის იყო მამაჩემი _ანდრო გაჩეჩილაძ ე. იგი შვილი იყო შეძლებული გლეხის, სპირიდონ ათანას ძე გაჩეჩილაძისა, რომელიც სოფელ წევაში ცნობილი იყო თავისი კაცური კაცობით და კარგი მეურნეობით. მისი მამული განთქმული იყო ვაზის და ხეხილის კარგი ჯიშებით და წაბლის ტყის მასივით. მისი ხარ-ურემიც მთელ სოფელში გამორჩეული იყო. მას ამ ურმით ჭიათურიდან შორაპანში ყველაზე მეტი მარგანეცი ჩამოჰქონდა.

სპირიდონ ბაბუას მეუღლედ ხარაგაულელი ბუაჩიძის ქალი ჰყავდა, რომელთანაც შეეძინა ოთხი ქალიშვილი: ფაცია (ფედოსი), ვერიჩკა, ალექსანდრა და კატო და ერთი ვაჟი _ანდრო.

ბაბუამ თავისი ერთად-ერთი ვაჟი, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ზესტაფონში, ხის დამამუშავებელ საწარმოში მიაბარა შეგირდად. ანდრო მაღალ დონეზე დაუფლებია სპეციალობას და ამავე საწარმოში დაუტოვებიათ საქონელმცოდნედ. მას ხის მასალა შემოჰქონდა როგორც საქართველოს დასავლეთი რაიონებიდან (ანაკლია, ზუგდიდი, ხობი და სხვა), ისე რუსეთიდან.

იმ დროისათვის, ოჯახს არ უჭირდა, კომუნისტებმა კულაკების სიაში შეიყვანეს და მამულები ჩამოართვეს, მაგრამ ის კოლექტიური მეურნეობის მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდა.

სპირიდონის უფროსი ქალიშვილი, ვერიჩკა, ზესტაფონში იყო გათხოვილი _მდიდარ ვაჭარ ლავრენტი გიორგიძეზე და ანდრო, სანამ ცოლს შეირთავდა, მასთან ცხოვრობდა, ახალშერთული მეუღლეც იქ მიიყვანა, შაბათ-კვირას კი წევაში მიდიოდნენ მამასთან.

ანდროს და მის მეუღლეს, ვერა კოპაძეს, სამი ვაჟი შეეძინათ. მათი ოჯახი ხან ზესტაფონში იყო, ხან წევაში.

30-იან წლებში, წევის მკვიდრს, ელისე გაჩეჩილაძეს, კომუნისტური პარტიის წევრი და მოხელე შემოაკვდა. რომ არ დაეჭირათ, პოლიციას წევაში და მის მოსაზღვრე სოფლებში (წიფლავაკე, შროშა, ულევი და სხვა) ემალებოდა.

ელისე გაჩეჩილაძე ვაჭარი კაცი იყო. მას უცხოური მსუბუქი მრეწველობის ნაწარმი შემოჰქონდა საქართველოში, კერძოდ იმერეთის რეგიონში და ჰყიდდა, რასაც კომუნისტები კრძალავდნენ. ელისეს დაჭერა პოლიციას გაუჭირდა, რადგან ძალიან მოძრავი და მოხერხებული კაცი იყო. დასამალად სანათესაოს იყენებდა. პოლიციას თავისი შიკრიკები ჰყავდა ყველა სოფელში. თუკი მის კვალს მიაგნებდნენ და პოლიცია თავს დაესხმოდა, ის უმალ დაუძვრებოდა ხოლმე პოლიციას და მაბეზღარას მრისხანედ უსწორდებოდა. იყო შემთხვევები, რომ სახლ-კარი გადაუწვავს გამცემებისათვის, მათ შორის გაჩეჩილაძეებისთვისაც.

ასეთი შემთხვევაც მომხდარა: თეიმურაზ გაჩეჩილაძეს (კვიცინა) უხუმრია, _ნეტა რას იმალება, ხომ იცის მაინც დაიჭერენო. _ამიტომ, ელისეს მისი ერთად-ერთი ვაჟი დაუჭერია, ტყეში წაუყვანია, გაუშიშვლებია, ხეზე მიუბია და თაფლი წაუსვამს. ბიჭს ფუტკრები დახვევია და კივილი მოურთავს. გამწარებულ მამას ელისესთვის ფული გადაუხდია, რომ ბიჭი გაეშვა.

ასევე მრისხანედ უსწორდებოდა ყველა დამბეზღებელს. ასეთები კი მრავლად იყვნენ. ამის გამო, მან იმერეთი დატოვა და მესხეთ-ჯავახეთში გადავიდა. იქ ერთხანს თურქი მესხები ინახავდნენ, შემდეგ, მან გადაწყვიტა, თურქეთში გადასულიყო. იმ პერიოდში თურქ მესხებს თუ ვინმე გარდაეცვლებოდათ და თურქეთში ნათესავი ჰყავდათ, მიცვალებული კუბოთი გადაჰქონდათ იქ. ელისემ ეს მეთოდი თავის სასარგებლოდ გამოიყენა. მოელაპარაკა მათ და კუბოთი გადააყვანინა თავი თურქეთში.

ასე რომ, საქართველოში მისი დაჭერა ვერ მოხერხდა და, მის გამო, ბევრი გაჩეჩილაძე იქნა დაკავებული, იმ მოტივით, რომ პოლიციას ელისე არ დააჭერინეს. ერთ-ერთი ასეთი ანდრო გაჩეჩილაძე იყო, რაც ასე მოხდა:

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანდრო ხან ზესტაფონში ცხოვრობდა, ხან წევაში. ზაფხულობით იგი სამსახურს რომ დაამთავრებდა, ხუთ საათზე, მატარებლით მიემგზავრებოდა ხოლმე წევაში. წევის ბაქნიდან მგზავრები ფეხით ადიოდნენ სოფელში.

ელისე თავის ამხანაგთან ერთად (მუდამ ერთად დადიოდნენ) სავახშმოდ თუ რომელიმე გაჩეჩილაძესთან დააპირებდა წასვლას, წინასწარ დაზვერავდა იმ ადგილებს და სოფელში მომსვლელ თუ იქიდან წამსვლელ ადამიანებს.

ელისე და ანდრო სპეციალობით ორივე ვაჭრები იყვნენ. მეგობრობდნენ და ერთმანეთს ენდობოდნენ. როცა ელისეს ანდროსთან სტუმრობა უნდოდა, წევის ბაქანთან ახლოს, ტყეში

დაიმალებოდნენ ხოლმე ის და მისი ამხანაგი და, როცა მატარებელი შემოვიდოდა, მგზავრებს დაათვალიერებდნენ; თუ ანდრო მოვიდოდა და სხვა, საშიში, არავინ იყო. წავიდოდნენ მალულად ანდროს სახლში და გამოუცხადებდნენ: _ამაღამ შენი სტუმრები ვართო. _როცა ივახშმებდნენ, გვიან ღამით გადიოდნენ ტყეში (დასაძინებლად არავისთან რჩებოდნენ), ჩექმები ან მოსასხამი თუ არ ჰქონდათ, ანდროსი მიჰქონდათ. ეს ხშირად მეორდებოდა, რაც სოფლის მოსახლეობას შეუმჩნეველი არ რჩებოდა. ამბობდნენ კიდეც: _ანდრო ასმევს, აჭმევს, აცმევს და ახურავს, ელისეს პოლიცია დაიჭერსო?... _ეს ხმები პოლიციამდეც მივიდა და ანდრო დაიჭირეს. განუცხადეს: _ელისე უნდა დაგვაჭერინოო. _რადგან ანდრომ ეს არ გააკეთა, სამშობლოს ღალატის მუხლით გაასამართლეს და 15 წელი მიუსაჯეს.

სასჯელს კიროვის ოლქში, სოლიკამსკის საბადოებში იხდიდა. იქ ტუბერკულოზით დაავადდა და 1945 წელს გარდაიცვალა.

იწერებოდა, _ დამნაშავე არა ვარო _ მაგრამ, ვინ დაუჯერა? ცოლს სულ იმას სწერდა: _ბიჭებს მიმიხედე და მე ვიცი შენი პატივისცემაო. _დედამ ბიჭებს კი მოგვხედა: სამივეს უმაღლესი დაგვამთავრებინა და დაგვაცოლშვილა, მაგრამ მამამ დაპირება ვერ შეასრულა...

როცა საბჭოთა სახელმწიფოში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, 1950-იან წლებში ანდრო გაჩეჩილაძე გაამართლეს და მის მეუღლეს პენსია დაუნიშნეს. დედაჩემს, რაც მეუღლემ ვერ შეუსრულა დანაპირები, ნაწილობრივ, ახალმა მთავრობამ გადაუხადა შვილებზე ზრუნვის საზღაური...

1990-იან წლებში, უკანონოდ რეპრესირებული ხალხის ოჯახებიც რეპრესირებულად გამოცხადდა და მათ შვილებსაც მიეცათ პენსიები.

რომ იტყვიან: «სამართალმა პური ჭამა»...

მუხლჩაუხრელმა შრომითა და შთამომავლობაზე ზრუნვით პატიმრის ქვრივმა ქალმა, ვერა კოპაძემ, სამი ვაჟი: რეზო, ვახტანგ და მალონი გაჩეჩილაძეები გაგვზარდა, «ფეხზე დაგვაყენა" და ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან, რის გამოც მისი დიდად მადლობლები ვართ.

2008 წ.

ქეთევან ივანეს ას. გაჩეჩილაძე (ლობიო)

დ. 1934 წ.

ფილოლოგი, ბიბლიოთეკარი (თბილისი).

ჩემიანები ელისეს ასე ახასიათებდნენ:

(პირველი ეპიზოდი)

დედაჩემის მონაყოლიდან ვიცი, რომ ელისე ყაჩაღი არ იყო, _კომუნისტების მოსვლამდე, წესიერად მუშაობდა და თავისი შრომით ინახავდა ოჯახსო. კომუნისტებმა მას კონტრაბანდისტის იარლიყი «მიარტყეს» და დაუწყეს დევნა. მისი ხის სახლი კომუნისტებს გადაუწვავთ, დარჩენილა მხოლოდ ბუხარი, რომელიც «თეთრას სერიდან» ჩანდა.

ელისეს• უაღრესად ნიჭიერად და შრომისმოყვარედ იხსენიებდნენ. ყოფილა მაღალი, ლამაზი, კოხტა მამაკაცი და კეთილი ადამიანი. სირბილი სცოდნია უკან, ზურგისკენ ისეთი,

რომ, წაღმამორბენალი, კაცი ვერ დაეწეოდა. ამ პოზიციაში იარაღს ხმარობდა. ჰყავდა მეგობარი _ ვანიჩკა კუპატაძე და კარგი ცხენი.

იმ დროს, როცა მამა დაახლოებით 10-12 წლის იქნებოდა, ის და მისი უმცროსი ძმა, მიტუშა, იყვნენ «იარმუკაზე». იქ, მაშინ, გარშემო ტყე ყოფილა (სასაფლაო არ ყოფილა).

ტყიდან ცხენებზე ამხედრებული ელისე და მისი მეგობარი გამოსულან. დაუნახავთ ეს ორი ბავშვი, შეკითხვიან: _ვინ ხართო? _უპასუხეს: _ძმები ვართ, იპოლიტეს შვილებიო. _ძალიან გახარებია, _თქვენ პოლიჩკას შვილები ხართო?

პოლიჩკა _ბებიაჩემი, მაღრაძის ქალი იყო, აზნაური, სოფელ ლეღვანიდან. იმდროინდელ მთავრობას პატივს არ სცემდა და, ამიტომ, ელისეს ყოველთვის ეხმარებოდა და მასპინძლობდა, პროდუქტებით ამარაგებდა. ელისეც არ რჩებოდა ვალში და, ერთხელ, ძალზე ძვირფასი საპალტოეც უჩუქებია.

ელისეს უკითხავს: _აქეთკენ «პაგონებიან» ხალხს ხომ არ გამოუვლიათო. _ბავშვებმა უპასუხეს: _არაო. _ხოდა თუ გამოჩნდნენ და გვიკითხონ, უთხარით, _ მეორე მხარეს წავიდნენ-თქო. _ ისინი რომ წასულან, მართლაც გამოჩენილან მათი მდევრები. უკითხავთ ბავშვებისთვის: _»აქ ცხენიან კაცებს ხომ არ გამოუვლიათ?»_მამას უპასუხია: _კი, აქეთ წავიდნენო, _საპირისპირო მხარეს უჩვენებია. მიტო ბიძიას კი _ის ძალიან პატარა იყო _ სწორი გზა უჩვენებია.

მამაჩემს უთქვამს: _არა ბატონო, ეს ბავშვია, რა იცის ამან აქეთ და იქითო. _პოლიციელებს მამასთვის დაუჯერებიათ და სხვა გზით დაუწყიათ ძებნა. ელისე და მისი მეგობარი ტყეში შესული უყურებდნენ ამ სცენას.

ღამე ბებიას და ბაბუას სტუმრად სწვევია ელისე, მეგობართან ერთად. მათ დაუსაჩუქრებიათ მამა: _ ძალზე ჭკვიანი ბიჭი ხარო, ხოლო ძმას ჭკუა ასწავლე, მართალია ბავშვია, მაგრამ, რომ გაიზრდება, იცოდეს, სად რა თქვასო. _ბებიას მიუცია პროდუქტი. პროდუქტების სანაცვლოდ, ელისე სათანადო პატივს სცემდა დამხმარეს, ან თანხას უხდიდა. ესე იგი, კი არ აყაჩაღებდა ხალხს, არამედ, რაღაცით მაინც უხდიდა სამაგიეროს _ პატივიცემას პატივისცემითვე პასუხობდა_ასეთი ბუნების კაცი იყო.

ა. ელისეს ძმის შვილიშვილები ცხოვრობენ წევაში, «პავლიას» წყაროსკენ. [პავლია იყო ბენიას მამა («ხბოსთავეები»)], სიმონ_»დოქის» წყაროს გვერდზე, რეზო_»ბულას» გვერდზე.

(მეორე ეპიზოდი)

მამაჩემი, ივანე იპოლიტეს ძე გაჩეჩილაძე* გასული საუკუნის 20-იან წლებში მასწავლებლად მუშაობდა ხაშურის რაიონში. იყო ერთ-ერთი სკოლის დირექტორიც. შემდეგ, საქართველოში გაიხსნა ზოოვეტერინარული ინსტიტუტი და მამამ იქ ჩააბარა საბუთები. ამან გამოიწვია მისი თბილისში ჩამოსვლა.

სწავლის პერიოდში, მამა სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა. სტიპენდია იმდენად მცირე ჰქონიათ (მგონი 37 მანეთი), რომ ძლივს ყოფნიდათ, მაგრამ, თვეში ერთხელ მაინც, ახერხებდნენ, რომ რესტორანში შეკრებილიყვნენ და დრო გაეტარებინათ. დანახარჯის გადახდა ხდებოდა რიგ-რიგობით. მამას ჯერიც დამდგარა. იგი იხსენებდა, რომ რუსთაველის მოედანზე, სარდაფში იყო რესტორანი, სადაც გადაწყვიტეს ქეიფი. მამას ფინანსური რესურსები ძალზე მწირი იყო და ცდილობდა თანხა ყოფნოდა, მაგრამ, თანამეინახეებს, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოსდიოდათ და ზედმეტსაც უკვეთავდნენ. მამა მიხვდა, რომ ამ თანხას ვერ გასწვდებოდა და თავისი მაჯის საათის დატოვებას აპირებდა «გირაოთ».

ამ დროს, მეზობელ მაგიდას უსხდენ უფროსი ასაკის მოქეიფენი, რომლებიც უფრო წყნარად იყვნენ და ყურადღებას არ იქცევდნენ.

უცებ, მოვიდა ოფიციანტი დიდი «პოდნოსით» და ღვინო და საჭმელი მოიტანა _ ეს იმ მაგიდიდან ბატონ ვანოს გამოუგზავნეს, თქვენი მაგიდის დანახარჯიც გადახდილიაო.

_მამამ გახედა იმ მაგიდას და იცნო ელისე, რომელსაც ტუჩზე ჰქონდა მიდებული საჩვენებელი თითი _ სიჩუმის მაჩვენებლად.

ქეიფი გაგრძელდა, მამამაც ამოისუნთქა და საათიც გადარჩა. ელისეს სუფრა ადრე აიშალა. მან საერთო საკიდზე ჩამოხსნა თავისი ნაბადი და შეეხო მამის ლაბადასაც, რომელშიც მამამ, შემდეგ, 300 მანეთი აღმოაჩინა.

აი, ასეთ ადამიანად იხსენიებოდა ელისე გაჩეჩილაძე. მამა ბევრს და მხოლოდ კარგს მიყვებოდა მასზე.

(მესამე ეპიზოდი)

საქართველოში ბოლშევიკების დრო იყო. ელისე გაჩეჩილაძე კანონგარეშე იყო გამოცხადებული და თავის მეგობრებთან ერთად ტყეში იმალებოდა. სოფლის მოსახლეობა შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მას და მის მეგობრებს.

სოფელში ცხოვრობდა ერთი ჩვენი ნათესავი, რომლის სახელსაც არ დავასახელებთ, თუმცა ის უკვე, რასაკვირველია, ცოცხალი აღარ არის. იგი მიიღეს «წითელ პოლიციაში», მისცეს ფორმა, თოფი და გახდა სოფელში «ცნობილი პიროვნება». ასეთია ადამიანის ბუნება_ მან დაიწყო ტრაბახი, რომ დაიჭერდა ელისეს, ჩააბარებდა ხელისუფლებას ან მოკლავდა.

რამდენიმეჯერ შეუთვალა ელისემ: _გაჩერდი და შემეშვი, შენ ჩემი დამჭერი და მომრევი არ ხარო, _მაგრამ მილიციის მუშაკი არ ასვენებდა და ელისემ გადაწყვიტა მისი დასჯა. იგი მას ღამით ესტუმრა. მილიციის ეზოში მაღალი თუთის ხე მდაგარა. ელისემ ამ ხეზე გადაჰკიდა დიდი კალათი, რომელშიც ხორცი იდო. ეზოს მოდარაჯე ძაღლები ამ ხორცისთვის ჩახტნენ კალათში, რომელიც ელისემ ასწია და ძაღლები კალათით ხეზე გამოჰკიდა. შემდეგ თავისუფლად შევიდა სახლში და «ნიფხავ-პერანგის» ამარა გამოიყვანა მილიციელი, თავისი თოფი მხარზე გადაკიდა და წინ გაიგდო.

ულევისკენ მაღალი თელა მდგარა. იმის ძირში უნდოდა მისთვის ანგარიშის გასწორება, მაგრამ შეეცოდა _მას წვრილშვილი რჩებოდა და, ასევე, მისი და კარგ პიროვნებად ითვლებოდა სოფელში. ელისემ იგი შეიბრალა და უთხრა: _წადი ახლა მილიციაში, რა მიზეზითაც გინდა, დაწერე განცხადება და დაანებე იქ სამსახურს თავიო, ამჯერად, სიცოცხლე მიჩუქნიაო.

_ასეც მოხდა, მილიციელმა დაანება იქ მუშაობას თავი და თავისი სიკვდილით გარდაიცვალა თავის სოფელში. აი, ასეთი ჰუმანური იყო ელისე თავისი მტრის მიმართაც კი.

2009 წ.

შემთხვევამ და ნიჭმა გადაარჩინა

მამაჩემის (ივანე იპოლიტეს ძე გაჩეჩილაძის) ცხოვრებიდან მოგიყვებით ერთ ეპიზოდს, რომელიც თვითონ მიამბო და რომელიც, ჩემი აზრით, ჩვენს ნათესავებს დააინტერესებს:

ზემოხსენებული ჩვენი მოგვარე მილიციელი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი «მე»-ს დამკვიდრებას სოფელში. და, აი, ეს შესაძლებლობაც მიეცა:

მამა კარგად მღეროდა და ახლო-მახლო სოფლებში მიღებული თამადა და სასურველი სტუმარი იყო. მას ზედმეტ სახელად «ბულბულსაც» კი უწოდებდნენ.

ერთხელ, ოციან წლებში, როცა «წითელი ტერორი» მძვინვარებდა მთელ საქართველოში, მამა რომელიღაც წვეულებიდან შინ ბრუნდებოდა. შორაპანსა და ძირულას შორის ის დაუკავებიათ და შეუგდიათ სატვირთო ვაგონში, რომელსაც აღნიშნული მილიციელი _ჩვენი მოგვარე და გარეგიძაშვილი, დარაჯობდა.

ვაგონი გაჭედილი ყოფილა უდანაშაულო ხალხით. _ისეთი სუნი იდგა, რომ ვაგონის კედელზე ამოგდებული კოჟრის ადგილას დარჩენილ ნახვრეტში შევყავი ცხვირი და ისე ვსუნთქავდიო. იმ ჩემს ნათესავს რამდენიმეჯერ ვუთხარი: _ბიჭო, ვანო ვარ, გამიშვიო, მაგრამ მან ჩემი თხოვნა უყურადღებოდ დატოვა: _»ეგდე მანდო». კარების მორიგი გაღების შემდეგ, როცა ახალი «პარტია» «შემოტენეს» ვაგონში, მე დამინახა ერთ-ერთმა «წესრიგის დამცველმა» (მამა ყვებოდა: _მისი გვარი ღოღობერიძე იყოო. ეს გვარი არ დამავიწყდა, რადგან მერე გამოჩენილი ფეხბურთელი იყო ამ გვარის). დამიძახა: _შენ აქ რა გინდა «ბულბულოო». ჩამომსვა ვაგონიდან და მითხრა: _გაიქეცი და უკან აღარ მოიხედოო. _მართლაც, უკანმოუხედავად ამოვირბინე კლდეკარას აღმართი. შუა გზაზე მომესმა ტყვიამფრქვევების «კაკანი». _ის ვაგონები დაცხრილეს და ჩახოცეს შიგ მყოფი, მამის თქმით, უდანაშაულო ადამიანები. _სროლა ისეთი ძლიერი იყო, რომ სოფელშიც ისმოდა და დედაჩემს ძალიან უნერვიულია, სანამ სახლში მივიდოდიო. დედას ყველაფერი მოვუყევი და ღმერთს მადლობა შევწირეთ ჩემი გადარჩენისთვისო.

_მეორე დღეს, ის ჩვენი მილიციელი სამსახურიდან დაბრუნდა სოფელში. მას ჩვენს ეზოზე უნდა გაევლო, რომ მოკლე გზით მისულიყო სახლში. ბებიაჩემს უკითხავს: _ვანო ხომ არ გინახავს, სახლში არ მოსულა, გუშინ სროლის ხმა ისმოდა და, ხომ არ იცი, მას ხომ არაფერი შეემთხვაო?

_მილიციელს უთქვამს: _არც ვანო მინახავს და არც არაფერი ვიცი მის შესახებო (ისე, იმ საცოდავსაც არ სცოდნია, რომ იმ ხალხს დახოცავდნენ), _ უპასუხია ბლუყუნით. მერე მამაჩემი გამოსულა, დანახვებია და უთქვამს: _ მაშ არ გინახივარ ხომო!...

ბებიაჩემი მაგარი ქალი ყოფილა და უთქვამს: _ჩემს ეზოზე გავლილი კი არა, არსად არ დაგინახოს ჩემმა თვალებმა და ჩემიანებმაო, შენ მკვდარი ხარ ჩვენთვისო.

_ასე გადაარჩინა მამაჩემი შემთხვევამ და იმ, ჩვენთვის უცნობმა, პირმა, რომელსაც ღოღობერიძის გვარით იხსენიებდა, და, ალბათ, ნიჭმაც.

2009 წ.

ნელი ალექსანდრეს (უშანგის) ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) *

დ.1937წ.

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი... (თბილისი).

წევის ერთი ისტორია ესეცაა

ვინ ამოვიდა და დასახლდა პირველად ამ მთაგორიან ადგილას, ან რატომ ეწოდა ამ ადგილს წევა, დაბეჯითებით ჯერ კიდევ არ ვიცით, მაგრამ ვიცით, რომ აქ პირველი ბინადადებული კაცი გამრავლდა და დამკვიდრდა, მშვენიერი ბუნება, ანკარა წყაროები და სუფთა ჰაერი აცოცხლებდა აქაურ მკვიდრთ. ჭირდა ცხოვრება, მაგრამ უყვარდათ ეს ადგილი და ყოველგვარ გასაჭირს უმკლავდებოდნენ.

დადგა ჟამი და მთავრობამ ძველი მესხეთის კვლავ ქართული მოსახლეობით დასახლება გადაწყვიტა. დაიწყო ზოგიერთი მთაგორიანი ადგილებიდან მოსახლეობის ჩასახლება მესხეთში. ასეთებს შორის აღმოჩნდა წევა, რომლის მოსახლეობა ჩაასახლეს ახალციხის

რაიონის სოფელ ზიკილიაში. ეს იყო 1944 წლის დეკემბერში. დამეთანხმებით, რამდენად ძნელია საკუთარი «ბუდის» მოშლა, თუნდაც უკეთეს ადგილზე გადადიოდე. სწორედ ამ დროს, მამაჩემი ახალი დანიშნული იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და დღევანდლამდე გვახსენებენ, _»მამაშენმა გაგვასახლა»-ო. არ ვიცი, იმ პირობებში, რამდენად შეეძლო მამაჩემს წინააღმდეგობის გაწევა... სოფლის მოსახლეობის ნაწილი (ალბათ რაიონის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით), დაიმალა და ამან განაპირობა ის, რომ დღეს იქ სოფელი მაინც არსებობს.

დეკემბრის სუსხიან დღეს, სკოლის ორსართულიან შენობაში მოგვათავსეს. გარშემო სახლები არ ჩანდა, იყო მხოლოდ მიწური ბინები, რომლებიც იმდენი ოთახისაგან შედგებოდა, შიგ შეიძლება დაკარგულიყავი. ცხოველებიც თავის ბინებში ჰყავდათ. ჩვენ, ბავშვები, ამ მიწურების თავზე «კლასობანას» ვთამაშობდით. დასანანია, რომ ამ მიწურების ნიმუშიც აღარ შემორჩა გასახსენებლად. იმერელი კაცი რა კაცია, თუ კარგ სახლს არ აიშენებდა და დღეს, თვალს უხარია აქაური სახლების ხილვა. საცხოვრებელი პირობებიც ნამდვილად ბევრად უკეთესია. სოფელი, როგორც სარკინიგზო, ისე საავტომობილო გზასთან ახლოსაა, შეფენილია სამხრეთ ფერდობზე და მზის სხივები არ აკლია. ბუნებრივი პირობები მეტად ხელსაყრელია ცხოვრებისათვის. მშრომელი კაცი უხვად იღებს ჭირნახულს, ფართოდაა გავრცელებული მეფუტკრეობა და მეცხოველეობა.

მახსოვს, თავდაპირველად, რაიონის ცენტრში ქართული საუბარი თითქმის არ ისმოდა. უფრო ხშირად ჟღერდა რუსული ან სომხური. მოხუცი გლეხი თუ ქართულს გაიგებდა უხაროდა _უი, შვილო, ქართველი ხარო? დღეს კი ქართული ყველამ ისწავლა, განახლდა ძირძველი კუთხე _მესხეთი.

ამჟამად, გაჩეჩილაძეებს ორი სოფელი გვაქვს _იმერეთში წევა, მესხეთში _ ზიკილია. სახელწოდება «ზიკილია», როგორც ამბობენ, თათრულია და ქართულად მზისგულეთს ნიშნავს. იმედია, სოფლის საგვარეულოს წარმომადგენლები ახლო მომავალში სოფელს ქართულ სახელს შეარქმევენ.

იმედს ვიტოვებ, რომ მომავალში გაჩეჩილაძეების გვარი ამ ორ სოფელში უფრო გამრავლდება, სხვა ადგილებში გაფანტული გაჩეჩილაძეებიც ერთმანეთს დაუკავშირდებიან და მათ შორის სიყვარულის, პატივისცემის და ურთიერთდახმარების (რაც ძალიან გვაკლია) ხიდი გაიდება. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

გაზ. «ჯაჭვი», 2002 წ. №1, გვ.2.

ნეტავი ამან რა უნდა იცოდესო

1960 წელს, ინსტიტუტი რომ დავამთავრე, ჩემს რაიონში (ახალციხის რ.) გამანაწილეს სამუშაოდ. იმ დროს, სკოლების მეურნეობასთან დაახლოებისა და მოსწავლეებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად შემოღებული იყო ე. წ. საწარმოო სწავლება. რომლის ხელმძღვანელად, ჩემს სოფელში (ზიკილია), მე დამნიშნეს. თუმცა, რესპუბლიკის განათლების სამინისტროდან რაიონზე მომაგრებული კურატორი წინააღმდეგი იყო, _თქვენ უმაღლესი ახალი დამთავრებული გაქვთ და ამ საქმეს ვერ გაუძღებითო. _განათლების განყოფილების გამგემ მხარი მე დამიჭირა.

დავიწყე მუშაობა. სკოლას გამოუყვეს 1 ჰა ხეხილის ბაღი, რომლის მოვლა-პატრონობა ჩვენ გვევალებოდა. მე მამაჩემის ბიბლიოთეკაში ვეძებდი და ვკითხულობდი წიგნებს მებაღეობის შესახებ. მოსწავლეებს ვასწავლიდი ხეხილის შემობარვას, გასხვლას, შეწამლვას

და ა.შ.. მე-9 კლასელები სწავლობდნენ, ასევე, ტრაქტორის აგებულებას და მის ტარებას [მასწავლებელი გიორგი გაჩეჩილაძე (მაღალი)].

გაზაფხულზე, აპრილის დასაწყისში თბილისში ჩატარდა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელზეც შეიკრიბნენ რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონის განათლების განყოფილებების გამგეები, ინსტიტუტებისა და სკოლების დირექტორები, მეთოდისტები, საწარმოო სწავლების ხელმძღვანელები. კონფერენცია პიონერთა სასახლის დარბაზში ჩატარდა.

განათლების განყოფილების გამგემ (ბ. ახვლედიანი) სიტყვით გამოსვლა, ჩვენი რაიონიდან, მე დამავალა.

კონფერენციაზე მისულს, დარბაზი ხალხით სავსე დამხვდა. თვალი მოვავლე თუ არა დარბაზს, მაშინვე შევამჩნიე ასაკითაც და მოცულობითაც «დიდი» ადამიანები. მე მათ შორის პატარა ნამცეცად ვჩანდი. უცებ, სიტყვით გამოსასვლელად გამომაცხადეს. ჩემი განათლების განყოფილების გამგემ გამამხნევა: _აბა შენ იციო. _წამოვდექი ერთი პატარა, გამხდარი გოგონა და გავეშურე პრეზიდიუმისაკენ. რიგებს შორის გავლისას მომაძახეს: _»ნეტავი ამან რა უნდა იცოდეს»-ო, მაგრამ, ყურადღება არ მივაქციე _ბუნებრივად მივიღე. კათედრაზე ასვლისას და მოხსენების კითხვის დროს დარბაზში ჩემი ინსტიტუტის დირექტორისა და პედაგოგიკის ლექტორის გაბრწყინებულ თვალებს წავაწყდი და იმედი მომეცა, ვიფიქრე, ალბათ, კარგადაა ყველაფერი-მეთქი...

კარგად ჩამოვაყალიბე ახალი სპეციალობის _საწარმოო სწავლების _ დადებითი და უარყოფითი მხარეები და სამომავლო პერსპექტივები.

როცა მოხსენება დავამთავრე, პრეზიდიუმში ერთმანეთს ეკითხებოდნენ, _ვინ არის ეს გოგონაო? _დარბაზში ისეთი ტაში ატყდა, რომ გავოცდი. მე ჩამოვედი და რიგებს შორის გავიარე. გზად ჩემმა ლექტორმა გამაჩერა და გვერდით მომისვა, მითხრა: _ძალიან კარგი იყოო. გაიგე რა მოგაძახესო? _მე შემეშინდა, არ დაბნეულიყავი, თუმცა, შენი სიყოჩაღის ამბავი ვიცოდიო. უცებ, წინა რიგიდან ერთი ქალი მომიბრუნდა, მომილოცა წარმატება და მითხრა: _გახსოვს, საწარმოო სწავლების ხელმძღვანელად რომ არ გნიშნავდი, შენ კი რა ყოჩაღი ყოფილხარო. _შესვენებისას, ფოიეში, ყველა მილოცავდა, ჟურნალისტები გაზეთებისათვის მასალებს აგროვებდნენ. უ. ობოლაძემ, მაშინ მგონი მინისტრის მოადგილე იყო, დიდი მომავალი მიწინასწარმეტყველა, რომელიც მხოლოდ სიტყვებად დარჩა... უკან დაბრუნებისას, განათლების განყოფილების გამგეს ჩემი თავის განყოფილებაში გადაყვანა უნდოდა, მაგრამ მე იმედი გავუცრუვე და განცხადება მივუტანე განთავისუფლების თხოვნით _ თბილისში, სამეცნიერო სამუშაოზე გადასასვლელად. იგი ძალიან შეწუხდა, არ უნდოდა ჩემი გაშვება, მაგრამ რას იზამდა. ის კი არა, ბებიაჩემმა ხელწერილი დამაწერინა, რომ ჩემი ნებით მივდიოდი. ვინ იცის, იქნებ ბებიაჩემი მართალიც იყო და უფრო უკეთესი მომავალი მელოდა...

2008 წ.

ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)

დ. 1949 წ.

ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე.

ვალი

აგერ უკვე ათიოდე წელია, როცა შავ ძაღლს დავინახავ, გული დარდით მეწურება _შენდამი გადაუხდელი ვალის გრძნობა მტანჯავს, ლედი. ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია,

რომ, თუმცა წლების განმავლობაში მინდოდა შენდამი მადლიერების გამოხატვა, ეს ვერ მოვახერხე. ამის მიზეზი, თავის გასამართლებლად რა საბუთსაც არ უნდა მოვუხმო, საბოლოოდ მაინც ჩემი სულმოკლეობა და სიბრიყვეა, თორემ, როგორ შეიძლება ადამიანმა ისეთი ალალი, უანგარო და თავდადებული ზრუნვა არ დააფასოს, როგორსაც შენ ჩემს მიმართ _შენთვის უცხო ადამიანის მიმართ _ წლების განმავლობაში იჩენდი. ამ ამბის ჩაწერა სწორედ ვალის გადაუხდელობის გამო წუხილმა მაიძულა.

შენ ქუჩის შავი ძუკნა იყავი, ლედი. ღმერთმა როგორ გაგიმეტა ძაღლად გასაჩენად ასეთი გონიერი და კეთილი?!...

იმ კორპუსში, რომელსაც, თურმე, შენ შეჰკედლებოდი (რაც მე მოგვიანებით შევიტყვე), შემოქმედებითი სახელოსნო მივიღე _ ერთი ფარღალალა, პარტახი სივრცე, რომელიც მე, ხელმოკლე შინაბერას, ჩემი ხელით და, რამდენადაც შეეძლო, მოხუცებული მამაჩემის დახმარებით, მხატვრის სახელოსნოდ ვარგის მდგომარეობამდე უნდა მიმეყვანა.

როგორც ყველა პატიოსანი ინტელიგენტი _ საარსებოზე მეტი მატერიალური სახსრის არმქონე _ ნუცუბიძის პლატოზე ახალშესახლებული უბნის სანაგვეზე დავწანწალებდი _ სამშენებლო მასალის საძებრად. ახალმოსახლეები სახელმწიფოსაგან დაყენებულ კარ-ფანჯრებს და პარკეტს ცვლიდნენ და იქ ყრიდნენ. მე კი სხვის გადაყრილს ვაგროვებდი, ტომრებში ვყრიდი, ან თოკით ვკრავდი, ზურგზე მოკიდებული, ნუცუბიძის IV მიკრო რაიონის ჩამოვლით, ჩემს კორპუსამდე ჩამომქონდა და, ლიფტის გაუმართაობის გამო, მეტ წილად ულიფტოდ, მე-17 სართულზე ვეზიდებოდი, სადაც მე და მამა ამ მასალას სახელოსნოს მოსაწყობად ვიყენებდით.

სანაგვეზე წანწალი სამი წელი გამიგრძელდა. იქ ძირითადად შვებულების დროს _ივლის_აგვისტოში დავდიოდი. სანაგვეზე ყოფნისას მუდამ ძალიან დაძაბული ვიყავი _ ცალკე გამვლელ-გამომვლელის რიდით, ცალკე ძაღლის, ქვეწარმავლის ან უზნეო ადამიანების შიშით. ასე გაგრძელდა დიდხანს, სანამ არ აღმოვაჩინე, რომ მარტო არ ვიყავი _ ფხიზელი, მზრუნველი და ჩემთვის თავდაუზოგავი პატრონი მყავდა.

ერთ ქარიან დღეს, როდესაც მე, ჩვეულებრივ, სანაგვის შემოვლას ვამთავრებდი, დავინახე, რომ ვიღაც კაცი სამანქანო გზიდან გადმოვიდა და ჩემსკენ გამოემართა. გაფიქრებაც კი ვერ მოვასწარი, რა შეიძლებოდა იმ კაცს ჩემგან სდომოდა, რომ ჩემს წინ, საიდანღაც, შავი ნაგაზი გამოვარდა და გააფთრებული ყეფით გაექანა კაცისაკენ. კაცი უკანვე გაიქცა, თან ძაღლს უყვიროდა, თან მიწიდან ქვებს იღებდა მის შესაშინებლად. ისევ ასფალტირებულ გზაზე რომ გავიდა, ხელით მაჯაზე მანიშნა _ საათის კითხვა სდომია. მე, რადგან ქარში მაინც ვერაფერს გავაგონებდი, ხელით ვანიშნე, რომელი საათიც იყო. კაცმა თავი დამიქნია და წავიდა. შავი ძაღლი ყეფა-ყეფით მიუყვებოდა გზის ბორდიურს მანამ, სანამ კაცი თვალს არ მიეფარა. შემდეგ, უკან გამობრუნდა და ისე, რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს, ჩემგან 50 მეტრში დაიწყო ნაგვის თვალიერება.

მერეღა მომაგონდა, რომ ყოველთვის, როცა სანაგვეზე ვიყავი, ჩემგან ორმოცდაათიოდე მეტრის რადიუსში ვხედავდი ხოლმე ამ ძაღლს. მე მისთვის ყურადღება არასოდეს მიმიქცევია, რადგან არც მას გამოუმჟღავნებია ჩემს მიმართ ყურადღება. თუმცა, ერთხელ კი გავიფიქრე: _ამ ადგილას სასურსათო ნაგავს არ ყრიან, სამშენებლო ნაგავში კი ამას რა უნდა აინტერესებდეს-მეთქი.

იმ კაცს ასე მრისხანედ რომ გამოენთო, გამიკვირდა _თუ ნაგვის მოწილედ არავინ უნდა გაიხადოს, მაშ მე რატომ არასოდეს მერჩის-მეთქი?, მაგრამ მალევე გადავერთე სხვა საფიქრალზე და ის არც გამახსენდებოდა, რომ კორპუსში მიბრუნებულს, ისევ ის ძაღლი არ დამენახა კორპუსის წინ.

კი, ეს ნამდვილად ის იყო _ სრულებით შავი, საშუალოზე უფრო დიდი ნაგაზი, მარჯვენა ყურზე მცირე ნაჭდევით, ნელი, სადა მოძრაობით და ინდიფერენტული გამოხედვით.

ამის მერე, ყოველთვის, როცა სახელოსნოში მივდიოდი, ვხედავდი ამ ძაღლს, რომელსაც ყველა «ლედის” ეძახდა, კორპუსთან წამოწოლილს ან მოსიარულეს. არასოდეს მინახავს ვინმესთან მოლაქუცე და მოალერსე. არც ის შემიმჩნევია, რომ მიწოდებული საკვები ვინმესთვის დახარბებულად გამოერთმია. ყოველთვის აუჩქარებლად მოძრაობდა, სადა ქცევა და ინდიფერენტული გამომეტყველება ჰქონდა. მხოლოდ მაშინ ემჩნეოდა მცირე გამოცოცხლება, როცა, კორპუსის ბნელსა და ნესტიან სარდაფში, ზამთარში დაბადებულ თავის მრავალრიცხოვან შთამომავლობას გაზაფხულის მზეზე გამოაფიცხებდა ხოლმე.

სახელოსნოში მისვლისას, თუ იქიდან წამოსვლისას, ძაღლს ყოველთვის კორპუსის წინ ვხედავდი და, სანაგვისკენ მიმავალს, არასოდეს შემიმჩნევია, რომ ლედი თან გამომყოლოდა. მაგრამ, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მე ის სანაგვეზე არ დამხვედროდა და ჩემი იქ ყოფნის ბოლომდე არ დარჩენილიყო. არც ისეთი შემთხვევა მახსოვს, რომ მე ის 50 მეტრზე ნაკლებ მანძილზე მომახლოვებოდა ან ყურადღება გამოეჩინა ჩემს მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ჩემს სიახლოვეს სხვა ადამიანი ან ძაღლი გაჭაჭანდებოდა. ასეთ შემთხვევებში კი წარმოუდგენელ გააფთრებას იჩენდა...

სამი წელი ვიარე სანაგვეზე და სამი წელი ლედი არ მომცილებია. როგორც ჩანს, გუმანით ხვდებოდა სადაც მივდიოდი და მოკლე გზით ამოდიოდა იქ.

მან სხვაგვარადაც გამოხატა ჩემდამი მზრუნველობა: _ერთხელ, სანაგვეზე ნაპოვნი კარ-ფანჯრის ჩარჩოები ერთად შევკარი, რის ვაი-ვაგლახით ჩამოვათრიე მეოთხედან მეორე პლატოზე და, დაქანცულმა, საქმის გაიოლების მიზნით, გადავწყვიტე ჩვენი კორპუსის უკან მდებარე, დამრეც, პიტალო კლდეზე მათი ჩამოცურება. თოკი, რომლითაც ისინი იყვნენ შეკრული, კლდის შვერილს გამოედო და ტვირთი კლდის შუა ადგილას დაეკიდა. რაღა უნდა მექნა? იქვე ჯოხი ვიპოვე და ის იყო კლდეზე ფეხის ჩადგმა დავიწყე, რათა როგორმე ტვირთს მივწვდომოდი, ჯოხი მეკრა და ადგილიდან დამეძრა, რომ, უცებ, უკნიდან ხმამაღალი წივილის და სწრაფი, მოკლე-მოკლე წკავწკავის ხმა მომესმა. გაჭირვებით მოვაბრუნე თავი, _კლდის თავზე ლედი იდგა, ორი თათი კლდის დამრეც კალთაზე ჩამოედგა, ორი უკანა თათით კი კლდის თავზე, ბალახიან მიწაზე ცდილობდა თავის შემაგრებას. შევჩერდი, სული მოვითქვი და ის იყო ისევ დავაპირე ტვირთისათვის ჯოხის შეჩუჩხურება, რომ ლედიმ ისევ საშინელი წკავწკავი ატეხა. რამდენჯერაც დავაპირე ამ სახიფათო მოძრაობის განმეორება, ლედიმ იმდენჯერ საშინელი წივილი და წკავწკავი გაიმეორა. დაღლილობისა და სიცხისაგან გონებაარეულს, ლედის წკავწკავმა მიმახვედრა, რომ ჩავარდნის საფრთხე რეალური, თითქმის გარდაუვალი იყო. რაღას ვიზამდი, თავი დავანებე ფიცრებს და კორპუსისაკენ წავედი. ლედი კორპუსის წინ დამხვდა. ჩემსკენ აღარც გამოუხედავს.

დრო გადიოდა. ყოველ გაზაფხულზე ლედის 7-8 ლეკვი ამოჰყავდა სარდაფიდან. კორპუსს ახლა სხვა ძუკნაც შეემატა, ლედის «ქალიშვილი”, მასავით შავი, ოღონდ უფრო მომცრო ტანის ძაღლი _»მურა”. 4-5 ლეკვს მურაც აჩენდა, მაგრამ, როგორც ჩანს, თვითონ რძე არ ჰქონდა, ლედის კი, ეტყობა, მეტი ჰქონდა, ამიტომ, მურას შვილებსაც ლედი აწოვებნდა ძუძუს.

ვნანობ, რომ ფოტოფირზე ვერ აღვბეჭდე კორპუსის ეზოში ნანახი საოცარი სურათი: ფეხზე მდგომ ლედის თხუთმეტი ლეკვი ისე შესეოდა, რომ ლედის ფეხებს შორის ნემსის ჩასაგდები ადგილიც აღარ იყო. უკანა ფეხებზე ატოტილი ლეკვები გამალებით სწოვდნენ ძუძუს. ის ლეკვები, რომელთაც ძუძუ არ ერგოთ, თავიანთ და-ძმას ეჯაჯგურებოდნენ, ლედი კი უდრტვინველად იდგა, მხოლოდ, კეთილად და სევდიანად გადახედავდა ხოლმე წურბელებივით შესეულ შთამომავლებს, რომლებიც წამოიჩიტებოდნენ თუ არა, სადღაც უჩინარდებოდნენ...

რისთვის იჩენდი ჩემს მიმართ მზრუნველობას, ლედი? მე ხომ შენთვის თავშესაფარი არ მომიცია. არც თავზე გადამისვია ხელი ოდესმე და არც ერთი ნაჭერი პური მომიწოდებია. ეგ იყო მხოლოდ, მას შემდეგ, რაც შენი ჩემს მიმართ ყურადღება დავინახე, ყოველთვის გესალმებოდი. ჩემს სალამზე შენ ინდიფერენტულად გადმომხედავდი ხოლმე, კუდიც კი არ აგიტოკდებოდა...

შენთვის, შავი ფერის ნაგაზისათვის, ალბათ, იოლი არ იყო ივლის-აგვისტოს მცხუნვარე მზეში ნუცუბიძის ფერდობზე სირბილი და საათობით ჩემი დარაჯობა. მე, საკუთარი საზრუნავით თავგაბეზრებულს, შენს დანახვაზე ბევრჯერ გამიფიქრია: _ერთხელ მაინც უნდა ვცე პატივი ლედის, ნახევარი კილო გემრიელი ძეხვი ან ხორცის ნაჭერი მაინც უნდა ვუყიდო-მეთქი, მაგრამ, ერთი ციცქნა ხელფასის მქონემ, ერთხელაც კი ვერ გადავანარჩუნე ფული, იმ მძიმე წლებში, რომ, შენთვის კი არა, თუნდაც საკუთარი თავისთვის მეყიდა ხორცი ან ძეხვი. მერეღა გავიაზრე, რომ, საკუთარი თავისთვის რომც არა, შენთვის მაინც უნდა მეყიდა, როგორმე... რას გიშველიდა შენ ნახევარი კილო ძეხვი ან ხორცი, მაგრამ, ჩემს შენდამი პატივისცემას ხომ მიგახვედრებდა. აბა, სხვა რითი შემეძლო მე შენთვის ამის გაგებინება?... მაგრამ, მაშინ მე ამის ბოლომდე გასააზრებლად არ მეცალა: _ჯერ მამა გარდამეცვალა, შემდეგ, 1991 წლის დეკემბრის ცნობილი მოვლენების დროს, ყოფილ ლენინის მოედანზე მდებარე, ჩემი ბიძის სახლი დაიბომბა. ნერვიულობის ნიადაგზე, ბიძა მძიმედ დაავადდა და და ჩემი მოსავლელი შეიქნა. სახელოსნოში იშვიათადღა ავდიოდი _ჭერიდან ჩამონადენი წვიმის წყლის გადასაღვრელად. ლედი თვალში აღარ მომხვედრია. როცა, ბოლოს და ბოლოს, მისი არყოფნა შევნიშნე და მოვიკითხე, საშინელი ამბავი შევიტყვე: ლედი, ეტყობა, მოხუცდა და, 1993 წლის გაზაფხულზე, მხოლოდ ერთი ლეკვი შესძენია; მისი «ქალიშვილი”, მურა, ამ დროს კორპუსიდან გაუჩინარებული ყოფილა; ერთადერთი ლეკვი დედას, ალბათ, მთელ რძეს ვერ სწოვდა; ლედის მკერდი გამიზეზებია და დიდი ზომის სიმსივნე გასჩენია; მეზობლებს მოუნდომებიათ მისი ექიმთან წაყვანა, მაგრამ მას ახლოს არავინ გაუკარებია; კარგახანს წვალობდა, თურმე, საწყალი. მერე კი მანქანას გაუტანია. ფრთხილსა და გონიერს, ეს როგორღა დაემართა, მაგრამ, იქნებ, თვითონ აღარ მოერიდა საფრთხეს...

ამის შემდეგ, როცა ჩამავალი მზე, ჩემი სახელოსნოს ფანჯრების წინ გადაშლილ, ცის უზარმაზარ სივრცეს ღრუბლების აფერადებით «დაანაწევრებს” და კიდევ უფრო უზარმაზარს გამოაჩენს, რატომღაც ყოველთვის შენ მახსენდები, ლედი, ალბათ იმიტომ, რომ სადღაც იქ, იმ უსასრულო სივრცეში მეგულები...

ჩემზე, უდედოდ გაზრდილზე, ასეთი უანგარო და თავდადებული მზრუნველობა, მამის მეტს, შენს გარდა, არავის გამოუჩენია, ლედი. შენ, თავად მიუსაფარმა, უცხო სარდაფს შეფარებულმა, მრავალი შვილის გამზრდელმა და დამკარგავმა, სხვისი შვილის მიუსაფრობა და გაჭირვება დაინახე და ძალ-ღონე არ დაიშურე, რათა, რითაც შეგეძლო, ჩემთვის შემწეობა აღმოგეჩინა!...

ძალიან, ძალიან სამწუხაროა, რომ შენ მართლა არსებობდი ლედი და რომ მე არ გამომიგონიხარ. სამწუხაროა იმიტომ, რომ მთელი ჩემი არსებით ვგრძნობ, რომ შენ იყავი გაცილებით დიდი გონება და სული, ვიდრე ერთი ცოცხალი არსების სხეულმა შეიძლება დაიტიოს და შენ, ჩემი აზრით, ალბათ, ვერავისგან მიიღე ის, რასაც იმსახურებდი და მე ეს ძალიან, ძალიან მაწუხებს. ნუგეშად ისღა მაქვს, რომ ვფიქრობ, იქნებ შენ არ ხედავდი შენს ცხოვრებას ამგვარად, ლედი. იქნებ შენს გულს, ჩემთვის მიუწვდომელი, უფრო მაღალი გაგება ანუგეშებდა...

2008 წ.

რეაქციები

ეს ტრაგი-კომიკური შემთხვევა, რომელმაც ჩემთვის ფრიად სერიოზული შედეგი გამოიღო და რომელსაც შესაძლოა ნამდვილი კატასტროფაც მოჰყოლოდა, იმის სათქმელად აღვწერე, რომ ადამიანმა არ უნდა მისცეს თავის თავს სხვისი საქციელის მკაცრად განსჯის უფლება, იმიტომ, რომ ძნელია განსაზღვრა, ექსტრემალურ სიტუაციაში ვინ რას მოიმოქმედებს...

როცა ეს ამბავი მოხდა, იმ დროს უნივერსიტეტში ორ ფაკულტეტზე ვსწავლობდი და თან ფორტეპიანოს მასწავლებლად ვმუშაობდი მუსიკალურ შვიდწლედში. უკიდურესად დაკავებული, ჭამისთვისაც კი ძნელად ვიცლიდი. ამიტომ, გამხდარი და ქანცგაწყვეტილი, ძლივსღა დავლასლასებდი.

ერთ საღამოს, მეზობლის ქალი მესტუმრა. აღარ მახსოვს რატომ, ჩემდა ჭირად, მასთან ლაპარაკისას წამომცდა, _ ხვალ ლექციების მერე უნივერმაღში უნდა გავიარო-მეთქი. _ჩემმა მეზობელმა, რომელსაც გასაოცარი უნარი ჰქონდა ყოველგვარ სიტუაციაში თავისთვის სარგებელი მოეპოვებინა, მომენტალურად მთხოვა: _ რადგან უნივერმაღში მიდიხარ, ბავშვისთვის ჭადრაკის საყიდლად ფულს გაგატან და წამომიღეო. _ თხოვნას უცნაური ქცევაც მოაყოლა: _რამდენჯერმე ახტა_დახტა, თან განმიმარტა: _ თუ ჩემი თხოვნა არა, ხტუნვა მაინც გაგახსენდება და ეს მოგაგონებს ჩემს დანაბარებსო. _ამგვარი ძალდატანება ყოველთვის მაღიზიანებდა, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილმა «თვალსაჩინოებამ”, მართლაც, ეფექტურად «იმუშავა”: _მეორე დღეს, ლექციების მერე ისეთი დაღლილი ვიყავი, რომ უნივერმაღში წასვლის სხვა დროისათვის გადატანა დავაპირე, მაგრამ ჩემი მეზობლის ხტუნვა რომ გამახსენდა, თავს ძალა დავატანე და მაინც წავედი.

უნივერმაღის დახურვამდე რამდენიმე წუთი რჩებოდა. ცხელოდა, სწრაფად ვიარე, მაღალქუსლიანი, «პლათფორმიანი” ფეხსაცმელი და შარვალი მეცვა, ამიტომ გვარიანად დავიღალე და დამცხა კიდეც. ის იყო საჭირო ნივთები ვიყიდე და, მისავათებული, მეოთხე სართულის კიბეზე «დავეშვი», რომ, უცებ, კიბეზე სწრაფად ამომავალი, შუა ხნის, ღიპიანი, ლოყებღაღაჟა, მელოტი კაცი დავინახე. მთელი მისი გარეგნობა მხნეობას, კმაყოფილებას, საზეიმო განწყობილებას ასხივებდა. თვალები ხალისით უბრწყინავდა. ჩემ დანახვაზე სახე კიდევ უფრო გაებადრა. რომ მომიახლოვდა, მოულოდნელად, ჩემსკენ გადმოიხარა, ხელი სწრაფად გადმოსწია და სასირცხვო ორგანოზე მაგრად მიჩმიტა.

საერთოდ, გაღიზიანებაზე ზანტად ვრეაგირებ, მაგრამ, ამჯერად, ჩემი რეაქცია სპონტანური და ელვისებური იყო: ჩანთა ხელიდან გავაგდე, ორივე ხელით ჭადრაკის დაფა რაც შეიძლებოდა მაღლა ავიქნიე და მთელი ძალით, ყუით ვლეწე თავში. მართალია, ყველაფერი წამის მეასედებში ხდებოდა, მაგრამ ჩემმა აღშფოთებულმა გონებამ ყოველი წვრილმანი ელვის უსწრაფესად აღიქვა და დაიმახსოვრა. მახსოვს, დაფის ჩარტყმის მომენტში, იმ კაცის გაოცებისაგან დაჭყეტილი თვალები და მის წითლად აღაჟღაჟებულ, მელოტ თავზე ჭადრაკის დაფის დარტყმის შედეგად გაჩენილი განიერი თეთრი ზოლი, რომელსაც შუაში დაფის ანჯამის ჩანაჭდევი აჩნდა. კაცი მოწყვეტით გადავარდა უკან და ზურგით და თავით დაასკდა ქვის კიბეს, ინერციით ცოტათი გასრიალდა და თავი ახლა კედელს მიახალა. მახსოვს მისი სხეულის დაბრეხვების და მისი შიგნეულის დაბუყბუყების ამაზრზენი ხმა. ჭადრაკის დაფა გასკდა და ჭადრაკი ირგვლივ მიმოიფანტა.

მიუხედავად ჩემი ასეთი მძაფრი რეაქციისა, ჩემი გაცეცხლება ამით არ ჩაცხრა: გამხეცებულმა ჩავირბინე კიბე კაცის თავის მიმართულებით, რათა მისთვის სახეში წიხლები ჩამერტყა და თვალები ქუსლებით ჩამეჭეჭყა. მაგრამ, უცებ, კიბის მოსახვევიდან, ქვემოდან ამომავალი ხალხის ხმები მომესმა, პანიკის შემეშინდა, სწრაფად დავწვდი კიბეზე დაგდებულ ჩემს ჩანთას, წელში გავიმართე და აჩქარებული, მაგრამ თავდაჭერილი ნაბიჯით ჩავუარე კიბეზე ამომავალ ორ ქალს. თან იმის შემჩნევაც მოვასწარი, რომ ლაპარაკით გართულებს,

ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევიათ. კიბის კიდევ ერთ მოსახვევს რომ გავცდი, მერე კი ავუჩქარე ნაბიჯს და სწრაფად გავეცალე უნივერმაღის შენობას.

სახლში მისვლისთანავე, ტელევიზორს მივვარდი და ჩავრთე. ამის შემდეგ, ორი კვირის განმავლობაში გაფაციცებით თვალყურს ვადევნებდი საინფორმაციო გადაცემებს _იქნებ უნივერმაღში მომხდარ ინციდენტზე ეთქვათ რამე, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

ეს ამბავი ოჯახის წევრებისათვის არ მიამბნია. როცა სახლში ვინმე იყო, მაშინ ამ საკითხზე ფიქრს თავს ვარიდებდი. როცა მარტო ვიყავი და გამახსენდებოდა, საშინლად «ვცოფდებოდი», წინ და უკან ბოლთას ვცემდი და, გაბრაზებული, იმ კაცის მიმართ სალანძღავ სიტყვებს გავიძახოდი. მრავალჯერ წარმოვიდგინე, რომ მას სახეში წიხლს ვურტყამდი და, ერთხელ, ისე მაგრად დავცხე წიხლი იატაკს, რომ ფეხიც ვიტკინე და მეზობელმაც ამომძახა ქვემოდან: _რა ამბავიაო?

როცა ბრაზმა ნელ-ნელა გამიარა, დავიწყე სიტუაციის ანალიზი და ვიფიქრე, რომ ის კაცი, ალბათ, ნასვამი იყო და ამიტომ ვერ აკონტროლებდა თავის საქციელს. მართალია, მე მას მისი დანაშაულისთვის მივუზღვე სამაგიერო, მაგრამ, ჩემი შურისძიება, შესაძლოა, გადამეტებული იყო და, შესაძლოა, მას ჯამრთელობის სერიოზულად შერყევის ან სიცოცხლის ფასად დაუჯდა. მას ხომ ჩემგან მთელი ძალით მოქნეული ჭადრაკის დაფა დაემსხვრა თავზე, მერე უკან გადავარდა და თავითა და ზურგით დაასკდა ქვის კიბეს, შემდეგ კი თავი კედელს მიახალა... ვფიქრობდი: იმ კაცს, ალბათ, ოჯახი ჰქონდა, შვილები ჰყავდა სარჩენი, მისი სიკვდილის ან დასახიჩრების გამო, ალბათ, სხვა რამდენიმე ადამიანსაც გაუჯახირდებოდა ცხოვრება. მაგრამ ვიყავი კი მე ამაში დამნაშავე? _ეს კითხვა მაწვალებდა.

მე ხომ ის არაფრით გამომიწვევია: არც ყურადღება გამომიჩენია მის მიმართ, არც სექსუალურად გამოვიყურებოდი _ 20_21 წლის ჩხინკორა, გადაქანცული გოგო ვიყავი, არც მაკიაჟი მქონდა და არც შარვალი მეცვა შემოტკეცილი, რას მერჩოდა?

რა, ჩემგან დაუმსახურებელ, ასეთ აუტანელ შეურაცხყოფაზე რეაქცია არ უნდა მქონოდა? ჩემი უკიდურესი აღშფოთება, ჩემდა უნებურად, ასე გამოვხატე... აბა რა მექნა? მილიციას ხომ არ დავუძახებდი?... თითქოს, მართალი ვიყავი, მაგრამ მაინც მეეჭვებოდა. ვფიქრობდი, ვაი თუ, ჩემდა უნებურად, საშინელ ცოდვაში ჩავვარდი –კაცი მოვკალი-მეთქი. მაინტერესებდა, რა დაემართა იმ კაცს. რადგან საინფორმაციო საშუალებები ამ ამბის შესახებ არაფერს ამბობდნენ, ვფიქრობდი: ალბათ, ყველა უბედურ შემთხვევას არ აშუქებენ ტელევიზია და პრესა-მეთქი. ჩემში დამნაშავის კომპლექსი ამოქმედდა: რამდენჯერმე მივედი უნივერმაღში, ვნახე იმ ინციდენტის ადგილი, თან უნივერმაღის თანამშრომლებს ვაყურადებდი _იქნებ შემთხვევით ვინმეს რამე წამოსცდენოდა... ჩემი ბიძაშვილი ლილი ამავე უნივერმაღში საქონელმცოდნედ მუშაობდა, მასაც შევუარე და ლაპარაკის დროს, ჩემთვის საინტერესო ინფორმაციის მოპოვების მიზნით, ვითომ შემთხვევით, მაპროვოცირებელი კითხვა შევაპარე: _უნივერმაღში ზოგჯერ დიდი რიგებია, რიგში ვინმე ხომ არ შავდება. თუ ვინმე ცუდად გახდა, როგორ შველით-მეთქი? –ლილიმ ერთი-ორი შემთხვევა გაიხსენა მოქალაქეების დაშავების, მაგრამ ჩემთვის საინტერესო საკითხზე არაფერი უთქვამს.

დარდისაგან გული მქონდა გასივებული. რადგან ოჯახის წევრებისათვის ამ ამბის მოყოლა მეხამუშებოდა და ჩემს დარდს კი მარტო ვერ ვუმკლავდებოდი, ამიტომ, ეს ამბავი ჩემს უახლოეს დაქალს გავანდე, მეგონა რაიმე სანუგეშოს მეტყოდა, მაგრამ მან ხმამაღლა გადაიხარხარა და მითხრა: _რას ერჩოდი იმ კეთილ კაცს? თვითონ მხიარულად ყოფილა, შენ რომ დაგინახა მოწყენილი და მისავათებული, ალბათ, შენი გამხიარულება გადაწყვიტაო. _მისმა სიტყვებმა იმ კაცის მოქმედებაზე არანაკლებ აღმაშფოთა. ლამის გული გამისკდა ბრაზისაგან. მაცოფებდა იმის წარმოდგენა, როგორ უნდა მოსვლოდა აზრად ჩემს დაქალს, თუნდაც ხუმრობით ეთქვა, რომ იმ კაცის ამგვარ ქმედებას ჩემი გამხიარულება შეეძლო?...

რადგან ჩემს დაქალს მის რეაქციას ვერც იუმორად ჩავუთვლიდი და ვერც ჭკუასუსტობად, ისღა დამრჩენოდა, ასეთი რეაქცია მისი ჩემდამი სრული გულგრილობით და, საზოგადოდ, მისი გულგრილი ბუნებით ამეხსნა. აღშფოთებულმა არაფერი ვუპასუხე, მაგრამ, მასზე სრულებით შემეცვალა წარმოდგენა. და, რადგან მის მიმართ ძლიერი უარყოფითი განწყობა გამიჩნდა, მის ყოველ სიტყვასა და საქციელს, უკვე, ეჭვის თვალით ვაკვირდებოდი და თანდათან მეტ შეუთავსებლობას ვხედავდი ჩვენს ხასიათებს შორის.

ამ შემთხვევამ სერიოზული ბზარი გააჩინა ჩვენს ურთიერთობაში და განაპირობა ის, რომ მოკლე ხანში მე სამუდამოდ გავწყვიტე ყოველგვარი კავშირი ამ ადამიანთან და, შესაბამისად, მის დასთან, რომლის მეჯვარეც ვიყავი და მთელ მათ ოჯახთან, რომელთანაც რამდენიმე წლის მეგობრობა მაკავშირებდა.

რაც შეეხება იმ კაცს, ის, ალბათ, არ მომკვდარა, ყოველ შემთხვევაში, მაშინ. რომ მომკვდარიყო, ალბათ, მკვლელსაც მოძებნიდნენ: მკვლელობის იარაღი _ჭადრაკის დაფა, ხომ იქვე ეგდო და, ალბათ, ჭადრაკის გამყიდველიც გამიხსენებდა...

ახლაც მზარავს იმის წარმოდგენა, ის კაცი რომ მომკვდარიყო, მიუხედავად იმისა დამაპატიმრებდნენ თუ არა, როგორ დამიმშვენდებოდა ცხოვრება!...

2008 წ.

ნაყოფიერი დღე

2003 წლის ივლისის შუა რიცხვები იქნებოდა. რადგანაც ავჭალის მხარეს საქმე მქონდა, იანვარში, პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის ეკლესიის დღესასწაულზე გადაღებული სურათები გავიყოლე თან, იმ მიდამოებში ჩვენი მაშინდელი მეგზური მოხუცისათვის, რომელიც პეტრე მოციქულის მთის ახლოს ცხოვრობდა, გადასაცემად.

იმ დღეს ბევრი სხვა საქმეც მქონდა მოსაგვარებელი, ამიტომ სწრაფად ვიარე. სამარშრუტო ტაქსის გაჩერებიდან მოხუცის სახლამდე კარგა დიდი მანძილია აღმართში სავლელი. მოხუცი სახლში არ დამხვდა. სურათები მის რძალს ჩავაბარე და უკან წამოვედი.

პაპანაქება სიცხე იყო. ქვით ალაგ-ალაგ მოკირწყლული, ოღრო-ჩოღრო ქუჩის პირას განლაგებული კერძო სახლებიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა. არც ქუჩაში მოძრაობდა ვინმე. მზე ზენიტში იყო. მოზრდილი ხეც არ ჩანდა ახლოს, რომ ჩრდილს მაინც შევფარებოდი. მართალია თავდაღმართი იყო, მაგრამ ჩქარა მოძრაობა მაინც ვერ შევძელი. გულდაწყვეტით გავიფიქრე: ნეტავ, ქოლგა მაინც წამომეღო, თორემ სიცხემ ისე გამთანგა, მთელი ენერგია გამომეცლება და ჩემი დღევანდელი გეგმების განხორციელებას ვეღარ შევძლებ-მეთქი.

ჩავუარე დაახლოებით ერთი მეტრი სიმაღლის ქვითკირის გალავნით მოფარგლულ ეზოს და, მოულოდნელად, წყლის რაკრაკის ხმა მომესმა. ეზოში ცემენტით ამოშენებული წყარო დავინახე. გალავანში დატანებული შესასვლელით შევედი ორი პატარა ქუჩის კუთხეში მდებარე პატარა, სამკუთხა, უბალახო ეზოში, რომელიც ორი მხრიდან ქვითკირის დაბალი გალავნით იყო შემოღობილი, მესამე მხარეს კი გრძელი ხის დახლით, რომელიც ხის კარკასზე დამაგრებული, თუნუქის ორფერდა სახურავით იყო გადახურული. დახლის გასწვრივ _ ეზოს მხრიდან_ გრძელი, ხის სკამი იყო მიწაში ჩამაგრებული. ამ დახლთან, რომელსაც მყიდველი, ალბათ, მომცრო ქუჩის მხრიდან უდგება, რამდენიმე მოვაჭრე თუ დაეტევა. დალაობით, ან უქმე დღეებში, აქ, ალბათ, პატარა ბაზრობა იმართება.

ცემენტის კედლიდან გადმოშვერილი რკინის მილიდან, საკმაოდ მსხვილი ნაკადით, ანკარა, ცივი წყარო მოჩუხჩუხებდა, ცემენტის მართკუთხა აუზში იღვრებოდა და, მის ფსკერში ჩატანებული მილით, მიწისქვეშ იკარგებოდა.

წყალი დავლიე, სახე გავიგრილე და ის იყო გავიფიქრე, ამდენი ანკარა წყალი უსარგებლოდ რატომ უნდა იღვრებოდეს მეთქი, რომ დავინახე, წყაროდან დაახლოებით სამ მეტრში, გალავანთან, ორმოცდაათიოდე სანტიმეტრი სიმაღლის ლეღვის ნერგი იდგა. სიცხისაგან გათანგულს, ფოთლები ჩვრებივით ეკიდა. შემებრალა და ვინაიდან წყლის ჭურჭელი არ მქონდა და არც ირგვლივ ჩანდა ვინმე, რომ გამომერთმია, ორი ხელის პეშვით დავუსხი წყალი. პეშვი წყალი ამ პაპანაქება სიცხეში რას უშველიდა, ამიტომ ხიდან წყარომდე რამდენიმე გზობა გავაკეთე. ბოლო პეშვი წყალი რომ დავუსხი, ვიგრძენი _ვიღაც მიყურებდა. მოვიხედე. გალავანთან პატარა ტანის, გამხდარი, თხელი წვერით ღაწვებშეღინღლული, ოციოდე წლის, შავგვრემანი ბიჭი იდგა. რაღაც სადარდელით დამძიმებული გამოხედვა რომ არა, ამ ასაკსაც არ მისცემდით _ ისეთი გალეული იყო. ბიჭს სიცხისა და დაღლილობისაგან სახეზე ხვითქი გადასდიოდა. იდგა და მეტყველი შავი თვალებით მომშტერებოდა. მომეჩვენა, რომ თვალებში ცრემლები უბრწყინავდა. იგი მომესალმა და, ჩემდა გასაკვირად, მოხუცი ქალივით დამლოცა: _ღმერთმა დაგლოცოს და გაგახაროს, დეიდა, რა კეთილი ქალი ყოფილხარო. _მერე, უცბად, «გული ამოუჯდა” და ტირილი მორთო. ცდილობდა თავი შეეკავებინა, მაგრამ არ გამოსდიოდა. მივხვდი, რაღაც გასაჭირის გამო, ნერვები ჰქონდა დასუსტებული. დავუყვავე, _დამშვიდდი შვილო, ეტყობა რაღაც გიჭირს, მაგრამ დღეს უმრავლესობას უჭირს, უნდა გამაგრდე, შენ ხომ ვაჟკაცი კაცი ხარ-მეთქი. _ ბიჭი ჭუჭყიანი ცხვირსახოცით თვალებს იჯმუჯნიდა და თან სლუკუნით ყვებოდა: _დეიდა, თქვენ ხის ნერგი შეგებრალათ, ჩემმა ცოლმა კი ორი თოთო ბავშვი მომიყარა და გაიქცაო. ბაზრობაზე ვმუშაობ. პროდუქტი გადამაქვს ურიკით. დღეში 10-15 ლარს ვშოულობ. ჩემმა ცოლმა კი იცოტავა. _შენგან ხეირი არ იქნებაო და, ერთი წლის წინ, ჩემს ამხანაგს გაეკიდა. ბავშვები აღარც მოუკითხავსო. გოგო სამი, ბიჭი კი ორი წლისა მყავს, უდედოდ როგორ უნდა გავზარდო, რა გამოვა მაგათგანო. მამა ადრე, დედა კი შარშან გარდამეცვალა. 65 წლის ბებია მყავს, ფეხები სტკივა, გარეთ ვერ გადის, სახლში კი ყველაფერს აკეთებს. ბავშვებს იმას ვუტოვებ, სამუშაოდ როცა მივდივარო.

_მე, დასამშვიდებლად, ვუამბე ჩემი მოგვარის შესახებ, რომელიც, ომის დროს მიღებული ტრავმის გამო, დაბრმავდა. მისი ცოლი ქმრის ავადმყოფობამ დააფრთხო, უმწეო კაცს მცირეწლოვანი ბავშვი შეატოვა და გაიქცა. მაგრამ, ღმერთმა ის კაცი არ გასწირა, გამოჩნდა ნამდვილად ღირსეული ქალი, ცოლად გაჰყვა ამ კაცს, რომელიც მანამდე შესანიშნავი ექიმი იყო, შემდგომში კი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახდა. მათ, დედისაგან მიტოვებული ბავშვიც და შემდგომში შეძენილი ორი შვილიც სასახელო ადამიანებად აღზარდეს.

ვუთხარი: _შენც იცი, ჩვენს ქვეყანაში მრავალი მორფინისტი, ქურდი და არაკაცი ცხოვრობს. შენ კი მშრომელი და შვილებზე მზრუნველი მამა ყოფილხარ და აუცილებლად გამოგიჩნდება ნამდვილად ღირსეული ქალი, რომელიც შენს თვისებებს დააფასებს და გვერდში ამოგიდგება-მეთქი. შენი ცოლი კი ჯერ არ ყოფილა გონებრივად მომწიფებული ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობის საგრძნობლად-მეთქი.

ვუთხარი: _ მე და ჩემი დები, მართალია ასე პატარა ასაკისა არა, მაგრამ მაინც მცირეწლოვნები ვიყავით, როცა დედით დავობლდით. შენ, ღვთის მადლით, ბებია მაინც გიდგას გვერდში. ჩვენ კი მამამ სრულებით მარტომ გაგვზარდა და, მისი მაგალითით, ყველანი ქვეყნისათვის სასარგებლო ადამიანები გამოვედით. შენი შვილებიც ისეთები გაიზრდებიან, როგორ მაგალითსაც შენ უჩვენებ-მეთქი. თუ პატარაობიდანვე შრომას შეაჩვევ, შენსა და სხვის ამაგსაც დააფასებენ-მეთქი.

ბიჭი ხარბად მისმენდა. მე შევთავაზე წყალი დაელია, სკამზე ჩამომჯდარიყო და დაესვენა, მაგრამ, ეტყობა ჩემი მოერიდა, გალავანში არ შემოვიდა, ფეხზე მდგომნი

ვლაპარაკობდით. იგი თანდათან დამშვიდდა და სახე გაუნათდა. მერე ისევ დედაბერივით დამლოცა, მადლობა გადამიხადა, დამემშვიდობა და წავიდა.

გაჭირვებით მიათრევდა ორ სავსე ჩანთას. ერთიდან პომიდვრები, მწვანილი და ზეთის ბოთლი მოჩანდა, მეორედან ფიცრების და რკინის მილის გადანაჭრები. დროდადრო დგამდა ჩანთებს, მერე ისევ იღებდა და გზას აგრძელებდა. ამ პატარა მამის შემხედვარეს, თვალწინ მამაჩემი დამიდგა და ლოყებზე ცრემლები ჩამომიგორდა.

სახეზე წყალი შევისხი და, როცა თავი ავწიე, თვალში მომხვდა _ მთიდან პეტრე მოციქულის ჯაჭვთა თაყვანისცემის ეკლესია გადმომყურებდა. უხერხულად ვიგრძენი თავი. გავიფიქრე, დიდი ამბავი, დაუფიქრებლად და უანგაროდ ერთი პაწაწკინტელა სიკეთე გავაკეთე და ეკლესიამაც და ადამიანმაც ერთად «დამიფიქსირეს» «ყოვლისმხედველი თვალის" არსებობა-მეთქი. ჩემდამი გადამეტებული ყურადრების გამო დარცხვენილი წამოვედი იქიდან, მაგრამ სწრაფადვე გამიარა უხერხულობამ. გავიფიქრე, დღეს მეტი ვერაფრის გაკეთება რომ ვერ მოვასწრო, როგორც ჩანს, ეს დღე მაინც არ ჩამეთვლება უნაყოფოდ-მეთქი. ამ შემთხვევამ დაღლილობა გადამავიწყა და ყველაფერი მოვასწარი, რის გაკეთებასაც იმ დღეს ვაპირებდი.

2008 წ.

თავმოყვარეობა

1991 წლის გაზაფხული იყო. მაშინ უნივერსიტეტში ლაბორანტად ვმუშაობდი. იმ დღეს ლექციები ადრე დამთავრდა და კათედრაზე არავინ იყო. ვინაიდან სასწრაფო სამუშაო არაფერი მქონდა და გაზაფხულის ნათელი დღე კათედრის ცივი ოთახიდან გარეთ მიტყუებდა, გადავწყვიტე, თანამშრომლისათვის, რომელიც უნივერსიტეტის მოპირდაპირე სახლში ცხოვრობდა და დღე-დღეზე ბავშვს ელოდა, კარაქის ტალონის მიტანის საბაბით, ცოტა ხნით გარეთ გავსულიყავი. კარებზე წარწერა მივაკარი და, მზის სხივებითა და გაზაფხულის გრილი ნიავით გამოცოცხლებულმა, მსუბუქად ჩავირბინე უნივერსიტეტის პანდუსი. ქუჩის მეორე მხარეს, სტომატოლოგიურპოლიკლინიკიანი სახლის ეზოში შევედი და ჩემი თანამშრომლის სადარბაზოს კიბეს ავუყევი. მეორე თუ მესამე სართულზე თვალში მომხვდა, კიბის მოპირდაპირე ბინის კარი ბოლომდე იყო გაღებული. შიგნით არავინ ჩანდა. არც რისიმე ხმა ან სუნი გამოდიოდა. თუმცა სხვა საქმეზე მივიჩქაროდი, მაინც შევნიშნე, რომ ბინა ცარიელისა და პარტახის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ქალაქის პრესტიჟულ უბანში, ასეთი შთაბეჭდილება მეუცხოვა.

თანამშრომელს ტალონი დავუტოვე, კიბეზე დავეშვი და კარღია ბინას რომ მივუახლოვდი, დავინახე, კარის ღიობში პატარა ტანის, ღრმად მოხუცი ქალი იდგა, სავარაუდოდ, 100-იოდე წლისა იქნებოდა. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ასე ღრმად მოხუცებულ ადამიანს, ამიტომ ნაბიჯი შევანელე და დავაკვირდი. ეს, გაურკვეველი ეროვნების, მოხუცი, რომელსაც გახუნებულ-გაცრეცილი, მაგრამ სუფთა სამოსი ეცვა და ძალიან «დამჭკნარ», ფერმკრთალ სახეზე მოიასამნისფრო-ნაცრისფერი გადაჰკრავდა, იმდენად სიფრიფანა იყო, რომ ობობას ქსელს მაგონებდა. მის, ოდესღაც მუქ, თვალებს გუგები აღარ ემჩნეოდა. ისინი თვალების ფერად გარსთან გაერთიანებოდა და, შავი ქლიავის «თრთვილივით», მოლურჯო-ნაცრისფერი უჩანდა. მაგრამ, თითქოს ვერმხედველთვალებიანი, «ლანდადქცეული» ქალის სახეზე ჩემს მიმართ ისეთი გაფაციცებული ყურადღება შევიგრძენი, რომ გაოცებული შევჩერდი.

_სადა ხარ აქამდე? ხომ შემპირდი, _თერთმეტ საათზე მოვალო. _უკვე სამი საათია გელოდები, _მიმქრალი ხმით მომმართა ქალმა რუსულად, ისეთი ტონით, რომ ვიგრძენი, ჩემს დარწმუნებას ცდილობდა, რომ სხვაში ვეშლები, მაგრამ, თან აშკარად იგრძნობოდა, რომ ტყუოდა.

_ხომ შემპირდი, მოგეხმარები ფრჩხილების მოჭრაშიო. მოდი, მოდი, რატომ დაგაგვიანდა?

_თუმცა კი მეხამუშა მისი წინადადება, მაგრამ მისი სახის გამომეტყველებაში ისეთი მძაფრი, «თავგანწირული» მოწადინება იკითხებოდა, რომ ძალიან შემებრალა და, რახან აშკარა იყო, რომ მის ბინაში საფრთხე არ მელოდა, ვუთხარი: _მე ის არა ვარ, ვისაც თქვენ შეთანხმებიხართ, მაგრამ, მთხოვეთ რაც გნებავთ და არ დაგზარდებით-მეთქი. თუმცა ეს სიტყვები ხმამაღლა და გარკვევით ვუთხარი, ქალს მათთვის ყური არ უთხოვებია, დიდი მონდომებით მეპატიჟებოდა შინ და მთელი მისი არსებიდან იგრძნობოდა, რომ მთელი ყურადღება და გონების ძალა იქითკენ ჰქონდა მიპყრობილი, რომ ხელიდან არ გავეშვი. როცა მიხვდა, რომ მის ნებას დავყევი, დამშვიდდა და ბინაში შემიძღვა. ბინა ერთოთახიანი იყო. პატარა დერეფნიდან ოთახში, სამზარეულოში და სააბაზანოში შემავალი კარები, ბინის გარეთა კარის მსგავსად, ბოლომდე იყო გაღებული. დიდი ხნის წინ თეთრად შეღებილ, საღებავშემოცრეცილკედლებიანი ოთახის შუაში საშუალო ზომის, სადა, მრგვალი, უგადასაფარებლო მაგიდა იდგა. ზედ ძველი ქაშანურის, კიდეებჩამოტეხილი თეფში და რამდენიმე ადგილას ატკეჩილი, ემალირებული, მწვანე ტოლჩა იდო. მაგიდასთან მიდგმული იყო შავი, გვერდზე გადაბრეცილი ერთადერთი სკამი. მარცხენა კედელთან, ქუჩის მხარეს მიქცეულ ფანჯარასთან, მაღალი, სკივრისებური, ხმელი ტახტი იდგა, ზედ დაფენილი თხელი, ლურჯზოლებიანი ლეიბით. ტახტის ერთ კუთხეში ტანსაცმლისა და ჩვრების პატარა ბორცვი იყო აღმართული. კარის გასწვრივ, კუთხეში, ძველებური, სადა, ჩაშავებული ხის კომოდი იდგა. მისი გამოღებული უჯრიდან რამდენიმე ჟანგიანი ჩანგალი და პირგაცვეთილი პურის დანა მოჩანდა. კომოდის თავზე, ხის დაფაზე დამაგრებული, გამოსაწევ ხის ფეხზე დაყრდნობილი, გაბზარულ-გაბუნდოვანებული სარკე იდგა, მის წინ კი რკინის შავი მაკრატელი, ხის ორმხრივი სავარცხელი და, ხალვის, ჩაჟანგული თუნუქის, კოლოფი იდო, საიდანაც ღილები, «კოჭის» ძაფები და ნემსებიანი პატარა, შინდისფერი ხავერდის ბალიში მოჩანდა. ოთახში მეტი არაფერი იყო. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მისი მობინადრე სადღაც გადაბარგებას აპირებდა და ამიტომ დაეცალა იქაურობა. ღია კარები და იქიდან შემოსული გრილი ნიავი კიდევ უფრო არამყუდროს ხდიდნენ ბინას და უფრო ამწვავებდნენ დროის აჩქარებული წარმავალობის შეგრძნებას. ქალმა სკამი ტახტთან მიაჩოჩა. გაჭირვებით შესკუპდა მაღალ ტახტზე და ფეხები სკამზე დააწყო. იგი თან წინდებს იხდიდა და თან მელაპარაკებოდა:

_არ შეგეზიზღოს _ ფეხები სუფთა მაქვს, კარგა ხანია ფრჩხილების დასარბილებლად ვაზელინს ვისვამ, მაგრამ მაინც ვერ შევძელი მათი შეჭრა.

_ფეხები მართლაც გაკრიალებული ჰქონდა. ფრჩხილებზე ვაზელინიანი ბამბა, ზემოდან კი ცელოფანი დაეფინა და ზედ ჩაეცვა გაცრეცილი, ლურჯი წინდები. კომოდიდან ჩაშავებული, მოკაუჭებული მაკრატელი ავიღე და ქალისათვის ფრჩხილების შეჭრას შევუდექი. ისინი, ვაზელინისაგან, ჟელესავით დარბილებულიყვნენ და მაკრატლის მიკარებისთანავე ცვიოდნენ. სიბერისაგან დაძაბუნებულ მათ პატრონს კი მაკრატლის ხელში დაჭერა და მათი მოშორება დიდ პრობლემად ქცეოდა. მოხუცი დაძაბული უყურებდა ჩემს საქმიანობას. როცა ბოლო ფრჩხილი მოვჭერი, ერთბაშად მოდუნდა, შვებით ამოისუნთქა და მიმქრალი ხმით თავისთვის ჩაილაპარაკა: «Как хорошо, а теперь можно спокойно умереть1__2». _სახე დაუმშვიდდა და მზერა ჩაუქრა, _ერთადერთი ამქვეყნიური ინტერესი ამოეწურა...

როცა მაკრატელი კომოდზე დავდე და უკან მოვიხედე, დავინახე, ეს ლანდისმაგვარი არსება, თითქოს, აღარც იყო ამ ქვეყნად. მას თვალები მაღლა მიემართა და გარინდებული, უდრტვინველად მიშტერებოდა სადღაც, ჭერის მიღმა განფენილ, უკიდეგანო, იმქვეყნიურ სამყაროს, რომელსაც მალე უნდა შთაენთქა იგი და რომლისთვისაც ის და მისი ამქვეყნიური ვნებანი სრულებით არაფერს წარმოადგენდა...

ხელები დავიბანე და დავემშვიდობე. ჩემმა ხმამ შეაკრთო და ამ ქვეყნისკენ მოაბრუნა. _გმადლობ, კარი არ დახუროო, _მიმქრალი ხმით მომაძახა.

სწრაფად გავეშურე უნივერსიტეტისაკენ. ოციოდე წუთის წინ თითქმის ცარიელი, უნივერსიტეტის პანდუსი და ბაღი პრეზიდენტის[ბ] ოპოზიციონერებს აევსოთ. დროშებსა და ტრანსპარანტებს ქარი აფრიალებდა. მიკროფონთან ოპოზიციის ლიდერები შეჯგუფულიყვნენ.

_როდის უნდა დამთავრდეს ეს უმსგავსობა, თბილისი თბილისს აღარ ჰგავს, აივსო სოფლიდან ჩამოსულებით!... _მიკროფონით სჭექდა კარგად «ნაპატივები» ახალგაზრდა.

_ვაი, ჩვენს პატრონს!... _»მწარედ ჩაისისინა» უნივერსიტეტიდან იმ წამს გამოსულმა, აშკარად პროვინციული გარეგნობის, ხანდაზმულმა პროფესორმა და ეზოს გასასვლელისაკენ მიმავალ ხალხს შეუერთდა.

_წამო შვილო სახლში, არაა პოლიტიკა უმწიფარი გოგოების საქმე, _ეჯაჯგურებოდა ხანშიშესული ქალი თმაგაბურძგნულ გოგოს.

_დამანებე ბებო თავი, შენ რომ იყავი ახალგაზრდა, ხომ დადიოდი მიტინგებზე?

_ჰოდა, სწორედ მიტინგს შეეწირა ჩემი და, შენხელა რომ იყო!...

_რა ხდება აქ? _იკითხა ვიღაცამ.

_დაქცევა და უბედურება!... _ უპასუხა ვიღაცამ.

_ისევ აირევა ეს ქვეყანა!...

_ახლა ხომ არის დალაგებული?!... _ მესმოდა ხმები.

_არ გაჩერდებიან ესენი!...

_თითქოს ამ სიტყვების პასუხად, მიკროფონით დასჭექა მომიტინგემ:

_ჩვენ არ გავჩერდებით, არა!... პეზიდენტი, რომელსაც ხალხის ხმა არ ესმის, უნდა გადადგეს!...

_დედა?! სად დამეკარგა ეს გოგო?!...

_აირევა ეს ქვეყანა, აირევა!... _ ისმოდა ვიღაცის ვიშ-ვიში..

მე ობობას ქსელის მაგვარი მოხუცი გამახსენდა და გავიფიქრე: _ის კი გაასწრებს დროულად, ჩვენ ვიკითხოთ!... და სწრაფად შევედი უნივერსიტეტის შენობაში.

2008 წ.

ა. რა კარგია, ახლა შემიძლია მშვიდად მოვკვდე!...

ბ. მაშინ პრეზიდენტი იყო ზვიად გამსახურდია.

ქეთევან რევაზის ას. ნანობაშვილი

[მარიამ (ნანა) გაჩეჩილაძე _ოთიაშვილის* ქალიშვილი]

დ. 1949 წ.

ელექტროქიმიკოსი (თბილისი).

ჯესიკა

_ალო, ალო, ბებო, გესმის? ოთო ვარ!

_ჰო, შენ შემოგევლოს ბებო, როგორ ხარ? ისე გაიხარე, როგორც გამახარე... სიხარული ვერ დამალა რიმა ბებომ.

_ბებო, ახლა შენთან მოვდივარ, გზაში ვარ...

_გენაცვალოს ბებო! რით მოდიხარ? მამაშენი სად არის? _დაინტერესდა რიმა.

_მამაჩემს მოვყავართ მანქანით მე და ჯესიკა, აბა შენ იცი, როგორ დაგვხვდები!...

_ვინა შვილო? რა თქვი? სტუმარი მოგყავს? _ჩაეკითხა რიმა.

_ჰო, ჯესიკა ბებო, ჯესი, იცი რა ლამაზია? ძალიან მაგარი ვინმეა, ვგიჟდები ისე მიყვარს... «ჩვენ ვერავინ დაგვაშორებს»... _ეშმაკურად წაუმღერა ოთომ.

_ჰო, ჰო, კარგი, კარგი, _დაიბნა რიმა ბებო.

_ჩამოდით, ჩამოდით, შვილო.

_ბებო, აბა შენ იცი, როგორ დაგვხვდები. შემწვარი ვარია და ხაჭაპური ძალიან უყვარს ჯესიკას, _ტუჩები მოილოკა ოთომ, _თანაც ძალიან გვშია!

_კარგი, შვილო, კარგი, _გაოგნებულმა გათიშა ტელეფონი რიმა ბებომ. ფიქრები მოეძალა: _რა დროს ოთოს ცოლია, თექვსმეტისაც არ არის.... ყიფშიძეები ადრე ქმნიან ოჯახს, მამამისმაც არ მოიცადა თვრამეტ წლამდე, მაგრამ, ეს უკვე მეტისმეტია... ნეტავ ვინ ნახა თავისნაირი? ვინ არის, ვისი შვილია, ან როგორ წამოყვა? _ფიქრები აერია რიმას. ეჭვმა შეიპყრო, ხომ არ იტყუებაო და შვილს დაურეკა:

_ვასიკო, შვილო, მართალია ოთომ რაც მითხრა?

_ჰო, დედა, აგერ არიან, მანქანაში და მოვდივართ. ჩამოვიყვან და მოგეწონება, ისეთი ხუჭუჭა და საყვარელია, ოთოსთვის გიჟდება, არ შორდება... აბა, შენ იცი, დედი, ძალიან გვშია, დაგვახვედრე რამე.

_კარგი შვილო, კარგი, _ხმას დაუწია რიმამ და ტელეფონი გათიშა.

ახალმა ამბავმა დააბნია და გააოგნა ქალი. _ეს ვასიკო მაინც რას ფიქრობს? ხიფათს არაფერს გადაეყარონ... _რა ქნას, როგორ მოიქცეს? გული აუჩქარდა ნერვიულობისაგან. მერე ძალა მოიკრიბა, ეზოში გავიდა და მეზობლის ქალები იხმო. ქალები უცბად გადმოევლენ ეზოს _ხომ არაფერი უჭირსო.

რიმამ ახალი ამბავი დაახვედრა მათ: _ჩემს ოთოს ცოლი მოჰყავს და ახლა მჭირდება თქვენი მარჯვე ხელებიო. _გაკვირვებულმა მეზობლებმა კითხვაც კი ვერ შეუბრუნეს, _რა დროს ოთოს ცოლიაო, ისე დააჩქარა რიმამ, _ჩქარა მომეშველეთ, გზაში არიანო. _მეზობლის ბავშვებს ვარიები დააჭერინა, მერე საუკეთესო ყველი მოატანინა მეზობლიდან. დატრიალდნენ ქალები, დაიმტვრა კაკალი, დაიკლა ქათმები, სახაჭაპურე ცომიც გაფუმფულდა. რიმამ ღვინო, მწნილი და ხილი გამოიტანა მარნიდან. სულ მალე გაიშალა სუფრა. ნიგვზიანი ფხალი და ბადრიჯანიც არ დააკლეს სუფრას. ქორფა ბოსტნეულმა და ხასხასა მწვანილმა ხომ ლაზათი შემატა ყველაფერს.

ის ის იყო, ცხელი ჭადი და ხაჭაპურიც აჰყარეს კეციდან და ვასოს მანქანაც შემოგრიალდა ეზოში. ყველანი გარეთ გაცვივდნენ. ინტერესი დიდი იყო. რიმა ბებო პირველი გაეგება მოსულებს.

მანქანიდან ოთო გადმოვიდა და ბებოს ჩაეხუტა. რიმამ დალოცა შვილიშვილი. თან თვალი მანქანისკენ გაექცა. ოთომ დაიჭირა ბებოს მზერა, მანქანას მიუახლოვდა, უკანა კარი ფართოდ გამოაღო და არტისტული რევერანსი გააკეთა:

_ჯესი, ძვირფასო, ნუ გრცხვენია, რისი გერიდება, გადმოდი მანქანიდან. ეს ჩემი ხალხია, ეს კი ჩემი საყვარელი ბებოა!

თითქოს ოთოს მოწვევას ელოდაო, მანქანის უკანა სალონიდან ჯესიკა, შავი, გრძელკულულა, ლამაზი და საყვარელი სამეფო პუდელი გადმობრძანდა, მიიხედ-მოიხედა და ოთოს პირდაპირ გულზე შეახტა.

ამას ნამდვილად არავინ ელოდა. სიცილი ერთბაშად ავარდა რიმას ეზოში. თვითონ რიმა ბებომ ერთი დაუცაცხანა შვილიშვილს და ცოცხიც ზედ მიაყოლა. არც შვილი დავიწყნია, ერთი ორი ისეთი ქოქოლა მიაყოლა, დედის ბაგე რომ ამბობს და ძუძუები რომ ილოცებიან...

ჯესიკა, იმ დღის მთავარი გმირი, ყველას ძალიან მოეწონა. თვითონაც, იგრძნო რა ყურადღება, გაიხარა, ყველას გაეთამაშა და პოზირება დაიწყო. მეზობლის ძაღლმა, ბროლიამ, ჯერ გარს უარა ქალაქელ სტუმარს, მერე კი სადღაც გაიძურწა, ცოტა ხანში მიტაცებული ხორცის ნაჭრით დაბრუნდა, მედიდურად, იმერული სტუმართმოყვარეობით მიუახლოვდა ჯესიკას და ნადავლი მიართვა, თან კუდით ლაქუცი დაუწყო.

ჯესიმ, მადლობის ნიშნად, ხორცი დაყნოსა, თავი ამაყად ასწია და თაყვანისმცემელს გადახედა, ამით ხაზი გაუსვა თავის საამაყო წარმომავლობას...

ძაღლის პატრონს არ გამოჰპარვია თავისი ბროლიას საქციელი. კაცურად გაუგო კიდეც. ჩვეული, იმერული ენაკვიმატობა გამოიჩინა და ჯესიკას თათი სთხოვა ოჯახს:

_დავნათესავდეთ ბატონო! მართალია, თქვენი ჟესიკა სამეფო წარმოშობისაა, მაგრამ, არც ჩენმი ბროლიაა უჯიშო, ყიფშიძეებში გაზრდილი ნამდვილი ქართული ნაგაზიაო.

მან, რა თქმა უნდა, შეთავაზებაზე თავაზიანი უარი მიიღო: _ ჯესი მხოლოდ და მხოლოდ პრინცს ელოდება და შთამომავლობას თავს არ დააწყევლინებსო.

_ამ უარს ხელი არ შეუშლია ლხინისათვის. მეზობლებმა საღამო მხიარულებაში და ოხუნჯობაში გაატარეს. დაილია ჯესიკას, როგორც ამ თავშეყრის მიზეზის, სადღეგრძელო. პერსონალური სადღეგრძელო ოთოსაც ერგო, _ამ უღიმღამო დროში სოფელში სიცოცხლის და ხალისის შემოტანისათვის.

ოთო კი აუცილებელი და მნიშვნელოვანი დღისათვის გადანახულ ჩურჩხელებს და ტკბილის კვერს თვითონაც მიირთმევდა და არც ჯესიკას აკლებდა პატივისცემას.

2008 წ.

ბაქარ თენგიზის ძე გაჩეჩილაძე (თომაშვილი)

დ.1966 წ.

სპორტული ჟურნალისტი. თბილისი.

სამოთხე და ჯოჯოხეთი

რა საინტერესოა, რატომ უჩნდებათ ადამიანებს თავისი სიზმრების მოყოლოს სურვილი, იქნებ იმიტომ, რომ სურთ აღნიშნონ, ეს უბრალოდ სიზმარი იყო და არა მათ მიერ გამოგონილი ისტორია, იქნებ ეს, საერთოდ, სიზმარიც არ იყო და ქვეცნობიერად უბრუნდებიან იმ ადგილებს და დროს, სადაც გაატარეს ცხოვრების საუკეთესო წუთები. მაგრამ სიზმრები მარტო საამური როდია, ცუდ სიზმრებსაც ხომ ვხედავთ ყველა!

ჩვენ გვიჩნდება კარგი სიზმრების სხვებისთვის გაზიარების სურვილი და ხშირად თავს ვიკავებთ ცუდი სიზმრის მოთხრობისაგან.

დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პოლიტიკოსისა არ იყოს, მე აფხაზეთი მესიზმრება. არა, მარტო აფხაზეთი კი არა, ჩემი აფხაზი მეგობრები...

საბჭოთა საქართველოს საცხენოსნო კლუბების უმეტესობა აფხაზეთში იყო განლაგებული: გალი, ოჩამჩირე, გულრიფში, ეშერა, გუდაუთა, გაგრა. სწორედ ამიტომაც მაშინდელ საქართველოს ნაკრებში ამ კლუბის, ანუ აფხაზეთის წარმომადგენლები ჭარბობდნენ. გვიანი შემოდგომიდან სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდების შეკრებები თბილისის საცხენოსნო ბაზაზე იმართებოდა, ხოლო გაზაფხულიდან, აფხაზეთში გადავდიოდით და იწყებოდა შეკრებები და შეჯიბრებები ოჩამჩირეში, ეშერაში, გაგრაში. თან როგორ უხდება ცხენებს ფიზიკური მომზადებისათვის და ტრამვების მოსაშუშებლად აფხაზეთის კლიმატი და ზღვაში ცურვა!

მხედრებისთვის ხომ საერთოდ, მისწრებაა_ლამაზი სლავური წარმოშობის გოგოების «შესაბმელად» ჩვენ, მოჭიდავეებისა და ძალოსნებისაგან განსხვავებით, ცხენები გვყავს და ეს ჩვენს შანსებსაც საგრძნობლად ზრდის!

ცხენების სამგზავროდ მომზადება მთელი რიტუალია: მხედრები საღამოთი სკივრებში ალაგებენ ამუნიციას: აღვირს, უნაგირს, საოფლეებს, ჩექმებს, ბრიჯებს, რედინგტონებს, მედიკამენტებს, ხოლო დილით უთენია იწყებენ მერნების ფეხების დაბინტვას, რათა მგზავრობისას არ დასახიჩრდნენ, მანქანაში ტვირთავენ ფურაჟს: შვრიას და თივას. ყველას სათითაოდ აჰყავთ თავიანთი ბედაურები ცხენმზიდში, ულაყებს და ჭაკებს ცალ-ცალკე ათავსებენ, მეჯინიბეები იკავებენ მათთვის განკუთვნილ ადგილს და წინ აფხაზეთისკენ! ამ რიტუალის აუცილებლად თანმდევი ნაწილია მძღოლის მიერ მიცემული ერთი გრძელი საყვირი.

კარგი სიზმარი_ აფხაზეთი სამოთხე

ცხენები უკვე ცხენმზიდზე დავტვირთეთ და გაგრისკენ გავემგზავრეთ, ჩვენ, გუნდის წევრები, საღამოს თბილისი-გაგრის მატარებლით მივემგზავრებით, ესეც ერთგვარი რიტუალია. დათქმულ დროს რკინიგზის სადგურზე ვიკრიბებით. რა სჯობია გუნდთან ერთად მგზავრობას, რასაც მუდამ ამაღლებული განწყობა ახლავს, წინ ახალი სასიამოვნო თავგადასავლები გველის, ახალი ნაცნობების შეძენა და, რაც ჩვენთვის ყველაზე სასიამოვნოა, წინ შეჯიბრებაა...

კუპეში ზედა საწოლზე მოსათავსებლად დიდი კონკურენციაა. ის, ვინც მაღლა დაწვება, გამთენიისას ზღვასაც პირველი დაინახავს, ულამაზეს მოლივლივე ზღვას. რა ახლოსაა თბილისიდან ზღვა, სულ რაღაც ერთი ღამის მგზავრობა... მატარებელი როცა სოხუმში შედის, ხედავ სოხუმის ტაქსების შინდისფერ სახურავებს, რაც ერთობ უჩვეულოა ჩვენთვის. მგონი მთელ საბჭოეთში მარტო სოხუმის ტაქსებს ჰქონდათ განსხვავებული ფერის სახურავები.

1987 წელს ბზიფის ხეობაში ახალი იპოდრომი გაიხსნა, რატომღაც ამ იპოდრომს გაგრის იპოდრომი დაარქვეს. იპოდრომის გახსნაზე წინაღობათა გადალახვაში, «კონკური», საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონატის ჩატარება დაგეგმეს კალენდრით, 16 საცხენოსნო კლუბის წარმომადგენლები შეიკრიბნენ იმ წელიწადს ბზიფში! ეჰ! რა დრო იყო! დღეს 3 კლუბს ძლივს ვკრებთ!..

გუდაუთელი ხარლამ სიმონია სპეციალურად ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ნაკრების შეკრებიდან და თავისი ორი სანაკრებო, საუკეთესო ბედაური «კასპი» და «ხერსონი» ჩამოიყვანა. იგი ჩემპიონატის უდავო ფავორიტი იყო. ჩვენ ჩვენს თანაგუნდელს და ჩვენს უახლოეს მეგობარს მამუკა გიორგაძეს ვქომაგობდით და ცხენის მოვლასა და «კონკურების» შემდეგ კონდიციების აღდგენაში ვეხმარებოდით.

როგორც აფხაზეთში იცის, დაიწყო წვიმები და წვიმდა გადაუღებლად, ასპარეზობა ოთხ «კონკურად» იმართებოდა და ჯამში საუკეთესო ქულების დამგროვებელი საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი ხდებოდა. ცხენოსნები საშეჯიბრებო მოედანს მთელ მსოფლიოში ბრძოლის ველს უწოდებენ, არის, ალბათ, ამაში ისტორიული ლოგიკა. სიმონიას და გიორგაძის «დუელს» არავინ ელოდა, მამუკა 18 წლის იყო, ხარლამი კი ოცდაათის. სპორტული ბრძოლა ისე წარიმართა, რომ აბსოლუტური ჩემპიონი ბოლო შეჯიბრებამ უნდა გამოავლინოს. ასპარეზობის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, გაგრის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ და ყოფილმა ცხენოსანმა ვალერი ბარციცმა, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის წარმომადგენლებს თხოვნით მიმართა, ბოლო კონკური გუდაუთაში, ლიხნში გადავიტანოთო, ხოლო ეს თხოვნა ასე ახსნა: სახალხო დღესასწაული «ლიხნობა» იმართება და ზეიმი უფრო შთამბეჭდავი იქნებაო. მართლაც, ბოლო ასპარეზობა ლიხნში დანიშნეს. გადაზიდეს წინაღობების კომპლექტი, გადაიყვანეს ცხენები, მოიყვანეს ტრანსპორტი მონაწილეების, მსაჯებისა და გუნდებისათვის და გადავედით ლიხნში.

ლიხნი აფხაზეთში მარტო დასახლებული პუნქტი როდია, ლიხნი აფხაზების ბუდეა (ამ შემთხვევაში, საუკეთესო გაგებით).

ჩემპიონობის სურვილი ყველა ათლეტს აქვს, მიმაჩნია, რომ თანასწორ, სამართლიან სპორტულ დაპირისპირებაში, ეს აუცილებელი ამბიციაა. გამოცდილი მხედარი ხარლამ სიმონიაც გამარჯვებისკენ მიისწრაფოდა და თანაც საკუთარ, გუდაუთის რაიონში, ლიხნში!

იმ დღეს შეჯიბრების სანახავად იმდენი ხალხი მოვიდა, არც მანამდე და არც შემდეგ, საქართველოში, ცხენოსნობის სანახავად მოსული ამდენი მაყურებელი არ მახსოვს. მოვიდნენ ბავშვები, ქალები, კაცები და 100 წელს მიღწეული და გადაცილებული მოხუცები, ფაფახებში, ჩოხებზე დაბნეული საბჭოთა ორდენებით და მედლებით, რითაც თავსაც იწონებდნენ, და, რა თქმა უნდა, ხანჯლებით.

და მამუკა გიორგაძემ მოიგო, ლიხნში მოიგო და იყო ლხინი ლიხნში. ყველანი ბედნიერები ვიყავით, აფხაზებიც და ქართველებიც. იმ დღეს ჭეშმარიტად სახალხო ზეიმი იყო. ეს მართლაც ღირსეულ, პატიოსან სპორტულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება იყო. გამარჯვებული თავად ვალერი ბარციცმა დააჯილდოვა.

ეს ჩემი კარგი სიზმარია, ეს სამოთხეა და მინდა ცხადშიც დავბრუნდე სამოთხეში.

ცუდი სიზმარი – ომი აფხაზეთში...

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მაშინდელ საქართველოს მთავრობას, უფრო ზუსტად, სამხედრო საბჭოს არ აღმოაჩნდა პოლიტიკური გამჭრიახობა და აფხაზეთში ომი დაიწყო, ჩვენ, ქართველებმა და აფხაზებმა დავიწყეთ სამოთხის ნგრევა.

1991 წლის მარტიდან ეროვნული გვარდიის ცხენოსანთა ესკადრონის ოფიცერი ვიყავი და 1993 წელს ჩემს ქვედანაყოფთან ერთად რამდენჯერმე მომიწია აფხაზეთში ყოფნამ. სამხედრო ეშელონის მომზადებაც ერთგვარი რიტუალია: სარკინიგზო პლატფორმაზე იტვირთება მძიმე ტექნიკა, ჰაუბიცები, საბრძოლო მასალებით დატვირთული სატვირთო მანქანები, კავშირგაბმულობისა და საშტაბო მანქანები. ამ რიტუალს სიხარული და ამაღლებული განწყობა არ ახლავს. ჩვენ ომში მივდივართ...

ქვედანაყოფში 18-19 წლის წვევამდელი ბიჭები მყავდა ყაზბეგიდან, რომლებიც არც მატარებლით იყვნენ ნამგზავრი, არც ზღვა ჰქონდათ ნანახი და არც აფხაზს შეხვედროდნენ არასოდეს. ინგირის გავლის შემდეგ ვაგონებში შტორები ჩამოვუშვით, სამხედრო ეშელონის გადაადგილების ყველა წესები დაცული უნდა იყოს. გული მწყდება, რომ ამ ბიჭებს არ ექნებათ შესაძლებლობა გამთენიისას ზედა საწოლიდან დაინახონ ზღვა.

დილით, როდესაც ოჩამჩირეში შევედით, ეშელონი გაჩერდა, რათა ტექნიკა ჩამოგვეტვირთა, ჩვენ ვაგონებიდან ჩამოვედით და რას ვხედავ, აგერ, ვაგზალზე, ჩვენი აფხაზი მეგობარი ამრა აშუბა არ დგას! იცით ამრა აფხაზურად რას ნიშნავს? ამრა მზეა ქართულად.

საუკეთესო ქართულით საუბრობდა ამრა და როდესაც ჩვენმა თანამებრძოლებმა გაიგეს, აფხაზი რომ იყო, არ დაიჯერეს. ჩვენი მოკლე საუბრის თემა, რა თქმა უნდა ცხენებიც იყო. ჩვენ კითხვაზე ოჩამჩირის კლუბში ცხენები თუ იყო კიდევ შემორჩენილი, ამრასგან ასეთი პასუხი მივიღეთ: ცხენების საჭმელი კი არა, ჩვენ, მოსახლეობას ძლივს გაგვაქვს თავიო.

ძალიან მძიმე შეხვედრა იყო ყველასთვის.

ეს ჩემი ცუდი სიზმარია, ამ სიზმარში დაბრუნება არ მინდა და აღარ განვაგრძობ თხრობას.

რა არის სამოთხე? ალბათ, ამაზეც ბევრი გიფიქრიათ.

მე აფხაზეთში ვნახე სამოთხე: ზღვა, მთები, ცხენები, შევიძინე მეგობრები. მე აფხაზეთში ვნახე გამარჯვებები, ღირსეულ სპორტულ ბრძოლებში გამარჯვებები!..

მე აფხაზეთში ვნახე ჯოჯოხეთი: ომი, ნგრევა, სასოწარკვეთა, დევნილები, მეგობრების სიკვდილი და მარცხი დაუნდობელ და უთანასწორო ბრძოლაში...

აფხაზეთი ჩემი სამოთხეა, აფხაზეთი ჩემი ჯოჯოხეთია.

2005 წელი, თბილისი. ჟურნალი «ათიანი» № 29(10), გვ.122-123.

ნინო ვახტანგის ას. ნანობაშვილი

[მარიამ (ნანა) გაჩეჩილაძე _ ოთიაშვილის შვილიშვილი]*

დ. 1971 წ.

ექიმი ფსიქიატრი (თბილისი).

მატარებელი

ნინომ ეს მოთხრობა 13 წლის ასაკში, სკოლაში, გაკვეთილზე დაწერა, მასწავლებლის მიერ შეთავაზებულ, ამ დასახელების თავისუფალ თემაზე.

_ნატვრისთვალი თუ უკვდავების წყალი?! _ ჩასჩურჩულეს ყურში პატარა ბიჭუნას.

ეზოს შუაში ორ გოგონას ჩაჭიდული ხელები ზევით აეწიათ. მათ გარშემო მოძრაობდა ეზოს ბავშვების გრძელი კოლონა. კოლონას წინ ბუთხუზა მიუძღოდა, მომუშტულ ხელებს ენერგიულად აქნევდა და დროდადრო ომახიანად შეჰკივლებდა ხოლმე. ბუთხუზას მარცხენა ხელით ზოლიან მაისურზე პატარა გოგონა ჩასჭიდებოდა, იმას ვიღაცა, იმას კიდევ ვიღაცა და ყველანი, რაღაც იდუმალი სახეებით, მომუშტულ მარჯვენა ხელს შეწყობილად ამოძრავებდნენ_ მატარებლობანას თამაშობდნენ. შუაში გოგონები «ხიდს” წარმოადგენდნენ. მათ «ხიდში” გამავალი «მატარებლის» ბოლო, მაჩანჩალა «ვაგონი» დაეჭირათ და ყურში უჩურჩულებდნენ. ერთი უკვდავების წყალი იყო, მეორე ნატვრისთვალი. მხოლოდ, ნატვრისთვალისათვის უკვდავების წყლის თხოვნა არ შეიძლებოდა _ ამაზე შეთანხმდნენ.

იდგა პატარა მაჩანჩალა ამ ორ კუდრაჭას შორის და ვერ ამოერჩია:

_ ნატვრისთვალი?! _ ყველაფერს შემის რულებს: ველოსიპედს მიყიდის, _დედიკოს რა ხანია ვეხვეწები ისეთს, გიორგის რომ აქვს.

_ მარწყვსაც გამიჩენს _ გუშინ ჭამდა გიორგი, უკვე არისო, გიორგისნაირ ჯინსებსაც მიყიდის...

_ უკვდავების წყალი?! _ უკვდავების წყალი კიდევ, მამიკოს გამიცოცხლებს, ნეტავ როგორი მამიკო მყავს? _ დედა იძახის, მამაშენი ჩვენთვის მკვდარიაო. _ნეტავ რით მოკვდა? _ფიქრებში გაება ბოლო «ვაგონი».

_ მე ყველაფერს აგისრულებ, ბიჭო _ ეხვეწება «ნატვრისთვალი»...

_ არასოდეს არ მოკვდები! _ უჩიჩხინებს «უკვდავების წყალი».

_ არ ვთამაშობ! _ გამოძვრა გოგოების ხელებიდან პატარა და კიბეზე ჩამოჯდა. დაიშალა «მატარებელი» და «ვაგონები" მაჩანჩალას შემოეხვივნენ.

_კბილი ამტკივდა, _იცრუა ბიჭმა.

ბუთხუზა კივილით და ქშენა-ქშენით მოუხმობდა ბავშვებს. «ვაგონები» ისევ ჩაებნენ. ახლა სხვა დაიჭირა «ხიდმა» _ მან «ნატვრისთვალი» ამოირჩია. მერე სხვა.

_ იმანაც «ნატვრისთვალი» არჩია. აკლდებოდა და აკლდებოდა «მატარებელს» «ვაგონები», ემატებოდა და ემატებოდა «ნატვრისთვალს» ძალა და ღონე.

«უკვდავების წყალი» მარტო გიორგიმ ამოირჩია. მაჩანჩალაც გაიქცა და გიორგის ჩაეჭიდა.

«ხიდს» უეცრად ლამაზი კაცი მიუახლოვდა.

_ მეც მათამაშეთ რაა?! _ შეეხვეწა ბავშვებს დაბნეული უცნობი. გოგონებმა ხელებს შორის მოაქციეს ლამაზი ძია და გახარებულებმა არჩევანის უფლება მისცეს.

_ «ნატვრისთვალი». _ თქვა კაცმა ისე, რომ თვალი არ მოუშორებია მაჩანჩალასთვის.

_ რატომ «ნატვრისთვალი» არ ამოირჩიეთ? _ ჰკითხა უცნობმა ძიამ ბიჭებს.

_ მე ნატვრები აღარ მაქვს და მინდა, რომ არ მოვკვდე არასოდეს.

_ წამოიყვირა გიორგიმ.

_ მე კი, მე ძალიან მინდა, რომ მამიკო გავაცოცხლო, _თქვა «მაჩანჩალამ».

_ ნამდვილად იცი, რომ მოკვდა? _ ჰკითხა გაფითრებულმა უცნობმა.

_ დედამ თქვა, ჩემთვის და შენთვის მამაშენი მკვდარიაო, _ამოიოხრა მაჩანჩალამ.

კაცი გაშრა, სწრაფად მოსცილდა ბავშვებს.

_ მატარებელში დავიბადე, ასე ინება განგებამ. ცხოვრება მატარებელივით აღმა-დაღმა ქროლვაში გავატარე და მატარებელმა დაუსვა წერტილი ჩემს ულიანდაგო ცხოვრებას, ჩემს უმიზნო ყოფას. მწარედ ჩაილაპარაკა თავისთვის და მატარებელს მოხსნილი ფუჭი ვაგონივით ერთ ადგილზე გაიყინა.

გამოქვეყნდა გაზეთში «სამთო ქიმია», 1984 წ..

2001 წელს, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა გამოაცხადა სპორტულ-ლიტერატურული კონკურსი ორ ასაკობრივ ჯგუფში (12 წლამდე და 13-დან 18 წლის ჩათვლით) მოზარდებისა და ახალგაზრდებისათვის. ცალკეულ ქვეყნებში გამარჯვებულთა ნამუშევრები იგზავნებოდა მსოფლიო კონკურსზე. საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ჩვენს ქვეყანაში საუკეთესოდ სცნო და რეკომენდაცია მისცა თბილისის სკოლა-ლიცეუმ «რიტორის» მოსწავლეების, ძმების ცოტნე (11 წლის) და თორნიკე (13 წლის) გაჩეჩილაძეების ნაწერებს.

საერთაშორისო ჟიურიმაც გამარჯვებულად, ორივე ასაკში, საქართველოდან გაგზავნილი ნამუშევრები სცნო. თორნიკე და ცოტნე გაჩეჩილაძეები საერთაშორისო ოლიმპიური

კომიტეტის სპეციალური პრიზებით და დიპლომებით დაჯილდოვდნენ. ამასთანავე, კონკურსის შედეგების შემაჯამებელ კრებულში, ძმების გამარჯვებული და პრემირებული ნაშრომები ქაღთულ ენაზეა გამოქვეყნებული, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე ანოტაციის თანხლებით. ცოტნე გაჩეჩილაძის ტექსტი კი კრებულის გარეკანის პირველ გვერდზეა გამოტანილი.

გთავაზობთ ძმების პრემირებულ თხზულებებს:

თორნიკე ბაქარის ძე გაჩეჩილაძე (თომაშვილი) **

დ. 1988 წ.

ი. ჭავჭავაძის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტი,

გაზ. «ლელოს» კორესპონდენტი.

ოლიმპიური ცეცხლი მყინვარწვერზე

ხვალ დილიდან მყინვარწვერის მისაახლოებლად მივდივართ. ამ დღეს ყველა მოუთმენლად ველოდით. სამზადისი დამთავრდა, ადრე დაძინება გვიბრძანეს დევდორაკის ხეობაში მთის მოყვარულთა ბავშვთა კლუბის ბანაკში შეკრებილებს. ნავახშმევს, ჩამოღამდა თუ არა, ჩვენ-ჩვენ კოტეჯებს მივაშურეთ. ვიცი, ხვალინდელ დღეზე ოცნებობს ყველა, მეც, რა თქმა უნდა. დიდხანს არ ჩამეძინა. ალბათ სხვებიც ფიქრებში არიან ჩაძირული ჩემსავით. ჩემდა უნებურად, გონებაში წამომიტივტივდა პრომეთე. რა ახლოს ვართ ახლა ამ ზვიად მთებთან და ლეგენდასთან. თვალწინ წარმომიდგა ადამიანისათვის ცეცხლის მიცემის გამო კავკასიის მაღალ მთებზე ზევსის ბრძანებით მიჯაჭვული პრომეთე თუ როგორ იტანდა სატანჯველს. მანამდე ასე მძაფრად არ განმიცდია ლიცეუმის ხელოვნების მასწავლებლისაგან მოსმენილი ამბავი. ნუთუ მართლა აქ, ამ მიწაზე მოხდა ყველაფერი?..

მერე ოცნებამ ანტიკურ ელადაში გადამიყვანა, სადაც ადამიანის გონებამ უწმინდესი იდეა _ოლიმპიური თამაშების ჩატარება რეალობად აქცია. ახლა გონებაში წამომიტივტივდა მასწავლებლის მონათხრობი ძველბერძნულ ოლიმპიადებზე. ამ თემამ მაშინ იმდენად გამიტაცა, რომ დამატებით ბევრი რამ წავიკითხე. გამახსენდა ერთი საგაზეთო წერილი, რომელშიც ავტორი ყურადღებას მიაპყრობდა პრომეთეზე და საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს თხოვნით მიმართავდა, თამაშების ტრადიციული ცეცხლი თუნდაც ერთხელ კავკასიონზე შემოეტარებინათ. ფიქრებში ჩამეძინა. ოცნება გაგრძელდა. ნათლად ვხედავ კავკასიონის კალთებთან შეკრებილ უამრავ ხალხს. რამდენიმე მოლაშქრე ჯერ მკვირცხლად, შემდეგ დინჯად ავყევით მყინვარწვერის დათოვლილ ფერდობს. მიუხედავად იმისა, რომ ახლა აგვისტოა, ზღაპრული სისპეტაკე მაინც შემორჩენილია. სულ მაღლა მივიწევთ. ქვემოდან თვალს გვადევნებენ და ოლიმპიურ ალმებს აფრიალებენ. იქ დარჩენილებთან კავშირი გვაქვს მობილურით. აი, შევდგით კიდეც ფეხი მყინვარწვერზე. ტელეფონში გვესმის, როგორ დასცეს ყიჟინა დაბლა შეკრებილებმა. მერე ჩვენს თავზე ვერტმფრენი გამოჩნდა, რამდენჯერმე შემოუფრინა მყინვარს და ჩვენს თავს ზემოთ, ცაში თითქმის უძრავად დაეკიდა. ოლიმპიაში ანთებული წმინდა ცეცხლი საჰაერო კიბიდან ბერძენმა სპორტსმენებმა მოგვაწოდეს. ჩირაღდანს ერთმანეთს გადავცემთ ზეაწეულს. წარმომიდგენია ახლა იქ, ქვემოთ, რა ამბავია, და არამხოლოდ იქ, მთელ მსოფლიოს იმ ვერტმფრენზე დამაგრებული ტელეკამერა გადასცემს ყველაფერს, რაც იქ, მყინვარის წვერზე ხდება. რამდენადაც შესაძლებელია მწვერვალის მომცრო თხემზე პატარა რიტუალს ვაგრძელებთ და დაბლა ვიწყებთ დაშვებას.

ზედმეტი ემოციებისაგან გამომეღვიძა. ისევ მინდა ძილს მივცე თავი, ძალიან არ მინდა სიზმარი შეწყდეს, მაგრამ არაფერი გამომდის, განცდილი არ ანებებს ჩემს თავს ძილს.

ინათა კიდეც. გარეთ გამოვედი. უნებურად კავკასიონს შევავლე თვალი. მზემ, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩანდა, პირველი სხივები სტყოცნა მოხუცი მყინვარის ქათქათა წვერს. მზე ყველასთვის ერთია. ერთია მისი სხივებით ანთებული ოლიმპიური ცეცხლიც, რომელიც, როგორც მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სიმბოლო, აჩირაღდნებს კაცობრიობას.

2001 წ.

ცოტნე ბაქარის ძე გაჩეჩილაძე (თომაშვილი) **

დ. 1990 წ.

თსუ-ის სტუდენტი.

«ოლიმპიური თამაშები» ჩვენს ეზოში

1992 წლის ოლიმპიური თამაშები არ მახსოვს. მაშინ სულ პატარა ვიყავი. 1996 წლის ოლიმპიადაზე მიმქრალი წარმოდგენა მაქვს. სიდნეიში ჩატარებული თამაშები კი ძალიან კარგად ჩამრჩა მეხსიერებაში. მოუთმენლად ველოდი ყოველ ტელეგადაცემას სიდნეიდან. გახსნის ზეიმი იმდენად მოგვეწონა, მეორე დღეს ეზოში შევიკრიბეთ ბავშვები და ახალი თამაშობა «ოლიმპიადობანა» მოვიგონეთ. ყველაფერი ისე დავიწყეთ, როგორც ოლიმპიადის გახსნაზე ვნახეთ: ჯერ მოვამზადეთ ჩირაღდანი, ეზოში წრეზე დავრბოდით და გადავცემდით ერთმანეთს. მერე ამაღლებულ ადგილზე დიდ ჯამში ჩადებული ნავთში დასველებული ჩვარი ავაგიზგიზეთ. ეთმანეთს ხან ეზოს ფეხბურთში, ხან ლახტში, ხან იქვე, სკვერში, სიგრძეზე ხტომაში და ჭიდაობაში ვეჯიბრებოდით. «ომობანაზე» უარი ვთქვით. გამარჯვებულებისათვის და პრიზიორებისათვის გავაკეთეთ კვარცხლბეკი _ შუა საფეხური, ამაღლებული, ჩემპიონისათვის, მეორე პრიზიორისათვის შედარებით დაბალი, მესამე ადგილზე გასულისათვის მეორეზე ცოტა დაწეული. მაგნიტოფონით ვუკრავდით ქართულ მრავალჟამიერს და მის ჰანგზე ვაჯილდოვებდით ჩვენს შორის ჩემპიონებს და პრიზიორებს. მედლებად ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსფერი შოკოლადის მედალიონის ფილები შევარჩიეთ, ბრჭყვიალა ლენტზე შევაბით. კორპუსის აივნებზე გამოსული მცხოვრებლები იყვნენ ჩვენი მაყურებლები.

ასე გრძელდებოდა ყოველდღე, ვიდრე არ დამთავრდა ოლიმპიური თამაშები. მერე ჩვენც მოვაწყვეთ პარადი _ წინ მიდიოდნენ გამარჯვებულები და პრიზიორები მკერდზე ჩამოკიდებული მედლებით. ხელში ეჭირათ ალმები. რასაც სადარბაზოს დროშები დავარქვით. ისევ ქართული სიმღერის ფონზე ჩავაქრეთ ჩირაღდანი. სიმბოლურად დავემშვიდობეთ ერთმანეთს... ოთხი წლით.

2004 წელს უფრო დიდი ბიჭი ვიქნები. არ ვიცი, კიდევ ვითამაშებ თუ არა ეზოში «ოლიმპიადობანას», მაგრამ ჩვენზე პატარები უკვე ოცნებობენ ათენის ოლიმპიადაზე, რომელიც ჩვენს ეზოშიც «ჩატარდება». ეს ტრადიციად იქცევა და ტკბილმოსაგონრად დარჩება თაობებს. ყველანი აქედანვე ემზადებიან. მეც აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას _ ჩვენს ეზოში «ოლიმპიადობანას» კარგად მომზადებასა და ჩატარებაში დავეხმარები პატარებს. ათენის ოლიმპიადის დღეებში, ჩვენს ეზოში უკვე მეზობელი კორპუსების მოზარდებიც ჩაერთვებიან შეჯიბრებებში. ასე უფრო საინტერესო გახდება «ჩვენი ეზოს ოლიმპიური თამაშები».

2001 წ.

პ ო ე ზ ი ა

სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) *
(1863_1943)
ცნობილი ფოლკლორისტი.

რედაქტორის შენიშვნა სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრომების შესახებ

პროფესიით აგრონომსა და სამთო ინჟინერს, ცნობილ ფოლკლორისტს _ სევასტი გაჩეჩილაძეს (რომლის ბიოგრაფიას შეგიძლიათ გაეცნოთ «გაჩეჩილაძეთა საგვარეულო»-ს I ტომში), დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩა. მასში შედის როგორც ქართული ფოლკლორის ჩანაწერები კომენტარებითურთ, ფოლკლორის შესწავლის შედეგების განმაზოგადებელი ნარკვევები, საგაზეთო სტატიები და ქართველი საზოგადო მოღვაწეებისადმი მიწერილი წერილები, ისე მხატვრული ნაწარმოებები: ლექსები, პოემები, დრამები, რომანები. ამათგან მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილია გამოქვეყნებული *[კერძოდ:* ***ნარკვევი _»წევა წეველები, მათი ისტორია და თავგადასავალი»****(«აკაკის თვიური კრებული» 1899წ. №2 და №3);* ***წევის ფოლკლორი*** *[იგივე კრებული 1899წ № 3; კრებული «ძველი საქართველო» ტ.I (1909წ) და ტ.IV (1914 წ.)];* ***კრებული _ «ხალხური ზღაპრები» (1903 წ.)***[1]*;* ***საგაზეთო სტატიები****]. ს.გ-ს* გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების ნაწილი ინახება მისი ახლობლების ოჯახებში, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის, გ. ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის მუზეუმის, თსუ-ის და სხვა არქივებში, მნიშვნელოვანი ნაწილის ადგილსამყოფელი კი, ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ. რაც მოვიძიეთ, ის ნაწარმოებები, სავარაუდოდ, რამდენიმე ტომის მასალას შეადგენს...

თვითონ ბ-ნი სევასტი, ერთ-ერთი თავისი ნარკვევის შესავალში, თავისი შემოქმედების შესახებ წერს: _»დავწერე ძალიან ბევრი რამ... ვიფიქრე ბევრ რამეზე... ერთი კომპეტენტური პირი რომ იტყვის, ეს თხზულება «პოეტურია», ისეთი პათოსითაა აღჭურვილი, რომ ევროპაშიაც არ მოიპოვება დღეს ასეთი აღფრთოვანების თხზულებაო (კოტე მაყაშვილი, აკაკი, განდეგილი და სხვ.), მეორე იტყვის: აქ თემატიკა ფართოა, ხოლო პათოსით რა შედარებაა გრ. ორბელიანთანაო (რაჭველიშვილი), ერთი რომ იტყვის ეს თხზულება ქართული ლიტერატურის ძეგლიაო (ვ. კოტეტიშვილი, ვ. გომართელი და სხვ.), მეორე ამბობს: ეს თხზულება ანტაგონიზმითაა გაჟღენთილი, ქუჩური ენითაა დაწერილი (მთვარაძე)... მესამენი კი იძახიან: შენი ენა ხალხურია და მით კარგია (აკაკი, შ. დადიანი და სხვ.)...

ჩემს მეცნიერულ ნარკვევებზედაც ასეთი ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრებია, თუმცა უარყოფა ჩემ დებულებათა ვერც ერთს ვერ მოუხერხებია. იძახიან: დიდი საკითხებია აძრულიო და სხვ. და სხვ.

ასე რომ, ჩემი ყოველი ნაფიქრი ახალია, სადაო ხდება და ოღრო-ჩოღროა, როგორიც იყო თვით ჩემი ცხოვრება...» [2].

1939 წ. მიხეილ ჩიქოვანისადმი მიწერილ წ ერილში ს.გ. აღნიშნავს:_»მე დიდძალი ნაწარმოები მაქვს მწერლობის სხვადასხვა დარგში ხელთნაწერად, რომელიც თავის ჯეროვან ადგილს დაიჭერს ჩვენს ლიტერატურაში, როცა მე... არ ვიქნები. ამის მიზეზია მათი «სიახლე», რისი შეგნებაც და ძველი სიყალბის დამსხვრევაც ერთი დაკვრით არ ხერხდება»[3].

მე, ე.გ., დროის უქონლობის გამო, ჯერჯერობით ბ-ნი სევასტის ნაწერების მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილს გავეცანი. რაც წავიკითხე, საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მეჩვენა, მაგრამ ჩემი კომპეტენცია არ კმარა მისი შემოქმედების, განსაკუთრებით მისი კვლევითი ნაწარმოებების, შესაფასებლად. იმისათვის რომ მოხერხდეს მათი შეფასება, აუცილებელია მათი გამომზეურება. «გაჩეჩილაძეთა საგვარეულოს» II და III ტომებში ვაქვეყნებ მის რამდენიმე ნაშრომს. ვინაიდან მე ბ-ნი სევასტის ძალიან ცოტა ნაწარმოებს ვიცნობ, არ ვიცი, რა ადგილი უჭირავთ ამ ნაშრომებს მის შემოქმედებაში და რამდენად სწორად შევარჩიე ისინი მისი შემოქმედების წარმოსაჩენად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ნაწარმოებები მცირე წარმოდგენას მაინც შეუქმნიან მკითხველს აღნიშნულის შესახებ.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საგვარეულო დარბაზი გააგრძელებს მუშაობას და გამოამზეურებს ბ-ნი სევასტის სხვა ნაშრომებსაც, რითაც ხელს შეუწყობს მათთვის ჯეროვანი ადგილის მიჩენას.

1) ამ კრებულის არსებობა დადასტურებულია ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში (შემდგენელი ქს. სიხარულიძე, თსუ -ის გამომცემლობა, თბ. 1970 წ., გვ. 450) და ეროვნული ბიბლიოთეკის კომპიუტერულ კატალოგში, მაგრამ, ჯერჯერობით, ბიბლიოთეკებში მისი აღმოჩენა ვერ შევძელი.

2). შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ფაა № 17378, ს. გაჩეჩილაძე, ნარკვევი «ვეფხისტყაოსანი», გვ. 74.

3). შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივი, ფაა № 22000, გვ.108.

P.S. *როგორც სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრომებიდან ჩანს, ბ-ნი სევასტი, მისი სამეცნიერო კვლევის საგნისადმი ინტერესის და კვლევის შედეგების ხალხში დასამკვიდრებლად, ცდილობდა თავისი შეხედულებების, მათთვის უფრო გასაგები, მხატვრული ფორმით მიწოდებას. ამიტომ მის სამენიერო გამოკვლევებში, ბიოგრაფიულ ნაწერებში და მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად ერთი და იგივე აზრები გვხვდება სხვადასხვა ფორმით გამოხატული...*

ნაწყვეტი პოემიდან ლაბირინტი (გეგენას მოგონებანი)

დაწერილია 1915 წლის 15 ივნისს.

(საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ხელნაწერთა არქივი, № 2295, გვ.122).

12.

_ მომავალი?... -ის აღადგენს
მარადისს და მხოლოდ უკვდავს,
რაც რომ გრძნობას აფაქიზებს,
წარმოდგენას შლის და სუსხავს...
_შენი ჭირი შემეყაროს,
შვილო, ჩემო ბედისწერავ!
წარსულში და მომავალში

ბევრს ვუცქერი, ბევრს ვერ ვხედავ.
ერთი დიდი მეცნიერის
აზრი ცეცხლად წამეკიდა.
რომ ცოტა წინ წამოვსწიო
მისი დასკვნა, ერთობ მინდა.
მე ვამზადებ ახალ სიტყვას,
ახალ აზრებს, ახალ გეგმას.
მზად ვარ, სულიც რომ შევსწირო
ამ უღელში მედგრად შებმას...
შავ ხალხს სულში ჩავუძვერი,
მყუდრო ზღვაში, მივარდნილში.
იქ ვეძებ თვალ მარგალიტებს,
ცხადში ვიყო, გინდა ძილში.
და ამ თვლებით მყარად მინდა
დიდი ტაძრის აშენება,
სადაც ჩემი ერის ლოცვით
ყველას გული ამღერდება...

13.

_დიდებული მიზანია,
საუკვდაო, მარადისი;
სულ ერთბაშად მოჰკრებს ჯილდოს
შენი გულის დანაკლისი
ერთადერთი გზაწვრილია
მიმავალი ე-მაგ მისკენ
ნარეკლის გზა, ამწეველი
ბნელეთიდან უკვდავ მზისკენ.
_ მინდა, ჩემი ერის დედა-
ხალხობა რომ დავამტკიცო.
დავემხო მის ფერხთ წინაშე
და მის ხატზე დავიფიცო...
მისი ღვაწლი და ამაგი
მსოფლიოზე გაღარღალდეს;
შემოქმედი ნიჭის განძი
შვილთა შვილზე გადავიდეს.
მინდა, დედას პატივი სცეს
ღირსეულად თეთრმა ჯურმა,
მისი ქება და დიდება
მოისმინოს ტკბილად ყურმა.
მინდა, უკვდავს უკვდავება
დაჰხაროდეს თვალსაჩინოდ.
მინდა, კიღამ დამარხული
გამოეწყოს
საგვირგვინოდ!...

ნაწყვეტი პოემიდან ბასილ კვეტენაძე

ეპილოგი

დაწერილია 1923 წლის 26 მაისს, თბილისში.

აღნიშნული პოემის მხოლოდ ორი ფრაგმენტია დაცული საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა არქივში _»ხელოვნება» და «ეპილოგი», (№ 6912 / 73) დანარჩენი ტექსტის ადგილსამყოფელი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. ვაქვეყნებთ ერთ-ერთ ფრაგმენტს:

(რედაქტორი).

ცამდი ავმართე მე ტაძარი უზარმაზარი,
რომლის სადარი სივრცე_განით ბევრი სად არი?
ღრუბლებს ეხვევა ბურუსიანს მისი გუმბათი.
დახატულია მის მშვენება, როგორც სურათი.
მას თავზე უვლის მზე და მთვარე თავ-თავის დროზე.
და შუქს აყენებს სახურავის ვერცხლ და ოქროზე.
ხუთი ბროლივით ჩამოსხმული სვეტი უდგია.
ხუთივ შეწონვით გამოწვრთნილსა ხელს მოურგია.
კობწიად არის თეთრ ღრუბლის ფრად გამოხვეწილი,
ჩამოსხმულია ვით სანთელი და გატკეცილი.
ფერად-ფერადი ფანჯრებიდან სინათლე ჩადის.
შიგ გამდგარია ნათლის შუქი ია და ვარდის.
იქ ტრაპეზია? მაზე სდგას, ვით ძვალი სპილოსი,
აღალმა(?) ტურფა, ბამბასავით მარმარილოსი.
ეს ღვთაებრივი ძეგლი არის არა სადარის
თვით ვენერასი, კლოტილდასი, ჩემი თამარის.
მისი ჭვრეტაა ამ შუქებზე ბედნიერება
და ითქმის განა ენით მისი მშვენიერება?
ბომონი უდგას წინ აღალმას, უშთობი ალი
ადის იქ, იმას არ ცილდება მედეას თვალი
და გამდგარია მთლად მიდამო სულნელებითა
მიდამო სავსე მყუდროების იდუმლებითა.
მე იქ ვარ, მუხლებ-მოყრილი ვარ ბომონის წინა,
გულმკვდარი, მუდამ ბრუდასხმული მშვენებისთვინა.
მე ვაღმერთებდი ცოცხლად ციურ ამ მშვენებასა
და ვადიდებდი უუმაღლეს არსის ნებასა,
რის სიყვარული ჩემი იყო ყოვლად ძლიერი,
ჩემი სიცოცხლე ბედნიერი და მშვენიერი.
ახლა გავმხდარვარ მე ქურუმი დაყუდებული,
ხელში მიჭირავს ოქროს ჩანგი აღუვლებული.
ეს ისევ ჩემი გული არის გული ტანჯული,
ზედ ძაფებია ჩემი გულის სიმად გაბმული.

აცახცახებულ თითებს გავკრავ და მას ვადიდებ,
ვისგანაც აზრსა და მიზანსა სიცოცხლის ვიღებ.
მშვენიერებას მე ვადიდებ რეალურს, მაღალს
და ხმებს ვუწყობ დავიწყებით სულ ახალ-ახალს.
გადის, გამოდის ხმა გუგუნის ტაძრის სივრცეში
და უბიწობის გრძნობებია იმ მაღალ ხმებში.
მაგრამ ეს ხმები უდაბნოში იფანტებიან
და თავის მიზანს უუდიდესს ვეღარ სწვდებიან.
მე-კი... თუმც წვერი და ულვაში გამთეთრებია.
გახმაურება მაინც არსით არ შემსწრებია_
და განვისვენებ ჩემი ხმებით დავიწყებაში,
შესული მარტოდ მარტოობის სულის ლხენაში.
სადა ხარ, ჩემო უბედურო ბედის ვარსკვლავო?!
ხმა ღაღადყოფის უდაბნოში, შე საცოდავო,
რა ამაგია, რა ღვაწლია და რა ვალია?
და, აგერ, კიღამ ჩემ შავ დღეთა დასავალია!
სამოცი წელი გადამევლო თავზე ქარიშხლით
და გამიმწარა მან სიცოცხლე მუდმივი ჭირხლით?
უკვე წამდგარი უმაღლესი არსის წინაშე,
მდაბლად გართხმული უიმედო ხმით მოგანგაშე,
ვეკითხები მას: სად აქვს ჩემს სულს, მაშ, გასავალი?
აღვასრულე მე ბედისწერით აღქმული ვალი?
მოვა თუ ვინმე ჩემს ტაძარში საძებრად შვების;
თაყვანსაცემად უუმაღლეს მშვენიერების?
მდუმარებაა_მხოლოდ ერთი კითხვის პასუხი
და პირზე მხვდება აუტანი სიბნელის სუსხი,
_აჰა, უფალო უხილავო და ზესთა ზეო,
შენ დამალულო საიდუმლოვ, მაგრამ კი მზეო,
შენ ფერხთ წინაშე ვსდებ სამუდმოდ ჩემს ოქროს ჩანგსა,
აქ შევსწყვეტ ჩემსა უნაყოფო ღვაწლს და ამაგსა,
ახალი ხმები აწ არავის შეაშფოთებენ
და, რაც ამოვსთქვი, თავისთავად კი აგოდებენ.
შესწყდენ ეს ხმები, ჩამივარდა საბრალოს ენა,
დასწყდა სიმები, გულის ძაფი, ეს გულის ტკენა,
დადუმდა გულიც და მე დავრჩი მხოლოდ არა-რა...
გაჰქრა ტაძარი... დავიწყებამ დამასამარა.

ახალშობილ ჩემ შვილიშვილს _დათუნას!

(ხელნაწერი მოგვაწოდა ს. გაჩეჩილაძის
შვილიშვილმა დავით ახრახაძემ).

თბილი შუქი მომაფრქვია იმედმა,
ჩემ სიბერის სულის მდგმელმა იმ ერთმა.
ერთხელ კიდევ გამითენდა მე დილა,

შვება გულზე ხავერდივით მემბილა.
და ვიხილე უკვდავების წყლის დენა:
ბედმა სულის ვარდი ამომიმცენა,
ბუყუჩელა, ზორბა, წმინდა დათუნა,
მის თვალების ბრიალმა შემაცხუნა,
შუბლის დაღი გამიტკეცა დაამდა,
ამაფრთოვნად ჭაღარაც გაშავდა,
და მუსიკა სულში ამიხმატკბილდა...
გული როკავს, გული გამიყმაწვილდა!

თბილისი. 1933 წ.

სიმონ გიორგის ძე გაჩეჩილაძე (ბელტიყლაპია)*
(სიმონ წეველი)
(1898_1981)
ცნობილი მწერალი, სატირიკოს-იუმორისტი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი...

(ცნობისათვის: ბ-ნი სიმონის ლექსების კრებულს გამოსაცემად ამზადებს მისი ვაჟი, ბ-ნი გიორგი გაჩეჩილაძე).*

სევდის ვარდი

მომეჩვენა, მივდიოდი, ვშორდებოდი მშობლის ნანას,
ვშორდებოდი ნაცნობ ადგილთ, ვშორდებოდი ჩემს ქვეყანას.
ვშორდებოდი სამუდამოდ წითელ ვარდებს, ცისფერ იას...
ამ დროს უცებ ცა გაიხსნა და შევხედე ცის ფერიას,
და შევსძახე: «ვინ, ვინ ახსნას, ვინ გაიგოს ჩემი დარდი?»
ხელი ვტაცე მე იმ ვარდსა, ტრფობით გულში ჩავიკონე,
და ზეციდან უხილავის ეს სიტყვები გავიგონე:
«ვარდი შენი სამშობლოა_სევდა მასზე დამჩნეული,
ცრემლებია შენი ერის შხამ-ნაღველად დანთხეული».
და მას შემდეგ ვარდის ლოცვებს როცა ვამბობ, როცა ვლექსავ,
ტანჯულ ერის სევდით ვქარგავ და მისსავე ცრემლში ვლესავ.

(გამოქვეყნებული აქვს 15 წლის ასაკში ჟურნ. «თეატრი და ცხოვრება»-ში, № 37. 1914წ. 16 ნოემბერი. გვ.7).

საღამოვდება

საღამოვდება, საღამოვდება.
ცა ბინდის ფერმა დანისლა უკვე
და ლამაზ სიკვდილს უახლოვდება

ჩემი ოცნება და სიჭაბუკე.
რა კარგი იყო ყრმობის ზღაპარი
ჭაბუკურ სულის ნაზი წამება
ისე მათრობდა ვით ველს ამბარი
და ვარდს ცვარ-ნამის გადანამება,
სადღაც, შორეთში მიჰქროდა სული
ჩემი ოცნების ცათა გადაღმა,
არც კი მეგონა მზე ამოსული
და ყვავილები უკვე გადახმა
ო, რა უდროოდ საღამოვდება!
ცა ბინდის ფერმა დანისლა უკვე
და ლამაზ სიკვდილს უახლოვდება
ჩემი ოცნება და სიჭაბუკე.

(ჟ.»ლომისი», 1922წ., №4).

მავრა

I ძიება

ვუხმობ შენს სახელს, ვეძებ შენს სახეს
შვებას გულისას, სულის ორეულს,
მივდევ შენს ლანდებს, გიწოდებ კვლავ ხელს,
გეტრფი, გაღმერთებ ძვირფას შორეულს.
დღე მეჩვენება ღამის სიზმარათ
და სიზმარეთი მგონია გლოვა,
ნეტავ შენს სულში მამყოფა, მავრა,
ნეტავ შენს გულთან დამაახლოვა.

II აგონია ბუხართან

ზამთრის ღამეში ავადმყოფი და შეუძლები
ბუხრის ნაპირთან მარტო ვზივარ მწუხარი სკამზე
და ჩემს სხეულში სათითაოდ სტირიან ძვლები,
სტირიან ძვლები შენს სიშორეს, ჩემო მზეთა-მზე.
ჩემს მარტოობას არ ეღირსა მზის ელვარება
და მდუმარ მინებს მხოლოდ არხევს ფრთაცივი ქარი;
იყო ზღაპარი: ყრმობა, შვება და შეყვარება
და ახლა მცივა: სიცოცხლის ცამ დახურა კარი.
ო, მავრა, მავრა! როგორც ზეცას ღრუბლის კავები
ისე მიბურავს მიმწუხრულ თვალს შენი ხსენება,
კვლავ მაგონდება სიჭაბუკის ნაიგავები:
შენთვის სიცოცხლე, შენთვის ყოფნა და განსვენება.
მე მცივა... ღვინო, ღვინო მალე! ღვინო მსახურო!

ო, რა მწუხარეთ, რა მწუხარეთ ზუზუნებს ქარი.
მე მცივა, გესმის!.. მცივა! კარი ისევ დახურეს!
იყო სიზმარი... ვარ სიზმარი, ქრება სიზმარი...

(«გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი», 1922წ. , №1).

ქარიშხალს

დაუბერე ქარიშხალო! მომაცილე სევდის რიდე!
ჭმუნვარებავ, შავო ფიქრო, განმეშორე, განმერიდე!
ყოფნის ტალღავ, ამქუხარდი! მე ავუშვებ ბრძოლის ნავსა
და თუ სადმე შთავინთქები, დავიღუპავ ჟინით თავსა,
მაშინ ცაო ლოცვას გეტყვი, რომ უფსკრული მითავაზე_
მე სიკვდილი მენატრება ბრძოლისა და ძებნის ზღვაზე!

(ჟ. «თეატრი და ცხოვრება», 1916 წ., №27, გვ.13).

კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*
(კონნე სპერელლი)
(1899-1977)
ისტორიკოსი, პოეტი,
მწერალი, პედაგოგი.

კ. გაჩეჩილაძის არქივის გამომზეურება რამდენიმე წელია დაიწყო მისმა შვილიშვილმა, ისტორიის მეცნ. კანდიდატმა_ მარინა ქადაგიძემ. «კ. გაჩეჩილაძე მრავალმხრივი ადამიანი იყო და მისი არქივიც მრავალფეროვანია. აქ არის: მოგონებები ტერენტი გრანელზე, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა _სათაურით _»სივრცეში დარჩენილი ფრაზები», ბ-ნი კონსტანტინეს ლექსები, მინიატურები, მოთხრობები, რომელთა ნაწილიც ამ ბოლო დროს იქნა დაბეჭდილი ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, ისტორიული ნაშრომები, რომლებიც თანდათან ქვეყნდება ისტორიულ კრებულებში» (მ.ქ.).

წინამდებარე წიგნში ვაქვეყნებთ მის ორ ლექსს, რომლებიც ქ-ნმა მ. ქადაგიძემ მოგვაწოდა:

მივდივარ მარტო

მივდივარ მარტო!
  გრძნობის ძახილი,
    ფიქრი არესი.
იქ ბალღები სიყვარულის გუბეში.
ძილნატეხი თვალები_
მოსეირნე ჭალები

დაეძებენ ქუჩაში
გუნებაზე არეულს.
ო, რძისფერი სურვილი
დასძლევს სურვილს ალეულს.
რომ დროის რკალში
რიცხვი ჰპოვებს რღვევის ნაპირებს
და საფლავიდან გამოსავალს მიცვალებული.

მივდივარ მარტო!
  გრძნობის ძახილი,
    ფიქრი არესი,
ეს სიკვდილია, თუ უარესი?
მე ასე ვიტყვი, რომ მე ძალზე მსურს
ის ყვავილები გაუშლელი და უალერსო,
რომ იმ მთის მკერდზე მიწვენილი
      ღრუბელი მართობს,
რომ
    მივდივარ მარტო!

1920-იანი წლები.

კლდეკარის გზაზე

გველივით დაკლაკნილი ვიწრო ბილიკი.
გუშაგებად ჩამწკრივებული ბებერი მუხები
და თვალშეუდგამ სიმაღლიდან გადმოვარდნილი
                    გლინავის ღელე.
ფრთხილი ნახტომი, ცქვიტი, მარდი,
თორემ იმ ნაპირს, როგორც ნუგეშს, ვერ ეღირსები...
                    გული ნანაობს...
დევის მწვანე თვალებით გიცქერიან ხავსიანი ლოდები...
რა თამამია და გულფიცხი ეგერ ის შაშვი:
ათი ნაბიჯის სიახლოვეც კი ეშორება...
აუწევია თავი მაღლა მას მედიდურად და,
მშვენიერების ხილვით მთვრალი გასძახის ღელეთს...
როგორც მეგზური მიგიძღვება წინ ხტუნვა-ხტუნვით
და შენს ზღვა განცდებს ტკბილ ჭახჭახით მიეფერება.
ხევის სიღრმეში შემალული იქით ბულბული
რა მონდომებით არაკრაკებს ზეციურ ჰანგებს.

მგზავრო, იჩრდილე იმ ხის ჩრდილი, იქ ჩაიმუხლე,
აივსე გული სიხარულით, ემთხვიე მიწას.
ვნებიან მზერით დაგეძებს მზე, მაგრამ ამაოდ:
ტევრის ფარდულში სად მოგწვდება ზვიადი ხედვა.

სიამით სავსე მიგაქვს გული კლდეკარის გზაზე...
მიდიხარ და თან მიგყვებიან მოგონებები.
წლებმა შეჭირხლეს თმა, გულს კი ვერ მოერიენ...
აქ ყველაფერი ცოცხალია, სუნთქავს და ფიქრობს...
გლინავის ხევში სხვა ზღაპრები იბადებიან.

დავით ალექსის ძე გაჩეჩილაძე (ღვირძლი) *

(1902_1974)

პოეტი, დრამატურგი, მთარგმნელი...

(დ. გაჩეჩილაძის ლექსები გადმობეჭდილია მისი ლექსების კრებულიდან_ «მხოლოდ რჩეული», «მერანი», თბ., 1976.

ყვავილების მიწა

მის ძახილზე თვალწინ ტყეა ლურჯი
და ცის კიდე სპილენძისფრად იწვის,
ცხელ ასფალტზე რომ ჩამოდებს ხურჯინს,
დგება სუნი სოკოსი და წიწვის.
ჩვენს ეზოში დღესაც შემოირწა:_
მიწა...
მიწა!
ყვავილების მიწა.
მის ძახილზე ცისფერ მთა-ბარს ვხედავ,
თრთის ბალახში სიო მოალერსე.
შევღონდები... სად მოთხარა ნეტავ,
ტაბახმელას თუ კრწანისის ველზე?
ო, რა მძიმე დარდი გააღვიძა...
მიწა!...
მიწა!...
ყვავილების მიწა.
არა, ძმებო, მე არ ვამბობ არაკს_
სად არ დაწყდნენ გმირნი ბრძოლის გზაზე!...
გლეხს ხურჯინით მათი ფერფლი დააქვს,
რომ არჩინოს ქვეყნის სილამაზე.
ამ მიწაში ნამიც ცრემლად ვიცან...
მიწა!...
მიწა!...
ყვავილების მიწა.
და ეს მიწა თუ არ შეჰყვა სიტყვას,
თუ არ ბრუნავს შიგ სამშობლოს ნისლი,
სიყვარული მასში სულს ვერ ითქვამს,

არც ითქმება ჰანგი მარადისი...
მას ქართველმა თვით სიცოცხლე მისცა...
მიწა!...
მიწა!...
ყვავილების მიწა.
მე კი, ძმებო,
სხვა სიმდიდრე რა მაქვს,
მეტი რა მაქვს წრფელი გულის გარდა...
ყველგან თქვენი სიყვარული დამაქვს,
ეს ცა,
მიწა ისე შემიყვარდა
და ნაღვლიან ჩემს სიმღერად იქცა,
მიწა!...
მიწა!...
ყვავილების მიწა.

სალამური

მცხეთაში ერთ სამარხში ნახეს
მწყემსი ბიჭის თავისქალა და სალმური.

ჰეი, ფრთხილად! ფერფლს ფეხი არ დააბიჯოთ...
გამარჯობა, შენ, მცხეთელო მწყემსის ბიჭო!
ქვის კუბოში მზე ჩადგა და აღარ ბნელა.
სიჩუმეა, თავს დაგნათის ზეცა ლურჯი,
და ვგრძნობ, თითქოს დაფუსფუსებს სალამურში
შენი სევდა, ჩუმად, როგორც ჭიანჭველა.
განა მართლა მწყემსი იყავ თმახუჭუჭა...
ახმიანდი ქართლის მიწა ერთი მუჭა,
დასძარ სიო და შთაბერე სალამურს...
და კომბალით კვლავ გაივლის ლანდი შენი,
და კვლავ შრიალს დაიწყებენ ხევში ხენი,
სად შენს ნახირს მტკვრის ელვარე წყალი უსვამს.
შთაჰბერე და შემოსილი ვეფხვის ქურქით,
ხელმოჩრდილვით ცას გახედავს ასპარუგი,
აღსდგებიან ძველ ციხეთა ნანგრევები...
შორს დარეკავს ზანზალაკი ქარავანთა
და დაისით შეწითლებულ გალავანთან
ღრუბლებივით თავს ასწევენ აქლემები...
ამთქნარებენ, აქ თავდება მიწა იქნებ...
მთის მაღლობზე ელვასავით ხმალს რომ იქნევს,
არმაზია წმინდა კვამლით შენისლული
აი, მცხეთა, ქართლის ფუძე, ქართლის დედა...
რას მოსთქვამდა მის ხავსიან მკლავზე ნეტავ

ჩქარი მტკვრისა თუ მშფოთვარე ქართვლის სული?
ან შენ, ბიჭო, სად ვიდოდი ჩუმ ოცნებით?...
სად შემოგხვდნენ მტრის მრისხანე შუბოსნები?
აქ ხომ ყველგან მებრძოლ გმირთა ნაღმუვლია...
ცა მცხეთისა რამდენ ისარს გაუბზარავს,
იმ ღრეებზე მიხეთქებულ რამდენ ფარას,
ზღვის ქაფიან ზვირთებივით გადუვლია...
ხომ იბრძოდი, ხომ გიყვარდა ქართლის ზეცა...
აბჯრის ნაცვლად შენ სინათლე ტანზე გეცვა,
მზის სხივები, გადმოსული ლაჟვარდ ციდან...
შენ კვდებოდი და წყვდიადში ლოცვის ხმებით,
გულცივ არმაზს მოქანცული ქურუმები,
გარს უვლიდნენ ჩირაღდნების ბარბაცითა.
შენ კვდებოდი და ბალახში დანამული,
იქნებ ძაღლმა მოგიტანა სალამური,
თვალწინ დაჯდა მოწყენილი ღამის ბინდად;
რომ შთაბერე, კვლავ აინთო ზეცა ლურჯი
და ტკივილით ათრთოლებულ სალამურში
უცოდველი შენი სული ამოფრინდა.
ამოფრინდა და ბუჩქნარში ჩიტის ხმებთან,
ვარდისფერმა განთიადმა შეიერთა...
ჰო, ეს მოხდა უთვალავი წლების წინათ...
მაგრამ, ბიჭო, შენს სიწმინდეს შეუბღალავს,
იმ შენ გრძნობებს, ვით თოვლის ქვეშ მინდვრის ბალახს,
აქ მახლობლად უსათუოდ სადმე სძინავს.

ძველი პოეტის ეპიტაფია

განგებამ განძად მომცა
სტრიქონში რიჟრაჟის ფეთქვა._
რომ თქვენზე მეთქვა ლოცვა,
ქვეყნის სიყვარული მეთქვა.
    მაგრამ დავდუმდი, რადგან
    მარგალიტს არჩიეს ქვიშა.
    თავს მიწის ბორცვი მადგას.
    აწ ჩემი არყოფნის ნიშნად.
დამმარხეს მეგობრებმა,
იწვოდა დაისის ქარვა.
საფლავთან მითხრეს ქება
და ისიც წაიღო ქარმა.

რარიგ სხვა იყო

რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...

განცდა თოფდაკრულ ხარირემივით
გამექცა, ქაღალდს გადარბენილი,
სისხლიღა დარჩა ჩამონაწვეთი...
        რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
        მე მზის ამოსვლა მსურდა სიტყვაში,
        მაგრამ კალმის ქვეშ ჩაქრა რიჟრაჟი
        ვერ გამოვხატე მეათასედი...
რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
აპრილის რტოთა უმანკოებით,
სულში ჰყვაოდნენ ეს სტრიქონები
ოცნების შუქზე მიმონარწევნი...
        და რომ დავწერე... და რომ მივენდე
        ქაღალდს თუ თოვლსა ახალმოთოვილს,
        არც ცვარი შერჩათ და არც ფოთოლი...
        ვერ შევუნახე ლექსებს სინედლე...

ეჰ, სულ სხვა იყო სანამ დავწერდი...

შაქრო (ზაქარია) სიმონის ძე ჯაჭვაძე *

1908_1972.

ეკონომისტი, პედაგოგი, პოეტი,
საზოგადო მოღვაწე.

(შ. ჯაჭვაძის ლექსები გადმობეჭდილია მისი ლექსების კრებულიდან_ «მე სხვა არაფერი მინდა...», «გულანი», თბ., 1996).

მე სხვა არაფერი მინდა

შროშანივით ვიყო წმინდა,
დურაჯი მხარს დამაფრინდეს,
თავზე მანანა დამდინდეს...
მე სხვა არაფერი მინდა!
        სიმართლის გზა დამეწინდოს,
        როგორც მწვანე აბიბინეს,
        დანარჩენი მიჩანს ბინდად;
        მე სხვა არაფერი მინდა!
სიო მოქრის სპეტაკ მთიდან,
წყალი მოყეფს ხეობიდან;
მზე ვარდისფრად ამობრწყინდა.
მე სხვა არაფერი მინდა!
        ცრემლი ვჟურე როგორც ციდან,
        ზოგჯერ სევდა გრძნობებს ფხვნიდა;
        ენდრო ტუჩებს მიკოცნიდეს,
        მე სხვა არაფერი მინდა!

კვიპაროსი

კვიპაროსი კრთის, კანკალებს,
ჩრდილში წიწვებს ათამაშებს.
ტანკენარი ცაში ადის
და ერხევა ტანი ბადის.
მწვანე ფერი ლურჯთან მიდის,
აი, მცხეთა, ქართლის ფუძე, ქართლის დედა...
რას მოსთქვამდა მის ხავსიან მკლავზე ნეტავ
ჩქარი მტკვრისა თუ მშფოთვარე ქართვლის სული?
ან შენ, ბიჭო, სად ვიდოდი ჩუმ ოცნებით?...
სად შემოგხვდნენ მტრის მრისხანე შუბოსნები?
აქ ხომ ყველგან მებრძოლ გმირთა ნაღმუვლია...
ცა მცხეთისა რამდენ ისარს გაუბზარავს,
იმ ღრეებზე მიხეთქებულ რამდენ ფარას,
ზღვის ქაფიან ზვირთებივით გადუვლია...
ხომ იბრძოდი, ხომ გიყვარდა ქართლის ზეცა...
აბჯრის ნაცვლად შენ სინათლე ტანზე გეცვა,
მზის სხივები, გადმოსული ლაჟვარდ ციდან...
შენ კვდებოდი და წყვდიადში ლოცვის ხმებით,
გულცივ არმაზს მოქანცული ქურუმები,
გარს უვლიდნენ ჩირაღდნების ბარბაცითა.
შენ კვდებოდი და ბალახში დანამული,
იქნებ ძაღლმა მოგიტანა სალამური,
თვალწინ დაჯდა მოწყენილი ღამის ბინდად;
რომ შთაბერე, კვლავ აინთო ზეცა ლურჯი
და ტკივილით ათრთოლებულ სალამურში
უცოდველი შენი სული ამოფრინდა.
ამოფრინდა და ბუჩქნარში ჩიტის ხმებთან,
ვარდისფერმა განთიადმა შეიერთა...
ჰო, ეს მოხდა უთვალავი წლების წინათ...
მაგრამ, ბიჭო, შენს სიწმინდეს შეუბღალავს,
იმ შენ გრძნობებს, ვით თოვლის ქვეშ მინდვრის ბალახს,
აქ მახლობლად უსათუოდ სადმე სძინავს.

ძველი პოეტის ეპიტაფია

განგებამ განძად მომცა
სტრიქონში რიჟრაჟის ფეთქვა._
რომ თქვენზე მეთქვა ლოცვა,
ქვეყნის სიყვარული მეთქვა.
მაგრამ დავდუმდი, რადგან

მარგალიტს არჩიეს ქვიშა.
თავს მიწის ბორცვი მადგას.
აწ ჩემი არყოფნის ნიშნად.
დამმარხეს მეგობრებმა,
იწვოდა დაისის ქარვა.
საფლავთან მითხრეს ქება
და ისიც წაიღო ქარმა.

რარიგ სხვა იყო

რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
განცდა თოფდაკრულ ხარირემივით
გამექცა, ქაღალდს გადარბენილი,
სისხლიღა დარჩა ჩამონაწვეთი...
რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
მე მზის ამოსვლა მსურდა სიტყვაში,
მაგრამ კალმის ქვეშ ჩაქრა რიჟრაჟი
ვერ გამოვხატე მეათასედი...
რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
აპრილის რტოთა უმანკოებით,
სულში ჰყვაოდნენ ეს სტრიქონები
ოცნების შუქზე მიმონარწევნი...
და რომ დავწერე... და რომ მივენდე
ქაღალდს თუ თოვლსა ახალმოთოვილს,
არც ცვარი შერჩათ და არც ფოთოლი...
ვერ შევუნახე ლექსებს სინედლე...

ეჰ, სულ სხვა იყო სანამ დავწერდი...

შაქრო (ზაქარია) სიმონის ძე ჯაჭვაძე *

1908_1972.
ეკონომისტი, პედაგოგი, პოეტი,
საზოგადო მოღვაწე.

(შ. ჯაჭვაძის ლექსები გადმობეჭდილია მისი ლექსების კრებულიდან_ «მე სხვა არაფერი მინდა...», «გულანი», თბ., 1996).

მე სხვა არაფერი მინდა

შროშანივით ვიყო წმინდა,
დურაჯი მხარს დამაფრინდეს,

თავზე მანანა დამდინდეს...
მე სხვა არაფერი მინდა!
სიმართლის გზა დამეწინდოს,
როგორც მწვანე აბიბინეს,
დანარჩენი მიჩანს ბინდად;
მე სხვა არაფერი მინდა!
სიო მოქრის სპეტაკ მთიდან,
წყალი მოყეფს ხეობიდან;
მზე ვარდისფრად ამობრწყინდა.
მე სხვა არაფერი მინდა!
ცრემლი ვჟურე როგორც ციდან,
ზოგჯერ სევდა გრძნობებს ფხვნიდა;
ენდრო ტუჩებს მიკოცნიდეს,
მე სხვა არაფერი მინდა!

კვიპაროსი

კვიპაროსი კრთის, კანკალებს,
ჩრდილში წიწვებს ათამაშებს.
ტანკენარი ცაში ადის
და ერხევა ტანი ბადის.
მწვანე ფერი ლურჯთან მიდის,
შენ გგონია სიცოცხლის ფასს
ვერ ვგებულობ განა მეო?
ამ დროს ვირიც გაჩნდა ღმერთთან,
აყროყინდა უბედური:
_რა ცოდვა მაქვს ღმერთო შენთან.
რად გამხადე უბედური.
ორმოცდაათ წელს ვიცოცხლო
სახრისა და კურტნის ქვეშო?...
მადლს მოგიძღვნი, თუ ბედს მწევ
და შემიმცირებ სიცოცხლესო!
განაწყენდა თურმე ღმერთი,
რაღაც, შუბლი გაიკურთხა
და ვირის წილ სიცოცხლიდან,
ოცდახუთი კაცს აკუთვნა.
სიცოცხლისგან გაუმაძღარ
კაცმა ესეც არ იკმარა,
არ მოშორდა ქვეყნის შემქმნელს
და განაგრძო კვლავ მუდარა.
სად იყო და სად არ იყო,
მაიმუნიც გაჩნდა მყისვე
და ამდენი მომჩივნებით
ღმერთს წაერთვა სიხალისე.
_შენ რაღა გსურს? ჰკითხა ღმერთმა,

არც შენა ხარ კმაყოფილი?
_თუკი ვირის სიცოცხლის დრო
თქვენგან არის გაყოფილი,
მე რას მერჩით, ას წელიწადს
მანჭვა-გრეხით რად ვიარო?
ხალხი ჩემზე იცინოდეს?...
მეც მინდა რომ ვიუარო!
გულმოსულმა ღმერთმა, თურმე,
არც მაიმუნს უთხრა რამე
და ორმოცდაათი წლითაც
კვლავ უძღები გაახარა.
ადამიანს ასი წელი
მოუგროვდა სიცოცხლისთვის,
რად უნდოდა იმ საცოდავს?!
მაგრამ აი, თურმე რისთვის:
ოცდახუთ წელს უდარდელად
იცხოვროს და დრო ატაროს,
მერე ვირის ოცდახუთი
მისებრ შრომით გაატაროს.
ორმოცდაათს მიღწეულმა
ხელსაბიჯი დაიკავოს,
თვალს სათვალეც გაიკეთოს,
რომ სინათლე ვერ იკმაროს.
კბილნაცვენი აჩიფჩიფდეს,
წელში გატყდეს მოიხაროს,
ყურთასმენა შემოაკლდეს
და ხელ-ფეხი ვერ იხმაროს!
გულით სურდეს, ვეღარ შეძლოს
ლხინში-ლხინი, ჭირში-ჭირი,
ერთდროს სხვისი დამცინავი,
თვითონ გახდეს დასაცინი.
_მიხვდი ახლა, მე ეს ჯოხი
მოდად მაქვს თუ გასაჭირად?
შენ რა გიჭირს, _მითხრა ბოლოს,
ჯერ ითვლები ალბათ «ვირად».
ამ სათვალით და ამ ჯოხით,
გამიხსენე, მომიგონე,
როცა გახდე «მაიმუნი»
და წაგერთვას მუხლში ღონე.
ეს მითხრა და მეგობარმა
გზა განაგრძო ყავარჯენით,
ეტყობოდა არ მოსწონდა
მას სიცოცხლის განაჩენი.

მაგრამ უმიწოდ

ფრთებზე თუნდ ოქროს წყალი წაუსვი,
თუ ფეხს შეუკრავ ბულბულს მგალობელს,
ნუღარ დაძრახავ უვნებელ ფრინველს,
განაწამები თუ ვერ გალობდეს.
        სურნელოვან ვარდს მიწაში ჩარგულს,
        თუ ამოვგლიჯავთ მიწიდან მაღლა,
        ნუ გავიკვირვებთ ფოთოლთა ჭკნობას,
        ან თავს რატომ ხრის ყვავილი დაბლა.
თუ არას ვაჭმევთ ძროხას ჯიშიანს,
და დიდ საწველეს მიუდგამ რძისთვის,
რომ ვერ აგივსოს ეს საწველელი,
დასაძრახისი არ არის მისთვის.
        თავისუფლება მიეცით ფრინველს,
        ღვთის ნაბოძვარი, უნაკლო, სრული,
        და ვარდზე მჯდომი, ეკლიან ვარდზე,
        ნახეთ რა ხმისა გახდეს ბულბული.
მიწაში ფესვი გაადგმევინე,
ვარდსა და იას ნაირფერებას,
და სურნელება ნახეთ იმისი
ყნოსვის დროს როგორ მოგეფერება.
        ძროხას მიეცი საკვები მსუყე,
        ნახეთ ჯიქანი როგორ აევსოს!
        მერმე, მიუდგი მას საწველელი,
        რომ რძის სიუხვით გაგახალისოს.
არც ბულბული ვარ, არცა ყვავილი,
და არც მეწველი რამ საქონელი,
მაგრამ უმიწოდ... სიცოცხლეს, სიკვდილს
ვერც მე შევიძლებ, როგორც ყოველი.

დედაენას

ასი წლის წიგნო, «დედაენავ»_დედისებრ ტკბილო,
დედისებრ თბილო, სიბრძნით სავსევ და გულკეთილო,
ასი წლის წიგნო, «დედაენავ»_ ერის სინათლევ,
ყველა ქართული წიგნისაკენ გზას რომ გვინათებ,
«ვეფხისტყაოსნის” გარდა, აბა, რას შეგადარო,
ქართულ წიგნების გზის მნათობო, მთავარსარდალო!

მჯერა, არასდროს გახუნდება შენი ფურცლები,
არ დაბერდება შენი სიბრძნის ფრთაგაშლილობა;
სანამ იქნება ამ დალოცვილ საქართველოში,
დედაქალაქი, დედამიწა, დედაშვილობა;
წიგნად კი არა, საოცრებად დაბადებულხარ,

და შენი მშობლის _ იაკობის ძეგლად ქცეულხარ!

ხალხი

ხალხი ფესვია ჩვენი ცხოვრების,
ყოველ სიკეთეს ქვეყნად ჰქმნის ხალხი,
ხალხი ფერებშიც კარგად ერკვევა,
იცის წითელი, თეთრი თუ თალხი.
ხალხი ხან ზღვაა, ბობოქარქმნილი,
ქარიშხალივით ჰგლეჯავს და ანგრევს,
ხან მოწმენდილი, ლურჯი ცა არის
და გულმოდგინედ აშენებს ნანგრევს.
ხალხი შეჰხარის მზესა და მთვარეს,
იმის სითბოს და იმის სინათლეს,
ხალხმა თუ ვერ თქვა გულში ნადები,
ზღაპრებში აქსოვს თავის სიმართლეს!
რა არის ქვეყნად, რომ ვერ შენიშნოს,
ხალხის ყურმა და ხალხის თვალებმა.
ურჩხული თუ გინდ ჩაძვრეს ქვესკნელში,
ხალხის თვალს ვერსად დაემალება.
იქნება ვინმემ გაქოს ან გლანძღოს,
ფუჭად გარგუნოს რამ განდიდება,
ხალხი ჩამოხდის რიდეს ავს და კარგს,
ხალხი არავის მოეფლიდება.

მატათე (მათე) ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)*
1922_2001
ადვოკატი, მწერალი.

(ბ-ნი მათეს ნაწარმოებები მოგვაწოდა მისმა დისშვილმა გოჩა არონიშიძემ)

ლომი სამხეცეში

სამხეცეში, გალიაზე,
ლომს წარწერა ამშვენებდა:
«ათ ფუთ ხორცს სჭამს ერთ ჭამაზე,
ცოტა ნაკლებს არ სჯერდება».
ერთმა ჰკითხა მხეცთა მეფეს:_
ნუთუ მართლა შენ სჭამ ამდენს?_
უპასუხა:_ ჭამით, შევჭამ,
მაგრამ, ძმაო, მე ვინ მაძლევს!..

მებაღე და გამვლელი

ბაღში ნანატრი ხარობდა ვაშლი
მერე რა ვაშლი, ოქრო, შაქარა!
ერთმა გამვლელმა სთქვა: _ამ კარგ ბაღში
ამ ხეს რა უნდა, როგორ გამხმარა!?
მებაღემ უთხრა: _ ჭირმა წაგიღოს!
კოჭებზე გატყობ, ვხედავ ვინცა ხარ!
კაცმა რომ ბროლის კოშკი აგიგოს,
როცა არ გინდა, ვერ დაინახავ!

ციყვი და ზღარბი

ერთხელ სტუმრად ციყვს ეწვია,
ზღარბი ენა მოქარგული:
_ჩემო ციყვო, ციყვუნია,
კეთილი გაქვს მეტად გული.
ერთი მუჭა ხმელი თხილი
გაიმეტე, ოქროს ცალო.
ციყვმა უთხრა: _ შემობრძანდი,
ჩემი თავი გენაცვალოს!
შენთვის რამეს დავიშურებ?
მკვიდრ ძმაშიაც კი არ გარჩევ.
თუ ტყუილი შემოგკადრო,
ყველაფერი ოხრად დამრჩეს.
შენც გეყოფა, მეც მეყოფა,
ზამთრის შიმშილს გადაგვარჩენს.
_შეეშველა მასპინძელი
სტუმარს გოდრის აწევაში.
თან საგზალიც გაატანა,
_მოგშივდება ვიცი გზაში.
მიდის ზღარბი, გოდრით მხარზე,
გადიარა ლანძღვით ყანა_
რისთვის გაჩნდა ქვეყანაზე
ციყვი, ძუნწი ამისთანა?!
ტფუი! ღმერთმა შეაჩვენოს,
სად ინახავს ამდენ მარაგს?
გოდორი რომ არ გამივსო,
მეტი თხილი განა არ აქვს?!
დამერწმუნეთ ჩვენშიც გვხვდება,
ზღარბის მსგავსი, უმადური.
სწორედ იმ კაცს გამოთათხავს,

ვინც გაუყო ლუკმა პური.

ჟურნ. «საქართველოს ბუნება», 1978 წ. № 4, გვ. 24.

ვირი და ყვავი

ვირმა ყვავს უთხრა: _ დაიკო,
ნუთუ მართლა ვარ ვირიო?
ქვეყანამ მინდა გაიგოს,
რომ უქმად არა ვყვირიო!
გზად მივჩაკჩაკებ, ალალად,
ხალხი სიცილით წყდებაო.
ვირს მეძახიან აშკარად,
მოდი, ნუ გეწყინებაო!
ყველა მექცევა უტიფრად,
აღარ მიშვებენ თბილისშიც.
ყველა ოხერს და გაუთლელს,
ხალხი ეძახის ვირიშვილს.
მირტყამენ თანაც ამბობენ:
_აიტანს, ეს ხომ ვირია!
_დიდყურა მობრძანდებაო,
ჩემ გასაგონად ყვირიან!
ეს ყურები რომ არ მქონდეს,
ასე უშნო და გრძელიო,
მაშინ კი მომელხინება,
ბევრი ახალი წელიო.
ყვავმა შეჰკადრა:_ ნუ მიწყენ,
თუ ძმურად გაგეხუმრები:
ჭკუით გიცნობენ, შე ვირო,
რა შუაშია ყურები!

შოთა ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე (ბღოჭიალა)*
1924_1999
ინჟინერ-მექანიკოსი.

მაგრამ, არ ვჯავრობ!..

დროთა მსვლელობამ ჩამაჯინა მოხუცთა გემში,
გემში, რომელიც უსასრულო სივრცეში მიჰქრის...
უკან დამირჩნენ სიჭაბუკის დღეები ტკბილი,
თავში გროვდება უიმედო გორები ფიქრის.
გემი კი მიჰქრის...
არსად არ აქვს მას გაჩერება,

მის უკან რჩება კვალი ჩემი ნამოღვაწარი.
თუმცა მცირეა, მაინც ამჩნევს კაცისა თვალი.
რა ვქნა, ვერ შევძელ, რომ ამეგო დიდი ტაძარი...
გემი კი მიჰქრის...
არსად არ აქვს მას გაჩერება...
უქმად რას დგეხარ, გაანძრიე ეგ შენი ხელი,
ცოტას რომ ცოტა დაუმატო, ხომ გახდა ბევრი,
ხეს რომ ხეები დაუმატო, ხომ გახდა ტევრი...
გემი კი მიჰქრის...
უიმედოდ გავცქერი სივრცეს...
რას იზამ, აღარ დაბრუნდება ტკბილი წარსული,
მაგრამ არ ვჯავრობ, თუ მაშორებს ნაპირებს გემი
ნაპირზე რჩება ჩემი ძე და ჩემი ასული!

ვიცი, რომ ჩემი შენ არ გახდები

ვიცი, რომ ჩემი შენ არ გახდები
ამისთვის ვჯავრობ, ძლიერ ვღონდები,
მაგრამ ვჯიუტობ, იმედს არ ვკარგავ,
ბაღში შევალ და იქ გელოდები.
ცხოვრების ტვირთით წელში მოხრილი,
როცა შენ გხედავ მაშინ ვსწორდები,
მაშინ მიტაცებს ოცნება ტკბილი,
ბაღში შევალ და იქ გელოდები.
მე ხომ სიმღერა შენით ვისწავლე,
არ მინდა თარი, არცა ნოტები.
შენ რომ გიცქერი ტკბილად ვღიღინებ,
ბაღში შევალ და იქ გელოდები.
მე ხომ ღვინის სმა შენით დავიწყე,
შენ გენაცვალოს ქვეყნის ლოთები.
ღვინოს რომ დავლევ გმირად ვიქცევი,
ბაღში შევალ და იქ გელოდები.
როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?
ბოლოს და ბოლოს ხომ გათხოვდები...
მაშინ რად მინდა მე ეს სიცოცხლე?
უნდა დავიდო გულზე ლოდები.
განა სიკვდილის მე მეშინია?
მის მოლოდინში მე არ ვღონდები.
თუ შენი ტრფობით დავიფერფლები,
ვიცი, იმ ქვეყნად მარად ვცხონდები.

თუ არ გვამშვენებს შთამომავლობა

შენი მშვენება მაცდურ ბადეს ჰგავს,
შიგ ებმებიან ბრიყვნიც, მგოსანნიც,
ბევრს მოუწამლე საწუთროება,
შენ კი არავინ გყავს საფიცარი.
ყალმით დახატულ სურათსა ჰგევხარ,
ყველას რომ მოსწონს და არვის ათბობს.
ვინ დასდო ფასი ლალისფერ ღვინოს,
თუ უხვად სვამენ და არვის ათრობს.
დრო კი მიდის, დროს ვინ შეაჩერებს,
მშვენება შენი მალე დაჭკნება.
ნერგი არ გინდა რომ გაახარო?
ვინ მოიგონოს შენი მშვენება?
აბა, რა არის ჩვენი ცხოვრება,
თუ არ გვამშვენებს შთამომავლობა.

ღამე მარაბდის ველზე

მზე სამხრეთის მთებს ამოეფარა,
მარაბდის ველზე ჩრდილი დაეცა,
არ დააყოვნა ღამის სიბნელემ
და ვარსკვლავებით აივსო ზეცა.
ამბობენ ამ დროს მარაბდის ველზე
გმირთა აჩრდილნი იკრიბებიან,
არის ბაასი საქართველოზე,
განთიადისას სწრაფად ქრებიან.
თუ დაგინახეს, გეკითხებიან:
_სად არის შენი ხმალი, აბჯარი?
რით მოიხადე სამშობლოს ვალი,
თუ არ მოგიკლავს მტერი, დუშმანი?
ყურს ჩაგჩურჩულებს აჩრდილი დედის,
ხერხეულიძე ჩხრა ძმის მშობელის:
_რატომ არ მბაძავს ქართველი ქალი?
მათ დაივიწყეს მარაბდის ველი?
ცხრა ვაჟი ვზარდე სამშობლოსათვის,
ერთ დღეს დაეცნენ ბრძოლის ველზედა.
ცხრა ძარღვი ჩაწყდა მაშინ ჩემს გულში,
მაგრამ რა მეთქმის მე მათ ბედზედა!
სანამ არსებობს ქართული მიწა,
სანამ არსებობს მარაბდის ველი,
მათ გმირობასა, გაუგონარსა
არ დაივიწყებს ქართველი ერი!
გაგძნელებიათ შვილის გაჩენა,

გაგიღებიათ სახე, ხელები,
ოქროთი, ვერცხლით იუდაც შეცდა,
ქრისტეს გამცემი ისკარიოტელი...
ერის ნუგეში, ერის სინდისი
მუდამ ყოფილა დედა-მშობელი.
რა დედა წახდეს, ერიც დაეცეს,
მიწას გასწორდეს მისი ყოველი.
ნუთუ, დასრულდა აწ ყოველივე,
არ გვინდა გმირი, მფარველი ღმერთი?
ნუთუ ჩვენს მიწას შემოუერთდა
ჩვენი შავშეთი, ტაო-კლარჯეთი?!
ყურს ჩაგვჩურჩულებს აჩრდილი გმირთა,
ყურს ჩაგვჩურჩულებს დიდი თამარი,
თქვენ თუ დაეცით და გადაგვარდით,
ვინ დაარწიოს ერის აკვანი?

ზესტაფონში ქალი ვნახე

ზესტაფონში ქალი ვნახე,
შორაპანში მიდიოდა.
მას ისეთი კაბა ეცვა,
შიგ სინათლე გადიოდა.
მისი კოხტა თეძოები
ზემოთ-ქვემოთ დადიოდა.
მიმიხვდა, რომ მას ვუმზერდი,
ცოტა ზედმეტს სჩადიოდა.
შავთვალება ქალი იყო,
თეთრლოყება, ხალიანი,
ის წავიდა, მე კი დავრჩი
გულმოკლული, ჯავრიანი.

ვედრება

(1990-იანი წლები)

მაღალო ღმერთო, შენ გამაჩინე,
რომ გამაჩინე, ეს რა მაჩვენე?!
ჩემი სამშობლო ქვეყნად რჩეული,
ჩემ მოძმეთაგან ნაცრად ქცეული!
ეს რად მაჩვენე, ეს რად მაჩვენე?!...
მაღალო ღმერთო რად გამაჩინე,
თუ გამაჩინე, ეს რა მაჩვენე?! _
ყველა ცბიერი, ყველა ორგული,
ყველა სკამისთვის გადარეული!...

მტრის არამცნობი, მოძმის დამგმობი,
ყველა კუჭისთვის გამხეცებული!
ეს რად მაჩვენე, ეს რად მაჩვენე?!...
მაღალო ღმერთო, შენ გამაჩინე,
თუ გამაჩინე ეს რა მაჩვენე?!
ამდენი მტერი ჩვენ არ გვყოლია,
რამდენი მოძმეც მტრად გაგვხვდომია!
აღარ ღიღინებს გუთნისა დედა,
მხოლოდ სიკვდილის ტრიალებს ცელი!
ისმის ტირილი, ისმის გოდება,
აღარ ჩერდება ბოროტის ხელი!
მაღალო ღმერთო, თუ გამაჩინე,
ერთი თხოვნა მაქვს და ეს მისმინე:
ამდენ უგნურებს მიეცი გონი,
ჩემი სამშობლო გადამირჩინე!

ქეთევან ივანეს ას. გაჩეჩილაძე (ლობიო)
დ.1934წ.
ფილოლოგი, ბიბლიოთეკარი.
(თბილისი).

ევას!

ადამ და ევას ჟამიდან
ვინც მოვიდა და... წავიდა,
შენ გსაყვედურობს სულსწრაფვას,
ადამ და ევას ჟამიდან.
პირველად ნახე სიტკბო და
გემო აკრძალულ ხილისა,
ტაბუდადებულს ახსენი
ხელუხლებლობის თილისმა.
და დააწესე პირველმა
ცოდვა, მადლი და სასჯელი,
მის მერე ყველა შენა გსჯის
ცოდვილიც და განსასჯელიც.
შენ გაბრალებენ თვის ცოდვებს:
_»ის რომ არაო... ისაო...
ჩვენ გვექნებოდა სამოთხე
მონიჭებული ღვთისაო».
_არავინ იცის, ის ხილი
ლეღვი იყო თუ ატამი,
მაგრამ, ის სუყველამ იცის,
რომ შენ აცდუნე ადამი.
გველი? რის გველი?

ეშმაკი? – შეუცნობელის შეცნობა?
ნეტავ რა გრძნობამ, რა ძალამ,
რა ხიბლ-ოცნებამ გაცდუნა?
_აკრძალულ ხილის გემოა
საოცნებო და თან ტკბილი,
თუ არ იგემე, რა არის
ხილის ხიბლი და თვით ხილი?
შენ რომ არ შემცდარიყავი,
სხვას ვიხილავდით განდევნილს,
და მჯერა, მჯერა, არ ისე
დიდხანს გასტანდა ედემი.
ევა გიწოდა ადამმა,
რაც ნიშნავს, თურმე, «ცხოვრებას”,
მაშ, ცოდვად რატომ გეთვლება
ხილისგან სიამოვნება?
ხე კეთილის და ბოროტის,
ხილი ღვთის მიერ ნაკრძალი,
მას შემდეგ, რაც შენ იგემე,
არ ეკრძალება არავის.
ცოდვილი ხარ თუ მსხვერპლი ხარ,
კაცის ნეკნი თუ ძვალი ხარ,
გულს ნუ გაიტეხ, ხომ იცი,
მაინც პირველი ქალი ხარ!

1957 წ.

არ მსურს

გავიდა წლები და ყველაფერი
ჩაბარდა წარსულს.
ობლად დარჩენილს, გაპარტახებულს
რა ვუყო ამ სულს?
რაც განვიცადე, უკან დაბრუნდეს?
უფალმა ნუ ჰქნას,
არ მინდა,
არ მსურს!
პატივისცემით მოვიხსენიებ
ცხოვრებას წასულს.
წასული რომ არის,
პატივს და თაყვანს
მიტომ ვცემ წარსულს,
თორემ, მეორედ როგორ გავუძლოთ
განცდებს ღალატის, უმადურობის,
მარტოობის თუ უსუსურობის,
წამების, ჯვარცმის,
პირის გატეხვას უპირო კაცის,

ძლიერების თუ ცრემლის მდინარის,
ტანჯულ თვალთაგან გადმომდინარის.
პატივისცემით მოვიხსენიებ
ცხოვრებას წასულს,
მაგრამ, დაბრუნდეს და განმეორდეს?
უფალმა ნუ ჰქნას!
არ მინდა,
    არ მსურს!

2002 წ.

რატომ გეცინება?

რატომ გეღიმება ჩემს სიბერეზე,
განა მე ბებერი დავიბადე?
ახალშობილი ოთხი კილო ვიყავ,
ცამეტი წლისა გავიბადრე.
მეც კარგ გოგონად ვითვლებოდი,
სურათებშიც ხომ ჩავიხატე?
ნუ გიკვირს ჩემი ნაოჭები,
მეც შენსავით პატარა დავიბადე.
ახლა კი – დავჭკნი, დავჩამიჩდი,
მიწევს აბების ყლაპვა,
ღმერთმა ნუ მოგვკლას ახალგაზრდად!
უნდა დავბერდეთ, აბა!?
დრო იყო ჩემს ტოლებს
ბევრსაც ვჯობნიდი,
მხატავდა ახალი კაბა,
მერწმუნე, _
სწრაფია წელთა სრბოლა,
ძალიან სწრაფი,
შენც დაბერდები, აბა!?

2003 წ.

ლია ვარლამის ას. გაჩეჩილაძე *

დ. 1936 წ.

მუსიკის მსწავლებელი, დირიჟორი, მსახიობი... (თბილისი).

(ლ. გაჩეჩილაძის ლექსები გადმობეჭდილია მისი შვილის _ ქეთევან აფციაურის ლექსების კრებულიდან_ «დედის საჩუქარი», თბ. 2002).

ქეთის !
(იავნანას სიმღერის სტილში)

გენაცვალოს დედა გულში, ჩემო ხატულაო,
სიხარულო, სიყვარულო, ჩემო ქეთუნაო.
დედის გულო, დედის სულო, დედის ნუგეშოო.
დედა, სად ხარ, სად წახვედი, სად გადიკარგეო?
«სისის" და «ჰანსის" ქვეყანამ როგორ მოგხიბლაო,
ჩვენს თავს მათ ნუ ამჯობინებ, ჩემო ფაჩუნაო.
ჩემი სიცოცხლის ნატეხო და გულის ძგერაო,
დედის გულო, მამის სითბოვ და ვარდის კონაო.
გელოდებით დედიკონა, მალე ჩამოდიო,
გამრავლდი და გაიზარდე სახელოვანიო.
უფალმა და დედა ღვთისამ შენ ხომ დაგლოცაო,
დედის გულიც გლოცავს შვილო, ჩემო ქეთუნაო.
შენი რწმენით, მასზე ფიქრით გზა დაგელოცაო,
დალოცვილი იყავ შვილო, დედამ გიმღერაო,_
იავ-ნანა, ვარდოვ-ნანა, იავ-ნანინაო.
2000 წლის 24 იანვარი

ჩემო ჭიკჭიკა შვილო, ქეთი

მთელი ცხოვრება გულით გატარებ, ჩემო სიცოცხლევ, შენ გენაცვალე,
ჩემო ჭიკჭიკა, ჩემო იმედო, ჩემო ცხოვრებავ, შენ გეთაყვანე.
ნეტავ ჩემს გულში შენ ჩაიხედო, ჩემი ცხოვრების ტკბილო ნატეხო,
რა შიში მიღრნის ამ სულს, ამ სხეულს,
რომ შენი ფიცი მთლად არ გატეხო.
ჩემო სიცოცხლევ, შენ ამბობ ჩემზე: «დედა კი არა ღმერთია ზეცად»,
ღმერთს არ შევადრი მე ჩემს თავს, დედა, მაგრამ ორივე ერთია ქვეყნად.
რაც დედის სულს სურს, რაც დედის გულს სურს,
ღმერთი უსრულებს დედას, მის ასულს.
ღმერთი ხომ გიყვარს, სულით და გულით ხარ გამოცდილი,
გიყვარდეს დედა, შენი დედა ჯანგამოცლილიც.
შენ ხომ არ იცი, რა მომცა ღმერთმა შენი სახით და შენი გაჩენით,
გამამრავლა და გამაძლიერა ამ ქვეყანაზე შენი დარჩენით.
უფალს მადლობა, უფალს დიდება, ჩემთვის ასეთი შვილის მოცემით.
არ დაიჩაგრო, არ დაემონო და გაძლიერდი ღმერთზე ლოცვებით.
მე სულიერად ღმერთი მამაგრებს და ხორციელად ხომ ხარ მაგათი,
დედა შვილისთვის, შვილი დედისთვის, ასეთი არის ჩვენი ადათი.
გული მკარნახობს, რომ ჩემი შვილი
ღმერთის წყალობით და დედის ლოცვით
მაღალ კვარცხლბეკზე მალე დადგება და
გაბრწყინდება სულით და ხორცით.
არც მათხოვარი და არც ღარიბი არ ეყოლება ქვეყანას ნაფიცს,

ასეთი არის ნება ქეთოსი, მას ასე უნდა, ჩემს შვილს, ჩემს საფიცს.
მალე დადგება ეს გაზაფხულიც, ხომ გასწორგება ჩვენთვის ყოველი,
აღარ იქნება უთანხმოება, არც ღარიბი და არც მათხოვარი.
მე მოვესწრები?... არა მგონია, მაგრამ ჩემს შვილს ხომ აქვს გეგმები?
შეგსრულებოდეს, ჩემო ძვირფასო, შენი ფიქრი და შენი აზრები.
ღმერთმა დაგლოცოს, ღმერთმა გამრავლოს, ღმერთმა სიკეთე არ მოგიშალოს.
ამ ჩვენს ქვეყანას ტანჯულს და ჩაგრულს შენისთანები არ მოუშალოს.
მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ, ჩემო ჭიკჭიკა, ჩემო ალმასო,
არ დამივიწყო არასდროს, დედა, შენზე ფიქრებმა დაღი დამასო.
გავცქერი შენს გზას და მეჩვენება, მოვიდა დრო და უკან ბრუნდები,_
შვილი ნასწავლი, განათლებული, შენს თბილ ოჯახში დაგვიბრუნდები.

რუსუდან ვახტანგის ას. გაჩეჩილაძე (ბაჩა)*
დ. 1936 წ.
მოქანდაკე (თბილისი).

ქ-ნ რუსუდან გაჩეჩილაძის ლექსები (72 რვეული) შემოინახა და
გადმოგვცა მისმა მეგობარმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის
პედაგოგმა _ ნანა გრიგოლის ას. კახიძემ.
რედაქტორი.

ნატვრა

როგორ მინდა ქარად ვიქცე
დავუქროლო ქვეყანას,
ღრუბლებს ლხენით მივეშველო,
დავურბინო კლდეკარას,
დავურეკო ტაძარს ზარი
და ვაუწყო ქვეყანას,
რომ დაირღვა წლების ზავი
სიჩუმესთან...
ნეტავ რად?
დავუკარგე სიყრმის თვალი
ამ სინათლის ქვეყანას.
1969.

სიმღერა

საით წვიდე, რა მხარეს,
რომ ღიმი სევდას გაშორდეს,
რომ სუფთა იყოს სიცილი
და თუნდაც ცრემლი დაგორდეს
იყოს გულწრფელი, ნამდვილი,

უკუხმა არას ამბობდეს.
1971, IX.

იქნებ

ვისთან რა ვთქვა, რა ვიქნები,
იქნებ ცაში ფრენაც ვიცი,
იქნებ მართლა მოვკლა ვინმე,
განა ვიცი?..
რას მიპირებს გარიჟრაჟზე
დანთებული უცხო რიცხვი?!
1971, IX.

დაიბნა ვაზი

დაიბნა ვაზი,
აღარ იცის რას აეკედლოს,
საით წაიღოს გაუსხლავი
ტოტები ურჩი...
ბაბუაჩემი,
ჩემზე უფრო,
ვაზს მოჰკვდომია!
1967, VII.

დაპირებულთან აღარ ვმეგობრობ...

ხვალ, რომ მპირდები, ეგ სულერთია_
ფუჭია წონა ჯერ მოუსვლელის.
დაპირებულთან აღარ ვმეგობრობ,
წუთს მოვყოლივარ და ვედევნები...
წუთს ჰყავს ღიმილი ნარჩენი დღეთა
და ამდენივე შეკრული სევდა,
ორი ავაზა პირდაღებული,
მუდამ საომრად დამდგარი ერთად.
დაპირებულთან აღარ ვმეგობრობ...
1970, VIII.

სარკე

შევხვდით ნაცნობები ნაცნობ სარკმელთან,
ჩუმად გავუღიმეთ ნაცნობ ნაკვერჩხალს,
ჩუმად მოვიკითხეთ, ჩუმად გავიკვირვეთ,
ჩუმად შევეგებეთ წამთა ნასეტყვარს...

მხნე კოსმეტიკის მოქნილი ხელი
თავს დაგვტრიალებს შვიდივე ფერით,
რესტავრატორის გამოცდილებით
ღიმს დაუბრუნებს გადაშლილ წერილს.
1976, XII.

დროს მიჰყავს

სიცოცხლე ერთი, სიცოცხლე ორი,
სიცოცხლე ათი და მილიონი,
ორი მოლუსკი ჩემი და ტოლის
ერთიანდება იქმნება სწორი...
სიცოცხლე ერთი, სიცოცხლე ორი,
სიცოცხლე ათი და მილიონი,
კვლავ დაიშალა უკვე რამდენჯერ,
უკვე რამდენჯერ ზეიმობს ნოლი?
ჩემი მოლუსკი გზად რომ მიცოცავს,
იმ შავ ძაღლივით, დროს მიჰყავს
რგოლით.
1971, VIII.

იფიქრებდა?..

საცვლებით დადის,
აღარ გრძნობს სირცხვილს...
ხანდახან საცვალსაც იხდის,
ასეა მუდამ.
იფიქრებდა? ზრდილი გიორგი...
1966.

ო, დამცირებავ!

ო, დამცირებავ, განა რამეა
შენზე სასტიკი, სიკვდილი მხოლოდ?
_არც შეგადარებ!
ის მხოლოდ ერთხელ
გვართმევს სიცოცხლეს, შენ?
_რამდენჯერაც მოგესურვება!
1968, XII.

ნეტავ რა მინდა?

ნეტავ რა მინდა ამ ძველ სოფლისგან?

იმედს რომ ვიჭერ ორივე ხელით,
ნეტავ რა მინდა? ხომ ვერ მეტყოდი?
თუ აღარ მჯერა, თუ აღარ ველი.
ნეტავ რად მინდა ქვეყანა ძველი?
ნეტავ რად მინდა? _ არაფერს ველი.
რად და მზე მიყვარს,
რად და ტყე მიყვარს,
თეთრ მთებს დავკოცნი
ათასჯერ მაინც.
რად და ზღვა მიყვარს,
ჩემი ცა მიყვარს,
თურმე მქონია
მიზეზი მაინც.
1967, II.

მე _არაფერი

მე არაფერი, არაფრის მქმნელი'
ისე მავალი და დროის მკვლელი,
დავიარები ქუჩებზე მაღლა,
ცოტათი მაღლა, ოცნების ზევით...
კვლავ გადამიშლის ცისფერი სადღაც
იმ საოცნებო ვარსკვლავებს ლხენით,
კვლავ მიმიტყუებს ჩუმად წყეული
იმ გამოუცნობ, უჩინო ხელით...
მე არაფერი, არაფრის მქმნელი,
ისე მავალი და დროის მკვლელი,
დავიარები ქუჩებზე მაღლა,
ცოტათი მაღლა...
1970, VIII.

რაღაცა ისე დაიქროლებდეს

რაღაცა ისე დაიქროლებდეს
სულ წაიღებდეს სიმძიმეს ჩემგან,
ამაღლებული და ანთებული
სადმე მაფრენდეს ღრუბლებთან ერთად.
ამაღლებული _გინდ ძვირი ღირდეს,
თუნდაც წაიღოს სიცოცხლე ერთად.
1970, VIII.

თვალი გამირბის...

ქურდის ნაცადი ხელით
დღემ კვლავ წამართვა წელი,
ფერფლად ქცეული წამთა სიტურფე,
გადამიყარა ქვევით...
რაც იყო, იყო
წარსულს ჩაბარდა,
თვალი გამირბის ზევით.
1976, XII.

იზა ზაქარიას ასული ჯაჭვაძე *

დ. 1945.

პოეტი, პუბლიცისტი. (თბილისი).

(ი. ჯაჭვაძის ლექსები გადმობეჭდილია მისი ლექსების კრებულებიდან_ «ცრემლის ყელსაბამი», 2006 წ.)

მამა

გატეხილ ღამეს,
გაფრენილ ღამეს,
დარდს შემოჩვეულ
ნუგეშს ნებდები,
მიყუჩებულხართ
ერთი ლოდის ქვეშ
შენა და შენი
მთის ლეგენდები.
დაემშვიდობე
დღესა და ღამეს
იმედად გაგყვა
ოცნება ლექსის...
წევხარ ჩუმად და
თან წაყოლილი
წიგნი, სათუთად
გიპყრია ხელში.

ზმანება

ვერ დავიჯერებ, რომ ეს დედაა,
ჩემი დედილო,
აქ ყოველ ცისკარს გადმოდგება
და მიაგავს ცისფერ ღიღილოს...

როცა მზის სხივი დაეცემა
ჭალის ქიმზე
დაკიდულ
მინდორს
და გაანათებს ყაყაჩოს
სავალს,
კარს შემოაღებს დედაჩემი
და გამისწორებს
მოჩითულ საბანს.
და სახე მისი გაიშლება ვითარცა
კვირტი...
სძინავს ყველას და იგი მდუმარედ
კვლავ მახურავს
გადახდილ
საბანს
და სადღაც მიდის...
და მე ვარ მუდამ ისევ ამაყი,
როგორც შენ ახლა,
მაღლა, ზეცისკენ შემართული
ლამაზი ფრთებით,
დედა წავიდა სადღაც
შორს, გაღმა
ჩუმი ლოცვებით და
ფეხაკრეფით...
ვერ დააფრინა ბარტყები ქალმა
და ჩვენ დაგვტოვა
შეუბუმბლავი, პატარა ფრთებით...
და ყოველღამე მესიზმრება მე,
დედაჩემი,
და ყოველღამე ჩემთან მოდის
ჩუმი ლოცვებით
და ფეხაკრეფით.

დედა _ ნატო და მართა მამიდა

ახლა წყლის ნაპირს
მიმდგარს ხილვად
მშობლიური მდინარის ახლოს
მეჩვენება და...
იმ დაძახილს_
«ი-ზ-ი-კ-ო-ო!...”
ისე დავეძებ,
ვით უკვდავ სიმებს, დაწყვეტილებს
ყრმობისდროინდელს.

ლაშა

შენი თვალის
სირინოზებს
ვეფერები,
თვალციმციმა,
პირღიმილა
პაწია!
აკვნის პირას,
აკვნის პირას იავნანამ
სახლის ჭერი ასწია...
თვალებს შუქი
ეფინება ვარდისფერი,
დედის გულში
თაფლია და მარწყვია...

რად მიყვარდი!

მწვერვალებზე_როგორც ღამე,
მყინვარებზე_როგორც თოვლი,
შენ მოჩანდი მთიდან მთაზე
შემომდგარი შორზე შორი.
ყველგან შენზე ფიქრი მდევდა,
იყო წვიმა... ქროდა ქარი,
მე ისევე შენი ცალი,
შენ ისევე სხვისი დარი...
ცაზე ცისარტყელა კრთოდა,
ჩემთვის ვწუხდი: _ რად მიყვარდი!
მე ხომ შენი დარდი მქონდა,
შენ კი სხვისი გქონდა დარდი.
და ხანმოკლე რიჟრაჟივით,
ბილიკს გაჰყევ შორზე შორი.
და მოჩანდი უფრო ცივი, _
მყინვარწვერზე, როგორც თოვლი!

ჩემი სამშობლო აქ არის!

ზეცა დამყურებს ზემოდან
ვარსკვლავთ ურიცხვი თვლებითა,
ლოცვა ჩამესმის ვიღაცის,
თვალებ მევსება ცრემლითა.

ზეცა ზურმუხტის ფერია,
ამ მთას იმედით გადავალ,
აქ სული ისე მდიდრდება,
თუმცა, ღარიბი რადა ვარ...
მე სხვა რამეებ არ მინდა,
სიწმინდევ, სულსა მავალო,
ჩემი სამშობლო აქ არის,
აბა, მე საით წავალო!

ნელი (ელა) გრიგოლის (ბახვას) ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი)**

დ. 1951 წ.

ფიტოთერაპევტი და ბიოკორექტორი. (თბილისი).

წავალ მათთან

თვალწარმტაცი ყვავილების შრიალს
მასმენინებ მარტო,
გული, სად გაქვს გული?!
შენს შეხედვას ვნატრობ.
მოდი, გამოჰყევი, გაზაფხულის ნიავს,
ერთად მოვეფეროთ ლურჯთვალება იას,
ერთად გაგვაბრუოს ყვავილების თოვამ,
განა სიჭაბუკე ისევ ისე მოვა?
განა ეს დღეები ისევ დაბრუნდება?
მალე ჩვენთან მოვა ცივი შემოდგომა.
ჰოდა, სანამ დროა, მოდი ჩემთან, მოდი,
ვერ გავუძლებ გაზაფხულზე უსასრულო ლოდინს,
ვერ გავუძლებ ყვავილების დამათრობელ სურნელს,
წავალ მათთან, სამუდამოდ გავიკეთებ ბუდეს.
1982 წელი.

მარტოობის სევდა

არც ერთ გაზაფხულს ჩემთან არა ხარ.
ამ მარტოობას როგორ ვუშველო?
და არც გაზაფხულს არა აქვს ფასი,
რადგან მას ვხვდები, მუდამ უშენოდ.
როგორ მათრობდა ყვავილთ სურნელი,
როგორ მხიბლავდა ყვავილთა თოვა,
დღე სიხარულის, დღე აღტაცების
ჩემთან უშენოდ არასდროს მოვა.
როგორ მიყვარდა კვირტების ფეთქვა,

ნაზი ფოთლების თვალის გახელა,
ახლა კი თითქოს ვერაფერს ვამჩნევ,
ვის გავუმხილო დარდი ამხელა?
        რა დამიყუჩებს შენეულ ტკივილს,
        რა გამიფანტავს სევდას და ფიქრებს,
        წვიმებად მომსკდარ ცრემლს რა დამიშრობს,
        რა გააცოცხლებს ჩამომხმარ კვირტებს?!
არადა, ამ რთულ ცხოვრების გზებზე
სულ მარტოდ-მარტომ ვიარო როგორ?
მე გავუძლებდი ქვეყნად ყველაფერს,
შენ მგულებოდი ჩემს გვერდით, ოღონდ.

(«ქალთა გაზეთი», 1997 წ., მაისი).

ბათუმი: მე და შენ

მე დღეს პირველად ვნახე ბათუმი
და მოვიხიბლე მისი მშვენებით,
მისი ქუჩებით, მისი სიმწვანით
მისი პორტით და მისი ბულვარით.
        აქ სულ სხვაგვარი არის შავი ზღვა
        და თოლიებიც სხვა ხმით მღერიან,
        აქ დელფინები უამრავ მნახველს
        თავისებური სალმით ხვდებიან.
ირგვლივ ზღაპრული სილამაზეა,
თვალი ვერ ძღება, გული ვერა თმობს,
თუმცა თბილისში დაგტოვე, ვიცი,
უტყვი ძახილით ბათუმში გიხმობ.
        გიხმობ, რადგანაც არ მიფიქრია
        შენი ქალაქის ნახვა უშენოდ,
        რადგან არ ვიცი ზღაპრულ ედემში
        უთვალავ ფიქრებს რითი ვუშველო.
ო, დღეს ზღვა არის საოცრად წყნარი
და თბილი, როგორც შენი ღიმილი.
ვზივარ ნაპირზე, უამრავ ხალხში
და შენზე ვფიქრობ გულისტკივილით.
        ეჰ, რომ ვიცოდე მე შენი ქუჩა
        ლოცვით გავლევდი ქუჩის ნაპირებს,
        ვნახავდი იმ სახლს, სადაც ბავშვობის
        დღეებმა შენმა დაიყვავილეს.
იქნებ შენს ქუჩას დღესაც ატყვია
შენი ბავშვობის ნაფეხურები,
მე კი დავდივარ უმისამართოდ,
ვფიქრობ, როდესმე დამიბრუნდები?...

უმისამართოდ ვიარე ბევრი,
მივუალერსე პალმებს ტირიფებს
და როცა ბათუმს დავემშვიდობე,
დიდხანს და ჩუმად ბევრი ვიტირე.
ვეცდები, მე აქ აღარ მოვიდე,_
შენს ქალაქსა აქვს სხვაგვარი ძალა_
შენსავით დამჭრის განუკურნებლად
და ამდენ ტკივილს გავუძლებ განა?
1985 წ.

უპასუხო შეკითხვა

როდემდე? როდემდე?
სულო_ მარტვილობდე
და გულო – ჰგოდებდე,
ფიქრო მარცხდებოდე
ოცნებავ_ჭკნებოდე?
და მაინც,
ბოლო წუთამდე,
სულთმობრძავ სიზმარ-ცხადს
ღამეებს უთევდე...
გზაო ილეოდე,
შუქო მაკლდებოდე,
შვებავ არ გახსოვდე,
ნატვრისხევ ხმებოდე _
როდემდე, როდემდე,
ნეტავი როდემდე?...
2000 წ.

ლიანა ლევანის ას. გაჩეჩილაძე
დ. 1951 წ.
მუსიკის პედაგოგი. (თბილისი).

სიყვარულს სჭირდება...

ხომ ხედავ, არ უნდა ღმერთს ჩვენი გაყოფა.
ჩვენს ფიქრებს ქარი და ნისლები აქრობდა.
ხატთან დაჩოქილმა შევფიცოთ დანდობა,
ჩვენ ახლა გვჭირდება ურთიერთ დათმობა.
სიყვარულს სჭირდება ყველაფრის ატანა,
განვდევნოთ ჩვენგან პატარა სატანა...
რომ არ მივიდეთ უფსკრულის კიდემდე,
შვილებს შთავუნერგოთ სითბო და სიკეთე.

დავიწყოთ თავიდან!...

ღრუბელი ჩამოწვა, გაწვიმდა, აცივდა,
ხეებს ყვითელი ფოთლები გასცვივდა.
ეს წლები ფიქრებში, ლოდინში გავიდა,
ჩვენს გრძნობებს ათასჯერ ათოვდა, აწვიმდა.

გახსოვს, ჩვენს ბაგეებს სიტყვის თქმა სწყუროდა,
ჩვენს გულებს სითბო და დანდობა უნდოდა.
გახსოვს, ჩვენს თვალებს გამხელა უჭირდა,
ჩვენს ხელებს სიმძიმის ატანა უმძიმდა.
თენდება, იწყება დღე ისევ თავიდან...
ცხოვრების ქაოსს ალმური ასდის და
მისი სიმხურვალე ზეცაში ავიდა...
ჩვენს შვილებს თვალებში ჩავხედოთ ამ დღიდან...
მოდი, ჩვენ დავიწყოთ ცხოვრება თავიდან!...

გათენდა, ღრუბელი გაქრა, წავიდა...

მარიამ მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) *

დ. 1954.

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა
კანდიდატი... (თბილისი).

ფიფქები

ჩემს დემიკოს და გიოს

პატარა ფიფქებო _ საიდან მოდიხართ?!
ვისგან ისწავლეთ ფრენა?
ასე ლამაზები, ასეთი ნაზები,
ვინ შეგქმნათ, ვინ მოგრთოთ ნეტავ?
ამხელა სიხარულს, ამხელა სიყვარულს
ვერ იტევს პატარა გული,
თქვენი მოლოდინით, თქვენი სილამაზით
ჩიტივით გარინდული.
ფიფქებო, ფიფქებო, პატარა ფიფქებო,
გვეწვიეთ ხშირად და ხშირად,
სულ მუდამ თეთრები, სულ მუდამ კარგები,
იყავით ბავშვების წილად,
რომ მათ გაიხარონ, რომ მათ ითამაშონ,
რომ მათ გაიშალონ ფრთები, _
გამაღლდნენ, გაკაჟდნენ, გალაღდნენ, გამხნევდნენ

და ცას მიაწვდინონ მხრები.
პატარა ფიფქებო_ საიდან მოდიხართ?
ვისგან ისწავლეთ ფრენა?
ასე ლამაზები, ასეთი ნაზები,
ვინ შეგქმნათ, ვინ მოგრთოთ ნეტავ?
1983 წელი.

სანთელი

სანთელი ენთო, იწვოდა ნაზად,
ქრებოდა მისი სხეული თეთრი,
მარტოკა ენთო, როგორც ქალწული
მიტოვებული ეულად, ერთი.
ქრებოდა კვალი, ლღვებოდა ტანი,
ნაღველს აფრქვევდა ირგვლივ ყველაფერს,
ქალი შესცქერდა ჩამოღვრილ სანთელს
და ვერ შესთხოვდა ლოცვით ვერაფერს.
რადგან წაეღო დროს ყველაფერი,
უწყალო ხელით მოესპო ყველა _
წმინდა გრძნობები და მოგონება _
უხეში ფეხით დრომ გადათელა.
ნეტავო! – სიტყვა აღარ ხიბლავდა,
რადგან იცოდა ყოველი ნეტა...
მოტყუებაა მხოლოდ თავისა.
ცხოვრება მკაცრი ყოფილა მეტად.
არც ის დაინდო ცხოვრების მტრობამ,
გაანადგურა და გადათელა,
მის ფაქიზ გრძნობებს ყური არ უგდო
და ყველაფერი გაუცამტვერა.
ახლა კი უცქერს სანთელის დნობას,
ქრობას სხეულის _ მის წინ დამდნარის
და თითქოს თავსაც შეიცნობს მასში,
ხსოვნის გარეშე ყოფა რა არის?

1989 წელი.

არკადი ალექსანდრეს (უშანგის) ძე გაჩეჩილაძე (ლანჩავა) *

დ. 1951 წ.,
ფიზიკოსი. (ისრაელი, ქ. არიელი).

ბედი

ბედი კაცისა ასეა_
წაღმა უკუღმა ტრიალებს,

დღეს რომ სიხარულს გვთავაზობს,
ხვალ სულ მთლად გაგვატიალებს.
        მზე ჩადის, მთვარე ამოდის,
        მუდამ დღე ასე იცვლება,
        ძლივს ავსებული ფიალა
        ვაი, რა უცებ იცლება.
მაგრამ, ამ ტიალ ბორბალსაც
ღერძი რომ გაუმრუდდება,
ზოგის სულ წაღმა ტრიალებს,
ზოგის უკუღმა ბრუნდება.
        ზოგის სიტყვისაც კი სჯერათ,
        ზოგის საქმისაც კი არა,
        ზოგის რომ ბამბაც ჩხრიალებს,
        ზოგის კაკალიც კი არა.
მერე იტყვიან, ფაქტია,
მავანი მავანს სჯობს,
ღმერთი გვიყურებს, იცინის,
კაცი თავისას ბჭობს...

1972 წ.

ფიქრები კრწანისის შემდეგ

არ მკითხოთ ახლა, რატომ და რისთვის
მევსება გული ბოღმით და რისხვით,
ვახტანგს და ბაგრატს, გიორგის, დავითს,
უშენებიათ მამული სხვისთვის!..
        მისთვის ებრძოდნენ თურმე არაბებს,
        მისთვის ებრძოდნენ სპარსსა და თათარს,
        რომ ვიღაც უცხო ჯილაგის ხეპრემ
        დღეს დედის სული აგინოს თამარს!...
ვაი დედასა! რად არ მოვკვდებით,
რატომ არ დაგვწვავს სირცხვილის ცეცხლი,
შიგ საქართველოს დედის უბეში,
ვიღაც უჯიშოს ფათურობს ხელი.
        დგას და არშინით ჩვენს მამულს ზომავს
        უცხო ჯილაგის უჯიშო თესლი.
        დგას და ხარხარებს, დაგვცინის ხედავთ?
        უჭირავს ხელში ძელქვების ფესვი.
ჰოდა თუ ვაცლით, თუ კიდევ ვაცლით,
დედა ენასაც შემოგვიკურთხებს,
ჯვარსა და მცხეთას თავისად ჩათვლის,
ჩვენ კი შიგ სულში ჩამოგვაფურთხებს.
        ჰოდა თუ ვაცლით, თუ ნებას მივცემთ,
        ო, ღმერთმა ნუ ქნას, ტანში მაციებს,

მაგრამ ადგება და ჩვენს მიწაზე
შემოგვიღობავს რეზერვაციებს.
ჰოდა, გაიღვიძეთ ძმანო ქართვლისანო,
თორემ საქართველოს სული გაიყიდა,
ეს თბილი მიწა, უბით ნატარები,
ქართული დედა-ენა გაიყიდა.
დროით გამოფხიზლდით, კარგად დაინახეთ,
ჩვენს წინ რა იყო, ჩვენს შემდეგ რა იქნება,
გუშინწინ რა იყო საქართველო,
დღეს რა გვაქვს, ხვალისთვის რა დარჩება.
ო, გული მტკივა, ვივსები რისხვით,
ნუთუ ძარღვებში სისხლი გაიყინა.
ნუთუ ქართველთა მამულის სიყვარული
ვიღაცის «ფოჩიან კამფეტზე» გაიყიდა.
მინდა ვიღრიალო დაჭრილი ლომივით,
ყველა დუშმანი ფეხებით გავთელო,
მინდა ვიყვირო მსოფლიოს გასაგონად,
რომ კვლავ ცოცხალია ჩემი საქართველო.
იგი ცოცხალია და კვლავაც იცოცხლებს,
რად მინდა ამისთვის ბერი და მისანი.
კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი!..

1972 წ.

ამირან ნოეს (ნოდარის) ძე გაჩეჩილაძე (ლანჩავა)
(1972_2005).
ეკონომისტი.

ჩემს საყვარელ დას!

ძმაკაცს ძმაკაცის და შეუყვარდა, დის პატრონი გაჯავრდა, _ მას მეგობრობა ტრადიციული სწამს: _ «შენი დედაი, ჩემი დედაი, შენი დაი, ჩემი დაი»... გაჯავრებულმა ლექსი დაწერა:

სწავლობ, ამ დროს მე გიყურებ,
საოცარი ნიჭის პატრონს,
შეგიძლია გააოცო
მუსიკოსი მარტოდ_მარტო.
სწავლობ, სწავლობ და მიაღწევ!..
სიტყვებს აღარ ვაზვიადებ,
არ მგონია ასეთი და

ჰყავდეს ვინმეს, სულ რომ ვაქო...
სტუმარი მყავს ძმადნაფიცი,
საოცნებოს ისიც ნატრობს,
საოცნებო, ერთი სიტყვით,
ყველას უნდა შეიყვაროს.
არა ძმაო, ძმადნაფიცო,
არ გაბედო! გული ჯავრობს!..
ჩვენ ყველაზე მაგრები ვართ...
ამით ვხარობ, ამას ვდარდობ.
ორი წელი ვერა გხედავ,
რას აკეთებ, საქმიანობ?
_იმას ვჯავრობ, რომ მე ფიცი
არ გამიტყდეს, შევინახო!..
_რადგან კეთილს მე გზას ვუხსნი,
ხოლო ბოროტს თვითონ ვამხობ!
ღმერთმა უნდა შეგვარიგოს,
ამას ვხარობ!.. ამას ვნატრობ!..

რისთვის...

უფალო ჩემო,
რისთვის მაცოცხლებ,
მომკალი, თუნდაც
დაკოდილ ძერად,
ანდა ლომად,
ანდა არწივად,
მხოლოდ ქართველად!..

ენა! მამული! სარწმუნოება!...
ილია

«ენა” გასაწმენდია!..
«სარწმუნოება” გასაძლიერებელია!..
<u>«მამული” დასაბრუნებელია!..</u>

დავით გურამის ძე გაჩეჩილაძე
დ. 1974 წ.
ჟურნალისტი, პოეტი, მხატვარი. თსუ-ის
ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სრული პროფესორი.

(დ. გაჩეჩილაძის ლექსები გადმობეჭდილია მისი ლექსების კრებულიდან _»მძიმე და ორი წერტილი», თბ. 2003).

ია

ია ციცქნა ყვავილია,
ის მოდის და აპრილია,
ამასწინათ ვნახე მინდვრად,
ვაკოცე და გადამრია.
    თან ატარებს ზამთრის სუსხს და
    თანაც გულის წადილია.
    ორჯერ შესძლებ მოეფერო,
    ის ისეთი ყვავილია.
გინდ უწოდებ ქალბატონს და
გინდ მიართმევ გულის ტრფიალს.
რომ აქებენ ვარდს ყაყაჩოს,
ის სულ ტყუილი ქადილია,
    ია ციცქნა ყვავილია
    ის მოდის და აპრილია.
    ამას წინათ ვნახე მინდვრად
    ვაკოცე და გადამრია.

ერთიანობა

ეს ლექსი დაიწერა აფხაზეთში, სოფელ ტამიშთან, ბრძოლის წინ, როდესაც ოპოზიციის და სამთავრობო ჯარები გავერთიანდით დიდი საერთო მტრის წინააღმდეგ, რამაც ამ შეტაკებაში ბრწყინვალე გამარჯვება მოგვიტანა მცირერიცხოვან ქართველებს.

საომარ ველზე, სისხლიან დილით,
პირისპირ შეხვდა ორი რაინდი.
შემხვედრი მზერა, რკინის მხვრეტელი.
გულში მორევი სათქმელ-უთქმელის...
ტვინში დარბიან წყვილი ფლოქვები,
ტატოს მერანის გაუხედნელის.
ჩქარა, ღვედები, სიბრძნის ღვედები,
კვლავ დავიოკოთ ემოციები.
ტყვიით დაფლეთილ მუზარადივით,
მიმოიფანტა ცაში ღრუბელი.
ქვეყანა შედრკა, სროლა გაჩუმდა,
მზე ამოვიდა, სული გაათბო.
ცისა და მიწის გზაგასაყარზე,
დაღვრილი სისხლით დაწერილიყო
ერთიანობა_
რა ლამაზია, თურმე, ეს სიტყვა,
რა უბრალოა და რარიგ რთული.

მოდით ავიღოთ ერთხმად ლოზუნგად,
გულში ჩავიკლათ სუყველამ შური,
ერთიანობა!, ერთიანობა!
და კიდევ ერთხელ
ერთიანობა!
ერთიანობა!
გადარჩენისთვის.

აისი_აიაში

ალიონზე სისხამ დილით, მზე ქუთაისს ეფერება,
მასპინძელი თავის სტუმრებს, ტკბილ ლეგენდებს გვეუბნება,
უსასრულო ღვიძილისგან, გუგა წამწამს ებნიდება,
გული ჩქარობს გარბის ისე, თითქოს წამმზომს ეჯიბრება.
ველარ ითმენს თითქოს სულიც, მთელ ქუთაისს ეფინება,
აღარ აცლის არც ალიონს, ლურჯი კაბის მოზომებას.
ცელქობს ჩემი ანცი სულიც, გელათისკენ მიფრინდება,
იქ, დავითის საძვალესთან, თეთრი მტრედი გოგმანებდა.
დროს მეეტლე ისე ჩქარა, ისე ჩქარა ერეკება,
წყვილ ფლოქვების თქარა-თქურში საუკუნე გვეპარება.

მზემ იმძლავრა, პირსახეზე შარავანდი გაიკეთა,
ოქროსფერი დალალებით ძვლები მაგრად გამიჯერა.
მიჩურჩულა ჩუმად რაღაც, მე _ურწმუნოც დამაჯერა,
რომ აღსდგება საქართველო და უკუნი განათდება!
ახლა ვიცი, ზუსტად ვიცი, რომ სულ მალე,
სულ, სულ მალე_ დავით მეფე აღსაყდრდება.
ხვალ, ბაგრატის ნანგრევებზე, კვლავ ქალაქი აშენდება!
აი, ნახეთ, აი, ნახეთ, თუ არ გჯერათ!
ხვალ, ცისმარე კაბადონზე, საქართველოს მომავალი
როგორ ლაღად გაბრწყინდება.

2002 წლის, 7 აგვისტო, ქუთაისი.

მძიმე და ორი წერტილი

(ნაწყვეტი პოემიდან)

სოფლის საწუთრო მოკლეა,
ბოლოს წერტილი სვენია.
მძიმე და ორი წერტილი,
ეგ ოსტატობის ხერხია.
მოვა დრო ყველა მოვკვდებით,

ჩამდენი განმკითხავია.
მხოლოდ ეგ არის ვაჟობა
სიკვდილს სიცოცხლით აჯობო,
დასტოვო კაცის კვალია!
თორემ ტყვიის კვრას რა უნდა
ან ეგ რა შენი ვალია?

1993 წლის I ნოემბერი.

ხელოვნური ნოხი (დრამა)

(დრამის ხელნაწერი ტექსტი მოგვაწოდა ს. გაჩეჩილაძის შვილიშვილმა დავით ახრახაძემ).

რედაქტორის შენიშვნა: აღნიშნული დრამა ბ-ნი სევასტის ერთ_ერთი ბოლო ნამუშევარია (თუ უკანასკნელი არა). იგი დაწერილია 1942 წლის ოქტომბერ-დეკემბერში. 1943 წელს კი ბ-ნი სევასტი გარდაიცვალა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ, ჯერჯერობით, ს. გაჩეჩილაძის ნაწარმოებების მხოლოდ მცირე ნაწილს ვიცნობთ. ჩვენთვის ცნობილი ნაწარმოებების შედარებისას, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ადრინდელი თხზულებები, ფორმის მხრივ, უფრო დახვეწილია (ამაში თვითონ შეგიძლიათ დარწმუნდეთ აქ წარმოდგენილი დრამისა და ზემოთ მოყვანილი პოემების ნაწყვეტების შედარებისას), *(შესაძლოა, ნაწილობრივ, ამ დრამის ფორმის მოუხეშაობა განპირობებული იყოს მისი სიუჟეტით, რომელიც ძალიან ძველ ისტორიულ პერიოდს ეხება...)* მაგრამ ჩვენ სწორედ ეს დრამა ავირჩიეთ სრული სახით გამოსაქვეყნებლად, იმიტომ, რომ მის შესავლში და ტექსტში თავმოყრილია ყველა ძირითადი აზრი, რომელიც ბ-ნ სევასტის გატარებული აქვს, ჩვენთვის ჯერჯერობით ცნობილ, მის ნაწარმოებებში. ამასთანავე, იმიტომ, რომ ამ დრამის შესავალში დასახელებულია ბ-ნი სევასტის ძირითადი ნაწარმოებები (რომელთაგან ზოგი ფრაგმენტების სახით არის მოღწეული, ზოგი კი ჯერ ვერ მოვიძიეთ).

აღნიშნული დრამის შესავლის გამოქვეყნება გარკვეულ უხერხულობას გვიქმნის, ვინაიდან ბ-ნ სევასტის მასში სასტიკად ყავს გაკრიტიკებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ზოგიერთი ქართველი მეცნიერი (რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით: _მიუხედავად იმისა, თუ როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ ისინი ბ-ნი სევასტის ნაშრომების ან ქართული ფოლკლორის მიმართ, ცხადია, რომ მათ უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში), ხოლო თავის ნაშრომებს ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს (ამ შეფასების სამართლიანობა, თუ უსამართლობა, გამოჩნდება მაშინ, როცა ბ-ნი სევასტის ნაშრომები გამომზეურდება და სათანადოდ იქნება შესწავლილი).

იმედია, მკითხველი გაითვალისწინებს იმას, რომ ბ-ნი სევასტი ამ დრამას 80 წლის ასაკში წერდა, ანუ იმ ასაკში, როცა ადამიანები აღარ მალავენ და განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატავენ თავიანთ კრიტიკულ დამოკიდებულებას საწინააღმდეგო აზრის მქონეთა მიმართ. უფრო ადრინდელ ნაშრომებში იგი უფრო მეტი გაგებით ეკიდებოდა თავის «ოპონენტებს» (რაც ჩანს ჩვენს მიერ ს. გაჩეჩილაძის ტექსტების წინ წარმოდგენილ შესავალ წერილში მოყვანილი ციტატებიდანაც)...

აღსანიშნავია, რომ ამ დრამის სიუჟეტი ბ-ნ სევასტის ჩაუწერია 1939 წელს, თბილისში, სახალხო მთქმელის _ სანდრო შიოს ძე გრძელიშვილისაგან (ტექსტი დაცულია შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივში. ფაა № 22011).

ბ-ნმა თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძემ (ლობიო) გვითხრა, რომ მას ეს სიუჟეტი წაუკითხავს 1982 წ. გამოცემულ სირიული ზღაპარში. *(«არმაღანი», აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბ. 1982, გვ. 39, ზღაპარი _ «სულთანი* ნოხების *ოსტატი»*) ცხადია, რომ ვერც ბ-ნი სევასტი და ვერც ზემოხსენებული სახალხო მთქმელი ამ წიგნს ვერ წაიკითხავდნენ, მაგრამ ასეთი სიუჟეტი აღმოსავლურ ზღაპრებში რომც შეგვხვდეს, ეს ამ არაკის არაქართულობას არ ნიშნავს, მსოფლიო ფოლკლორის სიუჟეტების უმრავლესობა საერთოა. მ. ჩიქოვანი აღნიშნავდა: «სესხება, გავლენა, განმსაზღვრელი ფაქტორი არ არის... მსგავსების აღნიშვნიდან იწყება ნამდვილი კვლევა-ძიება. ამ უკანასკნელმა უნდა ნათელყოს გენეზისი, განვითარების გზები და გამოააშკარაოს ის თავისებურება, რომელიც ამა თუ იმ საერთაშორისო სიუჟეტს სხვადასხვა ერის ფოლკლორში აქვს. ნასესხობის თეორიის მომხრეთა გასაგონად მაქს მიულერმა სამართლიანად აღნიშნა, რომ სიუჟეტის ან ცალკე მოტივის დასესხება არ წყვეტს საკითხს ნაწარმოების ეროვნულობის შესახებ. სიუჟეტი შეიძლება მართლაც შემოტანილი იყოს, მის საფუძველზე შექმნილი ნაწარმოები კი ეროვნული». *(მ.ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ტ.I, თბ. 1975 წ. გვ. 176).*

ფოლკლორისტიკაში არსებობს ე.წ. «თვითჩასახვის თეორიაც», რომელიც ჩამოყალიბებული იქნა 1871 წ., ინგლისელი მეცნიერის, ედუარდ ტეილორის ნაშრომში «პირველყოფილი კულტურა». ამ თეორიის მიხედვით, შესაძლებელია «მსგავსი სულიერი და მატერიალური მოვლენების დამოუკიდებელი წარმოშობა ერთი ხალხის მეორეზე გავლენის მოუხდენლად, ე.ი. უსესხებლად» (ედუარდ ტეილორთან ერთად ამ მიმართულების შემოქმედად ენდრიუ ლენგიც არის მიჩნეული). *(მ.ჩიქოვანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 181).*

ზემოხსენებული ხალხური არაკის მოკლე ტექსტის საფუძველზე ბ-ნმა სევასტიმ შექმნა ორიგინალური ნაწარმოები:

ხელოვნური ნოხი
დრამა
(ხალხური არაკის მიხედვით).

ოთხ მოქმედებად, ხუთ სურათად.

(ხელნაწერი გადმობეჭდილია შესწორების გარეშე.
ის ადგილები, რომლის სწორად წაკითხვაშიც
დარწმუნებული არა ვართ, ჩავსვით ასეთ _
[ ] ფრჩხილებში _ ე.გ.).

მომქმედნი პირნი:

1) ახალგაზრდა მეფე,
2) მისი ვეზირი,
3) მისი დედა,
4) სამთვარისა_დედოფალი,
5) სამზერისა, 6) გაგანია _სამზერისას ტოლ-ამხანაგი გოგონები,
7) სამთვარისას დედ-მამა,
8) კეკელა _ბებერი დედაკაცი,
9) კვაჭა,

10) სამი მოხუცი ხალხიდან,
11) რვა სალახი და სხვ.,
12) მგზავრები,
13) პატიმარნი,
14) ლაშქარნი, ხალხი
   და სხვ. და სხვ.

წინა-სიტყვა

აწინდელი ჩვენი ერია მუშა და გლეხი_მშრომელი ხალხი, ეს ორი უდიდესი ელემენტი მისი. მუშა ახალი მოვლენაა საკაცობრიო ისტორიაში, გლეხი ძველი.

გლეხი, როგორც წოდება, გაისახა ქართველთა ცხოვრებაში მეოთხე საუკუნის თითქმის შუა წლებში ახალ ერამდე, მაშინ, როდესაც ბატონ ყმობა დაარსდა ე.ი. როცა მუდმივი მეციხოვნე ჯარი იქნა შემოღებული _აზნაურობა (აზო) მამასახლისი სამარის ძმისწულის ფარნავაზ დესპოტი მეფის მიერ. ეს იყო სამხედრო წოდების შემნახავი ხალხის მასა. ალექსანდრე მაკედონელის მიბაძვით ფარნავაზმა ბევრი რამე შემოიღო.

მანამდი ქართველმა ხალხმა მილიონ წელთა განმავლობაში გამოიარა ორი დიდი ხანა_ მატრიარხატი და პატრიარხატი.

პატრიარხატი იყო მონობის დრო, ხოლო მატრიარხატი ბუნებრივი კოლექტიური ცხოვრების დრო, რომელმაც «რძის პურის ჭამამდი» მიაწია, გასტანა მილიონი წლები.

საყოველთაოთ, მე არ მგონია, რომ სადმე დედამიწაზე იყოს ნამდვილი ხალხის ისტორია, მით უმეტეს ჩვენში. მაგრამ ეგ ისტორიაც და ხალხის სულიც (პსიხიკაც) ძალიან უხვადაა გაბნეული ჩვენი ხალხის კოლექტიურ უწერილო ლიტერატურაში.

აწინდელი ჩვენი ერის სწორი გზის მიცემისათვის წინ წასაწევად მარტვა აპრიორული ტენდენციები არ კმარა. ყოველმა ტენდენციამ ნიადაგი ფეხის მოსაკიდებელი უნდა ჰპოვოს ცხოვრებაში და მას მოეჭიდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადვილი შესაძლებელია, რომ მან მიიღოს სრულებით სხვა სახე, ვიდრე ჩვენ გვინდა და ნიადაგის შეუსაბამობის გამო დამახინჯდეს, საშინელი და საშიშარი სახეც მიიღოს.

რომ ეს არ მოხდეს, დიდს და ძალიან დიდ საჭიროებასაც წარმოადგენს ძველის-ძველ დროდან ქართველი ხალხის ზედმიწევნით ეტნოგრაფიული შესწავლა და, მაშ, სხვათა შორის შესწავლა აუცილებელი ზეპირ გადმოცემათა, ფოლკლორის.

შესანიშნავმა ფილოსოფოსებმა_მეცნიერებმა ეტნოგრაფებმა და მათ შორის გენიოსებმაც, ენგელსის შეფასებით, მორგანმა და ბახოფენმა, მეცნიერმა ეტნოგრაფმა პ. ლაფარგმა, ეტნოგრაფ-ანტროპოლოგმა შ. ლეტურნომ და სხვ. წამოწიეს წინ ფოლკლორი და მიაგნეს მეთოდები, ეს მეცნიერული გზები, რომელთა მეოხებით გამოყავსთ ერთობ ადვილად ისტორიული ფაქტები თვით ზეპირსიტყვიერებიდან. ლეგენდებიდან ხომ გამოყავდათ და გამოყავსთ...

რაღა ევროპიელი მეცნიერები, როდესაც ჩვენი თანამემამულეც მიხეილ ჩიქოვანი, დოცენტი და ლექტორი ფოლკლორის ლექციების ქართული უნივერსიტეტის კათედრიდან, მისწვდა «იყოს» მეთოდს «იყოს და არა იყო რას ფორმულაში! ეს ფორმულა კი არის დასაწყისი ყოველი ზღაპრის ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

1889 წლიდან დღეისმადღემდე ვკრებ და ვარკვევ არსებულ საშუალებებით ქართულ ფოლკლორს, გამომყავს ისტორიული ფაქტები ქართული ფოლკლორიდან, რომელიცაა ძალიან მდიდარი (30 000 ტექსტი უკვე ჩაწერილია. ვინ იცის, რამდენია ჩასაწერი?)

მე უკვე დავსწერე კაპიტალური თხზულებანი: **«ქართველი ხალხის სულიერი ფიზიონომია, ანუ სოციალური პსიხოლოგია»,** რომელიც შეიძინა ქარ. უნივერსიტეტის

სალიტერატურო კაბინეტმა და მრავალი სხვაც მასთან როგორც მასალა, ისე ნარკვევი, ვარაუდით 3-4 ტომი; მე დავსწერე **«ქართველი ხალხის მითოლოგია»,** რომელიც მოიწონა სათანადო კათედრამ და საბუთიც ხელში მაქვს; დავსწერე **«ჩვენი ხალხის სოციალური კულტურის ისტორია»;** მე დავსწერე **«ჩვენი ხალხის გენიალობა»;** დავსწერე **«ქართველი ხალხის ფილოსოფია»;** დავსწერე **«მეცნიერული დაბადება»;** დავსწერე **«ქართველი ხალხის სხემატიური ისტორია»;** დავსწერე **ფოლკლორიდან აღებულ თემებზე სამი უშველებელი დრამა, რომელთა შორისაც არის ერთი «ტრილოგია ბუნებისა»** და სხვა.

ახლა **ვწერ უდიდეს ეპოპეას კაცთა არსებობა დასაწყისიდან**.

მე აღვადგინე ზეპირსიტყვიერების მასალებიდან სხვა და სხვა მეცნიერებათა დასბუთებით ქართველი ხალხის პრიმატები, მათი კულტები, მე აღვადგინე მატრიარხალური კოლექტიური ცხოვრების კულტურა ალტრუისტული. ეს იყო «დედის გულის» და ნამდვილი ხელოვნური წმინდა წყლის კულტურა ცხოვრების გაბედნიერების შესაბამისი, რაცაა მიზანი ჩვენი აწინდელი ცხოვრებისაც.

მატრიარხატმა შესძლო კოლექტიური ბუნებრივი ცხოვრებით მოეხერხებინა «რძის პურის ჭამა» საქართველოში.

მეორე ხანა იყო პატრიარხალური, მამასახლისობის კულტურის ხანა, როცა არსებობობისთვის ბრძოლაზე გადავიდა მამაკაცი და უტილიტარისტული მიმართულება მისცა ცხოვრებას, როცა გააჩინა მონა და დაეყრდნო ძალმომრეობაზე. ამ მეორე კულტურამ აჰყარა უფლება ქართველ დედებს, მატრიარხატს. ოჯახში თუ ფართო საზოგადოებრივ ცხოვრებაში: კოლექტივებში და სხვ. მისცა მიმართულება ეროვნული კულტურის განვითარებას, შოვინიზმს.

ეს ჩემი უშველებელი ნაშრომები განისვენებენ დავიწყებაში.

ყველა ჩემს მიერ შეკრებილ მასალებში და ჩემს ნარკვევებში აღდგენილია სახე მატრიარხალური ქართველი ხალხის ცხოვრების ამ ბუნებრიული კოლექტიური ცხოვრების გასახვა და განვითარება, როგორც პრიმატების, ისე მათი სულიერი აღმავლობის ცხოვრების თითქმის ყოველ დარგში.

კულტურა ხელოვნური გამოყვანაა კაცის მხეცის კანიდან.

დანიშნულება კულტურის ისაა, რომ კაცი გამოიყვანოს ბუნებრივი მდგომარეობიდან და აამაღლოს, განავითაროს ის, ფეხებად ყოფილ ხელების საშუალებით და პატარა ტვინის ისე განვითარების საშუალებით, რომ კაცთა შორის გენიოსები გაისახონ (ფოხტი).

ჩვენმა მეცნიერებმა ზღაპარი აითვალწუნეს და გაუვალ ჩიხში მოემწყვრენ, როგორც ეს აღიარა აკადემიკოსმა ნიკო მარმა, ერთ ადგილზე ტკეპნიან მიწას და ნაყავენ წყალს. ამიტომ და ზღაპრის, თქმულებათა ათვალწუნებისათვის, სიძულვილისათვის, რაც მათ აქვთ ტრადიციით გადმოცემული და სისხლში გამჯდარი, მათ ვერ გაარღვიეს მწიგნობრობის ჩიხის კედლები და ვერ გავიდენ ამ აღურაცხველი მასალით (30.000 ტექსტია უკვე ჩაწერილი) სავსე მატრიარხატის ალტრუისტულ კულტურაში და შოვინიზმით გაგუდულნი ნაყავენ წყალს «ხან» მეტებზე და «დედაბრების სამკულტურის კერაზე». ჩვენ მატრიარხალური ცხოვრების აღსადგენი დაუფასებელი და მდიდარი მასალა გვაქვს ჩემს «ქართველი ხალხის მითოლოგიაში», მაგრამ ამას «ეკსორიის ქმნა» კი არ უნდა, კასტობრივი კარების ჩაკეტვა კი არაა გამოსადეგი, არამედ ბეჯითი მიდგომა და ჩაკვირვება იმ მეთოდებით, რომელნიც ხელთა გვაქვს და რომელნიც ჭეშმარიტებისთვის, რომელიც აღიარა არისტოტელმა ლეგენდებში, გვიღებენ კარებს თვით ასე აბუჩად აღებულ ზღაპრებშიაც კი.

ჩვენდა სამარცხვინოდ ისე გამოჩერჩეტდენ ჩვენი ფილოლოგები, რომ ისეთი შედევრის მთელი კაცობრიობის ინდივიდუალურ ლიტერატურაში, როგორიცაა «ვეფხის-ტყაოსანი» უგენიალურესი შოთასი, იდეა ვერ აუხსნიათ სიზუსტით და ატყუებენ არამც თუ მოსწავლეებს, ნასწავლებსაც.

«კეთილმან სძლია ბოროტსა»... სრულებითაც არაა «ვეფხისტყაოსნის» იდეა. ჩვენმა მეცნიერებმა მეცნიერული გზით სიარული არ იციან ამ იდეის კვლევა-ძიებაში და ოჩობოდოს ეტანებიან.

ეს მე მიმაჩნია დიდ სამარცხვინოდ. ამას მე ვასწორებ. დაიხედონ წინ ჩვენმა მეცნიერებმა _აკადემიაში მათი ადგილი არაა და მეცნიერების დოქტორობასაც ძმა-ბიჭობისთვის ურიგებენ ერთმანერთს.

«ვეფხვის-ტყაოსნის» იდეა მეცნიერული მეთოდის მიდგომით «სიცოცხლის კულტია თავდაჭერილი ვნებით» და არა «კეთილმან სძლია ბოროტსა»... ეს სიკვდიმდე გამტანი სურვილის (ვნების) იდეა უდრის თვის თავისებურობით (თავ-დაჭერილი ვნებით) რენესანს ევროპიელი ჰუმანისტებისას.

მაგრამ ისიც არ არის მართალი, რომ თითქოს რენესანსი გადმოიღო შოთამ ანტიკური ბერძნების ცხოვრებიდან, არც ისაა მართალი რომ ნეოპლატონიზმის ნასახი იყოს ვეფხის-ტყაოსანში».

შოთას რენესანსი აღდგენა იყო თვითან ჩვენი მატრიარხალური ცხოვრების, როცა სიცოცხლის კულტით დაიწყეს კულტურა ქართველმა პირველმა დედებმა და დაიმორჩილეს ცეცხლი, შეჰქმნეს კერა (ოჯახი) და ამოიდგეს ენა.

დიდი მასალაა ამისი თვით ქართულ ენაში და სხვ. და სხვ.

ქართველი ხალხის მატრიარხალური და პატრიარხალური ცხოვრების თითქმის არასფერი არ იციან ჩვენმა მეცნიერებმა და კორნელი კეკელიძის პირით აბუჩად იგდებენ ზღაპარს ისევე, როგორც ამას ჩადიოდა ძველი ქართველი სამღვდელოება, რომელმაც კაცის პრიმატი_დევი_აქცია ეშმაკად და კერპთაყვანური გარდმოცემანი აღიარა «ეშმაკეულთა ბორგვნილებად».

ეს იყო ექსორია ქართული ზეპირ-სიტყვიერების, ამ ხალხის კოლექტიური გენიალური ლიტერატურის და ეს აზრი სამღვდელოების ურყეველად შერჩა სამემკვიდრეო განძათ ჩვენს ფილოლოგიის მეცნიერებს. დიახ, ეს ზეპირსიტყვიერება ამოურწყავი მასალაა ძველის-ძველი ქართველების პსიხიკის, რომელიცაა აუცილებელი და აუცდენელი ნიადაგი და მასალა ბედნიერების ცხოვრების დამაარსებელ ტიპების გამომუშავებისათვის და სხვ.

ჩვენი კოლექტიური შემოქმედების ხალხი, დიახ, უგენიალესი ნიჭის პატრონი იყო, რასაც ამტკიცებს მისი ზღაპრები, არაკები, ლეგენდები. უდიდესი გენიოსთა გენიოსი შოთა ჩვენი ხალხის კოლექტიურ შემოქმედების ნიჭთან ერთი წვეთი იყო ზღვაში. ნახეთ ჩემი პარალელის გატარება მის აფორიზმებს და ხალხის ანდაზებს შორის, რომელიცაა მოქცეული «ქართველი ხალხის ფილოსოფიაში». ამაში იქ თვალსაჩინო ფაქტებით დაჯერდებით.

აქ კი ჩემს ნარკვევებს ხელს ვერ კიდებს აკადემია... ხელები ეწვება!.. ბოლი გამოდის ცხვირიდან ტივაძეს...

აკადემია სეკტანტების ბუდეა, მეცნიერთა კასტაა, ჩამყაყული არიან ჩვენი ნასწავლები თავის ძველ აზრებში: ჩვენ უნდა ვასწავლოთ ხალხს. მაშ, რისთვის ვართ ევროპიული ნასწავლებიო!? ჩვენ რა გვაქვს ხალხიდან სასწავლიო?

ამით ჩვენი მეცნიერები გამოეყვენ ხალხს, როგორც კასტა, როგორც სეკტა. ასე ფიქრობდენ ჩვენი მეცნიერები ამ რამდენიმე ათეული წლის წინ.

ახლა ნახეთ?

ჩემი შვილიშვილი თვითან ექიმის მითითებით «ბარგის ჯანაოზს» მოვარჩენინე, ექიმებმა უმაღლეს ცოდნა მიღებულებმა, როცა ხელი დაიბანეს და იმედი დამიკარგეს. ბავშვი იყო კოლიტით ღრმად დაზიანებული, ახლა ჩიტივით ხტის სამუდამოდ გაჯანსაღებული.

ბარგის წამლობამ მოარჩინა, მათ ვერა.

ეს უკადრისობა სისულელეა! ჯერ უნდა გასინჯო, შეისწავლო და მერე უნდა უარჰყო, თუ შეგიძლია. მაგრამ მერე-და ნასწავლები დაიხრიან ქედს უსწავლელთა წინაშე? ესეო-და

ხალხია! ხალხი დიდია! ამას დიდი გაგება უნდა, რომლისთვისაც თავი არ შესწევს მას, ვინც გაურბის მის კოლექტიურ ლიტერატურას, ამ გენიალური შედევრების საუნჯეს.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ბევრი ისეთი აზრია, რომელზედაც თავს ასხლავენ ევროპიელები და ვერასფერი ვერ გაუგიათ.

მათ რა იციან «დედის-გულის» ამბავი?

მათ რა იციან ალტრუისტული დედის გულის კულტურის ამბავი?

ამის ლეგენდები თავის ცხოვრების სურათხატებით ჩვენ გვაქვს ქართველებს და ჩვენი მეცნიერებიც მათ ეკსორიას უმცხადებენ! არაა სასაცინო, რომ სატირალი არ იყოს?

ფუტურიზმმა ინდივიდუალური პოეზია გამოალაყა, აბსურდამდი მიიყვანა, ენიგმეებამდი მკითხაობამდი მიიყვანა, მოსპო...

როგორც მეცნიერება, ისე კულტი, ისე ხელოვნება კულტურის დარგები არიან. როგორც ასეთი ხელოვნებაც სიცოცხლეს უნდა ემსახურებოდეს, წასწიოს წინ, გააფაქიზოს, გაასალუქოს, აამაღლოს, ააყვავოს, გააკეთილშობილოს, განავითაროს.

კულტურის ძირითადი საქმე კაცის მდგომარეობის გაუმჯობესებაა, ყოველივე საშუალების გამოყენებაა მისთვის, რომ ამ წუთის სოფელში ბედნიერებას ეწიოს კაცი და არა ის, რომ კაცობრიობა ამოწყვიტონ, როგორც ამას აქვს ადგილი ახლა მსოფლიოში.

მაშ ხელოვნებისთვისაც პირველი მიზანი, შინა-არსი სიცოცხლის მომსახურება უნდა იყოს.

ფუტურისტებმა კი გამოაფუტურეს ხელოვნური შემოქმედება_აზრი, იდეა დაუკარგეს;

ესეც არ აკმარეს_რიტმი აუბნიეს, რიფმი ასონანსზე დაიყვანეს (თითქოს ასონანსი არ იცოდეს ჩვენმა ხალხურმა ძველის ძველმა პოეზიამ:

არიქა! ამირან, ნუ მომკლავ,

პირი დაგრჩება რძიანი:

მზეთუნახავსა გასწავლი_

ამომავალი მზე არი!

აწინდელ ევროპას ჩვენი ძველის ძველი კოლექტიური ლიტერატურის ასონანსი რამდენი ათასი წლით უსწრებდა წინ?) და ეს ასონანსიც, ერთად-ერთი შემოქმედება ფუტურიზმის, აბუჩად აგდებულია, ანგარიშს აღარ უწევენ, დაკარგა მუსიკალობაც და რითმიც; ლოღიკური ხმის ამაღლებისათვის ე.ი. განსაკუთრებული მნიშვნელობის ხაზის გასმისათვის რიტმს არღვევენ, არ უწევენ ანგარიშს ესთეტიკურ გრძნობას პოეზიაში და პოეზია დაიყვანეს არეულ-დარეულ პროზასა და მწყობრობაზე_დომხალზე_უსისტემოთ, უპერსპექტივოდ.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი კრიტიკოსები თვის ადგილზე არ არიან და მათთვის აღარც თეორიაა, აღარც მეცნიერული გზა და კვალი პოეზიაში. ჩემი თვალსაზრისით ეს კარგია: ძველი პოეზიის გზა და თეორია უნდა მოისპოს, ახალი უნდა შემუშავდეს. მე ამის შესახებ ბევრი ნარკვევი მაქვს _რეალისტურ ცხოვრებას, რეალისტურ გზას ახალი წესები უნდა ძველი მასალიდან. ამისთვის დაუფასებელია და დიდ ძალ მასალას იძლევა ზეპირსიტყვიერება, კოლექტიური ლიტერატურა ქართველი ხალხის. «დედის გულის» არაკი იძლევა იმის მარგალიტს, თუ «სადა ფორმით სიდიადე» რას ნიშნავს და სხვ.

მე ავიღე ამ კოლექტიური სიტყვიერებიდან არაკი «ხელოვნური ნოხი» და გავაშუქე მაში ის ხალხის აზრი, რომ ფორმა უიდეოდ გუდაფშუტაა. ამ არაკში აშკარადაა ნაჩვენები, რომ ხელოვნება სიცოცხლეს უნდა ემსახურებოდეს. ჩვენი აწინდელი ლიტერატორები კი ისევ და მარად ზედ აკვდებიან ევროპის შოვინისტურ ლიტერატურას და მის თეორიას, თუმცა რყევაში არიან: რასაც აშენებენ, თვითანვე აქცევენ_რიტმის დაღღვევა უარყოფაა მწყობრობის. მე ამის შესახებ **დავწერე «რიტმის თეორია», ფილოსოფიური ეტიუდი**.

ჩვენს მეცნიერებს არ მოდის ჩემი მათთან შერევა ყუათში_რა მისი საქმეა მეცნიერული კვლევა-ძიება, ნუ გვეცილება, ჩვენს კასტას არ ეკუთვნისაო. ჩვენმა სამეცნიერო აკადემიამ

განუკითხველობით კარგი აბი შეყლაპა: ვერ მოინელებს_მოეკითხება. სულ ყველას აქვს თავის პასუხისმგებლობა. ეს რა კასტობია შეიქნა საქართველოში, საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მუშათა და გლეხთა მეუფებაა და სადაც მე ამ გლეხთა სულის ქექა-ძიებას შევსწირე 53 წელიწადი ჩემი სიცოცხლის და სადაც ეს დაკარგული სული მე ვიპოვე მის კოლექტიურ ლიტერატურაში, რომლის ხსენებაც არ გაეგონება კორნელი კეკელიძეს _ ზღაპრის შეურიგებელი მტერია და, აი, სწორეთ მის ხელშია ქართულ უნივერსიტეტში ამის კათედრის ხელმძღვანელობა.

არაა ეს დაცინება ხალხზე და მის სულზე?

არ არის ეს ხალხის აბუჩად აგდება ამ გლეხის და მუშის?

ჩვენმა ბელადმა მეცნიერებს აკადემიელთა გამოშვებაზე ამხილა: უნდა მოუსმინოთ მათაცო! აბა, თუ არა!?

მე ვერ გამიგია, რას შვებიან ეს ადამიანები?

მე ახალ სიტყვას ვამბობ ძველის-ძველი მასალებით, რომლის მსგავსიც არ გაუგონია ჯერ კაცობრიობას, რომელიც შოვინისტურ ნაციონალურ კულტურაშია ჩაფლული.

ამისთვის ნიჭიც შემწევს, ცოდნაც და ენერგიაც, ნებისყოფაც.

აი, რას შვება ქართული ზეპირსიტყვიერება უკანასკნელი ბოლო სიტყვით იმ საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, რომელიც დიდი ხანია დასმული აქვთ ფილოლოგებს, ამტვრევენ ზედ თავს, იხარჯება ზღვა საშუალება და დღესემი ვერ მიუყვანიათ საბოლოო და გადაჭრილ, ურყეველ დასკვნაზე:

ვინა ვართ თეთრ-კანიანები, სად არის ჩვენი სათავე და როგორ გავხდით ის რაცა ვართ?

ეს მე გამოვათენე.

ეს არაკი «ხელოვნური ნოხი»-ს გენიალური ნათელ-მხედველობით, თით-დასადებად გვეუბნება, რომ სიცოცხლის ბედნიერებას უნდა ემსახურებოდეს ხელოვნება, როგორც ერთი დარგი კულტურის.

ვინ იცის, რამდენი ხნის შექმნილია ეს არაკი?

ევროპაში კი დღესაც ვერ გაუგიათ: ხელოვნება ხელოვნებისთვის, თუ ხელოვნება სიცოცხლისათვის, კეთილი ცხოვრებისათვის?

სიცოცხლის კულტი პირველ რიგშია ჩვენს ქვეყანაში და ჩვენი მიზანია ყოველი მისი მწევრის ბედნიერ-ყოფა, რაც შეიძლება დროშემცირებული შრომით და ისეთი შრომით, რომელიც ჩვენს გულს ეზიდება და ეხალისება. ჩვენმა დედებმა მილიონ წელთა წინ შეჰქნეს კოლექტიური «რძის პურის ჭამის» ცხოვრება. მატრიარხატმა გასტანა მილიონი წლები მეოცენის ხანის დასაბამიდან დაწყებული.

ეს არაკი ძალიან დიდი შინაარსიანიც არის და დიდ აზრსაც ატარებს.

ქართული კოლექტიური ლიტერატურა ძალიან ბევრს აუხსნის და გაუხელს თვალებს არამც თუ მარტო ჩვენს მეცნიერებს, არამედ ევროპასაც და მთელ ქვეყანასაც. ჯერ არ იციან, თუ რა იყო მატრიარხალური კოლექტივი. პირველმა დედებმა დაიცვეს სიცოცხლე ჩამომავალთა და შეჰქნეს მისი ცხოვრება ბუნებრივი კოლექტიური.

მამა-კაცებმა, ამ გვიმრის კაცებმა, მამალმა ფუტკრებმა, ნაცარ-ქექიებმა დაიმისეს მისი შექმნილი ოჯახი, ბუნე (კოლექტივი), მატრიარხატი და თვით დედები ფეხქვეშ მოიქციეს.

მსოფლიო კულტურის ისტორიის მიმდინარეობას ძალიან შეესაბამება, დიდი შესატყვისია მისი, ზეპირსიტყვიერებით მიცემული კულტურის მიმდინარეობა. ბევრში, ძალიან ბევრში ხალხური კულტურა ასწორებს მას და ნათელ ჰყოფს მის შეცდომებს.

ჩემი ახალი სიტყვა მთლათ აბრუნებს ინდივიდუალურ ლიტერატურას.

რაღა თქმა უნდა, ახალი თეორია საჭიროა. შოვინიზმმა უნდა დაჰკარგოს თავისი მონოპოლია და ახალმა კულტურამ უნდა იხსნას ევროპული მეცნიერება, განათავისუფლოს ჩიხიდან.

აი რას გაექცენ ჩვენი მეცნიერები! ევროპიელებს კი ჩვენი მასალა არა აქვთ ხელში.

ჩემს ახალ სიტყვას სიძველიდან ისინი თვითან იტყოდენ და აკადემიაშიც, «სახალხო აკადემიაში»-ც და უნივერსიტეტშიც მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეესლელებოდათ. შეამოწმონ ეს განცხადება ჩემს ნარკვევებთან და ქართულ ზეპირსიტყვიერების მასალასთან. მაშინ თვითანვე დარწმუნდებიან ამაში; მაგრამ როგორ იკადრებენ ამას მეცნიერების დოქტორები და აკადემიკოსები _ ან ზეპირსიტყვიერების რკვევას, ან ჩემი ნარკვევის წაკითხვას. «ხან»-მეტის ავტორი რომ ვიყო, მაშინ სხვაა. ადრე თუ გვიან მოიხრიან ქედს ხალხის და მისი შვილების წინაშე და როცა გაიგებენ ქართველი ხალხის გენიოსობას და შეუსადარისობას კოლექტიური სიტყვიერების ახლოს გაცნობით, მაშინ ინანებენ, რომ დანაშაულობა ჩაიდინეს ხალხის წინაშე, მაგრამ დამწვარ ჟორდანო ბრუნოს ვერ გააცოცხლებენ და ვერც თავის თავს იხსნიან ჩამომავლობათა განკიცხვისაგან. მაგრამ ეს გვიან იქნება მათთვის, მე კი არ მეჩქარება _სიმართლე სიმაგრეა დაურეველი, ეს დაამტკიცა გალილეიმ ფეხის დაკვრით: თუ მაინც იმძგრევა!?

1942 წ., 5/XII.

პირველი მოქმედება

სცენა: კლდის ძირზე ქოხი, თავის დერეფნით, ჩალით დახურული. ქოხს წინ ჩაუდის სოფლის გზა. ერთი მხრით კონცხია გამოწეული კლდის და მის ძირზე გამოდის წყარო კლდიდან, რომელსაც აქვს მიდგმული ღარი. ღარიდან წყალი ჩხრიალით ჩადის როფში, რომელიც დადგმულია ნახირის წყლის დასალევად. საღამო ჟამია. მთელ კონცხს უშველებელი ხე ჩრდილავს გადასულ-გადმოსული ტოტებით. წყაროს წინ მოედანზე ქალები ზიან კლდის გამოწეულ ლიპ-ქვებზე შეჯგუფებით. ღარის ირგვლივ რიგზე მიწყობილია ჭურჭელი წყლისათვის. ვისი ჩაფულა, თუნგულა და სხვ. აივსება, პატრონი ჭურჭლით გარბის შინისკენ.

ისმის შორეული ძაღლების ძაძგანი, ხმორების ბღავილი და ჟღავი-ჟღუვი. სოფელზე მქრალი კვამლის ბუღია გამდგარი. უფრო შორს ბორცხვებში დამავალი მზე ჩანს ზაფრანის ფერით გაჯიხებული. ბავშვების და ქალების ჟღავი-ჟღუვი და ყირყიჟია. ერთი ქუჩა ქალიშვილების ზის კლდის ძირზე და ჭორიკანობს, ხანაც იმღერიან. ქოხის მეორე მხრით პატარა ბაღ-ბოსტანია.

ქალიშვილების სიმღერა:

მთაზედ ღრუბელს დაუცია ბინა...
სალოგინოდ დაწოლილა ძინა...
ამბობს: ბალის შემომბერა კურკამ...
არ იციან, გააკეთა ვინა?
ბალის კურკის შემოგოდვრაში ბავშვი
    შობა... დედას გაუჭაღარდა თავში
    თმა, მბზინავი ოქროს ფერად, ტურფა...
    ეტყობა რომ ჩავარდნილა ჯავრში.
ყმაწვილებთან გოგონები მეტად
იმანჭვიან, მათ ძინა ყავსთ... რეტად,
რომ ობოლი, უპატრონო შობა

თვის შობილის წელში გასაწყვეტად.
რამდენია ქვეყნად საძაგელი,
რომ პირს აღებს, ვით მშიერი მგელი,
რომ იხელთოს ბრიყვი ცხვარი მსხვერპლად...
და უძვრება სულში, როგორც გველი?
ტკბილი სიტყვა მწარე ნაყოფს იღებს...
სიტყვაა, რომ ამ ქვეყანას იკლებს_
დაპირება და იმედი ჰქრება...
და ძინა-კი შობით ობოლს იგებს!
ოჰ, ობლობა არის ბავშვის მკვლელი!
რამდენს მოწყდა ობლობაში წელი?
გოგონებო, ფრთხილად! ცრუობს ენა...
ცბიერია ის ორ-ენა გველი!
(რომ გაათავებენ ამ სიმღერას, ყველა გოგონა ერთხმად
გადაიკვისკვისებს, თიღქოს რაღაცის შერცხვათ და გაჭიხდენო).

კეკელა-დედაბერი (ჩაფულით ხელში):
რა საკვისკვისო შეგქნიათ, რომ გვამზე ირღვევით.
თუ ძინას იღებთ საცინად და სულში ირყევით,
თითქოს შედიხართ შურში?

გოგონებიდან ერთი: მანამ არ აუდგება გვერდი, ვინც გვწამებს
ცილს, სანამ ჩვენ არ შეგვშურდება ობლების დაყრა!

კეკელა დედაბერი: მერე მაგას კვისკვისი უნდა?
ვინც მაგას ჩადის, მიაყაროთ უნდ ქვა და გუნდა.
ეგ საფთხურია თქვენი გულის დამფეთებელი!
თქვენ შიშის ქარით უნდა იყოთ მისი მწყევლელი
თქვენ კი იცინით, თითქოს იყოს რაღაც ხუმრობა,
უჭირისუფლოდ საცოდავი ობლების შობა!

მეორე ქალიშვილთაგანი:
ჩვენ ძინას ვიგდებთ საცინად, რომ ტკბილ სიტყვებს ენდო,
კვამლით და ყარტლით ააყროლა თვის სულის ერდო...
რა სანდობია ახალგაზრდა კაცის პირობა,
როს ქიჩქინია გოგონას ის ვნებით ეპყრობა?
ის ოქროს გორებს დაპირდება თავის დამპყრობელს
და გახდის კიდეც ობლების და ოხრების მშობელს.
მაშინ მის ნდობა გოგონასთვის დამღუპველია!
მსგავსი ყმაწვილიც მის დიდედის მცდენი გველია
და ჩვენ გვაცინებს სიტუტუცე ლექსის ძინასი:
იმან დაჰკარგა გატაცებით განძი ძვირფასი:
უბიწოობა და მოიგო რა? გაჭაღრება!
ამ ცნობას უნდა სიფართოვე და გაჭაღება!

კეკელა-დედაბერი:
მაგრამ ისე კი არ მოგიხდესთ, როგორც ძინასა:
ეთამაშება ვნების ალს ვინც, ასწრებს წინ მასა!
აი, სად არის ფათერაკი: ისევ თქვენს გულში!
ერთხელვე თუ რომ გაეხვიეთ მის სიყვარულში,
ვინც გეთინთლებათ, როგორც გველი, სულ ტყუილია

მერე თავის ხსნა_ მბრძანებელი იქ დუღილია
აშლილი სისხლის...
გოგონების ხმები: მაშ, შენი თქმით უნდ ჩავიკეტოთ,
თვალი დავხუჭოთ და ყურებიც ღრმად [დავიზზეტოთ]
როცა შევხვდებით ყმაწვილ კაცებს?...
ვინ იზარალებს?
პირველი ხმა გოგონებიდან:
ვინ და ისევ ჩვენ! ჩვენ დაგვიმსებს ისევე თვალებს...
ვინც არ გვიხილავს, ისე სახლში ვინ შეგვიხტება?
ბევრი ჩვენგანი შინ ჯდომაში კიდეც მიჭკნება!
კეკელა დედაბერი: აიშვით, როგორც ძინამ... ვაი იმ თქვენს გუნებას
თუ არა, მე რა? გადაყვებით ვნებას ცდუნებას!
და ჰყარეთ ცერცვის მარცვალივით თქვენც ბიჭ-ბუჭები...
მერე ინანეთ საქმე თქვენი განაფუჭები!
(**ბავშვები ჰყვირიან:** «მოდის ნახირი! ხაბარდა!..». დატრიალდებიან ქალები. ვინ ვის ასწრებს რიგში თავის ადგილის დასაჭერად. არ ეტევიან. არის შეტევ-შემოტევა, წყევლა-კრულვა, განგაში).
კეკელა დედაბერი: ვაი შეგჭამა შენ კი მიწამ, შე უნამუსო!
ხომ გამიტეხე ეს ჭურჭელი!..
მეორე დედა-ბერი: თვალიც დაუმსო!
კეკელა –დედაბერი (გაანჩხლებული ჩანჩარუხობს):
ვის დაკარგვიხარ, კუდიანო!? სხვას ესარჩლები,
როცა თვის საქმის თავს და ბოლოს თვით ვეღარ ხვდები?
აბა, თუ აგრე უნდა, აი, ესეც შენს ჩაფულს!
(გაუშლის თავის ჩაფულას ნარჩენ-ნატეხს, რომელიც ხელში უკავია ყელით, და ბეთქავს მეორე ბებრუხანას ჩაფულას. ისიც ბუჰ! დაიძახებს და გასკდება შუაზე, ჩაიფეხვება).
ვიღაც იძახის: ეგეც ძველი და სხვა ახალი!... ნუ მოიყვანთ გულს!
(**ბავშვები გაიძახიან**: ხაბარდა! ნახირი მოდის!).
მეორე დედაბერი: რაღანც აგრეა... ესეც შენ და ჩემი ჩაფულაც!
(გაუშლის თავის ჩაფულას ნამტვრევს, სთქეფავს თავში კეკელა დედაბერს და გადაადენს თავ-თხლეს: წურწურით ჩამოდის სახეზე სისხლის ღარები. ეძგერებიან დედაბრები ერთმანერთს თმებში და მისწევ მოსწევენ. სხვები ამასობაში წამოავლებენ ხელს თავის ჭურჭელს_ვინ შინ გარბის უწყლოთ, ვინ განზე გადგება და ყურობს მათს სეირს, ვინ ჩაერევა მათ შორის გასაზავებლად. კეკელა და მისი მოპირდაპირე მამლაყინწებივით ეხჩობიან ერთმანერთს. ქალიშვილები გააზავებენ).
კეკელა დედაბერი (დასისხლიანებული და გაწეწილი, კაბა შემოგლეჯილი):
რამ ამატროვა? რათ მოვეთრი ნეტავი სულაც!?
(ქალები გარბი-გამორბიან თავის ჭურჭლით. იქაურობა დაიცლება... დარჩება სამი გოგონა, სამივე თავსაფრით პირ-აბუდნული, სამთვარისა, სამზერისა და გაგანია. კეკელაც წავა).
სამთვარისა: შელახა, გოგო! შემებრალა ჩვენი კეკელა!
მას მიესია დიდი, მცირე... ვინც იყო, ყველა!
სამზერისა: მისთვის რომ იმან პირველიდან დაიწყო ცემა...
სამაგიეროდ, ტყეპა-ცემაც ბევრი იგემა!
მის გვერდის ნეკებს ეს ცემა არ დაავიწყდება,
ის ვერ მოიშლის კბენას, სანამ არ დამიწდება.
(შემოვა სამი ჯანდაკი ხბო და სვამს წყალს როფიდან და თან ბღავიან_დედებს ელიან

საძოვრიდან. გოგოებს სიცილი აუტყდებათ მათს დანახვაზე და სიცილით იგუდებიან).

გაგანია: ეს ბიჭ-ბუჭები დაიცალენ მამაძაღლობად.
მთელი ნახირი სოფლის
იქცა მხოლოდ სამ ხბორად.
ეშმაკობაში მიდისთ სული _
გაიზრდებიან, რა იქნებიან!?

სამზერისა: აქ კი მათმა «მამაძაღლობამ»
საცოდაობა დააბრუნა_»ხაბარდაობამ»
შეაჩოჩქოლა დიდი, მცირე, შეჰქნა ხორხოზი
და ჩაულეწეს ბებრუხანას მთლად გულის კოვზი.
მე არ მგონია, რომ გადარჩეს ის ამდენ ცემას:
ვერ მივეშველეთ თავის დროზე ჯეროვნად ჩვენ მას.
რომ მოკვდეს, გულში ეს ჩამრჩება სინდისის ხიწვად.

გაგანია: მაინც საბრალომ გაგვიმართა აქ ქირდვა პილწათ
და ჩვენც იმაზე აგვიგორდა იმისთვის გული_
რაღას იზამდა ამაზე მეტს მტერი, ორგული»?
მაგ გულის ქენჯნა არც კი გვქონდა მაშინ სახეში
კიდევ კარგი, რომ სამთვარისა ისე დაიმძვრა,
მაზე შემდგარი ურდო ფეხით მის წინ დაიმგვრა
და ცოცხალ-მკვდარი ხელში მის მტერს გამოაცალა,
მაგრამ თავისი თავსაფარი მას ანაცვალა!
ახლა ასეა თავ-შიშველი და ყელ-მაღალი,
როგორც რომ გედი და თვალში აქვს მწიფე მაყვალი.
მე რომ შენ ვიყო, პირი-სახეს არ ვიბუდნიდი_
მთელს სოფლის ბიჭებს სიყვარულის ჭვალს გაუყრიდი...
ძინა დაზოგეს? თუ გვიხელთეს, არც ჩვენ დაგვზოგვენ:
როგორ აცდინონ ლამაზები სულ მისთვის ბორგვენ!

სამთვარისა (სინჯავს თავის დაგლეჯილ თავსაფარს):
სხვას აღარ ვეძებ: დაკერვაც კი არ უხერხდება
და ჩემს ურცხვობას ბიჭ-ბუჭობაც დაუფეთდება...

სამზერისა: და მეტი ჯავრიც სხვა ნულარა ნუ მოგცემია!
ერთი შენ ხარ და ეს ამხელა ჩვენი თემია!
რა ცუდს ნახავენ? და დანახვით ვინ დაგიწუნებს?
ვერ მოიწონებს შენს თითებს, თუ ცხვირს ან და ყურებს!
აი ახლაა მადლი შენი გათხოვებაცა!
ხმაც აგიჭრელდა, გიხიჩინებს ხელის შეხებაც,
მწიფე ონტკოფას დაგიმგვანდა ორივე ლოყა,
აგიბურთულდა ძუძუები და აგიჩოლყდა
გული ისე, რომ თვით კეკელას კბენია ენამ
ვერ შეგაჩერა_ მიგაშველა გულის შეტკენამ_
ეგ დედობრივი სიბრალული ვნების ბრალია_
აი, შენს თვალში შებრალების ვნების ალია!

გაგანია: ეგ მართალია: როცა ჩიტი ბუდეს იმზადებს
მაში კვერცხების ჩასადებად, ეჭვს არ იბადებს
მაში, რომ ყველას ებრალება, არც ერიდება
და შეუპოვრად ჩალა-ბულას მიეზიდება.

ვნების დროს, გველიც რომ გველია, არ იკბინება.
სამთვარისა: მაგრამ ეს ბედიც რომ არსა ჩანს?
სამზერისა: ისიც იქნება...
სამთვარის!
სამთვარისა: ბრძანე...
სამზერისა: მაშუალი რომ მოგივიდეს სოფლელი გლეხის...
ისეთის კი, რომ მშრომლად ღირდეს, წაყვები?
სამთვარისა: რატომ? თუ მომივლის და შემინახავს_
თავისი ოფლით ისე, როგორც სხვები მინახავს_
სასმელს მიშოვნის, საჭმელს, ტან-ფეხს და მოთბო ბინას,
რომ გამოვადგე გარეულსაც და ჩემსვე შინას,
სხვაზე თვალები არ ჩამომხჩეს, არ მაკლდეს გული,
შესაფერისი ტოლი იყოს, რომ სიყვარული
და ერთგულება ჩემი ჰქონდეს_მეც ვიმუშავებ,
გამრჯელობას და ოფლის ღვრას არ ვიუარებ_
მეტი რა მინდა? და ვიცხოვრებთ, როგორც გუგული,
ჩუმად, უწყინრად, გავამრავლებთ ნაშიერს სრული
სიჯანსაღითა_ ხომ მიყურებთ? ფრჩხილიც არ მტკივა.
და არც არასფერს ბედისა მეტს გულიც არ ჩივა!
სხვა რაღა არის სანატრელი და სასურველი?
მეც დამიღია პირი და ბედს, ვით მარწყვსა, ველი!
სამზერისა: მე კი ვაჭარი მირჩევნია... მომიტანს კაბებს,
მომართმევს გუნდა-ლახოსტაკს და ფერს და სადაფებს,
მომიტანს ლამაზ ქოშებს, ვნახავ უცხო ქალაქებს,
ვნახავ უცხო ხალხს, მიმავალი უცხო ალაგებს,
ოქრო და ვერცხლში ურევ ხელებს,
ბავშებს შევმოსავ ზიზილ-პიპილით...
გაგანია: საცოდაო! რაებსა როშავ!?
შენ სოფლელი ხარ და შენს კანში უნდ დაეტიო...
არ გაგიგია: მეტის მეტი, თავში კეტიო?
ხედავ სამთვარის რა ჭკვიანი, თავმდაბალია?
ფერი, ხორცი და მშვენება მას როდი აკლია_
ჩვენთან ღმერთია, მაგრამ მიწის-მუშას არ წუნობს...
მეტის ღირსია ის, მისი თქმა, აი, რას უბნობს!
შენ იმას ნატრობ, რაც რომ შენთვის მიუწვდომია.
შენ, ჩემო დაო, რომ დაგვჩაგრო, თურმე გნდომია!
სამზერისა: ნატვრაშიც კი მეხარბები... რა ამბავია!?
სამთვარისა: ინატრე, დაო! მაგრამ მერე გული დაგწყდება,
როცა, რაც გინდა, არ იქნება, საქმე წახდება...
მე კი, თუ რასმე მოვიმატებ, არას დავიკლებ
და ჩემსვე თავში ხელის ცემით სხვას არ ავიკლებ.
გაგანია: აი, ნამდვილი, თუ რომ გინდა, ეგ სწორი თქმაა,
თუმც ეს სურვილი ჩვენი მხოლოდ გუდაფშუტაა.
მხოლოდ მე ვამბობ, რომ სიხარბე არ უნდ შეგეტყოს...
სამზერისა: ახლა შენცა სთქვი: რას ოცნებობს ეგ შენი გული?
სავსე ძუძუ-მკერდს რომ გიღელვებს და გიშფოთს სული?

გაგანია: მე შევიყვარებ ჩემს შესაფერს, ვინც უნდა იყოს,
მხოლოდ ხელობა კი იცოდეს, ხელი შემიწყოს_
არ მაკლდეს პური, ღვინო, ტანი, ფეხი და ბინა...
სამზერისა: ეგ ისევ-ისე სამთვარისას სანატრელია...
ამით გეტყობა, შენი გული ხარბი, ტრელია...
შენ ეცილები ბედში ჩვენს დას, სამთვარისასა!
იქ ჩემიც ბრძანე ხოლმე, როცა სთქვამდე თვისასა!
სამთვარისა: ჩვენი საქმეა, რომ შევირთოთ ხელობის მცოდნე:
ხელობა ჰქონდეს ერთი და მეც მასთან ჩამოვდნე!
უხელობო კაცს, უქმ მარჯვენას მე არ წავყვები,
თუნდაც რომ მთაზეც ალაჯებდეს მისი ბაყვები...
უშრომი ლუკმა და უოფლო უგემურია.
მე სიცოცხლე და მასთან ოფლის დენაც მწყურია.
გაგანია: მერე-და მიწის-მუშაობა რა ხელობაა?
სამზერისა: მიწის ხელობის მცოდნე ძველთაგან ქართველობაა.
მიწის ხელობა, აი, რაა: ხვნა, თესვა, მომკა...
რძის –პურის ჭამამ და ღვინის სმამ იცის თვით როკვა...
გაგანია: ხელობა უნდა ხელოსანსა_მჭედელს, თუ ხარაზს,
ჭონს, თუ დერციკსა... რა ხელობა უნდა, მაშ, ბაზაზს?.
სამზერისა: ყველას თავისი ხელობაც აქვს, ვინც რომ მუშაობს...
გაგანია: ვაჭარსაც?
სამზერისა: დიახ!
გაგანია: მღვდელსაც?
სამზერისა: დიახ!
გაგანია: ვეპუ!
სამზერისა: აბა, რა?
სამთვარისა (სამზერისას):
ჩვენ ტყვილა ვურჩობთ... გაგანიამ წელში გაგვხარა:
ხელობა უნდა ხელოსანსა... მეც ვეცილები...
მეც ხელოსანის, ერთად ერთის ცოლი ვიქნები...
გლეხი ყმა არის_ბატონისგან წელში გამტყდარი.
შენც გეცილები, მოქალაქე მინდა მეც ქმარი.
რა კაცმა ერთი ხელობაც არ იცის_ბარგია
სხვისი მარჯვენის_ამ სოფლისთვის ის არ ვარგია.
გინდა ბატონი დაარქვი, გინდ მღვდელი, ვაჭარი_
თვით მიწის-მუშა თავისათვის რომ აღარ არი?
და ხელოსნობას არაფერიც აღარ სჯობია_
იმისი ოფლი მის ოჯახის შემამკობია!
მე ხელოსანი მირჩევნია ვაჭარსაც, მღვდელსაც
და თაყვანსა ვსცემ ცოდნით –მოსილ იმისსა ხელსაც!
გაგანია: აი, სამზერის! ხომ გითხარი? ჩემი სჯობია_
რა მოხელეა აქ ურჩობა, შენ-ჩემობია?
ხელოსანი სჯობს და ქალაქი...
სამზერისა: მერე რა ჰქენი?
რაც რომ დაჰკალი, შე კვაჭიავ, თუ ვერ აჰქენი?
გახდი ხელოსნის, მოქალაქის ცოლი თუ ვერა?

შე საცოდაო, გელის მხოლოდ ამ სოფლის კერა!
(წაუქიმანჩებს ალერსიანი ხუმრობით თავში.
ამ დროს შემოდის გადაცმული ახალ-გაზრდა მეფე ზურგზე ჯიხვ-აკიდებული, მხრებზე შვილდ-ისარ-კაპარჭ მოდებული. მოვა და მოიხსნის ტვირთს ღართან, დააწყობს კლდის გამოწეულ ლიპებზე და ჩამოჯდება მძიმე ამოოხვრით).
მეფე: ქალიშვილებო! მასვით წყალი _ ერთობ მწყურია!
ასეთი შრომა უნაყოფო, უმადურია:
მთიდან მოტანად შინ არა ღირს, დევა მეტია...
ასეთ შრომაზე ვინც დროს კარგავს, მართლა ცეტია!
(ყველას მოასწრებს სამთვარისა _ აავსებს ჩაფულას და ხელში მოხდენით დაჭერილიდან მოუწოდებს წყლის დასალევად ყმაწვილ-კაცს).
სამთვარისა: მობრძანდით, მგზავრო! მოწოდება ღვინისაც უნდა
უცნობელ სტუმარს...
მეფე: არ იშურებთ, გული დარწმუნდა და
წყალსაც ისე მივიღებ, ვით მაღლარის ღვინოს.
ამოსაღებათ არ გაგიშვებ, არა გეტკინოს!
(მივა დასალევად და რომ შეხედავს პირ და პირ დამდგარს სახეში... წყლის დალევა გადაავიწყდება, გაშტერდება და წაბანცალდება... ბნედა ეცემა მისი სილამაზით და მოჯადოვდება. ამას მაშინვე იგრძნობენ სამივენი. იმ წამსვე შურში შედიან სამთვარისას ამ გამარჯვებით გაგანია და სამზერისა და საჩქაროზე ჩამოიხსნიან მობუდნულ თავსაფარს პირისახიდან. ამას გაიგებს, რატომ ქნეს, სამთვარისა და ისე გულ-ამოფსკვნით გაიცინებს, რომ კიდე უფრო ბნედას მართებს მეფეს. როისღაც მოიკრეფს ძალ-ღონეს პირტიტველა მეფე და სვამს ხარბად წყალს ჩაფულიდან, თანაც უფრო და უფრო ჩაეწოვება სამთვარისას თვალებით თვალების მზერაში. სამთვარისა ძლევა-მოსილად გრძნობს თავს. წერწეტა წელში გასასწორებლად შეირხევა ისე, რომ მისი ამოძრავებული გულ-მკერდის, თეძოების დანახვაზე ამოიოხრებს და ძალა-წართმეული მიასწრებს კლდეზე ჩამოჯდომას).
მეფე (თან თვალებს ვერ აშორებს, თანაც...): გმადლობ, ქალწულო,
რომ მომასწრე და მაზიარე)... ერთობ მოვიშვი...
დღეს ძალიან ბევრი ვიარე...
და ისიც ტვირთით... ვერ დავტოვე... ნაშრომი იყო.
არ გადავაგდებ, ვსთქვი, გინდ გზაში რომ დავი...[დავიმანო....?][დავიმიწო....?]
და მომაქვს...
სამთვარისა: ერთობ ვაშკაცურად გარჯილხართ, მაგრამ
ავად რომ თავი გაიხადოთ გაფიქრათ მაგ რამ?
მართალია გაქვს ვაშკაცური შეხედულობა,
მაგრამ სახეზე გეტყობათ, რომ ბრძანდებით ქორფა,
სათუთი... თქვენში ძვალი ჯერ არ გამაგრებულა...
საულაშეზე ღინღლიც ჯერ არ ამწვანებულა
და წელს კი იწყვეტთ... მოერიდეთ_დაიჩაგრებით...
მეფე: რომ დაგიტოვოთ?
სამთვარისა: დიდად დიდი კმაყოფილებით!
ჩვენ შეგინახავთ ისე, როგორც ორივ თვალის ჩინს...
გაგანია: აი, ეს ქოხიც ამის მამის!
მეფე: იქნებ მამას წყინს სხვისათვის თავის ტკენა?
სამთვარისა: სტუმართმოყვარე არი:
ვის გაუგდია ქართველსა კაცს კარში სტუმარი?

მეფე: ნაძალადევი ისიც მტერზე უარესია...
რომ არ ვესტუმრო ასეთსა კაცს, უკეთესია...
რათ შევაშფოთო იმის სულის წყნარი მშვიდობა?
რათ გადავაცხო დარდად ჩემი შეცდომილობა?
მოთბენაა და სულგრძელობა მაშინ საჭირო:
რა ნება მაქვს მე, ჩემი მკვდარი უცხოს ვატირო?
(უეცრად მეფე შეკრთება და შესდგება: შემოდის, სრულებით მოულოდნელად, მისი ვეზირი. ქალიშვილები საჩქაროზე აიბუდნიან პირებს_შერცხვებათ პირშიშვლად მეფის წინაშე დგომის. ორი _გაგანია და სამზერისა პირშებუდნულები დაავლებენ ხელს ჩაფულებს და გარბიან შინისკენ. მესამე_სამთვარისა პირს ვერ იბუდნის, მაგრამ დახვეულ თავსაფარს იდებს პირზე, წამოავლებს ხელს თავის ჩაფულას და ისიც გარბის ქოხისაკენ_უენოდ მძიმედ დაუკრავს თავს მეფეს და ვეზირს გამომშვიდობების ნიშნად. მას მიადევნებენ თვალს. ისე დაფრთხებიან სამივენი, როგორც მტრედები შევარდენის ჩამოქროლებაზე).
ვეზირი: რატომ გეწყინათ ჩემი მოსვლა? რა დავაშავე?
(მეფეს) თქვენ-კი ბატონო! თქვენი ნახვა შეიქნა მწვავე.
სად არ ვაფრინეთ მაძებრები?_ დაგიგვიანდათ...
თანამხლებლები და მცველები არავინ გყავდათ
და დედა-თქვენიც შიშისაგან გადაირია...
მეფე: ამათ ნახვასთან ეგ ლექსები რა შაირია!?
მე თავ-ბრუ მესხმის, მოვჯადოვდი... აქ მიცემს გული,
ყელში მომდგარი, სანახავით განცვიფრებული:
რა ვნახე მე ეს? შენ კი როგორ მოგეჩვენა ის...
არ არის ტურფა მშვენება თუ ამა ქვეყანის,
რომლისა მსგავსი არასფერი დაიბადება!?
რა სიცხოველე, სიმალხაზე, რა ბრწყინვალება!?
რა ღიმილი აქვს, რა ჩამოსხმა მოყვანილობის!?
შესხივებაა სიტურფისა და ვნების ტრფობის.
ციცინათელა ტრფიალების უელავს თვალში
და მეც დავიწვი, დავფერფლდი მის ელვარებაში.
სადედოფლოა მაგის გედის დინჯი (დივილი)
მწიფე მაყვალზე შავი მზერა იმისი რწყვილი
რა მსხვილებია, რა მეფური მიხედვ-მოხედვის!?
მის შეჩერების აღარ მქონდა ძალა შეხედვის.
მინდოდა მზერა...
ვეზირი: და მობერვა გრძელ წამწამების...
მეფე: დაპატრონება პაწა ბაგის, ჭუპნა_ღაწვების,
სადაც ველის ვარდს მისი ვნებით დაუკვნესია
და ზედ ფურცლები ხავერდივით გადუტკეცია...
ყელში ბულბული უჭიკჭიკობს_გაზაფხულია_
სიცხეს იძლევა სასიცოცხლოს_სიყვარულია!
ჩემი ბიძა ხარ... გინდა ჩემი ბედნიერება?
აი, ამ ქოხში არის ტურფა-მშვენიერება!..
სიცოცხლეში ეს ორჯერ როდი განმეორდება...
წაიღებს ჩემს გულს და სიცოცხლეს, თუ განმშორდება.
ლანდი დავრჩები მე, აჩრდილი... ის ... უსულგულო,
გაუქმებული ვით ტაძარი უღვთო, ურჯულო...

ვეზირი: მოიცა, კაცო! შენზე ნაკლებ არც მე მომხიბლა,
მაგრამ მაგარი ის არის, რომ ეგ ერთი ხილვა
არ კმარა, არა! მეორეთაც თუ მოგვეწონა,
მაშინ ის ოქრო ეღირება თვით თავის წონა!
მაშინ სხვა არის... მაგრამ ეს ხომ შენი მრევლია?
რა გაქვს სადარდო, მიუწვდომი? რა სიძნელეა?
შენს ხელში არის შენი ბედი... ნუ აჩქარდები!
თუ აგრე ჰქენი... აჩქარებით შენ გათავდები
და საბედოც და შენი თავიც დაგავიწყდება,
საბრალო გული შფოთვისაგან რა დამიწდება!
მეფე: მაშ, რა ვქნა?
ვეზირი: მეფის სიდინჯე და მოთბენილობა_
გულში გაქაფვა სისხლის, გარეთ კი გულგრილობა...
ვინ გეცილება?
მეფე: იქნებ უკვე დანიშნულია!?
ახალგაზრდობა სოფლის ნუთუ მთლად ყინულია?
ნუთუ მე ერთს მაქვს ცხელი გული და მჭრელი თვალი?
ასეთი არის ჩემ ხნის ხალხი აქაც მრავალი.
სადაც თაფლია, იქ ბუზიც არ გამოილევა,
ვინ იცის მაგის გულისათვის ვინ სად ირევა?
ბაყაყის კანში მოქცეული მშვენებისათვის
მე არ ვიკადრებ, რაც იკადრა მეფემ ყმისათვის:
ცოლი წაართვა, გაუსაჯა საიქიოში,
ადრევ ჩემსვე გულს მე ჩავახჩობ ჩემსვე ცივს გონში!
მაშ სანამ საქმე წახდებოდეს, თუ არ წამხდარა
უნდ მივეშველოთ... მოლოდინი დინჯი არ კმარა_
აცა, რა მოვა... როცა მოვა, მერე რა გინდა?
სხვას შევეშურო? უნდა გავხდე მე არაწმინდა?
ვეზირი: მაშ, რა ვქნათ?
მეფე: აგერ, შენ ვეზირი, ჩემი მარჯვენა!
აამოძრავე დაძაბულად გონი და ენა;
აგერ, ქოხი და, აგერ, მისი ტურფა მშვენება,
აგერ ოჯახის მამისა ხმაც, ხმა უმფროსული_
რაღაცაზეა, როგორცა ჩანს ის გულმოსული_
ნახე და კიდეც შეგნებულად მიშუამავლე,
სანამ დრო არის; თუ არ არის გვიან, ამავლე
განსაცდელს, თორე მერე თვით შენ შეგებრალები,_
ჩამიცვივდება როს კვინიხში ორთავ თვალები.
ვეზირი: დედას არ ვკითხოთ?
მეფე: დედის გული უფსკრული არი:
რაც გაახარებს შვილს, ის არი დედის სიზმარი!
ვეზირი: მაშ, კარგი!.. (წავა, შეიჭრება დერეფანში და მიაკაკუნებს ქოხის კარებზე).
აქეთ, მასპინძელო!
შიგნიდან ხმა: ვინა ბრძანდებით?
ვეზირი: მოგვხედეთ კარზე! (გამოაღებს კარს და გამოყოფს თავს მკლავებ-დაკაპიწებული, კალთებ-აკეცილი ხელში საკეცით სამთვარისას დედა _ ეტყობა იჯრას ადგია).

სამთვარისას დედა: რას გვიბრძანებთ? შინ შემობრძანდით!
ვეზირი: ოჯახის მამა შინ ბრძანდება?
სამთვარისას დედა (მიტრიალდება): გამოგიგზავნით.
(ოჯახის მამა მოადგება კარს. შუახანზე გადასულია, როგორც მისი ცოლიც, ახოვანი ყაზახია გრძელ წვერ-ულვაშა, ახალუხის ამარა).
ოჯახის მამა: ახლა კი მოვხდი ჩემს მოგუდულ ღვინის
ქვევრის თავს_
ავლადიდებას სტუმრის მიმართ იგი შეიცავს.
შინ შემობრძანდით...
ვეზირი: თქვენი ქალის ვარ მაშუალი.
გათხოვება ხომ ქალის არის გარდაუვალი?
ოჯახის მამა: თან უნდა წავყვე,
ვინც ერთად-ერთ ჩემს ქალს შეირთავს.
რა საჩქაროა? გასათხოვი ხომ მე ბევრი მყავს!
მე იმის მეტი მსმევ-მომვლელი ვინ მაბადია?
ვეზირი: ერთი ათასს სჯობს, თუ ვარგია, ცხადზე ცხადია.
მე მინდა, შენი ქალი დავსვა რომ მეფურ ტახტზე.
მე ვლაპარაკობ ბოდვას არა, მეფეზე ნაღდზე.
მეფე მაგზავნის, შენი მეფე, შენს ქალს თხოვილობს.
დიასახლისი (კარიდან გამოაკვეტებს თავს):
საბრალო სიტყვას საპასუხოს ვეღარ პოვილობს!
ოჯახის მამა: რომ გამეხარდეს ეს ამბავი, რა აუგია?
ქოხში მობრძანდით...
ვეზირი: მეფე _ სიძე! რა ურიგოა!?
დღეს თუ ვეზირი მისი ბიძა ვარ, ხვალ შენ იქნები.
საქვეყნო საქმის ავს და კარგში გამოიქნები.
(დიასახლისს) შენ, დედოფალის დედა, ისე გაფუფუნდები,
ამ შენს ქოხისკენ, ვგონებ, სულაც არ დაბრუნდები.
კეთილ-დღეობაც წუთისოფლის დღეს იმაშია,
ვისაც აცვია და ახურავს, ვისაც არ შია...
მაგ თქვენს ყოფაში, საცოდავნო, აბა, რა ჰყრია.
მიწის მოძვრაში, ხვნაში, თავი დაბლა წაგხრია...
ოჯახის მამა: მე მგონია, რომ მატუტუცებთ: სად მეფე, სად მე?
განა მანამდიც კი მივიდა დღეს ჩემი საქმე?
ვეზირი; ბედის საქმეა...
დიასახლისი: ბედის საქმე ურყეველია...
ვეზირი: ეგ ბავშვმაც იცის... ეგ ამბავი ძველის ძველია...
აბა, თქვენს ქალსაც დაუძახეთ: რას იტყვის ისა?
ვგონებ, მან თვისი ბედის-წერა თვით განიმტკიცა.
ახლა აქ იყო თვის ტოლებით... მეფესთან ბჭობდენ
რაზედ, არ ვიცი, მაგრამ მეფეს ერთობ ართობდენ.
შინაურულად ბაასობდენ...
დიასახლისი: თქვით აქ ბრძანდება მეფე ბატონი?
ვეზირი: წყაროზეა... გვაგვიანდება...
თქვენს პასუხს ელის... გამოგვგვარეთ აქ თქვენი ქალი.
მანაც გაიგოს, რომ მეფის ვარ მე მაშუალი,

იმისი ბიძა და ვეზირი აქ მოგზავნილი.
გაბედნიერდეს, ერთობ მინდა, მე თქვენი შვილი!
დიასახლისი: ქოხში არ არის... განისკრიდან გავიდა კარში,
რომ მოიყვანოს ნახირიდან თვის ნოთა ძროხა.
ახლავე მოვა... შენ გადიცავი სტუმართან ჩოხა...
შენ, ბედნიერი ქალის მამავ! _მეც ვაჯენ ჭადებს...
პრასი და ჭადიც კეთილ გულთან ჩვენც გაგვახარებს.
ვეზირი:მაშინ ასე ვქნათ: დერეფანში გავშალოთ სუფრა
და მოვიწვიოთ თვითან მეფე... გნებავსთ მე უთხრა?
(მიიხედავენ ღარისკენ, მეფისკენ და ხედავენ, რომ სამთვარისა და მეფე იქ უკვე შეყრიან ერთმანერთს და ლაპარაკობენ_ ნოთა ძროხა როფში სვამს წყალს).
ნუ შეუშლით ხელს... თავის ნებაზე იმუსაიფონ,
უკეთესია, ერთმანერთი ახლოს გაიცნონ...
სითაც წავლიან მოყვარულნი, გზა დაებნევათ
აგერ, ერთხელა მოუყრიათ თავი!... არ ხედავთ?
ეს თილისმური სიყვარულის ჯადოქრობაა_
შორს გარბოდენ და მაინც ისევ არიან ერთად,
რომ ერთმანერთი აქონა და ადიდონ ღმერთად!
(ოჯახის მამას მოუტანს დიასახლისი ჩოხას, ისიც გადაიცვამს, გამოიტანს ქოხიდან სამფეხა სკამებს და დასხხდებიან დერეფანში).
ოჯახის მამა: მე მგონია, რომ სიზმარში ვარ_ ჯერაც არ მჯერა,
რომ თვითან ბედიც იმოდნობას ვერ იზამს, ვერა,
რომ ჩემი ქალის დედოფლობა ვიხილო თვალით,
მაგრამ თქვენ კი, თქვენ, არ წაწყვდებით თქვენ ჩვენი მადლით,
რომ სასწაული ეს გამიხდა მარად ოცნებად,
თვით სიცოცხლეში სიზმარისაც გასაცოცხლებლად.
ვეზირი: ეგა ჰქნა თქვენი ქალის სახემ, იმა პირმანგმა
დაათრო ჩემი მეფე, როგორც შესმულმა ბანგმა.
ყმაწვილი კაცის ოცნებაში სასწაულია...
ოიჰ, რას არ იქმს, როცა იგი გაღალულია!?
ასევე იყო თვით ეთერი...
ოჯახის მამა: გამიგონია...
ვეზირი: ქალი ხატია მშვენების და კაცი გონია...
მშვენიერება და გონება როს შეერთდება,
იქ მომავალი თაობების საქმე კეთდება:
ის არის ჩვენი უკვდაობა სადიდებელი_
განვითარება, გაკაცება მაღლა მწეველი.
ახლა მე ვიცი, რომ ისინი იქ წყალსა ნაყვენ,
ქათინაურის შარავანდედს შუბლებზე არტყმენ,
როგორც თავქალა-გოურჯელას, ან ჩაბალახებს,
როგორც იალბუზს ყაჭის ფთილად ღრუბლებს და ჭაღებს,
რაშიც ჰპოებენ სიყვარულის მშვენიერებას,
როგორც მგოსნები... ეწევიან ბედნიერებას...
აი, რა არის სიყვარული ქვეყნად პეპლური,
საოცნებელი, შემამკობი კაცის მეფური!
მე კი მიჩქარის სასახლისკენ გარემოება_

დაბნეულია მეფის დედის ჭკუა-გონება...
მეფეს გარდექცა ჩვეულებად შორს ნადირობა
სულ მარტოდ მარტოს, მის დედას კი ეს მარტოობა
სულსა ხდის: გული ედაგება შვილისთვის დედას.
რომ იგვიანებს ორ-სამ დღესაც, ჰგვრის მის გულს ბნედას.
ახლაც ამგვარი სულის კვეთის ყოფაში გველის,
ეს კი აქ ტრფიალს ლამაზ-ლამაზ სიტყვებით შველის.
(ხმა-მაღლა):
ან მად მიგვიხმეთ, ან მობრძანდით, რომ მოვათაოთ
ჩვენ ჩვენი საქმე და დედა –თქვენს იქ მივახაროთ.

(მეფე მოდის, თან მოჰყვება განზე თავის ნოთა ძროხით სამთვარისა. დატრიალდება დიასახლისი და საჩქაროზე ხბოს გამოაგდებს ქოხიდან, მიეშველება ქალს და ისიც წველის ძრახას: თქრიალი გაუდის რძეს ჭურჭელში.

(მეფის მოსვლაზე წამოდგება ზეზე ოჯახის მამა და ვეზირი)

მე მგონია, რომ თქვენი საქმე მოპირულია_
თქვენს ბედ-იღბალზე შეთანხმება ჩვენი სრულია.
ახლა საქმეა დარჩენილი სადედოფლოზე:
რას იტყვის იგი თავის ბედზე და საიღბლოზე?
საქმე არ გვითმენს_თქვენი დედა საკირეშია:
მისი სიცოცხლე და სიკვდილი დღეს თქვენს ხელშია.
რას იტყვით, ნახეთ? ხომ მეორეთ?

მეფე: უკეთესია!
გულის ჭვალები უფრო მწვავედ შემომესია!

ვეზირი: გასაკვირალი საქმე არის ვერც გაუგიათ:
ტრფობა ტკივილზე რატომა და ვის აუგია?
(სამთვარისას) თქვენ, ჩემო შვილო, აქ მობრძანდით...
ჩვენ გვეჩქარება.
ძროხის მოწველა ცოტა მერეც კი მოგვარდება.

(სამთვარისა მიანებებს წველას თავს. კალთებ აკეცილი და მკლავებ დაკაპიწებული ახდილი პირისახით წარმოდგება წინ, როგორც განგებ გამოხვეწილი ძეგლი მოუშორებელი ღიმილით. იმან უკვე იცის შინახმით, თუ რაშია საქმე. გახარებულია _ ძლევა-მოსილობით).

აი, მეორეთ მეც ვნახულობ_ძეგლია სრული,
წმინდა სანთლიდან ჩამოქნილი და ჩამოსხმული,
იის ფერი აქვს მოჭერილი ანთებულ თვალში,
ისიც ტრიალობს მოვარვალე ტრფიალის ალში,
ვნება-სურვილი უკიაფობს ციცინათლებად,
ძუძუ-მკერდიც კი უტორტმანობს არა ნაკლებად.
ეს შობილია დაბადებით სიცოცხლის შვებათ,
შენი გვირგვინის სასახელოდ, ქება-დიდებათ...
რას იტყვი? საქმე გადავწყვიტოთ?

სამთვარისა: რომელი საქმე?
დაბნეული ვარ... რას მიბრძანებთ მაგ კითხვით აქ მე?

ვეზირი: მოგწონთ ეს ვაჟი?

სამთვარისა: მერე მე რა ვქნა, რომ მომეწონოს?
გაბედულება ვაჟისაა... ვაჟმა იგონოს...
მე კლდემამოსა თავსაფრითაც ვერ შემიღობავს...

ნამუსი მტუქსავს, ნამუსი მგლეჯს, ნამუსი მქოლავს!
ვეზირი: ვერ ხვდებით ისეც, თუ რაშია აქ თქვენი საქმე?
ვერ ხვდებით თქვენთვის საბედნივრო რაც გულში მაქვს მე?
რას იტყვით: გინდათ ქმრად ეს ვაჟი?
სამთვარისა: (ჩაფიქრებული თავისთვის) მინდა თუ არა?
რა ხელობა აქვს?
ვეზირი: (თავ-მოწონებულად): მეფე არის... საქმედ ეს კმარა!
სამთვარისა: ვერ გამიგია, მეფობა რა ხელოსნობაა?
ხელობა, აი, დერციკობა, მკერვალობაა,
ჭონობაა, თუ ხარაზობა... მეფე ხელოსნად
როდის ყოფილა და სად? მე არ გამიგონია!
ვეზირი: ეგ უბრყვილობა შენი გულის მოსაწონია,
ვით უდიდესი უბრალობა და სადაობა...
მაგაში არის უწმინდესი ყმაწვილქალობა...
თუ ხელობაა მეფობა არც გაგიგონია! _
მიძინებული და უმანკო შენი გონია...
მეფეა დიდი განმგებელი ქვეყნის საქმისა.
უუდიდესი ხელობაა ნიჭის აქ მისა.
სამთვარისა: პირველად მესმის!... მეფე ტახტზე რომ გადადენონ,
ვინ შეინახავს? ხომ შიმშილით უნდა დასეტყვოს!
რა ცოდნა აქვს მის მარჯვენს, რომ ის მან შეინახოს
და მეფობისთვის სრულებითაც აღარ ინაღვლოს?
ვეზირი: რა დიადი ხარ, უმანკობავ, სისადავეში!?
ეს უვიცობა მაღლა, მაღლა მეწევა მხრებში!
უუდიდესი ხელობაა თვითან მეფობა!
სამთვარისა: თუ აღარა აქვს ეგ სამეფო, რით მოეწყობა
ამ წუთისოფელს თავის შრომით, რომ აღარ მოკვდეს?
არც იშიმშილოს, თვისი ოფლით რომ საზრდოობდეს?
ვეზირი: ამან რა იცის ხალხის მართვის ძველი ხრიკები?
მოტყუილება, გონის ჩმახვით და ლიკლიკები!?
ეგ უვიცობა კმარა თვით თქვენს გასაღმერთებლად.
ოჰ, ასეთები რომ დღეს გვყვანდენ ჩვენ მმართველებად!
მეფე: მაშ, მეფობაა, რომ უდგია წინ შეერთებას!?
ვეზირი: ასე ჩანს...
სამთვარისა: დიახ, შეჩვეული ვარ ხელით კვებას...
მე ვერ წავყვები, ვინაც თავის ხელით ვერ მკვებავს!
ასეთი კია ხელოსანი!..
ვეზირი (ხელებს გაშლი-გამოშლის): როგორღა გნებავს!?
მეფე: ქალწულის აზრი, მე მგონია, აზრიანია_
თუმც უბრალოა, მაგრამ მაინც ის ჭკვიანია.
დიახ, მეფემაც უნდ იცოდეს ერთი ხელობა,
როცა არ კმარა მის მართვაა, თუ მის ქველობა.
მე ვეთანხმები მთელი გულით მოთხოვნილებას
და ავასრულებ კიდეც სატრფოს ამ მაღალ ნებას:
მე შევისწავლი ერთ ხელობას, ჩემს ნახელოვნარს
მას მოვაწოდებ, შეამოწმოს, როგორც სახსოვარს,

თუ მოიწონებს, დავქორწინდეთ... სხვა რაღა გვინდა?
პირობა მივსცეთ ჩვენ ერთმანერთს და ამ თქმას წმინდა:
ამიერიდან სხვის სწორობა აღარ ვიფიქროთ,
სანამ პირობის შესრულება არ განვიმტკიცოთ.

(აქედან და იქიდან ისმის მოწონების ჰო! ჰო! ჰო! მხოლოდ სამთვარისა შეიკავებს თავს).

მეფე: თქვენ კიდევ სდუმხართ...
ეს ვერ არის კარგი ამბავი_
როგორ არის რომ შეიკავეთ
თქვენ თქვენი თავი?
იქნებ მე სულაც არ მოგწონვართ?

სამთვარისა (თავდახრილი მორცხვობით): მომწონხართ დიდად,
მაგრამ თავსაფრის დახევა დღეს დავიდე რიდად:
კეკელას შველამ მიქნა მე ის, რომ პირი მომხსნა...

მეფე: მაგ პირის მოხსნამ მე მომხიბლა და ამაოცნა
და ეს რაც მოხდა, მოხდა მისით_მაგ პირი მანგი...
არის ამ სულის გამღალავი სასმელი ბანგი...
ახლა ვეცდები, თქვენი ნება რომ შევასრულო.
და თქვენს წინ დავდვა ჩემი გული, სიცოცხლევ, სულო!

სამთვარისა: ვაი თუ ბანგმა გაიაროს და პირი მანგი
დაჰქრეს...ვერც გავხდე ამის მერე მე მეფის მარგი!
და...

მეფე: მიგატოვო!? მაშინ დედაც შემერთოს ცოლად!
ეს ფიცი მქონდეს თქვენს წინაშე მე წინამძღოლად!

ვეზირი: თქვენ რაღას ეტყვით საპასუხოდ ?

სამთვარისა: თავზე მანდილი
კიდეც დამწვია, დამდაგვია, თუ რომ ნამდვილი
ბედნიერების შარავანდით მე მეფის თავი
არ დავამშვენო, ერთგულებით ის შესამკავი,
თუ რომ პირობას შემისრულებს ხელობის ცოდნის_
თავის მარჯვენას ჩემს საამოდ მტკიცედ გამოჰქნის!
მაშინ იქნება მეფე ღირსი თავის მეფობის
და მეც მექნება სიხარული მის მუდამ ტრფობის.

ვეზირი: აი, ახლა კი შეთანხმება ჩვენი სრულია
და შეთანხმებაც ძველთაგანვე ჩვენი რჯულია.
აბა მივდივართ: დედა-შენი ზის ნაკვერცხლებზე...

მეფე: (სასიმამროს) ნანადირევი მოათრიეთ...
მე იმას მხრებზე აღარ მოვიდებ... რაც ვათრიე, ჯავრად მეყოფა.

სამთვარისა: ვერ გამიგია: როგორია ეს ჩემი ყოფა?
ძლივს შერიგება მოვახერხეთ... ახლავე მტოვებთ...
ჩემს ნახელოვნარ ყველს მოგართმევთ... ცოტას მადროვეთ...
მე საჩუქარი მეფისათვის მაქვს და მრცხვენია_
მცირე რამეა, უმნიშვნელო_მაგრამ ბრძენია_
აი, ეს ფინა, გოშიაა ალი ღმერთისა...
ეს ერთგულობის ნიშანია მეფის ერთისა!
სანამ გექნებათ, მეც ერთგული ვიქნები თქვენი,
მაგრამ ფრთხილად კი შეინახეთ ეს ჩემი ძღვენი.

მეფე: თქვენ შეინახეთ ძუძუებთან ეს ჩემი დანა...
თან იქონიეთ, როგორცა მე მუდამ გულთანა...
ეთერის არის ნაქონი ეს, მარწმუნებს დედა,
რომ ძველის-ძველი ხელობაა, ეტყობა ზედა.
დიასახლისი: მეც მომითბინეთ ორი წუთი _ არ დავზარდები,
მე კვიწიალსა _ უკვე მზათ მაქვს ცხელი ჭადები.
ოჯახის მამა: მე კი მინდა სულ სამი წუთი, რომ მოგუდული
ბადაგი ღვინო გავაჩინო _ კეთილიც გული...
(ყველა დაკვიწიალდება).
ვეზირი: ოჰ, რა კარგია ეს ცხოვრება სოფლური, სადა,
გაშლილ ჰაერზე მე გამეხსნა ჭადისთვის მადა.
მეფე: აწი აქ ყოფნა ნეფე-ბატონს არ მოყირჭდება,
სხვაგან წამსვლელსაც, სული აქეთ მოეზიდება!
ვეზირი: ჩვენც ფეხს ნუ დავკრავთ სოფლის ხალხის გულითადობას.
სამწვადეები მივაწოდოთ მათს მასპინძლობას.
(მოათრევენ ჯიხვს და ატყავებენ)
მეფე: აჩქარება ჩვენ, ბიძა ჩემო, გვანანებინებს:
თვით დედაჩემიც, როს დაცხრება, შანსა მოგვიგებს!
ვეზირი: მაშ, ვახშმად დავრჩეთ... თავს ამოყოფს მთვარეც ბორცხვებში
და მის ნათელზე ჩვენს გზას გავყვეთ მთა და გორებში.
ცა მოწმენდილი, ქვეყანა კი დამშვიდებული,
ვარდობის თვეში კი ბულბული აღტყინებული
ციცინათლების ზრიალი და მთვარის ოცნება...
მდინარეს სარკე ისეთი, რომ ზედ ეკოცნება...
ეს ყოველივე მოტრფიალის სულს ისე აშლის,
რომ...
მეფე: მთა და გორას ვით მთვარეულს თითქოს შემახლის?
მაშ, დავრჩეთ ვახშმათ _ დედის გული ერთობ ჩჩვილია:
მის შვება-ლხენა ნაპოვარი ერთი შვილია!

(ფარდა) 1942 წ. 22/ XI.

მეორე მოქმედება

სცენა: მეფის ციხეში დარბაზი.
მეფის დედა და მისი ძმა, ვეზირი.
მეფის დედა: მე შენ დამღუპე! ერთის მეტი მაინც მყვანდეს სხვა!?
ვეზირი: როგორ? მაგ სიტყვამ მოადინა ჩემს თავში რეხვა!
უფრო დიდი დიდი და უფრო მწვავე, ვიდრე თვით სეტყვა.
ნეტავი რამე ან მეფიქრა ცუდი, ან მეთქვა!?
რა ბრალს მდებთ?
მეფის დედა: იმას, რომ აუსხი შენ ჩემს ვაჟს ფრთები
და მისი შიშით დედის გული ძაფზეა, ვკრთები
გადაეკიდა ვის? ვინ არის, ჯერაც არ ვიცი?

არ მეკარება უნახვობის თითქოს ნაფიცი!
თუ არ მკადრულობს, რა მცოდნია სოფლის გოგოსი?
შენ წააქეზე ეგ, ასტეხე კიდეც ხორხოზი,
მე კი მის დედა, ვის ტიკი ვარ, ვისი ტომარა?
მე რომ დავბადე და ავზარდე, ჩემთვის ის კმარა!

ვეზირი: ჯერ დამცხრი, დაო, მერე გაგცემ მაგაზე პასუხს.
სრულებით არად არ მივიღებ შენს წყრომას და სუსხს,
მისთვის რომ მეტად კარგი საქმე მიკეთებია,
თუ რომ დისწულის გულისათვის მიხერხებია
ისეთი ბედის დამისება, როგორიც არის
ის ჩვენი რძალი_ და მშვენება ქალის და მხარის.

მეფის დედა: ეჰ, ჩემო ძმაო! სულ ერთი და იგივ გაგიდის,
რომ მისი ფასი არა-რაა _ ხატია თვით ხვთის.
მაგრამ, სად არის? რა შეიქნა ასეთი რამე,
რომ გაანათა ახალმა მზემ ის ძველი ღამე
და დღე და ღამე დღეთ აქცია, ბნელეთის ხარო?
თუ ასეთია, მინდა მითი მეც გავიხარო,
როგორც მშობელმა, თუ არა და ასე ვიტანჯო როდემდი?

ვეზირი: მე კი ყველაფერში უნდ დავისაჯო_
გავაკეთე თუ წავახდინე, ეგ სულერთია!
თითქოს შენმა ძმამ ყველაფერი იცის, ღმერთია!
ეგ შენს ვაჟს ჰკითხე: ფიცი მისცა, უნდ აასრულოს,
მანამდი ვერც მას ურჩევ, ვერა, რომ ინახულოს:
მან მეფის სიტყვა განუხრელად უნდ შეინახოს,
რომ თვის ღირსება და ხარისხი მით არ შელახოს.
ქალია ქალში ღმერთი _თვალის ჯერ უნახავი.
დედა-ბუნების ჯერ ამ სახით გაუსახავი.
ენას რომ გრძნობის ამოღება სრულად შეეძლოს,
არ გაგონილა ჯერ და მასაც არ უნდ შეეხოს_
თუ რომ დააკლებს რასმე, თორე ვერასფერს შესძენს.
შენ დააჩქარე შენი ვაჟი...

მეფის დედა: რომ ვაჩქარებ, წყენს...
ისიც იჩქარის, სული მიდის, ხატავს რაღაცა
უცნაურს, აგერ, ცოცხალია იქ მთა, აქაც ცა,
იქ კიდე მიწა და ვარდები_ქრიალ_შრიალი,
შოშინ_ჩხრიალი... თვით ნიავიც თითქოს შუშუნობს_
მე ეს მაცეცებს, ჩემი შვილი ამასაც წუნობს...
ჯერ იყო და სულ ნადირობად იყო დაცლილი,
სულ მარტოტკალა, გადაცმული, გლახაკის შვილი,
დროს არ აცდენდა... ჩემი გული ძაფზე წყდებოდა.
ერთი რომ ქარს არ დაებერა, გადმიწყდებოდა
მე ჩემი... მგელი სად დახევდა, აღარ ვიცოდი;
ახლა კიდე აქ ვიფიქრებდი ამას მე როდი,
გამომიწყებდა მეფე კიდევ თუ ხელოსნობას_
გადაყვებოდა ნოხის ქსოვას და ნოხით ტრფობას:
წერილებსა სწერს ნოხის ტურფად შლილ ყვავილებში,

და თვის გულს ახვევს სატრფოსადმი მოქარგულ ლექსში!
მოჩქარებისთვის ამას იზამს ჭკვიანი კაცი?
არადა მაზე რომ გავარდეს, მზადაა, ქანცი!
იქ ნადირობა, აქ კი ქსოვით ხატვა და წერა
დაუნახავი რაღაც ლექსის _ ჩემია წერა!
ვერ მოვესწრები ვერც რძლის ნახვას, ვერც დასვენებას,
მხოლოდ შობილი ერთი შვილის დღის გათენებას!
და ვიღუპები!...

ვეზირი: ნუ იჩქარი, მოიცა, ქალო!
შენთანაცა და შენს შვილთანაც მე ვარ უვალო.
მე კარგის მეტი თქვენთვის არ რის არ რა მდომია.
ცოტაც და, აი, ნახავთ, თქვენთვის რა მიშრომია!

მეფის დედა: როდის?

(ამ დროს შემოდიან დიდის ამბით მეფე და მისი ოსტატი. კარის-კაცები მოათრევენ ნოხს).

მეფე: მზათ არის, დედა-ჩემო ნოხი ყაჭისა,
ამა მარჯვენის ნაქნარისა და ნაყაჭისა.

ოსტატი (შლის ნოხს მთელ სივრცეზე):
მაგრამ ასეთი ნოხი, გფიცავთ, მე არ მინახავს;
ვინც შიგ ჩახედავს, რაც მაშია, გამოისახავს_
ეს ხელოსნობა აღარ არის, ხელოვნობაა...
იქ ერთფერული სახეები, აქ კი გრძნობაა
მგზნებარე, მაშიც უფრო დიდი აზროვნობაა.
აქ სასწაული _ ნიჭიერი ნახატებია_
რა პეპლებია, რა ცქრიალი, რა ვარდებია!?

მეფის დედა: მე მოვკრეფ, დედა, ამ ყვავილებს, შევკრავ თაიგულს,
შიდ გამოვახვევ მგრძნობიარე ამ ჩემს დედის გულს
და შენ გაგატან, რომ მიართვა ჩემს რძალს ვით ძღვენი...

ვეზირი: მაგრამ ცოცხალი თუ არ არის?

მეფის დედა: შენ შენი ჰქენი!
შენი ბავშვები მოატყუე... ინძრევა, ბეჩა!
(შეახებს ხელს ნოხს):
ვაჰ! მომატყუა ჩემმა მზერამ? ნახატი შემრჩა!
მოჩვენებაა, თილისმაა, ჯადო-ქარია!
ნუთუ ეს ბუზიც, ბუზანკალიც, მართლა მკვდარია?
(დაატანს ხელს, არასფერი აჰყვება)
საოცარია! ვითამც ქარმა დაუბერაო
ბალახიც იძვრის საელვარო და სამღელვარო!
აგერა, წყერიც ამოფრინდა... მესმის ფრთების ხმა_
მეც აღტაცებამ აღმაფრენის ფრთები შემისხა!
ყოველივე ვით ცოცხალია, უცნაურია,
უუმაღლესი სიცხადეა_ხელოვნურია!
სასწაულია ეს სიზმრული ოცნების ნახვა...
ეს პეპელაც კი ცოცხალია, მგონია, რა სხვა?
ნიჭიერია ჩემი შვილი, უეჭველია.
აი, ღრუბელი ელავს, ღელავს_ვით ფრინველია!
რა შეწყობაა მოძრაობის, რა ფერებია!?

იქ მოძრაობა, მე კი მზერა გამშტერებია!
ოსტატი: მეც დამიღია პირი, შევცქერ, ვერც გამიგია:
თუმც სიცოცხლეა, თვით სიცოცხლე ეს რა რიგია?
მაგრამ ზედმეტი საოცარი კიდე სხვა არი:
აჭრიალება მზერის აღარ არის საკმარი:
გადაიცალეთ თვალზე ბინდი სიზმრის ოცნების
და დააკვირდით, რა ხატია აქ საოცრების!?
ჩაასვეთ მზერა ნაქარგის ქვეშ ქსოვილის მიწას,
რაღაც სხვა არის აქ სანახი, მიხვდებით იმ წამს.
მეფის დედა: ეს ხომ ნაწერი ლექსებია მწყობრად და მწყობრად,
როგორც ლაშქარი დაწყობილი უკვე საომრად?
«შენ მზე ხარ ჩემი სულის ნაზად მანათობელი,
შენი ღიმილის ტკბილ ალერსით დამათრობელი;
შენა ხარ ჩემი ჩემი ცხელი გულის ნამი ციური,
როცა მას თრთოლვით შეთამაშობს სხივი მზიური
და ფიანდაზად გაგიშალე ფეხქვეშ ეს ნოხი,
ცრემლით ნაქსოვი, შიგ ვაქარგე ახი და ოხი_
გქონდეს ეს ჩემდა სანახსოვროდ ხმად ბულბულისა,
თვით მეფე მონა გახდა ვარდის სიყვარულისა!».
იმფჰ! რა ლექსია!?
ოსტატი: ოსტატი იქ სად იხსენება,
სადაც მოწაფის მას თვითან რევს შემოქმედება?
მეფე: აბა, წაბრძანდით! მზათ არიან თქვენთვის ეტლები...
ოსტატი: გზას დაგიბანდვენ, იმდენია უქმი მჭვრეტლები!..
მეფე: ამდენ ლოდინში გაწყვეტაზე გაწვრილდა გული...
აბა, ეჩქარეთ!...
ვეზირი: მოთბინებას ჰკლავს სიყვარული!
მეფის დედა: ჩვენ უნდ წავიდეთ?
მეფე: რა სიძნელეს ხედავთ ამაში?
უნახველობამ აგიტეხათ თქვენ კი განგაში!
მე თქვენისთანას, რომ აუხსნას, სხვას ვის მივგზავნი.
აბა, რიღასთვის განგიმარტეს ნოხის მიზანი?
დედა და ბიძა... ბიძა-ჩემი თქვენ გიწინამძღვრებს,
თქვენ კიდე იმას, ვინაც თვით მზეს მშვენებით ავსებს...
მე ნაკვერცხლებზე ვზივარ, რაც რომ ხელობას ვსწავლობ,
ვიჩქარი ერთობ, მის მოყვანას დღე და ღამ ვნატრობ...
იქ როდის არის უშიშარი იმისი ყოფა,_
არვინ გაბედოს რომ ხელების იქ გადაყოფა,
მე კი იქ «კვაჭა» მყავს მიჩენილი და მეშინია...
დროს ნუღა ჰკარგავთ... მის აქ მოგვრა ჩემი ლხინია.
ვეზირი: მაგაში ეჭვებს ვერავინაც ვერ გაგიმცხადებს...
მეფე: რომ სული კბილით მიკავია?...
ვეზირი: არა თუ? განა
პირდაღებული არ არის თუ მაზე ქვეყანა?
მივდივართ, დედა-ბუდიანა უნდა მოვგვაროთ,
ყმაწვილ მეფეზე არა ნაკლებ რომ გავიხაროთ.

(მეფის დედა და ვეზირი კარისკაცების თანხლებით, რომელთაც თან მიაქვთ ნოხი, გადიან).

მეფე: შენი ამაგი ჩემზე ერთობ დიდი იქნება,
თუ ჩემი სატრფო გულის ვარდად მით შეიქნება,
რასაც გული და სული ჩემი თან ჩავაქსოვე_
საქმე ის არის _ რას ვეძებდი, თუ რომ ის ვპოვე.

ოსტატი: ამოცანაა შეგნებულად შესრულებული;
ისე ახსნილი. იმ ნაირად გაშუქებული,
რომ გაშუქებას უნდა ახლა გაშლა და ახსნა
უფრო სამძიმო, ვიდრე ბუსგან ჭინჭრაქის თავხსნა:
ამოცანათი ამოცანის განმარტებაა_
ეს ხელოსნობის ხელოვნობად აღმატებაა;
ხელობის არის სისალუქით გაშილიფება,
სადაც მშვენება გულის ძაფებს ამძვრელად ხვდება,
დამცდელის სულში სიხარული ჭყლოპინი ხდება,
სადაც ოცნება თამაშობის ხალისზე დგება,
სულს ემღერება და განმცდელი ბედნიერდება!
აი, რა არის ხელოვნების შინაგანობა_
თამაში, ტრფობა და ნავარდის ტკბილი გალობა;
ეს არის ბგერა შეწყობილი ყოველ სახსართა
სიცოცხლისადმი ტრფიალება, შეტკბობა ძალთა;
უუდიდესი სიამეა შეხმატკბილების
ჰანგებზე არის აწყობილი, შემკვეთი შვების.
ეს ყოველივე უხვადა აქვს მინიჭებული
თქვენს გულის ძაფებს, სიდიადით ამაღლებული,
რომ ჟრუანტელი იმან გულში არ განიცადოს,
ვინც იმ ნოხს ნახავს, გულის ჩანგი უნდა ძირს დადოს,
მიტომ, რომ იმ ჩანგს არ ექნება სიცოცხლის მადლი
მინიჭებული _მაშინ კაციც არ ღირს არც მატლი!
მიტომ, რომ მატლსაც თრთოლვის ნიჭი კი აბადია,
როდესაც ცოცხლობს... ეს არაკი ცხადზე ცხადია.

მეფე: ეს ნატაცია ჩემთვის ძვირფას საუნჯეს იცავს:
მას ჩემი სული მიზნისაკენ ჯიქურად მიჰყავს...
ჩემი იმედიც დაჯერების ხარისხზე სდგება
და თვით ოცნება სინამდვილეთ თვალშუა ხდება.
მაშინ თვით ჩემი მოქმედება მკვეთრია, მყარი;
სათუებელიც საჭოჭმანო სულში არ არი...
მაშინ ვარ კაცი სრული მხოლოდ და ვარ მთლიანი,
ვარ საქმის კაცი და ზედმეტად ადამიანი...
მე ამას გიზღავ, როგორც მეფე და ჩემი სიტყვა,
როგორც მეფისა არ გატყდება, რაკიღა ითქვა.

(კარისკაცი მოულოდნელად გამოაღებს კარებს და იძახის):

კარისკაცი: «კვაჭა» თხოვილობს მეფის ნახვას!
მიეცით ნება!

მეფე: რაღაც ამბავი უსიამო ალბათ იქნება,
თუ არა, კვაჭა ამ დროს თვითან არ მოვიდოდა:

რომ ის დგას ფხიზლად თვის ადგილზე, იმან იცოდა.
(შემოყავს წინ დევი ხელებ გაკრული ბაწრებით. ერთი ბაწრის წვერი თვით უკავია ცალ ხელში, მეორე ხელში აქვს ამაღლებული შიშველი ხრმალი).
ოსტატი: მოჩვენებაა ეს, თუ რაა? ეს გვიმრის კაცი,
რამღა გახადა ესდენ ძლიერ, ესდენ მამაცი,
რომ ეს ვეება დევის მხრები გაუთოკია_
ნუ თუ ეს ბედის ისარია, ის კი [ჭ]ოკია?
კვაჭა: მე შევასრულე დავალება თქვენი პირნათლად...
ამ დევს უნდოდა, არზღაპრულად, სიცხადით, მართლად,
რომ მოეტაცა სადედოფლო... იქ ზურზუტობდა
და, როცა ღამით მთვარიანში ხის ქვეშ გამოჩნდა,
როგორც აჩრდილი, იმ ხის ლანდი აყუდებული,
თვალებით ცეცხლის მფრქვევი, დორბლით აქუხებული,
მის ქოხის თავზე დასაცემად ღარის წყაროდან,
მეც გამოვძვერი იმ კლდის კონცხის ერთი ხაროდან
და ხელებიდან შუბი, ხრმალი დავაყრევინე,
რა ორივ თვალი, დავსცი ძირს და წავაყრევინე...
შევბოჭე ისე, რომ უარიც არ ვათქმევინე,
როცა, «კვაჭა ვარ», ყურს ჩავძახე, გავაგებინე
შიშით გაშეშდა... ამის მეტი მეც რა მინდოდა?
გამოჩურჩუტდა ისე საწყლად, აღარ იბრძოდა_
იცოდა კარგად, რომ სიმხნე არ გაუვიდოდა,
ყოვლი ფხაკური სულ ამაოდ წაუვიდოდა!
ამით განგაში აღარ ატყდა... მთელი სოფელი
ღრმა ძილში იყო ჩაფლული და ძილში მბოდველი,
როცა ეს აქეთ ხელ-შეკრული გამოვაქანე_
მე ჩემივ ხელით უნდა ავქნა ეს ქვეყნის მავნე.
მეფე: მართალი არის? შენ გინდოდა მის მოტაცება,
რომელიც არის მეფის შვება და აღტაცება?
შენა ხარ ჩემი მეტოქე და ხელის შემშლელი?
დევი: მე კარგადა ვგრძნობ, მეტოქიდან თუ რასაც ველი...
მაგრამ რაც იყო, იყო, ფიცვა რის მაქნისია?
მე თვალები მაქვს ერთობ მჭრელი... თვალი კარია გულის...
გული კი, როს იმ ისრის განამწვარია,
რომელიც მომხვდა ანთებული მისი მზერიდან...
მეც გამოვედი უჩემნებოდ ისევ ჩემიდან,
უნდა უცილოდ მომეტაცნა ჩემი დამჭრელი...
მე რა ვიცოდი თუ იქ ება იმის დამცველი?
და, აი, ამ კვაჭ ხათაბალას გადავეკიდე!..
არცაღა ვიცი, თუ ვიცოცხლებ მე აწი კიდე!..
მეფე: რათ ხდით სიცოცხლეს სათუებლად?რატომ მტაცებლობთ?
თქვენ სხვის სისუსტით რომ დევი ხართ ერთობ სარგებლობთ!
ეგ ყაჩაღობა მტაცებლობა რათ გაგხდომიათ
სამუდმო სამტროდ_ კაცის ხორცის ჭამაც გნდომიათ!
რამდენი გინდათ რომ ემალოთ, თან ხოცოთ კაცი?
ამას არ იზამს, ჯიქის მეტი მხეციც გამტაცი!

თქვენ კაცებს გევხართ: კაცისა ხართ დამბადებელი_
ერთი ღორი სჭამს შვილს პირწუწკი, ამომგდებელი_
ღორობა კაცის რა ხანია დაგმობილია!
რა დაგემართათ თქვენ? ვაი, ეს რა სირცხვილია!?

დევი: წელიწადია, რაც თქვენ ნოხზე ზიხართ და ჰქარგავთ.
მოწოდებული ქვეყნისათვის დროს რაზე ჰკარგავთ!?
რომ სატრფიალოს აუსრულოთ მისი ოცნება_
მტაცებლობამდი არ მიმიყვანს მე გაოგნება?
სიყვარულისთვის საკვირველი არაფერია...
ვინც შეიყვარებს თავის თავის თავათ მტერია!
მეც შევიყვარე, როდესაც რომ თვალები მქონდა
და ჩემს შემპყრობელს კი ელვარი მზისებრ გაჰქონდა!
ამაში რაა სასიკვდილო და სამეტოქო?
მაგრამ როდესაც ჩაგივარდით ხელში, ვით ლოქო,
და მტრობაცა გაქვთ დევის ძველი უკურნებელი,
გაძღით დევების სისხლით_გავხდი კაცთ საკვებელი!
მომხიბლაობის სიყვარული ვის დაუშლია,
როცა მას ფრთები გასაფრენი არ გაუშლია?
და მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლია... არა?
რომ მიზანს მოვწყდი, გული ჩაწყდა, ჩემთვის ეს კმარა!

მეფე: კვაჭა! შენ მაგ დევს უარე და უდარაჯე.
თუ გაიწიოს თავში, იქვე მკაცრად დასაჯე,
თუ არა, ფრჩხილიც არ ატკინოთ... როცა მოვა დრო,
ის მიუსაჯოთ, რაც შეჰფერის მაგას საკადრო.
ახლა მაგისთვის არ გვცალია... შენ კი მიიღებ
უხვ საზღაულსა, როს ჩემს საქმეს მე გავირიგებ.
ცხადია რომ შენ გამიწიე დიდი ამაგი:
შეურაცხმყოფდა, რომ შენ არა, მე ეგ აბრაგი;
ვერ გამოვყოფდი მეფეებში სირცხვილით თავსა_
თავს ეგ მომჭრიდა, დამატეხდა რა დღესა შავსა.

(კვაჭა თავმდაბლად სცემს თაყვანს და წაიყვანს ისევე, როგორც მოიყვანა დევი ამაღლებულ ხელში შიშველი ხრმლით).

ოსტატი: გასაკვირალი საქმე არის: დედა ბუნება
შემოქმედებას სასწაულთა მრავალთ უნდება:
კვაჭაში როგორ მოათავსა ამდენი ძალა,
რომ დევის ლეში ამოდენა იმან დასძალა.
რა სასაცინო, სახუმარო სანახავია,
რომ ერთი წიწნა კაცი დევის შემფახავია!

მეფე: აურზაურს და საქვეყნო ყბას გადამარჩინა
მაგის დაჭერით, ახლა მაგან სხვაც შეაშინა:
მოსიარულე ღამის განა ერთი-ორია,
რომ კაცს ვნებს? მეფის მორიდება ახლა ჭორია!
ხომ გაიგონე შენივ ყურით?

ოსტატი: ვერ არის კარგი!
და, აი, ხედავთ? თვით კვაჭაც კი არის დღეს მარგი.
(გაიცემა შორეული ხმა ბუკის. მეფე და ოსტატი მიდიან).

მეფე: აი, მოდიან... მოიყვანონ... ჩაჰქრება შიში...
ჩემს დარბაზში ვინ მოგვიხტება... სიკვდილის პირში?

(დარბაზი ძალზე გაჭაღდება. სულყოველისფერი უეცრად იცვლის ელფერს_სადღესასწაულო ბრწყენაში გაიფურჩქნება იქაურობა. გადაიშლება ფარდა და გამოჩნდება სამი ტახტი სამეფო-სადედოფლო _ ორი ოქროსი, ერთი ვერცხლის.
შემოდიან ნაზირ-ვეზირები, მათი ცოლ-შვილი, ამალა დიასახლისთა, ამალა ქალწულთა, ზღაპრულ ელფერს იღებს იქაურობა_ოქროთი და ვერცხლითაა გავარაყებული.

პაუზა. გამოდიან მესაკრავენი, მურტიბნი, მომღერალ ქალთა დასი. შეწყდება შუშუნი, შემოვა ატლასში და გლასში გაფუფუნებული მეფის დედა, სადედოფლო, ვეზირი.

მეფის დედას გვერდში მოჰყვება, როგორც გედი, ყელ-მოღერებული სამთვარისა. მათ მოჰყვებიან სამთვარისას დედა და მამა; მეორე მხრიდან გამოვა მეფე სრულ სამეფო სამკაულში, თან მოჰყვება ნაზირ-ვეზირობა, სარდლობა, დაიარაღებული ამალა მოლაშქრეთა რაზმის. ატყდება საგალობელი_

«დიდება-შენდა!»

კაცობრიობის სადიდებელად
ოჯახი კერის ქვაზე ამცენდა_
შენ იყავ, დედავ, გამკაცებელი!
დიდება შენდა! დიდება შენდა!
ყოველ სულდგმულს აქვს თავისი ბინა.
კაცს აკვანი აქვს, მაში გაშენდა_
იგია მისი სიცოცხლის კერა...
დიდება შენდა! დიდება შენდა!
შვილის ბუდეა კერა, აკვანი:
ის მას ფურჩქნიდა, ის მას ალხენდა,
ის ასწავლიდა მის სისხლით დაცვას...
დიდება შენდა! დიდება შენდა!
დედაა ბურჯი კერის დამდგმელი;
ცეცხლსა და ენას დედა აჩენდა;
დედის-გულია კაცთმოყვარება...
დიდება შენდა! დიდება შენდა!
პირველი დილა კაცთა-ერთობის
და გამტანლობის დედით გათენდა;
დედის-გულშია კაცთ გაკაცება...
დიდება შენდა! დიდება შენდა!
შენა ხარ თვით მზე ცხოველმყოფელი_
სიცოცხლეს შენი შუქი აფენდა
კაცთა მოდგმას და მაღლა აფრენდა...
დიდება შენდა! დიდება შენდა!
მარადობის ხარ წყარო უკვდავი
შენი ამაგი შვილ-ძირს არჩენდა
და აყვავებდა რძის პურისჭამით...
დიდება შენდა! დიდება შენდა!
კერაა ჩვენი სამშობლო, ერი,
სიცოცხლის შვება იმას დაჩემდა,
მან უნდა მოგვცეს ბედნიერება...

დიდება შენდა! დიდება შენდა!

(**მეფის დედა** მივა, მოკიდებს ხელში ხელს თავის შვილს მეფეს, მეორე ხელს მოკიდებს ხელში სადედოფლოს_სამთვარისას, მათ ხელებს შეაერთებს, მათ, ხელ-ჩაკიდებულთ მოჰკიდებს ხელებში ხელს და წაიყვანს ტახტებისკენ).

მეფის დედა: მეფის ტახტია სამემკვიდრო თქვენთვის დაცლილი.
როცა მოკვდება მამა, იჭერს მის ადგილს შვილი.
ეს ჩვეულობად არის ხალხში განმტკიცებული.
«ხმა ხალხისაა კი ხმა ღვთისა» «რჯულად» ქცეული.
ბედის-წრის მტრედის იყო პაპა კი არჩეული,
თვის ხალხის მართვას და განგებას რჯულად ჩვეული.
ეს გამგებლობა მეფის დიდი მოწოდებაა,
მისი ბურჯი კი სიმართლეა, თავდადებაა.
მეფობას ჰქონდეს უნდა თავის დიდი ხარისხი_
თვის დავიწყება, გახსენება და შვება სხვისი.
როდესაც მეფე მხოლოდ თვის თავს უფათურდება,
უარყოფს თვის ხალხს, მაშინ იგი მტარვალი ხდება.
შენ უნდა იყო ავის მგმობი, კეთილის მცველი.
როცა ხალხს სტანჯავს მეფე, ხდება პირღია მგელი!
მე შენი მომწონს გადაცმა და უცნობად რება
უნდა იცოდე, თუ შენს მრევლში სად და რა ხდება.
საკუთარ თვალით ნახული და ყურით სმენილი...
ამისთვისა ხარ მამის მერე შენ დარჩენილი...
ადიდე მამა ხალხის პირით და ეს იქნება
შენი სახელი და მშობელის ხსოვნის დიდება.
როდესაც ხალხი თვისი გამგით ბედნიერია,
გამგის სიცოცხლეც და სიკვდილიც მშვენიერია:
გაქებს, გადიდებს, როცა მრევლი იგი მღერია_
მომაკვდავს თვითან სიკვდილიც კი არ გიწერია!
და ამას კიდე რა სჯობია? ბედნიერია,
ვისაც თვის ხატით ხალხის გული დაუჭერია!
ის უკვდავია, როგორც ხალხი და მისი სული
ბევრ თაობათა თაობაზე ის გადასული...
კურთხეულ იყოს შენი გზა და ნათელი კვალი,
რომ ზედმიწევნით შეასრულო ქვეყნის წინ ვალი!
(მიიყვანს და დასვამს მამის ტახტზე. ახლა მოკიდებს ხელს ხელში სადედოფლოს).
მე გადავდივარ: ჩასულია ბედის ვარსკვლავი;
როცა გამიხმა ჩემი ტოლის და სწორის მკლავი
და ეს წესია: «ძველი მიდის, ახალი მოდის»,
მზედ ამოდიხარ ცხოველმყოფლად ახალი მოდგმის:
შენი მშვენება უნდ მოედვას ცასა და მიწას_
მკვდარი გაცოცხლდეს გული, რა კი გიხილავ, იმ წამს!
დამილოცნია სამემკვიდრო ეს ჩემი ტახტი...
კურთხეულ იყოს თქვენი გზა და თქვენი ნაბარტყი!
(დასვამს ტახტზე)
გვერდით გიჯდებით: თქვენ ხართ გვერდის დამშვენებლები

და მთელი მრევლის გაჭირვებულთ ამშენებლები.
(ქალთა ამალის და ქალთა დასის სიმღერა):

სიმღერა:

ხალხის შვილია სულ ყველა,
არის ის მეფე, თუ გლახა:
მეფემ დაისვა დედოფლად,
როცა, ვინც იყო სრულ, ნახა.
სისრულეშია მშვენება,
ვინაც უნდ იყოს, კაცისა;
მახინჯობაში სულით და
ხორცით გავარდნა ქანცისა.
დიდება შენდა, სრულყოფავ,
შენ მზე ხარ მომავალისა_
ამყვავებელი გონების
და გამხელელი თვალისა!
მაგრამ სულყველას ბურჯია
სიღრმავე დედის-გულისა_
ის არის უკვდავი წყარო
თვით მტრისაც სიყვარულისა.
ის არის წყარო მჩქეფავი
ბედნიერების ჭევლისა:
იყო რძის პურის მჭმეველი,
უნდ გახდეს ისევე ისა!
უნდა მოგვგვაროს მშვენებამ
თანასწორობა და ძმობა,
უნდ დაიღუპოს სამუდმოდ
სიხარბე, შური და მტრობა!
წუთის-სოფლიდან სამუდმოდ
უნდ აღიგავოს ავობა;
თავის შექცევად უნდ გახდეს
შრომა და კაი-კაცობა!

ვეზირი: (წამოდგება წინ, ცალ მუხლს მოიყრის მეფე-დედოფლის წინაშე):

კაცობრიობის ისტორია ბევრის მქნელია
და კიდე უფრო გაცილებით მეტის მთქმელია,
მაგრამ ასეთ რწყვილს რომ მიეგნოს ერთი-მეორე,
ერთი ეს მოხდა, ერთიც იყო ზღაპრის მეღორე,
რომელიც ბედმა ობლობისთვის დააჯილდოვა,
რასაც დიდება და მეფობა იმისი მოჰყვა.
ჩვენ სასწაულებს გვამხილებენ ხალხური თქმები
თავზე გვადგება ყალყზე შიშით, ხან ჟრჟოლვით თმები.
საარაკოა თქვენი შეყრის, სიტურფის საქმე_
გავითამაშე საპატივო მაშვლობა აქ მე,
თუმცა ჩემი და ნაკვერცხლებზე ხშირად მაჯენდა,
შენ გამამართლე, შენ, მშვენებავ, დიდება შენდა!
ახლა, როდესაც ჩემი ნატვრა მიწეულია,

როცა სიტურფე სადედოფლოდ მიწვეულია,
ჩემთვის იქნება უდიდესი ბედნიერება,
მოახერხებდეს კეთილ საქმეს მშვენიერება
და ჩემთან ერთად ახარებდეს თავის ხალხს, ამ მრევლს,
მსჯავრის სიმართლით თვით მზის დედის უხვ გულსაც დარევს...
მაშინ იქნება თქვენი ქება, თქვენი დიდება,
როცა არაკად თქვენი საქმე შორს გადიდდება,
წავა კაცთ შორის სასოებად სამაგალითოდ,
მრევლთ ხელის გულზე საგოგმანო სამარგალიტოდ.
მაშინ მეც თქვენში ერთი სიტყვა წილად მერგება,
პირადოვნება ჩემიც თქვენთან იქ დამშვენდება...
იყოს კურთხეულ საუკვდაო თქვენი მშვენება,
როცა არადეს არ დააჭკნოს ვალის შეგნება!

მეფე: როცა გვებოძა თვალის ჩინი გულის ძაფები
_სარკე და ჩანგი _მე მშვენების ბანგს ვსვამ და ვთვრები:
ხელოსნობიდან მიმიყვანა ხელოვნობამდი.
რასაც ვეძებდი, მოვიპოვე: მის ღირსი გავხდი.
ჩემს ოცნებაში მე ვიპოვე თვით მზის შევსება_
სანატრიონის უძღებობის ცეცხლიც მევსება.
მაგრამ რაც არის უფრო დიდი, მე მას ვერ ვსწვდები_
ჩემი ხელობა რათ ნებავდა ჩემს მზეს, ვერ ვხვდები.

სამთვარისა (ადგება ზეზე დიდი ხათრით, რიდით, კლდემა-მოსილობით):
გამომიწვიეს... ყველაზე წინ მოვითხოვ ბოდიშს...
მე მოკრძალების ცივი ოფლი, ყვითელი, მომდის_
მორცხვობა თუ ქალს არ ამშვენებს, ის ალქაჯია,
მას გაქსუების წაუშლელი დაღი აჯია.
მომხიბლაობა კლდემამოსის გარდუვალია
და ერთგულების საუცხოვო ნატვრის თვალია.

მეფე: რაა სამორცხვო? სასირცხვო რა ჩაგიდენიათ?

სამთვარისა: ეგ სიტყვა მომხვდა გულის სეტყვად, ცეცხლის გენიათ!
მე ძირაფენის მხრიდამ მოვალ... აქ ბრწყინვალება
და ფუფუნია... ოქრო, ვერცხლი და ნეტარება!
დიახ, მრცხვენია: იქ ოხვრაა, აქ შვება-ლხენა.
სიდან სად მოდის ყოველი ეს? მებმება ენა!
დიახ, მე სოფელს გაურბოდი ჩემივე ზრახვით...
დატვირთულია მისი შრომა სხვების შენახვით...
და გადავსწყვიტე, რომ ხელოსანს შორს გავყოლოდი,
რომ ჩემი შრომით იმისა ოფლს მომხრე ვყოლოდი
და მოქალაქე შრომის ოფლით გავმხდარიყავი...
მასთან საშრომლად ოჯახისთვის მეც მზა ვიყავი.
ამ ოცნების დროს მომეჩვენეთ თქვენც... მოვითხოვე
ის, რაც მე ჩემი ცხოვრებისთვის ოცნებად ვპოვე...
და რა ვიპოვე?

მეფე: რა?

სამთვარისა: მე თქვენში ვიპოვე ჭკუა,
რომლის წინაშე თვით მზის დედის სწავლაც სტყუა;

მშვენიერების წინაშე თქვენ მოხარეთ ქედი.
მით დაამარცხეთ სიამაყე, ადიდეთ ბედი!
ეს ნებისყოფა თქვენი არის უდიადესი
მზის სინათლეზე გამომყვანი ...ჩემი ანკესი!

მეფე: ეგ მართალია...

სამთვარისა: კიდე უფრო ის მართალია,
რომ თქვენში მაღალ მისწრაფების ნიშან-წყალია:
ხელოსანის წილ ხელოვანი გამოიჭიმეთ,
ყოვლი სახსარი თვის არსების რა დაიჭიმეთ_
თქვენ გააჩინეთ მშვენებაში სიცოცხლის სული_
აზრი მიეცით ხელოვნებას მზემდე მისული!
ეს ღვთაებრივი უკვდაობის ნიშან-წყალია
სხვამ ყველამ წყალი დალია და წარმავალია.
აი, რად არის საარაკო თქვენი ამბავი!
მშვენება წავა... აზრი? აი, რაა უკვდავი!
ხელოვანობის დიდი აზრი სიცოცხლეშია:
კაცი გაკაცდა... ის უაზრო_ მხოლოდ ლეშია!

ვეზირი: ვაშა! ქალწული ეს ბუნების დიდი შვილია:
თვისი ბუნების ჩაკვირვების შესმენილია!

მეფე: რაღა თქმა უნდა, რომ იქნება დიდი მსაჯული.
ეცოდინება სამართალი და მისი რჯული.
(კარის კაცს) მომგვარეთ კვაჭა! მოიყვანოს თან ტყვე თავისი!
მზის-დედა არის თვით მსაჯული_ დიასახლისი!

სამთვარისა: ცაზე ბრწყინავს ის თვის შვილებით, ქვეყანაზე თქვენ
და ვინც ქვეყანას აწევს ზურგზე, იმას აქებენ.
ეს შემნახავი მაქებარი არის ყველასი,
თვითან მსხვერპლია პურის ყუის მახრჩობელასი
და სიბნელესი... უმრავლესი სხვების პურია_
იმათი საქმე სხვების შვების სამსახურია.

(შემოიყვანენ კვაჭას, რომელიც მაღლა აწეული ხელში შიშველი ხრმლით მოერეკება დევს. დევი აყვრიალებს თვალებს, როგორც კვაჭაც. კვაჭას ბუს თვალები აქვს. ორივე საჩეხეში შემწყვრეულ მგელივით იხედება იქით-აქეთ).

მეფე: აბა, სთქვი, კვაჭო, თუ ეს დევი რა სულდგმულია?

კვაჭა: ვერასფერს ამბობს: თვის სიგლახით გასუდრულია.
მაგან იცის, რომ დააშავა თავის განზრახვით.
როდი იკმარა გახარება გულის_ დანახვით!?
მაგას უნდოდა მოტაცებით მის დამისება,
რომლის შეხედვით თვით მზე-ღმერთის თვალი იმსება.
ამას უნდოდა მოტაცება იმ ნატვრის-თვალის
(სამთვარისაზე) რომელიც არის თვალისჩინი კაცთ ჩამომავლის
თვითან ჩვენს მეფეს ვით რაყიფი ეცილებოდა
მაშინ, როდესაც ორივ მზერა ესილებოდა_
მივეპარე და გაუქაჩე ორივე ხელი...

სამთვარისა: როგორ? არ მესმის? მოტაცებას მე მიპირებდა?

კვაჭა: დიახ! სიბრიყვეს ასეთს განა სხვა იფიქრებდა?
ბედნიერება მაშინ თქვენი შთაინთქმებოდა_

მივარდნილ მთაში დევი მეფე შეიქნებოდა.
ეს მართალს მეფეს, მხოლოს, მაშინ ეფიქრებოდა:
იმან იცოდა, რომ ოცნება ხელში ჰქრებოდა
და დამაყენა დარაჯად... თქვენ არც კი იცოდით...
ატირდებოდა დედა-მიწა თქვენ, ორის, ცოდვით!
ახლა, როდესაც ჭირი თავზე გადავლილია,
თავის შექცევა ტკბილი სიტყვით აქ ადვილია,
აი, ამისთვის ამას უნდა გასამართლება:
ადამიანებს ბედის წაშლას რას ემართლება?

სამთვარისა: რას იტყვი, დევო!? მოტაცება გქონდა განზრახვად?

დევი: თქვენთვის არ მქონდა საავკაცოდ და არც ავ აზრად:
თქვენი მინდოდა მთებში ცამდი მე ამაღლება
და თქვენით დევთა ჯიშის, მოდგმის გადაახლება...
ჩავარდი ახლა მე თქვენს ხელში: ღრმა სიყვარული
როდის ყოფილა ტურფასაგან მთლად აკრძალული.
სიკვდილს მაშორეთ, დანარჩენი, რაც გნებავთ, ჰქენით;
გინდა დამკიდეთ ამ თქმისათვის დიდ ბოძზე ენით!

სამთვარისა: კაცთა მოდგმასთან დევის მტრობა არის ამაო;
თქვენ აღარა გაქვთ ამისათვის აზრი საკმაო_
ვერა სიტურფე ვერ გიშველისთ_გადაშენდებით_
გვიმრის კაცები თქვენ გჯობიან ჭკუით, შეგნებით.
რა მრავლდებიან, ხომ უყურებთ, თქვენ კი ილევით
მოტაცებით და კაცის ხორცის ჭამით ირევით
და, რას ჩადიხართ, აღარ იცით... ვერ შეგიგნიათ
გარემოების შეგუება_მტრად შეგიქნიათ
ნაცარქექიას შთამომავლობა... კანში ვერ დგებით!
საზიზღარია საყურებლად, რასაც თქვენ შვებით...
ბოლოს, აი, რა? არც მე დაგსჯით სიყვარულისთვის
სიკვდილით, მაგრამ მოტაცების ცდების გულისთვის
კი დაისჯები... ერთად ერთი შენი განზრახვა
იქნებოდა ხომ მეფისათვის სიკვდილის ნახვა
და ჩემთვის უფრო უსაშველო შეურაცხყოფა?
მთელს ქვეყანაში გამსვრიდა მე ეს ქცევა-ყოფა!
თუმც ქალის შური ასეთებში ერთობ დიდია,
მაგრამ დღეს თავი ბედნიერი მე გამიხდია,
სხვა რომ გავხადო უბედური, მე მგონია, რომ
არ შეიწყნაროს არავინ და არაფერმა დრომ.
ამისათვის მე გაპატივებ ცდებისთვის სასჯელს...
თუ კვლავ ჩავარდი სამსჯავროში, მიიზღავ სამხელს
განთავისუფლებ და ეწიე შენს წრეში საქმეს:
რას გააკეთებ, თუ რაც რომ არ წაახდენ რამეს?
ძველის ძველთაგან მრავალგზობით გამოცდილია,
ღორი იმიტომ არის ღორი _ღორის შვილია!

მეფის დედა: აფერუმ ქალო! ეგ გონების ღაღადისია!

ვეზირი: და ყურადღების ჩვენის ერთობ დიდი ღირსია.
აქ კიდე სულ სხვა მხარეს ვხედავ სულის ძალისა_

აქ შინაარსის სიუხვეა ნატვრის თვალისა_
ამ სიუხვეში ადგილი აქვს ნათელ ხედვასა_
მართლ-მსაჯულების შეგნებას და დიდ გაბედვასა...

სამთვარისა: მე ვალი მმართებს, დიდი ვალი გმირი კვაჭისა_
მომთელავია ის ამ დევის ორივ ჭაჭისა:
მან მოახერხა, ჩვენი დიდი ბედნიერების
ჩაშლის ამ კაცის დაუძინად მტერის ფანდების
მთლად გზა და კვალი აებურდა, ის დაეჭირა
ისე, რომ იგი სასიკვდილოდ არ გაეწირა,
დღესასწაული ჩვენი, მტრის სისხლს არ გაესვარა
და მხოლოდ მისი შეჩვენება ამ დღეს ეკმარა.
ამისთვის კვაჭას უნდა ჯილდო, დასაჩუქრება,
დევს ის ეყოფა, რომ ოცნება თვისი უქრება...
შეჩვენებული იყოს ისიც ვინც აიბუა
კვაჭას ხსენება და უწოდა ქალს «კვაჭაბუა»,
როგორც წოდება დამცირების, საცინადგდების...
კვაჭაა რკინის კაცი, მქნელი დიდი ამბების.
ამ დევის ლეშში ძლიერების რა ბევრი ჰყრია?
ამ უშველებელ დევთან პაწა კვაჭა გმირია!

სამთვარისას დედა (წამოდგება წინ თავისი მოზრდილი ფუთით და გაშლის):
მაშინ ვიყავი მე რვა-ცხრა წლისა, დავიწყე როცა
ჩჩვილი კრავების ლბილ კრაველის მატყლის გროვება
ამის მასალა ამდენი ხნის გროვებამ მომცა
და აუსრულა მან ჩემსა ქალს თვისი ოცნება:

(მეფის-დედას) თქვენთვის მოქსოვა ეს კაბა და მოსახურავი. (ამოიღებს, გაშლის და გადასცემს):
ორხვეულ ძაფით ნაბეჭია მტკიცედ ნატკეცი,
როგორც რომ ოქრო, მაგრამ რბილი, ვით ხაო ატმის,
თეთრ იასამნის ფრად წელშია კაბა ნაკეცი,
საყელოზეა რბილი ხაო სასიზმრო აქ მის...

(ატაცებული სიხარულით მეფის-დედა იქავე გადაიცვამს კაბასაც და მოსასხამსაც_შეიმოსება თეთრად. იქვე მიმართავს სამთვარისას-დედა მეფე-სიძეს):
ეს საჩუქარი არის თქვენი... ბეჭედში გადის!

(იქვე წაიძრობს ხელიდან ბეჭედს და გააძვრენს მაში თივთიკის შალის ჩოხას):
ეს ჩოხა არის თივთიკის და ხელობა მაჯის
ამორძალისა, ტანზე ისე შემოეჭდობა
რომ სურაიათ ჩამოისხმის ტანის მჭევრობა
მეფე-სიძისა... ეს ყურთმაჯით კაბა თქვენია,
(მიმართავს ვეზირს):
შუამორბედის სანახსოვრო იგი ძღვენია.
თქვენს სასძლოს თითებს იგი ზრუნვით მოუქსოვია.
თქვენს წვერების ფიფქს, თითქოს, იგიც მოუთოვია!
აქ კიდევ არის ორი-სამი ჩოხა თივთიკის
მონაქსოვარი ჩემი ქალის ბროლივით თითის:
მის გაბოძება მეფეზეა მიკუთვნებული
მაზე, ვინც თვისი ღვაწლით არის კარზე რჩეული.

ერთი რომ კვაჭას მიესაჯოს, სასურველია_
რომ ბოროტება აგვაშორა, მისი ხელია!

სამთვარისა: ამ საბოძვრებით მე მინდა ვსთქვა აქ ჩემი სიტყვა:
მე არ მინდა, რომ ბრწყინვალებამ გამხადოს რისხვა
იმ ძირა ხალხის, სიდანაც ვარ მე ამოსული.
თუ რომ მართლა ვარ იქ მის შვილი, აქ ამო რძალი
უნდა ვიხმარო მე ხელობა და ჩემი ძალი,
რომ დგიმ-სავარცხლით ვქსოვოთ რჩეულთ ტანისამოსი
მე და დედამა, დიდი წილი ჩვენი სარჩოსი
მამა-ჩემმა და ჩვენ სამივემ ბარ-ბოსტნით ვიღოთ,
რომ ძირა ფენებს თავი მძიმეთ არ დავატვირთოთ_
ეს როდი არის მეოცნების ქარქვეტის ნატვრა!
ჩვენ რჯულადა გვაქვს გამრჯელობა, სხეულის დაძვრა...

მეფე: მეც ახლა ვიტყვი, რომ მეფობა არის ხელობა.
საჭირო არის მრევლის ბედის გამგებელობა,
ამისთვის ცოდნა თვისი მრევლის ჭირ-ვარამისა
და მოქმედება თავის, გამგის, თანხმად ამისა.
ამისთვის არის, გადაცმული ირგვლივ დავძვრები
და მგონია, რომ ბევრს ვისმენ და კარგსაც ვშვები.
მე შემთხვევით კი არ შეგყრივარ... გულში ვიგროვე,
რაც შენზე რამე გამეგონა _ გძებნე და გპოვე
და ჩემი ბედი, თვით ჩემივ ცდით, დაგიახლოვე.
ბედნიერი ვარ შენით _ შენ ხარ ამ გულის ჯიღა_
ოჯახობაზე მაშ სიხარბე აღეძვრის ვისღა?
პირველი საქმე კაცის ბედის მოპოებაა
მე ამ დიდ საქმეს მოვრჩი და ეს გამარჯვებაა!
ამას გვაცნობებს ხალხის სიბრძნე _ მისი თქმულობა
ეს ხალხის ნიჭის სულისქმნადის სასწაულობა....
მეც მშრომელი ვარ _ სული მიმდის ნადირობაში...
დავხეტიალობ ვით გლახაკი მთასა და ბარში
და ათრეული ჯიხვი ზურგით მოგართვი სახლში...
არ მქონდა ქანცი გავარდნილი ოფლში გაღვრისა?
მე როდი ვეძებ უქმობას, ან საქმეს ადვილსა:
მე მოგიპოვეთ თქვენ ერთი წლის დღე-ღამის შრომით
და დავამტკიცე, რომ ჩემს ბედს ვქმნი დიდი მონდომით.
გარდა ამისა გამგებლობა რომ არ მქონოდა,
რომ იმ გადაცმით ხალხისა ხმა მე არ მცოდნოდა,
კვაჭას ღარის-წყალს საიდუმლოდ ვერ მიუჩენდი
და ამ საჯახ დევს, ჩემს მეტოქეს, წყერს აუფრენდი.
რა სულის კუჭი ბედის პოვნით დაკმაყოფილდა,
აი, ახლა მე სამსახურიც ქვეყნისა მინდა
და უცნობელად სიარული ხალხში მის ავს, კარგს,
უეჭველია, ამიხსნის და ჩავიდენ ამაგს,
რომელიც ჩემთვის მოწოდებით ბოძებულია:
დანიშნულების ხელ-შემწყობი მოგებულია!
დიახ, მეფობა, ეს ხელობა, ჩემი რჯულია...

ვინც ბედს ღალატობს, ის სიკვდილის შეთარჯულია!
ვინც რომ თავისთვის ბარგია და თავს არ არგია
ამ ქვეყნისათვის უქმია და აღარ ვარგია.

(კვაჭის გადასცემს ერთ ჩოხას. ყველანი იქვე მოუთბენლად იმოსებიან საჩუქრებით. გაიხსნება კედელი და გამოჩნდება გაღადღადებული დარბაზის მეორე ნაწილი, ძირს გაფენილი სუფრებით. დასხდებიან ძველებურული წეს-რიგით _ ქალები ცალმხრივ, თითქოს ცალკე, დედოფლის მიმყოლე. გაიცემა შუშების რაწკი-რუწკი, სადღეგრძელოების მაღლა აწევა და «ძველებური, ჩვენებური «ჭერის მრავალჟამიერი»).

(ფარდა) 1942 წ. 28/XI.

მესამე მოქმედება
(პირველი სურათი)

სცენა: უდაბურ ტყეში გაჭიმულ გზა_შარის პირზე, მაღალ ხეებქვეშ გაპაპყული სახლის წინა ფასადი, რომელსაც შუბლზე აწერია «სასტუმრო-სასადილო». ფასადის წინა- პირზეა გადმოღებული ყაფაზა. ყაფაზაზე ზიან მოსამხრენი. წინ ოთხ-ფეხა გრძელი და ვიწრო ხის სუფრა. შეექცევიან სამხარს. წინა –პირი «სასტუმტო-სასადილოსი» სულ ღიაა. მარჯვნით მოჩანს დაზგა დახლით. დახლის შიგნი სდგას მიკიტანი და აწყობს თაროების თახჩებში მაგარ სასმელებს და ბანკებით ერბოებს და სხვ. ყაფაზის წინ სდგას ლაქია, ხან მას ეხმარება, ხან მზარეულს.

ამ დახლის უკანაა ოთახი, ოთახის პირდაპირ გასავლელია კარებისკენ, რომელიც მეორე ოთახში შედის, ხოლო ამ გასასვლელის მეორე გვერდზეა სამზარეულო ქურა, თავისი დახლით, დაზგით და თაროებ-თახჩებით. სამზარეულოს წინ კი და სამიკიტნოს დახლის პირდაპირ დაზგის წინ თავისუფალი მისასვლელ-მოსასვლელი ადგილია, ხოლო აქაც კედლის გვერდით გრძელი საჯდომია და წინ გრძელივე ოთხფეხა ხის სუფრა უდგას. მასამხრენი სხედან და მიირთმევენ საჭმელ-სასმელს.

«სასტუმრო-სასადილოს ფასადის გარეთ მარცხენა გვერდით ხეებ ქვეშ აქ და იქ დადგმულია ხის სუფრები, მხოლოდ შიგ და შიგ მწვანეზეა გაშლილი სუფრები და მოფთხნით უსხედან მესამხრენი. აქვეა ცოტა უკან თორნე, რომელსაც დასტრიალობს ხაბაზი და ჰყრის ცხელ-ცხელ პურებს თორნიდან, სამაგიეროთ შამფურებით მწვადებს აფიცხებს თორნეში. მის თანაშემწე-ლაქია, მიარ-მოარბენინებს ცხელ პურებს. რიგს სამიკიტნოში, რიგს იქვე ურიგებს მოსამხრეებს. არის ბუზური, გუგუნი, ხმაურება, სიცილ-კიჟინი. სცენის გარედან ისმის აქლემების ყროყინი, კვიცების და მათი დედების ჟიხვინი.

დამავალი მზე ზაფრანის ყვავილის ფრად აყვავებული ჩადის შორს ბორცხვებში.

მზარეული (უძახის დახლიდარს): აქ, ამ თახჩებში, აღარ ეტევა ქილებით ერბო. მად გაქვს ადგილი, რომ გამოგიგზავნო ბანკებით?

დახლიდარი: მოდის!

ლაქიას მიაქვს ოთხი-ხუთი ბანკა: რა ყვითელი ერბოა: ოქროზე ღიაა, ქარვაზე მუქი!

ერთი სტუმართაგანი: ფერი კი არაა საქმე. საქმე ისაა, რომ თქვენი ერბოც და ხორციც მათრობელაა და თაფლზე გემრიელი.

მეორე სტუმართაგანი: ამიტომაცაა, რომ ბუზივით გეხვევიან მგზავრები: ვინაც ნახა თქვენი ყაურმის და გუფთის გემო, თითებს იტლაკავს, სხვა მხარეზე რომ მიდიოდეს, აქეთ მოდის მისი გზა_ ერთხელ კიდევ უნდა, რომ აქაური საჭმელებით გაიტიკნოს კუჭი: გემრიელი,

მადიანი საჭმელიცა და მსუყეც, მარგებელი _ აი, რაა ხიოჭი კაცისთვის მარგებელი და გამასუქარი! იმიტომაა, რომ აქ მგზავრი ვერ გაივლის ისე, რომ აქეთ არ შემოუხვიოს.
მესამე სტუმარი: მოდის ერბო-კვერცხი! ერბო ბლომად!...
დახლიდარი: მოდის ერთი ერბო-კვერცხი, ერთიც...
მეოთხე სტუმარი: მწვადი, მწვადი!
დახლიდარი: ერთიც მწვადი!
ლაქია: ახლავე! (გარბის და გამორბის: ერბო-კვერცხი სამზარეულოდან მოაქვს, მწვადი სახაბაზოდან-თორნიდან).
(ხეებ ქვეშიდან ერთი სტუმარი ფეხებ-მოფრთხნით მჯდომარე მწვანეზე გაშლილ სუფრაზე)
ერთი სტუმარი: მოდის ერბოში ამოვლებული ნაზუქი!
დახლიდარი (შიგნი სასტუმროდან): მოდის ერთი ნაზუქი!
(იქიდანვე უძახის მეორე ფეხმორთხმით მჯდომარე სტუმარი)
მეორე სტუმარი: მოდის ხუთი მწვადი და სამი ბადაგი!
დახლიდარი: მოდის ხუთი მწვადი და სამი ბადაგი!..
(მეორე ლაქია მოარბენინებს ხუთ მწვადს მასთან და სამ ბოთლს მოგუდულ შავ-ღვინოს_ბადაგს).
მესამე, ფეხებ-მოკეცილი, სტუმარი: მოდის სამი გუფთა, ხუთი ყაურმა, ხუთი ბოთლი მოგუდული ღვინო, ერთი შემწვარი ბეჭი! რვა ქადა!
დახლიდარი: მოდის სამი გუფთა, ხუთი ყაურმა, ხუთი ბოთლი მოგუდული, ერთიც შემწვარი ბეჭი! რვა ქადა! (ლაქიებს): ეს მიართვი მექარავნე ვაჭრებს... (ორი ლაქია მიაქანებენ ამას ხეებქვეშ დამსხდარებისთვის. ამ დროს შეიქნება სცენის გარეთ ცხენების ხოლიხი და წიხლების ბრიგინ-ბრიგინი ერთმანერთის გვერდებში).
ერთი ხმა სტუმრებიდან: რომელი გადარეულა, რომ ვაყა -ცხენი ჩაუბამს ფაშატ ცხენებში. მიეშველე, ვინცა ხარ, თუ არა კვიცებს გაჭყლეტავენ ფეხებ ქვეშ!
(სტუმრებიდან ერთი წამოვარდება და გარბის ცხენების გასაზავებლად).
ერთი სტუმართაგანი: მოდის შემწვარი ჭაჭები, ერთიც მოგუდული ღვინო!..
დახლიდარი: მოდის ჭაჭების მწვადი და ერთიც მოგუდული ბადაგი!
პირველი სტუმარი: ეს დალოცვილი ღვინო დალევისთანავე, ასე გგონია, რომ პირდაპირ სისხლში მიდის, თითქოს კაცის სისხლიაო! ჭაჭების ქონი ჭლექიანებსაც კი მოარჩენს არა ნაკლებ თხის ჭაჭის ქონისა!
მეორე სტუმარი: რაღა ღვინო, ხორციც ჭამისთანავე, თითქოს, სისხლად იქცევა და პირდაპირ მიდის გულში: გული უფრო მაგრად სცემს და იქაფება_ ხორციც მათრობელაა! (ისმის მექარავნე ვაჭრების «ჭერის –მრავალჟამიერი»).
ზოგი აწი იკითხეთ! ხუთი ბოთლი ამ ბადაგის ხუმრობაა!? სულ ყველას კისერს მოუგრეხს... აბა, ვნახოთ, თუ არა!?
ერთი მექარავნეთაგან: თქვენი სადღეგრძელო იყოს, ყმაწვილებო! კედელი გვაშორებს ერთმანერთს, მაგრამ ისეთი თხელია, რომ თქვენი შენიშვნები გვესმის. ჩვენც ის გვინდა, თუ მოგვიგრეხს კისერს: უფრო დიდხანს დავრჩებით აქ და ვსვამთ ბადაგს, ვსჭამთ მწვადებს, ყაურმებს და ვსვამთ ნაზუქებზე მოგუდულ ბადაგს! მეტი რა შეგვრჩება? მე შენ გეტყვი, დიდ ხანს შევრჩებით ამ წუთის სოფელს!?
(იმღერის): რასაც შესჭამ ის შეგრჩება,
რასაც არა, აქ დაგრჩება! ჩელა_ჩელა-ჩელასაო! (მიედვრინება პირველს მეორეთა ხმა და შეიქნება ძველებური სიმღერა).
ამ დროს შემოვა გზიდან გადაცმული მეფე.
მეფე: რა ამბავია!? რა ხორხოზი!
ლაქია: სამხრობაა გაჩაღებული!

მეფე: მაშინ სადილად რა იქნება!?
ლაქია: სულ უფრო დიდი მომსახურებაა საჭირო. დაცვენაზე ვართ მოსამსახურენი: თვალს ვეღარ ურჩევთ სტუმრებს.
მეფე: მაშ, მე რიგს უნდა უცადო, არა?
ლაქია: რათა?
დახლიდარი (წამოეხმაურება დახლიდან): რატომ? თქვენთვისაც გვაქვს ცალკე ოთახი. თავს არ მოგაბეზრებსთ ხმაური.
მეფე: ძალიან კარგი იქნება: ისეც მოქანცული ვარ. გზა დამებნა ნადირობის დროს, სახლი ვეღარ დავიმხარე. ნადირობას შევრჩი, საგძალი გამომელია, შიმშილმა ამიყვანა. გამეგონა, რომ სადღაც აქ შროშის გზაზე სასტუმროა. რომ ამ ჰაი-ჰუის და ჟრიამულს არა და, კიდე უფრო, რომ ცხენების ჭიხვინს არა, მე მეორე მხარეზე მივდიოდი, ვერ მოგაგნებდით ამ უსიერ ტყეში და შიმშილს გადავეგებოდი. ამ კიჟინამ მომიყვანა აქ. ძალიან აქებენ აქაურ მასპინძლობას და, აბა ვნახოთ, როგორ დამანაყრებთ და მომისვენებთ! ღვინო გექნებათ?
ლაქია: ბადაგი!.. მოგუდული ღვინოა, შავი სისხლივით და ტკბილი შარბათივით.
დახლიდარი: თქვენთვის ყოველისფერი მზათ იქნება...
მეფე: რაღა ჩემთვის და სხვისთვის არა!..
დახლიდარი: თქვენი სახე სულ სხვაა... კეთილშობილი სისხლის უნდა იყოს... კარგი შენახული ყოფილხართ: თავის მოვლა და პატივება გცოდნიათ...
მეფე: აბა დამასვენეთ...
ლაქია: შვილდ-ისარი, ხრმალი_ყოველივე იარაღი აქ მოგვაბარეთ. აგერ! ხომ ხედავთ, დახლში დავკიდებთ სხვებთან ერთად...
მეფე: რატომ უნდა ავიყარო იარაღი?
დახლიდარი: სახიფათოა აქ იარაღში ჯდომა ჩვენი ღვინის დალევის დროს... ბევრი გიჟდება... რომ ჩაიდენს დანაშაულს, მერე ნანობს! რაღა დროს?
მეფე: მეც არსებულ წესს უნდა დაუმორჩილდე! (აიყრის იარაღს და მიაწოდებს, ნაბადსაც კი მოიხდის და ჩაბალახსაც და მიაბარებს).
ლაქია: ახლა მობრძანდით! (წაუძღვება წინ სამზარეულოს და ოთახის შუა კარებისაკენ. გამოუღებს კარებს ფართოდ, უტევს გზაში, თვითან უკან დადგება).
მეფე: ყოჩაღ! ეს ოთახი სამეფოდაა მოწყობილი; რა ნოხებია კედლებზე და იატაკებზე გაგებული! აი, აქ კი შეიძლება მეფურად პურის ჭამა!
ლაქია: მაშ, მიბრძანდით... მე მოგართმევთ ერთ ბოთლ ღვინოს, ორ ნაზუქს, ერთ რწყვილ მწვადად შემწვარ ჭაჭებს... სხვა?
მეფე: ხარშო არაა?
ლაქია: როგორ არა!?
მეფე: მაშ, ერთი ხარშო ჯერ და ერთიც ქადა. (ამ ლაპარაკში რომაა, შეადგამს ცალ ფეხს ოთახში. მეორე ფეხის შედგმასაც ვერ მოასწრებს, რომ «ბუჰუ!»-ო დაიძახებს იატაკიდა წავა ძირს თავდაყირა გადაცმული მეფე. ლაქია საჩქაროზე მიხურავს კარებს და ჩარაზავს. თვითონ მოშორდება იქაურობას სისწრაფით და თავის საქმეს შეუდგება ისე, რომ თითქოს აქ არასფერიც არ მომხდარაო. არავის არც კი მიუქცევია ყურადღება.

(ფარდა)

<u>**მეორე სურათი**</u>: ფართო ორმო დედამიწის ქვეშ. ჩამოვარდნილი მეფე ნოხიანა ბრეგვას მოადენს ზურგით ორმოს ფსკერზე. ორმოშია სამი კაცი ატუზული, ხელებ დაჭდობილი გულზე. ჭრაქის მკრთალი შუქი ანათებს ალის ბარბაცით, მაგრამ ორმო მაინც საკმაოდ ბნელია.

ერთი ხმა: ესეც მეოთხე! ამათ ხორცი არ დააკლდება.
ამდენი მგზავრი კაცის ხორცით დღემუდამ სკდება!
ყველა ჭკუიდან იშლება, რომ გემრიელია
აქ ნაკეთები ხორცის გემო _საძაგელია!
მეფე: სადა ვარ? ვინ ხართ? ეს რა მოხდა?
ერთი ხმა: სასაკლაოში,
ამოჰყავი შენც შენი თავი ფარულ ხაროში!
მეფე: როგორთუ? განა აქ კაცების სასკლაოა?
ერთი ხმა: დიახ! აქ ჩვენი ხსენებისაც სასაფლაოა!
ამიერიდან მომკვდარია ჩვენი ხსენება!
აი, აქ არის კაცთა მოდგმის გამოჭენება:
ჩვენ დევსა ვძრახავთ, რომ კაცის ხორცს სჭამს
ის პირმყრალი
და აქ კაცია კაცთ-ჭამია ცოდვით მიმღძვალი!
კაცობრიობის საძრახავად და სათავცემოდ
კაცს ეჩვენება კაცის ხორცი უტკბილეს გემოდ!
რაებს ჩადიან აქვე უკანმოუხედავად.
ძმის ძვლებს ღლოღნიან და აქებენ განუკითხავად
ძმის სისხლსა და ხორცს... ესევიან მშიერი მგლები,
როგორც ქათმის კუჭს გადაგდებულს კატის ცინდლები...
ლამის ერთმანერთს დაერიონ, რომ შემოაკლდეთ...
ვერ დაინახეთ, რას ჩადიან გზის პირზე, გარეთ?
დარწმუნებული ვარ იმაში, რომ კიდეც მიხვდენ,
არ ინანებენ...რომ ცოდნოდათ ზედმეტსაც იქმდენ_
როგორც (ატალა) კაცის თავის ქალას გაწმენდდენ
მით თბილსა სისხლსა თავისვე ძმის ხარბად ხაპებდენ.
ესენი სისხლსაც არ აქცევენ, ღვინოს ურევენ
და ამით სტუმრებს ტვინს, გონებას ერთბაშ ურევენ.
მეფე: მაშ, ჩვენც დაგვკლავენ?
ერთი ხმა: აბა აქ ჩვენ რად ჩამოგვყარეს?
ამას უზამენ, რაც ჩვენ გვიქნეს, აბა, მოყვარეს?
ეს ნოხი არის მათ მახეზე გადასაფარი,
ეს ბნელი ორმო კი ჩვენია მიწა_სამარი!
რვა-ათი კაცი ამ ყაჩაღთა ქვეყანას იკლებს:
სულ აქა ჰყრიან დოყლაპიებს, ჩვენსავით ვირგლებს.
მაჭიკებრ დამჭკნარს აქ სულაც არ ჩამოაგდებენ,
ამითი არის, რომ კაცის ხორცს ფასსა ადებენ_
სხვებმა იციან, ვისი რაა? ქებით აქებენ
და იმდენს ჭამენ, ხშირად უკვე პირსაც აღებენ...
სისხლი რა არის, კაცის სისხლსაც კი არ აქცევენ_
ბადაგს არქმევენ, როგორც ღვინოს, სისხლს ასაღებენ
თაფლში ნარევსა...
მეფე: თუ იცოდი შენ ეგ ამბები აქ რაღად მოხვდი?
ერთი ხმა: აქ რომ მოხვდი შენ, ვეღარ ხვდები?
აგრე მივხვდი მეც, როცა ჩემ წინ სხვა გაატყავეს.
ის საცოდავი არ დანებდა, ბევრი აბღავლეს!

აი, ახლავე ამ ერთ ჩვენგანს მოელის ის დღე...
შე საცოდაო! გირჩევნია შენით განირთხე...
აქ უარი და ძალადობა აღარ გაგივა...
ვინც მსუქანია, უხორთუმო, ყველა აქ სცვივა.
ქონიანსა და საფთ-ხორციანს ეტანებიან_
კაცის სისხლით და კაცის ხორცით უფრო თვრებიან.
აქ საძეხვეა კაცის ხორცის, დიდი ქარხანა:
ვინაც კი არის ქვეყანაზე ალხან-ჩალხანა,
ყველა აქ იყრის თავს... და აი მეც ამ ბატებში,
ვინც სახორცეა, ის ვარდება კიდეც მახეში!

მეფე: ვერ გამიგია მაინც კიდევ...

ერთი ხმა: ჩქარა გაიგებ
და შენი ორივ თვალით ნახავ, რასაც მოიგებ!
დაგკლავენ და შენს ყვითელ ქონს მგზავრებს აჭმევენ.

მეფე: მერე და ამას რათ შვებიან?

ერთი ხმა: ფულებს იგებენ...
ვერ ნახე განა, სისუქნისგან სულს ძლივს იღებენ?

მეფე: როგორ ბედავენ?... ეს ხომ დიდი ურჯულობაა?
ქვეყნის ბრიყვება და კაცის კვლა _ ეს ხუმრობაა?

ერთი ხმა: წადი და ჰკითხე...

მეფე: დასამართნი მე დამემართა:
ნეტა მაგათი მე რა მქონდა, ან რა მემართა!?..
ისე გადუწყდა მაგათ, როგორც გადამწყვეტია_
ასე ილაჯი მე ჩემს დღეში არ გამწყვეტია!

მეორე ხმა: აგრე არა ვარ უბედური მეც?

მეფე: შენ ხარ ვინა?

მეორე ხმა: აი, ეს ყოფა ჩვენი ღმერთმა კი შეარცხვინა!
ვინცა ვარ, რა ვარ? ვით ხბო ამათ ხელში ჩავარდი:
ჩემს იარაღში მეც შემეძლო ხოლმე ნავარდი,
არსა ასეთი სირცხვილიც ჯერ არ მიჭამია:
ჭკუით, როგორც ხბოს, მომერია კაცი-ჭამია
კაცის ხორცისთვის იარაღი ჩემი გავეცი:
და ამ ორმოში, როგორც ბელტი, ზურგით დავეცი!
ახია ჩემზე! ჩემს ხრმალს წელზე მე არ ვიხსნიდი
თვითან მეფესთან, მის სუფრაზე, ქედს არ ვიხრიდი
და აქ ასეთი რა მომიხდა, რა დამემართა,
ღინწილა დანაც აღარ შემრჩა, რომ ამემართა?!
შიშველი ხელით რა უნდა ვქნა? რათ ვატარებდი?
ნუთუ იმისთვის, რომ მტრების გულს გავახარებდი:
იქ ოქრო-ვერცხლის იარაღით, აქ სისხლით, ხორცით_
დიახ, მათ დიდი სარგებლობა აქვთ კაცის ხოცვით!

მეფე: მაშ, მეც დამკლავენ!?

ერთი ხმა: ვის წითელი კოჭი ხარ შენა,
რომ ჩვენში შენი გამორჩევით მოგადგეს წყენა?
შენზე წინ ორი კიდევა ვართ ჯერ დასაკლავი;
ერთი ეს მგელი იარაღით, მეორე კრავი

უიარაღო, როგორიც ვარ მე, უბედური
ვაჭარი კაცი... მე რა ვიცი სუფრა მეფური?

მეფე: ეს ვინღა არის, ეს მესამე აჩრდილი კაცის?

ერთი ხმა: ვერც ეგ გამოდგა სიმხნის გული და სიმამაცის:
მწიფე ლეღვივით დაიფშხალა, მორთო ტირილი.
მაგაზე, ორმოს ბნელს აუტღდა ღარმე სიცილი:
ალბათ ეგონა, მათი გული ბრალით გახარა,
«ბედნიერით ვარ ავათაო», მათ მიახარა!
რომ არასფერი სულ არ ეთქვა, ვგონებ, უჯობდა...
თავის გაშვებას, მით თავის ხსნას ვარაუდობდა,
ნამდვილად კი სხვა რამ გამოვა: მაგისი ხორცი
ძაღლების კუჭებს გაახარებს, _თუნდ შეხვდესთ ფოცი,
მას ვინ ინაღვლებს? ბარემ კაცებს შეყროდა ბრაზად!?
მოუკვლელობა არ იქნება... წავა ანდაზად_
«ავადმყოფობით ავაზაკი კაცს იბრალებსო,
როცა სხვის ხორცის ჯანსაღობით კაცებს აძღებსო»!
ეს რომ გაუშვან, ვერ იფიქრა: მათ დააბეზღებს
და იმათ შველას თვით გამჩენიც ვერ მოახერხებს.
ასე ბრიყვები არ არიან ავაზაკები:
აბა, იმათზე წავა მაშინ შორს არაკები!
სხვებს ატყუებენ, სხვებიდან თავს მოიბრიყვებენ?
იგინი ფიცით, დაპირებით თავს არ იკვებენ!

მესამე ხმა: მართალი არის... ჩემი ფიქრი უსუსურია:
მაგათ სიცოცხლე ჩემზე უფრო მეტად წყურია_
მიტომ ჩადიან, რომ იცხოვრონ, ავაზაკობას.
ჩემი გაშვება არ ნიშნავს თუ მაგათ დამხობას?
და ჩვენ ოთხივე ერთ ტაფაში მოვიხრაკებით...

ერთი ხმა: მაგ ჩვენებაში ჩვენ სამი ვერ დაგეთანხმებით:
ჩვენ ავად არ ვართ და საგუფთე შენც ვერ გახდები.
კაცის კუჭამდი ვერ მიატან, ძაღლებს დარჩები.

მეფე: საქმე ის არის, რომ ცოცხალი როგორმე დარჩეს,
თორე ვის კუჭშიც უნდა იყოს, მაგას მოარჩენს?
რა ღირსებას და სახელს უძღვნის მას კაცის კუჭი?
ან დაცინება არის ეგ და ან სიტყვა ფუჭი!

პირველი ხმა: ხაბარდა! მოდის განკითხვის დღე! საშინელია!
ახლა ნუ იტყვი: კაცი ისევ მხეცი_მგელია!?

(ჩამოეშვება ჩამობმულ ბაწარზე ჯერ ერთი სალახი, მერე მეორე, მერე მესამე საყასბო დანებით, მასათებით და სხვ. დაიარაღებულნი. როგორც ბუღა მოზვრები, ისე ატრიალებენ გადმოცვენაზე გადმოკაკლულ თვალებს.

ერთი სალახი: აბა, რომლის არის ჯერი?

პირველი ხმა: აი, ამისი!
დაკარგული აქვს მას სიცოცხლის უკვე ხალისი...

მეფე: მართლა უნდ დაჰკლათ?

მეორე სალახი: აბა, ტყვილა?

მეფე: რათ გინდათ ლეში?

ხმა: ვერ ნახე განა: უყიჭყიჭობსთ რომ მადა ყელში?

მსუქანი კაცის ხორცი ერთობ გემრიელია;
ვინც რომ გასინჯა_ კაცის ხორცის ჭამის მგელია!
მეფე: ჩვენც რაღას ვერჩით საწყალ დევებს?
მათ რა ჰქნეს მეტი?
ყველას თვალები რჩება ლამაზ ქალებზე, მათაც;
უნდ მოიტაცონ, თუ მიიგნეს, დაუჯდეს რათაც
და კაცის ხორცსაც მოურჩენლად ეტანებიან...
აგერ, კაცები_ვაი სირცხვილო!_მეტსაც შვებიან!
ჩვენში სიხარბის თვალის მეტი, აბა, რა ჰყრია,
ვინც რომ მიხვდება და არ არის სულ მთლად გაგრია?
მეორე სალახი: ამას სიკვდილის შიში სრულაც არ ჰქონებია:
სხვებს ენა ებმის, ამას უფრო აბორგვებია!
მეფე: შიშით სიკვდილი, ვინ იყო, რომ მოშორებია?
კეთილი ყოფა ამ ქვეყნად ვის არ ნდომებია?
თქვენ გინდათ, კაცთ კვლით რომ გამდიდრდეთ,
მე შემიძლია
თქვენ ჩემი ხელით გაგამდიდროთ, ეს ნამდვილია.
რათ ხოცავთ კაცებს? ნუთუ კაცთ კვლა სასიამოა?
თქვენ გინდათ ოქრო, ვერცხლი და ეს ამის გამოა.
მესამე სალახი: მაშ, ჩვენ რა მხეცები ვართ, რომ კაცები ვკლათ,
თუკი გვექნება ოქრო, ვერცხლი ყოფნის საძირკვლად.
იმდენი, რომ მით გაიოლდეს ჩვენი ცხოვრება,
რითაც უნდ იყოს მისთვის ფულის მონაპოვრება.
მეფე: თქვენ რომ მე დამკლათ, ამოიღეთ ჩემში თუნდ ათი,
ოცი თუმანი... სულ მუდამ გაქვთ იქ გულში დარდი:
ვაი თუ სადმე მოისუნონ ჩვენი საქმენი,
რას სხვებს ვაყენებთ, დაგვაყენონ ჩვენ იგივ დღენი.
არ იქნება, რომ არ აგეძრასთ გულში სინდისი
და არ სთქვათ, რომ ჩვენ რათ გვინდოდა სიკვდილი სხვისი,
თუ მოუკლავად ვპოვებთ ოქროს და გავიხარებთ,
არავითარ შიშს გულში მერე არ გავიტარებთ,
ისე ვიცხოვრებთ? დიახ, მე მაქვს ეს ოქროს ხელი!
და არ იქნება დაღუპული მისი მომკვლელი?
დაანებეთ თქვენ თავი მაგ თქვენს საშფოთო საქმეს.
ეგ თქვენი დრტვინვა გადაგკიდებსთ ბეესაბს რამეს.
ადრე, თუ გვიან_გამჟღავნდება დანაშაული,
გვიან იქნება მერე ცრემლი და სინანული!
ნუ ხოცავთ ხალხსა, ნუ გინდათ ეგ აურზაური
შორს წასულია ახლაც თქვენზე დიდი ხმაური...
სანამ დრო არის, მოიხედეთ უკან და მიხვდით,
რომ დაღუპვისკენ მიდიხართ თქვენ მაგ გზით და ხიდით...
მოდით აქ ყველა, მოიყარეთ ჩემს ირგვლივ თავი,
მე მინდა თქვენი შველა, დაჰგმეთ ბოროტი, ავი...
ავს ნუ იზამთ და ნუ ელით ავს_მე ვარ საშველი...
ინდური არის ხელოვანი ეს ჩემი ხელი_
მოუჭერ მუჭს და ოქრო ტკბილად გადმოდინდება

და ეს მაჭარი ულეველი მუდამ იქნება...
რაც რომ მეტს ხარჯავთ, უფრო მეტი იდენს, იქაფებს
და უფრო ფანტავს ქაფ-მომდგარი ბუჟღებს და შხვეფებს
ეს მოგონება კი არ არის, მასხრობა ტყვილი...
მე თქვენს ხელში ვარ_ სიცოცხლე და ჩემი სიკვდილი...
ჩემი სიკვდილით თუმანსაც ვერ მოგცემსთ, ხელი
კი ათასებსაც... მე ვიქნები თვით ქვეყნის მხსნელი... არა?

პირველი სალახი: კაი შენ, თუ ეგ, რაც სთქვი, სულ მართალია!
ასეთი ხელის გახმობა რა სამართალია!?
ვის მოუჭრია ნაყოფის ხე, როცა მას არჩენს,
იმის სიცოცხლის არსებობის როს წყაროს აჩენს?

მეფე: ბედმა მოგგვარათ ჩემი თავი და ისარგებლეთ.
სისულელეა, ჩემი სისხლი რომ წასკდეს ღელეთ,
როცა მე ჯანი საღი მაქვს და ვარ ახალგაზრდა,
ჩემი სიცოცხლით შემიძლია მდიდრებად გახდა
თქვენი_ყველასი, რამდენიც ხართ, უსაცოდაოთ_
ბედნიერი გყოთ, შემიძლია, ყველა უდაოთ!

მეორე სალახი: ჩვენ მაგისთანა იმედები ვერ გამოგვკვებავს:
რომ გაგვაცურო ყინულებზე ჩვენ გულით გნებავს.

მეფე: სრულადაც არა! ცარიელი ეგ ეჭვი არი_
თქვენს ხელში არის სიცოცხლე და ჩემი სუდარი...
მე არ ვთხოვილობ, წამხსნათ თავი, გამიშვათ, არა!
მხოლოდ ვიცოცხლო, აი, ჩემთვის ეს განძი კმარა!
მხოლოდ ამ განძით ისარგებლეთ_ხვეტეთ ფულები
რათ გინდათ, იყოთ ქვეყნის მჟლეტი, ქვეყნის თქმელები?
ერთს მომიდექით, აწარმოეთ ჩემი ხელები,
ყიდეთ იმისი ნასაქმარი და ნახელები
და ივსეთ ჯიბე ერთი დაკვრით _ასი თუმნებით...
გამიშვით-მეთქი, მე ხომ იმას არ გეუბნებით?
ჩემი სიცოცხლე ცოდვებიდან თქვენი მხსნელია...
თქვენი სიმდიდრე ხელოვანი ჩემი ხელია...
მოდით აქ, თავი მოიყარეთ ამხანაგებმა...
ჯერ მოისმინეთ დაკვირვებით თქვენ ჩემი გეგმა,
აწონ-დაწონეთ, გადაზუზრეთ და გადმოზუზრეთ,
რას გეუბნებით, შეიმეცნეთ და დაუყურეთ:
თუ რომ სჯობია ის თქვენს საქმეს და ბეჯითია,
მიყევით სწორ გზას_კაცი, კაცი მხოლოდ მითია,
რომ იმასა აქვს მჭრელი გონის შორს გამჭვრეტლობა.
თქვენ ყველას ცამდი აგამაღლებსთ ჩემი ხელობა.
მაშ, ეს საქმეა, თქვენი საქმე, სისხლისა დენა?
რომ გაიგონოთ ხმა სიმართლის, მისთვის გაქვთ სმენა.
წადით, მომგვარეთ დანარჩენი ამხანაგები:
ეხლავ დაშალეთ ბოროტებით საქმე ნაგები.
ათას თუმნობით მე თქვენ შეგძენთ_მომყევით კვალში...
რა სიმტკიცეა სამშვიდობო კაცების კვლაში?

პირველი სალახი: ჩვენ რვა კაცი ვართ,

შენ ერთს გინდა ჩვენი მორევა...
მეფე: სინჯეთ! ხომ მე თქვენს ხელშიდა ვარ? ცულის მოქნევა
რა სიბრიყვეა, როცა ათ-ოც თუმანს ვერ შვება
და ათასები კი მარჯვენას ჩემსას მოჰყვება!?
პირველი სალახი (მეორეს):
წადი, მორეკე ყველა ჩვენი ამხანაგები!
მე ამ ყმაწვილმა კაცმა მასვა მთრობი ბანგები
ოცნებისა და იმედების და მე მგონია,
ამისი რჩევა ერთ რამეში მოსაწონია:
ჩვენს ხელში იყოს უფრო მაგრად, ვიდრე რომ არი...
ეს სიცოცხლეა მუდმივ ბრძოლის და საომარი...
თუ რომ მარჯვენის ხელოვნობა ათასებს მოგვცემს,
რა სიბრიყვეა, საოცნებო რომ არ გვაოცნებს!?
თუ არა და ჩვენ ვინ წაგვართმევს ჩვენს ხელობასა...
და მოუღლარჯავთ ჩვენ მას კისერს, მის ხელობასა...
ათას თუმნობით ოქრო ერთად სანატრელია...
ვნახოთ მაგისი ხელოვნობა რისი მქნელია
და ოქრო-ვერცხლიც თუ საიდან მოსასვლელია...
მეორე სალახი: მეც მაგ აზრის ვარ... ჩვენი საქმე იწონწალზეა:
ჩვენი შენობა სიზმრებური სახლი წყალზეა_
შემოუბერავს ქარი _ სახლი წყალში გაჰქრება_
ბეწვის ხიდზე ვართ, ეს საეჭვო როდისღა რჩება.
მაშ, მოუსმინოთ...
მესამე სალახი: მოუსმინოთ... იქნებ, სჯობია
და რაც სჯობია, სანდომია და სანდობია...
სიფრთხილეს თავი თუ არ სტკივა, სხვას რას ვაკეთებთ.
ჩვენ იმას ვშვებით ჯერ-ჯერობით, რასაც ვახერხებთ...
თუ უკეთესი გვიხერხდება, რა სიბრიყვეა,
არ დაუჯეროთ? ეს ჩვენი ტყვე ხომ ისევ ტყვეა?
(**მეორე სალახი** აჰყვება ბაგირს კატასავით ხელებით და ავა ზევით _სამიკიტნოში).
პირველი სალახი: დროც ახლა არის... ღამეა და სტუმრობაც მიწყდა...
ამდენი ჯავრით, მღელვარებით ჩემი გადმიწყდა...
ვინ იცის, იქნებ მართლაც რამე ამაში ჰყრია?
მეფე: რომ სასარგებლოს ჩვენ ვერ მივხვდეთ, არ ვართ გაგრია.
ჰაი ჰუის სჯობს და სხვის სისხლით ბოჭა ფარების,
თუ სიჩუმეში ბოჭა ასის და ათასების
თუმნობითა და უსისხლისღვროდ_გასაგებია,
როცა ასები, ათასები სულ ნაღდებია...
ვგონებ ეს ბრიყვსაც თვალებს ფართოდ გაახელინებს
და ჩემს სიცოცხლეს, თვის საუნჯეს, დააცვევინებს.
თქვენ ოქრო გინდათ, მე სიცოცხლე_აი, ეს ხელი,
ეს ოქროს ხელი ხელოვანი, ამისი მთქმელი!
ეს ამოპირავს უძღებობას თქვენი გულისა_
შემოქმედია ოქროს განძის, სასწაულისა.
პირველი სალახი: რა ხელობაა ამისთანა, რომ ოქროს ადნობს?
მეფე: ეს ჩემი ენა რვა კაცსავე ერთხელა გაცნობს,

იმასაც გაცნობს, თუ რა და სად და როგორ უნდა,
რომ წამოვიდეს თქვენსკენ ოქრო, ვით თოვლის გუნდა.
მე ცარიელი მეოცნებე, რომ არ ვარ, მაშინ
დაგეხატებათ, ვით სიმართლე ფხიზელი, თვალწინ.

მესამე სალახი: ნეტავი მართლაც იქნებოდეს ეგ აგრე! მართლა
არ დაგვჭირდება ხალხის მარგვლა, თავების მალვა;
არ დაგვჭირდება ათასგვარი ფეთება, ბოდვა,
არ გაგვიტკბება ფულებისთვის ბოროტი ცოდვა...
სიზმარშიდაც გვაქვს შეყოლილი ჩვენ შიშის რული_
არ შეგვიძლია მოსვენება ძილშიაც სრული!
ერთი წაროშვა უნებლ სიტყვის ხეზე დაგვკიდებს,
როგორც რომ გუდას_უპატრონოდ დაგვიყრის შვილებს.

(ჩამოდიან ზედი-ზედ ბაწარზე ხელების მოკიდებით სალახები _ამათშია დახლიდარი, მზარეული, ხაბაზი, ლაქიები და სხვ. მოიყრის თავს რვა კაცი მეფის გარეშემო. სამი დასაკლავი კაცი კედლებზე არიან აყუდებულ-აბუზულნი, აქ და იქ, როგორც ღამურები, უძრავად. ამათი ფიქრი შორსაა, როგორც განწირულების).

უხუცესი სალახი: რას გვიკეთებენ ეს კედლების ღამურები?
იქნებ ოქროსი აბადიათ მათაც ხელები!?

პირველი სალახი: ჯერ ამის საქმე გავათაოთ: დიდს იპირება,
ამიერიდან არ მოგველის ჩვენ გაჭირვება!
ხუთასთუმნობით, ათასობით ავიღებთ ხელად,
ისეთ რასმე ჰქმნის ამის ხელი სხვის საკვირველად...

უხუცესი სალახი: დეე, თვითან სთქვას! თუ გვიყოლებს ჩვენ ენის მღერით,
რომ მოიგოს დრო თვის სიცოცხლის. ამ ჩვენი მზერით,
რას გამოგვრჩება? სიკვდილი ხომ არ აშორდება?
და, როგორც ძაღლი, თვის სიცოცხლეს განეშორება!
ჩვენ უფრო ფხიზლად ავადევნებთ დაჭიმულ თვალ-ყურს
და მივაყურებთ ამის ფანდებს და ამის ფხაკურს...
მაშ, მართალი სთქვი: რომ გაცოცხლოთ, რა შეგიძლია?
ჩვენი ოცნება ოქრო-ვერცხლის ზღვის ხეხილია!

მეფე: მე ახალგაზრდა კაცი რომ ვარ, ხედავთ აშკარად_
თითქოს მერცხალი შემიყლაპავს და ფრთები შავად
საულვაშეზე დამრჩენია _სიცოცხლე მინდა,
თუნდაც ორმოში, თუნდ ბნელეთში და არცა წმინდა,
რადგან თქვენს სულს უნდ ვამსახურო ხელოვნის ხელი,
უნდა შევიქნე კაცის მკვლელთა ცოდვათგან მხსნელი.
მე მაქვს ნოხების ქსოვის მაჯა მოხელე დიდი_
თითო ნოხს დამჯდარს რვა-ათ თუმნად ხუთასად ვყიდი!

რამდენიმე ხმა სალახებ შორის:
ეგ ტრაბახია უსაბუთო! სად გაგონილა
ნოხი ხუთასად გაყიდული? როდის ყოფილა?
ფულსაც დავკარგავთ, მასთან დროსაც და რა გამოვა?
ათ თუმნის თესლზე თუნდ ხორბალი ხუთასის მოვა?

მეფე: ერთ მარცვალზე მე ასს მოვიყვან, თუნდაც სიმინდსა...
და გადაგაცლით თვალებიდან აკრულს მით ბინდსა...
არ ვიტყვი სამასს, ოთხასს, ხუთასს და კიდე მეტსა,

ცელით საცელავს და ფორცხებით კი მოსახვეტსა...
ორმოცდა ათი ხომ მოვა და მოვა ნამდვილად,
სადაც მიწაა ნაფუძვარი, სარწყავი ხშირად.

უხუცესი სალახი: ჩვენ ვერ გადავყრით რვა-ათ თუმნებს
ბედის საცადში.
ანგარიშს უწევთ ამ ცხოვრებას, რაც ხდება ცხადში.

მეფე: მე მაქვს ეგ ათი თუმანიცა გამოყოლილი
ჯიბეზე, ცადეთ ჩემს ფულებზე, ეს მოყოლილი
ამბავი _ არამც ხუთასსა, აიღებთ ათასს
და გაიკეთებთ ჩემს საქსოვად ჯეროვან თამხას.
ჯერ ხუთასზეა ლაპარაკი, მერე ათასზე...
შემოსავლადაც უკეთესი რაა ამაზე?
კაცების ხოცვა, კაცის ხორცის ძაღლივით ჭამა_
ნუ თუ აქამდეც მიაწია საწყალმა კაცმა?
მუდმივი შიში და ფეთება, ცოდვის მხილება...
ძილშიც არა გაქვსთ მოსვენება_სიზმარში გყვება
ჯერ გავაკეთო ჩემი ნოხი და მე გითითებთ,
ვის უნდ მიართვათ_ხუთასს, ათასს იქვე მიიღებთ.
ულაპარაკოდ და უსარჩლოდ: ჩემი ხელია,_
შემოქმედების ხელოვნურის დიდი მმხელია:
მე ნოხს ვაცოცხლებ, ვამოძრავებ... როცა დახედავ,
რომ აქ უბრალო ხელობაა, თქმას ვერ გაბედავ.
მზერა იმ გვარად აგერევა იმის ჭვრეტაზე,
რომ ხმებიც გესმის მოძრაობის სიცოცხლის ძალზე...
ეს მოსწონს, აი, ვისაც ოქრო კი აბადია...
მხოლოდ დაარქვი ფასი... მოგცემს _ნაღდზე ნაღდია!

უხუცესი სალახი: ვსცადოთ?

ერთი ხმა სალახებიდან:
მხოლოდ თვით კი მიგვასწავლოს სად იყიდება?
დაფასებაც აქვს ნახელოვნარს, სად ვინც მიხვდება.

მეფე: მე გითხარით და გეუბნებით: მე მიგასწავლით,
სიდანაც მოხვალთ ოქრო-ვერცხლით გავსილი კალთით.
არასფერიც აქ აღარ არის სათუებელი
და რვავეს ოქრო-ვერცხლში ჩაგსვამსთ ეს ჩემი ხელი.

(ამოიღებს უბიდან ოქროებს ერთ ქისას, მისცემს უხუცეს სალახს, ამოიღებს უბის ჯიბიდან ჩამოწერილ სიას და მისცემას მასაც).

აი ეს ოქრო ერთი ქისა და ესეც სია_
რა იარაღი და მასალა გვინდა, მისია.
თქვენ უნდა ნახოთ მეხალიჩე სადმე ქალაქში.
მიეცით სია. ის მიხვდება: მისია საქმე_
რა ხელობის ვარ, რა ოსტატი და მცოდნე აქ მე;
რომ ამა სიის შემდგენია ნოხის მქსოველი
უმაგალითო, რომ მასა აქვს თვით ოქროს ხელი,
რომელიც ხუთასს, ათას თუმანს მიიღებს საფასს,
თუ სწორ გზას მისცემს, ვისაც უნდა, ამ ძვირფას საქმარს...
წადით, გაიგეთ, გაიკითხეთ და მომიტანეთ

ეს იარაღი და მასალა, ნუღა ახანებთ,
რომ აღარ იყოს საჭირო ამ კაცების ხოცვა,
ქვეყნის დაღუპვა და უხილავ მხოცველთა [ქოქვა].

უხუცესი სალახი: რას იტყვით, ძმებო!? ეს რჩევაა უძღები მადის
ერთად-ერთი რამ, რაც ჩემს გულში სინათლეთ ჩადის
და რაც მიპირავს _ეს ხუთასი თუმნების ხვავი...
ის კი ადრე თუ გვიან თავზე ჩვენ დაგვეცხრობა
და მთავრობა ჩვენ შეწყალებით არ მოგვეპყრობა:
ცოლით და შვილით ამოგვჟუჟავს, გაგვანადგურებს:
გველის-წიწილებს ვინ დაზოგავს, თუ მოისუნებს,
როცა, რძეს არა, თვითან გველებს ქვებს მიაყოლებს
ეს ხუთასები, ათასები ჩვენ [შეგვიყოლებს]
და ამ ერთისთვის, ისიც მისი დატყვევებისთვის
სულ არ ამოგვწყვეტს... ვინ ინაღვლებს მაშინ სხვებისთვის.
დრო და ჟამს მიაქვს თვით სიმწვავეც ჩადენილ ცოდვის.
ჩვენც მოგვისვენებს მიძალება სიზმრის და ბოდვის.

ხმები სალახებიდან: ვცადოთ, აქედან რა გამოვა?

მეფე: დროს ნუღა ჰკარგავთ!
ამდენი კაცის ამოგდება გედებათ ბარგათ.
წადით, ეწიეთ ახალ საქმეს ამ ჩემი სიით:
თქვენი საშველი თუ იქნება, იქნება იმით.
და ჩემი მადლიც ის იქნება, რომ დედა-მიწა
აღგვის მის ნიშანს, თქვენი ხელით რაც წაიპილწა.
ამდენი ხალხის ხოცვა_ჟლეტა ერთხელ შეწყდება_
მშვიდი ცხოვრება და იმედი იქ დაწესდება.

(ფარდა) 1942 წ. 30/ XI.

მეოთხე მოქმედება

სცენა: მეფის დარბაზი სამგლოვიარო ძაძებით მორთულია. მეფის –დედა ზის შავი სამგლოვიარო ძაძებით მოსილი და ღვრის ცრემლებს ჩუმი ქვითინის ღიღინით (ზარით):

არ გათენდება ჩემთვის, აღარა!
ვაი-მე, ერთის პატრონის დედას!
სისხლის ცრემლებში ჩემი ჭაღარა
სველდება და გვრის ბედკრულ გულს ბნედას.
სადეთაც უნდა მიმოვიხედო_
ჭმუნვით სავსეა სასახლე, ველი!...
სადა ხარ, ჩემო ერთო იმედო!?
თვალი მემსება: ამაოდ გელი!
ვინ მოგიტაცა? ვინ მოგიპარა?
რა მტრობა ჰქონდა ჩემს ცოდვით სავსეს?
ჩემი სიბერე რომ არ იკმარა,
ხელი შეახო თვით შენს სამარეს!
გლოვაში ჰქრება ჩემი სიბერე
გულში ამომგჯდა ერთი ყვავილი,

რომელზეც ნანა ბევრი ვიმღერე,
ახლა ელდის მკლავს ამოძახილი!...

სამთვარის! (იძახის ხმამაღლა).

სამთვარისა (ოთახიდან გამოეხმაურება მტირალა ხმით).
ბრძანეთ!

მეფის დედა: ნუ იკლავ, შვილო თავს!
იქნებ არ ვართ ჯერ სასიკვდილო!?
იქნებ სადმეა ცოცხალი, უვნო?
მაგრამ უბანდავს რაღაცა ფეხებს...
შენ ეგ თვითონ სხვას უნდ დაუწუნო,_
რომ ცოცხალს სტირი_მკვდარს გააცეცხლებს!..

სამთვარისა (მტირალა ხმით): მუდამ ვიტირებ, ოღონდ კი ვნახო
ცოცხალი...ერთხელ ვეხვიო მკერდსა:
ღიმილი მხოლოდ მისთვის დავსახო,
მე მექნეს მისი მუდმივი კვნესა!
უიმედოა ამ გვარი ყოფა;
ცამ შეჰყლაპა, თუ ძირს მიწამ ჩანთქა
სულის და ხორცის არის გაყოფა!
ვერვინ გვაცნობა და დაიკარგა!
ვინ? ჩემი სული და სასოება,
ტკბილი ნატვრები, გიჟი ოცნება,
თავზე დამფრენი მტრედი იმედის...
სულს შერჩა მხოლოდ ამაოება!
და დამეღუპა ცოცხლადვე ბედი!..
რა მაქვს სალხენი, სამხიარულო?
თავზე შემახმა ცოცხლად გვირგვინი...
შენზე ტირილმა დამხია, სულო!
მაშინაც ცრემლს ვღვრი, როცა ვიცინი!

მეფის დედა: ჩემთან გამოდი! განმარტოება
შენთვის მძიმეა, მწარე, მომკვლელი...
არ უნდა მოსპო შენ სასოება_
მე მუდამ ვზივარ და ჩემს შვილს ველი!

(სამთვარისა თავის დედამთილის მოწვევაზე გამოვა შავ სამგლოვიარო ძაძებში გახვეული და მიუჯდება გვერდით).

სამთვარისა: ლოდინმა გული გადაიტანა,
სიზმარმა მეტი დამმართა კიდე...
ძილმა სიზმარი თან მომიტანა
რა ჩემი სული ბეწვზე გავკიდე...
ვნახე: მზე ისე ამოსულიყო
კიდის ღრუბლებში ვით რვალის ტაშტი
და ვარვალობა ისე დაიწყო,
ვით დილის მზით თრთის წმინა ტბის ნაშთი
მაგრამ სხივები აღარ ემოსა,
თვალმოუჭრელად შევჩერებოდი...
მკვეთრად ჩავხედე სახეში როცა,
სახე უგავდა მზე-ქალას როდი.

ჯერ კვაჭას ჰგავდა, მერე ეცვალა
სახე... გავცეცდი, რომ დავინახე_
კვაჭა სახიდან გადაეცალა_
ეს იყო მეფის ძვირფასი სახე!..
მაგრამ ისეთი კუშტი და მკაცრი,
მაგრამ ისეთი მკვახე შუბლითა,
მაგრამ იმგვარად გადანანაცრი...
განგმირვა სურდა ჩემი შუბითა!
გადმოკაკლული მისი თვალების
შიშმა შემზარა და დამაკივლა...
გამომაღვიძა ტანჯვამ წვალების,
კიდეც გამიქრა მზერიდან ნახვა...
რა ტკბილი სახე, რა მშვიდი სახე
ჰქონდა ჩემს მეფეს ჩვეულებრივად,
მაგრამ სიზმარში რა დავინახე!?
ეს რისხვა იყო, არც ღირდა ხილვად!
გადამიბრუნდა გული და მიცემს
იმ ბაგი-ბუგით, თითქოს დაფია...
იმ სიამებას, შვებას ვის მისცემს?
და გაწყვეტილიც გულის ძაფია!
რა ვაწყენინე? რად მემუქრება?
მსგავსი სიზმარი რა მოვლენაა,
რომ მის შიშისგან მისკდება გული
და ჩავარდნილი გვამში ენაა?
მეფის დედა: დედა, ლხინი და სიამოვნება
არ აგშორდება_მოგივა ქმარი
გახარებული, ძლევა-მოსილი...
აი, რა არის შენი სიზმარი!?
(გამოიღება დარბაზის კარი და დაუკითხავად შემოვა ვეზირი, ისიც მგლოვიარების თალხში ჩამჯდარი).
ვეზირი: (ძალიან დაძმარებული და დაღამებული სახით):
ვერ გამიგია, რა ამბავია?
ასე უსახოდ მეფის დაკარგვა!?
უნიშანწყალოთ, უგზოთ და უკვლოდ
წუთის სოფლიდან კაცის აბარგვა!?
ერთ შარა-გზაზე მივიდა კვალი...
იქ სამიკიტნო არის რაღაცა...
ჩვენს შეკითხვაზე თვით სამიკიტნომ,
მე მომეჩვენა, წაიბარბაცა...
ალბათ ყოფილა, მაგრამ იქ ხალხი
მოგზაურების ისე ირევა
და ხოლიხია ისეთნაირი...
მისი მნახველი გადაირევა!
საჭმელებს ერთობ ძლიერ აქებენ
და კიდე უფრო ბადაგის ღვინოს_
არც ერთის გემო მე არ მეგემა

და ჩემი გულიც რამ მოალხინოს?
სითაც ვაფრინე კაცი, არა ჩანს
არ-თუ მნახველი, თვით გამგონიცა
მისი ამბავის და სასოების
წარკვეთილებამ შავ-ფრთით მომიცვა.
მზე ამოდის და მზე ისევ ჩადის,
შეჭიკჭიკობენ მთვარეს ვარსკვლავნი,
ერთხელ ამაზე თვალის მოვლება,_
ცეცხლი დაანთო ამან ჩემს გულში,
ისეთი ასძრა სიამოვნება!
(ვეზირსა და მეფის-დედას გამოუძახებს კარზე მისული)
თუ ჩემს ოთახში იატაკს არგო,
რა მშვენიერი არის ეს ნოხი!
ამის ნახვაზე თვისთავად ჰქრება
უზომო ჩემი ახი და ოხი!
ვეზირი: მართლაც და ერთობ მშვენიერია.
მას ზედ ეტყობა აზრი და მადლი:
იქ ცოცხალია თვით ბუზანკალი
გამოხატული და მცირე მატლი.
მეფის დედა: მშვენიერება რამ ხელობაა!
მეფის სასახლეს ასეთი უნდა_
არამც თუ ხუთას თუმნებად ღირდეს,
ათას თუმნადაც დაფასდეს თუნდა.
სამთვარისა: ჩემი ოთახის იატაკს თუ რომ
არგო, აქ საქმე გაჩალხულია_
ჭირი, ვარამი გულს მოშორდება_
ხუთასი ოქრო აქ რა ფულია!?
(დაფათურდებიან სალახები და ხელად მიაგდებენ ნოხს სამთვარისას ოთახის კარებზე. შიგნი შეათრევენ ვეზირი, მეფის-დედა და სამთვარისა. მოხურავენ კარებს. დარბაზში დარჩებიან პასუხის მოლოდინში სალახები).
უხუცესი სალახი: თუ ჩვენი კოჭი დაჯდა ალჩუზე, ჩვენს ბედს
მამალიც ვერ დაიყივლებს;
ხუთასი ოქრო ხელში გვექნება,
კეთილ ცხოვრებას რა გაგვიჭირვებს?
მეორე სალახი: შენ კი სულ იმას გაიძახოდი:
ვინ მისცა ნოხში ხუთასი ოქრო?
ვინ არის ასე ხელებ-გაშლილი?
გადასაყარი ვის აქვს, საოხრო?
მესამე სალახი: მაშ რაღას ჰქვია კეთილი ყოფა?
მაშ, რაღას ჰქვია მდიდრად ცხოვრება,
თუ ოქრო-ვერცხლი გადასაყარი
მართლაცა და არ ენაშოვრება?
აქვთა და კიდეც მიტომ ცხოვრობენ
განცხრომაში და ფუფუნებაში,
მიტომ ფულების ფანტვა იციან
გაშლილი ხელის დაკვრით, ერთბაში!

უხუცესი სალახი: მე მაცივებდა იმისი შიში,
რომ დაკარგული ის არ ამოჩნდეს,
ვინც ჩვენ გვიპყრია ჩვენს ბნელ ორმოში,
არ აიღეროს და არ აქოჩდეს...
მაგრამ აქ სულ სხვა ჰაერი ქროლავს,
ლანდივით გაჰქრა სათუებელი:
არ შეგვეხება ამიერიდან
ჩვენ ჩვენს საქმეში არავის ხელი.
მეორე სალახი: თავიდან მაგას გავიძახოდი:
გაბედვა უნდა დიდი დიდ შოვნას;
ქვებში ასხლავენ თავსა და ტვინსაც,
როს ოქრო-ვერცხლის შეუდგენ პოვნას.
დოყლაპიები დაღებულ პირით
რას ნახვენ, რაც არ ჩაუვარდებათ
მხოლოდ შემთხვევით?
მესამე სალახი: ძებნა ომია...
საქმე სრულდება ჩვენი საქებათ!
აი, ნახავთ, თუ არ შეგვიკვეთონ
სხვაც და მეტ ფასშიც, მაშინ გაიგებთ,
რომ ერთი კაცის ხელოვნის ხელით
უჩუმრად, დინჯად რომ მთელ ზღვას ვიგებთ.
უხუცესი სალახი: შენს ენას ტკბილი შაქარი,
შაქარს მიყოლებული მრგვალი დედალი
მარილ-მოყრილი, გინდა შემწვარი!
ხუთასი ოქრო იყოს მძევალი.
ნაბარტყი მუდამ კი ვინაწილოთ
და გამოვპრანჭოთ გლასში შვილები,
ჩვენ მასპინძლობა დიდი, სტუმრობა,
პური და ღვინო, ერბო, მწნილები...
მესამე სალახი: ოჯახში არის ჩვენი სამშობლო_
იქ არის დედა, ბუდე, აკვანი,
იქ არის ჩემი ხატი, საყდარი...
მას ძველებურად უნდ ვსცე თაყვანი.
იქ არის ჩემი ბედნიერება...
აი, რათ მინდა მე საშოვარი!
კაცს ამის მეტი რაღა შერჩება,
კმაყოფილება რომ სახლში არი?
(გამოდიან ოთახიდან ვეზირი, სამთვარისა, მეფის დედა. სამთვარისას ჯოხი აქვს გრძელი ხელში).
სამთვარისა: ზუსტად მოერგო! რა კარგი ჰქენით,
რომ მომასწარით სულზე ეს ნოხი!?
შეკვეთა მქონდა მე განზრახული.
საზომად მქონდა მაშინ ეს ჯოხი,
მაგრამ ის მქონდა მე ნაღდად გულში,
ვაი-თუ ზუსტი არ გამოვიდეს!?
ჯოხი ერთ ფარად არ ღირს საზომად...

მაშინ ოსტატი უნდა მოვიდეს...
ოსტატის მოსვლა კი ძნელი იყო:
თავის ხელობა მას არ უშვებდა,
მედღეხვალიეთ საქმემ გაგვხადა_
იატაკს ნოხის ნაჭრებს უგებდა.
მიირთვით თქვენი ხუთასი ოქრო.
ალალი არის თქვენზე ეს ფული.
(ვეზირი ტომსიკით მიაწოდებს ხუთას ოქროს უხუცეს სალახს)
კმაყოფილი ვარ თქვენით მე სრული.
(სალახები ჩაიბარებენ ოქროს და აშკარათ ემჩნევათ, რომ
აღტაცებაში მოდიან, აღრფრთოვანდებიან).
უხუცესი სალახი:
ბედნიერი ვართ ამ დაფასებით.
მით მოგვემატა ხალისი შრომის:
ჩვენი ხელობა თვით შეგვაყვარეთ
და მოგვიმატეთ ძალ-ღონე ნდომის.
აბურბუსალდენ ახლა ჩვენს თავში
საოცნებელნი აღმაფრენისა,
გამხნევებული ჩვენი გულების
უკეთესების კიდევ შექმნისა...
მაგრამ ბევრია, რომ დააფასოს?
დამფასებელს აქვს საშუალება?
ცოტა ყოფილა ნიჭით შექმნილი,
რომ დაიღუპა?_აუარება.
რომ შევქნათ, ვისთვის? ვინ დააფასებს.
ბევრია განა თქვენისთანები?
დროს ატარებენ ღვინით ქალებში,
უმეტეს წილად ფულიანები!..
და ხელოვნება მიგდებულია...
თქვენი მარჯვენი და თქვენი ენა
ჩვენი ენიდგან კურთხეულია_
თქვენ შეგვიკვეთეთ ჩვენს გულში ლხენა!
სამთვარისა: მაშ, ასე ჰქენით: ამ დარბაზისთვის
ჩემი შეკვეთით აიღეთ ნოხი,
მაგრამ ამისთვის გასაზომავად
არ გამოდგება, ხომ ხედავთ, ჯოხი!?
ზოგან მრგვალია ამისი კუთხე,
ზოგან შეჭრილი და არ მგონია,
რომ ზუსტი ზომა გამოგვივიდეს...
ეს სულ სხვა გვარი გასაზომია.
რომ გამიკეთოთ და არ მოერგოს,
უეჭველია _დაიღუპებით!
მე ვერ ავიღებ... რათ მინდა ურგი?
მარგს დაგიფასებთ ათას თუმნებით!
და მე მგონია, რომ ვერ გაბედავთ
ასეთ შეკვეთის მიღებას, ვერა!

ათას თუმანს კი ოქროს გიბოძებთ...
მაგრამ რომ შეგრჩესთ... დაგღუპავთ, მჯერა!
უხუცესი სალახი: მაშინ ასე ვქნათ: ჩვენს უმფროს ოსტატს
ჩვენ თვითან მოგგვრით და ის გაზომავს.
მაშინ რაღაა სათუებელი?
სამთვარისა: ძლიერ კარგია, ოსტატიც რომ გყავსთ...
მაგრამ ეგ საქმე დაგვიანდება,
მე კი ოსტატი ხვალ სხვა მომივა
და საქმესაც ის მყის დაადგება...
მეორე სალახი: ჩვენ ოსტატს მოგგვრით ახლავ, დღესევე,
ჩვენი ხელობაც ხელოვნურია...
სამთვარისა: მე გამიტაცა ამ თქვენმა საქმემ...
თქვენ რომ აიღოთ გულით მწყურია...
უხუცესი სალახი: ახლავე მოგგვრით... ავიღებთ ზომას.
დიდი საქმეა და დიდი «ფლური»
ათასი ოქრო... რა სიმდიდრეა!?
ჩვენ კი ფულის ვართ დიდი მიჯნური.
სამთვარისა: მაშ, მოგელოდოთ?..
უხუცესი სალახი: მოტყუილება
არ შეიძლება!... აქვე გვყავს ტყეში
და მოუთბენლად ოქროთი გველის...
აგერ, ხუთასი!... ათასისათვის
ხვრელსაც გავივლით, თუ გინდათ, გველის!
(ტომსიკას ეფერებიან და უსვამენ ხელს. მანჭია დედაკაცებივით იგრიხებიან).
სამთვარისა: დაინახსოვრეთ: ათასს ვიძლევი...
დარბაზს მოერგოს... და ისე ჰქენით,
რომ თქვენი ნოხი არ შეგრჩესთ ხელში_
ათასი ოქროც თქვენია, თქვენი!
ვადაა, ვადა შეკვეთის, დღესვე...
ჩვენი პირობა ხვალ წაშლილია...
ეს ასე იყო ხომ აქ ნათქვამი?
მეც ვადასტურებ! განა ტყვილია?
უხუცესი სალახი: არა! ვინ გკადრებსთ?... ახლავე მოვალთ...
ახლავ ავიღებთ ზუსტ ზომასაცა...
სამთვარისა: ნუღა აყოვნებთ: წადით და ნახეთ
თქვენი ოსტატი, გინდ იყოს საცა...
(ქედმოდრეკით ეთაყვანებიან და ფაცი-ფუცით გადიან)
სამთვარისა: (მეფის-დედას). მობრძანდით, ნახეთ და შეამოწმეთ
თვით თქვენი ხელით, რას შვება გული?
(მეფის-დედა მიადებს ხელს და შეიცხადებს)
მეფის დედა: ისე ფართხალობს, როგორც ქათამი
გაფხავებული დანით დაკლული!
შენ გათავდები მანამდი, დედა,
სანამ ეგენი დაიღუპვიან
სანამ ჩემი ძე გამოცხადდება
ტყვეობისაგან ადრე, თუ გვიან!

სამთვარისა (ვეზირს): მამა! თქვენზეა შემოგდებული
ტყვე-ქმნილ მეფეზე ზეკაცის ზრუნვა...
წუთზე ჰკიდია მომაკვდავისთვის
ამ წუთისოფლის წიაღში ბრუნვა:
წუთმა დაჰკრა და გაწყვიტა ძაფი_
კაცი იყო და, ხედავ, არ არი!
ჩვენი სიცოცხლე მოჩვენებაა,
«იყო და არა იყო»-ს ზღაპარი...
თან დაედევნეთ კვაჭაც და თქვენაც,
ყოველი ზომა მიიღეთ, რომა
არ ჩაიაროს ჩვენმა ამაგმა,
არ დაგვეღუპოს მეფე და შრომა!
ხომ წავიკითხეთ ნოხში და ვიცით,
თუ რას გვიბრძანებს ჩვენი ბატონი?
თქვენ ამისათვის მოხერხებაც გაქვთ
და კიდეც გიჭრისთ აზრი და გონი.
ვეზირი: ჭეშმარიტია თქვენი ბრძანება
ამათ სჭირდება თვალის დევნება:
არა ერთი და ორი, ვით კვაჭა,
იმათ კვალ და კვალ აედევნება.
(გადის სიჩქარით)
სამთვარისა: არ გამოგვადგა ის ჩემი რჩევა,
მეფეს ესწავლა რამე ხელობა?
მოდით, მიშველეთ, გამოვათრიოთ_
უნდა ვიჩინო დღეს ჯეელობა_
ჭაღზე რომ უკეთ ამოვიკითხო,
ვიდრე სანთელზე, მოწერილობა.
უკეთესია მის ხელობაზე
დღეს რა ქველობა და რა გმირობა?
(დაფათურდებიან რძალ-დედამთილი და დაკაპიწებულნი გამოათრევენ ნოხს
დარბაზში და სრულად გაჩირაღდნებულ ჭაღზე კითხულობენ).
სამთვარისა (კითხულობს ნელი ტაატით):
«ტყვე ვარ ორმოში ამ სალახების
_სასაკლაოში _კაცის ხორცს ჭამენ!
მთელი ქვეყანა მთლად წაუპილწავსთ...
მეტს არც თოხნიან და არცა ხნავენ!
ვის კლავენ და ვის გერშენ მის ხორცით,
არ აქვთ განკითხვა... საშინელია!
მე დავახარბე ოქროს ზღვის შოვნა,
ავიყოლიე... მგელი მგელია!..
გიგზავნი ამ ნოხს. ხუთასი ოქრო
მიეცი, რაც სთქვან ულაპარაკოთ.
შენი ოთახი მით დაამშვენე,
ეს საქმე გახდეს მით საარაკოთ.
დარბაზისაში ათასს დაჰპირდი
იმ პირობით, რომ მის გასაზომად

მე მომიყვანონ, მაგრამ ისე, რომ
ხრიკი მოხერხდეს ჩემს გასაძრომად.
მოსთხოვე ნოხის ზუსტი მორგება,
მაგრამ ისე, რომ თვალიც აებასთ
და ეჭვიც სიზმრად არ მოელანდოსთ,
ჩემს ასაკლებად და ასაკეპად.
აბა, შენ იცი...თუ არა და თავს
რვა კაცი, ვით ჯირკს, წამაგდებინებს
და რა მომიხდა, ვინ და სად იყო,
არავინაც არ გაგაგებინებს.”
გესმის, ბატონო! რა ამბებია?
ეს განა სადმე გაგიგონია?
დევობა მისთვის გადააშენეს,
რომ კაცის ხორცის ჭამა ცოდნია.
ახლა კაცებიც დაუგერშიათ
კაცების ხორცზე და ისე მოსწონსთ,
რომ სიდან არის ეს გემრიელი
ხორცი, აღარც კი ეკითხებიან
და თანთქლავს, როგორც ღორი სალაფავს_
«კაცი კაცისთვის ისევ მგელია»,
ავაზაკობა ეს უსაშველო
ამკლებელია, საძაგელია!...
მეფის-დედა: მე ცოცხალი ვარ, ეს უბედური,
ჩემი შვილი რა განსაცდელშია!?
აქამდი წყალიც კი არ მწყუროდა,
ახლა ამ მტრების ხორცი მეც მშია!
და ვენაცვალე, დედა, შენს ჭკუას:
თუ გადარჩება ჩემი ძე, შენით!
თავის ლაშქარი რას უშველიდა_
ეს სასწაული, ვაშა, თქვენ ჰქენით!
სამთვარისა: და უფრო დიდი სასწაულია
ამ უცხო ნოხის შიგ ჩანაწერში...
ყოველგვარ სახეს თავის აზრი აქვს,
თუ რომ ჩავხედავთ ბუნების მკერდში.
ხელოვნობასაც აზრი უნდ ჰქონდეს,
სიცოცხლის აზრი, გამოხვეული.
რომ ცოცხალ კაცში აზრი არ იყოს,
ლეში იქნება მისი სხეული:
ხელოვანობა როცა სიცოცხლის
მომსახურებას გადაივიწყებს,
მაში დარჩება უსულო ლეში,
ის თვის სიცოცხლეს თვით დაიმიწებს.
მომსახურება კაცთა სიცოცხლის,
აი, იმისი დანიშნულება!
როცა სიცოცხლეს რქენას დაუწყებს,
გზა დაებნევა, გამოყრუვდება:

სიცოცხლისათვის გასახულს იმას
თავის მიზანი დაავიწყდება
დ, აი, მიტომ კაცი კაცსა სჭამს,
კაცი კაცსა ჰკლავს და იჟლიტება!
საქმე აზრია, საქმე ჭკუაა,
გარეგანობა ტურფა ბუშტია_
სავაებელად გამოგონილი_
შემოსაკრავი თავში მუშტია!
მეფის დედა: ოჰ, გენაცვალე, მაგ ჭკვიან შუბლში...
შენმა გამზრდელმა უნდ სთქვას: ვარ დედა,
კაცობრიობის მშვენება, მადლი
მის სადიდებლად_დიდება შენდა!
სამთვარისა: აბა, ახლა კი შევახოხოთ ეს ნოხი ოთახში,
რომ არვინ გაჩნდეს
და ეს სასწაულთ შემოქმედება
ეჭვების საგნად თვალწინ არ დახვდეს!
(მიეხმარებიან ერთმანერთს და შეაგდებენ ნოხს ისევ ოთახში)
მეფის დედა: შენს ქალურ ლამაზ სხეულში ბუდობს
მამაკაცური, გამჭრელი სული:
რასაც ჩადიხარ, ნათლად გვანახვებს,
რომ ოქმობს, ზრუნავს შიგ «დედის გული».
ქალის და კაცის შეზავებაცა
არსა ნახულა ჯერ შენისთანა:
შენა ხარ კაცთა უბედურობის
ბზუკის ალმასებრ გამჭრელი დანა!
შენ ახალგაზრდა, მე მოხუცებულს,
ბევრსა მასწავლი, გამიხელ თვალებს
და რომ ვიცოცხლო საქმის სიცოცხლით
ამიძრავს სახსრებს, გამაფართხალებს.
ოჰ, ერთი ჩემი შვილი ვიხილო
თავისუფალი და უვნებელი,
მერე, თუ გინდა, ხალთათ მათრიეთ_
თქვენი მონაა თავთან ეს ხელი!
(კარისკაცი გააღებს კარებს და იძახის)
კარიკაცი: მეხალიჩენი იხვეწებიან, რომ ინახულოთ!..
სამთვარისა: გაუღეთ კარი
და მოახსენეთ, რომ დედოფალი
მათ მისაღებად ორივ მზად არი.
(შემოდის გადაცმული მეფე და თან შემოყვება რვავე «მეხალიჩე»-სალახი.
წარსდგება წინ უხუცესი სალახი).
უხუცესი სალახი: აი, ეს გახლავს, ეს ახალგაზრდა
ჩვენი ოსტატი, ნიჭიერია,
შეხედულობით «მბრძანებელია»
თითქოს მის შუბლსაც ზედ აწერია.
სამთვარისა: მაშ, კეთილი და პატიოსანი!
დიდებულია თქვენი გაცნობა...

მე ეს ვაშკაცი არსა მინხავს
და არც მქონია ამისი ცნობა.
მაგრამ უთქვენოდ შემეძლო კიდეც
ამის შეხედვით იმის შეგნება,
რომ ამას ნიჭიც უბადლო ახლავს
და მბრძანებლობის ფხაც კი ექნება.
(გაეცინება: იმას ახარებს თვის მეფის ნახვა... გული აღარ უთბენს... სალახებს კი ჰგონიათ, რომ ჩვენმა გაცნობამ მოგვარა ღიმილიო. ეჭვს რაიმეს იმათში აღარ აქვს ადგილი).
მეფე: მე გიახელით აქ, დედოფალო,
ზუსტად გავზომო რომ ეს დარბაზი,
მაგრამ მანახვეთ ჯერ ჩვენი ნოხი,
თუ მორგებული არის, ლამაზი.
თუ რამ აკლია მას სადმე ფრჩხილის
ოდენაც, მაშინ მის შეკეთება
შესაძლოცაა და მოხერხდება_
მის ნუ გექნებათ გულის ფეთება.
სამთვარისა: მაშ, წამობრძანდით თქვენ ჩემს ოთახში...
თქვენც წამობრძანდით, თქვენც ჩემთან, დედა!
თქვენ მოგვითბინეთ, არ მოიწყინოთ,
თქვენს სასიამოდ, საამოდ ჩვენდა.
უხუცესი სალახი: მიბრძანდით...
საქმეს უჩქარეთ მხოლოდ.
დარბაზში ყოფნა მოწყენა არი?
იქ ტალახია ჩვენს ცხოვრებაში,
აქ გაცოცხლდება, თუ გინდა, მკვდარიც.
(შედიან ოთახში მეფე და ორივე დედოფალი. დარჩება რვა სალახი დარბაზში).
უხუცესი სალახი: საქმე უზურში მოდის! გვეშველა!
ხუთასი ოქრო მივიღეთ გვერდზე...
ათასსაც ერთობ მალე მივიღებთ
და მოვიქციოთ ქუდები გვერდზე!
რას მოვესწარით? გადავეკიდეთ
ამ ნოხის მქსოველ ხელოვანს დიდსა!
რა გვენაღვლება, მას ვაზიდვინებთ
ჩვენსა საოხო გადასაზიდსა!
მას ტვირთი, ჩვენ კი ინდურის ტკბილი
დადნობილ ოქროდ გადმომდინარი;
მას ტირილი და ჩვენ კი ჭიხჭიხი,
მას ჭმუნვა, ჩვენ კი სახე მღიმარი!
რას გამოვრჩებით ქვეყანას და ხალხს!?
სიკეთე, მადლი_სისულელეა!
საქმე განცხრომით ფუფუნებაა
და მის მომცემიც ოქროს ღელეა...
(გამოდის მეფე სრულ მეფურ სამკაულში გამოწყობილ_შემოსილი. ასევე გამოდიან ორივე დედოფლები).
მეფე (მეფური მედიდურობით):

მიცნობთ მე?

უხუცესი სალახი: დიახ! მეფე ბრძანდებით!..

(დაემხობიან მის წინაშე სალახები და სცემენ თაყვანს):

კიდევ რა იცით მაგაზე მეტი?

უხუცესი სალახი: ყველა გახლავართ აქ, ამ დარბაზში,
თქვენს გარეშემო სული თერთმეტი
და ყველამ ვიცით...

მეფე: აბა, რა იცით?
სულ არასფერიც არ გაგეგებათ,
ხუთას, ათასი რომ ოქროებით
დახარბებულებს მახე გეგებათ!
მე ვარ ის, ვინც მოვქსოვე ნოხი...
მეფე გახლვარ და მბრძანებელი,
თქვენ კი ხართ დიდი ავაზაკები,
თქვენ, ჩემი მრევლის გამძაღლებელი!

(გულგახეთქილი სალახები დაუფათურდებიან ფარულად მოყოლილ იარაღებს: ვინ დანას,
ვინ მასათს, ვინ რას და ვინ რას. ამ დროს ფართოდ გაიფელება დარბაზის კარები და
შემოვა კვაჭა, რომელსაც შემოყვება მოლაშქრეთა რაზმი, ყველა იარაღით ხელში).

კვაჭა (ცივი ხმით შეჰკივლებს მათ):

გაქვავდით!

(ყველა ისე გაშეშდება, როგორც იყო იარაღის ძებნის დროს):

აბა, ძირს იარაღი,
მაღლა ხელები!

(ყველას დასცვივდება ხელებიდან იარაღები. ჯგუფად აიშვერენ მაღლა ხელებს. რაზმი
გარეშემო შემოერტყმის რვავე სალახს).

მეფე: როგორ გეგონათ?
ჩემი ქვეყანა თქვენ გნებავდათ, რომ
ცხვრებად გეხოცათ და დაგემონათ?
სად გაგონილა ყრუ დევებს გარდა,
რომ კაცის –ხორცით იკვებებოდენ?
სად გაგეგონათ, რომ კაცის სისხლით
და ხორცით ისევ კაცნი თვრებოდენ?
მხეცის კანიდან გამოგვიყვანა
ქართველმა დედამ განა მისთვის, რომ
ქვეყანას სწოვოს თვის საბედნიეროდ
სისხლი, დაახჩოს ხალხი ერთმა ხრომ?
აგეთ პასუხი სამართალს ახლა.
ეგ მაღლა ხტომა თქვენი ფუჭია!
განა საწყალ ხალხს თავისი მეფე
ამ სამოსელში შეუკუჭია,
მისთვის, რომ იხჩოს მის მრევლის სისხლით,
უბედურობა მის არ იკითხოს
და მწყემსობის წილ მგლად გადაექცეს,
იმის დუმის თლას ხელები მიჰყოს?
მე არ გახლავარ ასეთი მეფე_

არ ვარ ბატონი, არც მბრძანებელი,
მე ვარ იმისი ჭირისუფალი_
იმისი ენა და მისი ხელი!
გადაცმული და მარტვა რომ დავალ,
თვალ-ყურს ვადევნებ მე ქვეყნის ყურსა
და, მე ჩემს თავზე აღარა ვფიქრობ,
ხალხის ვასრულებ მე სამსახურსა.
და, აი, ვნახე უსაშინლესი
უბედურობა რომ ხალხში ხდება;
ის საცოდავი, გაოგნებული
გრძნობს თავის კანზე, მაგრამ ვერ ხვდება!
მე მისთვისა ვარ მის წინამძღოლი,
რომ მე გავიგო ეს სენი მისა
და მიუსაჯო მიუდგომელად
ვინც რა თვის საქმით თვის თავს აღირსა.
(ამ დროს შემოვა ვეზირი. წინ აურეკია დანარჩენი თანა-შემწე-მოსამსახურენი და
ცოლ-შვილი სალახების და თანაც მრევლი მეფისა... ისმის ხრიალი, გუგუნი, ხოლიხი
და გრიალით შემოვა ხალხი და თანამხლებელი ლაშქარი ვეზირის დარბაზში და
ციხე-დარბაზის ირგვლივ და გარეშემო, შინ და გარეთ).
ვეზირი: მთლად ამოვბუგე ამათი ბუდე_
ქვა-ქვაზეა იქ დადუღებული,
სად წარმოებდა საქმე საგმირო
ამ ავაზაკთა _ ორმოც, ქებული,
სადაც ნოხს ქსოვდა გმირული მეფე,
ჭირის მდევნელი თვისი ხალხისა,
ეს პატრიარხი თვისი ოჯახის
თავის მგებელი მისთვის მახისა.
მეფე: მე გამოვძებნე, ვით თქვენმა ნებამ,
ავადმყოფობა თქვენში გამჯდარი;
თქვენ, თვითან ხალხმა, გაასამართლეთ
და დაადევით ამ თქვენს მტრებს მსჯავრი.
მე ავასრულებ თქვენს ნებას, ხალხის...
«ხმა ხალხის _ ხმა ღვთის» ჩემი რჯულია,
ვით მეფე-მამის, ამ პატრიარხის.
ამოარჩიეთ მისთვის კაცები;
რომ სამართალი თქვენი მართალი
გამოიტანონ ავაზაკებზე,
რომ ამოვბუგოთ სენი დამპალი!
აი, როგორ მსწამს დანიშნულება
მე ჩემი და რაც მისთვის მიქნია,
თუმცა სიკვდილმა მე, ამათ ხელში,
ათასჯერ მაინც გადამიქნია!
ერთი მოხუცი (ხალხიდან წამოდგება წინ):
დიდი ხანია, ასეთი რამე
რომ ჩვენ აღარსა გაგვიგონია

და ეს ამბავი ახლაც ჩვენ, ხალხსა
გვგონია, რაღაც მონაგონია!
სად გაგონილა კაცის მჭამლობა,
სადაც რომ კაცი მართლაც კაცია_
თავზედ ახურავს კაცურად ქუდი
და ტანზე ჩოხა კაცის აცვია?
ეჰ, გაგვიახლდა ძაღლთაპირობა!
ეს ნიშანია კაცის მოსპობის...
ამათ რად უნდათ გასამართლება
და რჯულდებები მათთან მოპყრობის?
მხეცი მხეცია და როგორც მხეცი
უნდა დახოცონ განუკითხავად:
უნდა მოეპყროს მათ ხალხი ისე,
ხალხს ეპყრობოდენ როგორც თვით ავად.
ამით მე ვიცი, რომ ჩვენი მეფე
ხალხის სიყვარულს დაიმსახურებს_
ხელი ხელს ბანს და ორივე პირსა_
ორივ ერთმანერთს კი დააპურებს!
პატრიარხია, მეფეა, თუ ვინც,
ეგ სულ ერთია! ხალხს წინამძღვარი
თუ არ ეყოლა, ვერ იარსებებს_
მამაა, შვილი, თუ ვინაც არი...
მაგრამ ვინც ახლოს ხალხს მიუდგება
და უფრო მჭიდროდ ჩადგება მათში,
ის საარაკო პირი გახდება_
ხალხის სიმღერა, ხალხის თამაში.
მე ვიცი, ჩვენმა მეფემ მოძებნა
თავისი ბედი თავისი ფეხით...
ის მოხერხებით ხალხის მტერს ცელავს
და ხალხს მოიგებს ასეთი ხერხით...
ხალხის გული კი უკვდავებაა...
ვინც რომ იმ გულში ერთხელ ჩაჯდება,
ვით სასოება და სიყვარული,
მის სალოცავი ხატი გახდება.
ეს სწორი გზაა მარადიული
დიდების, ქების და ხსენებისა
ქვეყანის სულის ზეამაღლების
და ხალხის გულის გათენებისა.
კურთხეულ იყოს თქვენი გზა-კვალი!
სამარადისო ის ნათელია,
თვის საკუთარის თავის დადებით
ხალხის გულისკენ რაც ნათელია.
მეორე მოხუცი (ხალხიდან წარმოდგება წინ):
ჩვენი სიძე ხარ, ჩვენი ხარ შვილი,
შეძენილ შვილად საწამებელი
და კიდეც მიტომ შენ დაატყვევე

ბოროტი, ხალხის მაწამებელი.
შენ გამოქექე უუდიდესი
საცოდაობა ამ ქვეყნის პირზე,
რომელიც ხალხს ვით სენი ალპობდა
და ხალხისათვის გახდი შენ პირ-მზე.
აღფრთოვანებით მიეგებება
ხალხი შენს აზრს და გამჭრიახობას.
შენი ამბავი მიდის არაკად:
ქვეყანა აქებს შენსა ქველობას!
და ისიც გვესმის, რომ დედოფალი
საარაკოებს ახდენს ამბებსა_
ეს ქოხის შვილი, ეს მიწის შვილი,
და არ დაგიდევს ჩიხტს და კაბებსა.
ტყვეებს არ უნდა გასამართლება:
იმათი ცოდვა ისე დიდია,
მას შეუძლია ქვეყანა მოსპოს_
მთელი ქვეყნისთვის ასარიდია.
იყოს კურთხეულ თქვენი სიცოცხლე:
იმისი ჯილდო უკვდავებაა...
ხალხი უკვდავი არის არსება
და არც მოკვდება, რაც მის ნებაა.
მესამე მოხუცი (ხალხიდან გამოდის წინ):
თვალით გვანახვე _ხალხი დამპალა,
იმას შეჰქმნია ჭირად ხრწნილება.
ხდება იმისი დღისით და მზისით
ტყავ-გახდილ ხორცად განაწილება!
ფართოდ გაგვეხსნა მზერა და ვხედავთ,
რომ თუ არ მოვსპეთ დღესვე ბოროტი
თვის ძირიანად და ფესვიანად_
ქელეხის მზად გვაქვს უკვე კორკოტი!
დაიარებულ თვის ხელსა და ფეხს
მთლად გადაყვება მთელი სხეული,
გველად, ბაყაყად, მატლად და მღილად
მთლად დასაქბავად გადაქცეული.
მე ვარ მესამე ამორჩეული
ვით მოსამართლე... ორმა გამხილათ,
მესამეც გამხელთ, რომ ხალხის გველებს
თავზე დავეცხროთ ცეცხლი, მახვილათ.
გასამართლება ამათი საქმის
თვით სამართალის არის აუგი:
ეს ყველა არის უკურნებელი
ხალხის სენი და იმისთვის ურგი.
არავითარი არ აქვს შენდობა;
ვითა აფთარსა შეუნდობელსა:
ასეთი შვილი და ნაშიერი
სიკვდილის ჩირქს სცხებს თავის მშობელსა.

ამით გიმცხადებთ ჩვენ თანაგრძნობას,
რომ ჩვენთვის დადე ერთგულად თავი:
ჩვენი გულიდან გამოაძვრინე
იმ გულის მხრავი ვირთხა და თაგვი.
დიდება შენდა!
მეფე: აი, რა მოხდა;
მიხსნა განგებამ და ეს განგება...
(მიუყრის ცალ მუხლს სამთვარისას ტახტზე მჯდომარეს),
ჩემი ხატია და სათაყვანო:
რაც იგულისხმა, ნამდვილად ხდება!
უამისოდ მე დავიღუპოდი...
აი, ეს არის ჩემი გვირგვინი!
მე სატირალი მყავდა ქვეყანა,,
აი, ამისით, მე კი ვიცინი!
ამისი რჩევის წინადადებამ
მე შემასწვლა ხელობა ერთი,
რომელიც არის ძმა –ხალხის გულთან
ჩემი სიცოცხლე, მის შემაერთი.
ხელოვანობამ მე მიხსნა მითი,
რომ მას მივეცით ჩვენ აზრი დიდი:
მკვეთრ სახეებში სიცოცხლე, წიგნი,
თუ არა სხვაფერ თავს ვერ ვიხსნიდი.
ვერ მიხსნა ვერც სპამ, ვერც ძლიერებამ,
იმ წიგნმა იხსნა სიცოცხლე ჩემი:
მას ემსახურა ხელოვანობა
და შენ ხარ ჩემი ეს დასაჩემი!
დიახ, უაზრო შემოქმედება
რაც უნდა იყოს ის ხელოვნური,
გუდაფშუტაა და მოჩვენება_
გარეთ სპეკალი, შიგნით კი მური!
ამით და მხოლოდ ამით იგი ხალხს
კაცურ კაცად ხდის, ემსახურება...
რაა უბრალო სახსრების ჟრჟოლვა,
როცა რას ჩადის, არ ეყურება!?
აზრია საქმე და როცა აზრი
საქმეს აკეთებს, ცხადზე ცხადია,
მის აღტაცება შემომქმედია,
დიდი მიზანი თან აბადია.
ეს სიცოცხლეა... როცა მოვედით
ამ ქვეყანაზე, უნდა ვიცოცხლოთ
ისე, რომ სხვასაც შეეძლოს ყოფა
ეს კარგად უნდა დავინახსოვროთ.
სამთვარისად ხარ, თუ სამზეისად
სახელ-დებული, თუ ხარ მთიები,
შენ სიცოცხლის ხარ მშობელი გული_
ვარდი, ბულბული და თვით იები.

დიახ შენა ხარ ჩემი სიცოცხლე,
შენა ხარ ჩემი გამკაცებელი,
შენა ხარ ჩემი თვით უკვდავება_
ჩამომავლობას მე შენგან ველი!
გეთაყვანები მომავალ დედას.
ეგ დედის-გული ჩემი ბაღია_
შვილთა აღმზრდელი, დიდი მრჩეველი
და საყდარია მუდამ კარ-ღია.
შენი ხსენება თვის ხალხის გულში
არაკად იქცეს უნდა ამიერ
და კაშკამშობდეს (კამკამობდეს) ჩემს სადიდებლად
და საციცოცხლოდ მრავალ-ჟამიერ!
(წამოიწყებს სამი მოხუცი «ჭერის მრავალჟამიერს» მას მიჰყვება მთელი ხალხი და გაიცემა სადღესასწაულო დიდებული გუგუნი).

(ფარდა) *1942 წ., 4/XII, ქ. თბილისი.*

სევასტი მიქელის (მიხეილის) ძე გაჩეჩილაძე* (ოთიაშვილი)
1863-1943.

წერილი კოტესადმი *(კოტე მაყაშვილი). გიორგობის თვე, 1, 1918 წ.*
გ.ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმის არქივი. საქმე № 02149.
5564-ბ
უძვირფასესო ბ. კოტე !

არ მიიღოთ, შენი ჭირიმე, «მანია გრანდიოზად», არ მიიღოთ უკანა აზრით ჩმახვად; მე, დიდი პატივისმცემელი თქვენი, როგორც მგოსნისა, გულწრფელად აღვიარებ თქვენ წინაშე ჩემს გულის პასუხს, ჩემს მრწამსს. ბავშვი აღარა ვარ, გავიარე ხანა სულის და სისხლის შფოთვის და მდუღარების, მივახწიე დაუძინებელი მაცადინეობით უმაღლეს წერტილს კაცის ბუნების შემეცნებისას, ვიცანი ასე თუ ისე (სხ ?) კაცად უფრორე ჩემი თავი და, აი, რა შევიგენი:

კოჰანიც მეთანხმება: აწინდელი პოეზიის წარმომადგენლები არამც თუ მარტვა პოეტები არიან, არამედ ფილოსოფოსებიც. იმათ თვითან იზრუნეს თვისი ფილოსოფიურ მჭვრეტელობის გამოაშკარავებისათვის და ამრიგად მოგვცეს ჩვენ გასაღები მათ მიერ შექმნილ ხატების შესაგნებლად.

ერ. რენანს თავის «მერმისი მეცნიერებისა»-ში გამოთქმული აქვს ის აზრი, რომ მეცნიერებაში ჰიპოტეზები შეადგენენ ფანტაზიის სარბიელს და მახლობელ მომავალი პოეზიის შინა არსს. «მისთვის რომ გულუბრყვილო ხალხების მშვენიერ ქვეყნიდან მივსულიყავით ჩვენი დროის მეცნიერულ დიდ კოსმოსამდე საჭირო შეიქნა გაგვევლო ყველა ეს ატომისტური და მექანიკური ქვეყანა». შაბლონური თეორიები პოეზიისა ასეთ აზრს ველარ დაიტევს.

ის ხანა დადგა კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში, როცა მეცნიერება ერთად ერთი საშველია «რწყეულ კითხვათა» ასახსნელად. ეს «რწყეული კითხვები» კაცობრიობისათვის სულიერ დრამას შეადგენენ. ამ სულიერ დრამაშია უდიდესი პოეზია და სწორეთ ამ დრამას ვეხები მე ჩემს თხზულებებში და ვეხები ისე და იმ რიგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უსისტემობით, როგორც ეს ხდება ყველა ჩვენგანის სულიერ მოძრაობის ყოველ დღიურ ცხოვრებაში. ასოციაცია იდეების, აი, ერთად ერთი სისტემა, რომელიც შესაძლებელია ამ სულიერ დრამის გამოსურათხატების დროს პოეზიაში და ამით კი მე სავსებით ვისარგებლე. ამის ერთი მაგალითია **«აგონიის»** პირველი კარის «ჩვენი პანთეონის» გმირის სამსონ მწირის რეზონიორული მონოლოგი. ის შლის თავის სულიერ დრამას ასოციაციების მიხედვით, კონცეპციებით და ანალოგიებით.

აქ ისმის კაცობრიობის სულის საშინელი კივილი, როცა ეს სული მისდგომია მეცნიერების «ტუპიკს», საიდანაც მიუხედავად ამისა, მაინც ელის ერთად ერთ სახსნელს. ის ეხვევა ჰიპოტეზების ბურუსში და, აი, აქაა კიდეც პოეზია მომავალისა.

ჩვენ დავკარგეთ სასოება, ვეძებთ ჭეშმარიტებას და ამ ძებნაშია, ამ სულიერ «ლტოლვაში», ამ ბუმბერაზულ აღმაფრენაში სილამაზე მომავალი პოეზიისა. ამიტომაც რენანი ასე დიდ თაყვანსა სცემს ბაირონის ფილოსოფიურ აღმაფრენას. მომავალი პოეზია რჩეულთა პოეზიაა. პოეზია აქ მეცნიერების ხარისხზე ადის და ახალი ფილოსოფიის ხატებაა. მეცნიერულ საზოგადო დასკვნებს ჰიპოტეზებით აერთიანებს, ამთავრებს. ამას უნდა მაღალი კულტურის მკითხველი.

მაშ მსჯელობის ნაწილი პოეზიაში, როგორც «რწყეული კითხვების» მიერ აღძრული მღელვარება უუწმინდესი ნაწილია მომავალი პოეზიისა. აქაა კაცობრიობის სულიერი დრამის პათოსი. ვისშიაც ის ემოციას ვერ აღძრავს, იმის სულს არ შეხებია ეს კითხვები და სრული პროფანია, მას შეგნება არა აქვს ჩვენი დროის ცხოვრების უმაღლესი დრამისა.

ჩვენ იმ საფეხურზე ავედით, როცა «ფიქრი» უნდა «ვიგრძნოთ». ესაა საიდუმლოება პოეზიისა და სწორეთ ამას უნდა მომზადებული თავი და გული მკითხველისა, ამას უნდა «რწყეული კითხვებით» ნაკბენი სული, ამას უნდა ისეთი პირი, ვინც მეცნიერების ჰიპოტეზებში შესტოპა და იტანჯება მათს ახსნაში. «აღმოჩენანი და შენაძენნი», ამბობს რენანი: «გულისხმობენ ყურადღების აღგზნებას და მოითხოვენ ძალის ისეთ ძლიერ გამოყენებას, რის შესახებაც ვერ იოცნებებენ ის პირნი, ვინც დიდი ხანია დაიარებიან უკვე გათელილი გზით», ერთად ერთი სწორი გზა პოეზიისა მეცნიერების გზაა, ჭეშმარიტების ძიების სულის ლტოლვის მშვენიერება. თვითან მაღალი ჭეშმარიტება უმაღლესი მშვენიერებაა.

ესაა ახალი პოეზიის თეორია და არა ლირიკული (დიდაქტიური...), ეპიკური და სხვა გვარად მისი დანაწილაკება. რენანი ამბობს: «ფილოსოფიური სისტემა _ეს ნივთთა ეპოპეაა... მაგრამ როგორ შეიძლება ბუნების გრძნობა (აღბეჭდა), როგორ შეიძლება თავისუფლად ნივთთა კეთილსულნელოვანების შესუნთქვა, თუ ჩვენ ვხედავთ მათ რომელიმე სისტემის შეზღუდულ, შაბლონურ ჩარჩოში ჩამწყვდეულს?»... «ხალხი მიჩვეულია ასოების, სიტყვების, მარცვლების გამოანგარიშებას და აწერს მეტ მნიშვნელობას მატერიალურ ფორმას, ვიდრე აზრს»... ეს იყო ჩემი აზრი, როცა ვწერდი ჩემს **«აგონიას», «ნანგრევებს»** და სხვ. კაცობრიობამ განა ბევრი იცის

ისეთი თხზულება, როგორიცაა «ჩაილდ-ჰაროლდი»? თეორიულად პოეზიის რომელ დარგს ეკუთვნის იგი? მე არ ვიცი სხვაფერ მისი ახსნა, თუ არა ჩემებურად, რომელიც ზევით მოვიყვანე.

ჩემი თხზულებების პოეზია, თუ მაში პოეზიის რამე ურევია «აგონიის» პირველ ორ კარში უმეტესად კრიტიკულია. რენანი ამბობს: «ფორმა, რომლითაც კაცობრიობის აზროვნება ისწრაფვის გაექანოს ყოველ გვარი გზით, არის კრიტიკა. კრიტიკოსობა ნიშნავს მას, რომ

მიიღო პოსტი მზვერავისა და მსაჯულისა ნივთთა ნაირ-ნაირობის შორის». მალოსელი კრატოსი ამბობს, როგორც გადმოგვცემს რენანი: «გრამატიკოსი მუშაკია, კრიტიკოსი _ არქიტექტორი.» რენანი ამბობს: «მშვენიერება თხზულებისა_ მისი ფილოსოფიაა... ნამდვილი პსიხოლოგია_პოეზიაა.» სულის გასურათებაში შედის მსჯელობის აუცილებლობა...

ოჰ, რამდენი მაქვს სათქმელი?! აქ თქმულ თითო სიტყვაში თითო წიგნი მარხია.

ოჰ, რა მიყვარს თქვენისთანა განვითარებულ და გულწრფელ მგოსანთან სულიერი კამათი?!

მაგრამ გარემოება ხელს არ გვიწყობს....

მიიღეთ ჩემი თქვენდამი უღრმესი გულის სალამი და დავრჩი მარადის თქვენი პატივისცემის მოსურნე

სევასტი მიქ. გაჩეჩილაძე
საბურთალო_თბილისი.

მარიამ (მარინა) მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*
დ.1954 წ.
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

მხატვარ ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძის (ლანჩავა)* შემოქმედება

მხატვარ ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძის შემოქმედება მკვეთერადაა გაყოფილი ორ ნაწილად: 1970_1980-იანი წლების შუა პერიოდი საერო მხატვრობას ეეთმობა, ხოლო 1980-იანი წლების ბოლოდან დღემდე იგი სასულიერო მხატვრობის სფეროში მოღვაწეობს.

ხატვის განსაკუთრებული ნიჭი მან ბავშვობიდანვე გამოავლინა და ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ოჯახში, რომელშიც ის იზრდებოდა, ხელოვნებისადმი სიყვარული იყო დამკვიდრებული. მხატვრობის ნიჭი ციალას გენეტიკურადაც გამოჰყვა: მისი ბაბუა (დედის მამა), პლატონ ღიბრაძე (მღებრაძე) თანამედროვე ქართული გრაფიკული ხელოვნების სათავეებთან მდგარი ხელოვანი იყო, რომელიც გ. ზაზიაშვილის, ო. შმერლინგის, ი. შანშიაშვილის, მ. თოიძის, ვ. სიდამონ-ერისთავის, ვ. კილაძის გვერდით მოღვაწეობდა. იგი ახალგაზრდა გარდაიცვალა (1919 წ.), მაგრამ დღემდე შემორჩენილ მის მცირერიცხოვან ნამუშევრებშიც (კარიკატურები ჟურნალ «ეშმაკის მათრახი»-ს 1908 წლის ნომრებისათვის, ნ. ნაკაშიძის ზღაპრის «ზარაბიბილის ხელმწიფის ასული» ილუსტრაციები, რამდენიმე ჩანახატი და ფერწერული ტილო) ნათლად ჩანს, რომ პ. ღიბრაძე საკმაოდ მაღალი დონის ხელოვანი იყო, ფლობდა აკადემიური მხატვრობისათვის საჭირო ცოდნას, ჰქონდა მოქნილი, ოსტატური ხელწერა.

ციალას მემკვიდრეობითი ნიჭი მოსდგამს მამის, მიხეილ გაჩეჩილაძისგანაც, რომელიც პროფესიით არქიტექტორი გახლდათ, თბილისის სამხატვრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და თავისი თაობის ბევრ მხატვართან მეგობრობდა. იგი მუდამ ცდილობდა შვილები მხატვრულ სამყაროსთან სიახლოვეში ჰყოლოდა: დაჰყავდა სამხატვრო გამოფენებზე და მხატვართა სახელოსნოებში. მიშა გაჩეჩილაძე გრძობდა, რომ მის შუათანა ქალიშვილს სწორედ მხატვრობის ნიჭი ჰქონდა და ხელს უწყობდა, რათა მას სათანადო პროფესიული განათლება მიეღო. მართლაც, ციალამ წარჩინებით დაამთავრა ჯერ სამხატვრო სკოლა, შემდეგ კი სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტის სამრეწველო გრაფიკის სპეციალობა. სწავლის პერიოდში იგი მიხვდა, რომ სამრეწველო გრაფიკაში

სრულყოფილების მისაღწევად ფოტო-ხელოვნების მაღალ დონეზე ათვისებაც იყო აუცილებელი, რადგან ფოტოსა და მხატვრობის სინთეზური შეთავსება ახალ ტექნიკურ შესაძლებლობებს შესძენდა. ამიტომ, აკადემიის პარალელურად, მან თსუ-ის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტიც დაამთავრა _ ფოტოხელოვნების სპეციალობით. იმ დროს მოწყობილ ფოტო გამოფენებზე ციალას ფოტოები მაყურებლისა და შემფასებელი კომისიის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდა.

ც. გაჩეჩილაძე სტუდენტობის წლებშივე იწყებს აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას, 1975 წლიდან მონაწილეობს გამოფენებში და კონკურსებში, მიღებული აქვს დიპლომები _1981 წელს პლაკატის I საერთაშორისო კონკურსში წარმატებული მონაწილეობისათვის.

1988 წლამდე ც. გაჩეჩილაძე სახვითი ხელოვნების თითქმის ყველა დარგში ცდის თავს. შექმნილი აქვს: ფერწერული ტილოები, დაზგური გრაფიკული ნამუშევრები, ქანდაკებები (მცირე პლასტიკა), პლაკატები, ექსლიბრისები, სარეკლამო-სასაქონლო ნიშნები, წიგნის მხატვრობა.

მისი ფერწერული ნამუშევრები ბევრი არ არის (ორ ათეულამდეა), მაგრამ მათზე თვალის გადავლება აშკარად ავლენს მხატვრის ინტერესთა მრავალფეროვნებას და შემოქმედის ევოლუციას სტუდენტიდან «მომწიფებულ» მხატვრამდე. 1969 წ. შექმნილი ორი ტილო: «ჯარისკაცები გზის მშენებლობაზე» და «ნატურმორტი ვიოლინოთი»_ მოწაფური, გაუბედავი ხელწერითა და კომპოზიციური აგების პრობლემების გადაწყვეტითაა გამორჩეული. 1970-იანი წლების ნამუშევრებში კოლორიტი უფრო ცოცხალი და ნათელი ხდება, ხოლო 1980-იანი წლების I ნახევარში შესრულებული ნატურმორტები მჭახე, ცინცხალი ფერებითა და ფუნჯის თამამი მოქმედებით გამოირჩევიან. ჭარბობს ყვითელი, წითელი, მწვანე, ლურჯი ფერების თამამი დალაგება, ნივთები მკვრივი, წონადი და «ცოცხალია». 80-იან წლებშივეა შექმნილი ორი ფერწერული ტილო ადამიანთა ფიგურებით. შიშით სავსე მეტყველი თვალების კუშტი, შემზარავი გამოხედვით გვაძრწუნებენ შეშლილი, დაძაბული სახეები. აშკარად იგრძნობა ძლიერი სულიერი დაძაბულობა, განცდათა ტრაგიკულობა. თუ გავიხსენებთ 1980-იანი წლების ბოლოს ჩვენს ქვეყანაში და ცხოვრებაში განვითარებულ მოვლენებს, ხალხის მღელვარებას, ეროვნული მოძრაობის პიკს, ადვილი ასახსნელი ხდება მშვიდი ნამუშევრების გვერდით ასეთი მღელვარე, სულის შემძვრელი ჯგუფური პორტრეტების არსებობა. (შესაძლოა, რომ სწორედ ამგვარმა გარდატეხამ მისცა ბიძგი ფაქიზი ბუნების მქონე მხატვარს გარიდებოდა «ამქვეყნიურ ორომტრიალს» და რელიგიაში ეპოვა სულის დარღვეული სიმშვიდე.

ციალა გაჩეჩილაძის გრაფიკული შემოქმედება მეტად მრავალფეროვანია. სადიპლომო ნამუშევრად მან გრამფირფიტების შესანახი კონვერტების გაფორმება აირჩია და, ჩანაფიქრის ეფექტურობისა და მაღალმხატვრული შესრულების გამო, უმაღლესი შეფასებაც მიიღო.

აკადემიის დამთავრებისთანავე იგი აქტიურად ებმება მხატვრულ ცხოვრებაში. 1979 წლიდან ხდება მხატვართა კავშირის წევრი, შემოქმედებითი მივლინებით რამდენჯერმე მიემგზავრება ლატვიის ქალაქ ძინტარში არსებულ სამხატვრო ცენტრში, რომლის შემაჯამებელ გამოფენაზე ც. გაჩეჩილაძის ნამუშევრები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მნიშვნელოვანია ც. გაჩეჩილაძის წვლილი 1970-იანი წლების ბოლოსა და 1980-იანი წლების პირველი ნახევრის პლაკატის ხელოვნების განვითარებაში. მხატვარი ქმნის პლაკატებს პოლიტიკურ თემაზე, ჯანდაცვისა და ბუნების დაცვის თემებზე, სპექტაკლების, კონცერტებისა და გამოფენების აფიშებს. მნიშვნელოვანი ნამუშევრებია: «გამოფხიზლდით ადამიანებო» (1977), «ატმოსფეროს დაცვა» (1976), «9.V. 1945 !» (1976), «პლანეტის მაჯისცემა» (1968), «ადამიანი გარემოს გარეშე» (1979), «სამკურნალო მცენარეების დაცვა» (1980), აფიშები ოპერის სპექტაკლებისათვის: ჯ. პუჩინის «ტოსკა»(1981), რ. ლაღიძის «ლელა» 1981, ჯ.

როსინის «სევილიელი დალაქი»(1981) და სხვა. აფიშები: ნანი ბრეგვაძის, გიული დარახველიძის კონცერტებისათვის (1984), საქართველოს ცეკვის სახელმწიფო ანსამბლისათვის (1983), საქართველოს კამერული ორკესტრისათვის (1983). აფიშა–პლაკატთა რიცხვი სამ ათეულს აღემატება, რომელთა უმრავლესობა პოლიგრაფიულადაც დაიბეჭდა. ც. გაჩეჩილაძის პლაკატები გამოირჩევა ლაკონიზმით, აზრის სისხარტით, დახვეწილი ფერადოვნებით და ნახატისა და შრიფტის ორგანული ურთიერთშეხამებით. ასევე ლაკონიური, ნათელი და მეტყველი კომპოზიციებით გამოირჩევა ც. გაჩეჩილაძის მიერ შექმნილი მოსაწვევები, სასაქონლო ნიშნები, ემბლემები, სარეკლამო ფურცლები.

ც. გაჩეჩილაძის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა წიგნის მხატვრულ გაფორმებასაც. იგი აფორმებს ოთხ ათეულამდე წიგნის ყდას და ტიტულს, ქმნის შიდა დეკორის ელემენტებს. ძირითადად, მხატვარი თანამშრომლობს გამომცემლობებთან: «მერანთან», «ნაკადულთან» და «მეცნიერებასთან». ც. გაჩეჩილაძე ყოველთვის ცდილობს მარტივი კომპოზიციური ხერხებით გადაწყვიტოს ყდისა და ტიტულის კომპოზიცია, ზუსტად შეარჩიოს ფერი, ნახატი და შრიფტი, ერთ ხასიათში მოაქციოს ისინი და ნაწარმოების შინაარსს მიუსადაგოს. როდესაც წიგნის შინაარსი პოეტურია _ ლირიკულია ნახატიც, შრიფტიც ფაქიზი, ელასტიკური და მელოდიურია [ლალი ბრაგვაძის «მერცხლები დაბრუნდნენ» (1981), გივი ძნელაძის «ლექსები»(1978)], როდესაც მეცნიერული გამოცემაა _ კომპოზიცია მარტივია, შრიფტიც მკაცრი, სტატიკური და აკადემიური (ნინო მახათაძის «ძველი ქართული მწერლობის ტრადიციები მეოცე საუკუნისმწერლობაში» (1980), ლალი ათანელაშვილის «ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა»(1982), შოთა ძიძიგურის «ბასკურ-კავკასიური პრობლემა» (1981) და სხვა.

მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია აგრეთვე ნახატს _ფანქრით, ტუშით და კალმით, აქვარელით, გუაშითა და ფუნჯით _ქაღალდზე. შიშველი ფიგურის ხატვისას იგრძნობა მხატვრის ძლიერი ხელი. ზოგჯერ იმდენად თამამი და მოქნილია ხაზი, იმდენად მკვრივადაა გამოძერწილი ფორმები _ ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ქალის ნამუშევრებია. ც. გაჩეჩილაძის ხასიათისთვის, მისი მხატვრული ხელწერისთვის ეს ზოგადად დამახასიათებელი თვისებაცაა. მას შეუძლია იყოს არაჩვეულებრივად ფაქიზი, გადმოსცეს გამჭვირვალე, მსუბუქი ფორმები, ლირიკული ხასიათი და, პარალელურად, შექმნას ნამუშევრები, რომლებიც მოზღვავებული ენერგიითა და ძალითაა სავსე. სრულყოფილია ასევე მხატვრის მიერ გრაფიკული ტექნიკის ფლობა ოფორტისა და ლინოგრავიურის ტექნიკით შესრულებულ ნამუშევრებში. განსაკუთრებით გამოირჩევა აკვატინტის ტექნიკით შექმნილი «ყმაწვილის პორტრეტი», «გემები» (ცინკოგრაფია), «ნატურმორტი» (ლინოგრავიურა).

ციალა გაჩეჩილაძემ, საერო ცხოვრების პერიოდში, გრაფიკის დარგის თითქმის ყველა სახეობაში იმუშავა. მისი ნამუშევრები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.

მხატვარი გულგრილი არ დარჩენილა არც ქანდაკების დარგისადმი. მის მიერ შექმნილია რამდენიმე მცირე ზომის ქანდაკება. მათ შორის გამორჩეულია ფეხმძიმე ქალის ბიუსტი. ქალს ამაყად აქვს აწეული გვერდზე შებრუნებული თავი და მედიდური გამომეტყველებით აფიქსირებს თავისი მდგომარეობით გამოწვეულ სიამაყეს...

1980-იანი წლების ბოლოდან მხატვარი უარს ამბობს საერო ცხოვრებაზე და თავის მომავალს საეკლესიო მოღვაწეობას უკავშირებს. ამ დროიდან მას, ციალას ნაცვლად, სიდონიას უწოდებენ, იცვლება შემოქმედებითი მუშაობის ხასიათიც.

1988-1992 წლებში ც. გაჩეჩილაძე სასულიერო აკადემიაში ხატწერის სახელოსნოს ხელმძღვანელობს. ხატწერით დაინტერესებულ სასულიერო აკადემიის სტუდენტებთან და სასულიერო მრევლის წევრებთან ერთად წერს ხატებს, შეგირდებს ასწავლის ხატისათვის

დაფის, გრუნტის, საღებავის დამუშავების ტექნოლოგიას; უღრმავდება მართლმადიდებლურ იკონოგრაფიას; ასრულებს სასულიერო მხატვრობისათვის საჭირო ყველა «დაკვეთას».

1992 წელს იგი ტოვებს ოჯახს და თბილისს და საცხოვრებლად სამუდამოდ გადადის თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთში, სადაც დღემდე აგრძელებს მოღვაწეობას.

თავდაპირველად იგი ასურეთში დამკვიდრებული სასულიერო მრევლის ყოფითი პრობლემების და ყოველდღიური საქმიანობის მოწესრიგებითაა დაკავებული, შემდგომ, 1990-იანი წლების ბოლოს, თანდათან უბრუნდება შემოქმედებით მოღვაწეობას. განაახლებს მუშაობას ხატწერაშიც. 2000 წლიდან, საქველმოქმედო საზოგადოება «ბეთლემის» მიერ დაფუძნებული ჟურნალის «რწმენა და ცოდნა»-ს მხატვარი და მხატვრული რედაქტორია, თავადვე აფორმებს ჟურნალის ყდებს და ქმნის ტექსტებისათვის საჭირო ილუსტრაციებს (2000, №1-გარეკანზე_ «ღვთისმშობლის ხარების» ხატი, იქვე გვ.3 _»მაცხოვრის შობა»; 2000, №2_ხატები_ «სულთმოფენობა» და «სამარიელ დედაკაცთან საუბარი» და ა. შ.). ჟურნალის ყველა ნომერში სიდონია გაჩეჩილაძის მიერ დაწერილი ხატებია დაბეჭილი. ამავე დროს ცალკე წიგნებად დაიბეჭდა ახალი აღთქმის თვითოეული მახარებლის სახარება_ მათესი (2001) და მარკოზისა (2005) დანარჩენიც შემდგომში დაიბეჭდება. ამ და კიდევ რამდენიმე რელიგიური შინაარსის წიგნის მხატვარი და მხატვრული რედაქტორიც სიდონია გაჩეჩილაძეა.

დღეს-დღეობით ს. გაჩეჩილაძეს უდიდესი და ურთულესი საქმე აქვს დაკისრებული. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით დაწყებულია სოფ. ასურეთის ახლოს აგებული წმ. გიორგის სახელობის ბაზილიკური ტაძრის მოხატვა. ტაძრის მოხატულობის პროგრამა, მისთვის საჭირო მოსამზადებელი ნახატები, კედელზე ნახატის გადატანა, ყველა ეს ურთულესი, ძირითადი სამუშაო უშუალოდ მის მიერ ხორციელდება, თუმცა საქმეში, რა თქმა უნდა, ჩართული არიან მრევლის სხვა წევრებიც: ერთიანი ძალით კეთდება საღებავები, მიმდინარეობს დაფერვის პროცესი და ნელ-ნელა წინ მიიწევს ამ მშვენიერი ტაძრის მოხატვა, რომელიც ალბათ ისეთივე წარმატებით დასრულდება, როგორც ყველაფერი, რასაც კი სიდონია გაჩეჩილაძემ მოჰკიდა ხელი.

ღმერთი იყოს მისი შემწე!

2008 წ.

ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)*

დ. 1949 წ.

ხელოვნებათმცოდნე, მოქანდაკე.

მოქანდაკე რუსუდან გაჩეჩილაძის (ბაჩა)* შემოქმედება

რუსუდან გაჩეჩილაძე ქართველ მოქანდაკეთა XX საუკუნის 60-იანი წლების თაობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია.

XX საუკუნის 50 -იანი წლების II ნახევრიდან, საბჭოთა კავშირის პოლიტიკური კურსის შეცვლის შესაბამისად, საბჭოთა ხელოვნებაში მკაფიოდ მოინიშნა რეალიზმის პრინციპების გაღრმავებულ გაგებასთან დაკავშირებული გარდატეხა, რამაც მხატვრულ ამოცანათა გაღრმავება-გამრავალფეროვნება გამოიწვია ხელოვნების ყველა დარგში, მათ შორის ქანდაკებაშიც.

თაობას, რომელიც 50-იანი წლების II ნახევარსა და 60-იან წლებში შეემატა ქართველ ხელოვანთა რიგებს, ახასიათებდა გაძლიერებული სწრაფვა სინამდვილის განზოგადებისა და სინთეზისაკენ, აზროვნების ფილოსოფიურობა. სინთეზს ახალგაზრდების შემოქმედებაში დაუქვემდებარდა არა მარტო დროისა და ეპოქის ზედაპირული ნიშნები, არამედ ცხოვრების

სულიერი შინაარსიც. გაიზარდა ინტერესი პლასტიკური ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობების და მასალის ესთეტიკური თვისებების გამოყენებისადმი. ფილოსოფიურ და ესთეტიკურ საწყისებს და შესატყვისი პლასტიკური ენის საწყისებს მხატვრები ეძიებდნენ როგორც ქართული ხელოვნებისა და ხალხური ყოფის წიაღში, ისე მსოფლიო ხელოვნების საგანძურში.

მკაფიოდ ინდივიდუალური ხელწერის მქონე ხელოვანი, რუსუდან გაჩეჩილაძე, 1965 წლიდან წარმატებით მონაწილეობდა გამოფენებში როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, რაც აღინიშნა კიდეც სხვადასხვა ჯილდოებით და აისახა საბჭოთა ქანდაკებისადმი მიძღვნელ კრებულებსა და პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში.

რ. გაჩეჩილაძე დაიბადა 1936 წელს, თბილისში. იზრდებოდა სხვადასხვა შემოქმედებითი უნარებისა და მისწრაფებების მქონე ადამიანთა გარემოცვაში: მის ბაბუას _ პიმენ გაჩეჩილაძეს _ თვითნასწავლ მექანიკოსს _ კარგი მუსიკალური მონაცემები ჰქონდა; რუსუდანის ბავშვობისას, მის ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა პიმენის დის _ ელენე გაჩეჩილაძის (მომღერალი და მსახიობი) ოჯახთან (მეუღლე _ კომპოზიტორი გრიგოლ ჩხიკვაძე, ვაჟი _ შემდგომში ცნობილი მსახიობი_ რამაზ ჩხიკვაძე), რუსუდანის მამა _ ვახტანგი _ ინჟინერ გამომგონებელი იყო, უფროსი ძმა _ გივი (შემდგომში თვითმფრინავთმშენებელი ინჟინერი და პედაგოგი), გარდა ტექნიკისადმი მონაცემებისა, მუსიკალური ნიჭითაც არის დაჯილდოებული და კარგად მღეროდა...

გენეტიკური მონაცემები და შემოქმედებითი ატმოსფერო რუსუდანსაც შემოქმედებითად განაწყობდა. ახლობლებისაგან განსხვავებით, მას ხატვა იტაცებდა და ყველგან ხატავდა. ხშირად ქუჩაში სახლების კედლებს ცარცით აფორმებდა. ერთ_ერთი კედლის მოხატვისას, მას ყურადღება მიაქცია 23-ე საშ. სკოლის პედაგოგმა, სერგო ახვლედიანმა და მანვე ჩაუტარა სახვითი ხელოვნების პირველი გაკვეთილები. შემდეგ კი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, მოქანდაკე ზაქარია კრაწაშვილთან სწავლის პერიოდში, გამოვლინდა მისი ნიჭი ქანდაკებაში.

1963 წ. რუსუდანმა თბილისის სამხატვრო აკადემია დაამთავრა (პედაგოგები: ვ. თოფურიძე, ს. ქობულაძე, ნ. კანდელაკი, გ. ოჩიაური, კ. მერაბიშვილი) და დატოვებული იქნა სამუშაოდ ხატვის კათედრაზე, სადაც იგი წლების განმავლობაში იყო პედაგოგი, დოცენტი, პროფესორი.

რ. გაჩეჩილაძე ძირითადად დაზგურ ქანდაკებაზე მუშაობს. იგი მრავალრიცხოვანი კომპოზიციების, პორტრეტების და რამდენიმე რელიეფის ავტორია, შექმნილი აქვს გრაფიკული ნამუშევრებიც _ ორი საბავშვო წიგნის ილუსტრაციები და ქანდაკებათა ესკიზები, რომლებიც დამოუკიდებლადაც შთამბეჭდავ მხატვრულ ნაწარმოებებს წარმოადგენენ. (ახლახან შევიტყვეთ, რომ ახალგაზრდობაში იგი წერდა ლექსებსაც, რომელთაგან რამდენიმეს წინამდებარე კრებულში ვაქვეყნებთ).

სამწუხაროდ, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამანადგურებლად იმოქმედა ქ-ნი რუსუდანის შემოქმედებაზე: ეროვნული გალერეის საცავიდან მოიპარეს მისი ყველა (ოცი) _ ბრინჯაოში ჩამოსხმული_ ნამუშევარი (ისევე, როგორც სხვა ქართველი მოქანდაკეების, ბრინჯაოში ჩამოსხმული, ყველა ნამუშევარი) _ ალბათ, ჯართად გაზიდვის მიზნით. *(აღსანიშნავია, რომ ქანდაკება თავის სრულყოფილ გამომსახველობას იძენს საბოლოო მასალაში (ლითონი, ქვა) განხორციელებული სახით...).* სხვადასხვა დროს, საგამოფენოდ გადატანისას და საცავებში დაიმსხვრა, შუალედურ მასალაში, თაბაშირში ჩამოსხმული მისი მრავალი ნამუშევარი. (შემთხვევით გადაურჩა განადგურებას მისი ლექსები, რომლებსაც მოქანდაკე სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებს და მათი შენახვისათვის არ უზრუნია. ისინი შემოინახა, ქ-ნი რუსუდანის მეგობარმა, ქ-ნმა ნანა კახიძემ).

მიუხედავად იმისა, რომ რ. გაჩეჩილაძის შემოქმედებას სპეციალისტები ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ, იგი არ არის მონოგრაფიულად შესწავლილი, არ გამოცემულა არც რ. გაჩეჩილაძის ნამუშევრების ალბომი. პრესაში და საბჭოთა ქანდაკებისადმი მიძღვნილ კრებულებში მოყვანილი მოკლე შეფასებები და ინფორმაციული სტატიები მწირ წარმოდგენას იძლევა მისი შემოქმედების შესახებ. შედარებით ვრცელი და საფუძვლიანი ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი მოყვანილია ს. იოსელიანის და ე. გაჩეჩილაძის ნაშრომებში (რომლებიც ამ სტატიის ბოლოსაა დასახელებული).

ვინაიდან რ. გაჩეჩილაძის ნამუშევრების ალბომის გამოცემა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, მისი შემოქმედების დაცვის მიზნით, რამდენადმე იმაზე უფრო ვრცლად განვიხილავთ მის ნამუშევრებს და იმაზე უფრო დიდი რაოდენობით წარმოგიდგენთ მათ რეპროდუქციებს, ვინემ ეს წინამდებარე კრებულის სპეციფიკას შეეფერება, თუმცა, ამ წიგნისთვის გამოყენებული ქაღალდი, ცხადია, რეპროდუქციების სათანადო ხარისხს ვერ უზრუნველყოფს.

[რეპროდუქციებზე წარმოდგენილია რ. გაჩეჩილაძის თაბაშირში ჩამოსხმული ნამუშევრები (მათ შორის, განადგურებული ბრინჯაოს ქანდაკებების თაბაშირის მოდელები), ბრინჯაოში ჩამოსხმული ორი ნამუშევრის ფოტო და გრაფიკა].

თემატური კომპოზიციები რუსუდან გაჩეჩილაძის შემოქმედებაში

რ. გაჩეჩილაძის მიერ საბჭოთა პერიოდში შექმნილი კომპოზიციების თემები: «სამეურნეო შრომა», «სპორტი», «დიდი სამამულო ომი», მეტწილად, მხატვართა კავშირის მიერ საგამოფენოდ რეკომენდებული თემატიკით იყო განპირობებული, მაგრამ, ამას ხელი არ შეუშლია მხატვრისათვის ამ ნამუშევრებში მკაფიოდ გამოეხატა საკუთარი მსოფლმხედველობა და შემოქმედებითი მრწამსი (მით უფრო, რომ საკუთარი ხალხის ცხოვრებით მცხოვრები ხელოვანისათვის ეს თემები უცხო არ იყო). თითქმის ყველა კომპოზიცია (მრგვალ ქანდაკებაში) ერთფიგურიანია. მათი უმეტესობა ასახავს ადამიანებს, რომელთა მთავარი საქმე ფიზიკური შრომაა («მწყემსი», «მეციტრუსე», «მეფრინველე», «მეჯინიბე, «ფეიქარი», «მშვილდოსანი»...) ზოგჯერ ასეთი კომპოზიციები სიმბოლურია: მაგ.: «ალაზნის ველი», «შირაქის ველი», «მკათათვე»...

მართალია ეს ფიგურები განზოგადებულნი არიან _მოკლებულნი არიან ინდივიდუალობა-კონკრეტულობის ნიშნებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძლიერი გამომსახველობით და ცხოვრებისეული დამაჯერებლობით გამოირჩევიან, რასაც მოქანდაკე ამა თუ იმ პროფესიისათვის დამახასიათებელი ტიპაჟის და მოძრაობის დამაჯერებლად გადმოცემით და ამ პროფესიის შესაბამისი ყოფითი საგნების გამოსახულებათა ჩართვით აღწევს. მართალია, რ. გაჩეჩილაძის კომპოზიციათა გმირები ეულად არიან წარმოდგენილი, მაგრამ, მათი მოძრაობის სილაღის გადმოცემით მოქანდაკე ახერხებს აგრძნობინოს მაყურებელს, რომ მათი ცხოვრება განუყოფელია გარემოსა და ბუნებისაგან, რომ ისინი, ბუნებასთან შერწყმულნი, უშფოთველად ცხოვრობენ და შრომობენ. ერთი შეხედვით მარტივნი, ისინი სინამდვილეში ისეთივე რთულნი არიან ვით ბუნება. ამ პერსონაჟთა მხატვრული სახეების განზოგადებულობა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მათი ცხოვრებაც ბუნებასავით მარადიულია.

კომპოზიციაში **«მეჯინიბე»(1979)სურ. 10** , ძლიერი აგებულების მამაკაცის, ხსენებული პროფესიისათვის დამახასიათებელი, მოძრაობა, თოკი, რომელიც მას ხელთ უპყრია, იოლად

მიგვახვედრებს, რომ ეს არის მეჯინიბე, რომელიც გეზს აძლევს მის ირგვლივ მორბენალ ცხენს.

კომპოზიციაში **«მკათათვე»(1977)სურ. 4,** ფიგურის სივრცეში განთავსების ხასიათი, მისი, მეეტლისათვის დამახასიათებელი, მოძრაობა, ქანდაკების სადგარის ფორმა იოლად წარმოგვადგენინებს, რომ ეს ახალგაზრდა მამაკაცი ცხენშებმული ურიკის მაღალ კოფოზე ზის და თვალუწვდენელ ველზე მიჰქრის. მისი სხეულის სავსე, ძლიერი ფორმები, მოძრაობის სილაღე, პურის ძნის მიმანიშნებელი შტრიხები «კოფოზე», ენერგიით დამუხტული, ბარაქიანი ზაფხულის ასოციაციებს იწვევენ...

ზემოხსენებული კომპოზიციების «გმირებს» მხატვარი ეპოქის და ეროვნების მინიშნების გარეშე გადმოსცემს, მაგრამ, თუ კომპოზიციის შინაარსი მოითხოვს, მაშინ იგი ამგვარ მინიშნებასაც აკეთებს. მაგ. კომპოზიციაში **«შირაქის ველი» (1976)სურ. 6** ,სათაურში განცხადებული თემის შესატყვისად, ეროვნების მინიშნებაცაა მოცემული.

«შირაქის ველი»-ს _ განმასახიერებელი მწყემსის ფიგურას (რომლის მწყემსობას მიგვახვედრებს მის გვერდით გამოსახული ცხვარი, სახრე ფიგურის ხელში და მწყემსის დამახასიათებელი სამოსი _ მოკლე ტყაპუჭი) განიერყვრიმალებიანი, მძიმენიკაპიანი _ ქართველი გლეხებისათვის საკმაოდ ტიპური სახე აქვს. მაღალ, გამხდარ, ძლიერკიდურებიან მწყემსს მისი პროპორციები, მსუბუქი ნაბიჯი, მოკლე ქურთუკი, სახრის მუსიკალური ინსტრუმენტის მსგავსად დაკავება თავისებურ ელეგანტურობას სძენს; ლაღად მობრუნებული თავი, შორს მიპყრობილი მზერა და გულუბრყვილო ღიმილი მას მეოცნებე გამომეტყველებას ანიჭებენ. მწყემსის ეს ფიგურა, მისი გარეგნობის კეთილშობილური სისადავით, თავისებური ლირიზმით, ქართული ფოლკლორის გმირს გვაგონებს.

კომპოზიციაში **«ალაზნის ველი»(1979)სურ. 11** ქართველი ახალგაზრდა გლეხის იერის მქონე მამაკაცს, მხრით მოაქვს ჭურჭლის ფრაგმენტი, რომელიც მას, თითქოს, თოკით უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცის სამოსი პირობითია, ჭურჭელი, რომელიც მას მოაქვს ფრაგმენტირებულია და მისი ასე წამოღებაც, ალბათ, შეუძლებელია (ფიგურის ხელების ამგვარი განლაგება მხატვარს კომპოზიციის სივრცობრივი გამომსახველობისათვის დასჭირდა...), მამაკაცის ზოგადი იერით, მისი, ენერგიული და თან ფრთხილი, მოძრაობის დამაჯერებელი გადმოცემით, ღვინის ჭურჭლის მინიშნებით, მოქანდაკე ქმნის ჭირნახულის დაბინავებით დაკავებული კახელი გლეხის დამაჯერებელ შთაბეჭდილებას...

განხილული პერსონაჟების განზოგადებული, პირობითი სამოსი ხაზს უსვამს მათი სხეულების ცალკეულ ფორმებს, შუქ-ჩრდილით ამდიდრებს ქანდაკებების ზედაპირს, დეკორატიული ელემენტი შეაქვს მათში.

მოქანდაკე თამამად ოპერირებს ქანდაკების გამომსახველობითი საშუალებებით. მართალია მას მიდრეკილება აქვს მასიური, სავსე, მკვრივი, გლუვზედაპირიანი ფორმების გამოსახვისაკენ (რითაც ხასიათდება მისი ნამუშევრების უმეტესობა), მაგრამ, შინაარსის შესატყვისად, იგი თამამად ცვლის ფიგურის პროპორციებს, მოცულობითი ფორმის სიმკვრივეს, ზედაპირის ფაქტურას. მაგ.: ფიგურის პოზა და მიმიკა, მისი თითქმის ჩონჩხადქცეული სხეულის აწოწილი პროპორციები, ტეხილი სილუეტი, ზედაპირის, თითქოს ნაწვალები, უსწორმასწორო ფაქტურა ქმნიან ტრაგიკულ განწყობას კომპოზიციაში **«უკანასკნელი ბარიერი» (1974)სურ. 13** ; ეკლიანი მავთულის ფრაგმენტები საკონცენტრაციო ბანაკის ასოციაციას იწვევენ.

ფიგურის ბობოქარი, ტლანქი მოძრაობა, სხეულის, თითქოს ადგილიდან დაძრული, ატორტმანებული ფორმები ქმნიან სტიქიური აბობოქრების, აჯანყების განწყობას კომპოზიციაში **«აჯანყება კუნძულ ტექსელზე» (1984)სურ. 12** , ხოლო, ნაკაწრების და ჭრილობების ასოციაციის შემქმნელი, უსწორმასწორო ფაქტურა და გაწყვეტილი მავთულის

ხვეული, ამ აჯანყების მიზეზზე _თავისუფლების შეზღუდვასა და ძალადობაზე მიგვანიშნებენ.

როგორც ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ რ. გაჩეჩილაძის «მრგვალი» კომპოზიციები ერთფიგურიანია, ფიგურების ფორმები კი ძლიერ განზოგადებული, ისინი შთამბეჭდავნი და საკმაოდ ინფორმატიულნი არიან. ამ ნამუშევრების გამომსახველობის საფუძველია მოქანდაკის მიერ ფიგურის კონსტრუქციისა და მოძრაობის ანატომიური მექანიზმის შინაგანი ხედვა. ნამუშევრების გამომსახველობის გაზრდის მიზნით, რ. გაჩეჩილაძეს, განზოგადების მეშვეობით, ინტენსიფიცირებული აქვს ქანდაკების გამომსახველობითი საშუალებები: კონსტრუქცია, პროპორცია, პლასტიკა, ფაქტურა, შუქ-ჩრდილი, რითმი. მართალია, მისი კომპოზიციების უმეტესობა ფრონტალურადაა დამხრობილი, მაგრამ ისინი ყოველი მხრიდან არიან დამუშავებული და ყოველი მხრიდან საინტერესოდ აღიქმებიან. მოქანდაკე ინტენსიურად ზრუნავს მათი პროპორციების, პლასტიკის და სილუეტების ესთეტიკურობისათვის. ამიტომ, მიუხედავად ქანდაკებების ფორმების ძლიერ განზოგადებულობისა, ფიგურებს აქვთ თავისებური დახვეწილობა და, ზოგ შემთხვევაში, ელეგანტურობაც.

რ. გაჩეჩილაძის კომპოზიციათა სისადავე, მეტწილად ფრონტალური გადაწყვეტა, მათი სხეულების განზოგადებული მასების მკაფიოდ დიფერენცირება, სახეების ნიღბისებურობა ავლენს მხატვრის სიმპათიებს არქაული ხანის ბერძნული ქანდაკებისადმი. მის ზოგიერთ ნამუშევარში (განსაკუთრებით რელიეფებში) იკითხება შინაგანი კავშირი ძველ ქართულ რელიეფებთან და ქართულ ფოლკლორთან**სურ. 1 და 3** . მიუხედავად ზემოთ აღნიშნული რემინესცენციებისა, ნამუშევრები ორიგინალურია _ შინაარსისა და ფორმის განზოგადების რ. გაჩეჩილაძისეული ხერხები, კომპოზიციების კონსტრუქციული აგებულების და მოძრაობის ხასიათი, მისი ქანდაკებების დინამიკისა და ენერგეტიკის თავისებურებები, ფორმათა ურთიერთმიმართებების რითმიკის, სხეულისა და მოძრაობის პლასტიკის და ზედაპირის დამუშავების თავისებურებები, შინაარსობრივი ნიუანსების მეტყველი პირობითობებით მინიშნების ხასიათი და ყველა ზემოხსნებული მონაცემის ერთობლიობა განუმეორებელ, მხოლოდ რ. გაჩეჩილაძის შემოქმედებისათვის დამხასიათებელ «მეტყველებას» ანიჭებენ ამ ნამუშევრებს.

რ. გაჩეჩილაძის, შინაგანი ძალით, დინამიკითა და ექსპრესიით აღსავსე კომპოზიციები, მათი შინაარსისა და ფორმის ხასიათით, თავისებური მონუმენტურობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამ კომპოზიციათა «გმირები» განზოგადებული, ევროპული რასისათვის დამახასიათებელი, გარეგნობით ხასიათდებიან, თუმცა, აქვს ცალკეული ნამუშევრები, რომლებშიც ეროვნებაც მინიშნებულია (**«შირაქის ველი»სურ. 6 , «ალაზნის ველი»სურ. 11 ...**). მინიშნება მკრთალია (შესაბამისი ერის წარმომადგენლისათვის მისახვედრი), ძირითადად კი შენარჩუნებულია გარეგნობის ზოგადობა, რაც, ამ ნაწარმოებების ხსენებულ ღირსებებთან ერთობლიობაში, მათ ყველა ერისთვის ახლობელს ხდის.

ერთგვარი ფატალური დამოკიდებულება ბუნებისადმი, არქაიზაცია პლასტიკურ გადაწყვეტაში, ჩაცმულობის პირობითობა ამ კომპოზიციების პერსონაჟებს კონკრეტული ეპოქის საზღვრებს აშორებს, თუმცა აქვს ნამუშებვრები, სადაც ეპოქა, დაახლოებით, მინიშნებულია _ ჩაცმულობის და ვარცხნილობის «სტილით» ან კომპოზიციაში წარმოდგენილი «სიტუაციით» (**«ფეიქარი»(1975)სურ. 9, «უკანასკნელი ბარიერი»(1975)სურ. 13 ...**).

მართალია, რ. გაჩეჩილაძის შემოქმედება მხატვრულ ამოცანათა მთლიანობით ხასიათდება, მაგრამ, თუ თვალს გადავავლებთ კომპოზიციათა ქრონოლოგიას, დავინახავთ, რომ დროთა განმავლობაში მათ გარკვეული ცვლილებები განიცადეს: _ ყველაზე ადრეული

კომპოზიცია, **«მომღერალი ქალი»(1964),** პოლიქრომიულია. ქალის ფიგურა ფრონტალურად დგას. ცალი ფეხი ოდნავ აქვს მუხლში მოხრილი, მაგრამ სხეულის ნაწილები კონტრაპოსტულად[ა] არ არის განლაგებული, არც ჟესტიკულაციაა მკაფიოდ გამოხატული _ ცალი ხელი სხეულის გასწვრივ აქვს ჩამოშვებული, მეორე ხელი, რომელშიც ყვავილები უჭირავს _ გაუბედავად, ოდნავ წინ აქვს გამოწეული. ფიგურის გრძელი კაბა კიდევ უფრო ხაზს უსვამს მის სტატიკურობას. ფრონტალურობის, სტატიკურობის და პოლიქრომიულობის გამო, ეს კომპოზიცია ძველეგვიპტურ სტატუეტებს გვაგონებს.

1970-იანი წლების I ნახევრით დათარიღებულ კომპოზიციებში: **«მეციტრუსე» (1972), «მშვილდოსანი» (1974)**[სურ. 8], **«მოფარიკავე» (1979)**[სურ. 7], **«ფეიქარი» (1975)**[სურ. 9]... მხატვარი პოლიქრომიას აღარ მიმართავს. მართალია, ამ კომპოზიციათა გმირებიც ფრონტალურად, რეპრეზენტატიულ პოზებში დგანან, მაგრამ მათი დგომა მკაფიოდ კონტრაპოსტულია, კიდურები უფრო თავისუფლად აქვთ განთავსებული სივრცეში. შინაგანი შემართება და დინამიკა ამ ფიგურებში უფრო მეტად არის გამოხატული.

შემდგომი დროის კომპოზიციები კიდევ უფრო დინამიკურია _ მათი მოძრაობები უფრო თამამი და ლაღია, ისინი უფრო თავისუფლად უკავშირდებიან გარემოს, მათ ირგვლივ უფრო მეტი სივრცე იგრძნობა [**«შირაქის ველი»(1976), «მკათათვე»(1977), «მეჯინიბე»(1977), «ალაზნის ველი»(1979), «აჯანყება კუნძულ ტექსელზე»(1984)**], ზოგი მათგანი არღვევს ფრონტალურობის «ჩარჩოებს», მათში მეტად ვლინდება რ. გაჩეჩილაძის შემოქმედებისათვის ნიშანდობლივი, მამაკაცი მოქანდაკისთვისაც კი შესაშური, ძალა და ენერგია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია **რ. გაჩეჩილაძის პოსტსაბჭოური პერიოდის კომპოზიციათა ესკიზები.**

XX სს. 90-იანი წლებიდან მას ქანდაკებები აღარ უძერწია, მაგრამ შექმნა გრაფიკული ესკიზები, რომელთა თემატიკა გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მისი საბჭოური პერიოდის კომპოზიციებისა. მათ შორისაა ესკიზები მონუმენტურ-დეკორატიული და დეკორატიული ქანდაკებებისათვის _ როგორც თანამედროვე, ისე ისტორიულ და მარადიულ თემებზე. ყველა ეს ესკიზი მნიშვნელოვნად განსხვავდება მისი წინამორბედი კომპოზიციებისაგან თავიანთი უფრო თანამედროვე იერით. [ათში იგრძნობა XIX სს. ბოლოსა და XX ს-ის დასავლეთ ევროპის ხელოვნების მოწინავე ტრადიციების ორგანულად ათვისება დაშემოქმედებითად გამოყენება. ამავე დროს, შენარჩუნებულია რ. გაჩეჩილაძის ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სტილი, რომელშიც ამ მხატვრის შემოქმედების ინდივიდუალურ და ეროვნულ თავისებურებებთან ერთად, მჟღავნდება ის ყველაზე ზოგადი ნიშნები, რაც საერთოა ერთმანეთისაგან დიდი ქრონოლოგიური და სივრცობრივი ინტერვალით დაშორებული, ჩვენს ტექსტში დასახელებული ეპოქებისა და რეგიონების ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებისათვის...).

ამათგან განსაკუთრებით საინტერესოა 9 აპრილის მემორიალის ესკიზი _»რექვიემი» («მოკლული გაზაფხული»)[სურ. 14], რომელიც, მხატვრის ჩანაფიქრით, რამდენიმე ფერის რამდენიმე მასალაში (ქვა, ბრინჯაო) უნდა შესრულებულიყო. განხორციელების შემთხვევაში, ეს ქანდაკება, როგორც თავისი ტრაგიკული «ჟღერადობით», ასევე ესთეტიკური გამომსახველობით, აღნიშნული ისტორიული მოვლენის, უთუოდ, ღირსეული სახსოვარი იქნებოდა და მნიშვნელოვანი შენაძენი ქართული ხელოვნებისათვის.

საინტერესოა თანამედროვე სინამდვილით შთაგონებული ტრაგიკული და დრამატული «ჟღერადობის» ესკიზები მონუმენტური ქანდაკებებისათვის: «მძიმე დროება» [სურ. 15], «გორი_2008 წლის აგვისტო»[სურ. 16, 17, 19], «ნიქოზი_2008 წლის აგვისტო»[სურ. 20], «ტრაგედია» [სურ. 18]... ესკიზები მონუმენტურ-დეკორატიული ქანდაკებებისათვის: «შოთა

რუსთაველი» **სურ. 26**, «მარიამი» **სურ. 25**, დეკორატიული ქანდაკებებისათვის: «მეომარი» **სურ. 21, 22, 23**, «ბლიუზი» **სურ. 27**, «ნიკე» **სურ. 29**, «მოლოდინი» **სურ. 37, 39**, რამდენიმე დეკორატიული «ტორსი» **სურ. 28, 34**... მხატვრის ჩანაფიქრით, ისინი, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, სხვადასხვა მასალაში უნდა ყოფილიყვნენ განხორციელებული და, უთუოდ, საინტერესოდ ჩაიწერებოდნენ ზოგი თანამედროვე არქიტექტურის ანსამბლში, ზოგი კი საპარკო გარემოში. სამწუხაროდ ამ მნიშვნელოვანი ესკიზების განხორციელება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

ა. ფიგურის ცალ ფეხზე დაყრდნობისას, სხეულის სიმძიმის ცენტრის გადანაცვლების გამო, მისი წელზედა ნაწილი და მენჯი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით გადაიხრებიან...

პორტრეტი რ. გაჩეჩილაძის შემოქმედებაში

რ. გაჩეჩილაძის შემოქმედებაში პორტრეტის ჟანრს მნიშვნელოვანი ადგილი Uუჭირავს.

XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან ამ ჟანრის დაზგურ ქანდაკებაში განსაკუთრებით შესამჩნევია მხატვრული სახის განზოგადება-ტიპიზაციისაკენ სწრაფვა, ინტერესის გაზრდა პლასტიკური ფორმის გამომსახველობითი შესაძლებლობებისა და მასალის ესთეტიკური თვისებების გამოყენებისადმი.

მოქანდაკეთა 50-იანი წლების თაობას ნაკლებად იზიდავს მოდელის ცალკეულ თვისებებზე ყურადღების გამახვილება, რომანტიკული მღელვარების გადმოცემა. მათ უფრო აინტერესებთ ადამიანთა ზნეობრივ-ინტელექტუალური თვისებების ჰარმონიული ერთიანობის, ხასიათის მუდმივი სინთეზური სახის ჩვენება. ასეთი ამოცანა შესაბამის მხატვრულ ენას მოითხოვს. ქრება კომპოზიციურ გადაწყვეტათა დინამიკა, სილუეტის ექსპრესია. ადამიანის ხასიათი იხსნება მდგრად ემოციონალურ მდგომარეობაში, ეპიკურად ნათელ, სადა, მონუმენტურ ფორმებში. ყურადღების ცენტრში დგება ზრუნვა კონსტრუქციული ლოგიკისათვის, მოცულობათა მაქსიმალურად გამომსახველი და მთლიანობის შესატყვისი ურთიერთშეთანხმებისათვის, ქანდაკების გარემოსთან ურთიერთობისათვის.

მოქანდაკეთა შემდგომმა (1960-იანი წლების) თაობამ კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა გამოსახვის საშუალებათა შესაძლებლობანი. მათი ინტერესები შედარებით მჭიდროდ დაუკავშირდა სპეციფიკურ დაზგურ ამოცანებს. განსაკუთრებით გაღრმავდა ინტერესი ფსიქოლოგიური პორტრეტისადმი. 60-იანელებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაჩენილი ახალი ფსიქოლოგიური მოტივებით გაამდიდრეს პორტრეტული ქანდაკება, გაინტენსიურეს მისი შინაარსი და ფორმა, რითაც კიდევ უფრო გამოკვეთეს ახალი ეტაპის ნიშნები.

რ. გაჩეჩილაძე გამორჩეულად გრძნობს თავისი ეპოქის მაჯისცემას და თავის შემოქმედებაში თავისებურად ავლენს, მისი ეპოქისათვის ნიშანდობლივ, ზემოხსენებულ, ძირითად შემოქმედებით ტენდენციებს. მისი მხატვრული ამოცანები პორტრეტის ჟანრში მეტწილად იგივეა, რაც თემატურ კომპოზიციებში, მაგრამ პორტრეტის სპეციფიკამ, რაც კონკრეტული ადამიანის ხასიათის გახსნას და მისი გარეგნული მსგავსების გადმოცემას გულისხმობს, ახალი გამომსახველობითი ხერხები მოითხოვა მხატვრისაგან.

რ. გაჩეჩილაძე პორტრეტებს მთელი თავისი შემოქმედებითი გზის მანძილზე ქმნიდა. მართალია, მის მხატვრულ ამოცანებს დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია, მაგრამ მის სხვადასხვა პერიოდის პორტრეტებში, ცხადია, არის განსხვავებები

_ მკაფიოდ გააზრებულმა ერთი მიმართულებით წარმოებულმა ინტენსიურმა ძიებამ შესაბამისი შედეგი გამოიღო _ თანდათანობით შესამჩნევად დაიხვეწა და შინაარსობრივად გაღრმავდა მოქანდაკის მიერ შექმნილი პორტრეტები, რომელთა ევოლუცია, პირობითად, სამ ეტაპად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

I ეტაპი _ 1960-იანი წლები 1970-იანი წლების დასაწყისი. რ. გაჩეჩილაძის პირველსავე ნამუშევრებში ჩანს მისწრაფება ცხოვრებისეული დაკვირვებების კონცენტრირება-განზოგადებისა და მტკიცე კონსტრუქციაზე დაფუძნებული, მოქნილი და შემოდენადი ჩაკეტილი სილუეტებით მოსაზღვრული, მეტყველი, ლაპიდარული ფორმის შექმნისაკენ, ინტერესი ფერადი ქანდაკებისადმი (**«ქურთი ბიჭი»(1965)სურ. 41, «დუდანა»(1963), «ორესტი»(1973), «მანანა», «ჯული»...**).

II ეტაპი _70-იანი წლები. თუ პირველ ეტაპზე ავტორი მეტად იყო მიჯაჭვული ნატურის ფორმების ზედაპირულ თავისებურებებს, შემდგომში, მოდელის ხასიათის სიღრმისეული კვლევის შესატყვისად, იგი იკვლევს ნაწარმოების მხატვრული ფორმის ძირითადი ელემენტების გამომსახველობით შესაძლებლობებს. ამ მიზნით უკუაგდებს ყველაფერ არაარსებითს _ თმის მასას, პოლიქრომიას, ფორმათა ზოგიერთ ნიუანსებს და კონსტრუქციული თავისებურებების ხაზგასმით ახერხებს ხასიათის გახსნას. იგი იკვლევს იმ ეფექტებს, რომელიც შეიძლება მიიღოს მოცულობათა სხვადასხვაგვარი არქიტექტონიკური ორგანიზაციით, კონსტრუქციული აქცენტების მიზანმიმართული გადანაცვლებით, პროპორციების ვარირებით. ამ პერიოდში იხვეწება რ. გაჩეჩილაძის სახვითი ენა. მეტ ესთეტიკურობას იძენს ნამუშევრების ფორმა, მაგრამ მეტისმეტი განზოგადება იწვევს პორტრეტების რამდენადმე სქემატიზაციას, ნიღბისებურობას (**«რეზო» სურ. 43, «მამუკა» სურ. 42, «ალდე კაკაბაძე»...**).

III ეტაპზე _80-იანი წლები რ. გაჩეჩილაძე კვლავ მეტ კონკრეტულობას ანიჭებს თავის «გმირებს», აინტენსიურებს მათ ფსიქოლოგიურ დახასიათებებს. ეს ეტაპი ხარისხობრივად ახალი საფეხურია, რომელზეც გამოყენებულია II ეტაპის ყველა მონაპოვარი. მხატვრის შემოქმედებაში კვლავ ბრუნდება პოლიქრომია, მრავალფეროვნდება ნამუშევრების ფაქტურა [**ო. ჭილაძის (1982), ბ. ხარანაულის (1982), მ. ჯაფარიძის (1085), ნ. ანდღულაძის ((1985), ი. ხუსკივაძის (1985), თ. ებრალიძის (1986)... პორტრეტები**].

პორტრეტის ჟანრში რ. გაჩეჩილაძის შემოქმედებითი მეთოდის არსის უკეთ გასაგებად განვიხილავთ ორ პორტრეტს, რომლებშიც გამოვლენილია მისი პორტრეტული შემოქმედების დამახასიათებელი ყველა არსებითი ნიშანი:

«ოთარ ჭილაძის პორტრეტის» სურ. 49, 50, 51 კომპოზიცია ფრონტალურია, მკაცრად მოწესრიგებული. წარმოდგენილია თავი კისრით. პორტრეტსა და მის სადგარს შორის მანძილია დატოვებული, ამის შედეგად ქანდაკება მეტ დამოუკიდებლობას იძენს სივრცეში, უფრო მკაფიოდ იკვეთება მისი სილუეტი, უფრო თვალსაჩინოვდება პლასტიკის კომპაქტურობა.

ერთი შეხედვით ვითომდა მარტივი კომპოზიციის შინაგან მუხტს განსაზღვრავს მოძრაობის ძალიან ზუსტად მიგნებული, პორტრერტირებულის ხასიათიდან გამომდინარე, ნიუანსი, რომელიც ვერტიკალურად შემართული კისრისა და ოდნავ მაღლა აწეული თავის ურთიერთშეკავშირებას დაძაბულობისა და მობილიზებულობის განცდით მსჭვალავს. ამ განწყობილებას ჰარმონიულად შეესატყვისება და კიდევ უფრო ამძაფრებს პორტრეტში ოდნავ მონიშნული, მაგრამ ძალზე მეტყველი მიმიკა და სახის ნაკვთების მცირე ასიმეტრია. პორტრეტის ფორმები განზოგადებულია, ზედაპირი გლუვი და ყოველი მხრიდან ჩაკეტილი სილუეტებით მოსაზღვრული. მოქანდაკე პორტრეტს ძალზე მტკიცედ აგებს. ეყრდნობა რა კონსტრუქციის უაღრესად გამახვილებულ გრძნობას და ანატომიის ცოდნას, იგი ნათლად

კითხულობს ფორმის დინამიკის შემქმნელ უმთავრეს დეტალებს. თითოეული მათგანის როლსა და შესაძლებლობებს გამომსახველობის შექმნაში და კონსტრუქციული აქცენტების შინაარსობრივი ჩანაფიქრის შესაბამისად გადანაცვლებით, პროპორციების ზუსტი შერჩევით, ფორმის საფუძვლების გამომჟღავნებით ქმნის ქანდაკების უაღრესად მტკიცე «ჩონჩხს»_შიდა კონსტრუქციას, რომელზეც თითქოს გადაჭიმულია სახის რბილი ქსოვილები.

მაგალითად ამ პორტრეტში, პირობითად, სახის ფორმები გააზრებული აქვს, როგორც ერთმანეთზე ფუძეებით შერწყმული, ორი ტოლკუთხა, წაკვეთილი სამკუთხედი**სურ. 50**, რომელთაც ფერდების მხრიდან დამატებული აქვთ პატარ-პატარა სამკუთხედები (ანუ ფორმა განზოგადებულია ყველაზე მტკიცე საფუძვლამდე).

ყვრიმალების მაღლა აწევით, წინ და განზე გატანით მოქანდაკე ზრდის და დიდ ფიზიკურ ძალას ანიჭებს სახის ქვედა ნაწილს, ხოლო ზედა ნაწილი აქცენტირებულია ფართოდ გახელილი თვალებით და გაძლიერებული წარბის ბორცვებით, რომლებიც კრავენ შუბლის ფორმას. პორტრეტი ყოველი მხრიდან ასევეა გეომეტრიზებული.

ზუსტი და მტკიცე ძვლოვანი კონსტრუქცია მოქანდაკეს საშუალებას აძლევს თამამი მანიპულაციები აწარმოოს სახის ცალკეულ დეტალებზე _ დამაჯერებლობის შეუბღალავად. მაგალითად, ფორმის გამთლიანების მიზნით, ამოსწევს თვალბუდეს, ყურებს თავის ქალაში ღრმად სვამს და თითქოს თავის ქალას ატმასნის.

ფორმის ყველა დეტალი მაქსიმალურად ემსახურება ხასიათის გახსნას. მკაფიოდ გამოკვეთილი ყვრიმალები, კუთხოვანი მძლავრი ნიკაპი პორტრეტირებულის ენერგიულობაზე და ნებისყოფის სიმტკიცეზე მეტყველებენ, მჭიდროდ მოკუმული პირი, დაბერილი ნესტოები _ მის შემართებაზე, მობილიზებულობაზე, ხოლო მაღლა სივრცეში გატყორცნილი «ანთებული» მზერა _მისი მიზნების მასშტაბურობაზე.

ფორმათა განზოგადება, თითქოს საყრდენ კონსტრუქციაზე «გადაჭიმვა» მათ მეტალისებურ, მტკიცე საგნობრიობას სძენს. ყოველდღიური ხორციელი ცხოვრებიდან მარადიულ, ნივთიერ სამყაროში გადაჰყავს, ამავე დროს შენარჩუნებულია ზედაპირის მოქნილობა, რაც მათ სიცოცხლეს ანიჭებს.

პორტრეტის გამთლიანებული, მასიური ფორმა წონადობისა და სიმკვრივის შთაბეჭდილებას ტოვებს. გამომსახველობის შექმნაში გარკვეულ როლს თამაშობს პორტრეტის ფორმებით წარმოქმნილი ჰორიზონტალებისა და ვერტიკალების რითმი. შუბლზე ამოკაწრული ხაზები, ისევე როგორც სხვა პორტრეტებში, აქაც რამდენიმე ფუნქციას ასრულებენ: მიმიკისა და რითმის შექმნაში მონაწილეობენ, ფორმას გამოკვეთენ, ამრავალფეროვნებენ _ თავისებურ დეკორს ქმნიან.

ფორმათა მტკიცე, მწყობრი, ნათელი ორგანიზაცია შესაბამის გამომსახველობას ანიჭებს ამ პორტრეტს.

ჩვენს წინაშეა უაღრესად მტკიცე ნებისყოფის, მიზანდასახული, კონცენტრირებული, მობილიზებული, წვრილმან ვნებებს აცილებული, გლობალურ პრობლემებთან შეჭიდებული ცივი და ფხიზელი გონების, მგზნებარე გულისა და ტემპერამენტის მქონე დახვეწილი ინტელიგენტი.

ოთარ ჭილაძის სახეში თუმცა იკითხება ქართული იერის, ხასიათისს და ტემპერამენტის გარკვეული ნიშნები, მოქანდაკე მკაფიოდ არ გამოკვეთს ნაციონალობას. იგი ცდილობს მიგვანიშნოს პიროვნების მასშტაბურობა, დაგვანახოს თანამედროვის სახეში ზოგადსაკაცობრიო, მარადიული ღირებულებები. (კომპოზიციის ფრონტალურობით, ფორმათა განზოგადების ხერხებით, პლასტიკის თავისებურებებით, მხატვრული სახის შინაგანი სიძლიერით და მასშტაბურობით ეს პორტრეტი ეგვიპტის ფარაონების პორტრეტებთან იწვევს ასოციაციებს).

ასეთი ღრმა განზოგადება, შინაარსით დატვირთული ლაკონიზმი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძალზედ ძნელი მისაღწევია და შემოქმედებითი ძალების დიდ დაძაბვას მოითხოვს თავისი საქმის ისეთი ოსტატისგანაც კი, როგორიც რ. გაჩეჩილაძეა.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენი ძალისხმევაა საჭირო ასეთი შედეგის მისაღწევად, მოვიყვანთ **«ბესო ხარანაულის პორტრეტი»-ს (1982)** ორ ვარიანტს**სურ. 47 (|), 46,48 (||)**, რომლებიც ორი თვის ინტერვალით აქვს მოქანდაკეს შექმნილი. მათი ურთიერთშედარებით შეიძლება ნათლად წარმოვიდგინოთ სინამდვილის რამდენად აქტიურ ტრანსფორმაციას მიმართავს ხელოვანი. მე მხოლოდ ნაწილობრივ გავაანალიზებ ამ პორტრეტებს:

თუ ოთარ ჭილაძის პორტრეტში მოქანდაკე არ ცდილობს პორტრეტირებულის ნაციონალობის წარმოჩენას, ბ. ხარანაულის პორტრეტში ეროვნულ ძირებთან სიახლოვეა ხაზგასმული. რ. გაჩეჩილაძის პორტრეტში წარმოდგენილი ბ. ხარანაული _ ესაა ახალგაზრდა, ხალხის წიაღიდან გამოსული კაცის იერით _ ყოჩაღი, ცოტა უკმეხი გამომეტყველებით, ფართო სახით, დიდი, კეხიანი, წაწვეტებული ცხვირით.

ოთარ ჭილაძის პორტრეტთან შედარებით, ამ პორტრეტში უფრო მრავალფეროვნდება პლასტიკა _ შუბლისა და ლოყების დიდი და გლუვი ფორმების დაპირისპირებით უტრირებულად გაკუთხოვანებულ და წამახვილებულ ცხვირისა და ტუჩების ფორმებთან.

სახის დიდი და მცირე, ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა კუთხით განლაგებული გეომეტრიზებული ფორმებისა და მათი შუქ-ჩრდილების ურთიერთმონაცვლეობა ქმნის მწყობრ, დაძაბულ რითმს, სახის რითმიკის შესატყვისად, ყურები სახის პარალელურად იმეორებენ ყბებისა და შუბლის ტალღისებურ სილუეტებს.

ბ. ხარანაული წარმოდგენილია, როგორც ჭკვიანი, ძლიერი, შემოქმედებითად დამუხტული, მიზანდასახული, ენერგიული პიროვნება. ოდნავ გახსნილი პირი, რომელიც მკვეთრი ჩრდილითაა აქცენტირებული, თითქოს მზადაა დაგროვილი სათქმელის სხვათათვის გასაზიარებლად. მოდელისადმი მხატვრის დამოკიდებულების მსუბუქი იუმორიც ჩანს ამ პორტრეტში, სკივრის ფორმის მძიმე შუბლის ქვემოდან რომ აკვესებს ცეცხლოვან თვალებს. თუ შევადარებთ ბ. ხარანაულის პორტრეტის ორ ვარიანტს**სურ. 47 (|), 48 (||)**, დავინახავთ, რომ II ვარიანტში ფორმამ და შესაბამისად შინაარსმაც მნიშვნელოვანი გარდაქმნები განიცადა. როგორც ვხედავთ კომპოზიცია ორივეგან ფრონტალურია. II პორტრეტში სულ უმნიშვნელოდ შეიცვალა თავისა და კისრის მიმართება. კისერმა ოდნავ უკან გაიწია და ამან სავსებით შეცვალა განწყობილება, მეტი სიცოცხლე, დაძაბულობა, შემართება შეიტანა პორტრეტში. გამოიკვეთა ხასიათის გახსნის სხვა კუთხე, მხატვრის ახალი ამოცანა. ამ ამოცანის შესატყვისი რეორგანიზაცია განიცადა ნაწარმოების პლასტიკამ. ბევრად წინ წამოვიდა თვალბუდე, თვალების ფორმა გამთლიანდა ამჯერად გაკუთხოვანებულ შუბლის ფორმასთან (რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს პროფილში); მიღებულმა ფორმამ გააწონასწორა კეფის გაკუთხოვანებული ფორმა; შუბლი გამაღლდა, შევიწროვდა, ამის გამო უფრო გამოიკვეთა ყვრიმალისა და ყბის ფორმები, ცხვირის ძგიდესა და წარბის ბორცვებს შორის მანძილი და შესაბამისად თვალბუდის ზომებიც შემცირდა. ყურებმა უფრო ამოიწია თავის ქალადან. წინ წამოწეული თვალები ამოკაწვრით დაიხატა, ისე, რომ არ დარღვეულა დამაჯერებლობა. თმების მინიშნება მხოლოდ თხემზე დარჩა _ჰორიზონტალური ხაზის სახით. ყოველივე ზემოთქმულის შედეგად უფრო ორგანიზებული გახდა ფორმა _ სახის თითოეული ნაკვთი და მათ შორის სტრუქტურული დამოკიდებულებები უფრო მკფიოდ გამოჩნდა. მნიშვნელოვნად შეიცვალა გარეგნობა. მეტი სიღრმით გამოიკვეთა შემოქმედი, აქტიური, მიზანდასახული პიროვნების შინაგანი სამყარო _ მოქანდაკის მიერ მოდელში ამოკითხული და უფრო გათვალსაჩინოებული, უფრო სრულქმნილად წარმოდგენილი.

რამდენადმე განსხვავებული ხერხებია გამოყენებული **«იუზას პორტრეტის» (ი.ხუსკივაძე) (1985)სურ. 57, 58** გადაწყვეტისას. სახის ძვლოვანი კონსტრუქციის მკაფიოდ გამოვლენისა და რბილი ქსოვილების, თითქოს, მათზე გადაჭიმვის ან მათდამი დაქვემდებარების ნაცვლად, რაც განხორციელებულია სხვა პორტრეტებში, ამ პორტრეტში მხატვარმა პირიქით _ ანფასში სუსტად მონიშნა ყვრიმალის, ყბების და შუბლის ძვლები, პორტრეტზე ნატურიდან მუშაობის დასრულების შემდეგ, «გათალა» ღაწვების ფორმები (ანუ, შეასუსტა პორტრეტის მატერიალურობა), რითაც აქცენტირებულად წარმოაჩინა გრძნობის ორგანოები: თვალები, ცხვირი, ტუჩები, ყურები და, პორტრეტირებულის ნებისყოფის ხაზგასასმელად და სახის ფორმების «დამჭერად» _ნიკაპი (ანუ, ხაზი გაუსგა პორტრეტირებულის პიროვნებაში სულიერების უპირატესობას). მიუხედავად იმისა, რომ გრძნობის ორგანოები ცალკეული «კუნძულებივით», თუ «საცეცებივით», არის ამოწეული თავის მასიდან, მხატვარი ახერხებს მათი ერთიანი განცდით განმსჭვალვას _ ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს, ყველა ორგანო მაქსიმალურად არის გამახვილებული და კონცენტრირებული რაღაც ფაქიზი და ძნელად საწვდომი ამოცანის ამოსახსნელად. სახის ნაკვთების მცირე ასიმეტრია (მარცხენა ნაწილის ოდნავ მარჯვენაზე უფრო მაღლა მდებარეობა) წარბების შეჭმუხვნა და მაღლა აზიდვა კიდევ უფრო აძლიერებს დაძაბული ფიქრის შთაბეჭდილებას. ასეთი, ერთი შეხედვით დანაწევრებული, ფორმით ერთიანობის ასეთი მძაფრი შთაბეჭდილების მიღწევა ძალზე რთულია და დიდ სულიერ ძალასა და ოსტატობას მოითხოვს მოქანდაკისაგან...

განსხვავებით ო. ჭილაძის პორტრეტისაგან, რომელიც უფრო განზოგადებული და მასშტაბურია. ეს პორტრეტი უფრო კონკრეტული და სახასიათოა, მაგრამ ზოგადობასაც არ არის მოკლებული _ ხელოვნებათმცოდნე მეცნიერთათვის დამახასიათებელ იდეალურ თვისებებს ამჟღავნებს...

პორტრეტის გამომსახველობის ძიებისას, სახის ნაკვთების ასეთი გამკვეთრებით რ. გაჩეჩილაძე ხშირად მიდის გროტესკის ზღვრამდე (ბ. ხარანაულის, დ. ვაჩნაძის, ი. ხუსკივაძის... პ-ტები), მაგრამ არასოდეს არ გადადის ამ ზღვარს...

მხატვრული სახის სრულყოფის მიზნით ავტორი ხშირად უბრუნდება ერთსა და იგივე მოდელს. საკუთარი თავისადმი მაქსიმალურად მომთხოვნი, უკომპრომისო ხელოვანი _ რ. გაჩეჩილაძე არასოდეს კმაყოფილდება მონაპოვრით. ნამუშევრის სრულყოფისათვის ზრუნვას იგი არ ამთავრებს მისი ჩამოსხმის შემდეგაც. თითქმის ყველა ნამუშევარი რ. გაჩეჩილაძეს რამდენიმე ეგზემპლარად აქვს ჩამოსხმული. პორტრეტების სხვადასხვა ფორმის სადგარებზე სხვადასხვა კუთხით დამაგრებით და სხვადასხვა მასალის შესატყვისი ტონირებით განსხვავებულ გამომსახველობით ნიუანსებს ანიჭებს მათ. (მაგ.: მ. ჯაფარიძის, თ. ებრალიძის, ო. ჭილაძის, ბ. ხარანაულის და სხვა პორტრეტები).

რ. გაჩეჩილაძის შემოქმედება ფსიქოლოგიურ დახასიათებათა ფართო დიაპაზონს მოიცავს. მის პორტრეტებში წარმოდგენილია სხვადასხვა ხასიათის, ასაკის, პროფესიის ადამიანები. მათ შორისაა ღრმად მოხუცი, მაგრამ ცხოვრებისაგან გაუტეხელი ქალი **_»მოლოდინი»სურ. 54**, რომელსაც ჯერ კიდევ შენარჩუნებული აქვს ქალური პეწი და მომხიბვლელობა, იგი ჯერ კიდევ რაღაც ნათელ იმედს შეჰღიმის; ნაზია, შთაგონებით, სულიერებით განათებულია **«ალდე კაკაბაძე»**, სათუთი და პოეტურია **«ნუგზარი»(ნ.ანდღულაძე)სურ. 59**; მშვენიერი და მომხიბვლელია **«თათია ებრალიძე»(1986)სურ. 52**, წრფელი, ნორჩი სახე დაუხარჯავ ნათელ გრძნობათა მოზღვავებისა და გაუცნობიერებელი სულიერი სიღრმეებიდან მომდინარე კდემისაგან შეჰფაკვლია; ფაქიზი და დაძაბული ნერვული ორგანიზაციის და პრინციპული, მტკიცე ხასიათის მქონე, მოაზროვნე, დახვეწილ ახალგაზრდად წარმოგვიდგება **«მურაზი»(მ. ჯაფარიძე) (1985)სურ. 55** ...

რ. გაჩეჩილაძის ყველა პორტრეტის კომპოზიცია ფრონტალურია. მას აქვს ისეთი პორტრეტებიც, რომლებშიც თავი დახრილია, ან აწეული, მაგრამ არც ერთ პორტრეტში არ გვხვდება თავის გვერდზე მიბრუნება. მხოლოდ ორ შემთხვევაში (**«კაკოს»** და **«ნუგზარის»** **სურ. 59** პორტრეტებში) პორტრეტირებულთა მზერა ფრონტალური ღერძისადმი კუთხითაა მიმართული, მაგრამ თავისა და კისრის ფრონტალური მდგომარეობა თითქმის არ იცვლება. ეს კიდევ უფრო ცხადად მიუთითებს, რომ კომპოზიციის ფრონტალურობა აუცილებელი ხერხია რ. გაჩეჩილაძისათვის. კომპოზიციის ამგვარი გადაწყვეტით, მკვრივი, წონადი, მკაფიო სტრუქტურის პლასტიკით იგი ცდილობს სიმტკიცისა და მუდმივობის შთაბეჭდილება მიანიჭოს თავის გმირებს. ამ შთაბეჭდილებასთან კარგადაა შერწყმული დიდი შინაგანი დინამიკა, რომელიც გამოსჭვივის მისი ერთი შეხედვით სტატიკური კომპოზიციების მქონე ნამუშევრებიდან.

(მის ორ ნამუშევარში _ **«მამუკას»(2002-2003)** **სურ. 42** და **«დათოს»(1985)** **სურ. 56** პ-ტებში, მართალია, ფრონტალური დამხრობა შენარჩუნებულია, მაგრამ თავი ძალიან ქვემოთ არის გადმოხრილი სადგარიდან, რასაც დაძაბულობა და თავისებური დრამატიზმი შეაქვს ამ პორტრეტებში, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ისინი ცდილობენ რაღაც «ჩარჩოდან» თავდახსნას...).

მიუხედავად რ. გაჩეჩილაძის პორტრეტების ფრონტალური ორიენტაციისა, მათი ყველა ელემენტი თანაბარი ყურადღებითაა დამუშავებული და ორგანულად შერწყმული პიროვნების მხატვრულ სახეში. პორტრეტების პლასტიკური ზედაპირი თანაბარ ენერგიას ასხივებს როგორც ფრონტალური, ისე ყოველი მიმართულებით.

რ. გაჩეჩილაძის ნამუშევრები შორი მანძილიდანაც შთამბეჭდავნი არიან _ განზოგადებულ-მონუმენტალიზებული, მონოლითური, წონადი ფორმით, გამომსახველი, კომპაქტური სილუეტებით. მათ პლასტიკას გარკვეული ენერგია გააჩნია სივრცის «დასაპყრობად», მაგრამ ზედაპირის ფაქიზი დამუშავებისა და ნატიფი, ძალზედ ზუსტად მიგნებული, მხატვრული სახის გახსნისათვის მეტად მნიშვნელოვანი ნიუანსირების გამო, ისინი ახლო მანძილიდან აღსაქმელად არიან გამიზნული – დაზგური ქანდაკების თვისებებს ამჟღავნებენ. დაზგური ქანდაკების პრინციპს შეესატყვისება პორტრეტთა ნატურალურს მიახლოებული ზომებიც.

რ. გაჩეჩილაძის პორტრეტებს ბევრი რამ აახლოებთ არქაულ სახვით ხელოვნებასთან: კომპოზიციათა ფრონტალურობა, ფორმათა განზოგადების, ურთიერთშეკავშირებისა და შეფერადების ხერხები, ზოგიერთი მისი «გმირის» იდუმალი ღიმილი. და, მაინც, მას არ ერიდება ამ საფუძვლის პირდაპირი მითითება ერთი შეხედვით მექანიკურად გადმოღებული შეფერადებით, რომლითაც იგი, თითქოს, შეგნებულ დაპირისპირებას ახდენს არქაული ხელოვნების ნიმუშებთან. არ ერიდება იმიტომ, რომ წარსულის ტრადიციები ღრმადგააზრებულად, შემოქმედებითად აქვს ათვისებული. არქაული ხელოვნებით მისი დაინტერესება არ იყო გამოწვეული სტილიზაციის სურვილით. ფორმის გამომსახველობის საფუძვლების ძიებამ მიიყვანა იგი ქანდაკების განვითარების ადრეული სტადიების გამოცდილების გააზრება-განზოგადებამდე.

ქანდაკების გამომსახველობითი საშუალებების: კომპოზიციის, კონსტრუქციის, პლასტიკის, რითმის, შუქ-ჩრდილის გამომსახველობითი შესაძლებლობები მან თავისებურად, შეგნებულად გაიაზრა და შეუფარდა თავის შემოქმედებით ამოცანებს. არქაულ ხელოვნებასთან შედარებით უაღრესად გამახვილებულ-ინტენსიფიცირებული სახით ახალი შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენა. არქაული ხანის ქანდაკების რამდენადმე აბსტრაქტული ტექტონიკურობა დაუკავშირა ანატომიის ცოდნას, ახალ შინაარსობრივ ამოცანებს; უფრო ორგანული გახადა, გამოკვეთა მიმიკა, ემოციონალური ექსპრესია.

არქაული ხანის პორტრეტების განყენებულობისაგან განსხვავებით, მისი «გმირები» მიწიერი, ხორციელი, ძლიერი, ენერგიული ადამიანები არიან. მათ შორის გვხვდებიან წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონენიც, მაგრამ უმეტესობა, ყოფითი წვრილმანებით გაბრუებული ჩვენი თანამედროვეებისაგან გამოირჩევა კონცენტრირებულობით, მოწესრიგებულობით, მიზანდასახულობით, უკომპრომისობით, დახვეწილობით. მართალია ისინი თავისებურად იდეალურნი არიან, მაგრამ ეს არ არის სენტიმენტალური იდეალიზაცია.

ჩვენს გართულებულ სოციალურ სინამდვილეში, როცა ბევრ ადამიანს მოერყა ზნეობის ბარიერი, რ. გაჩეჩილაძე თავის მოდელებში ეძებს, შეგნებულად აძლიერებს და ამკვიდრებს კაცობრიობისათვის მარადჟამ ფასეულ დადებით თვისებებს: სიცოცხლისადმი ინტერესს, სულიერ სისპეტაკეს, სიფაქიზეს, მიზანდასახულობას, უკომპრომისობას, კონცენტრირებულობას, ენერგიულობას. ყველა ამ თვისებებს ახორციელებს თავისებურად იდეალურ, მაგრამ დიდი ცოცხალი დამაჯერებლობის მხატვრულ სახეებში.

რ. გაჩეჩილაძეს აინტერესებს კონკრეტული პიროვნების ხასიათის მთლიანი, სინთეზური სახის წარმოდგენა, ადამიანის ზნეობრივი და ინტელექტუალური თვისებების ჰარმონიულ ერთიანობაში ჩვენება, მის ხასიათში მარადიული, ზოგადსაკაცობრიო ნიშნების მოძიება.

ადამიანის ხასიათის სინთეზური სახის გამოხატვისაკენ სწრაფვა აღინიშნა ქართველ მოქანდაკეთა 1950-იანი წლების თაობის შემოქმედებაშიც. აღნიშნულმა მიზანმა განაპირობა ნაწარმოებთა მხატვრული ენის შეცვლა. ნ. ეზერსკაია წერდა:

«ამ წრის ნაწარმოებებში ქრება კომპოზიციურ გადაწყვეტათა დინამიკა, სილუეტის ბობოქარი ექსპრესია, ადამიანის ხასიათის არსი იხსნება ეპიკურად ნათელ, სადა და მონუმენტურ ფორმებში. ზრუნვა მოცულობათა ურთიერთშეთანხმებების კონსტრუქციული ლოგიკისა და მკაცრი დაზუსტებულობისათვის, იმისათვის, რათა ყოველი ამ მოცულობათაგანი იქცეს დიდი მთლიანობის ნაწილად, ზრუნვა ქანდაკების გარემოსთან ურთიერთქმედებისათვის, სამყაროში მისი აქტიური ყოფნისათვის დგება მრავალი ქართველი მოქანდაკის ყურადღების ცენტრში.» (1ᵃ –292).

მოქანდაკეთაგან, რომელთა შემოქმედებაშიც ეს ტენდენცია გამოვლინდა (გ. ოჩიაური, ვ. ონიანი, კ. გრიგოლია, ა. კიკნაველიძე...), ზოგის ძიებანი გასცდა პორტრეტის ჟანრის სპეციფიკის საზღვრებს. პორტრეტის ჟანრისა და დაზგური ქანდაკების სპეციფიკისადმი ერთგულება სხვებზე მეტად ჩანს გ, ოჩიაურის პორტრეტებში. რ. გაჩეჩილაძეც ამ კუთხით აგრძელებს აღნიშნულ ტენდენციას.

რ. გაჩეჩილაძემ პორტრეტირებულის ხასიათის მაქსიმალურად გახსნისაკენ სწრაფვის გამო, მოინდომა გარკვეულიყო ქანდაკების გამომსახველობითი საშუალებების შესაძლებლობებში იმდენად ნათლად, რომ მის მიერ ქანდაკების შექმნისას გამოყენებული ყველა ხერხი ყოფილიყო აუცილებელი მხატვრული სახის გახსნისათვის. მან შეძლებისდაგვარად გააანალიზა ქანდაკების გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებაში სხვა ეპოქათა გამოცდილება და, თავისი დაკვირვებების განზოგადების შედეგად, მიაღწია ფორმულისებურად ცხად, ღრმა და ლაკონიურ გამომსახველობას, ნაწარმოების შექმნისას გამოყენებული ხერხების მკაფიო სიაშკარავეს და თვალსაჩინოებას. მის პორტრეტებს ახასიათებთ პორტრეტის ჟანრის სპეციფიკისათვის ნიშანდობლივი ყველა საუკეთესო თვისება: მოდელის ხასიათის ღრმად, მკაფიოდ, მძაფრად გახსნა, მის ხასიათში ზოგადსაკაცობრიო ნიშნების მოძიება და მხატვრულად ტრანსფორმირებული სახით წარმოდგენა.

თავის საუკეთესო ნამუშევრებში რ. გაჩეჩილაძე ბალანსირებას ახდენს ზღვარზე. რომლის იქითაც ფორმის განზოგადება გამომსახველობას ვეღარ ზრდის (თვითმიზნურ აბსტრაჰირებაში გადადის), ნაკლებ განზოგადებაც ასუსტებს გამომსახველობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალური სახის მქონე ხელოვანი რ. გაჩეჩილაძე, ამავე დროს, თავისი თაობის მოწინვე ნაწილის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო, ტიპური წარმომადგენელია, სწორედ მის და რამდენიმე მისი კოლეგის (გ. პაპინაშვილი, თ. კიკალიშვილი...) შემოქმედებაში, სხვადასხვა სახით, გამოვლინდა ის ზოგადი ტენდენციები, რომლებიც განისაზღვრა, როგორც 1950-60- იანი წლების _»საეტაპო თაობის» II «ფრთის»_ 60-იანელების პორტრეტული შემოქმედების თავისებურება ქართული ქანდაკების განვითარებაში:

1950-იანი წლებიდან მოქანდაკენი სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილებების უფრო თამამ, აქტიურ ტრანსფორმაციას მიმართავენ. 60-იანელებმა 50-იანელებზე მეტად გაამრავალფეროვნეს ქანდაკების გამომსახველობითი საშუალებების შესაძლებლობები. მათი ინტერესები უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დაზგური პორტრეტის სპეციფიკას. გაიზარდა ინტერესი ფსიქოლოგიური პორტრეტისადმი. 60-იან წლებში კიდევ უფრო გაძლიერდა მხატვრის სუბიექტური ჩარევა მოდელის შინაგან თუ გარეგან სახეში _ მისი უფრო მეტი სიღრმით გამოხატვის მიზნით. ძალზე გაინტენსიურებული დახასიათებანი მოცემულია ასევე ინტენსიფიცირებული ფორმით. როგორც შინაარსის, ისე ფორმის გასაახლებლად მეტად აქტიური, თამამი ძიებების მიუხედავად, 60-იანელები ცდილობენ რეალისტური პორტრეტის სპეციფიკისათვის აუცილებელი მოთხოვნების დაცვას.

თუ შევადარებთ ერთმანეთს რ. გაჩეჩილაძის კომპოზიციებსა და პორტრეტებს დავინახავთ, რომ ფორმათქმნის პრინციპები მათში, არსებითად, ერთი და იგივეა, მაგრამ, პორტრეტებისაგან განსხვავებით, კომპოზიციებში გაცილებით უფრო ძლიერად და ლაღადაა გამოხატული მოძაობა, პორტრეტებში, პიროვნების ხასიათის სიღრმისეული თავისებურებების წარმოსაჩენად, ფორმაცა და მოძრაობაც უფრო ფაქიზადაა ნიუანსირებული, მოქანდაკე უფრო მეტად ზრუნავს თაბაშირში ჩამოსხმული პორტრეტების ტონირებისათვის...

როგორც რ. გაჩეჩილაძის შემოქმედების განხილვიდან დავინახეთ, მის შემოქმედებაში უაღრესად ინტენსიფიცირებულია როგორც გონებისმიერი, ისე მხატვრულ-ემოციური საწყისები. მხატვრული ფორმის ძიება მის შემოქმედებაში ყოველთვის განპირობებულია მხატვრული სახის გახსნის სურვილით. მისი ნაწარმოებები სინამდვილის სიღრმისეული გააზრების შედეგს წარმოადგენს.

ზოგადსაკაცობრიო ქანდაკების საუკეთესო მონაპოვრების გააზრებულ ათვისებაზე დაფუძნებული, ავტორის მკაფიო ინდივიდუალობით აღბეჭდილი, რ. გაჩეჩილაძის ხელოვნება თანამედროვეა, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი გამომსახველობისა და მხატვრული სიმართლის გამო და, იმედია, მომავალშიც ასეთად დარჩება.

რ. გაჩეჩილაძეს შესრულებული აქვს შემდეგი ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრაციები:

1. იული ვანგას მოთხრობები _ «პატარა მიკინის დიდი საქმეები», ნაკადული», თბ., 1968,
2. ილდა პერერა სოტოს მოთხრობა _»ზანგი ბიჭი აპოლო», «ნაკადული», თბ., 1969,
3. გოდერძი ჭეიშვილის მოთხრობა _ «ვირაჟი რკინიგზაზე», ჟ. «საქართველოს ქალი»,1969წ., № 2, გვ.4,5,7.

რაც შეეხება რ. გაჩეჩილაძის ლექსებს _ ქრონოლოგიურად ეს ლექსები შეესაბამებიან რ. გაჩეჩილაძის სკულპტურული შემოქმედების I და II ეტაპებს (1960-70-იან წლებს). ისინი კიდევ ერთხელ ადასტურებენ იმას, თუ რამდენად მთლიანია რ. გაჩეჩილაძის პიროვნება _ მის ლექსებსაც ახასიათებს იგივე თავისებურებები, რაც მის იმ პერიოდის ქანდაკებებს _

განზოგადებული, საკმაოდ ღრმა შინაარსი, გამოთქმული მკაფიო, ძალზე ლაკონიური, სადა და დახვეწილი ფორმით.

რ. გაჩეჩილაძის ნამუშევრები დაცულია: მხატვრის სახელოსნოში, საქართველოს ეროვნულ გალერეაში, საქართველოს და რუსეთის კულტურის სამინისტროებში, საქართველოს სამხატვარო, შევარდნაძის ფონდში, კერძო კოლექციებში.

რ. გაჩეჩილაძეს მიღებული აქვს ჯილდოები: საქართველოს მხატვართა კავშირის მედალი და პრემია, პრიზები წლის საუკეთესო ნამუშევრისათვის (1976, 1978), თსსა-ის 2007 წლის საუკეთესო პედაგოგის სიგელი, საპატიო სიგელი პედაგოგიური დამსახურებისათვის (2007)... არის რესპუბლიკის დამსახურებული მხატვარი (1974).

ლიტერატურა:

1› В. Беридзе, Н. Езерская. Искусство Советской Грузии. М., изд. «Советский художник», 1975.

2. ნ. ჯანბერიძე, ხალხის ხელოვნება, გაზ. «კომუნისტი», 1978 წ., 12 აპრილი.

3. გუგა მიქაძე, რუსუდან გაჩეჩილაძე, ჟ.»საქართველოს ქალი», 1980 წ., № 1.

4. Советская скульптура-79-80, М. «Советский художник», 1981г. გვ. 55. დაბეჭდილია რ. გაჩეჩილაძის კომპოზიცია _»მშვილდოსანი».

5. როსტომ თიგიშვილი, მოზაიკა, ახალგაზრდა ქართველი მხატვრები, «ხელოვნება», თბ., 1982.

6. ეკატერინე გაჩეჩილაძე, მოქანდაკე რ. გაჩეჩილაძის შემოქმედება, ახალგაზრდა მეცნიერთა IV რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1982, გვ.265-267.

7. Надежда Бабурина, Скульптура малых форм, 1982, გვ. 77. დაბეჭდილია რ. გაჩეჩილაძის კომპოზიცია «შირაქის ველი».

8. М. Ябонская, Ещё раз о станковой пластике, Творчество, 1983, №4, გვ.4.

9. С. Иоселиани, О некоторых особенностях грузиского светского скульптурного портрета 50-60-х годов. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1983.

10. Р. Аболина, В поисках стиля, Советская слульптура-9, М. Советский художник, 1985, გვ.164.

11. М. Юргенс. О смысловом и стилевом многообразии станковизма, Советская скульптура - 9. М. Советский художник, 1985, გვ.66.

12. Изобразительное искусство Грузии, М., «Советский художник»,1986 г. დაბეჭდილია რ. გაჩეჩილაძის კომპოზიცია «ალაზნის ველი».

13. ეკატერინე გაჩეჩილაძე, პორტრეტი რ. გაჩეჩილაძის შემოქმედებაში, თსა_ს სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ. 1988.^

14. Современная советская скулптура-1989, М., «Советский художник». დაბეჭდილია რ. გაჩეჩილაძის ნამუშევრები: «ოთარ ჭილაძის პ-ტი» (გვ.178), «ალდე კაკაბაძის პ-ტი»(გვ. 118), კომპოზიცია «მეჯინიბე»(გვ.59).

15. სოფიო იოსელიანი, რუსუდან გაჩეჩილაძე_პორტრეტისტი, ალმანახი «სპექტრი», 1990, № 1, გვ. 48-56.

16. Ekaterine Gatschetschiladse, Das Schaffen der Bildhauerin Rusudan Gatschetschiladse, Georgika 13/14, 1990/91 Jahrgang, გვ.135-139.

17. ეკატერინე გაჩეჩილაძე, დაზგური პორტრეტის განვითარების ძირითადი ტენდენციები ქართველ მოქანდაკეთა 1960-იანი წლების თაობის შემოქმედებაში, თბ., 1998, კრებ. №326, გვ. 47-65.

18. ვინ ვინაა თანამედროვე ქართულ ხელოვნებაში, 2000, გვ 94.

19. სპორტი და ოლიმპიზმი ქართულ სახვით ხელოვნებაში, 2004წ., გვ. 104. დაბეჭდილია რ. გაჩეჩილაძის კომპოზიცია «მოფარიკავე»...

ციალა (სიდონია)

გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე

ს ა ს უ ლ ი ე რ ო ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ი ლ უ ს ტ რ ა ც ი ე ბ ი

ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძის ნამუშევრების სია

(ნამუშევრები შესრულებულია 2000-2009 წლებში).

სურ. 1 _ 9. ძველი აღთქმის ილუსტრაციები.

სურ. 10 _24. ახალი აღთქმის ილუსტრაციები:
სურ. 10. «მათეს სახარების» გარეკანი,
სურ. 11. «ღვთისმშობლის ხარების» ხატი,
სურ. 12. «მაცხოვრის შობის» ხატი ჟ. «რწმენა და ცოდნას» გარეკანზე,
სურ. 13. «მაცხოვრის შობის» ხატი,
სურ. 14. «მირქმის ხატი»,
სურ. 15. «ნათლისღების ხატი»,
სურ. 16. «იერუსალემად შესვლის» ხატი,

სურ. 17. «ჯოჯოხეთს წარმოტყვევნის» ხატი,
სურ. 18. «მაცხოვრის ამაღლების» ხატი,
სურ. 19. «სულთმოფენობის» ხატი,
სურ. 20. «ღვთისმშობლის მიძინების» ხატი,
სურ. 21. «დაკარგული ცხვრის შესახებ» ქრისტეს იგავის ილუსტრაცია,
სურ. 22. ქრისტეს მიერ «სნეულთა კურნების» ილ.,
სურ. 23. ქრისტეს მიერ «ხუთიათასი კაცის დაპურების» ილ.,
სურ. 24. «ათი ქალწულის შესახებ» ქრისტეს იგავის ილ.
სურ. 25. წიგნის «ცხოვრება წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა თავთა პეტრესი და პავლესი» გარეკანი,
სურ. 26. წმიდა გიორგის ხატი,
სურ. 27. ხატი «კვართისა საუფლოისა და ღვთივ-ბრწყინვალისა და მირონ-მდინარისა».

ზემოხსენებული ხატები დაბეჭდილია ჟურნალ «რწმენა და ცოდნას» (რომლის მხატვრული რედაქტორია ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძე) სხვადასხვა ნომრის გარეკანზე.

სურ. 1

სურ. 2

სურ.3

სურ.4

სურ.5

სურ.6

სურ.7

სურ. 8

სურ.9

ᲓᲐᲡᲬᲣᲚ ᲐᲦᲬᲔᲠᲐᲡ
ᲧᲤᲬᲣᲚᲡᲐ ᲩᲕᲔᲜᲣᲚᲡᲐ
ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ
ᲬᲘᲒᲜᲘ ᲛᲐᲗᲔᲡᲘ

სურ.10

სურ. 11



სურ.12

სურ. 13

სურ. 14

სურ.15

სურ. 16

სურ. 17

სურ.18

სურ.19

სურ. 20

სურ.21



სურ.22

სურ.23

სურ. 24



სურ. 25

სურ.26

სურ. 27

რუსუდან

გაჩეჩილაძე

ქანდაკება, გრაფიკა

რუსუდან გაჩეჩილაძის ნამუშევრების სია

სკულპტურული კომპოზიციები და კომპოზიციების გრაფიკული ესკიზები

სურ. 1. შესანდობარი, 1958 წ.;
სურ. 2. ბადროს მტყორცნელი, 1963 წ. (სადიპლომო ნამუშევარი);
სურ. 3. მჭედლები, 1958 წ.;
სურ. 4. მკათათვე, 1977 წ.;
სურ. 5. საკურორტო სეზონი, 1966 წ.;
სურ. 6. შირაქის ველი
სურ. 7. მოფარიკავე, 1979 წ.;
სურ. 8. მშვილდოსანი, 1979 წ.;
სურ. 9. ფეიქარი, 1975 წ.;
სურ. 10. მეჯინიბე, 1979 წ.;
სურ. 11. ალაზნის ველი, 1979 წ.;
სურ. 12. აჯანყება კუნძულ ტექსელზე, 1084 წ.;
სურ. 13. უკანასკნელი ბარიერი, 1974 წ.;
სურ. 14. რექვიემი (მოკლული გაზაფხული)_ 9 აპრილის მემორიალის ესკიზი, 2004 წ.;
სურ. 15. მძიმე წლები. 2005 წ.;
სურ. 16. გორი 2008 წლის 8 აგვისტო, 2008 წ.;
სურ. 17. გორი 2008 წლის 8 აგვისტო, 2008 წ.;
სურ. 18. ტრაგედია, 2008 წ.;
სურ. 19. გორი 2008 წლის 8 აგვისტო, 2008 წ.;
სურ. 20. ნიქოზი, 2008 წ.;
სურ. 21. მეომარი, 2009 წ.;

სურ. 22. მეომარი, 2008 წ.;
სურ. 23. მეომარი, 2009 წ.;
სურ. 24. მევიოლინე, 2007 წ.;
სურ. 25. მარიამი, 2006 წ.;
სურ. 26. დასრულდა ესე ამბავი (რუსთაველი), 2006 წ.;
სურ. 27. ბლიუზი, 2007 წ.;
სურ. 28. გაზაფხული, 2007 წ.;
სურ. 29. ნიკე, 2007 წ.;
სურ. 30. წესების გარეშე მებრძოლი, 2008 წ.;
სურ. 31. ალექსანდრე მაკედონელი, 2008 წ.;
სურ. 32. მოკრივე, 2008 წ.;
სურ. 33. ღვთისმშობელი ყრმით, 2009 წ.;
სურ. 34. ვერტიკალი, 2008 წ.;
სურ. 35. სამება, 2008 წ.;
სურ. 36. ღვთისმშობელი ყრმით, 2009 წ.;
სურ. 37. მოლოდინი, 2009 წ.;
სურ. 38. საჯარიმო, 2008 წ.;
სურ. 39. მოლოდინი, 2009 წ.;
სურ. 40. გაზაფხული, 2008 წ..

სკულპტურული პორტრეტები და გრაფიკული პორტრეტული მოტივები

სურ. 41. ქურთი ბიჭის პ-ტი 1965 წ.;
სურ. 42. მამუკას პ-ტი, 1970-იანი წლები;
სურ. 43. რეზოს პ-ტი, 1970-იანი წლები;
სურ. 44. ანეტას პ-ტი, 1976 წ.;
სურ. 45. გიას (გ. ცეცხლაძე) პ-ტი,
სურ. 46. ბესოს (ბ.ხარანაული) II პ-ტი, 1982 წ.;
სურ. 47. ბესოს I პ-ტი, 1982 წ.;
სურ. 48. ბესოს II პ-ტი, 1982 წ.;
სურ. 49. ოთარის (ო. ჭილაძე) პ-ტი, 1982 წ.;
სურ. 50. ოთარის პ-ტი;
სურ. 51. ოთარის პ-ტი;
სურ. 52. თათიას (თ ებრალიძე) პ-ტი, 1985 წ.;
სურ. 53. მამუკას (მ. ცუცქირიძე) პ-ტი
სურ. 54. «მოლოდინი» (მოხუცი ქალი) პ-ტი
სურ. 55. მურაზის (მ. ჯაფარიძე) პ-ტი, 1985 წ.;
სურ. 56. დათოს (დ. ჯმუხაძე) პ-ტი, 1985 წ.;
სურ. 57. იუზას (ი. ხუსკივაძე) პ-ტი, 1985 წ.;
სურ. 58. იუზას პ-ტი;
სურ. 59. ნუგზარის (ნ. ანდღულაძე) პ-ტი, 1984 წ.;
სურ. 60. «მოციქული», 2009 წ.;
სურ. 61. ქალის პ-ტი, 2009 წ.;
სურ. 62. «ოციანი წლები», 2009 წ.;
სურ. 63. ქალის პ-ტი, 2009 წ..

სურ.1

სურ.2

სურ.3

სურ.4

სურ. 5

სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ.9

სურ.10

სურ. 11

სურ. 12



სურ. 13

სურ. 14



სურ. 15



სურ. 16

სურ. 17

სურ. 18

სურ. 19



სურ. 20



სურ. 21



სურ. 22

სურ. 23

სურ. 24

სურ. 25

სურ. 26

სურ. 27

სურ. 28

სურ. 29

სურ. 30

სურ. 31

სურ. 32



სურ. 33



სურ. 34



სურ. 35



სურ. 36

სურ. 37

სურ. 38



სურ. 39

სურ. 40

სურ. 41

სურ.42

სურ. 43

სურ. 44

სურ.45

სურ. 46



სურ. 47



სურ.48

სურ. 49



სურ. 50



სურ. 51

სურ. 52

სურ. 53



სურ. 54

სურ. 55



სურ. 56



სურ. 57



სურ. 58

სურ. 59



სურ. 60

სურ. 61

სურ. 62

სურ. 63

ეკატერინე

გაჩეჩილაძე

ქანდაკება

ეკატერინე გაჩეჩილაძის* ნამუშევრების სია:

სურ. 1. დიანა დათუსანის პ-ტი, 1974 წ.;
სურ. 2. მიხეილ ქათამაძის პ-ტი (საკურსო ნაშრომი), 1974 წ.;
სურ. 3. მარინა გველესიანის პ-ტი, 1975 წ.;
სურ. 4. ფრანგული ლიტერატურის მთარგმნელ _ ნესტან იორდანიშვილის პ-ტი, 1983 წ.;
სურ. 5. შიშველი მოდელი (საკურსო ნაშრომი), 1984 წ.;
სურ. 6. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ, პროფ. პარმენ ზაქარაიას პ-ტი, 1979 წ.;
სურ. 7. ლალი საგინაშვილის პ-ტი, 1982 წ.;
სურ. 8. სოფიო ქებურიას პ-ტი, 1994-1995 წწ.;
სურ. 9. ნორა მიქელაძის პ-ტი, 1989-1990 წწ.;
სურ. 10. მარინა ნიკოლეიშვილის პ-ტი, 1983 წ.;
სურ. 11. შიშველი მოდელი («ქალი ბადროთი»), საკურსო ნაშრ. 1982 წ.;
სურ. 12. შიშველი მოდელი («დაყრდნობილი»), საკურსო ნაშრ. 1985 წ.;
სურ. 13. შიშველი მოდელი («მწოლიარე») საკურსო ნაშრ., 1984 წ.;
სურ. 14. «ვედრება» (საკურსო კომპოზიციის ესკიზი), 1984 წ.;
სურ. 15. შიშველი მოდელი («ბუთხუზა»), 1984 წ..







სურ. 1

სურ. 2

სურ. 3

სურ. 4

სურ. 5



სურ. 6

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11

სურ. 12

სურ. 13

სურ.14

სურ. 15

ს ა რ ჩ ე ვ ი

შემდგენელ-რედაქტორისაგან;
სევასტი გაჩეჩილაძის მიერ სოფელ წევაში ჩაწერილი ფოლკლორი
რედაქტორის შენიშვნა კრებულში მოყვანილი ფოლკლორის შესახებ;
ზღაპრები:
დღით მკვდარის დედა;
გველ-ვაჟი;
უშვილო ვაჭარი და ეშმაკი;
მეფის შველი;
ორი ძმა-კაცი;
ლექსები:
რედაქტორის შენიშვნა «მზე შინა და მზე გარეთას» შესახებ;
ლოცვა მზისადმი;
ლოცვა მზისადმი;
აღდგომის მილოცვა;
ლოცვა ძილის წინ;
მარიამ დედოფალი;
ივანე აბაშიძე;
ავი ბატონის ხელშიო;
მიყვარდა აზნაურობა;
ყველიერში ყველი ვჭამე;
ღმერთო კაი დარი ქენი;
პავლია მამასახლისი;
ხუცესმა უთხრა ხუცესსა;
დიაკონო, დიაკონო;
დეითხოვეთ ეს ხუცესი;
ბატონ-ყმობის გაუქმება;
ლექსი მზის დაბნელებაზე;
სვიმონელების ომიო;
გასათხოვარი ქალი ამბობს;
ახლათ გათხოვილი ქალი ამბობს;
ბოსტანშია გადვიხედე (ა);
ამევიარე ალიო;
ბოსტანშია გადვიხედე (ბ);
რძალს ასეთსა მოვესწარი;
შენი რძალი მე მინახავს;
სიმავრი ეუბნება თავის სიძეებს;
სიდედრი ეუბნება სიძეს;
სიძემ დეიტრაბახა, სიდედრმა უპასუხა;
ნათლია და ნათლიდედა;
ელენიკოს ქათამიო;
თინათი არე-მარე;
ჩიტი ღობეზე შემოჯდა;
წყალ გაღმა კახა-მბალები;

მივიარე მოვიარე;
მინდორშია თეთრი ქვაო;
მუხას ცული შემოვკარი;
მონაწერსა შენგან წიგნსა;
წითელ ღვინოს მიგამგვანე;
პირათ მზეო, ღაწვით ვარდო;
იაგუნდისა წვიმამა;
რაღაი არ მინახავხარ;

XX_XXI საუკუნეები

*(**შენიშვნა:** ვინაიდან რამდენიმე ავტორს სხვადასხვა დარგისა და ჟანრის ნამუშევრები აქვს წარმოდგენილი, მათი ნამუშევრების მოძიების გასაადვილებლად, პირველივე ნამუშევართან, ავტორის სახელის ჩამოსწვრივ განვათავსეთ მისი ყველა ნამუშევრის სია. მათგან იმ ნამუშევრების სათაურები, რომლებიც სხვა გრაფაშია საძიებელი, წარმოვადგინეთ დახრილი შრიფტით და ჩავსვით ასეთ _ ( ) ფრჩხილებში).*

<u>პროზა:</u>

აზა აკაკის ას. გაჩეჩილაძე (ლობიო) _
ისინი ამშვენებდნენ სოფელს;
შალვა(გურამ) შალვას ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) _
მამა ეფრემის ამორჩეული სარძლო;
რამაზის პირველი როლი;
ამაგდარი თალია «ნაჩალნიკი»;
მელანო ვასილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) _ დაუვიწყარი მოგონება;
ლილი ვარლამის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) _
სოფელი ტკბილად მოსაგონარი;
თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძე (ლობიო) _როგორ გავხდი წეველი;
ნათელა რაჟდენის ას. გაჩეჩილაძე (კრეჭია) _ ჩემი ცხოვრება;
რუსეთის სადამსჯელო ოპერაციები;
ზურაბ გიორგის ძე გაჩეჩილაძე (კუნკურახი) _ საქართველოში ვერ ნახავთ
ადგილს, სადაც ადამიანი არ ცხოვრობდა;
მელერი ვარლამის ძე გაჩეჩილაძე (ღიღინა) _ ორჯერ იყო ძლიერი;
ვახტანგ ვახტანგის ძე გაჩეჩილაზე _ მისი ცხოვრება ხალხისადმი
უანგარო სამსახურის საგმირო მაგალითი იყო;
”ცუდი ხუმრობა”.
ელგუჯა ივანეს ძე გაჩეჩილაძე (ლოპანელი) _
ჩემი ცხოვრება ზნაურის რაიონში;
ვახტანგ ზოსიმეს ძე გაჩეჩილაძე (ჭიმატი) _
როგორ გავხდი ოჯახის მარჩენალი;
1956 წლის მარტი;
ელისე;
რედაქტორის შენიშვნა ელისე გაჩეჩილაძის შესახებ;
როსტომ გალაქტიონის ძე გაჩეჩილაძე (კვიცინა) _
რაც ელისე გაჩეჩილაძის შესახებ გამიგონია;
რევაზ ანდროს ძე გაჩეჩილაძე (პაპუჩელაშვილი_ხბოსთავა) _

რატომ დაისაჯა მამაჩემი;
ქეთევან ივანეს ას. გაჩეჩილაძე (ლობიო) _
ჩემიანები ელისეს ასე ახასიათებდნენ (სამი ეპიზოდი);
შემთხვევამ და ნიჭმა გადაარჩინა;
(ევას);
(არ მსურს);
(რატომ გეცინება?);
ნელი ალექსანდრეს ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა)_წევის ერთი ისტორია ესეცაა;
ნეტავი ამან რა უნდა იცოდესო;
ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) _ ვალი;
რეაქციები;
ნაყოფიერი დღე;
თავმოყვარეობა;
(ე.გ-ს ქანდაკებების რეპროდუქციები);
(მოქანდაკე რუსუდან გაჩეჩილაძის შემოქმედება);
(რედაქტორის ჩანართები: *კრებულის შესავალი წერილი;*
კრებულში მოყვანილი ფოლკლორის შესახებ;
მზისადმი ლოცვის შესახებ ;
ელისე გაჩეჩილაძის შესახებ;
სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრომების შესახებ;
სევასტი გაჩეჩილაძის დრამა _»ხელოვნური
ნოხის» შესახებ) ;
და სხვა...
ქეთევან რევაზის ას. ნანობაშვილი_*[მარიამ გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი) ქალიშვილი]*
ჯესიკა;
ბაქარ თენგიზის ძე გაჩეჩილაძე (თომაშვილი) _
სამოთხე და ჯოჯოხეთი;
ნინო ვახტანგის ას. ნანობაშვილი _*[მარიამ გაჩეჩილაძის (ოთიაშვილი) შვილიშვილი]*
მატარებელი;
თორნიკე ბაქარის ძე გაჩეჩილაზე (თომაშვილი) _
ოლიმპიური ცეცხლი მყინვარწვერზე;
ცოტნე ბაქარის ძე გაჩეჩილაძე (თომაშვილი) _
«ოლიმპიური თამაშები» ჩვენს ეზოში;

<u>**პოეზია:**</u>

რედაქტორის შენიშვნა სევასტი გაჩეჩილაძის ნაშრომების შესახებ;
სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) _
ნაწყვეტი პოემიდან «ლაბირინტი» (გეგენას მოგონებანი);
ეპილოგი პოემიდან ბასილ კვეტენაძე;
ლექსი _ «ახალშობილ ჩემს შვილიშვილს_დათუნას»;
(წერილი კოტე მაყაშვილისადმი);
(დრამა «ხელოვნური ნოხი»);
სიმონ გიორგის ძე გაჩეჩილაძე (ბელტიყლაპია) _ სევდის ვარდი;
საღამოვდება;
მავრა;

ქარიშხალს;
კონსტანტინე მაკარის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) _ მივდივარ მარტო;
კლდეკარის გზაზე;
დავით ალექსის ძე გაჩეჩილაძე (ღვირძლი) _ ყვავილების მიწა;
სალამური;
ძველი პოეტის ეპიტაფია;
რარიგ სხვა იყო;
შაქრო (ზაქარია) სიმონის ძე ჯაჭვაძე _ მე სხვა არაფერი მინდა;
კვიპაროსი;
ამბოხებულან;
ავაზა;
პატარა გოგონა;
ტარიელ იოსების ძე ხარატიშვილი _ *[სერევან გაჩეჩილაძის (ლანჩავა) ვაჟი]*_
სიცოცხლით გაუმაძღარი;
მაგრამ უმიწოდ;
დედაენას;
ხალხი;
მატათე (მათე) ნიკოლოზის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) _
ლომი სამხეცეში;
მებაღე და გამვლელი;
ციყვი და ზღარბი;
ვირი და ყვავი;
შოთა ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე (ბღოჭიალა) _
მაგრამ არ ვჯავრობ;
ვიცი, რომ ჩემი შენ არ გახდები;
თუ არ გამშვენებს შთამომავლობა;
ღამე მარაბდის ველზე;
ზესტაფონში ქალი ვნახე;
ვედრება;
ქეთევან ივანეს ას. გაჩეჩილაძე (ლობიო) _ ევას;
არ მსურს;
რატომ გეცინება?;
(ჩემიანები ელისეს ასე ახასიათებდნენ);
(შემთხვევამ და ნიჭმა გადაარჩინა);
ლია ვარლამის ას. გაჩეჩილაძე _ქეთის;
ჩემო ჭიკჭიკა შვილო, ქეთი;
რუსუდან ვახტანგის ას. გაჩეჩილაძე (ბაჩა) _ ნატვრა;
სიმღერა;
იქნებ;
დაიბნა ვაზი;
დაპირებულთან აღარ ვმეგობრობ;
სარკე;
დროს მიჰყავს;
იფიქრებდა?;
ო, დამცირებავ;
ნეტავ რად მინდა;

მე არაფერი;
რაღაცა ისე დაიქროლებდეს;
თვალი გამირბის;
ქანდაკებები და გრაფიკული ესკიზები);
იზა ზაქარიას ას. ჯაჭვაძე _ მამა;
ზმანება;
დედა _ ნატო და მართა მამიდა;
ლაშა;
რად მიყვარდი;
ჩემი სამშობლო აქ არის;
ნელი (ელა) გრიგოლის ას. გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) _ წავალ მათთან;
მარტოობის სევდა;
ბათუმი მე და შენ;
უპასუხო შეკითხვა;
ლიანა ლევანის ას. გაჩეჩილაძე _
სიყვარულს სჭირდება;
დავიწყოთ თავიდან!;
მარიამ მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) _ ფიფქები;
სანთელი;
(მხატვარ ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძის შემოქმედება);
არკადი ალექსანდრეს ძე გაჩეჩილაძე (ლანჩავა) _
ბედი;
ფიქრები კრწანისის შემდეგ;
ამირან ნოეს ძე გაჩეჩილაძე (ლანჩავა) _
ჩემს საყვარელ დას!;
რისთვის?;
დავით გურამის ძე გაჩეჩილაზე _ ია;
ერთიანობა;
აისი აიაში;
ნაწყვეტი პოემიდან «მძიმე და ორი წერტილი»;
რედაქტორის შენიშვნა სევასტი გაჩეჩილაძის დრამა «ხელოვნური ნოხის» შესახებ;
სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) _
დრამა_ «ხელოვნური ნოხი»;
წინა-სიტყვა;
პირველი მოქმედება;
მეორე მოქმედება;
მესამე მოქმედება;
მეოთხე მოქმედება;

<u>**პირადი წერილი:**</u>

სევასტი მიქელის ძე გაჩეჩილაძე (ოთიაშვილი) _
წერილი კოტე მაყაშვილისადმი;

<u>**ხელოვნებათმცოდნეობითი სტატიები:**</u>

მარიამ მიხეილის ას. გაჩეჩილაძე (ლანჩავა) _
მხატვარ ციალა (სიდონია) გაჩეჩილაძის შემოქმედება;
ეკატერინე მიხეილის ას. გაჩეჩილაზე (ლანჩავა) _
მოქანდაკე რუსუდან გაჩეჩილაძის შემოქმედება;

<u>**მხატვართა ნამუშევრების რეპროდუქციები:**</u>

ციალა (სიდონია) მიხეილის ას.გაჩეჩილაძის (ლანჩავა) ნამუშევრები;
რუსუდან ვახტანგის ას. გაჩეჩილაძის (ბაჩა) ნამუშევრები;
ეკატერინე მიხეილის ას, გაჩეჩილაძის (ლანჩავა) ნამუშევრები;
სარჩევი.